



# გალოკტიონის

ცხოვრებისა და  
შემოქმედების  
მატიანე

მამუკა  
შელეგია

# ბადაკტიონის სხოვნებისა და შემოქმედების მათიანა

(ნიგნი პირველი (1891 – 1933 წწ.))

მამუკა შელეზია

„გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანეში“ (წიგნი პირველი (1891 – 1933 წ.წ.). შეტანილია პოეტთან დაკავშირებული ფაქტებისა და საყურადღებო მოვლენების ამსახველი თარიღიანი მასალები, რომლებიც დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას, სად და როდის დაიბეჭდა მისი ნაწარმოებები, ვისთან და როგორ მონაწილეობდა ეპოქის რთულ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ბრძოლებში. მის შემოქმედებაში, მისი დღიურებისა და ჩანაწერებიდან კუპიურებად მოტანილი მასალებიდან ჩანს ნამდვილი გალაკტიონი, ადამიანი და პოეტი, საბჭოური, „ორდენოსანი“ პოეტისაგან მკვეთრად განსხვავებული. წიგნს ახლავს პოეტის „მატიანეში“ შესულ ნაწარმოებთა ანბანური საძიებელი და ფსევდონიმთა ლექსიკონი. წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ მეცნიერთათვის, არამედ გალაკტიონის უკვდავი პოეზიის მოყვარულთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი თეიმურაზ დოიაშვილი

რეცენზენტები ლევან ბრეგაძე  
ნათია სიხარულიძე

## წინათქმა

მატიანე, მატიანი, ძველ საქართველოში საისტორიო ჩანაწერთა კრებულს ეწოდებოდა. ეს ტერმინი ჯერ კიდევ ბიბლიის უძველეს ნუსხებში გვხვდება. თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ ნუსხის სახით გადმოცემულ ამბებს.

ბიბლიაში მატიანეს სინონიმად იხმარება „ნიგნი მეფეთა სახსენებელთა“. სამონასტრო მატიანეთა განსაკუთრებული სახე იყო ე. წ. „სულთა მატიანე“ (შემწირველთა მოსახსენიებლების კრებული). XVI-XVIII საუკუნეებში „მატიანე“ იხმარებოდა ყოველგვარი საისტორიო თხზულების აღსანიშნავად (ნოდარ შოშიაშვილი). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მატიანე იყოფოდა ოთხ ნაწილად: ადგილის აღწერად (ე.ი. გეოგრაფია), ნათესავთმეტყველებად (ე.ი. გენიალოგია), წლისმრიცხველობად (ე.ი. ქრონოლოგია) და მოქმედების აღწერად (ე.ი. საკუთრივ ამბების თხრობა).

საზოგადოდ, მატიანე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს ამა თუ იმ ხელოვანის განვლილი ცხოვრებისა და შემოქმედების გზას, მის ღვაწლს, ფაქტებსა და მოვლენებს, კონკრეტულ თარიღებს და როგორც ისტორიულ – ბიოგრაფიული დოკუმენტური გამოცემა, უმნიშვნელოვანესი წყაროა მკვლევართათვის.

ამ ჟანრის გამოცემებს ჩვენში თავისი ისტორია აქვს. შორს რომ არ წავიდეთ, წლების მანძილზე ქართველი მკითხველის სამაგიდო წიგნები იყო სოლომონ ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის: ილიას, აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეები. აგრეთვე, ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადებული ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ახალი, შევსებული მატიანე (გამომც. „მთაწმინდა“, თბ. 2017),

რომლის ორშრიანი ინტერნეტვერსია საუკეთესო საჩუქარია მკვლევართა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ხელოვანის განვლილი გზა დატოვებული კვალით იზომება. დროს, ამ მიუკერძოებელ მსაჯულს, საკუთარი სამართალი აქვს და მან გალაკტიონ ტაბიძეს კუთვნილი ადგილი მიუჩინა ქართული პოეზიის უდიდეს ვარსკვლავთა შორის. დღეს ნათელია – „გალაკტიონის შემოქმედების მეცნიერული შესწავლის გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ გასული საუკუნისა და მიმდინარე სამწერლო პროცესის გაცნობიერება, არამედ, ზოგადად, ქართული სიტყვიერი კულტურის, როგორც ტექსტის, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გააზრება“.

გალაკტიონმა ურთულესი შემოქმედებითი გზა განვლო. მან თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი, თითქმის 40 წელი, საბჭოთა საქართველოში გაატარა. 1921 წლიდან ქართველი ხელოვანები, საერთოდ, მთლიანად საქართველო, ბოლშევიკების დამთრგუნავი იდეოლოგიური ტერორის ქვეშ მოექცნენ. ახალი მთავრობა მოსვლისთანვე შეუდგა ყოველივე ეროვნულის ნგრევას, სულ სხვა ფასეულობებს ნერგავდა და ამ გზაზე „მწერლობის მოთვინიერებას“ (აკაკი ბაქრაძე) ცდილობდა. გალაკტიონის განწყობაც ადეკვატური იყო: „რისთვის ჩაუნყდა ხმა გაბზარული/ მას, ანგელოსი თუ დემონია?/ მისთვის, რომ მოდის პროლეტარული/ ლიტერატურის გეგმონია.“ ხელისუფლებას სურდა გალაკტიონის შემოქმედება თავის თარგზე გამოეჭრა. იგი რეჟიმის მსხვერპლი იყო. ერთის მხრივ, მუდმივი წნეხის ქვეშ ამყოფებდა მას, მეორე მხრივ, ჯილდოებსა და რეგალიებს არ აკლებდა, რომ იძულებით „საბჭოთა პოეტი-აკადემიკოსის“ პარადიგმის ჩარჩოში მოექცია. მისი შემოქმედება ხელოვნურად, ორ პერიოდად დაჰყვეს: რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. ქართული მოდერნისტული პოეზიის ლიდერი, პროლეტარული მწერლობის ლიტერატურულ „თანამგზავრად“ გამოაცხადეს, პოეტური წარსული „წაუშალეს“, „აღმოჩნდა“, რომ „1914-21 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, დაცემულობის, რელიგიური ექსტაზის მწარმოებელი, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი... ეროტიული და პატრიოტული „თრთოლვის“ ვირტუოზი და ბოჰემა-ანარქისტი... რომელიც გაურბოდა სოციალური საკითხების რგოლს... ობივატელი იყო...“ პროლეტარულმა კრიტიკოსებმა „მიაგნეს“ მისი პოეზიის სათავესა და წარმატების მიზეზს: „გ. ტაბიძის ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური გაჯანსაღება და გარდაქმნა მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის პირობებში იყო შესაძლებელი“ და რომ „უმწეო მისტიკოსი და პესიმისტი, „მე და ღამე“, „მესაფლავე“ და „მერი-ს“ ცრემლიანი ავტორი, პროლეტარული რევოლუციის პირველი ქართველი ლიტერატურული თანამგზავრი და ოქტომბრის გულწრფელი რომანტიკოსი გახდა.“ ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ „ოქტომბრის რევოლუციის გარეშე მას... შემოქმედებითი თვითმკვლელობა დაემართებოდა (ვალერიან ლუარსამიძე). გალაკტიონი საბჭოთა ხელისუფლების ამ ცრუ პათოსს თავიდანვე აპროტესტებდა. ერთ თავის ჩანაწერში მას აღნიშნული აქვს: „შეც-

დომაში შეჰყავთ მკითხველი: სრულიად სწორი არ არის შეხედულება, თითქო გალაკტიონ ტაბიძეში რაღაც არაჩვეულებრივი, სასწაულებრივი და ყველასთვის მოულოდნელი გარდატეხა იყო 1917 წელი”.

„ლენინის ორდენოსანმა“, სახალხო პოეტმა, ცხოვრება მარტოობაში გაატარა. აღარ იყო მისი საქართველო და „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ იძულებული იყო ეთამამა, ცხოვრება მისთვის ტრაგიკულ წარმოდგენად იქცა, ნილაბი აიფარა, რომ პროლეტარული დიქტატურის პირობებში არსებობისა და წერის საშუალება ჰქონოდა (“გალაკტიონი ასრულებდა კომიკოსის როლს დიდ ეროვნულ ტრაგედიაში“ – ოთარ ჩხეიძე).

შექმნილი ვითარება გალაკტიონს აიძულებდა 1910-20-იან წლებში დასტამბული ლექსების თავდაპირველი ჩანაფიქრის შესანიღბად, ცვლილებები თავადვე შეეტანა. ამავე მიზნით პერმანენტულად ცვლიდა ნაწარმოებთა დაწერის თარიღებს. ამის გამო გალაკტიონის პოეზია მცდარ საბჭოურ-კომუნისტურ კონტექსტში იყო მოთავსებული. პოეტმა განაჩენი გამოუტანა თავის საბჭოურ ყოფას: „სინამდვილეს არ ვემდური,/ არ ყოფილა თითქმის;/ არყოფილზე საყვედური/ არასდროს არ ითქმის.“

მან კარგად იცოდა თავისი ფასი, იცოდა რას იტყოდა მასზე შთამომავლობა, სწამდა, რომ „მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“, და აუსრულდა კიდევ თითქმის ყველაფერი, რასაც ღამეულ სინყნარეში, მხოლოდ თავის დღიურებს ანდობდა: არის მისი სახელობის ქუჩა, ხიდი, ძეგლი, მუზეუმები, ლიტერატურული პრემია, სტიპენდია უმაღლეს სასწავლებელში, გაფორმდა ლიტერატურათმცოდნეობის ახალი დარგი – გალაკტიონოლოგია, გამოვიდა მისი თხზულებების ორი აკადემიური გამოცემა, საარქივო ოცდახუთნიგნეული...

გალაკტიონის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს, ბევრი მკვლევარი და ლიტერატურის მოყვარული წერდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, წლების მანძილზე შეიქმნა მრავალი საინტერესო ნაშრომი. გალაკტიონის შემოქმედების კვლევაში განსაკუთრებული წვლილი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს მიუძღვის. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან აქ მოქმედებდა გალაკტიონის პოეტიკის შემსწავლელი ჯგუფი, რომელმაც შეადგინა „გალაკტიონის რითმის ლექსიკონი“ (ხელმძღვანელი აკაკი ხინთიბიძე). აქვე მომზადდა იოსებ ლორთქიფანიძის „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, ამავე ავტორის „გალაკტიონ ტაბიძის ბიბლიოგრაფია (1910-1984)“. რაც მთავარია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოამზადდა და გამოიცა პოეტის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა 12 ტომად (1966-1975), რომელიც განსაკუთრებული მოვლენა იყო გალაკტიონის კვლევის ისტორიაში. ლექსები პირველად დალაგდა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ტექსტებს თან ერთვის ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები.

2002 წელს თეიმურაზ დოიაშვილის თაოსნობით ინსტიტუტში დაარსდა „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“ და ოფიციალურად გაფორმდა ქართული ლიტე-

რატურათმცოდნეობის ახალი აკადემიური დარგი – გალაკტიონოლოგია. საუკუნოვანი ტრადიციის მქონე გალაკტიონოლოგიურ კვლევებს სისტემური ხასიათი მიეცა. ჩატარდა არაერთი სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა „გალაკტიონოლოგიის“ სპეციალური სამეცნიერო-ლიტერატურული სერიის ცხრა წიგნი.

გალაკტიონოლოგიურ კვლევაში განსაკუთრებული მოვლენა იყო საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ 2005-2008 წლებში განხორციელებული გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად (რედაქტორი იზა ორჯონიკიძე). ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა პოეტის მდიდარი და საინტერესო საარქივო მასალა, ფოტოდოკუმენტები თუ მისი ჩანახატები. ესაა ეპოქის თავსებური ენციკლოპედია, რომელშიც იმ ტრაგიკული დროის სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გალაკტიონის თვალთაა დანახული და გააზრებული. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული თენგიზ და ციალა სანიკიძეების ხუთტომეული: „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი“ (1990-1996).

აქვე უნდა ითქვას გალაკტიონოლოგიის კიდევ ერთი წარმატებული გამოცემის შესახებ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მომზადდა და დაიბეჭდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ მიერ წარდგენილი „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის“ პირველი ნაწილი (ტ. 1-5, 2016 წ.). ეს ტომები მომზადდა თანამედროვე ტექსტოლოგიურ – ედიციური სტანდარტების გათვალისწინებით: ნაწარმოებთა ხელნაწერი და ბეჭდური წყაროების სისტემატიზაციის და კრიტიკული შესწავლის შედეგად დადგენილია ძირითადი ტექსტები, რომლებიც აღჭურვილია სათანადო სამეცნიერო აპარატით – ვარიანტული წაკითხვებით, შენიშვნებით და კომენტარებით.

თავის დროზე გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეული სასწრაფოდ მომზადდა, მაშინ არქივი დაუმუშავებელი იყო და ძირითადად ამან განაპირობა ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც გასწორდა ახალ აკადემიურ გამოცემაში. (აქვე უნდა ითქვას, თორმეტტომეულში გაპარული შეცდომების შესახებ მასალა „მატიანეში“ ახალი აკადემიური გამოცემის დასტამბვამდე იყო შეტანილი). გალაკტიონის ახალ, თხუთმეტტომეულში (ტ. 1-5) გათვალისწინებულია და გასწორებულია ყველა ის ხარვეზი, რომელიც „ძველ“ აკადემიურ გამოცემაში იყო. პრესისა და საარქივო ფონდების შესწავლის გზით შეივსო ახლადგამოვლენილი თუ იდეოლოგიური მოსაზრებით უარყოფილი ლექსები, დათარიღების პრობლემების მოწესრიგებით გამოიკვეთა შემოქმედებითი ევოლუციის ობიექტურ-რეალური სურათი. ეს გამოცემა საყურადღებოა იმითაც, რომ მოხდა ტოტალიტარულ ეპოქაში მოღვაწე ქართველი პოეტის ტექსტების რეაბილიტაცია, მათი გათავისუფლება იდეოლოგიურ-კონიუნქტურული ბალასტისაგან და ავტორის ნების აღდგენა. ანუ, მოხდა მისი პოეზიის რეალურ-ისტორიულ კონტექსტში დაბრუნება.

მალე დამთავრდება ახალი აკადემიური თხუთმეტოცეულის დარჩენილი ტომების გამოცემა და ალბათ, დადგება პოეტის პერსონალური ენციკლოპედიის გამოცემის საკითხი, გალაკტიონი ამას იმსახურებს.

ახლა ორიოდე სიტყვით გალაკტიონის „მატიანეს“ შესახებ. ნაშრომის ამოცანიდან გამომდინარე, მასში მოხვდა გალაკტიონთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენებისა თუ ფაქტების ამსახველი მხოლოდ თარიღიანი დოკუმენტები, რომლებიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოკვეთენ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას. „მატიანეში“ მოხმობილი მასალა იმგვარადაა მოტანილი, როგორც მაშინ იყო დასტამბული ან როგორც გალაკტიონის ჩანაწერებშია დაფიქსირებული. წიგნში შეტანილი ზოგიერთი ავტორის მოსაზრება თუ პასაჟი საკამათოა, მართალია, დღეისთვის ბევრი რამ გარკვეულია და დაზუსტებული, მაგრამ ეს ისტორიაა და დაინტერესებულ მკითხველს (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) საშუალება ეძლევა სხვასთან ერთად, „პროლეტარული პოეზიის ლიტერატურული „თანამგზავრის“,“ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის“ საბჭოური კრიტიკის შეფასებებსაც გაეცნოს, საერთოდ, თვალი გაადევნოს გენიოსი პოეტის ეკლიან გზას. „მატიანეში“ შეტანილ მასალათა დიდი ნაწილი გალაკტიონოლოგებისათვის ცნობილია, ეს უფრო ფართო საზოგადოებისათვის, მეტადრე, ახლი თაობისათვის გამიზნული, მეცნიერულად სანდო საკითხავი წიგნია.

გალაკტიონისა და მის შემოქმედებაზე არსებულ მასალათა სიმრავლის გამო, „მატიანის“ პირველი ნაწილის ქრონოლოგია 1891-1933 წლებით შემოფარგლა (ბავშვობა, ქუთაისისა და თბილისში სწავლის წლები, პირველი ლექსები. 1933 წელს გადაუხადეს შემოქმედებს 25 წლის იუბილე, მიანიჭეს სახალხო პოეტის წოდება...).

გალაკტიონოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ფაქტთა კონსტატაციაა. არ დაიკარგოს არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ფაქტები და სიტუაციები გვანტერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობდნენ თუ აშკარად განსაზღვრავდნენ გალაკტიონის ფენომენს (ნოდარ ტაბიძე). ამასთან, ყოველ მოვლენას, ფაქტს, თუ ცალკეულ ეპიზოდს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო გალაკტიონის ბიოგრაფიისათვის, მისი შემოქმედებითი გზის თვალის გასადევნებლად, არამედ, მთელი იმდრონდელი საზოგადოებრივი ყოფის ისტორიისთვის. სწორედ ამას ემსახურება წინამდებარე „მატიანეც“. ამ ჟანრის წიგნების მსგავსად, მკვლევართა გარდა, იგი, ალბათ, რიგითი მკითხველის ყურადღებასაც მიიპყრობს, რადგან დიდია ინტერესი საყვარელი მწერლის პირადი ცხოვრებისა თუ შემოქმედებითი ისტორიისადმი, ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის მიზეზისა თუ დაწერის თარიღის შესახებ. გალაკტიონის „მატიანის“ მიზანიც ისაა, რომ მკითხველს ხელთ ჰქონდეს საყვარელი პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების ზუსტი და თანმიმდევრული სურათი. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ აქ მოტანილი თითოეული მასალა ზუსტია და დოკუმენტურად დადასტურებული.

როგორც ცნობილია, გალაკტიონის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს, რომელთა დიდი ნაწილი პერიოდულ პრესასა და სხვადასხვა ქართულ გა-



მოცემებშია გაფანტული. გალაკტიონის ერთ, მოგვიანო ხანის ჩანაწერში ვკითხულობთ: „1910-დან 1914 წლამდე ცნობები ბევრია, მაგრამ დაზუსტებული არ არის ქრონოლოგიური წესით, რომ ცნობათა არეგ-დარეგა არ მოხდეს – საჭიროა ზედმწევნით გადათვალთვალება მაშინდელ ჟურნალ-გაზეთების.“ რასაკვირველია, 1914 წლის შემდეგ შეუდარებლად მეტი მასალაა. გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ადრეული წლების, სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ეს, მრავალრიცხოვანი, ზოგჯერ საკმაოდ ძნელად მოსაპოვებელი მასალა, მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, ისინი „მატიანეში“ ერთად არის თავმოყრილი და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებული. პოეტის და მოქალაქის ერთიანი პორტრეტის, ეპოქის მთლიანი სურათის წარმოსაჩენად, „მატიანეში“ შეტანილია გალაკტიონის არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები, მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებს დრო და ადგილი, არამედ კუპიურებად მოტანილია მისი შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული მასალა, აგრეთვე, ამონარიდები მისი დღიურებიდან და სხვადასხვა ჩანაწერებიდან. ისინი ძალიან ფასეულია, რადგან სწორედ აქ ჩანს ნამდვილი, უნილბო გალაკტიონი, „ორდენოსანი საბჭოთა პოეტისაგან“ სრულიად განსხვავებული, ნათლად ჩანს ბოლშევეკური რეჟიმისადმი მისი დამოკიდებულება. აქაა მისი თვალთ დახახული და შეფასებული ეპოქის სალიტერატურო თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. მკითხველს საშუალება ეძლევა „მატიანეში“ მოტანილი ფაქტებისა და მოვლენების გააზრებით, მათი სიღრმისეული კავშირებით, აღადგინოს და წარმოიდგნოს პოეტის ცხოვრების დრამა.

„მატიანეში“ შევიდა გალაკტიონთან დაკავშირებული (1891-1933 წწ.) საარქივო დოკუმენტები, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ქართულ გამოცემებში (რამდენმე გამონაკლსს გარდა, მაგალთად, „პოეტების მეფედ“ არჩევის მასალა რუსულენოვანი პრესიდანაა) დასტამბული სხვადასხვა პუბლიკაციები. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მომდევნო წლების მასალები, მათ შორის უცხოენოვანიც, მეორე წიგნში მოხვდება.

გალაკტიონის „მატიანეს“ ინფორმაციულ სრულყოფაში დახმარება გაგვინია გალაკტიონის პირველმა (ან უკვე „ძველმა“) აკადემიურმა თორმეტტომეულმა და საარქივო ოცდახუთნიგნეულმა, ახალმა აკადემიურმა თხუთმეტტომეულმა (I-V ტ.). იოსებ ლორთქიფანიძის „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკამ“, რევან თვარაძის, ვახტანგ ჯავახაძის („უცნობის“ ხუთი გამოცემა), როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულმა რომანებმა და რასაკვირველია, გალაკტიონის უკანასკნელი წლებისა და დღეების „ერთადერთი თანამგზავრის“ (ვახტანგ ჯავახაძე), მისი ძმიშვილის, ნოდარ ტაბიძის ძალიან მნიშვნელოვანმა ნაშრომებმა. აგრეთვე, სხვადასხვა პირთა მოგონებებში თუ წერილებში შემორჩენილმა საინტერესო მასალებმა.

„მატიანის“ ერთ-ერთ ძირითად წყაროს 1908-1933 წწ. ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები წარმოადგენს, რომლებიც საშუალებას იძლევიან თვალი გავადევნოთ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების დინამიკას, მის განვითარებას. საერთოდ, იმდროინდელი ქართული პრესა თავისი დროის

ნამდვილი სარკეა. დრომ ბევრი რამ წაიღო, დღეს ჭირს არათუ მეორეხარისხოვანი, არამედ, ზოგჯერ არსებითი ვითარების, სიტუაციის გაცოცხლება, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდის თუ ცალკეული პასაჟის აღდგენაში სწორედ იმდროინდელი პერიოდული პრესა გვეხმარება, რომელიც თავისი დროის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების მატრიანაა. სალიტერატურო საღამოებზე, რომლებიც ხშირად იმართებოდა, ხალხის მოსაზიდად, ბუნებრივია, ცნობილ, პოპულარულ პოეტებს ინვევდნენ. გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან გალაკტიონი ამგვარი საღამოების სასურველი მონაწილე იყო (ამის მაგალითია „მატიანეში“ მოტანილი 1914 წელს, ქუთაისში, ირ. ევდოშვილის საღამოსთან დაკავშირებული ფაქტი). თუმცა, ზოგჯერ პოეტის დაუკითხავად აცხადებდნენ საღამოებში მისი მონაწილეობის შესახებ, რასაც რამდენჯერმე გალაკტიონის პროტესტი მოჰყვა (მაგ. „პასუხი დაგვიანებულ პასუხზე“ (ბ.ბ. პ. იაშვილსა და ი. გრიშაშვილს)).“


იმდროინდელი პერიოდული გამოცემები გალაკტიონის ნაწარმოებთა გამოქვეყნების შედარებით ზუსტი თარიღის დადგენის საშუალებასაც გვაძლევენ. საქმე იმაშია, რომ გასული საუკუნის 20-30 წლების ქართული ჟურნალები („მნათობი“. „ქართული მწერლობა“, „პროლეტარული მწერლობა“), რომლებშიც გალაკტიონის არაერთი ლექსია გამოქვეყნებული, დიდი დაგვიანებით (ოთხი, ხუთი თვის, ზოგჯერ მეტითაც) გამოდიოდა. მაგალთად, ჟურნ. „მნათობის“ ცნობილი, 1924 წლის მეხუთე ნომრის (რომელშიც გალაკტიონის პოემა: „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ გამოქვეყნდა), დაბეჭდვის შესახებ გაზ. „კომუნისტი“ 24 სექტემბერს იუწყებოდა. ამგვარად, პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის საშუალებით, შესაძლებელია ამ პერიოდულ გამოცემებში დასტამბულ ნაწარმოებთა გამოქვეყნების შედარებით ზუსტი თარიღის დადგენა.

„მატიანეში“ მოტანილი ის ინფორმაცია, რომელთა შესახებ თვე და რიცხვი არაა ცნობილი, შესაბამისი წლის ბოლოს არის გადატანილი. ყოველივე ეს, დანტერესებული მკითხველისათვის საჭირო შენიშვნებითა და კომენტარებით არის მიწოდებული. წიგნს თან ერთვის „მატიანეში“ შესული გალაკტიონის ნაწარმოებთა ანბანური საძიებელი და ფსევდონიმთა ლექსიკონი.

„მატიანეში“ გამოყენებულია ფოტომასალა გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ მომზადებული და გამოცემული გალაკტიონის საარქივო ოცდახუთნიგნეულიდან და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებიდან.

დასასრულ, მინდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს თანადგომისათვის გულწრფელი მადლობა მოვახსენო.

მიუხედავად დიდი ცდისა, „მატიანეში“ გალაკტიონთან დაკავშირებული ყველა საყურადღებო თარიღიანი დოკუმენტი შესულიყო, შესაძლოა, ზოგი რამ გამოგვრჩა. ყოველ საქმიან შენიშვნასა და წინადადებას გულწრფელი მადლობით მივიღებთ და შემდგომ მუშაობაში გავითვალისწინებთ.



„რად აირჩიე, რად აირჩიე,  
რად აირჩიე ტყე და გრიგალი,  
ეკლიანი გზა რად აირჩიე,  
ახალგაზრდობა რად მოიკალი!“

– 1891 –

**5 ნოემბერი.** გალაკტიონის მშობლიური სოფლის, ჭყვიშის, წმინდა გიორგის ეკლესიის 1892 წლის მეტრიკული წიგნით დასტურდება, რომ „გალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძე დაიბადა 1891 წლის 5 (17 - მ.შ.) ნოემბერს...“<sup>1</sup>

„მშობლები: მამა – ვასილ (ვასილის მამის სახელი არ იკითხება) ტაბიძე. დედა – მარინე გიორგის ასული“.<sup>2</sup>

– 1892 –

**3 იანვარი.** ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის 1892 წლის მეტრიკული წიგნის ჩანაწერის მიხედვით – „გალაქტიონ ტაბიძე მოინათლა 1892 წლის 3 იანვარს“.<sup>3</sup>

სოფელ ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნის 1892 წლის იანვრის ჩანაწერში აღნიშნულია: „სქესი – მამრობითი, დაბადებული – 5 ნოემბერს, მონათლული 3 იანვარს; დაბადებულის სახელი – გალაქტიონი. მშობლების ნოდება, სახელი, მამის სახელი, გვარი და სარწმუნოება – ამავე ეკლესიის პრიჩეტნიკი გარდაცვალებული ვასილ სტეფანე მღვდლის ძე ტაბიძე და მეუღლე მისი მაკრინე მღვდლის გიორგის ასული, ორივენი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა არიან, მიმრქმელთა სახელი, მამის სახელი. გვარი – მღვდელი თადეოზ სიმონის ძე ნამიჭეიშვილი. საიდუმლო ნათლობა აღასრულა მღვდელმა სტეფანე ტაბიძემ...“ მოქალაქეობრივი აქტი დაბადების შესახებ რეგისტრირებულია 1892 წლის 3 (15) იანვარს.

სინოდის მიერ დადგენილი წესით ყოველი ახალი წლიდან მოქალაქეობრივი აქტის რეგისტრირება ხდებოდა ახალ წიგნში (იანვრიდან დეკემბრამდე). ამდენად, 1892 წლის ნოემბერში დაბადებული შეუძლებელია ახალშობილთა სიაში გატარებულიყო 1892 წლის იანვარში. გალ. ტაბიძის მეტრიკულ ჩანაწერში მამა – ვასილი მოხსენებულია გარდაცვლილად... მეტრიკული ჩანაწერი და საიდუმლო ნათლობა შესრულებულია გალაკტიონ ტაბიძის ბაბუის, მღვდლის, სტეფანე ტაბიძის მიერ, რომელმაც ზუსტად იცოდა შვილიშვილის დაბადების დღე, რაც გარკვევითაა ფიქსირებული მის მიერ გალაკტიონის ნათლობის დღეს – 1892 წლის 3 იანვარს მეტრიკული წიგნის დაბადებულთა ნაწილში: 5 ნოემბერი (ძვ. სტილით). ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წლის 5 (17) ნოემბერს“.<sup>4</sup>

## წინაპრები

„ჩემი წინაპრები – მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული XIV საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური, შეუცვლელივით უერთგულესი მღვდელთმსახურობა. ერთი წინაპართაგანი, რომელსაც იცნობს ქართული მწიგნობრობის ისტორია, XVII საუკუნეში მიიწვია დედოფალმა ანნამ თავისი მდიდარი წიგნსაცავის მოსაწესრიგებლად. ის იყო საუკეთესო მცოდნე ბერძნულისა და არაბული ენების. სთარგმნიდა პლატონის დიალოგებს და ეხლაც ხშირად მხვდება ეს თარგმანები ინტიმური ზედწარწერებით: „მათს უმაღლესობას, დედოფალს ანნას – სვიმეონ ტაბიძისაგან.“ დედოფალ ანნასთან ერთად მიემგზავრება შემდეგში იგი მოსკოვში და იქ მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართული სტამბის დაარსების საქმეში. ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან – ჩემი დიდების, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად, ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერელის...“

მამაჩემი გარდაიცვალა ძლიერ ახალგაზრდა, 23 წლისა: მე არ მახსოვს ის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დავიბადე მამაჩემის გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ. მან დაგვიტოვა ჩვენ: სახლი, მდინარე რიონის პირად, „მეფის ქალა“ მდინარე რიონის გაღმა (იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ღრამატით მიცემული ჩემი წინაპრებისათვის „ერთგულების“ გამო, მეფის ქალიდან დაწყებული ვიდრე სურამის მთებამდე), ადგილი შარაშენიძისეული და საკმაოდ ვრცელი წიგნსაცავი XVIII და XIX საუკუნის წიგნებით. მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა.

სხვაგან გალაკტიონი წერს: „დავიბადე... სოფელ ჭყვიშში, როგორც წერაკითხვა, ისე ნაოსნობა, ცურვა, მეთევზეობა, არ მახსოვს, როდის ვისწავლე. კუნძული „მეფის ქალა“, რომელიც ჩვენს სახლს ეკვროდა, იყო ჩემი საყვარელი ადგილი... კუნძულს გარს უვლიდა რიონის ორი ტოტი, ერთი – ჩქარზე-უჩქარესი, მეორე – დინჯი, აუჩქარებელი. ორივე რიონი ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებით ზაფხულობით. აქ ვკითხულობდი დიკენსს, ბაირონს, შელლის, მიუსეს, შატობრიანს, რუსსოს, პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის, აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძის წიგნებს... [...] წლისა გადამიყვანეს ქ. ქუთაისში. იქ ვცხოვრობდი ანდრო წერეთლის სახლში. ვსწავლობდი ძალიან საშუალოდ, მაგრამ მასწავლებლები კარგად მეპყრობოდნენ მაინც, როგორც ახალგაზრდა მგოსანს (როდის დავიწყე წერა ლექსების, მოთხრობების, რომანების არც მახსოვს...“ გალაკტიონს თავისი სწავლის წლების შესახებაც ჩაუნერია: „...[1900 – 1901 – I მოსამზადებელი – მ. შ.]

„1901 – 1902 – II მოსამზადებელი

1902 – 1903 – III მოსამზადებელი

1903 – 1904 – III მოსამზადებელი

1904 – 1905 – I კლასი

1905 – 1906 – II კლასი ...

1906 – 1907 – III კლასი

1907 – 1908 – IV კლასი  
1908 – 1909 – სემინარია  
1909 – 1910 – სემინარია“.<sup>5</sup>

„ტაბიძეები სანულუკიძეს მკვიდრნი არიან. გალ. ტაბიძის წინაპრები იყვნენ ხონის თემის სოფელ ივანდიდის მცხოვრებნი... 1804 წელს გალაკტიონ ტაბიძის წინაპრები გადმოსახლებულან ვანის თემის სოფ. ჭყვისში. იმერეთის მეფის სოლომონ მეორის „წყალობის წიგნში“, რომელიც მას უბოძებია 1803 წელს გიორგი ტაბიძისათვის, ვკითხულობთ... გიბოძეთ შენ, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის ყმას, მღვდელს ტაბიძეს გიორგის და შენს ძმებს იესეს, ბეჟანიკას, გაბრიელას და სხვათა... წყალობა გიყავით და დაგასახლეთ, ყუმურის ღელე რომ რიონშიდ ჩაერთვის, იმ ადგილზედ და გიბოძეთ შენი სამყოფო სამოსახლო და სამამულეთ და საყანეთ ქალისთავიანად პატეის ფშანი რომ ჩაყობა კაპნარს თავიანად. და ისევე ეკლესიას უნდა ემსახურო...“


გიორგი ტაბიძის ჭყვისში დამკვიდრებით დასაბამი მიეცა ჭყვიშელ ტაბიძეთა შტოს. გიორგი ტაბიძეს ერთი ვაჟი ჰყავდა – ივანე, ივანეს სამი: სტეფანე, გიგო და ნიკოლოზი, სტეფანეს ორი: ვასილი და იუსტინე. ვასილი იყო გალაკტიონის მამა, იუსტინე – ტიცვიანის.“<sup>6</sup>

ამრიგად, გიორგიმ საფუძველი ჩაუყარა ტაბიძეების ახალ ფუძეს. გენეალოგიური ხეც ასე განიტოტა: (იხ. გვ. 14)

გიორგის შემდეგ ჭყვიშში სხვებიც ჩამოსახლდნენ... გალაკტიონის დაბადების წელს აქ ორას კომლზე მეტი ცხოვრობდა: ტაბიძეები, ბახტაძეები, წიქვაძეები, ნანაძეები, კოპალეიშვილები, ბაღდავაძეები, კიკაბიძეები, ლეჟავები, ქაჯაიები, მამფორიები, ფარცხალაძეები, ცაგარეიშვილები და ა.შ.<sup>7</sup>

## სოფელი ჭყვიში

„ბედი სოფლისა მშობლის ბედსა ჰგავს. მისი დიდება სახელოვან შვილებს მოაქვთ. გალაკტიონი და ტიცვიანი რომ არა, ჭყვიშის არსებობა... საქართველოშიაც ბევრისთვის ალბათ არაფრის მთქმელი იქნებოდა ეს სახელი. დღეს კი ყველამ უწყის, რომ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის. გალაკტიონმა არა მხოლოდ უკვდავყო ჭყვიში, არამედ თითქმის გააღეგენდა. როდის ჩაეყარა საფუძველი გალაკტიონის მშობლიურ სოფელს? ამის დადგენა ჭირს. 1578 წლის ერთ დოკუმენტში – „დავთარი ქუთაისის გამოსავალი ბეგარისა“ ნახსენებია ჭყუში... სავარაუდოა, ეს იყოს ის სოფელი, რომელმაც შემდეგ ქართულ მწერლობას ორი ბუმბერაზი მისცა. ჭყვიში ფიქსირებულია სოლომონ პირველის „შენიერულების წიგნშიც“, რომელიც 1773 წლით თარიღდება. გამორიცხული არ არის, რომ აქაც გალაკტიონის სოფელი იგულისხმებოდეს. ადრე ჭყვიშსა და მის



შემოგარენში თითო ოროლა გლეხი თუ ბინადრობდა და მეგრელი მწყემსები აზამ-თრებდნენ საქონელს... სისხლსავსე ცხოვრება არსებითად XIX საუკუნიდან იწყება“. ნოდარ ტაბიძე აგრძელებს: „როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ტოპონიმი ჭყვიში მეგრულ-ჭანური წარმომავლობისაა და „წყალ“ ფუძეს უკავშირდება. გალაკტიონი სხვაგვარ ახსნას იძლევა: „ჭყვიში – ნიშნავს მწყერს (მეგრ.), ამ არემარეში დარჩენილია მეგრული გვარები“. ეს ეტიმოლოგიური გაშიფრვა ზუსტი არ არის. მწყერს მეგრულად „ჭყორი“ ჰქვია. ფონეტიკური მსგავსება უთუოდ შეინიშნება – განაგრძობს ნ. ტაბიძე და ალბათ ამას ეყრდნობოდა მგოსანი, მაგრამ მთავარი შეიძლება სხვა იყოს, ხომ არ იგრძნობა მშობლიური სოფლის სახელის გაპოეტურობისკენ სწრაფვა? <sup>8</sup>

## მამა

ვასილ ტაბიძე დაიბადა 1856 წელს, დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უანგაროდ ემსახურა სახალხო განათლების საქმეს.

„უნაწილო (უშტატო) მედავითნედ მსახურებს ვასილ სტეფანეს ძე ტაბიძე (დაბ. 1857 წ. – გალაკტიონის მამა), რომელმაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსი გაიარა. საღმრთო წერილის კითხვა, გალობა და ტიპიკონი უსწავლია იმერეთის ეპიზოპოპოსის ეგზემინატორისაგან. მედავითნედ მსახურებს სოფ. ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიაზე 1881 წლის 25 ივლისიდან. აქვს მიცემული მონაწილეობა იმერეთის ეპარქიის კანცელარიისაგან სამრევლო სკოლის გახსნის თაობაზე, რომელიც კიდევ გაუხსნია და ასწავლიდა ბავშვებს იმავე წლიდან.“ <sup>9</sup>

პოეტის მამას, ვასილს, წერა-კითხვა ოჯახში შეუსწავლია. შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ... ვასილს წარჩინებით დაუმთავრებია ეს სკოლა. გონებაგახსნილ და კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდას უარი უთქვამს მღვდლობაზე და პედაგოგის ეკლიან გზას დასდგომა. მას კარგად ჰქონია შეცნობილი, რომ მასწავლებლობა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ანაფორას მეტი მატერიალური სარგებლობის მოტანა შეეძლო, მაგრამ არჩეული გზიდან მაინც არ გადაუხვევია. მისი მოქმედება ღრმა რწმენას ეყრდნობოდა. საქართველოს განახლებას ახალგაზრდობის აღზრდას უკავშირებდა...

თავდაპირველად ვანის საზოგადოების დიხაშხოს სამრევლო სკოლაში მასწავლებლობდა... 1883 წლის შემოდგომიდან ვასილი მუხურში გაამწესეს. ეს ხუთასკომლიანი სოფელი შორაპნის მაზრაში, ტყიბულის მახლობლად მდებარეობს. გალაკტიონი წერდა:

„საამოცდაათი წლის წინ მუხურას/ აქ მამაჩემი აგზნებდა ქურას. /სწავლისას ჰქონდა პატარა შკოლა/ და მონაფენი თითო ოროლა.“ საბოლოოდ ვასილი მშობლიურ ჭყვიშს დაუბრუნდა.<sup>10</sup>



სოფელ ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის „მეტრიჩესკი წიგნი ჩყ წლისა“ ჩანაწერის მიხედვით ვასილ ტაბიძე 35 წლისა გარდაიცვალა (1891 წ.) „გაცივები-საგან“ (ფილტვების ანთება). დაასაფლავეს ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში 25 თებერვალს.“<sup>11</sup>

**1892 წლის 9 მარტი.** „ნასულის თვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი მას აქეთ, რაც სიკვდილმა გამოაცალა ამ სოფელს ხელიდგან ერთი ახალგაზრდა მას-წავლებელი ვ. ტაბიძე. განსვენებული იყო ადგილობრივი მღვდლის შვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურსშესრულებული. ამას ჰქონდა ამ სოფელში თავის ხარჯით გამართული სკოლა და დიდის გულმოდგინებით ეწეოდა მასწავლებლის უღელს. განსვენებული მეტად სამაგალითო ადამიანი იყო თავისი ხასიათით და სათნოებით... მის გულში არც ერთხელ არ გაუფლია არც ერთს დაბალს და ქვენა გრძნობას. ის იყო აღვსილი მხოლოდ ერთის აზრით: თავისი წვლილი შეეტანა გლეხკაცის განათლების საქმეში. გლეხებიც ხედავდნენ მის ასეთ ღირსებას და ამისთვის, რა დროსაც უნდა მისულიყავით მის სკოლაში, ყოველთვის სავსე იყო მოსწავლე ბავშვებით. განსვენებული სკოლაში მასწავლებლობას არ სჯერდებოდა, ყოველ კვირა უქმე დღეს მოვიდოდა სასოფლოზე და უკითხავდა ხალხს სხვადასხვა ქართულ წიგნს, რომლითაც მდიდარი იყო მისი ბიბლიოთეკა...“<sup>12</sup>

ვასილი ლიტერატურის ტრფიალი ყოფილა, რაზეც მეტყველებს მისი ბიბლიოთეკა. აქ თავმოყრილია: „ვეფხისტყაოსანი“, „არსენას ლექსი“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, ა. ფურცელაძის „ქიტესა“, ნ. ნიკოლაძის „ერობა“, ს. მგალობლიშვილის „ორი მოთხრობა“, ცახელის „შალვას თავგადასავალი“, ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, ვ. გაბიჩვაძის „ქართული წერის დედანი“, ილ. დიდებულის „ქართული არითმეტიკული საანგარიშოები“, მ. ჯანაშვილის „მოკლე ისტორია“, ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარი“, გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი“, „დაბადება“, „ჟამნი“ და სხვ. აქვეა „ივერიის“, „იმერეთის“, „დროების“, „შრომისა“ და „ნობათის“ ნომრები... ჩვენთვის უცნობია, მისდევდა თუ არა ვასილი ლიტერატურულ საქმიანობას. პრესაში (გაზ. „შრომა“) მხოლოდ ერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული, რომელშიაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის საკითხს განიხილავს, მაგრამ მის პირად ბარათებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ კალამი უჭრიდა. რაც მთავარია, ვასილმა კიდევ უფრო გააღრმავა გვარში ფესვგადგმული სიყვარული ლიტერატურისადმი და შვილებს დიდი ბიბლიოთეკა დაუტოვა.“<sup>13</sup>

დედის ნაამბობის მიხედვით, 1928 წელს, ჭყვიშში, გალაკტიონს მამის პორტრეტიც შეუქმნია: „საწყალი ძალიან ჩამოგავდა აბესალომს სახით: იმნაირი თვალწარბი, იმნაირივე ტუჩები, ხასიათიც ისეთი ჰქონდა... ხუმრობა უყვარდა. მაღალი არ იყო მხოლოდ არც აბესალომივით, არც შენსავით. მე მგონია, ასე შენზე ცოტა დაბალი იყო. არ ამხელდა ავადმყოფობას. უკანასკნელად ფილტვების

ანთებით გახდა ავათ... ვასილი მე მომიბრუნდა, „ველარ მოვრჩებო“ მითხრა... „გული ნუ გაგიტყდება, ყოჩაღად იყავი“... მე მას ვუთხარი, რომ ორსულად ვიყავი: მას სახე გაუბრწყინდა: „არა გიშავს რა, იუსტინე (მაზლი) კარგი კაცია, შენ ნუ დაიმჩნევ. „ვამჩნევდი, რომ ლელავდა ახალი ამბის გაგონებით... მომაკვდავმა მოითხოვა ღვინო... ველარ დაუკავეს: ღვინო! ღვინო! გაიმეორა მან. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. დასცალა ზედიზედ რამდენიმე ჭიქა: „ეს გაუმარჯოს პატარა ადამიანს, რომელიც შვიდი თვის შემდეგ დაიბადებაო“ – სთქვა მან და... სულიც დალია.“<sup>14</sup>

## დედა

„გალაკტიონის დედა მაკრინე გიორგის ასული ადგიშვილი ჭყვიშიდან თხუთმეტიოდე ვერსტით დაშორებული სოფლიდან – საპაიჭაოდან იყო. დაიბადა 1862 წელს მღვდლის ოჯახში. მამამისს დიდი ჯალაბობა ეხვია, შემოსავალი კი მცირე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, შვილებს იმ დროისათვის საკმაო განათლება მისცა. ვაჟი კოზმანი სკოლაში მიაბარა. ქალიშვილებს: მაკრინეს, მართას, ტერეზას, ეკატერინეს, ნასტასიას, ნერა- კითხვა, წამლების მომზადება და ხელსაქმე შეასწავლა.

1886 წლის 11 თებერვალს მაკრინემ ჯვარი დაიწერა ვასილ ტაბიძეზე. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მთელი სიმძიმე მაკრინეს დაანვა. თუ რას წარმოადგენდა ეს ოჯახი, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1894 წლის 16 დეკემბრის გაყოფის წიგნი. ობლებს – პროკლესა და გალაკტიონს – საკუთრივ ერგოთ სახლი, სასიმიინდე და ორ ქცევაზე ცოტა მეტი საყანე – ე.წ. შარაშენიძისეული ადგილი. ეს ყველაფერი 615 მანეთად იყო შეფასებული.

საზიაროდ დარჩა 1600 მანეთის ქონება: 15 ქცევა მიწა, ცაცხვის საწნახელი, თხმელის სასიმიინდე, თოთხმეტი ჭური, ურემი, სამი მაგიდა, ორი პატარა სუფრა, სკამლოგინი, 4 ხალამი, 3 დოქი, 3 კიბე, 3 ზანდუკი, ძროხა, უშობელი, ჯორი და ა.შ. გაყოფის წიგნში ზუსტად არის ფიქსირებული ყველა ნივთი თუ საგანი. მხედველობიდან არ გამოჩენიათ საერთო ვალი: სტეფანე ტაბიძის დასაფლავებისას დახარჯული 82 მან. და მოჯამაგირის ხელფასი – 20 მან. ამ დროს ბელელში ჰქონიათ 450 ფუთი სიმიინდი, რომელიც 180 მანეთად შეუფასებიათ. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დანაწილდა საზიარო ქონება. საერთო მფლობელობაში მიწის მცირე ნაკვეთი და ხეები დარჩა. როგორც ვხედავთ, მაკრინე ტაბიძის ოჯახს შიმშილით სიკვდილი არ ელოდა, მაგრამ არც დალხინებით ყოფნა ეწერა. მაკრინეს ხელს უწვდიდნენ დები და სიძეები, განსაკუთრებით თადეოზ ნამიჭიშვილი, რომელიც ობლების მეურვე იყო. მაგრამ არც ნათესავები იყვნენ მდიდრები. გამოუცდელმა ქალმა არაჩვეულებრივი სიმხნევე და შეუდრეკელობა გამოიჩინა.

მაკრინე მაღალ-მაღალი, თხელი და სანდომიანი სახის ქალი იყო, საოცრად მეტყველი და მომნუსხველი თვალებით. იცვამდა სადად და მოხდენილად. პატარა გალაკტიონი მას ხავერდის დედას უწოდებდა, რადგან ხავერდის კაბა ემოსა.

შემდეგაც ამგვარად მიმართავდა, მაგრამ უკვე სიტყვამ ეპითეტის ფუნქცია შეიძინა. პოეტისათვის დედა სინაზის, სილამაზისა და ატალღების სიმბოლოდ იქცა. ახალგაზრდა ქვრივს ბევრი მთხოვნელი აღმოუჩნდა, მაგრამ მას კერია არ გაუცივებია, მთელი სიცოცხლე შვილების აღზრდა- განათლებასა და ბედნიერებას შეაღია. „ერთადერთი ჩვენი პატრონი დედა იყო, რომელიც გვიყვებოდა სხვადასხვა ამბავს, გვაცნობდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს და გვიკითხავდა მამის დანატოვარ წიგნებს“, – წერს ავტობიოგრაფიაში პროკლე ტაბიძე.

უჭირდა მარტოხელა ქალს მეურნეობის გაძღოლა. სიმინდის მოყვანა, საქონლის მოვლა, ვენახის დამუშავება, აბრეშუმის ქვის გამოკვება... ყველაფერი ეს უამრავ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ნათესავებისადმი გავზავნილ ბარათებში ხშირად გაიხილვებოდა ასეთი ფრაზები: „სტველი იწყება და იქნება მოჯამაგირე მიმოვით“, „ბიჭი მომხმარეთ“, „ქირით მუშას ვეძებ“ და სხვ...

გულს არ იტყვდა მაკრინე. მართლაც რომ ებრძოდა წუთისოფელს. ყველანაირ საშუალებას ეძებდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ღამით საკერავ მანქანას უჯდა და მწირ შეკვეთებს ასრულებდა. კერვა კი ეხერხებოდა. გალაკტიონი იგონებს: ერთ წვეულებაზე დედაჩემს აზნაურ შარაშენიძის ქალები ენახა. უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილი კაბები ეცვათ თურმე. დედაჩემს სწრაფად გადაუღია თარგი და მეორე დღეს მსგავსი კაბით მოვლენია საზოგადოებას. მაკრინეს დღიურში ვხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „შემოვიდა საკერავის ფასად სამი აბაზი, ოთხი აბაზი, მანეთი, სამი აბაზი, ათი შაური, ექვსი შაური, მანეთი და ა.შ.

მაკრინე მკურნალიც იყო. საჩინოს თემსა და გურიაში სახელგანთქმული ექიმბაშებისაგან შეუსწავლია ეს საქმე. კარაბადინსაც მარჯვედ იყენებდა. ეზოს ერთ ყურეში სამკურნალო ბალახები მოაშენა. კარგი სააფთიაქო ხელსაწყოები შეიძინა, რომელთა ნაწილი დღესაც დაცულია... მაკრინე კარგად იცნობდა ლიტერატურას. გატაცებული იყო ხალხური პოეზიით. შემონახულია მის მიერ ჩანერილი ფოლკლორული ნიმუშები, რომელთაგან აღსანიშნავია „არსენას ლექსის“ იმერული ვარიანტი. ჩანს, მაკრინე თავადაც თხაზავდა შაირებს. გალაკტიონს ფიქსირებული აქვს ლექსი, რომელიც დედამისს გამოუთქვამს (იხ. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 271). თავიდათავი მაინც ის არის, რომ მაკრინე პოეზიის სიყვარულით ზრდიდა შვილებს. გალაკტიონის დედა კარგად უკრავდა ჩონგურზე, სასიამოვნო ხმა, უტყუარი და მახვილი სმენა ჰქონია. ვაჟებსაც ასწავლიდა სიმღერას. ჭყვიშელები იგონებენ: მიმწუხრის ჟამს დედა და შვილები აივანზე დასხდებოდნენ. მაკრინე სიმებს ჩამოკრავდა და ეფინებოდა რიონის ქალებს სასიამოვნო ჰანგები...“<sup>15</sup>

გალაკტიონს უსაზღვროდ უყვარდა დედა. ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასში გალაკტიონს დაუწერია ლექსი – „ჩემი მოგონებანი“, რომელშიც ძირითადად დედისადმი უსაზღვრო სიყვარულია გამოხატული. „მინდა კარგი სწავლით ჩემი დაჩაგრული დედა გავახარო“, ამბობდა ამ ლექსში გალაკტიონი.<sup>16</sup>

მაკრინე ადეიშვილი-ტაბიძისა 1935 წელს გარდაიცვალა. საყვარელი დედის გარდაცვალება გალაკტიონმა მძიმედ განიცადა: „დავკარგე დედა და მასთან ერთად დავკარგე იმედი, ნუგეში, თანამგრძობი... უდედოდ ცხოვრება ვერ წარმომედგინა, მაგრამ ვაი... დავტოვე ჭყვიში და მასთან ერთად დავტოვე დედის ახლადშეზენიული საფლავი... ნუხელის ძილში ვწუხდი, რომ მომხრე, თანამგრძობი და დამცველი არავინ არის – მეთქი. ამ დროს ჩემი ოთახის ფანჯარას დედაჩემი მოადგა: გატუნია, შვილო, რამ დაგაღონა, ბიჭო?! შენ, შვილო, ყველასთვის ხარ საჭირო და თუ დაგჭირდა, დამცველი და თანამგრძობიცა გყავს.“ გაიხსენე შენი ლექსი, შენი ჭირიმე: „ო, ნანა, ნანა“... დედაჩემი, ალბათ, ამ სიტყვებს გულისხმობდა:

„კედლით გიმღერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი:/ რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას, / წერეთელს, ჭავჭავაძეს სურთ დაგიჭირონ მხარი./ და კიდევ დედაშენის ნანა არ გიცავს განა?..“<sup>17</sup>



## ძმა

გალაკტიონს „მთელის გულითა“ და გასაოცარი სიფაქიზით უყვარდა უფროსი ძმა პროკლე, იგივე აბესალომი. პროკლე მისთვის მეგობარიც იყო და მასწავლებელიც, მესაიდუმლეც და ქომაგიც. ძმამ დიდი ამაგი დასდო გალაკტიონის აღზრდას, მისი პოეტური ნერვის გამახვილებას და ლიტერატურულ წრთობას...

პროკლე 1889 წელს დაიბადა. წერა-კითხვა დედის ხელმძღვანელობით შეისწავლა. 8 წლისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა... 1906 წელს მან სწავლა

*გალაკტიონის დედა – მაკრინე ადეიშვილი, გალაკტიონის ძმა – პროკლე (აბესალომ) ტაბიძე და გალაკტიონი 1916 წელი*

სასულიერო სემინარიაში გააგრძელა... პროკლე ბეჯითად ჰკიდებს ხელს არა მხოლოდ სავალდებულო დისციპლინებს, არამედ მხატვრული ლიტერატურის შესწავლასაც... 1912 წელს პროკლემ სტუდენტის ხარისხით დაამთავრა სემინარია და რუსეთში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა... ფულის შოვნა გაძნელდა, დედაც მარტოდმარტო იყო. გალაკტიონი ოჯახისთვის ვერ იცლიდა... და აბესალომიც მასწავლებლობას იწყებს. ჯერ ჭოკნარში მსახურობს, შემდეგ დაფნარს, შუამთასა, სამტრედიასა და თბილისში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას, იყო სასწავლო ნაწილის გამგე. სკოლის დირექტორი. პროკლეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით... გარდაიცვალა 1948 წელს. ეს უდიდესი ტრაგედია იყო გალაკტიონისთვის. თითქოს სამყარო შეინძრა, ფერი იცვალა, ყველაფერი ქარიშხალმა გადალექა. გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია: „ამოვარდა ძლიერი ქარი, სახურავებს ლენდა, ხეებს სტეხდა ქარი. არ მახსოვს, რომ ასეთი ამინდი ყოფილიყოს, რაც იყო 1948 წ. 2 ოქტომბერს ღამით, პირველის ორ წუთზე, როდესაც გარდაიცვალა აბესალომი... მერე ძმის პატივსაცემად წვერი მოუშვა და გაჩნდა კიდევ ერთი საფიცარი: „აბესალომის სულს გეფიცები...“<sup>18</sup>

## ოლია ოკუჯავა

„გასული საუკუნის (XIX ს. – მ.შ.) 80-იან წლებში სოფელ თამაკონიდან (მარტვილის თემი) ქუთაისში ჩამოსახლდა სტეფანე ოკუჯავა თავისი ოჯახით... ამ ოჯახში გაიზარდნენ მგზნებარე რევოლუციონერები: ვლადიმერი, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და რომელიც, ამხანაგების დახმარებით, ჟანდარმთა ოფიცრად გადაცმული ღამე გაიქცა მეტეხის ციხიდან, მიხეილი (მიშა) ცნობილი პარტიული მუშაკი, ერთ დროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, შალვა (პოეტ ბულატ ოკუჯავას მამა) და ნიკოლოზი, სამხედრო პირები იყვნენ; შალვა ბორის ძნელაძესთან ერთად საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ვასილი, ოლლა და მარიამი აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ, როგორც პროპაგანდისტები და რევოლუციური ლიტერატურის გამავრცელებლები. აი, ამ ოჯახს დაუახლოვდა გალაკტიონი 1912 წლის დამდეგს. გალაკტიონს თავდავიწყებით შეუყვარდა ოლლა (ოლია) სტეფანეს ასული ოკუჯავა.“<sup>19</sup>

ოკუჯავების ოჯახთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დოკუმენტი: „... ქუთაისის პოლიცემისტერის მიერ 1914 წლის 13 თებერვალს გაცემულ მოწმობაში № 871) ვკითხულობთ:

„Дано сие Степану Васильевичу Окуджава, вследствие просьбы его, для предоставление в учебное заведение, на предмет доказательства бедности в том, что как видно из протокола дознания пристава заречного участка, от 11 сего февраля, семейство его, Окуджава, состоит из него самого – 52 лет; же-

ны его – Елизаветы 50 лет; сыновей: Владимира – 30 лет; Михаила – 28 лет; Александра – 26 лет; Шалвы – 12 лет; Василия – 6 лет и дочерей: Ольги – 26 лет; <sup>20</sup> Марии – 15 лет, из коих Владимир учится в университете в Швейцарии, Михаил в Московском университете, Мария в заведении Св. Нины, Шалва в Кутаисской дворянской гимназии; Ольга состоит учительницей в Чиатурах, Николай окончил курс дворянской гимназии и дает уроки, все дети учатся на счет отца. Имущества никакого не имеет и вся семья содержится на уроки сына его Николая и на жалование дочери его Ольги, что удостоверяется подписью и приложением казенной печати.“ ამ მრავალშვილიანი ოჯახიდან (მარიამის გარდა) ყველა რეპრესირებული იყო 1937 წელს. მიხეილს, ვლადიმერს, შალვას და ნიკოლოზ ოკუჯავებს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა, მთავრობასა და ქართულ წითელ არმიასში. ვასილი გადარჩა ფიზიკურ განადგურებას, გადასახლებიდან დაბრუნებული იგი მოსკოვში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა 1968 წელს. აი, ამ ოჯახს დაუკავშირდა გალაკტიონი 1912 წლიდან.<sup>21</sup>

გალაკტიონმა ოლია გაიცნო 1912 წელს, როდესაც ოლია ქუთაისის ქალთა გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლე იყო. ამ დროს გალაკტიონთან ერთად ყოფილა ტიცვიან ტაბიძე (ტიციანი – იმ ხანებში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი – არდადეგებზე იყო ჩამოსული), რომელსაც უთქვამს: „У нее гениальные глаза! В Кутаиси поговаривали о исключительной честности семьи Окуджава...“<sup>22</sup>

„ჭაბუკ გალაკტიონს ჰქონდა გატაცებები. ერთხანს მოხიბლულიც იყო რაისა ჩახლაძით, მაგრამ ვფიქრობ, ეს მაინც არ იყო ყოვლისწამლექავი გრძნობა. რაისასადმი გაგზავნილ ბარათებში თავშეკავება, საქმიანი ტონი ბატონობს. არ იგრძნობა ხელი მიჯნურის გულის ფეთქვა, რაისამ ვერ, თუ არ თანაუგრძნო ახალგაზრდა პოეტს. გალაკტიონი სულ უფრო გრძნობს, რომ უსიყვარულოდ შეუძლებელია... უკვე არა მხოლოდ სხეულით, არამედ სულით, გონებით, მთელი არსებით ეძებს ტოლს. მგოსნის რჩეული მარტოოდენ გარეგნობით კი არა, ფსიქიკითაც უნდა იყოს მომხიბვლელი. მან ნახევარტონებში უნდა გაუგოს პოეტს. სწორედ ასეთი აღმოჩნდა ოლია ოკუჯავა – ქუთაისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული. იგი საშუალო სიმაღლისაა, გამხდარი. შვენიის შუაზე გაყოფილი თმა. ტურჩის კიდესთან შეტეხილი ღიმილი ბავშვურ გულუბრყვილობასა და ფარულ სევდასაც ამჟღავნებს... თვალები? თვალები კი პირდაპირ გენიალური აქვს... გალაკტიონს მოსწონს ოლიას დაუდევარი ბუნება, სიცოცხლის სიყვარული...“<sup>23</sup>

გალაკტიონისა და ოლიას სიყვარულს დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ – ოლიას მშობლები წინააღმდეგი იყვნენ თავიანთი ქალიშვილი „ქურჩის ბიჭს“ გაპყლოდა ცოლად. უკრძალავდნენ მას გალაკტიონთან შეხვედრას. ერთი-მეორისაგან იძულებით დაშორებული შეყვარებულები წლების განმავლობაში იტანჯე-

ბოდნენ. ოლია მშობლებმა ჯერ ჭიათურაში, ხოლო შემდეგ ბათუმში გახიზნეს, მაგრამ შეყვარებულთა დაშორება ვერ მოხერხდა. 1916 წლის აგვისტოში ოლია და გალაკტიონი დაქორწინდნენ.<sup>24</sup>

„... როცა გალაკტიონმა ოკუფაციების ოჯახში ფეხი შემოიღო, ერთი ალიაქო-თი ატყდა! ოლიას დედა... ქვას აგდებდა და თავს უშვერდა: აჰ, არაფრის დიდებო-თო! არაფერი მაგას არ გააჩნიაო... ეგ ერთი შარვალი რომ აცვია, მეტი არაფერი აბადიაო, უსაქმურიაო... არც ბინა აქვს არც არაფერიო, უკანასკნელ გროშებს ეტ-ლში ხარჯავს და მერე მშიერი დაეხეტებაო!.. აქვე უნდა ითქვას, მთელი ოჯახი გა-ლაკტიონს იცავდა... ყველა გალაკტიონის მხარდამჭერი იყო... ის კი იყო, რომ გა-ლაკტიონი ხშირად და გვარიანდაც სვამდა, რაც ლიზიკო დეიდას (ოლიას დედა) არ მოსწონდა! ღვინო იოლად ვერ ერეოდა, არც ფეხი ეშლებოდა და არც ენა.“<sup>25</sup>

„ოლიამ 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია და პედაგოგად გაამწესეს ჭიათურაში. აქ მან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა. მონა-წილეობდა სპექტაკლებში, ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ ჯგუფს, ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას. 1912 წლის 23 სექტემბერს დღიურში ჩაუწერია: „მთე-ლი დღე ან სკოლაში ვარ, ან თეატრში.“<sup>26</sup>



ოლია ოკუჯავა  
1913 წელი

„1916 წელს იგი უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა მოსკოვში (მას თან ახლდა გალაკტიონიცი), სადაც მოუსწრო თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციებმა. 1919 წელს ოლია მონაწილეობდა შაბათობებში, მუშაობის დროს დაიზიანა ხელი, რასაც მოჰყვა სისხლის მონამვლა. ექიმები დაჟინებით მოითხოვდნენ ხელის (მარჯვენა) ამპუტაციას, რაზედაც ოლიამ კატეგორიული უარი განაცხადა. მას ხელი დარჩა, მაგრამ უმოქმედოდ...“<sup>27</sup>

„... სწორედ აქ (მოსკოვში – მ.შ.) მიიღეს იგი 1917 წ. რსდმპ(ბ) წევრად. ოლია მოსკოვში მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. 1917 წლის მარტამდე სახალხო განათლების კომისარიატში მუშაობს საქმის მწარმოებლად. 1919 წლის აპრილიდან თითქმის წელიწადნახევარი მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამხედრო კომისარიატის განყოფილების გამგეა. 1921 წელს ბრუნდება საქართველოში და სამსახურს იწყებს განათლების სახალხო კომისარიატში. მალე მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორად აწინაურებენ. ერთხანს აჭარაშიც მოღვაწეობდა საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგედ. 1929-32 წლებში გადასახლებული იყო შუა აზიაში. 1932 წლის ოქტომბრიდან კვლავ თბილისშია. 1937 წელს მეორედ აპატიმრებენ და ჯერ იაროსლავლში იხდის სასჯელს, 1939 წლიდან კი ვლადიმირში... მისი უკანასკნელი დღეების შესახებ არაფერი ვიცოდით. [ბოლო დროს] ყველაფერს ნათელი მოეფინა. ოლიას გადასახლების ბოლო ადგილი ორიოლი ყოფილა... კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ შეასძლებელი გახდა სუკის მასალების გადათვალთვალება. ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა ნინო ხოფერიამ ოლია ოკუფავას „საქმეები“ მაჩვენა... 1941 წლის 6 სექტემბერს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ლ. პ. ბერიას მიუმართავს... ი. ბ. სტალინისთვის... გიდგენტ 170 კაცის სიას. ისინი დაპატიმრებულნი არიან ტერორისტული, ჯაშუშურ-დივერსიული და სხვაგვარი კონტრრევოლუციური მუშაობისათვის... ი.ბ. სტალინს იმავე დღესვე მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება, არავითარი გამოძიება არავითარი სასამართლო. 11 სექტემბერს 157 კაცი ორიოლიდან ათი კილომეტრით დაშორებულ მედვედევის ტყეში წაუყვანიათ და დაუხვრეტიათ. მათ შორის იყო ოლიაც.“<sup>28</sup>

„ყურადსაღებია, რომ სტალინმა თუ ადრე ლილია ბრიკი შეინყალა, ოლია ოკუფავა მშვიდად გაიმეტა.“<sup>29</sup>

– 1897 –

1897. „6 წლისამ წერა-კითხვა ვიცოდი.“<sup>1</sup>



**1 სექტემბერი.** „1899 წლის 1 სექტემბერს გალაკტიონი და მე პირველად მიგვაბარეს ერთკლასიან მოსამზადებელ სკოლაში... ბაგრატიც ტაძრის ნანგრევების დასავლეთით დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის (შემდეგ არქიმანდრიტს, მოწამეთას მონასტრის წინამძღვარს) საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა კერძო ერთკლასიანი მოსამზადებელი სკოლა, რომელშიც ამზადებდა მოწაფეებს სასულიერო სასწავლებლის I მოსამზადებელ კლასში მისაღებად... ჩვენ ამ სკოლაში დავიწყეთ წერა-კითხვის სწავლა. მასწავლებლად გვყავდა მეტად დარბაისელი და სათნო ადამიანი ნადია მაჩიტაძე (თუ მაჩიტაძე), რომელზედაც გალაკტიონმა თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.“<sup>2</sup>

გალაკტიონის ძმა – პროკლე უკვე ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მაკრინემ ვერ მიატოვა პატარა გალაკტიონი: „ვამ თუ სათანადო მზრუნველობით ვერ მოუარონ უმამოდ გაზრდილ ბავშვსო“. ამის გამო იგი ქუთაისში გადმოვიდა დროებით საცხოვრებლად, დაიქირავა ბინა არქიელის გორაზე, ანდრო წერეთლის სახლში.<sup>3</sup>

**1 სექტემბერი.** „1900 წ. 1 სექტემბერს ჩვენ მიგვიღეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, პირველ მოსამზადებელ კლასში... ეს სასწავლებელი მოთავსებული იყო არქიელის გორაზე, ბაგრატიც ტაძრის ნანგრევების წინ... ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი... სამი მოსამზადებელი ოთხი ძირითადი კლასისგან შედგებოდა... ამ სასწავლებელში ვსწავლობდით რვა წლის განმავლობაში, რადგან გალაკტიონსა და მეც სხვადასხვა დროს გაგვიცდა თითო წელიწადი, ერთ კლასში ორ-ორი წელიწადი ვიჯექით.“<sup>4</sup>

„ყველაზე დაახლოებული ორი-სამი მოსწავლე ვიყავით გალაკტიონთან და სასულიერო სასწავლებელში სწავლის უკანასკნელ 2-3 წელს ამ ორ-სამ მოწაფეს გვიკითხავდა თავის ლექსებს. იმავე ბაგრატიც ტაძრის გალავანში, აღარ მახსოვს, 1902 თუ 1903 წელს.“<sup>5</sup>

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პატარა გალაკტიონზე ბაგრატიც ტაძრის ნანგრევებმა... არქივში შემონახულია იმ დროს დაწერილი ერთი ლექსი „ბაგრატიც ტაძრის გალავანში.“<sup>6</sup>

გალაკტიონის ყველაზე ადრინდელი ლექსი 1903 წლით თარიღდება. ეს არის თექვსმეტსტრიქონიანი „ჩვენი ერი“, რომელიც ი. ჭავჭავაძის მიბაძვით არის დაწერილი:

„მართლაც მშვენიერია ჩვენი კუთხე, ერია, ბოროტების რომ იყვეს ცოტა მღვენი – მტერია.“<sup>7</sup>

... დედას უჭირს შვილების მიტოვება, არადა სოფლად მეურნეობა ნადგურდება... მაკრინე იძულებულია ჭყვიშს დაუბრუნდეს, გალაკტიონს უფროსი ვაჟის პროკლეს (აბესალომის) ანაბარა ტოვებს. მოიღრუბლა გალაკტიონი. უფრო განცალკევდა, მეცადინეობას უკლო... შედეგმაც არ დააყოვნა. იგი III მოსამზადებელში ჩარჩა... საჭირო იყო შინაგანი სიმტკიცე, დიდი ძალისხმევა, რათა ყმანვილს სასო არ წარკვეთოდა, ხელი არ ჩაექნია სწავლაზე. გალაკტიონმა შესძლო წონასწორობის აღდგენა.<sup>8</sup>

„ქუთაისში ჩამოსვლის პირველ წლებში გალაკტიონი დიდად არ გამოირჩეოდა თავისი ამხანაგებისაგან, გარდა იმისა, რომ მას უყვარდა განმარტოებით დგომა. დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს მეგობრები, ბევრი არ ყავდა. მეტად გულჩახვეული იყო, არ უყვარდა თავისი გულისნადების გამოაშკარავება, დადიოდა ჩაფიქრებული, თითქოს რაღაც დიდად აწუხებდა. წუხილით კი მართლაც აწუხებდა თავისი ობლობა.“<sup>9</sup>

1903-1904 „სასწავლო წელი გალაკტიონმა ასეთი ნიშნებით დაამთავრა: საღმრთო სჯული – 3 1/2, რუსული ენა – 4/4 1/2, ქართული ენა – 3 1/2, არითმეტიკა – 4, სლავური საეკლესიო გალობა – 5, ქართული საეკლესიო გალობა – 4, სუფთა წერა – 4, ყოფაქცევა – 5.“<sup>10</sup>

მიცკევიჩი ჩემი საყვარელი პოეტი გახდა 1904 წლიდან, ე.ი. როდესაც თერთმეტი წლისა ვიყავი.<sup>11</sup>

## – 1904 - 1905 –

„ახალი სასწავლო წლიდან (1904-1905 წ.წ.) მდგომარეობა უარესდება. აი, ნოემბერ-დეკემბრის შეფასებანი: საღმრთო სჯული – 3, რუსული – 4/4, ქართული ენა – 4,

არითმეტიკა – 3, სლავური საეკლესიო გალობა – 4, ქართული საეკლესიო გალობა – 3, სუფთა წერა 4, ყოფაქცევა – 4.“<sup>12</sup>

**ივლისი.** „თვალს თუ გადავაგვლებთ 1905 წლის ნაწერებს, შევამჩნევთ, რომ გალაკტიონი დღითიდღე იზრდება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ივლისში დაწერილი მოთხრობაც „ყაჩაღები“, იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა თვეებში შეთხზული ნოველებისა და მინიატურებისაგან. „ყაჩაღების“ სტილი დახვეწილია, ტიპები გამოკვეთილი, მოქმედება ბუნებრივად ვითარდება... არ იგრძნობა ავტორის პუბლიცისტური ჩარევა, რითაც საკმაოდ არის დალდასმული ადრინდელი მოთხრობები.“<sup>1</sup>

**[9 ოქტომბერი].** „როდესაც ქუთაისში ვიქნები, უნდა დავწერო საბავშვო კომედია: „მეგობრები“, რომელშიც უნდა გამოვხატო ერთმანეთის სიყვარულობის ძალა, ერთის რომელიმეს დაჩაგვრა რა შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვზე. ნიგნი უნდა იქნეს აკაკის „საყმაწვილო ამბების“ ტოლი, 45 ფურცელი და სივრცით „საყ. ბალის“ ოდენა.“ მეორეგან ჩანიშნულია: „უნდა დავწერო ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ქრისტეს მცნებანი“, სისქით მსგავსი „მნათობის“, იმავე სიგრძით და სიგანით, 180 გვერდიანი...“<sup>2</sup>

„1905 წლიდან გალაკტიონი უკვე ინტენსიურად წერს. შემონახულია ამ პერიოდის 70-მდე ნაწარმოები: ლექსები, მოთხრობები, იგავ-არაკები, შარჟები და სხვ. უმეტესობა დამთავრებულია. ნაწილი გარანდულია და გათეთრებულიც. ჩანს, გალაკტიონი ყოველდღე მუშაობს. მისთვის ლიტერატურული საქმიანობა სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა რამდენიმე სიტყვა დამწყები პოეტის კრედოზე. ლექსში „დაჰკა“ გალაკტიონი მწერლის დანიშნულებას არკვევს და დიდ სამოციანელებს ბაძავს.“<sup>3</sup>

შემონახულია გალაკტიონის მოსწავლეობისდროინდელი რვეული, რომელშიც ჩამოთვლილია 1905 წელს მის მიერ წაკითხული ნაწარმოებები. დასახელებულია 46 ნიგნი. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჭაბუკი წაუკითხავს არტოვებს ქართულად გამოსულ არც ერთ მნიშვნელოვან თხზულებას. აქ დაფიქსირებულია „ბეჟანიანი“, ნ. ბარათაშვილის „თხზულებანი“, დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“, ა. წერეთლის „ნათელა“, „თორნიკე ერისთავი“, თხზულებათა I ტომი, ი. გოგებაშვილის „საარაკო თავგადასავალი“, „ასპინძის ომი“, „მოსავლის მცველნი“, „ხატის მიზეზით“, ა. ყაზბეგის „მოძღვარი“, „ციცია“ და სხვ. ნ. ლომოურის „ქაჯანა“, „ალი“, ანტონ ფურცელაძის „ვაი მართალთა“, მელანიას „ბნელო“, მ. ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია“, 1893 წლის „კვალი“, სერვანტესის „დონ კიხოტი“ და სხვ... გალაკტიონს მოკლე ანოტაციები შეუდგენია რუსულად წაკითხულ ნიგნებზეც, ესენია: ა. პუშკინის „პუგაჩოვის ისტორია“, ლ. ტოლსტოის „აღდგომა“, ა. ხახანაშვილის „ქარ-

თული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები“, ჰ. იბსენის „ექიმი შტოკმანი“ და სხვ. ისინი რუსულადაა დაწერილი.<sup>4</sup>

**„1905.** წელს გალაკტიონი უმეტესად გატაცებულია ბუნებით. ამაზე მეტყველებს ლექსთა სათაურებიც: „გაზაფხული“, „გაზაფხულის დილა“, „ზამთარი“, „განთიადი“, „მერცხალი“ და სხვ. საერთოდ, ნაკლებ ჩანს მარტოსულობის მოტივი. სუსტად იგრძნობა საკუთარი სულიერი სამყაროს მიმოხილვის აშკარა მცდელობა, „მეს“ კვლევის ტენდენცია. ლექსებში აღწერა დომინირებს და არა პოეტური განსჯა. გალაკტიონი მონაფური ერთგულებით მიჰყვება კლასიკოსებს... ხშირად მათი ნაწარმოებების ვარიაციებს გვანვდის. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგრძნობა ნიჭი...“<sup>5</sup>

**1905.** საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საარქივო გამოცემაში (ოცდახუთნიგნეულში) გალაკტიონის მხატვრული მემკვიდრეობის აღნუსხვა 1905 წლით დათარიღებული ლექსით: „ვჭექოთ მედგრად“ იწყება.<sup>6</sup>

– 1905 - 1906 –

**„1905.** მოხდა უფროს მონაფეთა გამოსვლა, რის გამო სასწავლებელი ერთი წლით დაიხურა. მე მივდივარ სოფელში. ამავე წელს მე ვწერ უამრავ ლექსებს, მოთხრობებს და პიესას რევოლიუციის შესახებ. პიესას მისსივე რეჟისორობით შემდეგ ვდგამდით სახლში და [ტიციანი] თვითონ მე ძალიან მოხდენილად ვთამაშობდი ყაჩაღის როლს... აღტაცებაში მოვდიოდი გურიის ამბებით. ვწერ პოემას „წითელაშვილის რაზმი“, [ამხანაგების წრეში ცნობილი ვარ როგორც პოეტი. 1906. ისევ სასწავლებელი. სწავლა არ ხერხდება ხშირი არეულობის გამო] რომელსაც ვუკითხავ თვითონ წითელაშვილს, ცნობილ ანარხისტს, რაზმის მეთაურს. იგი აღტაცებაში მოდის“.<sup>7</sup>

„1905 თუ 1906 წ. გაზაფხულზე მოკლეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი გრეკოვი. გალაკტიონი ამ შემთხვევას გამოეხმაურა მცირე ლექსით.“<sup>8</sup>

– 1906 –

**25 აპრილი.** „შენი წერილი მივიღეთ, რომლითაც იტყობინები, რომ სერაპიონს ეპიფანესაგან ფული მიუღია. ეს წერილი აჩვენე და უთხარი: ფული ხაზეიკას მისცეს, ერთი მანეთი კი შენ მოგცეს წულის ფასათ. თუ ფული მიცემული აქვს ხაზეიკისათვის, მაშინ მას გამოართვი 1 მანეთი და წულა იყიდე. ჩვენ უსათუოდ მალე შემოვალთ და ყოველივე ანგარიშს გავუხსნორებთ ხაზეიკას... აბესალომი.“<sup>11</sup>

**4 ოქტომბერი.** „... ეს მეორე წერილია, რომელსაც ქუთაისში ვაგზავნი და პასუხი არ მიმიღია... მიიღე თუ არა წიგნები, რომელნიც მე იუსტინე მეტრეველის ხელით გამოვაგზავნე (სულ წიგნები რვა იყო)... მომწერე... თუ როგორ სწავლობ და რაგვარი ნიშნები გაქვს, შენ, ეხლა, იცოდე კარგი მეცადინეობა გმართებს, რომ იმავე კლასში არ დარჩე, რადგან მესამე კლასში ძნელი საგნებია... აბესალომი.“<sup>2</sup>

**10 დეკემბერი.** „ძმაო გალაკტიონ!.. ამ წერილის მიღებისთანავე წერილი გამოაგზავნე და იცოდე ყოველივე შიგ ჩანერე. გარდა ამისა, ეხლა „ჩეტვერტი“ იღევა და იმეცადინე, გლახა ნიშნები არ გამოგყვეს თვარა, მეორე წელიწადს შენ მაქანა არვინ დაგარჩენს. მე, მგონია, მაგოდენა კაცი ხარ და შენს საქმეზე თვითონ შენ უნდა ფიქრობდე და ზრუნავდე... გწერს აბესალომი.“<sup>3</sup>

**1906.** პროკლე [აბესალომი] იგონებს: „როცა არდადეგებზე ქუთაისიდან სოფლად ვბრუნდებოდით, მთელი გზა – ბორნიდან მოყოლებული სახლამდე – რითმების ძიებით ვიყავით გატაცებული. ვერსიფიკაციულ ვარჯიშში თავდაპირველად მე ვიმარჯვებდი. კარგად მახსოვს, პირველად 1906 წელს დამჯაბნა. შემდეგ კი საერთოდ ვერ ვუბამდი მხარს.“<sup>4</sup>

**1906.** „თვალი გავადევნოთ 1906 წლის ნაწერებს. გალაკტიონი უბრუნდება პოეტის დანიშნულების საკითხს. იგი ძველ ხაზს აგრძელებს, მხოლოდ ცალკეულ დეტალებს აზუსტებს. ამჯერად სიმართლისათვის ბრძოლა იწვევს წინა პლანზე... პოეტობა გამოცხადებულია „ცის ნიჭად ცხოველ- მყოფელად... 1906 წლის ლექსებში მეტი სიღრმე და დაკვირვება შეინიშნება. უკვე მკაფიოდ იგრძნობა არა ფაქტებიდან, არამედ ფაქტებისკენ სვლა. ამბავი, დეტალი მოხმობილია კონკრეტული იდეის დასასაბუთებლად... ეროვნული პრობლემებისადმი ინტერესი არც ამ წელს განელეგია. 1906 წელს ჩნდება ახალი მოტივი, ბრძოლის მოტივი. პოეტი შინაგან ძალას შეიცნობს და „ცის ფრინველის“ წინააღმდეგ აღსდგება. ეს უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ გალაკტიონი საკუთარი სულის სიღრმეებისაკენ ილტვის, თავისი არსებობისა და მოვალეობის გარკვევას ლამობს... ეს ხაზი შემდეგ ღრმავდება და წამყვან ადგილს იკავებს... ეპოქა, რევოლუციური ატმოსფერო გავლენას ახდენს გალაკტიონზე. ძნელია იმის თქმა, თუ რა სიღრმით აქვს გათავისებული სოციალური საკითხი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ლექსთა დიდი ნაწილი ამ პრობლემას ეძღვნება.“<sup>5</sup>

**1906.** საიუბილეო კრებულში: „გალაკტიონი – 125“, ნოდარ ტაბიძემ გამოაქვეყნა გალაკტიონის 1906 წელს დაწერილი უცნობი ლექსი, რომელიც ავტორმა ია ეკალაძეს მიუძღვნა: „სალამი შენდა. სალამი კალამს/ შენსას, სალამი შენსა მოძღვრებას./ ჯერ ახალგაზრდავ, თუმცა ძლიერო, / გიძღვნი ჭეშმარიტ ქება-თა-ქებას./ მომწონს მე შენი ეგ იდეალი,/ მიდრეკილება კეთილისადმი, / კრიტიკა დღიურ ჩვენის ცხოვრების/ და სიყვარული ჩაგრულ ძმისადმი!/ შენ გეზიზღება

ფარისეველი, / გძულს მეტად ჩვენი დღის ბატონები/ და დროა, დროა, რომ, მე-  
გობრებო, / გამოვუთხაროთ მასაც ფესვები! / და მაშ... სალამი შენსა კალამსა, /  
სალამი შენდა... შენს მოძღვრებასა/ და თან გინატრი, რომ ნიადაგიც/ ეპოვებო-  
დეს კეთილ სიტყვასა.“ ახალგაზრდა პოეტის ამ ლექსს თან ახლავს წერილის ავ-  
ტორის კომენტარი: იგი შორსაა გალაკტიონის რჩეული თხზულებებისაგან, მაგ-  
რამ რაც მთავარია, მასში კარგად მჟღავნდება ის მაღალი იდეალები, რომელთაც  
ასე ერთგულად ემსახურებოდა მგოსანი მთელი ცხოვრება.“<sup>6</sup>

– [1906] –

„საყვარელო ძმაო გალაქტიონ! გამარჯვება... რატომ წერილს არ იწერები!..  
ეს მეორე წერილია რომ გიგზავნი... ამბობდენ, სასულიერო სასწავლებელი დაკე-  
ტესო და ძლიერ მენყინა. ეხლა კი გავიგე, რომ ისევ სწავლა დაიწყესო... რაფრა-  
თაა შენი საქმე და ან როგორ ხარ?... ან რაფრათ არიან სოფელში, ისიც გამაგები-  
ნე... ამ წერილში ვდებ მარკასაც... ყოლიფერი დაწვრილებით მომწერე... სხვა რა  
მოგწერო... რა ჩემი დარიგება დაგჭირდება. ჭკუით იყავი და ზნეობას ყურადღე-  
ბა მიაქციე... უთუოდ ეხლაც ლექსებს წერ! წერე და სწავლასაც მნიშვნელობა მი-  
აქციე... შენი ძმა აბესალომი...“<sup>7</sup>

**30 იანვარი.** „უკვე ნ წელი გადის, რაც მე სასულიერო სასწავლებელში ვიზრდები და არ მინახავს ისეთი უნესობა, როგორც წელს შეინიშნება. მოსწავლეები გამუდმებით ჩხუბობენ გაკვეთილებსა თუ შესვენებებზე... დღეს, სხვათა შორის 10 შეტაკება იყო. გატეხეს ფანჯრის მინა... არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა შეგირდი მასწავლებელს სცემს. ერთმა მოსწავლემ რევოლვერით დაჭრა აღმზრდელი...“<sup>1</sup>

მატერიალური გაჭირვება სულს უხუთავს ამაყ პიროვნებას... ძმები იძულებულნი არიან თხოვნით მიმართონ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს... კალტიპინს: „უკიდურესი სიღარიბე გვაიძულებს ვეძიოთ თქვენი მონყალება. გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილება, ნუ დაგვტოვებთ თქვენი ყურადღების გარეშე და გაგვინიოთ მატერიალური დახმარება, რომლითაც თქვენ შეამსუბუქებთ დედაჩვენის უბედურ მდგომარეობას და შესაძლებლობას მოგვცემთ განათლება მივიღოთ თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში.“ ასეთი თხოვნა ყოველთვის უშედეგოდ როდი რჩებოდა. მაგალითად, 1907 წელს გალაკტიონმა სასწავლებლიდან დახმარების სახით 5 მანეთი მიიღო.“<sup>2</sup>

**1 თებერვალი.** „მიყვარს ქართული ენის გაკვეთილები, რამდენ უცნობ რამეს ვიგებ მელიტონ იესეს ძის (ჩოგოვაძე-მ.შ.) მონათხრობიდან: დღეს მან დაამთავრა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ კითხვა თავისი დამატებებითა და შენიშვნებით, პირდაპირ მომხიბვლელია მისი ახსნა...“<sup>3</sup>

**(თებერვალი).** „ძმაო აბესალომ, წავიკითხე „ისარის“ 25 თებერვლის ნომერი, ძალიან გამეხარდა, როდესაც ფელეტონში მოქცეული პატარა ამბავი წავიკითხე. ერთგან ქვევით შენი სახელი და გვარი იყო მოწერილი.“ (გალაკტიონის ბარათიდან).<sup>4</sup>

**31 მარტი.** 1907 წელს გალაკტიონმა რამდენიმე პიესა დაწერა, რომელთაგან ყველაზე ღირებულია ორმოქმედებიანი „სურათები ცხოვრებიდან.“ სხვათა შორის იგი სცენაზეც წარმოადგინეს. „გუშინ, 30 მარტს, ჩემმა ამხანაგებმა: გ. მიხელიძემ, ა. დევდარიანმა, ვ. გოგოძემ, მ. ყიფშიძემ, პ. ჩარკვიანმა და სხვებმა წარმოადგინეს ჩემი „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან.“ სპეკტაკლი საშუალო დონისა იყო. ძალიან კარგი იქნებოდა, ამხანაგებს რომ არ ეცინათ როლების შესრულებისას და ეთამაშათ გენადი მიხელიძის მსგავსად.“<sup>5</sup>

**[1 სექტემბერი].** „იუსტინე (ტიციანის მამა-მ.შ.) აღმერთებდა ილია ჭავჭავაძეს. მახსოვს, 1907 წელს ბიძაჩემთან ერთად მივემგზავრებოდი. რიონის სადგურზე იუსტინემ გაზეთი იყიდა. დახედა და ელდა ეცა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობას იუნყებოდნენ...“<sup>6</sup>

**22 სექტემბერი.** ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მე-3 და მე-4 კლასების მოსწავლეებმა გაფიცვა მოაწყვეს. მეცადინეობა დროებით შეწყდა და გალაკტიონიც სოფლად მიდის.<sup>7</sup>

**[სამტომბარი-ოქტომბარი].** „არ გასულა ორი დღე... რომ მე ავად გავხდი, ავადმყოფობა ყვავილი აღმოჩნდა და ოცდასამ დღეს გაგრძელდა, რის შემდეგაც სრულიად გამოვმრთელდი. არც დედაჩემს და არც სხვა ვინმეს ავადმყოფობა არ გადადებია“. ყვავილმა სახე დაუკენკა პოეტს. დროთა განმავლობაში ღრმულები თანდათან გაქრა, მაგრამ მცირე კვალი სახადი ავადმყოფობისა მაინც დარჩა.<sup>8</sup>

**ოქტომბარი.** ოქტომბრის ბოლოს გალაკტიონი კვლავ ქუთაისს უბრუნდება და თავგამოდებით მეცადინეობს. სასწავლებელსაც წარმატებით ამთავრებს.<sup>9</sup>

**1907.** გალაკტიონი 1907 წელსაც ბევრს წერს, თვეში დაახლოებით 10-15 ლექსს. მათი უმეტესობა, „როგორცაა: „ჩემს სამშობლოს“, „აღსდგ ჩაგრულო“, „ჩანგო“, „იაპონია“, „რუსეთი“ და სხვ. მხატვრულად სუსტია, თუმცა აქტუალურ თემებს ეძღვნება...“<sup>10</sup>

**[1907]** „ფიქრიდან განუშორებელი შვილი ჩემო გალაკტიონ! პირველად შენ მშვიდობას და კარგად ყოფნას ჩვენ მოწყალე ღმერთს ვთხოვ... შენ რაკი ჩემთან იყავი მიჩოული და მე შენთან და ახლა მოშორებული მყავხარ, თუ ივარგებ, არ მგონია... თავი საქმეა ყოფაქცევა და მერმეთ კარგი სწავლა, კარგი, თვარა გაჭივრებული სწავლა რა არის, უნდა ათქმოვიო ვინმეს, სწორეთ კარგად სწაულულობსო, და კარგი ყოფაქცევის არისო... ისახელე თავი, დედა, ბიძაშენმა ასე თქვა, გაანებოს იმან სხვა ქალაღდების კითხვას თავიო, გაათავოს ოთხი კლასი... სხვა მერმეთათ მეესწრება სხვა ქალაღდების, ნიგნების კითხვასო... გავიგე, რომ ფული მოუციათ შენთვის. მე ასე მივიღე, რომ გინდა ასი მანეთი ყოფილიყოს, ეხლა შევიარე ყველა და ამ სამი მანეთის მეტი ვერ ვიშოვე, დაამატე იმგენის მოცემულს და დესპინეს<sup>11</sup> მიეცი... შენ როგორც დაგიტხოვონ ყველიერში, მაშინათვე წამოდი... აქ მომიწყობ ხელს და იქნება შენთვის ფული ვიშონო ან ოტკა გამოვხადოთ... შენ გიგზავნი გზის ფულათ სამ აბაზს, ახერხე, ნახევარი ბილეთი აიღე, ფული არ დაგეკარგოს, დესპინეს მიაბარე, აპა შენ იცი, ეს წერილი მალმალე წაიკითხე. შენი ერთგული დედა.“ მ. ტ. [1907].<sup>12</sup>

**1907.** „არქივმა შემოგვინახა გალაკტიონის უცნობი ლექსთხზულება, რომელსაც „სამოცი გმირი“ ეწოდება. ერთ ნუსხაში იგი პოემად მოიხსენიება. ამიტომაც ვალდებულნი ვართ გავითვალისწინოთ ავტორის ნება, თორემ სინამდვილეში საქმე გვაქვს 102 ტაეპიან სიუჟეტიან ლექსთან. პოემა 1907 წლით თარღდება. მასში ძალუმად მჟღავნდება ახალგაზრდა მგოსნის მსოფლგაგება და ესთეტიკური მრწამსი, იდეალები.

„სამოცი გმირში“ ემპირიული სინამდვილის გალექსვის ხერხი მძლავრობს. გამორიცხულია ქვეტექსტები და ასოციაციური სახეები, რომლებითაც ასე ყელყელაობს „არტისტული ყვავილები“.“<sup>13</sup>

„1907-1908 წელს ძნელი იყო გარკვევა რევოლუციონური ცხოვრების რთულ პირობებში. პოეტისთვის ძნელი იყო მიეცა სწორი პოლიტიკური შეფასება ყოველივე იმისთვის, რაც მაშინ ხდებოდა. მაგრამ მე ღრმად განვიცდიდი მაშინდელ ამბებს.“<sup>14</sup>



**[14 იანვარი].** „საყვარელო დედა! როგორც შენ დამიბარე, მე ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში გადავედი, მაგრამ შვიდ მანეთ ნახევარ ნაკლებ არ დამიყენა და ისიც ამ ერთის თვით. შემდეგში კი რვა მანეთ ნაკლებ ვერ დაგიყენებო. ბინა ძალიან კარგია, მხოლოდ ეს არის, რომ ფულს წინდანინავე თხოულობს, მე ჯერ-ჯერობით ოთხი მანეთი მივეცი, შენგან გამოტანებულს სამს მანეთს პრისკილეს მოცემული მანეთი მიუმატე. კალოშებს ვერ ვყიდულობ. ხაზეიკის ფული, სამ მანეთ ნახევარი, რაც შეიძლება მალე გამოგზავნე... გნერს შენი შვილი გალაკტიონი. აბესალომს წერილი გაუგზავნე!“<sup>1</sup>

**28 იანვარი.** „აბესალომ! გამარჯვება! მეორე წერილია ნაშობავებს რომ ვაგზავნი... ჩვენ გამოგვიცხადეს მანდაური სემინარიის მთავრობის მიერ მოწერილი განცხადება, რომლითაც ჩვენ გამოგვიცხადეს, განგვეცხადებინა ახლავე, ვინ მიდის სემინარიაში და ვინ არა. ამბობენ კიდევ ჩვენი მასწავლებლები, რომ ორ ძმას სახელმწიფო ხარჯზედ არ მიიღებენო.“<sup>2</sup>

**იანვარი.** 1908 წლის იანვარში გალაკტიონს დაუწერია ლექსი „ბარიკადაზე“.<sup>3</sup>

**6 თებერვალი.** „ძმაო გალაკტიონ!.. შენგან გამოგზავნილი წერილები მივიღე. იწერები, ამბობენ, მასწავლებლები ორ ძმას სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე არ იღებენო, ეს სრული სიცრუეა და ეხლაც ორი ძმები არიან სახელმწიფო ხარჯზე, აწი როგორ იქნება არ ვიცი... შენ რას შვრები? ხომ კარგათ მეცადინეობ? იმეცადინე, მაგრამ გეუბნები, იმდენი კი არა, რომ ფიზიკურად დაგასუსტოს... თუ იცი, სემინარიაში გამოგიშვებენ რეკომენდაციით? ეცადე, როგორც შეგეძლოს, რომ გამოგიშვან... აბ. ტაბიძე.“<sup>4</sup>

**20 აპრილი.** გალაკტიონს 20 აპრილს დაუწერია ლექსი: „მამ...“<sup>5</sup>

**3 მაისი.** გალაკტიონის ლექსი „სალამო“ დათარიღებულია „1908 წ. 3 მაისით.“<sup>6</sup>

**7 მაისი.** „ძმაო გალაკტიონ!.. სხვა, თქვენ ეხლა ეგზამენები გექნებათ. აბა, შენ იცი, თუ როგორ გაათავებ. ხმები – ქუთაისში სემინარიის გახსნა, როგორც ინსპექტორმა გვითხრა, ოცნებად დარჩა და სემინარია ისევ თბილისში რჩება. თქვენც რასაკვირველია, აქ დარჩებით... წერილი მომწერე... თუ ვისთან ხარ, ეგზამენები როდის გაგითავდება... სხვა, კარგათ იმეცადინე, გიმეორებ. მეტი ლაპარაკი რათ გჭირია... შენი ძმა აბესალომ ტაბიძე.“<sup>7</sup>

**მაისი.** „1908 წლის მაისის ბოლო რიცხვები იყო. მეორე დღეს ვაბარებდით უკანასკნელ გამოცდას და ვამთავრებდით სწავლას სასულიერო სასწავლებელში... გენადი, რა ბედნიერებაა, რომ ხვალ ვამთავრებთ სწავლას და მალე თბილისს ვესტუმრებით. იქ ხომ მეტი შესაძლებლობა გვექნება სწავლა-განათლების მისაღებად! ვეცდები ლექსებსაც გაუუკვალო გზაო... გალაკტიონი პირველხარისხო-

ვან (დამთავრებულთა) სიაში მოხვდა და იმავე წლის სექტემბერში თბილისის სა-სულიერო სასწავლებელში მიგვიღეს.“<sup>8</sup>

**21 ივნისი.** „ათიანი წლების დასაწყისი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გა-ლაკტიონმა მოუხშირა ლექსების რუსულად წერას. პირველი ასეთი ნაწარმოები 1908 წლის 21 ივნისით თარიღდება. მაგრამ ეს მაინც გაელვება იყო...“<sup>9</sup>

**20 აგვისტო.** პატრიოტულ თემაზეა შეთხზული 20 აგვისტოთი დათარიღე-ბული ლექსი „სიმღერა.“<sup>10</sup>

**საქტემბერი.** 1908 წლის სექტემბრიდან გალაკტიონი თბილისის სემინა-რიის მოსწავლეა... თბილისში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოსული – ერთხანს ნაძალადევში ცხოვრობდა. სადგურის მახლობლად დედის შორეულ ნათესავს, – რკინიგზის მუშას, უბადრუკი ქოხი ჰქონდა ხელისგულისოდენა ბაღით. გალაკ-ტიონიც ამ კაცს შეეკედლა. საქართველოს უპირველესი ქალაქის მისეული შეც-ნობაც აქედან იწყება...“<sup>11</sup>

**[1 საქტემბერი].** „მე ეხლაც გუშინდელ დღესავით მახსოვს თბილისში ჩას-ვლის პირველი დღე, ენკენისთვის პირველი დღეები... მახსოვს სემინარიელების ანთებული სახეები და გაბრწყინებული თვალები... შევიცარმა ჩემი სახელი და გვარი დაიძახა. მე შევედი, კანცელარიაში მაგიდასთან მოხუცი მასწავლებელი იჯდა... ეხლა უნდა შეგატყობინოთ, რომ თქვენ მიღებული ხართ სემინარიაში სა-ხელმწიფო ხარჯზე. შეგიძლია წახვიდეთ...“<sup>12</sup>

**28 საქტემბერი.** დაიბეჭდა გალაკტიონის პირველი ლექსები: „უსათაურო „... მთვარე კაშკაშებს“ (გაზ. „ამირანი“) „გალ. ტ-ბ-ძე“-ს ხელმოწერით) და „... სქელი ღრუბელი“ (ჟურნ. „ჩვენი კვალი“).<sup>13</sup>

„პირველი ჩემი ლექსი „ღრუბელი“ დაიბეჭდა 1908 წ. ჟურნალ „ახალ კვალ-ში,“ რომელიც გამოდიოდა ცნობილი რევოლუციონერის, შესანიშნავი ადამიან-ის ვლადიმერ დარჩიაშვილის ხელმძღვანელობით. ლექსი დაწერილი იყო 1905 წლის შავი რეაქციის გამეფების დროს. ლადო დარჩიაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით მომეპყრო. მან წარმადგინა თავის ჟურნალის თანამშრომლებთან პოეტური სიტყვებით: „იცნობდეთ, ეს არის საქართველოს ამომავალი მნათობ-ბი.“ გახარებულმა იმავე დღეს შევიარე ახლანდელი პრესის ქუჩაზე, გაზ. „ამირა-ნის“ რედაქციაში. მანდილოსანი, რომლის გვარი შემდეგ გავიგე, გადამეხვია. იგი აღელვებული ამბობდა: თქვენ ასეთი ახალგაზრდა, როგორ სწერთ ასეთ ლექსებს და სხვ. ჩემი ორი პირველი ლექსი ერთ და იმავე დღეს დაიბეჭდა და ეს იყო ყველა-ზე უკეთესი და ბედნიერი დღე ჩემ ცხოვრებაში...“<sup>14</sup>



გალაკტიონი.  
თბილისი 1908

„1908 წლის 28 სექტემბერია (ძვ. სტილით). კვირა დღე, წირვის დღეს გაზეთი ჩაუგდია ხელში გალაკტიონს და საპირფარეოში ნახეს გაზეთი „ამირანი“ და ჟურნალი „ჩვენი კვალი“, რომლებშიც დაბეჭდილი იყო გალაკტიონის უსათაურო ლექსები... წირვის დამთავრების შემდეგ, გალაკტიონი და მისი კლასის ამხანაგი ფილიპე შავგულიძე, იროდიონ სურგულაძე, ვანო ჩლაიძე და მე, ვგონებ რომელიღაც ერთი ამხანაგი ჩავედით სემინარიის ეზოში, შადრევანთან, პატარა აუზის გვერდით მე მივმართე გალაკტიონს მისასალმებელი სიტყვებით მისი ლექსების დაბეჭდვის გამო...“<sup>15</sup>

**სექტემბერი.** „დომინიკა ერისთავის ქალი უზის გაზეთ „ამირანის“ რედაქციაში შემოსულ ხელნაწერებს, ხელთ უჭირავს ჩემი ლექსების რვეული. იგი .გაოცებით მიყურებს: თქვენი არის ეს ლექსები? ჩემი გახლავთ ქალბატონო! ძნელი დასაჯერებელია, თქვენ ხომ ბავშვი ხართ ჯერა. მაინც რამდენი წლისა ხართ? თოთხმეტის, ქალბატონო, მეთხუთმეტეში გადავდექი. პირველად მესმის, რომ თოთხმეტი წლის ბავშვი ასეთ, მშვენიერ ლექსებსა სწერდეს. ძალიან კარგია, მაგრამ... თქვენ ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, ეს მეორე სტრიქონის სიტყვა „ბინდ-

ბუნდი“, რომ შევცალოთ „ბურუსით“... ბურუსი უფრო თანამედროვე სიტყვაა არაფერია, დავბეჭდავთ, მხოლოდ სახელსა და გვარს მთლიანად არ მოვანწერთ, ბურუსი კი ისევ ისე დარჩებაო. მართლაც, ლექსი ასე დაიბეჭდა. პირველივე ლექსიდანვე ასე დამბეჭდა. მას მერე ჩემი შვიდი ათასამდე ლექსი დაიბეჭდა, მაგრამ არც ერთი ისეთი, რომელშიც რედაქტორს, ან კორექტორს ან, სხვას შესწორება არ შეეტანოს.“<sup>16</sup>

**1 ნოემბერი.** გალაკტიონის ლექსის „შუქი“ გამოქვეყნების თარიღად მითითებულია 1 ნოემბერი (თბილისის სემინარიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“).<sup>17</sup>

**2 ნოემბერი.** ჟურნალ „საქართველოში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „რომანსი“ („გახსოვს ბუნება აყვავებული...“) „ტაბი“-ს ხელმოწერით.<sup>18</sup>

**9 ნოემბერი.** გალაკტიონი სემინარიაში მისვლისთანავე აარსებს ხელნაწერ ჟურნალ „შუქს“... პირველი ნომერი გამოვიდა 1908 წლის 9, ხოლო მეორე 15 ნოემბერს. ის ჩაფიქრებული იყო როგორც ყოველკვირეული ორგანო... პირველ ნომერში მოთავსებული იყო გალაკტიონის ლექსები: „შუქი“ და „ნიავი“. „... გარდა აღნიშნული ლექსებისა, გ. ტაბიძეს ეკუთვნის წერილები: „თბილისი, 9 ნოემბერი“, „როდის ჩამოგვწვდება შუქი“, „აკაკის იუბილე“. ჟურნალი გადაწერილია გ. ტაბიძის ხელით. ის იყო არა მხოლოდ რედაქტორი-გამომცემელი, თავის ლექსებს და კორესპონდენციებს აწერდა „გა“-ს.<sup>19</sup> ლექსი „ნიავი“ მოგვიანებით დაიბეჭდა ჟურნალ „ფასკუნჯში“ (1909 წ. № 5).

**15 ნოემბერი.** „გამოვიდა სემინარიის ხელნაწერი ჟურნალ „შუქის“ მეორე ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია გალაკტიონის ლექსები: „ნორჩი გულია მისი თავდები“ და „მისთვის შევცქერო“ (ვუძღვნი აკაკის). „შუქის“ მასალათა მესამედზე მეტი, 10 ნაწარმოები, გალაკტიონს ეკუთვნის. „შუქი“ ქართულ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ამაზე მეტყველებს მისი რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი და მასალათა სასურველი ლიტერატურული დონე.“<sup>20</sup>

**ნოემბერი.** „აკაკის იუბილე იყო... მე ერთი კვირის წინეთ ვიკითხე სახაზინო თეატრის კასაში ბილეთი, მაგრამ სრულიად გაყიდულიყო ბილეთები. დავრჩი ისე, რომ აკაკი ვერ ვნახე, უკვე თხუთმეტი წლის ვიყავი, სემინარიაში ვსწავლობდი, ლექსებსაც ვწერდი, ვბაძავდი აკაკის... „სირცხვილი არ არის, რომ აკაკი ვერ ვნახო?“ – ვფიქრობდი, მაგრამ შემთხვევა არ მომეცა. სიონის ტაძრიდან აკაკი ეტლით წაიყვანეს, მინდოდა დამენახა. მაგრამ ჩემს წინ მაღალი ხალხი დადგა. ეტლმა ჩაიარა კიდეც... შემდეგ სახაზინო თეატრის წინ ვიცდიდი. ხალხი ბუზივით ირეოდა... გულდანყვეტილი გვიან დავბრუნდი ბურსაში...“<sup>21</sup>

**21 დეკემბერი.** გაზეთ „დროებაში“ „გალ. ტ-ბ-ძე“-ს ხელმოწერით გამოქვეყნდა უსათაურო ლექსი „... ვითარცა გედი ზღვისა სივრცეში...“<sup>22</sup>

**30 დეკემბერი.** ჟურნალში „საქართველო“, „ტაბი“-ს ხელმოწერით გამოქვეყნდა უსათაურო ლექსი „... როცა ბულბული განთიადისას“. „1908 წელს ჟურნალ „საქართველოს“ მდივანი ვიყავ. ქუთაისიდან აუარებელი ლექსი მოდიოდა... მათ შორის უშუალო განცდით და კარგი ხელის მოსმით გამოირჩეოდა გ. ტაბიძის ლექსები... როცა გ. ტაბიძის ლექსები მივიღე, მაშინვე გადავწყვიტე მისი დასტამბვა, მაგრამ ორივე ლექსი გაჭიანურებულად მომეჩვენა, განსაკუთრებით მეორე... ავდექი და მეც ამ ათ კუპლეტიან ლექსიდან 10 სტრიქონი დავტოვე. ფინალისთვის ვითომდა ჩემი შემოქმედებაც გამოვიყენე: ბოლოში ორი პნკარი ჩავუმატე და ამ სახით დავბეჭდე... რატომ აწერია ამ ლექსს ტაბი? ვ. გუნიას ფსევდონიმები უყვარდა... ახალგაზრდა პოეტებს არ ანებივრებდა სრული სახელ-გვარის მინერით! სახელი „გალაქტიონი“ არ მომეწონა, ასე მეგონა პოეტს რომელიც ვარდ-ბულბულებზე ლაპარაკობდა, სახელიც შესაფერი უნდა ჰქონოდა... გალაქტიონი სულ ამოვადგე: დარჩა ტაბიძე. ტაბიძეს ჯერაც არ ვიცი რატომ „ძე“ წარუკვეცე და დარჩა უხეირო „ტაბი“.<sup>23</sup>

**[1908].** „1907 წელს წინამურში... მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, და თითქო ამ საბედისწერო აქტით დასრულდა ერთი ხანა ქართული პოეზიისა. და უეცრად იმავე წელს... იფეთქა ახალმა მიმართულებამ ქართულ პოეზიაში. [1908 წელს] სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტების და მათ შორის გაისმოდა გალაქტიონ ტაბიძის მელანქოლით სავსე ხმაც. ამ ხანიდან (1908 წლიდან) იწყება სრულიად ახალი ხანა ქართულ პოეზიაში (პირველი მისი ლექსი დაიბეჭდა ლადო დარჩიაშვილის ჟურნალ „ახალ კვალში“ და გაზ. „ამირანში“. კრიტიკამ იგი... მაშინვე შეამჩნია; ბ. ნარი (1908 წელს) სწერდა ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“, რომ გ. ტ. საოცრად გამოირჩევა ყველა თანამედროვე პოეტებისაგან და ახასიათებდა მას როგორც ლირიკოსს. (1909 წ.) ბ-ნი ჭუმბურიძე წერილში (სიმბოლისტური ელემენტები ქ. პოეზიაში) უპირველესთა რიგში აყენებდა მას...“<sup>24</sup>

„1908 წელს... მე დამნიშნეს თბილისის სასულიერო სემინარიის რუსული ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიის მასწავლებლად. ახალი წესდების თანახმად... სემინარია სასწავლებელთა ადმინისტრაციის მიერ რეკომენდებულ მოსწავლეებს უკლებლივ რიცხავდა პირველ კლასში. შესამოწმებელი გამოცდა სწარმოებდა მხოლოდ რუსულ ენაში (კარნახი და თავისუფალი თემა)... წერთი შრომების ნაკითხვა, გასწორება და შეფასება მევალებოდა მე. მახსოვს მოსწავლეებს ასეთი თავისუფალი თემა მივეცი: Сбор винограда в Грузии... ერთი „თხზულება“ ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. იგი ყველა ნაშრომისაგან გამოირჩეოდა თავისი ორიგინალობით, კონსტრუქციით და არაჩვეულებ-

რივი პოეტურობით. თხზულება ვრცლად იყო დაწერილი, თითოეულ სტრიქონს ამკობდა მრავალგვარი ეპითეტები, მეტაფორები, შედარებები... შემდეგ ჩემთვის ცნობილი გახდა თხზულების ავტორის ვინაობა. ის გახლდათ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის წარგზავნილი გალაკტიონ ტაბიძე, რომლის პიროვნებამ მაშინ მიიპყრო ჩემი ყურადღება. პირველ გაკვეთილზე, როდესაც მოსწავლეთა გვარები ამოვიკითხე ჩემს თვალწინ იდგა საშუალო სიმაღლის, შავგრემანი, მოძრავი სახის, შუბლმაღალი, ხშირთმიანი, შავთვალა და ზრდილობიანი ქაბუკი, რომელიც მასწავლებელთან საუბრის დროს იმდენად უხერხულად გრძნობდა თავს, რომ არ იცოდა ხელები სად წაელო, ღელავდა და ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა... სხვა მხრივაც განსხვავდებოდა სხვათაგან: მპასუხობდა აჩქარებით, ნერვიულად და მორცხვად, თუმცა აზრს საკმაოდ დახვეწილად და სრულყოფილად აყალიბებდა.<sup>25</sup>

**1908.** სემინარიაში სწავლის პერიოდშიც გალაკტიონი ინტენსიურად თხზავს. ერთი ჩანაწერის მიხედვით – 1908 წელს – 5... ნაწარმოები გამოუქვეყნებია.<sup>26</sup>

„1908-1910 წლების შემოქმედებაში წინ იწევეს სიყვარულის მოტივი. ეს სრულიად ბუნებრივი ჩანს და არა მხოლოდ ასაკობრივი მომწიფების გამო. პოეტი მიისწრაფვის, არა ოდენ დატკბეს ამ ღვთიური გრძნობით, არამედ გაერკვეს კიდევ მის არსში... რა წარმართავს სიყვარულს – ბედი, გრძნეული ძალები, ინტიმური ურთიერთობა თუ... თავდაპირველად სიყვარულის რომანტიკული შეცნობა მძლავრობს. თვალსაჩინოა სხვა გავლენაც და მაინც: 1908 წლის ნაწარმოებები საგულისხმოა, თანაც არა იმდენად მხატვრული ოსტატობის, რამდენადაც მსოფლგაგების თვალსაზრისით. ამის დასტურად გამოდგება უცნობი პოემა „ბუნებასთან“. პერსონაჟთა მოქმედების მხატვრულ ლოგიკას დიდი ყურადღება არ ექცევა. ამბავიც უჩვეულოა... [პოეტის] მტკიცებით, სიყვარული, თვით სიცოცხლაც წამიერია და საწუთროს უკუღმართობის მაჩვენებელი...“<sup>27</sup>

ლექსები: „ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს“ (ძვ. თარიღი – 1908 წ.) და უსათაურო „...მტევანი, ვაზის ჯვარი..“ პირველად პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. ამიტომ ის უთარილო ლექსებს მიაკუთვნეს.<sup>28</sup>

ლექსი „რაც უფრო შორს ხარ“ დათარიღებულია 1908 წლით, მაგრამ 1927 წლამდე არსად გამოქვეყნებულა, ამიტომ მისი დათარიღება მიახლოებით თუ შეიძლება – 1927 წლამდე.<sup>29</sup>

გალაკტიონის ლექსი „პირველი მაისი“ (ავტორისეული თარიღი 1908 წ.) პირველი პუბლიკაციის მიხედვით [1933] წლით დათარიღდა.<sup>30</sup>

ლექსი „ახალგაზრდებო“ (ძვ. თარიღი 1908 წ.) საარქივო გამოცემაში [1952] წლით დაათარიღეს.<sup>31</sup>

**25 იანვარი.** ჟურნალ „ფასკუნჯში“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „ღამე“. ამ ჟურნალის შესახებ გალაკტიონს ჩაუწერია: „1909 წ. – გალაკტიონს თანამშრომლად ინვევს პირველი სალიტერატურო ჟურნალი „ფასკუნჯი“, სადაც აგრეთვე თანამშრომლობდნენ კორიფეები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. აქ გალაკტიონი ენერგიულად მუშაობს; „ფასკუნჯის“ თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება მისი ლექსები.“<sup>1</sup>

**1 თებერვალი.** ჟურნალ „ფასკუნჯში“ დაისტამბა გალაკტიონის ლექსი „ნიავი“ (ხელმოწერა: გა). 1908 წელს ეს ლექსი გალაკტიონს გამოქვეყნებული ჰქონდა თავის ხელნაწერ ჟურნალში „შუქი“ (№1).<sup>2</sup>

**12 თებერვალი.** „საყვარელო და მარად მოსაგონარო ძმაო გალაკტიონ! ენით გამოუთქმელ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ ამდენ ხანს წერილი ვერ გამოგიგზავნი. მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი. მთელი ორი თვენახევარი ავად ვიყავი და კინალამ არ წავილე წერილი საიქიოს. სხვა, თქვენი ლექსები ყველა მაქვს. პირველი წავიკითხე „ჩვენ კვალში“, მეორე „ამირანში“, მესამე „საქართველოში“. რაც შეეხება „ფასკუნჯში“ დაწერილს ლექსებს, აღტაცებაში მოვყავარ. მელიტონ ჩოგოვაძე და ჩვენი ქართულის მასწავლებელი პარმენ თვალჭრელიძე (ცახელი) ქებით გიხსენიებენ. სხვა, რა თავი შეგანყინო. მოკითხვა ყველას. ტიტე.“<sup>3</sup>

სხვაგან, მეორე ბარათში, ტიცციანი წერს: ... „რომ იცოდე, გალაკტიონ, როგორ გამიორკეცდა შენდამი სიყვარული, როდესაც პირველად „ჩვენ კვალში“ შენი პირველი ლექსი წავიკითხე. რაც შეეხება „ნიავს“ და „მომაკვდავს“, მათ ხომ საზღვარს გადააჭარბეს. წარმოიდგინე ძმაო, რომ პირველად შენ ეს ლექსები წამიკითხე. რავა ვიფიქრებდი, თუ ეს ლექსები საქართველოს პირველ ჟურნალში, როგორც „ფასკუნჯია“, დაიბეჭდებოდა. მაშ ვუსურვებ შენს კალამს გამარჯვებას, რომ ემსახუროს ჩვენ ისედაც ღარიბ ლიტერატურას...“<sup>4</sup>

**23 თებერვალი.** „ძვირფასო ძმაო გალაკტიონ! პ-დ ვისურვებ თქვენს ბედნიერ ცხოვრებას. იმედია გვიკითხავ. ჩვენ კარგად ვართ. სოფლიდგან კარგი ხანია არავინ ჩამოსულა. ძმაო გალაკტიონ, თქვენთან ერთი შესახვეწარი საქმე მაქვს. იმედია ამისრულებთ. თუ ძმა ხარ გამიგე, რა ღირს შარშანდელი ნომრები პედაგოგიურ ჟურნალის „განათლებლისა“. რაც შეეხება იმ საღამოს, რომელიც აკაკის სახელობაზე იყო გამართული, კარგად ჩაიარა. აკ. შ-ძემ წაიკითხა რეფერატი. ცოტა საზღვარს გადააჭარბა და დირექტორმა იწყინა. რაც შეეხება ჟორდანისას, მანაც წაიკითხა კარგად. მაგრამ მაყურებელთა ყურადღება არ დაუმსახურებია. სხვა, რა თავი შეგანყინო. თუ ძმა ხარ მომწერე სემინარიის ამბები. მოკითხვა ყველას – აბესალომს, გერასიმეს. ტიტე.“<sup>5</sup>

**1 მარტი.** ჟურნალ „ფასკუნჯში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „მომაკვდავი“.<sup>6</sup>

**22 მარტი.** ჟურნალ „ფასკუნჯში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ფიქრი“.<sup>7</sup>

**5 აპრილი.** გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „გაზაფხულის მოლოდინში“. ეს ლექსი შემდგომ დაიბეჭდა, კრებულში – „ახალ ჩანგი“<sup>8</sup>

**19 აპრილი.** ჟურნალი „ფასკუნჯი“ ბეჭდავს გალაკტიონის უსათაურო ლექსს „... ვარდი კოკობი, გადაფურჩქენილი...“.<sup>9</sup>

**26 აპრილი.** გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „სასაფლაოზე“. ეს ნაწარმოები გარკვეულ კავშირშია ლექსთან „ციხის ნანგრევები“.<sup>10</sup>

**24 აპრილი.** „ეგზამენი გვყავდა... სწორედ საშინელი ეგზამენი. უნდა ვთქვა, ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ათი წლის სიცოცხლე მომაკლდა... ეგზამენში გავედი და რეკტორმა (თვითონ მასწავლებელი სარევიზიოდ იყო წასული ოზურგეთში) ნახევარი საათის განმავლობაში შეუბრალებლად მანვალა... მაგრამ პასუხებსაც ჩქარა და კარგად ვაძლევდი... მე დარწმუნებული ვარ, სხვებზე უკეთესად გავიმარჯვე, ე.ი. თუ ჩემი გადაყვანა სურთ, კიდევაც გადამიყვანებენ თუ არა და, არ გადამიყვანებენ და ის არის. მე ვერ გამიგია, რას ნიშნავს ნახევარი საათი კითხვა, როცა სხვებს მხოლოდ თხუთმეტ ან ოც მინუტს კითხავდნენ... ტყვილა არ ვიძახი, ჯოჯოხეთია აქაობა მეთქი. ტანჯვა-წვალება, ცხოვრება და მე ყოველ შემთხვევაში შევეცდები, შევამოკლო დაუსრულებელი ნამება... ღმერთს გეფიცები, ერთ დღეს მტკვრის თავზე დავტრიალდები... ცოტა იმედი მაქვს, სულ ცოტა იმედი და თუ ისიც გაჰქრა, ცხოვრებაც გაჰქრება...“<sup>11</sup>

**აპრილი.** „ავგისტოს ბოლო რიცხვებში კარბოლის სიმჟავით თავის მონამვლა განიზრახა სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოსწავლემ გ. ტ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა, მის ლექსებს განცვიფრებაში მოყავს მკითხველი. თუ დღეს მას ამდენი ძალა შესწევს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უკეთესი დარჩება და ამისთანა ყმანვილი, რომ ბედნიერ შემთხვევას არა, წუთისოფელს უნდა გამოსალმებოდა...“<sup>12</sup>

**1 სექტემბერი.** „ახლა უნდა გალაკტიონს ხელის განვდენა, თანაგრძნობა... პირველ სექტემბერს ოთხმა ამხანაგმა შინ მიაკითხა. ბინა ცენტრიდან მოშორებითაა და უკვირს გალაკტიონს როგორ მიაგნეს. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს...“<sup>13</sup>

**18 სექტემბერი.** „18 სექტემბრის ინცინდენტი ღრმად ჩარჩა გულში გალაკტიონს. რუსული სიტყვიერების თეორიის მასწავლებელმა დამცინავად უთხრა ჭაბუკს: „უნდა დაგვემორჩილოო“. გალაკტიონმა მიახალა: „არავის დავემორჩილები, საკუთარი ნება მაქვს.“ ამას მოჰყვა კამათი, რაც, საერთოდ, აკრძალულია სემინარიაში. განრისხებულმა მასწავლებელმა ... ეპითეტ „იდიოტი“ კლასიდან გააძევა გალაკტიონი.“<sup>14</sup>



**19 სექტემბერი.** „ეს უცნობი სტრიქონები 1909 წლის 19 სექტემბერს არის დაწერილი: „ჩემს მწარე ქვითინს ყურს არვინ უგდებს, / ფიქრი არვინ არ გაიზიარა./ თვალთმაქცობს მხოლოდ ადამიანი, / არ აკრთობს ჩემი წყლული, იარა... / ცელქო ნიავო, დამიბრუნევი /გულისა სატრფო და მეგობარი.../ რისთვის წამართვი ნაზი ოცნება?/ რად მომიშხამე ტკბილი სიზმარი?“

სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, ბარემ იმასაც დავსძენ, რომ ტანჯვაში პოეტი ზოგჯერ გარკვეულ სიამოვნებასაც პოულობს, თვითგვემას ინდივიდის არსის გამოვლენის ერთ-ერთ საუკეთესო გზად მიიჩნევს: „მე ტანჯვისთვისა ვარ გაჩენილი, / ჩემი ხვედრია კვნესა, წამება... / დეე ვიტანჯო, ყოფნა გრძნეული/ გულს არასდროს არ დაენანება.“<sup>15</sup>

**19 სექტემბერი.** „მაღე უნდა წარვადგინო თხზულება შემდეგი სათაურით: „Библейское учение о единстве человеческого рода.“<sup>16</sup>

**21 სექტემბერი.** „ძმაო გალაქტიონ! ... მე ეხლა ვარ გვარიანათ. ცხელებამ გამიშვა. დედაჩემსაც აციებდა, მაგრამ ისიც გვარიანათ არის... 7 სექტემბერს ფული და ორი წერილი გამოვაგზავნე. მიიღე თუ არა... დედაჩემიც ძალიან ჯავრობს... მიიღე თუ არა ფული? დადიხარ კლასში თუ არა?.. გაქ არჩეული ბინა თუ არა? რას ფიქრობ მაქანა დარჩენაზე?.. თუ სემინარიაში დარჩები, რომ ჩარჩი, იმაზე ნუ ჯავრობ. ჩარჩენით ვინ არ ჩარჩენილა... თუ არ დარჩები, გიმნაზიაში ვახერხებთ რასმეს... საცვლები და ქვეშაგებელი ჩამოგიტანო თუ არა?.. შენი ძმა აბესალომი“.<sup>17</sup>

**20 ოქტომბერი.** „ახალგაზრდა პოეტი მეჯლისიდან დაბრუნდა. საზოგადოება ქართული იყო, მაგრამ არც ქართული სიტყვა ისმოდა და არც ქართული სული ტრიალებდა. ეს ანუხებს პოეტს და ლამის 5 საათზე დღიურში წერს: „რა ფიქრები არ მიტრიალებენ თავში. ვხედავ ერის გადაგვარებას, დაუძღურებას და ბოლმით მეცხება გული. ახალგაზრდობა მომავალს არაფერს კარგს უქადის, არ უნდა ფიცი.“<sup>18</sup>

**22 ოქტომბერი.** „გალაკტიონმა დაასრულა პოემა: „ქართველი ქალი“, ხოლო 14 ნოემბერს საჯაროდ წაიკითხა „საამხანაგო წრეში“... პოემა მოიწონეს. გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც. მაგალითად თ. იაკობაშვილის აზრით, „ქართველი ქალი“, მიუხედავად დიდი მოცულობისა, მაინც ლექსია და არა პოემა. ტაბიძე ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილის“ და ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ გავლენას განიცდისო. დ. თურდოსპირელი არ დაეთანხმა რეცენზენტს. მან პოემა უწოდა „ქართველ ქალს“, მშვენივრად არის დაწერილიო, ამასთანავე, დასძინა, რომ სიუჟეტი მოძველებულია...“<sup>19</sup>

**29 ოქტომბერი.** „ორი თვე, სამოსწავლო წლის მეოთხედი თავდება. ხვალ უკანასკნელი გაკვეთილება და ნიშნებსაც წარადგენენ. ღამ-ღამობით არ ვიძინებ, მაგრამ გაკვეთილებს ვერაფერი მოვუხერხე... ლამის არის დავდნე იმათ ზე-

პირობაში. ისტორიის მასწავლებელმა „ერთიანი“ დამისვა, გალობის მასწავლებელმა „ნოტების“ არცოდნისათვის „ორიანი“, ფრანგულის მასწავლებელმა კიდევ „ორიანი“... რუსული სიტყვიერება, ეს მშვენიერი საგანი, რაღაც საზიზღარ „საზუბრავ“ საგნად გახდა... მიჭირს, საშინლად მიჭირს მეცადინეობა...“<sup>20</sup>

**1 ნოემბერი.** აღმანახ „პირველ ტალღაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ფანტაზია“.<sup>21</sup>

**14 ნოემბერი.** პოემა „ქართველი ქალი“ 14 ნოემბერს საჯაროდ წაიკითხა „საამხანაგო წრეში“. განხილვას დაესწრნენ არა მხოლოდ სემინარიელები, არამედ სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეები, გარეშე პირებიც... მსმენელები აღტაცებულნი დარჩნენ პოემის ფორმით, იდეა კი დაუწუნეს. ამას გალაკტიონი შემდეგნაირად ხსნის: „წრეში ყველა სოციალ-დემოკრატია. ისინი „სამშობლოს“ „კაცობრიობით“ ცვლიანო. ეს მეტად მნიშვნელოვანი განცხადებაა. იგი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გალაკტიონი არ იზიარებს სოციალ-დემოკრატთა ყველა შეხედულებას, უფრო მეტიც, პრინციპულად ეწინააღმდეგება მათ ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით...“<sup>22</sup>

**25 ნოემბერი.** „კვირას, 29 ნოემბერს გამოვა თვიურ აღმანახის „პირველი ნაბიჯის“ მეორე ნომერი შემდეგი შინაარსით: ...“კოლხიდა“, ლექსი გ. ტაბიძისა...“<sup>23</sup>

[**29 ნოემბერი**]. გამოვიდა აღმ. „პირველი ნაბიჯის“ მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონის ლექსი „კოლხიდა“. შემდეგ ის იბეჭდებოდა სათაურით „კოლხიდაში“.<sup>24</sup>

**1 დეკემბერი.** გალაკტიონის ლექსი „რისთვის?“ დათარიღებულია: „1909 წ. 1 დეკემბრით“.<sup>25</sup>

**6 დეკემბერი.** ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ გ. ტაბიძის ხელმოწერით დაიბეჭდა ლექსი „ყვავილი“ (№ 6), სინამდვილეში ეს ლექსი ტიცინისაა.<sup>26</sup>

[**6 დეკემბერი**]. აღმანახ „პირველ ტალღაში“ დაისტამბა გალაკტიონის ლექსი „მნუხარება“.<sup>27</sup>

**1909.** „გალაკტიონი თხზვაში პოულობს შვებას. წერით კი ბევრს წერს. დაამთავრა დრამატული ნაწყვეტი „სამი სურათი“, დაწერა პოემა „მწყემსის“ X თავი, დაიწყო ხუთმოქმედებიანი კომედია „ფრანტიშვილი“... ნადსონის „იუდას“ მიბაძვით წერს პოემას „კაენი“.<sup>28</sup>

გალაკტიონის ერთი ჩანაწერი გვამცნობს – 1909 წელს მას 11 ნაწარმოები გამოუქვეყნებია.<sup>29</sup>

„ჯაში ვნახეთ და გალაკტიონი კიდეც გასინჯა. უთხრა, ფილტვები გქონია სუსტი და პაპიროსის წევას თავი უნდა დაანებო. აგრეთვე, რაც შეიძლება, კარგი საზრდოობაა საჭირო, დღეში ერთი ბოთლი რძე უნდა სვაო. ღვინო ძალიან ცოტ-ცოტა უნდა დალიოს. მეცადინეობა შეგიძლია, მაგრამ დიდხანს მეტისმეტს ვერ აიტანო... ინერები, გალაკტიონი წერილს რათ არ მწერსო. ამდენი შვიდი კაპიკი მასხრობა ხომ არ არის. სხვა, შარვლები არცერთს არ გვქონდა და ოცი მანეთი რომ მომივიდა, შარვლები შევიკერეთ. გალაკტიონს კიდეც „პოლსაპოჟეები“ ქონდა დახეული და გავუკეთე.“<sup>30</sup>

ლექსი „შემოქმედება“ (ძვ. თარიღი 1909 წ.) პირველი პუბლიკაციის მიხედვით 1912 წლით დათარიღდა.<sup>31</sup>

გალაკტიონის ლექსი „ხელოვნება“ (ძვ. თარიღი 1909 წ.) [1914] წლით დათარიღდა.<sup>32</sup>

[1909] წლით დათარიღებულ ლექსს „ხალხური მოტივებიდან“ („კლდეში ხმალი გადუნახავთ..“), პირველი პუბლიკაციის მიხედვით შეეცვალა თარიღი: 1950 წელი.<sup>33</sup>

**1909.** „თბილისის სასულიერო სემინარიაში 1909 წელს შევედი. გალაკტიონი წინა წელს ჩაურიცხავთ, მაგრამ დარჩენილა და ისევ პირველ კლასში დამხვდა. სხვა მოწაფეთაგან განსხვავებული ჩვევები ჰქონდა. მოწაფეების ცელქობასა და ხმაურობაში არ მონაწილეობდა. შესვენების დროსაც კი მერხზე იჯდა თავისთვის განმარტოებით. მოწაფეებიდან თუ ვინმე მივიდოდა და გამოელაპარაკებოდა, პასუხს გასცემდა. ისე, დაახლოებული არავისთან ყოფილა. სწავლაში სისუსტეს იჩენდა, გამოძახებაზე, უმეტეს შემთხვევაში, ასეთ პასუხს იძლეოდა: არ ვიცი გაკვეთილიო. მასწავლებლები ემდუროდნენ და უსაყვედურებდნენ კიდეც.. ხედავდნენ, რომ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, საკმაოდ განვითარებულიც და უკვირდათ, საგნებს ასე გულგრილად რატომ ექცეოდა. როცა მეორე კლასიდან სწავლას თავი დაანება.. ყველას გული დასწყდა: მასწავლებლები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.“<sup>34</sup>

**2 იანვარი.** ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „მსახიობ ქალს“.<sup>1</sup>

**17 იანვარი.** დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „პოეზია“ (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.<sup>2</sup>

**[17 იანვარი]** აღმანახ „ახალ ტალღაში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ახალ ტალღას“.<sup>3</sup>

**18 იანვარი.** „1910 წლის 18 იანვარს თავი მოიკლა გალაკტიონ ტაბიძის სემინარიის პერიოდის უახლესმა ამხანაგმა და მეგობარმა დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძემ – დემონმა, რამაც ძლიერ იმოქმედა პოეტზე (იმდენად ძლიერი იყო ზემოქმედება, რომ გალაკტიონ ტაბიძემ კინალამ მიჰბაძა ქუჩუ ქავთარაძეს). გულგატეხილმა გალაკტიონმა სემინარია მიატოვა და სოფელში დაბრუნდა. სასწავლებლის მიტოვებამ დედის, ბიძის და ძმის (რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ რომ „გატუნა კურსშეუსრულებელი არ დარჩენილიყო“) აღშფოთება გამოიწვია, რასაც დიდი უსიამოვნება მოჰყოლია...: და, ჩანს, უკვალოდ არ ჩაუვლია: „რამდენი ხანია კარგს განწყობილებაში არ ვყოფილვარ დედასთან და ძმასთან... ამ ხნის განმავლობაში საშინელი გაჭირვება გამოვიარე. ეგ კი არ იცოდა დედაჩემმა, ღმერთო ჩემო, რამდენი გაჭირვება! თუ როდესმე ბედნიერ ცხოვრებას ველირსე, ჩემს მოგონებებში წითელი ასოებით დაინერება ის... წელიწადი.“<sup>4</sup>

**[25 იანვარი].** „ჩემი სკოლის ამხანაგი ქუჩუ ქავთარაძე ბრწყინვალე განათლებისა და ნიჭის კაცი იყო. სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. მახსოვს, მისი დაკრძალვა მიტინგად გადაიქცა... მე ლექსით გამოვედი იქ. (გალაკტიონის სკოლის ამხანაგების გადმოცემით, ეს იყო „მე დავიბადე განთიადისას.“)<sup>5</sup>

**30 იანვარი.** „ძვირფასო მეგობარო... შენი აჩრდილი თვალწინ მიდგას ყოველს ნაბიჯზე. შენი ნაღვლიანი სახე მაშფოთებს და უიმედო ბოღმით მივსებს გულს. რა ვქნა, უბედურმა, უთვისტომომ, რამ გამიქარწყლოს მოზღვავებული შავ ფიქრთა გუნდი... ცრემლმორეული დავფარფატებ სემინარიის კედლებში... „დაობლდაო!“ ჩურჩულებენ მოსწავლეები... ნუთუ მართლა დავობლდი... ნუთუ მართლა არ არის ქუჩუ... ჩვენი ქუჩუ...“<sup>6</sup>

**[31 იანვარი].** „გალაკტიონი აღფრთოვანებული იყო მელიტონ ჩოგოვაძით... „ღრმად მცოდნე სამშობლოს ლიტერატურისა და ქართული ენის შეუდარებელი მასწავლებელი... მან ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა გალაკტიონის ნიჭი და სწორად განჭვრიტა მისი მომავალიც... ახალისებდა, უწონებდა ლექსებს... მ. ჩოგოვაძე უდროოდ გარდაიცვალა 1910 წ. 31 იანვარს.“<sup>7</sup>

„1910 წლის იანვარში გ. ტაბიძე თავს ანებებს თბილისის სასულიერო სემინარიას და სოფელში ბრუნდება. სკოლების მთავარმა მეთვალყურემ, თ. ჟორდან-

ნიამ, გ. ტაბიძე, თანახმად უკანასკნელის განცხადებისა, დანიშნა მასწავლებლად შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალის (დღევანდელი ხარაგაულის რაიონის – მ. შ.) დაწყებით სკოლაში, სადაც გ. ტაბიძე მუშაობდა 1911 წლის სექტემბრამდე.<sup>8</sup>

**7 თებერვალი.** ქვეყნდება გალაკტიონის ლექსი „მსახიობის დღიურიდან“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“)<sup>9</sup>

**21 თებერვალი.** ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი: „ბრძოლაში ვეძებ.“<sup>10</sup>

**თებერვალი.** ალმანახში „ჩვენი ნაბიჯი“ გამოქვეყნდა „ოცნება კლდეზე“<sup>11</sup>

**7 მარტი.** დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „მხოლოდ ბუნება“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება.“<sup>12</sup>

**28 მარტი.** ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს გალაკტიონის ლექსებს: „დემონი“ და უსათაურო... „ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კვნესა.“ შემდგომ გამოცემებში პოეტმა ეს ნაწარმოებები ერთ, უსათაურო ლექსად გააერთიანა და „... გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის...“ უწოდა.<sup>13</sup>

**29 მარტი.** „... ჩვენ ვხედავთ ახალს, მთლად ნორჩ ძალებს: რუხადეს, ახოსპირელს, მალაქიაშვილს, ქუჩიშვილს, ზომღეთელს, თურდოსპირელს, ტუქსიშვილს, ტაბიძეს, მაყაშვილს... და სხვებს.“<sup>14</sup>

**6 აპრილი.** „ერთი კვირის წინად გარდაიცვალა ვრუბელი; ისე, რომ არც კი გაუგონია ნამდვილი დაფასება მისი ნიჭისა. არც კი იცოდა, თუ სახელი მოეძებნებოდა კიდევ დედამიწაზე. ყველასაგან ფეხქვეშგათელილ მხატვარს სასოწარეკვეთა. იქნებ ის ფიქრიც გაუჯდა ძვალ-რბილში, რომ მართლა უნიჭო იყო? გვიანლაა მიცვალებულისათვის სიტყვის თქმა: შენ გენიოსი იყავი!“<sup>15</sup>

**18 აპრილი.** გამოქვეყნდა ლექსი „სასაფლაოზე“. მოგვიანებით გალაკტიონმა მას „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“ დაარქვა.<sup>16</sup>

ჟურნალის ამავე ნომერში, სათეატრო ამბებში (გვ. 16), გამოქვეყნებულია ცნობა: „იბსენის პიესა „ბრანდი“ ითარგმნება ქართულად მ.(?) ტაბიძის მიერ“.<sup>17</sup>

**26 აპრილი.** „ოცდაექვსი აპრილიდან პირველ აგვისტომდე გალაკტიონი მშობლიურ ქყვიშია.“<sup>18</sup>

**9 მაისი.** ქვეყნდება გალაკტიონის ლექსი „ფარვანა“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება.“<sup>19</sup>

**16 მაისი.** ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „რა მშვენიერი იყო ნამი“.<sup>20</sup>

„[გალაკტიონი] გულისნორს ეძებს, გამოჩნდა კიდეც 17 წლის მომხიბლავი გოგონა. მას მარო ჰქვია. მამა სომეხი ჰყავს, დედა – რუსი... სხვათა შორის გალაკტიონს მისთვის მიუძღვნია ლექსი – „რა მშვენიერი იყო ნამი“ (ადრე მას „ნამი“ ერქვა). ამაზე მეტყველებს ერთი უცნობი ავტოგრაფი. ეს გატაცება ხანმოკლე აღმოჩნდა.“<sup>21</sup>

**[მაისი].** „1910 წელს, სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, ქუთაისში შეიკრიბა სოფლის მასწავლებელთა ყრილობა, რომლის მუშაობაში გალაკტიონმაც მიიღო მონაწილეობა. ამ ყრილობის ერთი მონაწილეთაგანი იგონებს: „ყრილობაზე გალაკტიონმა მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, მან გააკრიტიკა ბავშვებთან მუშაობის არსებული ფორმები და მოითხოვა მათი გადახალისება, გაუმჯობესება, დაჰგმო სკოლებიდან ქართული ენის განდევნის პოლიტიკა... სკოლებში ქართული ენის სწავლება არაფერი საჭირო არ არისო, გვეუბნებიან და ამას ჩვენ ვითმენთ, ხოლო ქართველობა რად გინდათო, ვინმემ რომ გვითხრას, ალბათ ცოცხალი ვერ გადაგვირჩება. ეს ხომ ერთი და იგივეა, ქართული ენა თუ არ გვექნება – არც ქართველები ვიქნებითო, თქვა ყრილობაზე გალაკტიონმა.“<sup>22</sup>

**6 ივნისი.** ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „დილა.“<sup>23</sup>

„...ათასჯერა სთქვეს და მეც ვიტყვი, არა გვყავს კრიტიკოსი... აბა რა უნდა გააკეთონ ჩვენმა პოეტებმა ამ გვარ მდგომარეობაში? მათ არ აძლევენ გზას, სინათლეს... პირუთვნელად არ ამხელენ მათ ცოდვებს და ხლართი ხლართადვე რჩება... როგორ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ისეთი ნიჭიერი პოეტები, როგორებიც არიან: იასამანი, შანშიაშვილი, ბაბილინა, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე და სხვები, იმავე მდორზე იქნებიან ხვალაც, რაზედაც დღეს არიან... არ შეამსუბუქებს განა მათ მდგომარეობას ის ცვლილება, რომ ჟურნალ-გაზეთებში მეტი ადგილი დაეთმობოდეს უცხოელ ახალ მიმართულების პოეტთა განხილვას...“<sup>24</sup>

**13 ივნისი.** გალაკტიონის ლექსი „ყვავილები“ დაისტამბა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება.“<sup>25</sup>

**20 ივნისი.** ქვეყნდება გალაკტიონის უსათაურო ლექსი „...არ მშორდება სევდა მწარე...“<sup>26</sup>

**ივნისი.** ჟურნალი „ნაკადული“ (მოზრდილთათვის) აქვეყნებს გალაკტიონის უსათაურო ლექსს: „...ათას ფერად მოქარგული.“<sup>27</sup>

**4 ივლისი.** დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ნიაღვარი“ (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება.“<sup>28</sup>

**20 აგვისტო.** გალაკტიონი 20 აგვისტოს ახალ გადაწყვეტილებას იღებს: სამრევლო სკოლაში მასწავლებლად წასვლა სურს.<sup>29</sup>

**5 სექტემბერი.** „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს გალაკტიონის ლექსს: „გაზაფხულის ღამე.“<sup>30</sup>

**19 სექტემბერი.** ჩვენ ტიუტჩივი არ გვყოლია, ბუნების უმაღლეს წერტილამდე აღმწერელი პოეტი, მაგრამ ამის იმედს საკმაოდ იძლევა ახალგაზრდა მგოსანი გ. ტაბიძე. ამაში დამარწმუნა ტაბიძის მშვენიერმა ლექსებმა (იხ. „ფასკუნჯი“, „თეატრი და ცხოვრება“). ნაიკითხეთ პანია, მაგრამ კობტა ლექსი „ნიაღვარი“, ნახეთ რა წუნდაუდებელი აღწერაა ლექსის ერთ ნაწილში: „როცა მზე მწვერვალს გადმონათებს... რა სული შეჰქმნის სტიქიას ამგვარს?“... კარგი აღწერაა ბუნებისა ტაბიძის სხვა ლექსებში: მაგ. „ღამე“, „ნიავი“, „ფიქრი“, „სასაფლაოზე“...<sup>31</sup>

**26 სექტემბერი.** გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „კოლხიდაში“. შემდეგ ის მცირეოდენი ცვლილებით დაიბეჭდა გალაკტიონის პირველ წიგნში, სათაურით: „კვენესა“. თხზულებათა თორმეტტომეულში კი ეს ლექსი უსათაუროდ: „... მთის მწვერვალებს, მთის მწვერვალებს“ შეიტანეს.<sup>32</sup>

**27 ოქტომბერი.** „სახალხო გაზეთში“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „ტყეში.“ ლექსი ავტორს ფორმის მხრივ სიახლედ მიაჩნდა.<sup>33</sup>

**ნოემბრის დასაწყისი.** „გალაკტიონი სოფლიდან ქუთაისში ჩამოდის, თანაც დამოძღვრილი, ყურთან ახლაც წკრიალებს დედის ხმა: გაინძერი, იქნებ მასწავლებლის ადგილი იშოვო...“<sup>34</sup>

**6 ნოემბერი.** „საღამოზე სახლის კარები ჩავკეტე და ქუჩაში გავედი. მე ქალაქის განაპირას ვდგევარ და სანამ თეატრის წინ მივიდოდე, კარგა მანძილი უნდა გავიარო. იქ უთუოდ ნაცნობს რომელიმეს შევხვდები და დაველაპარაკები, თორემ მარტო, მთელი დღე მარტო პატიმარივით მოსაწყენია... აი, ვხედავ, წითელკაბიან ქალს მომხიბლავი ცისფერი თვალები აქვს... მე ხშირად ვხვდები იმას და ვერ ვიცნობ კი. ვინ არის? აი ახლაც გვერდით ჩამიარა, თვალები მომამტერა და წამოიძახა – Поэт, даа... მე საჩქაროთ გვერდი აუარე და გულში რაღაც სიამაყე ვიგრძენი... მგოსანი ვარ, რადგან ახლა ამ ქალმა მითხრა ღვთაებრივი სიტყვა „მგოსანი“...“<sup>35</sup>

**12 ნოემბერი.** „სახალხო გაზეთი“ აქვეყნებს გალაკტიონის ლექსს: „შემოდგომა.“<sup>36</sup>

**15 ნოემბერი.** „15 ნოემბერს გალაკტიონი სამასწავლებლო გამოცდებს აბარებს და ხარაგოულიდან ორი ვერსით დაშორებულ სოფელ ფარცხნალში სამრევლო სკოლაში იწყებს პედაგოგობას.“<sup>37</sup>

**3 დეკემბერი.** „ძვირფასო ძმაო გალაკტიონ!.. შენგან გამოგზავნილი წერილი მივიღე, რომელმაც ფრიად სასიამოვნოდ იმოქმედა ჩემზედ. ერთი იმ მხრით, რომ შენს კარგათ ყოფნას მატყობინებდა და მეორეთ იმით, რომ მასწავლებლის ადგილი გიშოვნია. ეხლა არაფერი გიჭირს, თუ ჭკუით იქნები. წიგნების საკითხავადაც ბევრი დრო გაქვს და სანერადაც, მატერიალური მხრითაც უზრუნველი იქნები... როგორ შეეწყვე მასწავლებლობას? როგორ ატარებ დროს? ყოველივე მოიწერე... შენ ცოტა უზრუნველი კაცი ხარ, ღვინის სმას არ მოკიდო ხელი... თუ ფული მექნა... მაშინვე გამოგიგზავნი სამაგიეროს... შენი ძმა აბესალომი.“<sup>38</sup>

**15 დეკემბერი.** „ძმაო გალაკტიონ!.. ახლა მაინც მოიწერე, თუ როგორ ხარ? როგორ შეეგუე მასწავლებლობას, რას აკეთებ, რას შვრები? დედაჩემისგან მოგდის წერილები? შენ თუ უგზავნი წერილებს? სად დგეხარ ბინაზე?.. კაცო, ერთი რამ მაკვირვებს, ამდენი ხანი არ ისვენებდი? არა, რატომ არაფერს წერ... კვირის ნომერი წაიკითხე? რაღაც ტიტეზედაც იყო დაწერილი. დამატებაში გრიშაშვილის ლექსის ბოლოც წაიკითხე, რანაირად წააგავს შენი ლექსის ბოლოს „მსურს ნალველი“... ერიდე თუ ძმა ხარ, ღვინოს, თორემ ბოლოს სინანული იცის ხოლმე... შენი ძმა აბესალომი.“<sup>39</sup>

**დეკემბერი.** „როგორც ირკვევა, გალაკტიონი არა მხოლოდ უმეგობრდება ბახუსს, არამედ ცდილობს ახსნა მოუძებნოს თავის საქციელს. ამგვარი განწყობის ჟამს არს დაწერილი შემდეგ ლექსი: „დავლით ძმებო, დავლოთ, აავსეთ ღვინით ეგ თასი.../ ღვინოში არის სიმართლე, ტკბილი ნექტარი იქ ვპოვოთ,/ ტანჯვა – ვაება და კვნესა დავმარხოთ, გამოვიგლოვოთ...“ ეს ტექსტი ალ. ჭავჭავაძის ზოგიერთი ნაწარმოების ასოციაციას იწვევს. მაგრამ ამ ორი პოეტის ნააზრევს შორის მაინც თვალსაჩინო განსხვავებაა. ქართული რომანტიზმის ფუძემდებლთა ღვინო ცხოვრების უკეთ შეცნობის, სულიერ-ხორციელი ტკბობის წყაროა, ხოლო გალაკტიონისათვის რეალობის უარყოფის, მისგან გაქცევისა და ილუზიურ სამყაროში თავშეფარების საშუალებაა. ამაზე მეტყველებს მეორე ლექსიც: „მსურს დავწყების მივეცე ზვირთებს.../ ჩემს გულის ღელვას სხვა ვინ იტვირთებს,/ სულს რა მოაცლის უხილავის ფრთებს,/ ფრთებს განუსაზღვრელ მარტოობისას?.../ გვიან გავიგე, რომ სისულელე/ და შეცდომაა მთელი ცხოვრება-/ ჩემი ოცნება და სიგულწრფელე,/ ჩემი სპეტაკი დამეგობრება./ ჩემი სიტყვები ტკბილი ალერსის,/ შეურაცხყოფის თმენა და თმენა,/ ჩემი უსაზღვრო სინაზე ლექსის,/ სთქვი – აბა, ვინ რად გამოიყენა?... გვიან გავიგე, რომ სიყვარული/ სამარადჟამო ქვეყნად არ არის,/ ფერფლად გადმექცა რწმენა ფარული/ და სიყვარულის ტკბილი ტაძარი./ ბრძენო, რომელთაც არა გრწამთ სევდა,/ თქვენ, მხიარულნო, და თქვენც მგოსნებო,/ დაგრჩათ რამ კიდევ სასიხარულო,/ ან საედემო, ან საოცნე-



ბო?/ მომეცით თასი, დავცალო ღვინო –/ უნდა ვიცელებო, უნდა ვიცინო...“ ამ ნაწარმოებში, რომელიც 1910 წლის დეკემბერშია დაწერილი, გლობალური ხედვა იგრძნობა. ლირიკული გმირის სევდას საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა.“<sup>40</sup>

**1910.** „სატანა“ 1910 წლით თარიღდება. მისი შექმნის იდეა გალაკტიონს გაცილებით ადრე დაეებადა. ისიც ირკვევა, რომ 1910 წლის შემდეგ ტექსტმა ცვლილებები განიცადა... ჩამატებულია ცალკეული პასაჟები და სტროფები... დიახ, სარედაქციო ჩარევა აშკარაა, მაგრამ პოემა ძირითადად მაინც 1910 წელს არის გამართული. ეს აღნიშნულია კიდევ ხელნაწერის სატიტულო გვერდზე.“<sup>41</sup>

„... 1910 წელს გალაკტიონი წერს დრამას: „ფული“. მხატვრული ღირსებით იგი, რა თქმა უნდა, ვერ გაუტოლდება ამ პერიოდის რჩეულ ლირიკას, მაგრამ უთუოდ საინტერესოა ახალგაზრდა მწერლის მსოფლმხედველობისა და განწყობილების გასაცნობად.“<sup>42</sup>

„...ლირიკულ-რომანტიკული პოემა „შანშე“, რომელიც 1910 წლით თარიღდება... დემონის (ქუჩუ ქავთარაძის – მ.შ.) სსოვნას მიუძღვნა.“<sup>43</sup>

ერთი ჩანაწერის მიხედვით, გალაკტიონს 1910 წელს 20 ნაწარმოები გამოუქვეყნებია<sup>44</sup>

„რა სუფთა ალტია, გასაოცრად ხვერდოვანი და წკრიალა, ძლიერი ალტი! უნაზესი ლირიკაა! რამდენი წლის ხართ? – თხუთმეტის, ბატონო ნიკო. როდესაც ოცს წელს გადასცდებით, ეს თქვენი ალტიც ბარიტონად იქცევა. ჩვეულებრივ ასე ხდება. დარჩით ჩემს გუნდში, ვიმღეროთ ერთად – ხალისიანად სთქვა მან და მხარზე ხელი დამკრა. ასე გავხდი ნ. სულხანიშვილის მომღერალთა გუნდის წევრი. ეს იყო 1910 წელს.“<sup>45</sup>

**1910.** „ძმაო გალაქტიონ! შენგან გამოგზავნილი წერილი მივიღე და ძალიან გავკვირდი. ვინ ჩაგიჭედა თავში ეს „თავისუფალ ჯარისკაცად“ მომზადება? საკვირველია ღმერთმანი, ოცი მანეთი თვეში გადაიხადო, ქუთაისში თუ დარჩი, ხომ ნაკლები არ გეყოფა, და მერე რისთვის? ჯარისკაცად წასვლისათვის... არის სხვა და სხვა საშუალებები, რომლითაც შეიძლება სალდათობიდან განთავისუფლება. ჯერ ვითომც სექტემბრამდის მასწავლებლობას როგორ ვერ იშოვი. მეორე, იქნებ ზომაში არ მოხვიდე და მესამე, იქნებ კენჭი არ შეგვხდეს... თუ დაინწყებ მომზადებას, ისევ სემინარიისათვის მოგამზადებ... თორემ აბა მითხარი, სად არის იმდენი, რომ შენ ქუთაისში იცხოვრო... ჯერ არ ვიცი, რა გადაწყვიტეს 20 იანვარს, მგონი ამ დღეს „სოვეტი“ იყო. ვინ იცის, იქნებ კიდევ დაგნიშნეს. „რაპორტი“ მესამე მასწავლებელზე გაგზავნილია. მეც წერილი გავუგზავნე, შეიძლება კიდევ დაგნიშნეს... შაბათს კი არა, პარასკევს საღამოს მელოდე. შაბათი უქმეა – მირქმეა და მაშინ გამოვარკვიოთ ყველაფერი. შენი ძმა აბესალომი.“<sup>46</sup>

„გალაკტიონი ერთ წელიწადს მასწავლებლად მუშაობდა სოფელ ფარცხნალში. ეს იყო 1910 წელს. ქართულ ენასა და არითმეტიკას ასწავლიდა II კლასში. ცხოვრობდა ლადიმე ხარაძის ოჯახში (აკად. ე. ხარაძის მამა). მაშინდელი „სკოლა“ ეკლესიის ეზოში იყო. გაკვეთილების შემდეგ ბავშვებს შემოიკრებდა და დამატებით ამეცადინებდა. სხვადასხვა საბავშვო წიგნებს უკითხავდა... ეკლესიის ეზოში დღესაც დგას ცაცხვის ხე, რომელიც გალაკტიონს დაურგავს...“<sup>47</sup>

**1910.** „...ყველა აღიარებს გალაკტიონის ნიჭს... 1910 წელი. მეექვსე კლასში უკანასკნელი გაკვეთილი ტარდება. სემინარიის რექტორი ერთ მოსწავლეს ეკითხება: თხზულება წარმოადგინეთ? არა მამაო. მერე რას აპირებთ, ყოფაქცევაში სამი გამოგყვებათ, მაპატიეთ, დღესვე დავწერ და წარმოგიდგინთ. დღესვე დასწერ! არა, სადაური ნიჭის პატრონი ხარ, რომ ერთს წუთში დასწერო? შენც ხომ გალაკტიონ ტაბიძე არა ხარ, „Вдохновение“ მოგივიდეს და...“<sup>48</sup>

„... ეს ნაწარმოები (პოემა „შადრევანი – მ.შ.“) ხსენებული სათაურით უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. იგი 1910-11 წლებში არის დაწერილი და საბოლოოდ მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებული. მგოსანს იგი „მწყემსისათვის“ შეუერთებია.“<sup>49</sup>

„...შეჯერდებით 1910 წელს დაწერილ უცნობ ლექსზე, რომელსაც ერთგვარი შემაჯამებელი ხასიათი აქვს. მასში ხაზგასმულია ყველა ის მიზეზი, რომელთა გამოც პოეტი სევდიანია და ამა ქვეყნიდან ილტვის... არსებითი მაინც ორი გარემოებაა. 1. გალაკტიონის მგრძობელობა უკიდურესად გამახვილებულია... დრამატიზმი ქარაფამდეა მისული. პიროვნება ჭეშმარიტად ტრაგიკულია. 2. წინა პერიოდში საგნებსა და მოვლენებს ძირითადად სხვათა გავლენით აფასებდა, ახლა უფრო დამოუკიდებელია... ადრე თუ ოპტიმიზმი მძლავრობდა, ახლა პესიმიზმი დომინირებს. საქმე გვაქვს ახალ პიროვნებასთან. იწყება დიდი გალაკტიონი.“<sup>50</sup>

**1910** წელს დაწერილ ლექსებს დაემატა „ჩემო მადონნავ!“<sup>51</sup>

ლექსი „დაფნა“, რომლის ავტორისეული თარიღიც 1910 წელი იყო, დათარიღდა [1927] წლამდე.<sup>52</sup>

გალაკტიონის ლექსი: „გამოსალმება“ (ძვ. თარიღი 1910 წ.) პირველი პუბლიკაციის მიხედვით [1912] წლით დათარიღდა.<sup>53</sup>

ლექსი „გამონაკლისი“ (ძვ. თარიღი 1910 წ.) პირველი პუბლიკაციის მიხედვით [1940] წლით დათარიღდა.<sup>54</sup>

ათიანი წლების დასაწყისში გალაკტიონი გატაცებულია რუსი სიმბოლისტებით. „პირდაპირ ნთქავს კ. ბალმონტის, ა. ბელის, ა. ბლოკის და სხვათა ლექსებს.“<sup>55</sup>

**იანვარი.** „სოფელმა არათუ დაამშვიდა, არამედ კიდევ უფრო ააფორიაქა პოეტი. არ ჩანს ნათელი პერსპექტივა. გალაკტიონი რამეს უნდა ჩაებლაუჭოს, თორემ დაილუპება. სკოლა ვერ გამოდგება მთავარ ორიენტირად... არც ინტელექტუალური საზოგადოებაა ირგვლივ... სასმელს მიეძალა... გალაკტიონი ეფემერულად მაინც ახერხებს ყრუ გარემოცვის გარღვევას – მახლობელ სოფლებში მოგზაურობს ისტორიულ ძეგლებს ათვალიერებს. 1911 წლის დასაწყისში გალაკტიონი რამდენიმე დღით ბათუმს ეწვია. ამ სტუმრობას უნდა ვუმადლოდეთ ლექსს „არაჩვეულებრივი ზამთარი 1911 წელს“.<sup>1</sup>

ამ ლექსის შესახებ თორმეტტომეულში ნათქვამია: „...ნანერია ბურთულიანი ავტოკალმით. დაწერის ადგილი მიწერილია ნითელი მეღვინით. ბურთულიანი ავტოკალამი ხმარებაში იყო 1948-51 წლებში. ე.ი. გვიანდელი გადაწერილია. ამ გარემოებამ ეჭვი დაბადა ლექსის თარიღის მიმართ. როგორც გაირკვა, გ. ტაბიძე მართლაც იყო ბათუმის რაიონში 1911 წელს... თანაც საქართველოში არაჩვეულებრივი დიდი ზამთარი იყო სწორედ იმ წელს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ლექსი აღნიშნულ ხანას უნდა ეკუთვნოდეს ( თუმცა გ. ტაბიძე ზამთარში ან მის მახლობლად არა ყოფილა).“<sup>2</sup>

**[14] იანვარი.** „გამარჯვება რაისა! ხომ კარგადა ხართ? რა ამბავია ქუთაისში? რა ამბავია გაზეთებში? მე მათ დიდხანია აღარ ვკითხულობ. ახალი აქ მხოლოდ ის არის, რომ ერთ პოემას ვწერ... შიგ ერთი გმირი ქალიცა მყავს გამოყვანილი – სახელად რაისა (ხომ არ გეწყინათ?) რანაირად ვსწუხვარ, რომ ქუთაისში ვერ გამოვიარე, ვერც აღთქმული წამოგიღეთ, მაგრამ არა უშავს რა, შემდეგისთვის იყოს. „ბრანდიც“ თქვენთვის შემომინიწავს. მალე დავაბეჭდვინებ... მშვიდობით, თქვენი პატივისმცემელი გ. ტაბიძე. ჩემი ადრესი ხომ იცი: სტ. Белогор, учителю Г. Т“<sup>3</sup>

**20 იანვარი.** „მე გულში მაქ შენი „შემოდგომა“ ნავიკითხო. ვერ წარმოიდგენ, როგორი სიხარულით მივეგებე შენ „მწყემსს“. მაგრამ გირჩევდი კი შენთან რომ ვყოფილიყავი, პატარახან დამწიფებულებიყო ეს მშვენიერი პოემა – ვინაიდან ცოტა სიჩქარე ეტყობა! საერთოდ, კარგი შთაბეჭდილება აქვს. გალაკტიონ! რაც შეიძლება იკითხე. ამ პოემაში შენ ქალთა საკითხისთვის მოგიკიდნია ხელი და მკაფიობა ცოტა ვერ ეტყობა. ბუნების სურათები ალაგ-ალაგ გენიოსურია. ყოჩაღ! ნიჭიერი ხარ ბიჭო, ნიჭიერი. ი. გრიშაშვილმა გიკითხა აგერ წინად. სახალხო სახლში ვნახე. სულ მუდამ შენ გკითხულობს, როცა კი ვნახავ. ადრესი მკითხა, მაგრამ არც მე ვიცოდი. კითხა ტიტეს და ს. კლდიაშვილს.“<sup>4</sup>

**27 იანვარი.** „დღევანდელი ხანა გარდამავალია, თავისუფლების წმინდა ჰანგები შეჩერდა... მწერალთა გუნდიც ორ ბანაკად გაიყო. ერთი მხრივ დადგნენ ისინი, რომელნიც შეპყრობილნი არიან სოციალური სულისკვეთებითა და აღმაფრენით, მეორე მხრით, რომელნიც გუნდრუკს უკმევენ ბურჟუაზიულ სულისკვე-

თებას. მე აქ საუბარი მექნება ჯერ უკანასკნელებზე. შანშიაშვილი, გრიშაშვილი, გ. ტაბიძე, აბაშისპირელი და სხვანი. ერთ განსაზღვრულ მიმართულებას სცემენ თაყვანს... იმათთვის სინამდვილე არ არსებობს, პიროვნებისათვის ბრძოლა შორს მიუგდიათ და ერთი მათ მიზანი საკუთარი „მეა“. საკუთარი „მე“ მათთვის ღმერთია. ესენი სულ სხვა ნიადაგზე სდგანან და ეს ნიადაგი ჩემის აზრით ყალბია, ეგოისტურია. ადამიანი მისთვისაა გონიერი, რომ ტანჯულ-წამებულთა ვიში და ვაი გაიზიაროს, უნდა ეცადოს „ერის ნყლული აჩნდეს ნყლულად...“<sup>5</sup>

**14 თეზერვალი.** „ძვირფასო ძმაო გალაქტიონ!.. ეს მეოთხე წერილია, რომ გიგზავნი ბელოგორში<sup>6</sup> და სამაგიეროთ, მხოლოდ ერთი ღია წერილი მივიღე... გემუდარებოდი... მოგენერა თუ როგორ ატარებდი დროს? რა წიგნებს კითხულობდი? რა გვარი იყო შენი ფიქრები? რას ხარჯავდი, ვისთან ცხოვრობდი?.. წერდი რამეს თუ არა?.. გაზეთშიაც ვერაფერს ვხედავდი შენს ნაწერებს... აქ კიდევ ერთი ორკაპეიკიანი გაზეთი გამოდიოდა „სინათლე“, რომელშიაც ერთი ვილაც პსევდონიმს ამოფარებული ქართველ პოეტებს არჩევდა (ახალგაზრდებს). შენც და ტიტეც იყავით იმ ახალგაზრდა მწერალთა შორის მოხსენიებული. ავტორი ამბობდა: ეს შან., გრიშ., გ. და ტ. ტაბიძეები ხალხზე არაფერს სწერენ, მართო სატრფოებზე სწერენო და მუდამ საქართველოს დიდებას გლოვობენო და მერე მკითხველებს პირდებოდა სათითულოთ მათ გარჩევას... აზრათა გვაქვს დივერსიმენტი გავმართოთ, რომელზედაც შენ და ტიტე საკუთარ ლექსებს წაიკითხავთ... თუთუნის წევას მოუკელი. აგრეთვე ღვინოს ნუ დაღევ... მოკიდე კიდევ მწერლობას ხელი, კიდევ ცოტა ვიმუშაოთ ჩვენი იდეალებისათვის, რადგან უიდეალო კაცი ცხოველია... თუ მოწაფეებს დაითხოვ, წადი სოფელში და ამბავი და მიაკითხე ჩვენს საყვარელ დედას... მართლა, დღიურებს წერ თუ არა? შენი ერთგული ძმა და მეგობარი აბესალომი.“<sup>7</sup>

**16 თეზერვალი.** „ძმაო გალაქტიონ!.. შენი წერილის პასუხათ მე წერილი გამოგიგზავნე 14 თებერვალს... სხვა, მართლა რას შვრები? შეეგუე მაგ თანამდებობას თუ არა? იქნებ ახერხო, და ძალა თუ შეგწევს, გიმნაზიაში მისცე ეგზამენი მარიამობის თვეში, რომ მეექვსე კლასისათვის დაიჭირო ეგზამენი... თუ მიგიღეს, ერთ წელიწადს, როგორც იქნება, გაატანს კაცი... წიგნები იყიდე და მათემატიკის გარდა, შეუდექი სწავლას ბეჯითად... რას კითხულობ? სწერ რასმეს თუ არა?.. გაიგე ისიც, დაგიშლის წლოვანება თუ არა? მისწერე ს. ხუნდაძეს მთელი შენი გარემოება, ნახე რას გირჩევს. შენს საქმეს მუყაითად მოჰკიდე ხელი, მასწავლებლობა დიდი საქმეა... შენი ძმა აბესალომი.“<sup>8</sup>

**17 თეზერვალი.** „დღევანდელს ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა ახალმა მიმართულებამ, ეს არის სიმვოლიზმი. სიმბოლიური მწერლობის ერთი უსაყვარლესი თემაა კაცობრიობის ტრაგედია, მის ტანჯვა-ვაება, რომელიც აგებულია ადამიანთა სულის გათიშვა-განმარტოებაზე, სულთა გაუგებრობაზე. აქ რაღაც იდუმალი ძალა იბყრობს ადამიანს, იმონებს მას. იგი გარდაქცეულია სა-

ბედისწერო ძალად, რომლის წინაშეც გრძნობა და გონება სუსტია და უძლური: ესენი მას ვერ მიწვდებიან, ანგარიშს ვერ გაუწევენ და სასტიკათ დამარცხებულნი სიკვდილსაც კი რჩებიან. ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში ასეთი მიმართულების ნიმუშებათ უნდა ჩაითვალოს ტრ. რამიშვილის „საბედწერო დამბაჩა“, ვ. ბარნოვის „ტკბილი დუდუკი“, ჭ.უმბაძის „იდუმალი ძალა“, შ. დადიანის „მღვიმეში“... აგრეთვე, ჩვენი ახალგაზრდა მგოსნების: ბაბილინასი, ს. აბაშელის, ტაბიძის, ა. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის და სხვათა ლექსები.“<sup>9</sup>

**2 მარტი.** „ძმაო გალაქტიონ! ეს მეორე წერილია, რაც ნაშობავეს გიგზავნი და მიკვირს, პასუხს რათ არ აგზავნი?... ვფიქრობ, ვაი თუ ავად არის-თქო. დედაჩემი ჯავრისგან ხომ მართლა გადარეული ყოფილა... თუ ამ ორ-სამ დღეში წერილი არ მომივიდა... უნდა წამოვიდე გალაქტიონთან უსათუოდო.“ (აბესალომის წერილიდან).<sup>10</sup>

**23 მარტი.** „გამარჯვება, ძვირფასო ძმაო! თუ ძმა ხარ, მაპატივე, რომ ვრცელ წერილს ვერ გიგზავნი, რა უნდა მოგწერო? ირგვლივ საშინელი ერთფეროვნება და ისეთი საშინელი, რომ აზრზე აღარ ვარ. ამგვარი სიჩუმე და ყრუ მიდამო სულს ანადვლებს. გაზეთებს ვერ ვინერ, რომ რამე გავიგო. არც მინდა გამოვიწერო, მინდა ვიცხოვრო ისე, როგორც ცხოვრობს ჩვეულებრივი ადამიანი, შევეურიგდე ცხოვრებას და გავანიავო ძველი ოცნებები. ახალი ცხოვრება დავინყე, რომელიც ჩემს თავს არავის არ გაახსენებს. სამწერლო კარიერა თბილისთან ერთად დავკარგე... საზაფხულოდ სოფელში წამოსვლას არ ვაპირებ. საშინლად დავბერდი სოფელში. ერთი წელიწადი კიდევ და ეს სოფელიც ბოლოს მომიღებს, თუ ადგილი სადმე ქალაქში არ მომცეს...“<sup>11</sup>

**26 აპრილი.** „... ბ. შანშიაშვილთან ერთად ამ მიმართულების, იმპრესიონიზმის და კერძოდ, ბალმონტის გავლენა ემჩნევა ბ. გრიშაშვილს, იასამანს, აბაშელს, გ. ტაბიძეს და სხვ.“<sup>12</sup>

**აპრილი.** „გალაქტიონ, შენც გაიგებდი და გაგებული თუ არა გაქვს, გაიგებ, რომ „თემი“ კონკურსს ამზადებს იენისისათვის. იმედი მაქვს, მასახელებ. დრო დიდი გაქვს. ლექსსაც დიდს არ თხოულობენ... რა გავაგრძელო, დარწმუნებული იყავ, ფარისევლობით არ გეუბნები და ფონს გახვალ უთუოდ... აბა, ვინ უნდა დამარჯვოს? ვინ გვყავს სხვა?“<sup>13</sup>

**3 მაისი.** „თანამედროვე სიმბოლიკურ-ლირიკული პოეზიის მსახურებად უნდა ჩაითვალოს ჯერჯერობით: ალ. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე...“<sup>14</sup>

**5 მაისი.** „საერთოდ, ახალი პოეზია ცოტა ბუნდოვანია. ბუნდოვანია ის იმიტომაც, რომ იგი განყენებულ საგნებში დაეძებს უმთავრეს თავის საგალობელ ღვთაებას, იგი ამქვეყნიურ სინამდვილეს თითქმის სრულებით განშორებია და

უსაზღვრო ოცნებას მიჰკედლებია. აქ კი მშვენიერი სულის მეუფებას ჰხდის იგი თავის მაღალ იდეალად. რაღა საკვირველია, რომ ასეთი პოეზია მკითხველსაც ამალღებს ზნეობრივად. საზოგადოდ ასეთს შთაბეჭდილებას სტოვებენ მკითხველზე უკვე განვლილ წლებში დანერილი მათი ლექსები. თითქმის ასეთივე ხასიათისაა ს. აბაშელის და გ. ტაბიძის ახალგაზრდა მუზაც.“<sup>15</sup>

**6 მაისი.** „... ახალგაზრდა პოეტების საერთო სევდას ვერც გ. ტაბიძე გაქცევია... პოეტი განმარტოებულად გრძნობს თავს, მას სულიერი მეგობარი არა ჰყავს... განმარტოებული პოეტის სულიერი ტანჯვა ისე ძლიერია, რომ მას სიკვდილითაც კი არ მიეცემა დასასრული... სინამდვილისაგან დაჩაგრული მგოსანი ოცნებებში ეძებს შვევას, მაგრამ მისგან იგი აქაც ძლეულია... პოეტს ვერც ოცნებაში უპოვნია თავშესაფარი, მას არც იგი სწყალობს, დამშვიდებული სულის ლტოლვა მაღლა ცისკენ მას უკვდავებას ვერ მიანიჭებს. პოეტს სწამს მხოლოდ წამებულის უკვდავება და ისიც ბრძოლისთვის უხმობს ყველას, „ვისაც კი მწარედ აკვნესებული გული ედაგვის კაემან-სევდით, ვისაც მრისხანედ უტოკავს სული...“ ტაბიძე ჯერ ისევ ახალი ბრძოლისათვის მზადების ხანას განიცდის... ტაბიძეს და ბაბილინას ამქვეყნიური ცხოვრება ვერ აკმაყოფილებს: აქ ტანჯვა-ვაგებისა და მონობის მეტი არ არის რა, შავბნელს მოუცავს მთელი სამყარო... იმათ სწყურიათ ამ სოფლად წყვდიადის გაფანტვა, ბედნიერების დამკვიდრება, მხოლოდ მედგარი ბრძოლის საშუალებით... ახალგაზრდა პოეტის იმ ლექსებში, სადაც უმთავრესი ყურადღება ისევ ჩვენს თემას აქვს დათმობილი, სადაც რომანტიკულ-ნატურალისტური ელემენტები ცოტათი მაინც სჭარბობენ სიმბოლურ-ფსიქოლოგიურ ელემენტებს, იქ უმთავრესად ისევ წერის ძველი მანერაა დაცული. დანარჩენ შემთხვევაში მგოსნები უფრო ხშირად იმპერიალისტულად სწერენ. ამნაირად, თუ ახალი პოეზიის ახალი ფორმა ებრძვის ძველისას... ამის ნიშნები ჩვენ უკვე დავინახეთ ზემოდ გარჩეულ პოეტების ლექსებში, სადაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ტაბიძეს და ბაბილინას...“<sup>16</sup>

**7 მაისი.** „ძვირფასო ძმაო გალაქტიონ!.. შენგან გამოგზავნილი ეპისტოლე მივიღე... რაღაც მოწყენილი ტონი წერილისა მეუცხოვა. მართლა და რა ამბავია... რომ სულ თავ-პირი ჩამოგტირის. რა გაქვს სადარდო, მე ვერ გამიგია. თუ იმას ფიქრობ, სწავლა დამირჩა შეწყვეტილიო, მაგ როგორ განუხებს. ღვთის წყალობით სემინარიას გავათავებ და მერე მე ვიცი. პირდაპირ „На атестат зрелости“ მოემზადო. ეს არ იქნება, ინსტიტუტი აქ არ არის? ეს არ იქნება და სემინარია ხომ აქ არის... ერთმა რამემ... ძალიან მანყენინა შენს წერილში, ჯამაგირი ცოტა მაქვსო და იმასაც ღვინოში ვხარჯავო. შე კაი კაცო, ცოტაა 30 მანეთი თვეში. განა ასე მალე გავინყდება, თუ რა სიმწრით და სიღარიბით ვიზრდებოდით... სხვა... „სახალხო გაზეთში“ აკაკი პაპავას წერილი იყო „იმპრესიონიზმზე“... ბოლოს ახალგაზრდა პოეტთა შორის შენც იყავი მოხსენიებული... გ. ჭუმბურიძის „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმში“... შენზე ეწერა – აბაშელი თუ ცეცხლზე სწერს ბალმონტისებურადო, გ. ტ. „ნიაღვარზეო“. მოყვანილია ლექსი „ნიაღვარი“... მერე

„დემონი“. ღამეში ახალგაზრდა პოეტი ვერ ნახულობს სიამესო... პოეტი მარტოა ამ სოფლათო... და სხვ. და იმით ათავენს, რომ ბრძოლისკენ მიიწვევს კიდევანო... მართლა, აქ გაზეთი „თემი“ გამოდის. იქ, სხვათა შორის, ასეთი განცხადება იყო: ჩვენი რედაქცია კონკურსს ნიშნავს ლექსებისასო. საუკეთესო ლექსების ავტორებს ფული მიეცემათ საჩუქრათ 50 და 30 მანეთი... ლექსი არ უნდა აღემატებოდეს 50 სტრიქონს და ვადა ლექსის წარდგენისა არის 1 ივნისამდისო. შენც მიიღე კონკურსში მონაწილეობა. კარგია, ჯერ ერთი, სახელი და მერე ფული. თუ გინდა შენ გამომიგზავნე წერილი და იმავე წერილში ლექსიც. მე გადავწერ და მივიტან რედაქციაში... შენი ძმა აბესალომი.“<sup>17</sup>

**8 მაისი.** „სალამი! მივიღე თქვენი ღია წერილი, ... გმადლობთ! თავს ისე, ძველებურად ვგრძნობ, რაღაც ახალი, სხვანაირი ფიქრით. გაზაფხულდა, უთუოდ იმის ბრალია, რომ ბინაზე ძვირად ვარ, მთებში ვატარებ თავისუფალ დროს... გ. ტაბიძე „<sup>18</sup>

**15 მაისი.** გალაკტიონის ლექსი „გაზაფხულის ღამე“ (ი. გრიშაშვილს): [1911] ტფილისი, 15 მაისი.“ ლექსს პირველად სათაურად ჰქონდა „მაისის ღამე“, ავტორს ის გადაუხაზავს და მიუწერია: „გაზაფხულის ღამე“.<sup>19</sup>

[**16 მაისი**]. „ძმაო გალაკტიონ! გწერ საჩქაროდ, რადგან არ მცალია. შაბათს სალამოს, 16 მაისს, არის ჩემი სალამო ქართულ თეატრში და, შენ გენაცვალე, შენი იმედი მაქვს, რომ გვესტუმრები და შენი მშვენიერი ლექსებით აღტაცებაში მოიყვან ჩვენს საზოგადოებას...“<sup>20</sup>

**30 მაისი.** „დღეს დილას ჩამოვედი თბილისიდან. შენ სოფელში მეგონე, მაგრამ დღეს აფრივან ჩიჯავაძე ვნახე და იმან მითხრა, მომავალი თვის ბოლომდე განთავისუფლებული არ იქნებაო... როგორ მიდის შენი საქმე. სხვა, როგორც უფროსი ძმა ისე გირჩევ, ფულს ჭკუით მოეპყარი...“<sup>21</sup>

**მაისი.** „მე ან 28 ან 29 ჩამოვალ სოფელში. შენ რას შვრები? როდის მორჩები ბავშვებთან მეცადინეობას? ჭყვიშში როდის მიემგზავრები?.. გწერდი, რომ აქ „თემის“ რედაქცია კონკურსს ნიშნავს ლექსებზე – თქო და შენც გამოაგზავნე თქო. არ ვიცი რატომ არ გამოაგზავნე... ვადა 1 ივნისამდე.“<sup>22</sup>

**1 ივლისი.** „დღევანდელ პოეტებს თითქოს ბუნებაც განზე გაუდგა. ... ბუნება და დღევანდელი პოეტი ბარბაროსები არიან ერთმანეთისთვის, ერთმანეთის არა გაეგებათ რა... პოეტს შვების ნაცვლად სევდას გვრის... ბ. ტაბიძეც კი გრძნობს, რომ „მაღლე ველი ამწვანდება,/ არე მარე იგრძნობს შვებას/ და ყვავილთა გუნდიც უხვად/ გადმოაფრქვევს სურნელებას...“ მაგრამ ამ ზეიმის დროსაც გარიყული იქნება პოეტი თავის უსაზღვრო სევდით. მისი გულის თქმა და კვნესა კვლავ „მის“ გულში იბინადრებს: „მხოლოდ მე კი არ მომალხენს/ სიკეკლუცე გაზაფხულის/ გულში ჩაჭკნა ნორჩი რწმენა/ სიყვარულის, სიხარულის!...“ (იხ. „გაზაფხულის მო-

ლოდინში“). როგორც მკითხველი ხედავს ჩვენი ახალი ლიტერატურა ტოპავს ინ-დივიდუალიზმის სამეფოში, ისეთი განსხვავებული ხასიათის პრინციპები დაისვა, მოტივები დაისახა, რომ მასში არ შეუძლია იშოვოს მეგობარი, თანამგზავრი, აი, რატომ არის რომ ჩვენი ახალგაზრდა პოეტები მუდამ ობლობას და უმწეობას შემოგვჩივიან და ცხარე ცრემლით დასტირიან თავის ასეთ ყოფას...<sup>23</sup>

**2 ივლისი.** „გალაკტიონ! გუშინ შევიარე „კოლხიდის“ რედაქციაში და ვთხოვე შენი ლექსები დაებეჭდათ. ორივე გავიდა. მაგრამ სილოვანის გასწორებას ვერ გადაურჩა. თუ გამომიგზავნი დავბეჭდავ კიდევ. გასწორებას ნუ ინუნებ. სილოვანი ისე ღმერთსაც არ გაუშვებს. შანშიაშვილის პოემა იბეჭდება. შენც ნახე ჩემი გაზეთები. ტ. ტაბიძე.“<sup>24</sup>

**13 ივლისი.** გაზეთ „კოლხიდაში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის უსათაურო ლექსი: „... შუალამეა... ზღვის ნეტარ გულში...“<sup>25</sup>

**7 აგვისტო.** „იოსებმა სხვათა შორის სთქვა, გალაკტიონი ნიჭიერია და სამწუხაროდ ჩვენი ინტელიგენცია ნაკლებად აქცევს ყურადღებასო. მკითხა: ლექსები ბევრი აქვს ნაწერიო? ბევრი – მეთქი – მიფუგე. მისი ლექსები უნდა გამოვაცემიოთო – დასძინა მან. აგრეთვე, თუ ჩამოვიდეს გალაკტიონი ქალაქში, ჩემთან მოვიდესო. ჩემს სახლში გავათევენებ ღამესო. ძალიან მესიამოვნა, მართალი გითხრა – გრიშაშვილისაგან – ჩვენი ძვირფასი და მასთან ნიჭიერი ამხანაგი – პოეტის ქება.“<sup>26</sup>

**9 აგვისტო.** გალაკტიონის უსათაურო ლექსი: „... ოჰ, რა ტკბილათ ეძინება ყვავილს მდუმარეს...“ დასტამბა გაზეთმა „კოლხიდაში“. მოგვიანებით მას ავტორი უსათაუროდ: „...ველთა შორის გამოისმა“ აქვეყნებდა.<sup>27</sup>

**17 აგვისტო.** „ამ ნაწარმოებს („ჰამლეტის ქნარით“ – მ.შ.) თავდაპირველად ერქვა „მონასტერში“, რომელსაც მოსდევდა მინაწერი: „ვეუძღვნი მსურველედ მლოცველ, საშიშრად ღამაზ მონაზონ ქალს მარიამს...“ ლექსი დათარიღებულია 1911 წლის 17 აგვისტოთი. იგი შეთხზულია სოფელ ხრეთში.“<sup>28</sup>

**18 აგვისტო** „გამარჯვება იოსებ! მე მეორე წერილს გიგზავნი... მე უნდა ვისარგებლო ახლა შენის მეგობრული რჩევით ნაწერების ცალკე გამოცემაზე. ქუთაისში კიდევ გავმართე ამხანაგების საშუალებით ხელისმონერა და გროვდება ფული... მოსწავლეების იმედი მაქვს, რომლებიც წარმოიდგინე აქ საკმარისად მიცნობენ... მე კარგად არ ვიცი და შენგან ველი დარიგებას საქმეზე. შენ მითხარი: – შეიძლება ქალაქი და სტამბა ნდობით დავივალოთო. ძალიან კარგი იქნება... დამავალე და გამიგე. თუ შეიძლება ცოტას დამჯერდნენ, ჯერ შენ ხომ კარგად იცნობ მიხეილ გაჩეჩილაძეს? მგონია დაახლოებულიცა ხარ... მე ეხლა ქუთაისში ვარ და მოვიცდი სანამ შენს წერილს არ მივიღებ. ველი პასუხს. ნუ დაივინყებ ნიგ-



ნი პატარა იქნება, ორშაურიანი... ჩემი ადრესია: Кутаиси, Балахванская улица д. № 37, Константину Мусеридзе, для Галактиона Табидзе. შენი გალაკტიონი“. <sup>29</sup>

**27 აპრილი.** „ზღვაზე ვსცურავ... განსვენება/ მელირება? როდის, როდის?/ ტალღას სძინავს! ტალღა შფოთავს,/ ტალღა მიდის, ტალღა მოდის/... კანდელი სხივს არ მომანვდის.../ თუ მომანვდის როდის, როდის?... სიყვარული არ გაჩნდება?/ თუ გაჩნდება, როდის, როდის?... შორით მოსჩანს მთის გრებილი/... იქ ოცნებაც ვერ მისწვდება,/ არ გაუშვებს ოკიანე/ და მეც აქ ფრთა მოტეხილი/ ვიღუპები... გულს ზღვა ჰკოდავს,/ ტალღა მოდის. ტალღა შფოთავს“. ეს მოზრდილი ლექსი („ზღვაზე“) 1911 წლის 27 აგვისტოს არის დაწერილი და საუკეთესოდ გამოხატავს მგოსნის განწყობას. იგი საგულისხმოა როგორც პოეტური გააზრებით, ასევე მხატვრული ოსტატობითაც და ვინც გალაკტიონის შემოქმედების სიმბოლისტური ნაკადის შესწავლით დაინტერესდება, მას გვერდს ვერ აუვლის.

რა ინვევს სულით ობლობას, უკიდევანო სევდას და ნუხილს? პასუხი ერთნიშნა როდია. ლექსში „მუსიკა“ გალაკტიონი პირდაპირ ასახელებს კაეშნის მიზეზებს: „სიყვარულს ვეძებ, ტრფობა მწყურია,/ მეგობარს ველი, ის კი არასად სჩანს,/ მამ, რა გააღბობს ჩემს მწუხარებას,/ რა გაანელებს ჩემს ღრმა კაეშანს?“ ეს მაინც ყოფითი მხარეა. ლეგენდაში „მონასტერი“ მეტი განზოგადება იგრძნობა, მაგრამ მსოფლგაგება იგივე რჩება. გალაკტიონი არა კონკრეტული პიროვნებების, არამედ, საერთოდ, ადამიანთა გაუტანლობის გამო მოსთქვამს...

სულით ობლობა თუ მხოლოდ კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული მიზეზებით არის შეპირობებული (ზოგთან სწორედ ასეა), მაშინ მისგან განკურნების საშუალებათა მოძიება ძნელი არ არის. მაგრამ რა ვუყოთ ისეთ პიროვნებას, რომლის კაეშანს უფრო გლობალური და უნივერსალური საფუძველი აქვს.

გალაკტიონის თვალწინ სამმა რევოლუციამ გადიგრიალა. ბევრი რამ შეიცვალა საზოგადოებრივ ყოფასა და შემეცნებაში, ის კი სამარის კარამდე მაინც გამოუსწორებელი მეოცნებე და სულით ობოლი დარჩა. განა ეს შემთხვევითია?! გალაკტიონი იმიტომ არის გენიოსი, რომ არა ერთი თაობისა თუ კლასის, არამედ მთელი კაცობრიობის სატკივარს გაუსწორა თვალი და მსოფლიო საფიქრალზე ჩაფიქრდა.

1911-1912 წლების ლექსებში სევდის ორივე მიზეზი ჩანს. მაგრამ ჩვენ მაინც მეორეზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან უპირატესად სწორედ ის აცნობიერებს გენიოსის პირველ ნაბიჯებს. ამ თვალსაზრისით ფრიად მეტყველად გვეჩვენება „ყვითელი ფოთოლი“ და „სარკმელთან“. „შემოდგომისა ველურ ჰანგში? ჭკნება ფოთოლი;/ ყმანვილი გულიც უნუგეშო/ ფიქრებით დნება,/ მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს/ კვლავ გაზაფხული -/ და სიყმანვილე კი არასდროს/ არ დაბრუნდება... ეს უკვე ახალი მოტივია, ხმა; ვნებიანი დაფიქრება არა კონკრეტულ ყოფით მოვლენებზე, არამედ სამყაროს კანონზომიერებაზე და რაც მთავარია, მისი მიღება-არმიღების დილემაზე... ბოლოს და ბოლოს სად არის გზა ხსნისა? ვის მიმართოთ, განა ყველაფერი წარმავალია?... ჩანს, გალაკტიონი ერთხანს

იმის გარკვევასაც ცდილობდა – რეალობიდან გაქცევა და მონასტრისთვის თავის შეფარება ხომ არ არის ხსნის გზა? (ლეგენდა „მეუდაბნოე“) ... პოეტი ბევრს ფიქრობს ღმერთზე და სულის უკვდავებაზე. რეალობიდან გაქცევა სრულიადაც არ გულისხმობს მთლიან, სრულ გაქრობას. გალაკტიონი ვერ ურიგდება ყოველმხრივ სიკვდილს. იგი მიისწრაფვის იმქვეყნიური არსებობისა და უკვდავებისაკენ. ეს შეინიშნება ლექსში „საფლავთან“... ამავე პერიოდში იწერება: „შემოდგომის დღე“, „მესაფლავე“, „იბობოქრე“ და სხვ.<sup>30</sup>

[27 აბჰისტო]. ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „პირველი ენკენისთვე“ (დღიურისებურიდან).<sup>31</sup>

**6 სექტემბერი.** „სოფელი ფარცხნალი (ბელაგორის რაიონი), (დღევანდელი ხარაგაულის რაიონი – მ.შ.). ფარცხნალი ბელაგორიდან 4-5 ვერსის მანძილზე მდებარეობს. მშვენიერი და მდიდარი სოფელია. სოფლის შუაგულში აღმართულია უზარმაზარი... ეკლესია. იქვე ეკლესიის გალავანში, პატარა ხის ქოხია აგებული, რომელშიდაც შკოლა გვექონდა მოთავსებული. ადგილობრივი მღვდელი მამა კირ. კელენჯერიძე ბევრს ცდილობდა გაეუმჯობესებია ეს შკოლა; უკანასკნელად მასში მასწავლებლად ღირსეული ადამიანი იყო, ახალგაზრდა მწერალი ტაბიძე. მაგრამ დასახელებული მღვდლის პირადმა მტრებმა, მისსივე წოდებიდანვე ხალხი აამხედრა, როგორც მის წინააღმდეგ, აგრეთვე შკოლის მიმართ და ეს ერთად ერთი კულტურული დაწესებულება, რომელიც 200 კომლ კაცს მსახურებდა, დაახურინა კიდეც. მიმდინარე ენკენისთვიდან ფარცხნალი შკოლას მოკლებულია...“<sup>32</sup>

**7 სექტემბერი.** „ძვირფასო ძმაო გალაკტიონ! ვისურვებ შენს კარგად ყოფნას... შენ რომ დამაბარე სემინარიიდან და ინსტიტუტიდან ამბავი გამიგეო, ჯერ ვერაფერს მოგწერ იმის მეტს, რომ წელს ბევრი მონაფეები მიუღიათ მესამე და მეოთხე კლასებში სემინარიაში... შენ გაისად სასწავლებელში უნდა შემოხვიდე. ეცადე რამე ნაირად მასწავლებლობა ითხოვე ისევ. შენი პოემა („მწყემსი“ - მ. შ.) ჯერ არ მიმიტანია, ამ ორ-სამ დღეში მივიტან... აბესალომი.“<sup>33</sup>

[20 სექტემბერი]. „დედა ჩემო! ვისურვებ შენს ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას. სხვა, ის ფული არ მეყო, მიშველე, გამომიგზავნე ცოტა კიდეც... გამომიგზავნე დაჩქარებით, თუ მოახერხებ. თავს ნუ შეინუხებ, თუ არ გექმნეს.. მე კი ძალიან მჭირდება ეხლა. შენი ერთგული და მოყვარული შვილი გალაკტიონი.“<sup>34</sup>

**23 სექტემბერი.** გაზეთ „კოლხიდაში“ გალაკტიონი ბექდავს ლექსს „ჰამლეტის ქნარით“ (ვუძღვნი მონაზონ ქალს რ-ს).<sup>35</sup>

„ლექსების: „ველთა შორის გამოისმა“, „ჰამლეტის ქნარით“, „ჩამავალი მზე“, „გაზაფხულდა“, „გმართებს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა“, „რომ არ ვიცი, რა დაწვერო“, ადრესატია რაისა რაფაელის ასული ჩიხლაძე (1891-1944 წ.). „მას (რაისა ჩიხლაძეს)... მიუმართნია გ. ტაბიძისათვის: „აბა, რომ ამბობენ, გალაკტიონი

ძალიან ნიჭიერი პოეტიად, მოსინჯეთ, ყმანვილო, და ერთი ლექსი დამინერეთ. გალაკტიონს ეს ლექსი („... რომ არ ვიცი, რა დავწერო“) ექსპრომტად დაუნერია რაისა ჩიხლაძისათვის.“ გალაკტიონი ყრმობიდანვე იცნობდა რაისას და შეყვარებული იყო მასზე. 1912 წელს მიხეილ ბოჭორიშვილისადმი მიწერილ წერილში გ. ტაბიძე სწერდა: – „ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძობა, რომელიც არაფერს მაძლევდა და წარმოიდგენ, ღმერთს გეფიცები, სულ ცოტალა მაკლდა შეშლას.“ რაისა არ თანაუგრძობდა გალაკტიონის გრძობებს, იგი პატივს სცემდა მას, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდასა და პოეტს.“

1912 წელს რაისა კიევის გაემგზავრა განათლების მისაღებად და მათ ურთიერთობას წერტილი დაესვა.<sup>36</sup>

**23 სექტემბერი.** „...წერილი შენგან... ეს არის მივიღე, ნავიკითხე და სწორედ გითხრა გავშტერდი... ნუ გამოგზავნი ასეთ უშინაარსო წერილს... „კოლხეთის“ რედაქციაში ვარო და სხვ. მეტი არაფერი... ბოლო ნაწილმა წერილისამ ძალიან გამაკვირვა. იმედი... ვკვდები... მიშველეო... შენი ამბავი ვერ გამიგია, რამ შეგანუხა ასე მწარეთ... შიშშილით კვდებიან, სარჩო-საბადებელი ხელიდგან ეცლებათ, საყვარელი ადამიანები უკვდებთ და მაინც კარგად არიან, თავს ბედნიერათ გრძობენ და შენ კი რა დაგემართა შესანუხებელი?... თავს მოუფრთხილდი, ბევრს ნუ იშრომებ, კარგი სასმელ-საჭმელი სჭამე (შენ სისხლნაკლული ხარ) და ჯანმრთელად იქნები... შენ ისევ სემინარიისათვის მოემზადე, მესამე კლასისათვის... ხშირად იარე სოვეტში და ადგილი ითხოვე, იქნებ რამენაირად ნაშობავებს ადგილი მოგცენ. იმ შემთხვევაში რომ სემინარიაში არ მიგიღონ, სალდათათ არ წაგიყვანონ მაინც. მომწერე... დედა როგორ დატოვე? სახლი დახურული იყო, შენ რომ წამოდი თუ არა?... შენი პოემა მივიტანე და პასუხისთვის ორშაბათს უნდა მივიღე. ლექსების შესახებ რას შვრები? გამოცემა რომ გინდა... აბესალომი.“<sup>37</sup>

**23 სექტემბერი.** გაზეთ „კოლხიდაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ჰამლეტის ქნარით“. მეორე დღეს (24 სექტემბერს) რედაქცია მკითხველს ატყობინებდა: „კოლხიდის“ გუშინდელ ნუმერში გ. ტაბიძის ლექსში („ჰამლეტის ქნარით“) შეცტომაა. ლექსი ასე იწყება: „ამაოა მთლათ ცხოვრება, დრტვინავს ნუთისოფელია...“ უნდა იწყებოდეს ასე: „ამაო მთლათ ცხოვრება, დრტვინავს ნუთისოფელია... ნადი, ნადი მონასტერში“ და სხვა.“<sup>38</sup>

**[სექტემბერი]** „ძვირფასო ძმაო გალაკტიონ!.. შენი ამბავი, რომ „კოლხიდის“ რედაქციაში ადგილი გიშოვია, გავიგე... სხვა, მე ინსტიტუტში ვიყავი და ყოველივე გავიგე „В год призыва не принимаются“ და შენ ხომ წელს ხარ განწერილი... ამ ორ წელიწადში არ მიგიღებენ. ისევ შენ სემინარიისათვის უნდა ეცადო... რაც შეიძლება, ეკონომიურათ უნდა იცხოვრო. ეხლავე ხაზეიკასთან დადექი, რაც შეიძლება ეფათ და მასწავლებელსაც მიეზარე მათემატიკაში, ლათინურში და ნემეცურში... შენი პოემა მივიტანე და პასუხისთვის ხვალ უნდა მივსულვიყავ თემში... დავბეჭდავთო, მითხრეს, მაგრამ ამ მიძღვნას გამოუშვებთო, რისთვის უძღვნის



მგოსანს: გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, ქუჩიშვილი, გელა, აბაშელი, ჩხიკვაძე, შარაშიძე – ყველა გაუმასპინძლდა საზოგადოებას რითაც შეეძლო. ჩვენ ყურადღების ღირსად განსაკუთრებით ორი მგოსანი მიგვაჩნია: აბაშელი და ქუჩიშვილი.“<sup>44</sup>

**7 ოქტომბერი.** „მე მოვეწყვე, 20 მანეთს ვიღებ და ხუთს ოთახში ვაძლევ. მარა საქმე ისაა, რომ ერთნაირად ვერასდროს ვერ ვიღებ ფულს, ხომ იცი რედაქციის საქმე – ხან არის ფული, ხან არა. ვმუშაობ დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდის, რომ დასვენება არ მაქვს. შენი წერილიდან ვტყობილობ, რომ პოემა „თემში“ მიგიტანია. როგორაა საქმე? ბეჭდავენ თუ არა? მე აქ „კოლხიდაში“ მალე პოემა „სატანას“ მოვათავსებ... ამ წელიწადში თუ ვერაფერი გავაწყვე, მერე წასულია ჩემი საქმე... წიგნს ვცემ ხელმონერით, წარმოიდგინე ორას მანეთამდე ჯდება – სადა მაქვს ორასი მანეთი – სასაცილოა.“<sup>45</sup>

**8 ოქტომბერი.** „სალიტერატურო საღამო ქუთაისში. როგორც მოსალოდნელი იყო ამ საღამომ იმდენი ხალხი ვერ მიიზიდა... ბ-ნ ყარიბის რეფერატმა, მართალი მოგახსენოთ, ვერ დაგვაკმაყოფილა... აკაკის გარემოების შესაფერი 1864 წლის დაწერილი ორი ლექსი ამოერჩია; თუმცა მხცოვანმა პოეტმა ბოდიში წაუძღვარა ლექსს, მაგრამ საზოგადოებამ დიდის ალტაცებით მოისმინა ეს ლექსები. აკაკის მოჰყვენენ ახალგაზრდა პოეტები: გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, გელა, ს. აბაშელი და ნ. ჩხიკვაძე. საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსის კითხვა არც ერთს არ ემარჯვება – ზოგი ჩქარობს, ზოგს ლექსის კითხვაში პარტიული კილო შეაქვს და ქართული ქართულს აღარა ჰგავს...“<sup>46</sup>

**15 ოქტომბერი.** „ძმაო სერგო, გიგზავნი კვიტანციებს ჩემის წიგნისათვის და განცხადებას, რომელსაც გააკრავთ იქ, სადაც კი ხელის მონერა მოხერხდება... არ ვიცი, სამკითხველო დაარსეთ თუ არა, და თუ გაქვთ, ერთ განცხადებას იქ გააკრავთ. ყოველ შემთხვევაში, მე სრული იმედი მაქვს, რომ კვიტანციებს გამისაღებთ დაახლოებით ასე ორმოცამდე – წიგნი იქნება დიდი ფორმატის (240 გვ.). ჩემო კარგო, ოც მანეთს წიგნის გამოცემის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს და, აბა, თუ როგორმე მოახერხებთ... წიგნი ორ თვეში უნდა გამოვიდეს. ფული გამომიგზავნეთ ამ ადრესით: „Кутаиси. Классическая гимназия. Титу Табидзе.“<sup>47</sup>

**20 ოქტომბერი.** გაზეთ „მნათობში“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „დარი-ალისა ვინრო კლდეებში“.<sup>48</sup>

**23 ოქტომბერი.** გაზეთ „კოლხიდაში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ეჭვი“ (ძღვნად გუცას).<sup>49</sup>

**28 ოქტომბერი.** დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „სიჩუმის ანგელოსი“. შემდგომ ეს ლექსი სხვა სათაურითაც („დაიძინე“), იბეჭდებოდა.<sup>50</sup>

**31 ნოემბერი.** გაზეთ „თემში“ ინყება პოემა „მწყემსის“ (ი. გრიშაშვილს)“ ბეჭდვა.<sup>51</sup>

**ნოემბერი.** „მე მასწავლებელი ვიყავი, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დღეს უადგილოდ დავრჩი... თუ რამე ადგილი გაქვთ „კოლხიდის“ რედაქციაში, იმედი მაქვს არ დამიჭერთ. ამით შესაძლებლობას მომცემთ ვიარსებო. შემიძლია ყველაფერი: თარგმნა, წერა, სწორება. მაქვს უნარი გულმოდგინეთ შრომისა, რასაც დამავალბებთ, ყველაფერს შევასრულებ. მეტყვიით, მთელ დღეს ვიშრომებ შეუსვენებლად. როგორც ლიტერატორი ცნობილი არ ვარ, მაგრამ როგორც მშრომელი, ნაკლს შევავსებ.“<sup>52</sup>

**14 ნოემბერი.** „როგორც გაზეთებიდან გავიგე და დედაჩემის წერილიდანაც ჩანს, ჩვენს სოფელში ორკლასიანათ აკეთებენ შკოლასო. აბა ეცადე, რამენაირად ჩაიგდო ხელში ის ადგილი, კი მართალია, ეხლა უმფრო თავისუფალი იქნები, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სალდათათ წაგიყვანებენ და ადგილიც დაიკარგება... შენ რომ ადგილს იშოვიდე, ჩემი სწავლის გათავებამდის იქნები და მერე მე დავდგები. შენთვის კიდევ სხვას ვიფიქრებთ...“ გწერს შენი ძმა აბესალომი.“<sup>53</sup>

**21 ნოემბერი.** გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა პოემა „მწყემსი“ (გაგრძელება).<sup>54</sup>

**22 ნოემბერი.** „ძვირფასო ძმაო გალაქტიონ!.. ინერები, რომ „კოლხიდის“ რედაქციასთან შეტაკება მომივიდაო... ისიც მოგეწერა, თუ რამ გამოიწვია ეს განხეთქილება, რაზედ შედგა ეს ამბავი?.. მოინერე რა აზრისა ხარ იმაზე, რომ გწერდი, ე.ი. მასწავლებლობაზე. ხომ იცი, გაისად სალდათათ ხარ და რომ სალდათათ წაგიყვანონ, ხომ უბედურებაა. რა იცი იმის შესახებ, ჩვენს სოფელში რომ ადგილი იხსნება? ეხლა, მე მგონია, ადგილს იშოვი, თუ მოისურვებ... შეიტანე თხოვნა, იქნებ სამინისტრო შკოლაში მოგცენ ადგილი, თუ სასულიეროში ვერ იშოვი... შენი ძმა აბესალომი.“

P.S. მართლა, მეექვსე კლასმა სულ იმისათვის გამოვიწერეთ „კოლხიდა“, მეგონა შენი ლექსები დაინერებოდა შიგ. ეხლა ვნანობ! სულ ჩემი თავობა იყო. ეხლა მნთობში ბეჭდავ? თუ სად? თემში, ხომ იცი, იბეჭდება „მწყემსი“... მოინერე ყოველივე. ორი წლის განმავლობაში, წერილი რომ ჰქვია, ასეთი წერილი არც კი მიმიღია შენგან...“<sup>55</sup>

**28 ნოემბერი.** გაზეთ „თემში“ დასრულდა პოემა „მწყემსის“ გამოქვეყნება.<sup>56</sup>

**[11 დეკემბერი].** ჟურნალ „განათლებაში“ (№ X) დაიბეჭდა გალაქტიონის ლექსი „შემოდგომა“ (გუძღვნი ი. გრიშაშვილს).<sup>57</sup>

**1911.** „მასწავლებლობა. თანამშრომლობა პოლიტ. და პედაგოგიურ ჟურნალ- გაზეთებში. შეჯახება თ. ჟორდანიასთან. შკოლა დახურეს. მასწავლებლობას დამანებებინეს თავი. ვუბრუნდები ქუთაისს.“<sup>58</sup>

**1911.** „... როდესაც სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხორაგაულის ახლო, ერთ პატარა სოფელში მასწავლებლის ადგილი მომცეს. კვირა – უქმე დღეებში სოფლიდან სადგურზე ჩამოვდიოდი... სალამოობით თვილისიდან მატარებელი ჩამოივლიდა... სრულიად მოულოდნელად რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან... მოგვიტანდა თბილისის ამბებს... ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... მატარებელიც მოვიდა... ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოინია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბისქულასავით ჭალარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა... აკაკი! – ჩაილაპარაკა ვიღაცამ. ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანათ გაშეშებული ვიდექით. მე თვალეებით ვჭამდი ამ სახეს. აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა... ყველანი ამ კუპისკენ გაექანენ... ბევრმა მატარებელში შესვლაც მოინდომა. დაჰკვივლა ამ დროს მატარებელმა... და გუგუუნით გაექანა სიპივით გალესილ რელსებზე. დიდხანს დაყრუებულივით ვიდექი...“<sup>59</sup>

**1911.** „ფარცხნალის პერიოდი: გამძაფრებული მუშაობა ლიტერატურული დონის ამაღლებისათვის.“<sup>60</sup>

**1911.** ერთ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ მე მასწავლებლად ვიყავი სოფელ ფარცხნალში... მაგრამ შემდეგ თავი დავანებე ამ საქმეს და თავი შევაფარე ჯერ გაზ. „მნათობის“ და მერე გაზ. „ცხოვრების“ რედაქციებში...“ ძირითადად კორექტურას უძღვებოდა და დროდადრო მოკლე შენიშვნებს აქვეყნებდა. ისინი ხელმოუწერელია. ამიტომაც ჭირს მათი გამოვლენა. და მაინც: გალაკტიონისაა შემდეგი ინფორმაციები: „სოფ. ჭყვიშში (ქუთ. მაზ.) ერთკლასიანი სამრევლო სკოლა ორკომპლექტიან სკოლათ გადაუკეთებიათ. ამასთანავე შესდგომიან სკოლის შეკეთებას.“ ასევე: „მ. ბოჭორიშვილს დაუწერია ორიგინალური პიესა 4 მოქ. „მიდია“. პირველი ფაქტი ამოღებულია დედის წერილიდან, მეორე კი მეგობრის ბარათიდან. სავარაუდოა, გალაკტიონს ეკუთვნოდა ინფორმაციები, რომლებიც აგურის ქუჩის მოუწყობლობასა და არქიელის გორაზე მცხოვრებთა გაჭირვებას შეეხება...“<sup>61</sup>

[1911.] „რაისა! მაპატივე, მინდოდა შენთვის ყველა ჩემი ნაწერები გადმომეცა, მაგრამ ვერ მოვაგროვე... თუმცა ის რაც არის, ისიც საკმარისია ყველაფრის გამოსარკვევათ. იმას, რასაც შენ იტყვი, ჩემთვის გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება, რადგან არავის არაფერი უთქვამს სახეირო... მე მინდა დასაბუთებული აზრი გამოითქვას ჩემზე დაურიდებლად და ენერგიული სიტყვებით. მაშ ასე რაისა... მარადის შენი, შენი, შენი გ. ტაბიძე.“<sup>62</sup>

[1911]. „გამარჯვება იოსებ! როგორც ერთხელ გითხარი, შენ აღარ ხუმრობ. ქუთაისში მართლა მართავ სალიტერატურო სალამოს? როდის? უსათუოდ მეც მივიღებ მონაწილეობას... თუ შენც ისურვებ და ადრესს გამომიგზავნი *передать переписываться* სხვა რა მოგწერო... ველი, მოუთმენლად ველი პასუხს. შენი ნიჭის თაყვანისმცემელი ვალ. ტაბიძე.“<sup>63</sup>

**1911-1912.** ...გალაკტიონმა მოუხშირა ლექსების რუსულად წერას. პირველი ასეთი ნაწარმოები 1908 წლის 21 ივნისით თარიღდება. ეს მაინც გაელვება იყო. 1911-1912 წლებში კი ამ მხრივ ინტენსიური საქმიანობა შეინიშნება. სწორედ ხსენებულ პერიოდში დაიწერა: „შტოთა ცრემლები“, „მეგობარ ახოსპირელს“, „ბუნება“. „რომანსი“, „უთხარით მას“ და სხვ. ისინი, როგორც იტყვიან ერთი ამოსუნთქვით არის შეთხზული. არ ჩანს ტექსტზე ხანგრძლივი მუშაობის კვალი... ეს არ არის გალაკტიონი. მიუხედავად ამისა, მსგავსი ნაწარმოებები მაინც საყურადღებოა, როგორც პოეტური განწყობილებების რელიეფური გამომხატველი. საქმე ისაა, რომ ამ გზით გალაკტიონი უფრო ღრმად შედის რუსული პოეტური კულტურის სიღრმეში... ლექსების რუსულად წერა ქართული შედევრების თხზვის ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური და წინაპირობაა.“<sup>64</sup>

**10-იანი წლები.** „ოლოლ, გამარჯვება! შენი წერილი მივიღე, გმადლობ! მე ფოთიდან ვბრუნდები და ამ წერილს სადგურზე ვწერ სამტრედიიაში. დედაჩემთან მინდა დავისვენო. ჩემი მეგობრები სოფელში მხოლოდ წიგნები იქნებიან და შენი წერილები... შენი გალაკტიონი.“<sup>65</sup>

ლექსი „შავი ყორანი“ (ძვ. თარიღი 1911 წ.) პირველი პუბლიკაციის მიხედვით დათარიღდა [1914 წ.].<sup>66</sup>

გალაკტიონის ლექსები: „არაჩვეულებრივი ზამთარი“ და „შეხვედრა“ (ავტორისეული თარიღი 1911 წ.) – უთარილო ლექსებს მიემატა.<sup>67</sup>

გალაკტიონი ადრევე, 1911 წლიდან შეუდგა წიგნის გამოცემაზე ზრუნვას. ამ პერიოდისთვის ახალგაზრდა მგოსანს მრავალი ლექსი და პოემა ჰქონდა დაწერილი. გალაკტიონმა თავი მოუყარა მათ, ერთხელ კიდევ გარანდა, სრულყო და სუფთად გადაწერა. წიგნს პოეტური სახელი შეურჩია – „გრძნობათა ნიაღვარი“. წინათქმაც მოხაზა: „ამ კრებულში მოთავსებული ლექსთა უმრავლესობა დაბეჭდილია სხვა და სხვა გამოცემებში. დაუბეჭდავი მასალის არჩევის დროს ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ლიტერატურის ზოგიერთი მცოდნე პირთა რჩევით“. შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რომელ ჟურნალ-გაზეთებში იყო დაბეჭდილი პოეტის ლექსები და რომელმა კრიტიკოსებმა განიხილეს ისინი. ეს რეკლამაც იყო – მკითხველის დარწმუნება, რომ გემოვნებით შედგენილ წიგნს სთავაზობენ მას. წიგნის გამოცემა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული... ირკვევა, რომ კრებულის დაბეჭდვა ძვირი ჯდება... ძმას მისწერა: “წარმოიდგინე, ორას მანეთამდე ჯდება – სადა მაქვს ორასი მანეთი – სასაცილოა.“ პოეტი გულს არ იტყვის... უპირველეს ყოვლისა, წიგნის გამავრცელებელი აგენტების მოსაზიდად იბრძვის, დიდი სიფრთხილით არჩევს მათ. ესენია: ი. კვიციანიძე, ს. კლდიაშვილი, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. გერსამია, მ. დაჩაგრული და ა. შ. სულ 24 კაცი... გალაკტიონმა ქვეთრებიც დაამზადა... გაზეთებშიც ბეჭდავს განცხადებარეკლამებს. 1912 და 1913 წლებშიც სცადა წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ კვლავ მარცხი განიცადა.“<sup>68</sup>



**იანვარი.** ახალ, 1912 წელს გალაკტიონი მშობლიურ სახლში (ჭყვიშში) ხვდება. 1912 წლის დამდეგიდან კვლავ ქუთაისშია და სხვადასხვა რედაქციაში მუშაობს. იგი ხდება თანამშრომელი ჟურნალ „მაშხალის“ რედაქციისა (ეს ჟურნალი სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა: „ჯოჯოხეთის მაშხალა“, „ემშაკის მაშხალა“, „ანკესი“ – რედაქტორ-გამომცემელი ს. გერსამია). გალაკტიონი ამ ჟურნალის გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. თავის ნაწერებს აქვეყნებდა ხელმოწერით: „გ.“ და „გალაშკა“. აქ დაიბეჭდა მისი იუმორისტული მოთხრობები: „ძველი ქუდი“, „ნამწვავები“, აგრეთვე იუმორისტული „ახალი ამბები“.<sup>1</sup>

**იანვარი.** გალაკტიონი ზიგზაგებით მივიდამწვერვალამდე. შემოქმედებითი გზის დასაწყისში მისთვის უცხოდ ჩანს ზოგი რამ, რაც შემდეგ აგრერიგად მშობლიური და ორგანული გახდა. ეს დასტურდება ჩვენ მიერ მიკვლევული ნაშრომითაც; „სიმბოლიზმი უცხო და ქართულ პოეზიაში“, რომელიც 1912 წლის იანვრით თარიღდება.“<sup>2</sup>

**25 იანვარი.** „ქ. ქუთაისში მიიღება ხელის მოწერა ახალგაზრდა მგოსნის გ. ტაბიძის წიგნზე: ლექსები და პოემები (რვეული პირველი). ფასი ხელის მოწერით ათი შაური. ხელის მოწერა მიიღება ის. კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში.“ გოგებერიძის წიგნის მაღაზიაში, წიგნის მაღაზია „პროვინციაში“. ტყიბულში მ. ბოჭორიშვილთან, ხარაგოულში სერგო რუხაძესთან. ხელის მოწერა გრძელდება 15 თებერვლამდის.“<sup>3</sup>

**30 იანვარი.** გაზეთი „თემი“ უწყება: „მიიღება ხელის მოწერა გ. ტაბიძის წიგნზე: „ლექსები და პოემები“ (ფასი ხელმოწერით 50 კ.) ის. კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“...“<sup>4</sup>

**იანვარი.** გალაკტიონი წერს ნაშრომს: „სიმბოლიზმი უცხო და ქართულ პოეზიაში“, რომელიც 1912 წლის იანვრით არის დათარიღებული.“<sup>5</sup>

**1 თებერვალი.** „1912 წლის თებერვალში დაარსდა სოც.-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „ცხოვრება“ (პირველი ნომერი 1 თებერვალს გამოვიდა – მ.შ.). ძველმა ნაცნობობამ გაჭრა და გალაკტიონი სამუშაოდ მიიღეს. მისი ხელმოწერით ვერც ამ გაზეთში ვხვდებით პუბლიცისტურ ნაწერებს, არადა, ნამდვილად აქვეყნებდა... „ცხოვრება“ მარტში დაიხურა...“ (ბოლო (№33) 11 მარტს გამოვიდა – მ.შ.).“<sup>6</sup>

**2 თებერვალი.** „ჩვენი ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ამთავრებს ოთხმოქმედებიან პიესას ლექსად: „სიკვდილის ანგელოზს“.“<sup>7</sup>

**8 თებერვალი.** „ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო წინასწარ ხელისმოწერით გამოსაცემი შემდეგი წიგნების კვიტანციები: „აკაკის თხზულებები, ტ. I (ღირს 50 კ.)... გ. ტაბიძის „ლექსები და პოემები“, ფ. 50 კ.“<sup>8</sup>

**10 თებერვალი.** „მიიღება ხელის მოწერა გალაკტიონ ტაბიძის წიგნზე „ლექსები და პოემები“. რვეული პირველი. ფასი ხელმოწერით ათი შაური.“<sup>9</sup>

**7 მარტი.** ი. გრიშაშვილის „სალამო-მეჯლისი“ გაიმართება ქ. ქუთაისს, კვირას, 11 მარტს... თავის ნაწერებს წაიკითხავენ: მხცოვანი მგოსანი აკაკი, დ. კლდიაშვილი... გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი და სხვ.<sup>10</sup>

**[8 აპრილი].** „ათიანი წლების ერთ ქართულ ჟურნალში დაიბეჭდა იუმორისტული ნოველა „ნამწვავები“. მას ხელს აწერს „გალაშკა“. ხსენებული ფსევდონიმი გალაკტიონს ეკუთვნის. პოეტის არქივში ინახება ამ ნაწარმოების ავტოგრაფი, გადანერილი და გასწორებული გალაკტიონის ხელით... იგი დაიბეჭდა 1912 წლის „ჯოჯოხეთის მაშხალის“ პირველ ნომერში. საფიქრებელია, „გალაშკას“ ხელმოწერით სხვა ნოველებიც იყო გამოქვეყნებული ქართულ პრესაში.“<sup>11</sup>

„მაშ ასე! გალაკტიონი ქუთაისშია. სხვადასხვა რედაქციაში მუშაობს. ერთხანს მხარში უდგას სერგო გერსამიას, რომელიც სატირულ-იუმორისტულ აღმანახებს: „მაშხალას“, „ემშაკის მაშხალას“ და „ანკესს“ გამოსცემს.“<sup>12</sup>

**[17 აპრილი].** „1912 წელს ქუთაისს ეწვია სახელგანთქმული გუბერმანი, რომელიც პაგანიანის ვიოლინოზე უკრავდა... დარბაზმა ოვაციები გაუმართა პოლონელ სტუმარს... ოცდაერთი წლის გალაკტიონ ტაბიძემ კი იმდენად ემოციურად გამოხატა თავისი აღტაცება, რომ მაცურებლებში პოლიციელი შეიჭრა და აღფრთოვანებით თავდავინყებულ პოეტს უბრძანა ტაში შეენყვიტა. ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა თავი მაინც ვერ შეიკავა, ჩაავლო ხელი ქეროში და პოლიციში მიაბრძანა. პიროვნების პირად ცხოვრებაში ასეთი უხეში ჩარევის გამო უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამს 1912 წლის 17 აპრილის გაზეთი „ზაკავკაზსკაია ჟიზნი“ და გვეკითხება: ნუთუ თეატრის კედლებში ტაში მხოლოდ პოლიციელის ნებართვით უნდა დაფუკრათო...“<sup>13</sup>

**21 აპრილი.** „ბათუმში, მ. ხ. შმავესკის თეატრში, შაბათს, 28 აპრილს გაიმართება ქართული სალამო-მეჯლისი... ახალგაზრდა მგოსნები: ვ. რუხაძე, ირ. გოგოლაძე, ნ. ზომლეთელი, გელა, გ. ტაბიძე... და სხვ.. წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს...“<sup>14</sup>

**26 აპრილი.** 28 აპრილს დანიშნული სალამო-მეჯლისი გადაიდო 3 მაისისთვის. როგორც გავიგეთ სალამოს პროგრამაც გაფართოებულია, ჩვენს ქალაქში ამ ჯურის სალამო პირველია და იმედია სასურველ შთაბეჭდილებას დატოვებს.<sup>15</sup>

**2 მაისი.** „მსახიობ გუგუშვილს ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო 3 მაისს ფოთში და 4-ს ლანჩხუთში გამართოს ლიტერატურული სალამო. სალამოში მონაწილეობას მიიღებენ: ლეო ნათაძე, ეშმაკი, თაგუნა, მალაქიაშვილი, ილია ბახტაძე, ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ს. აბაშელი, გელა და სხვანი.“<sup>16</sup>

**6 მაისი** „დღეს, კვირას, 6 მაისს, ლანჩხუთში გაიმართება ლიტერატურული საღამო. მონაწილეობენ: ...აბაშელი, ქუჩიშვილი, მალაქიაშვილი, გელა, რუხაძე და გ. ტაბიძე წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს...“<sup>17</sup>

**13 მაისი.** „სამშაბათს, 22 მაისს, რკინის თეატრში შედგება საღამო მეჯლისი. საღამო, რომელიც დანამდვილებით გავიგეთ, აღარ გადაიდება.“<sup>18</sup>

**16 მაისი.** „სამშაბათს, 22 მაისს გაიმართება საღამო-მეჯლისი. მონაწილეობენ: დ. კლდიაშვილი, ცახელი, ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე...“<sup>19</sup>

**28 მაისი.** „ძვირფასო მეგობარო გალაქტიონ! მივიღე შენი წერილი... გალაქტიონ! რა უქენი ჩემს „მიმოზას“? მე ყოველ ნომერს ვკითხულობ „თემისას“... თუ გიყვარდე, შემომითვალე, რა უქენი მას... თხუთმეტი ივანობისთვის ვემზადები გავმართო ბავშვების სალიტერატურო საღამო... შენი ლექსები ბევრი ვეძებე ჩემს გაზეთებში, მაგრამ ვერც ერთი ვერ ვიპოვე, რომ ხალხის და გლეხებისათვის გასაგებ იქნეს. კარგია, რომ მქონდეს „პირველი ენკენისთვე“ ან „დემონი“ და სხვა... თუ დაუყონებლივ გამომიგზავნი ერთს პატარა ლექსს, ძლიერ დამავალებ... შენი ერთგული მიხ. ბოჭორიშვილი.“<sup>20</sup>

**3 ივნისი.** „ამ მოკლე დროში ახალგაზრდა პოეტის გ. ტაბიძის თაოსნობით ქუთაისის თეატრში გაიმართება საინტერესო სალიტერატურო საღამო- ზეიმი. მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ბელეტრისტები, პოეტები და იუმორისტები.“<sup>21</sup>

**8 ივნისი.** „შაბათს, 9 ივნისს დანიშნულია ქალაქის თეატრში გ. ტაბიძის სალიტერატურო ზეიმი. მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ცახელი, შალვა დადიანი, ვ. რუხაძე, ი. ნიკოლეიშვილი, ი. გრიშაშვილი, დ. მესხი, ჯ. ჯორჯიკია, თ. ხუსკივაძე, ვ. მალაქიაშვილი, ვ. ბალანჩივაძე, ნემო, კორტოხა, ილ. ბახტაძე, მრ. სხვა. ი. გოგებაშვილის სახსოვრად ნაწერებს წაიკითხავენ ვ. რუხაძე და გ. ტაბიძე...“<sup>22</sup>

**9 ივნისი.** „ქუთაისის ქალაქის თეატრში შაბათს, 9 ივნისს გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო ზეიმი სამ განყოფილებათ. წაიკითხავენ ლექსებს, ესკიზებს, იუმორესკებს შემდეგი მწერლები: მგოსანი აკაკი, პ. ცახელი, ვ. რუხაძე, ვ. მალაქიაშვილი, შალვა დადიანი, გ. ტაბიძე, ჯ. ჯორჯიკია, ხუსკივაძე, ი. გრიშაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, კორტოხა, დ. მესხი, ნემო, ვ. ბალანჩივაძე, დ. მაიაშვილი ილ. ბახტაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამო 8 1/2 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.“<sup>23</sup>

**3 ივლისი.** გალაქტიონის ლექსი: „რა ვქნა?“ (ძღვნად თავ.-ს ასულს ზ-ს) დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი ცხოვრება“, (№ 2.) ნაწარმოები დათარიღებულია 1912 წლის ივლისით.<sup>24</sup>

**21 სექტემბერი.** ... მე არავის შევიყვარებ. მაგრამ არც შენ არ დაგანახებ როგორ ვიტანჯები შენ გამო; მშვიდობით, ისინი ჩემი უკანასკნელი წერილები იყო... ერთს გეკითხები თუ ასე ფიქრობდი, რატომ მაკოცე გამოშვიდობების დროს? ნუთუ შეიძლება სიყვარულის გარეშე აკოცო ადამიანს? განაგრძე შენი გზით სიარული, მხოლოდ ნუ მოუსპობ ადამიანს რწმენას... მართალია, ის ჩემი მეგობარი გალკი არ აღმდგარა ჩემში, მაგრამ უჩინარი, ხელშეუხებელი შენი სული, რომლის დანახვაც მხოლოდ მე ძალმიძს, მუდამ იქნება ჩემი მარადიული თანამგზავრი (ოლიას დღიურიდან).

**სექტემბერი.** „1912 წლის სექტემბრიდან გალ. ტაბიძე მშობლიურ სოფელშია. იგი ბევრს მუშაობს თავის თავზე, წერს და კითხულობს.“<sup>25</sup>

**[21] ოქტომბერი.** გალაკტიონის „შერიგება“ („ალბათ ღამით ყინვა მიწებს...“) დაარიღებულია 1912 წლის [21] ოქტომბრით.<sup>26</sup>

**22 ოქტომბერი.** „გამარჯვება მიხა! მართლაც დიდი ხანია ერთმანეთისთვის წერილი არ მიგვიწერია. ამაში ცოტა მეცა ვარ დამნაშავე... საკმარისად გავიცანი ცხოვრება, რომელშიაც ბევრი არა მიგემია სიტყბო, მაგრამ უბედურებები ხომ ჩემს ხელთ იყო... ასე თუ ისე, ვიცი ყოფნის მთავარი მიმდინარეობა, ადამიანის გული და ამის შემდეგ მეც ფრთხილად დავიჭერ თავს. საზოგადოდ ისინი ჩემთვის დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენენ, რაც უფრო მარტო ვარ, ადამიანებისაგან შორს, მით უფრო მეტს სულიერ სიმშვიდეს და გრძნობის დამშვიდებას ვგრძნობ... ღმერთს გეფიცები ეს ასეა. არსად არ ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვასთან, თუნდ საზოგადოებაში; მაშინ ჩემი სასონარკვეთილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს და არ ვიცი რა ვქნა... მე კი სიამოვნებით ვიცხოვრებდი თუნდ შენს „ჯვარისაში“, ოღონდ ღამაში ქალი მყავდეს თან. სხვა არავინ... აქედან ლოლიკური დასკვნა ასეთია, რომ მე მხოლოდ ერთი ქალი მჭირდება და სხვა არავინ. ცხოვრებამ მშვენიერი გაკვეთილი მომცა, რომ ასე ვიფიქრო ღმერთს ვფიცავარ, თვითონ ცხოვრება მითრევს კლანჭებში და თავის ნებაზე მატრიალებს... მე სწორედ გუშინ, ამგვარმა ოცნებებმა გამიტაცეს: თითქო გავექეცი ცხოვრების ვაივავლახს და მქონდა საკუთარი მყუდრო ბინა, მყავდა მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სახელიც კი დავარქვი: ზულიმა... ოცნებებმა ისე შორს გამიტაცეს, რომ ლექსიც კი დამანერინეს, აი, ეს ლექსი“ (შემდეგ მოდის ლექსი „შერიგება“ – მ.შ.), ცოტა გაუთლელი ლექსია, მაგრამ არა უშავსრა, მაინც გვარიანია, გავთლი... [მიშფოთებს] გულს სიტყვები შენი წერილიდან: „რა ვქნა, რომ აღარ ვიცი... ჩემი ერთადერთი მიზანი ახლა კვიტანციების ფულის გადახდააო...“ დამნაშავე მე ვარ, მე მოგაყენე ამდენი უსიამოვნება იმ მართლაც ღრმა მეგობრულ თავგანწირულებისათვის, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიჩინე, რომლის მსგავსი მე არავისგან არაფერი მახსოვს... საკუთარი საქმე აგირიე,

აგინენე, მაგრამ რაც უნდა დამემართოს... უსათუოდ გადავიხდი ამ ვალს... როდესაც ქუთაისში ვიყავი, მე ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, რომ დავიწყე საქმე და დასრულება აღარ ეღირსა მეთქი, ღამ-ღამობით ძილი არ ეკიდებოდა ჩემ თვალს... მერე როგორ ვცხოვრობდი?... აბა, წარმოიდგინე, ნახევარჯერ მშიერი, მწყურვალი, თითქმის ტიტველიც. დღე არ გაივლიდა, რომ რაიმე დამარცხება არ მიმელო, რაიმეში არ მოვტყუებულიყავ... ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძნობა, რომელიც არაფერს მაძლევდა და წარმოიდგენ, ღმერთს გეფიცები, სულ ცოტადა მაკლდა შეშლას... პირდაპირ შევიშლებოდი, რომ ჩემი ძმა არ ჩამოსულიყო და სულ ძალით არ წავეყვანე სოფელში, ეხლა თავადივითა ვარ, მაგრამ რა გამოვიდა? ღულადის მინდვრიდან დაწყებული და თეთრ ხიდს დაყოლებული სობორის იქით – ყაფნამდე, არც ერთი სასადილო არ არის, რომ ორი სადილის მაინც არ მმართვედეს, არც ერთი სარძეო არ არის, რომ არ მმართვედეს, არც ერთი დალაქი არ არის, რომ არ მმართვედეს... დიასახლისის პირდაპირ 25 მანეთი გამომყვა... აი, ეს შემძინა ქუთაისში ცხოვრებამ...

სხვა, მიხა, გული არ გაიტეხო, მომავალი ჩვენია, ვიძახოთ ასე და თუ არ იქნება ჩვენი მომავალი ჯანდაბას იმისი თავი, ასე ვფიქრობ მე და ვწერ განუწყვეტილად, სწერე შენც, მე მაგალითად ორი პოემა დავსწერე: „ძველი კოშკი“ (ორი შენი „მწუხრიშვილის“ ტოლა პოემა) და „ალვის ხეები“ (მისტიციზმითაა ავსებული). „ორი მეგობარი“ (მოთხრობა, რომელსაც წინად „ძველი კოშკი“ ჰქვიოდა და რომლის ნაწილი წაგიკითხე კიდეც, ტუტუცური ადგილებიც გავასწორე. ჩაუვმატე რამეები და დავათავე კიდეც), ჰომეროსის „ოდისეი“ (მესამედი გადავთარგმნე და ჯერჯერობით მიტოვებული მაქვს) ერთი ასამდე წვრილი ლექსი დავწერე, ვწერ დღე და ღამე განუწყვეტლად, ავადმყოფივით. ეხლა თავში აზრად მომივიდა პოემის „ქრისტე უდაბნოში“ დაწერა, ამიტომ თუ სადმე საღვთისმეტყველო წიგნები მაქვს, გატაცებით ვკითხულობ... მამ ასე ჩემო მიხა, ვუცადოთ ბედს! მალე ამოათათებს ჩვენი ვარსკვლავი... მარადის შენი მეგობარი გ.ტ. 1912 წ. 22 ოქტ.<sup>27</sup>

**23 ოქტომბერი.** „ქ.წ.კ.გ.ს. ტფილისის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი გამოცემა ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა გრდემლი, სალიტერატურო კრებული, წიგნი მეორე. შინაარსი... გ. ტაბიძე – ლექსი...“<sup>28</sup>

**[23 ოქტომბერი].** სალიტერატურო კრებულში, „გრდემლი“, წიგნი მეორე, დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „დახუჭული თვალები“.<sup>29</sup>

**1 ნოემბერი.** სალამი ჩემს გალაკტიონს!.. ბიჭო, რას შევები სოფლად, უთუოდ სწერ და სწერ, ესეც კარგია... რას შვრები, გალაკტიონ, ადგილი ვერ იშოვნე? ესადე როგორმე, ჩადი ქუთაისში და მოელაპარაკე ავერიევსა და ძიმესტარაშვილს (კარტახას) ერთად... გალაკტიონ, თუ დრო იშოვო როდისმე, გადაათვალიერე „მიმოზა“ და ენა გაასწორე... შენი მარადის მეგობარი მიხ. ბოჭორიშვილი.<sup>30</sup>

**12 ნოემბერი.** გაზეთ „თემში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ბებერი მუხა“, შემდეგ ის იბეჭდებოდა სათაურით: „მუხა“. <sup>31</sup>

**15 ნოემბერი.** „რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების“ მე-IX ნომერი შემდეგი შინაარსით... 16) გრძნობათა ფერფლი გ. ტაბიძისა.“<sup>32</sup>

**[15 ნოემბერი].** ჟურნალ „განათლების“ ნომბრის თვის ნომერში (№ IX) ერთ ციკლად, სათაურით: რკალიდან „გრძნობათა ფერფლი“ დაიბეჭდა გალაკტიონის ათი ლექსი: „შემოდგომის ფოთოლი“, „Ave maria“, „მალე, სულ მალე“, „სასაფლაოზე“, „ველნი ჰყვავიან“, „ხომლი“, „სერენადა“, უსათაურო „... ხშირად ვოცნებობ...“, „გამოსალმება“ და „შემოქმედება“ (გვ. 697-699). მოგვიანებით ავტორმა ზოგიერთი ლექსი გადააკეთა და სათაური შეუცვალა, მაგ. ლექსს „მალე, სულ მალე!“ – „სარკმელთან“ უწოდა. ჟურნალის ამ ნომერში დასტამბულ ლექსს: „ველნი ჰყვავიან“, „გრძნობათა ფერფლი“ დაარქვა, ხოლო „შემოდგომის ფოთლის“ სათაური – „ყვითელი ფოთლით“ შეცვალა.<sup>33</sup>

**24 დეკემბერი.** გაზეთ „თემში“ (№ 103) პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია სარეკლამო განცხადება, სადაც დასახელებულია ნ3 ქართველი მწერალი „1912 წელს გაზ. „თემს“ თავის ნაწარმოებებს რომ უგზავნიდნენ. ისინი მომავალ წელსაც აპირებენ გაზეთთან თანამშრომლობას...“ მათ შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძეც.

**დეკემბერი.** გალაკტიონის ლექსი „ახალ წლის ღამეს“ დათარიღებულია 1912 წლის დეკემბრით.<sup>34</sup>

**1912.** „რომანი 1912 წელს იწყება. იწყება და არ მთავრდება, რადგან გალაკტიონმა თქვა: მე შენ მიყვარხარ. ეს კი ნიშნავს: ოლია მარად იცოცხლებს, მათი გრძნობა არ გახუნდება... გალაკტიონმა ოლიას სახით იპოვნა თავისი ოცნების ქალიშვილი, რომელსაც ყველაზე მომხიბლავი ღიმილი აქვს, ყველაზე მომნუსხველი გამოხედვა, იგი მეგობარ- თანატოლთა შორის ყველაზე განათლებული და გონიერია... ოლიას დღიურში ჩაუწერია: „ზაფხული იდგა ქუთაისის ბაღში ახალგაზრდა მასწავლებლები შეკრებილიყვნენ. შენ მუქი ბლუზა გეცვა და გახუნებული ქუდი გეხურა. მხრებში მოხრილი ჩანდი, სახეზე გეწერა რომ ცხოვრება ტანჯვად გადაგცეოდა. სხვებს არ ჰგავდი და ამიტომაც მიმიზიდე. ვიკითხე ვინ არის – მეთქი, მიპასუხეს: პოეტი, ეს ესაა მიატოვა მასწავლებლობაო. მას შემდეგ სულ შენზე ვფიქრობდი...“<sup>35</sup>

„ვთანამშრომლობ გაზეთებში. მძიმე ცხოვრების პირობებში ვინც მუშაობას არაღელვალურ ბოლშ. უჯრედში. ვბეჭდავ პროკლამაციებს ღამით. მსურს გამოვცე პირველი წიგნი. წიგნი წინასწარ ხელის მოწერით უნდა გამოსულიყო.

განზრახვა წარმოუდგენელი კატასტროფით თავდება. წიგნს წინასწარ ხელი მო-  
ანერა, მხოლოდ 15 კაცმა.“<sup>36</sup>

გალაკტიონს 1912 წელს, ლიტერატურულ კონკურსში, გაზეთ „თემის“ მეო-  
რე პრემია მიენიჭა.<sup>37</sup>

„ლიტერატურულად ახმაურებულ ქუთაისს შეაფარა თავი გალაკტიონმა.  
ეს იყო 1912 წელი. იგი მოეწყო სოციალ-დემოკრატიული გაზეთის რედაქციაში  
ქრონიკოროად. გალაკტიონი მონაწილეობდა პარტიული ორგანიზაციების სა-  
სარგებლოდ გამართულ საღამოებში.“<sup>38</sup>

**1912.** „გალაკტიონ, გაზეთში „ზაკავკაზკაია რეჩი“ ნავიკითხე შემთხვევით,  
რომ თეატრში, გუბერმანის კონცერტზე პოლიციელთან ლაპარაკი მოუვიდაო და  
უჩნასტკაში წაიყვანესო. როგორ დათავდა საქმე? ხომ იმ ღამესვე გამოგიშვეს?  
უსიამოვნება ხომ არაფერი შეგმთხვევია. კორესპონდენტს კარგად გადაეკრა  
პოლიციელისთვის: „Неужели аплодисменты должны раздаваться по команде  
полицейского“(აბესალომის წერილიდან).“<sup>39</sup>

**[1912].** „ფიქრიდან განუშორებელი საყვარელი შვილი ჩემო გალაკტიონ!  
პ-დ ვისურვებ შენთვის ყოველივე კეთილს, რაიც ჯობია შენთვის, რომ შენი დედა  
არ დატანჯულიყოს შენი ჯაურით... მარტო შენ ჭკუაზე ნუ მიდიხარ, ჩვენიც დაი-  
ჯერე. ნასწავლი კაცი ტყუილათ უსარგებლოთ ნუ გაარონიეფ შენდღე და მოსწ-  
რებას. არც შენ თავს არგინხარ სასიკეთოთ და არც ოჯახს. თუ არა გაქს საქმეები,  
იმის ჯავრი არა გაქს, ასთე არ შეიძლება ცხოვრებაში, იმ სამსახურში ნუ იქნები  
თავის და ოჯახის უსარგებლო. რომ იყავი, იმ სამსახურში ნუ დადგები. თუ უკე-  
თეს რამე საქმეს იშონი, თვარა ერთხანს სახში მოდი და იყავი ეკენის თვემდი...  
ეხლა ყოლიფერს კი გიშონი, მე ძალიან მაკლია გულს შენ სამსახურზე და ხელის  
წყობაზე. მაშინ ნამეტანი მოუცლელიობა და ხელშეშლილობა მქონდა და ეხლა თუ  
მოხვალ, აპა, მე ვიცი. აბესალომ თუ შამოვიდეს, შავლარები იყიდეთ, კარგი მატე-  
რია შავი დაგაბარეთ... შენი ერთგული დედა. მ. ტ. [1912].“<sup>40</sup>

მოდერნიზებული თექვსმეტმარცვლელი ორტაეპიანი სტროფიკით 1912  
წლიდან მკვიდრდება გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში.<sup>41</sup>

**1 იანვარი.** გაზეთი „თემი“ საახალწლო ნომერში აქვეყნებს გალაკტიონის ლექსს „ახალ წლის ღამეს“.<sup>1</sup>

**4 იანვარი.** „...ამ შემთხვევაში არას მოგახსენებთ ბ-ნ სილოვანზე, ჭუმბაძეზე, შანშიაშვილზე, გრიშაშვილზე, ტაბიძეზე... რადგან ამათ უკვე ადრე იცნობდა მკითხველი საზოგადოება და „კოლხიდაში“ თანამშრომლობის ხანა მათთვის დამახასიათებლათ ვერ ჩაითვლება...“<sup>2</sup>

**[20 იანვარი].** ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „REQUIESCAT IN PACE „ („განისვენე მშვიდად“). შემდეგ მას ავტორმა „მესაფლავე“ უწოდა.<sup>3</sup>

**30 მარტი.** კვირას, 31 მარტს ქალაქის (ქუთაისის – მ.შ.) თეატრში ი.გრიშაშვილი გამართავს საღამო-მეჯლისს... საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ მწერლები: დ. კლდიაშვილი, თ-დი კოლა ერისთავი, ნ. ლორთქიფანიძე, დ. თომაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე...<sup>4</sup>

**7 აპრილი.** „იმხანად ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც თეოდორ სოლოგუბის ლექციამ მოახდინა. 7 აპრილს საზოგადოება სულგანაბული უსმენდა სახელგანთქმულ პოეტს, რომელიც ახალი დროის ხელოვნებას ახასიათებდა...“<sup>5</sup>

**23 აპრილი.** „ბ-ნმა რ. დათეშიძემ უფლება შეიძინა და ამ დღეებში კიდევ შეუდგა პოეტის გ. ტაბიძის ლექსების ცალკე ნიგნად გამოცემას. ნიგნი ხელმისაწვდომ ფასებში გამოიცემა.“<sup>6</sup>

**26 აპრილი** ხუთშაბათს, 2 მაისს, ქალაქის თეატრში (ქუთაისში – მ. შ.) გ. ტაბიძის ხელმძღვანელობით გაიმართება სალიტერატურო-სამხატვრო და სამუსიკო საღამო. საღამოში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს მხატვარი გ. მესხი და კრიტიკოსი ხომლელი.<sup>7</sup>

**30 აპრილი.** „გ. ტაბიძის საღამო. ხუთშაბათს, 2 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება სამხატვრო-სალიტერატურო და სამუსიკო საღამო... პირველ განყოფილებაში მხატვარი გ. მესხი ცოცხალ სურათად დადგამს შოთას ძეგლს. მეორეში ხომლელი წაიკითხავს რეფერატს: „აკაკი როგორც დიდი ეროვნული მგოსანი.“ სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობენ მომღერალი გ. თუთბერიძე და სკრიპკაზე დამკვრელი ყარაგოზიანი; სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ: ცახელი, ნ. ჩარექოვისა, აპ. წულაძე, დ. მესხი, თავუნა, ვ. ბალანჩივაძე, ილ. ბახტაძე, გ. ტაბიძე და სხვ.“<sup>8</sup>

**7 მაისი.** „ძმარ აბესალომ! საღამოს საქმე ისევ ჩამიშალეს, ამის მიზეზები, ვინ იცის, რა არ იყო... როდისმე მოგიყვები ყველაფერს დაწვრილებით. ახლა ცო-



ტათი ვერ ვარ კარგ გუნებაზე, მაგრამ არა უშავს რა... მეუბნებიან, ნუ მოგინყენია, ჩვენ შეგეწვეით, ცოტა დაგვაცა!“ ვნახოთ! სოფელში ვერ მივდივარ... სხვა თუ არა დათეშიძის გონორარის იმედი ძალიან მაქვს. სალამო მაქვს სამტრედიაში, სალამო მაქვს ჭიათურაში, ცოტა ხანში ჩემს სასარგებლოდ შინაურულ სალამოს მართავს ერთი კნეინა... მასწავლებლობა კი ამცდა. კითხვა ყოფილიყო ჩემზე და ერთ წვრილშვილით დატვირთულ მასწავლებელზე. ორივეზე ბევრი ილაპარაკეს, ჩემზე განსაკუთრებით, იმას მაინც მისცეს, როგორც ოჯახის პატრონს. მეორე ადგილი ავიჩინე და დღესვე თხოვნას ვაძლევ საბჭოში.“<sup>9</sup>

**13 მაისი.** გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „გზაზე“. პოეტის პირველ წიგნში და კრ. „ჩანგში“ ამ ნაწარმოებს იგივე სათაური აქვს, შემდეგ კი შეცვლილი სათაურით: „თვალუნვდენელი, დაუსაბამო“ იბეჭდებოდა.<sup>10</sup>

**19 მაისი.** ჟურნალ „ოქროს ვერძში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ქალი და ხელოვნება“.<sup>11</sup>

აქვე, ქრონიკაში, იუნყებიან: „რ. დათეშიძე შეუდგა ახალგაზრდა პოეტის გ. ტაბიძის ლექსების გამოცემას“ (გვ. 15).

**26 მაისი.** გალაკტიონის ლექსი: „უხილავი“ (აივაზოვსკის სურათის წინ) დაიბეჭდა ჟურნალ „ოქროს ვერძის“ მეორე ნომერში, რომელსაც ახლავს რედაქციის მინაწერი: „ეს ლექსი გაგზავნილი იყო შარშან გაზეთ „თემის“ მიერ გამართულ კონკურსში, სადაც აბაშელის ლექსის შემდეგ (გამარჯვებული), ყველაზე მეტი ხმა მიიღო“.<sup>12</sup>

**26 მაისი.** დღეს დ. სამტრედიაში, კლუბის დარბაზში სალამო იმართება სალიტერატურო განყოფილებით, რომელშიც სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ქართული სცენის მსახიობი ვ. ბალანჩივაძე და ახალგაზრდა პოეტი გ. ტაბიძე.<sup>13</sup>

**16 ივნისი.** გალაკტიონის ლექსი: „მე და ღამე“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ოქროს ვერძში“.<sup>14</sup>

„მე და ღამე“... ისმის თუ არა ამ ლექსში სულიერი სიმტკიცე ახალგაზრდობის, ისმის თუ არა შიგ საიდუმლოების დაცვის ფიცი? სჩანს თუ არა აქ ბუნება, მაგრამ არა ადამიანის გარეშე, არამედ ადამიანის მიერ განცდილი, არა განყენებული (ეს მთავარია). კიდევ რამდენი ლექსია ასეთი! რატომ არის მთვარე და არა მზე? უვიცს არ ესმის, რომ მთვარე სანყისია ვაჟურობის, მზე ქალურობის (იხ. ამის შესახებ...) მართალია, მითოლოგიაა...“<sup>15</sup>

**30 ივნისი.** „როგორც მრისხანე გამოძახილი დემონის ხმისა მიუვალ მთებში, ისეთი არის სიტყვა ჩხიკვაძისა, ძლიერი არის ქუჩიშვილის უარყოფის ჰანგი,

მათ შორის არის კიდევ ერთი, რომელსაც ბევრი მათ არ გაუტოლებს, მაგრამ ჩემთვის პირადად მისი ლექსი, სისხლის წვეთებით დაწერილი, უსაყვარლესია, ეს არის გ. ტაბიძე.“<sup>16</sup>

**[ივნისი-ივლისი].** „მასსოვს შარშან ზაფხულში, როცა კიდევ სხვითი ვიყავ გატაცებული, თუმცა არ მიყვარდა, სასაირონო ბაღში მოგავლე თვალი სხვა მასწავლებლებში; ქუდი გახუნებული გქონდა და ტანსაცმელი, ბლუზა რალაც მუქი გეცვა, მხრებში მოხრილი, მოწყენილი, ხის ქვეშ იდექი ქუდზე კოკარდით. ოხ, რა მძულს ეგ კოკარდიანები და თან რა მეცოდება... მაგრამ რალაც სხვანაირობამ მათში მე მიმიზიდა, მომეწონე, მისთვის, რომ ვიფიქრე: ეგ რალაც სხვანაირი უნდა იყოს-თქო, არ უნდა იყოს კმაყოფილი მისი ცხოვრებით-თქო. საშინლად ეს უკმაყოფილება ტანჯვით გადაქცევია: რაც მთელ მის სახეში, სიარულში და ყორისფელში გამოიხატება. ვიკითხე, ვინ არის ის მოწყენილი მასწავლებელი? მიპასუხეს: „ის არის პოეტი – მასწავლებელი, მაგრამ მასწავლებლობა მიატოვა ეხლა.“ მე საშინლად გამიხარდა ეს. მის მერე სულ თვალს გადავვინებდი. ჯერ წყნარად და მერე კი რალაცას ვიმასხრებდი. შენ რომ ჩაივლიდი უკან წამოგყვებოდი და რალაცას ვიტყოდი, შენ ალბათ ვერ მამჩნევდი, მერე გავიგონე ერთხელ, ნასვამი იყავი და ვილაცას უთხარი, რომ მივდივარო მატარებლით. მე წავედი ვაგზალში... მაშინ შორს გავჩერდი და გიყურებდი... ზარი დარეკეს უკანასკნელი და მატარებელი დაიძრა... მის მერე ისევ გნახე შარშან გაზაფხულზე... მერეთ საშობაოთ, სააღდგომოთ... მაგრამ სააღდგომოთ კი სულ ყოველთვის გამოვიქცეოდი, როდესაც შენ დაგინახავდი, უკან წამოგყვებოდი და დავიძახებდი მხოლოდ: „О! Это Табидзе“. მეტს ვერასფერს... სააღდგომოთაც მეუბნებოდნენ გაგაცნობო, მაგრამ მე არ მინდოდა, არა, თუმცა მინდოდა! მინდოდა შორიდან მედევენებინა შენთვის თვალი... მერმე მინდოდა სულ შენთან ვყოფილიყავი, მელაპარაკა... ეხლა მინდა გნახო! ვგიჟდები, მინდა ჩემთან იყო, მინდა და რა დანაშაულობაა ეს, აბა მითხარ?!... დღეს სურათი გადავიღეთ მე და ნუცამ და ჩემს გულში ვფიქრობ ერთი შენ გამოგიგზავნო, თუმცა ვერავის ვერ ვეუბნები...“<sup>17</sup>

**15 ივლისი.** გაზეთ „თემში“ გალაკტიონი აქვეყნებს ლექსს: „ჩემს ირგვლივ“. შემდეგ ეს ნაწარმოები სხვა სათაურით ქვეყნდებოდა: „ყველაფერმა იცვალა ფერი“.<sup>18</sup>

**1 აპრილი.** გაზეთ „განთიადში“ გამოქვეყნდა ციკლი ლექსებისა: „ნუთი გრძნობათა“, რომელშიც შევიდა: „ნუთი“, „ვწყველი სიყვარულს“, „სად?“ „... მალე ფერგადაშლილი“, „შორეულს“, „Aurora“, „მარტონი ვართ (... ს)“. ამათგან ზოგიერთი ავტორის მიერ გადაკეთ-შესწორდა და შემდგომ გამოცემებში სხვა სათაურით ქვეყნდებოდა. მაგ. „ვწყველი სიყვარულს“ ეწოდა „10 წლის წინად“, „შორეულს“ კი – „ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს“ და ბოლოს, ლექსი: „მარტონი ვართ“, რომელიც პირველად გაზ. „კოლხიდაში“ დაიბეჭდა (უსათაუროდ) „... ო, რა ტკბილათ“ (№107, 1911 წ.), საბოლოოდ შეიცვალა და დარჩა უსათაურო: „...“

ველთა შორის გამოისმა“, ხოლო „Aurora“, შემდგომ სათაურით: „ავრორა“ იბეჭდებოდა.<sup>19</sup>

**2 აპრილი.** გაზეთ „განთიადში“, ავგუსტ ბებელის სურათის ქვეშ, იბეჭდება გალაკტიონის უსათაურო ლექსი „...ირგვლივ, გარშემო“, რომელსაც შემდეგ „გარდაცვალება“ დაარქვა. ახალ აკადემიურ გამოცემაში ამ ნაწარმოებს თავდაპირველი სათაური დაუბრუნეს.<sup>20</sup>

**[ილია რუხაძე]:** „გალაკტიონი ქუთაისში გავიცანი 1913 წელს, როდესაც ქუთათური სოციალ-დემოკრატიული ყოველდღიური გაზეთის პასუხისმგებელ მდივანად და გაზეთ „დილას“ ოფიციალურ რედაქტორად ვითვლებოდი. გალაკტიონი მაშინ ახალგაზრდა პოეტი იყო, მაგრამ საკმაო სახელი და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. იგი გაზეთის მუდმივ თანამშრომლად ითვლებოდა და ყოველდღიურად მოჰქონდა გაზეთისათვის ქალაქის ახალი ამბები... ერთობ მორცხვი და მოკრძალებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა... მისი ლექსები ყველას მოსწონდა, ზოგჯერ რედაქციაც უკვეთავდა ხოლმე ლექსებს. მაგალითად, ბებელის გარდაცვალებაზე სახელდახლოდ დაწერა ლექსი, რაც მისი სურათის ქვემოთ დაიბეჭდა. მაშინ გაზეთის რედაქცია თავისი ნივთიერი სახსრების გასაძლიერებლად ხშირად მართავდა სალიტერატურო საღამოებს ქუთაისში, ჭიათურაში და სხვაგან. გალაკტიონიც მონაწილეობდა ასეთ საღამოებში, კითხულობდა ახალ ლექსებს. ერთი ასეთი საღამო 1913 წელს, ქუთაისში გაიმართა... გალაკტიონმა ამ საღამოზე ორი ლექსი წაიკითხა, რასაც საზოგადოება მოწონებით შეხვდა. იმავე წელს გალაკტიონი მენჯია ხონში, როდესაც იქ, საკუთარ სახლში, საზაფხულოდ ვისვენებდი...“<sup>21</sup>

**25 აპრილი.** „ჩვენ სრულად ვეთანხმებით გ. „თემის“ წინააღმდეგ მიმართულ მუშათა საპროტესტო წერილების აზრს, ამიტომ, ხსენებულ გაზეთში თანამშრომლობას დღეიდან თავს ვანებებთ. ვ. მალაქიაშვილი, გ. ტაბიძე, იასამანი, რ. ლეჩხუმელი და გელა.“<sup>22</sup>

**2 სექტემბერი.** „თემის“ ფოსტა. ბ. ბ. ნოე ჩხიკვაძეს, ვ. მალაქიაშვილს, იასამანს, გ. ტაბიძეს, გელასა და რ. ლეჩხუმელს. თქვენ გამოგიცხადებიათ, რომ „თემში“ აღარ გსურთ თანამშრომლობა, მაგრამ სანამ ამას იტყოდით, როგორ ერთხელ მაინც არ დაფიქრდით, განა ზოგიერთი თქვენგანი პირდაპირ არ გვემუდარებოდით დაგვესტამბა თქვენი ნაწარმოები – სწორედ იმ წერილების დაბეჭდვის შემდეგ, რომლის გამოც ახლა ბუქსა და ნალარას სცემთ? ძალიან კარგად გვესმის, თუ რა წმინდა წყლის რისხვაა თქვენი რისხვა... სჯობს ისევ ზოგიერთმა თქვენგანმა უკან მიიღოს ის თქვენი „ნაწარმოები“, რომელსაც კარგა ხანია გულის ფანცქალით მოელის ძალზე შეწუხებული სარედაქციო გოდორი...“<sup>23</sup>

**5 სექტემბერი.** „გაზეთის „თემის“ უკანასკნელ ნომერში დასტამბულია წერილი იმ პირების საპასუხოდ, რომელთაც უარი განაცხადეს „თემში“ თანამშრომლობაზე. ეს თანამშრომლობა დაკავშირებული იყო ილია ჭავჭავაძის

მკვლელობის გარშემო ატეხილ კამათის დროს „თემის“ დასაგმობ პოზიციაზე შედგომასთან. ახლა „თემი“ გვეკითხება: „განა გვითხოვია თქვენთვის როდის-მე თანამშრომლობაო?“ „თემმა“ უნდა იცოდეს, რომ მკითხველისათვის ინტერესს მოკლებულია, თუ ვინ ვის სთხოვა თანამშრომლობა: „თემმა“ ჩვენ, თუ ჩვენ „თემს“. პირადად მე უნდა აღვნიშნო შემდეგი: 1. მე არ მითხოვია „თემისთვის“ გამოვეცხადებინე თანამშრომელთა რიცხვში, მან მაინც გამომაცხადა. 2. მე არავის არ „ვემუდარები“ რამეზე, რადგან სამუდარო და სახვეწი არავისთან არაფერი მაქვს, მით უმეტეს „თემთან“. 3. იმ წერილების შემდეგ, რომლებმაც საერთო უკმაყოფილება და ზიზღი გამოიწვია, მე „თემში“ არა გამიგზავნია-რა დასაბეჭდათ. 4. აქედან ცხადია, რომ სრულიად უსაფუძვლოა „თემის“ ეჭვიანობა იმაში, თუ „რა წმინდა წყლის რისხვაა ჩემი რისხვა“. გ. ტაბიძე“.<sup>24</sup>

**12 სექტემბერი.** „... საღამოს გუცა შემოიჭრა პატარა ოთახში. ეს ის გუცაა (პოეტი გიორგი ფარქოსაძე – მ.შ.), რომელსაც გალაკტიონმა მიუძღვნა ლექსი „ეჭვი“. მაზეგ აკაკის უნდა გავყვეთ მუხიანში. იქ მისი სახელობის ბიბლიოთეკა იხსნებაო. გასაგებია, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს მიწვევა, აკაკი ხომ გალაკტიონის ღმერთი იყო... ქუთაისში დამკვიდრების შემდეგ ახალგაზრდა პოეტი არაერთხელ შეხვედრია აკაკის, ხანმოკლე საუბრებიც ჰქონიათ, მაგრამ სულ სხვაა მთელი დღით საქართველოს ბულბულის გვერდით ყოფნა.“<sup>25</sup>

**15 სექტემბერი.** „გალაკტიონი ადრინად ესტუმრა ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეებს. აკაკი მათ ბინაზე იმყოფებოდა... ათი წუთის შემდეგ დავით კლდიაშვილიც მობრძანდა. გალაკტიონს ღიმილით მიესალმა და აკაკის გადაეხვიდა. მერე სხვებიც გამოჩნდნენ... თერთმეტის ნახევარზე შვიდი ეტლით მუხიანისკენ დაიძრნენ...“<sup>26</sup>

„მუხიანში გაიხსნა აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა... აკაკის „მხლებელთა“ შორის იყვნენ: ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი, მწერლები: ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ან. იურკევიჩისა და ჟურნალისტები: გრ. ლალიძე, ლადო ბზვანელი, იმერი, კინომატოგრაფიის მოხელე ვ. ამაშუკელი და ბევრი კიდევ სხვა.“<sup>27</sup>

**17 სექტემბერი.** „აკაკი მუხიანში. არავინ მოელოდა, თუ აკაკის პატარა ექსკურსია ისეთ უმნიშვნელო დაბაში, როგორიც მუხიანია, აგრე საყურადღებო და ეფექტიანი იქნებოდა. კვირას (15 სექტ. – მ.შ.), დილის ცხრა საათზე, აკაკისთან იკრიბებიან დ. კლდიაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე... დიდის მხიარულებით გატარდა სადილი, თამადად არჩეული იყო ადგილობრივი მოძღვარი. მან დალია აკაკის სადღეგრძელო... დასცალეს დ. კლდიაშვილის, ვ. რუხაძის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა სადღეგრძელოები... საღამოს გაიმართა მილოცვები... სტუმარს ლექსით მიმართა გ. ტაბიძემ...“<sup>28</sup>

**25 სექტემბერი.** „ამელამ 5 საათზე გავდივარ ქუთაისიდან... გავდივარ რაღაც მწარე წინათგრძნობით. მგონია თითქო სამუდამოდ ვემშვიდობები ქუთაი-

სის არემარეს, გული ტანჯვით მეკუმშება, უსასობასა და მარტოობას ვგრძნობ. გესმის ოლოლ, ბავშვობიდანვე მწამდა ბედისწერა, მოირა, როგორც ეძახიან – ფატალიზმი. იგი ჩემი მტერი იყო... ეხლა რადგან გვიანია (თერთმეტის ნახევარი), საკანდიტროში ვზივარ და ვწერ ამ წერილს... არავინ არის მახლობლად...

P.S. სურათი არაა მზად, თორემ გამოვავზავნიდი... რა ვქნა ოლოლ, [როგორ შემიძლია უშენოდ გაძლება...] ვკვდები...<sup>29</sup>

**საქტემბერი.** „მთვარევ, შენ გახსოვს ჩემი გიჟური ღამეები? შენ გახსოვს, როგორ ავდიოდით მთაზე მე და გალაკტიონი? შენ გახსოვს როგორ ამიტანა იდუმალმა შიშმა? შენ გახსოვს, იმ იმ ღამეს პირველად მაკოცა და გამომიტყდა სიყვარულში? შენ ყველაფერი გახსოვს! სადაა ახლა იგი? რასა იქმს?..“<sup>30</sup>

**საქტემბერი.** „დადგა სექტემბერი – „ფერში ნაირ-ნაირშია...“ გალაკტიონი მოჟამულ ხასიათზეა. ჯერ იყო და ლიტერატურული საღამო ჩაეშალა. მერე „თემის“ რედაქციასთან მოუხდა შეტაკება, ნიგნის გამოცემასაც ვერ მოაბა თავი... დედაც საყვედურობს: „შენ ჩემთვის არ გემეტება წელიწადში ერთი წერილის გამოგზავნა...“ ყოველივე ამას დიასახლისის ბუზღუნიც ემატება: „ბინის ქირას აგვიანებო.“<sup>31</sup>

**13 ნოემბერი.** გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „ტყემ წამიყვანა“ (გაზ. „მერცხალი“).<sup>32</sup>

**19 ნოემბერი.** „კვირას, 24 ნოემბერს, ქალაქის (ქუთაისის) თეატრში მომღერალის გ. თუთბერიძის მონაწილეობით გაიმართება მუსიკალურ-ლიტერატურული და დრამატიული საღამო... თავიანთ ნაწერებს ნაიკითხავენ მწერლები: ი. ეკალაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, გელა, ილია რუხაძე და სხვ...“<sup>33</sup>

**24 ნოემბერი.** „დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თეატრში გაიმართება მუსიკალურ-ლიტერატურულ-დრამატიული საღამო... მონაწილეობას მიიღებენ: ი. ეკალაძე, ... გ. ტაბიძე, გ. და სხვ.“<sup>34</sup>

**26 ნოემბერი.** კვირას, 24 ნოემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართა მუსიკალურ-ლიტერატურული და დრამატიული საღამო... გ. ტაბიძის ლექსები შინაარსის მხრით საინტერესო იყო, ნაკითხვით კი სუსტათ ნაიკითხა.<sup>35</sup>

**28 ნოემბერი.** „პოეტმა გ. ტაბიძემ დასწერა პოემა „შუანეთა“, ეს პოემა გუშინწინ ნაიკითხა ერთ წრეში – სადაც აღტაცებით მიეგებენ პოემის როგორც შინაარსს, ისე ფორმასა და გრძნობათა სიუხვეს.“<sup>36</sup>

**8 დეკემბერი.** „12 ამ თვეს დ. ჭიათურაში იმართება სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობით ლიტ.-მუსიკალური საღამო. ლექტორი გრ.

გიორგაძე წაიკითხავს ლექციას: „მაქსიმე გორკი როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი.“ ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე, გელა და გ. ქუჩიშვილი.“<sup>37</sup>

**12 დეკემბერი** „დ. ჭიათურაში დღეს უნდა გაემართა სახალხო უნივერსიტეტს სალიტერატურო საღამო, მაგრამ რადგანაც ლექცია უნდა წაეკითხა გრ. გიორგაძეს და ის კი დაპატიმრებულია, ამისთვის საღამო გადიდვა შემდეგისათვის.“<sup>38</sup>

**1913.** „ნიგნის გამოცემის განზრახვა მეორეჯერაც სრული ფიასკოთი დამთავრდა. გამომცემლობები, როგორც ქუთაისისა, ისე ტფილისისა, კატეგორიულ უარს აცხადებენ ჩემი ნიგნის გამოცემაზე. ეს გარემოება სულით ხორცამდე მაშფოთებს. მაგრამ მე თავს ვიჭერ და მოთმინებით ვუცდი: ვიცი გამოიღარებს.“<sup>39</sup>

აქვე უნდა ითქვას, გალაკტიონის ერთი, მოგვიანო ხანის ჩანაწერის შესახებ, რომელიც რუსი გამომცემლისათვის იყო გამიზნული. გალაკტიონს აღნიშნული აქვს: „1908 – 1948. ნიგნში ლექსები უნდა განთავსდეს მკაცრად-ქრონოლოგიური რიგით. 1908 წ. – ათი ლექსი, 1909 წ. – თხუთმეტი ლექსი, 1910-1913 წწ. - ოც-ოცი ლექსი, 1914-1915 წწ. – 30 ლექსი, 1916 წ. – 50 ლექსი, 1917- 1921 წწ. – 50 ლექსი და ა. შ... მხოლოდ ამ გზით ექნება რუს მკითხველს შედარებით სრული წარმოდგენა ჩემზე, როგორც პოეტზე. სხვაგვარი ქრონოლოგიური განაწილება, მაგალითად, ასეთი 1908 – 1918, 1918-1948 და ა. შ. აბსოლუტურად არ მიესადაგება ჩემს კრებულს [გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩემი შემოქმედების ყოველი წელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამასთან] ასეთი ტრაფარეტული მიდგომა წარმატებით შეიძლება გამოიყენონ [სხვა პოეტების სხვა ნიგნებში] სხვა ნიგნებში, მაგრამ ჩემთვის ამას არავითარ შემთხვევაში არ ვისურვებ...“<sup>40</sup>

ამგვარი იყო გალაკტიონის შეხედულება თავისი ნიგნების სტრუქტურისა და ლექსების განლაგების შესახებ. ის თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკური კრიტიკოსების მიერ მისი შემოქმედების მექანიკურ დაყოფას: რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. მაგრამ, ძალა აღმართს ხნავდა და... ქართული მოდერნისტული პოეზიის ლიდერი, პროლეტარული პოეზიის „თანამგზავრად“ შერაცხეს.

**6 იანვარი.** „ოლია! ... რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცალიერემ მოიცვა მთელი ჩემი არსება.. სიცალიერემ, რომლის განადგურებას არ ვიცი რანაირი მდგომარეობა შეძლებს და რა არის მისი წამალი?.. ჩემს გულს საშინლად სწამლავდა შენიანების იქ ყოფნა. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ უცხო, ძალიან უცხო და არასასიამოვნო პირი ვიყავი დედაშენისთვის, მე ვგრძნობდი, რომ ყველა გულში ან დამცინოდა ან კვირობდა ჩემს ხშირ სტუმრობას... მინდოდა მეყვირა, რომ... მხოლოდ ოლიასთან ყოფნა მინდა მეტეი... მთელ შენ კომპანიასთან, მხიარულ კომპანიასთან, მხოლოდ მაშინ ვგრძნობ კავშირს როდესაც შენა ხარ ქუთაისში... როდესაც შენ წახვალ, მე მათ ვავინყდები და ისინი მე მავინყდებიან... ოქტომბერში მატარებელზე ყველანი შევიკრიბენით, რადგან შენ მიდიოდი ჭიათურაში... შენ სიკვდილმისჯილი დამნაშავეის სახე გქონდა. ჩვენ კიდევ მონყენილი... შენ ჩამოდი და მე ისევ არ მინდოდა დავახლოვებოდი ამ ჯგუფს, რადგან არავითარ სულიერ ნათესაობას არ ვგრძნობდი მათთან, მხოლოდ შენმა მათში ყოფნამ მაიძულა სახეზე ნილაბი ამეფარებია...

დღეს დედაჩემისგან მივიღე წერილი. სანყალი დედა! იგი შერიგებას მთხოვს, იგი ნანობს, რომ დამღუპა, და ნამდვილ გზას ამატდინა. დედაჩემი მევედრება რომ ყველაფერი ვაპატივო და დავივინყო... რამდენი ხანია კარგ განწყობილებაში არ ვყოფილვარ დედასთან და ძმასთან: თითქმის ოთხინელინადახევარია. ამ ხნის განმავლობაში მე არ მქონდა მყუდრო ბინა, ამ ხნის განმავლობაში საშინელი გაჭირვება გამოვიარე. ეგ კი არ იცოდა დედაჩემმა. რამდენი გაჭირვება, ღმერთო ჩემო, რამდენი გაჭირვება!.. უკანასკნელმა ოთხმა წელიწადმა დამღუპა... რა უნდა ვქნა ეხლა? სადაა საშველი გზა? მაგრამ დღეს ყველაფერი ერთია! ოცნებებისა და სიზმრების დრო წავიდა! აღარაფერი არ გამახარებს. თვით ტკბილი სინამდვილეც კი! მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე... და რაც ოცნებებში განვიცადია მთელი არსებით, სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი? ასეა საქმეები ჩემო ოლია...“ მშვიდობით, მარადის შენი გ. ტაბიძე. ქუთაისი.“<sup>1</sup>

**16 იანვარი.** „1914 წლის 16 იანვარს ოლიას ფანჯარაში ისევ ჭიათურის მთვარემ შემოიხედა: „ღია ფანჯარაში იმ მთვარეს შეეყურებ, რომელიც ორივეს დაგვნათოდა ამ ოთახში ჯერ კიდევ გუშინ, როცა გახარებული ვიყავი და განშორებაზე არ ვფიქრობდი. ახლა ეს მთვარე მე შემომყურებს მხოლოდ მე, დანადვლიანებულს, დაღონებულს, მწუხარებით დამძიმებულს... თითქოს მეკითხება : სადაა იგი?... ო, საოცარო გალონ, იქნებ შენც ამ მთვარეს შეჰყურებ ახლა... იქნებ შენც იმ წამებს იგონებ, როცა ერთად ვიყავით.“<sup>2</sup>

**19 იანვარი.** „1912 წ. 13 თებერვალს ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“ დავიკვეთე ნ. ჟორდანიას და გ. ტაბიძის წიგნები. ფულიც 2 მან და 2 შაური გადავიხადე სრულად. ორი წელიწადი სრულდება ამ გამოცემების შესახებ არა ვიცი რა. უმორჩილესათ ვსთხოვ ფ. გ. კანტორის გამგეს გვაცნობოს. თუ თვითონ

უნყის რამე ამ გამოცემების შესახებ, ან შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ იმედი ამ წიგნების მიღებისა? მასწავლებელთაგანი.“<sup>3</sup>

**24 იანვარი.** „ერთხელ კიდევ ვუპასუხებ „ერის“ მე-14 №-ში რალაც იღუმალი მოსაზრებით ფსევდონიმქვეშ ამოფარებულ „მასწავლებელთაგანს“ (?), რომ ნ. ჟორდანიას წიგნის გამომცემელი იყო გამომცემლობა „კულტურა“ თფილისში, ხოლო გ. ტაბიძის ლექსების გამოცემას აპირებდა ბ. რაჭდენ დათეშიძე ქუთაისში. აი, ამათ შეეკითხეთ რა მიზეზით არ გამოდის ეს წიგნები? და თუ ესენი გამოაცხადებენ გაზეთის საშვალებით, რომ რისამე მიზეზის გამო ველარ გამოცემენ ხსენებულ წიგნებს, მაშინ კანტორა „იმერეთი“ დაგებრუნებთ თქვენს შემოტანილ ფულს. კანტორა „იმერეთის“ გამგე ისიდორე კვიციანიძე.“<sup>4</sup>

აქვე დასტამბულია გალაკტიონის განმარტება: ბ. რედაქტორო! ამ ორი წლის წინათ უნდა გამოცემულიყო ჩემი ნაწერების პირველი წიგნი, რომელზეც ხელის მოწერაც კი გაიმართა. სამწუხაროთ, ჩემსა და გამომცემლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წიგნი ვერ გამოიცა. თქვენი გაზეთის უკანასკნელი კვირის ნუმერში ამის შესახებ შეკითხვა იყო მოთავსებული, რომელსაც ხელს აწერდა ბ. „ერთი მასწავლებელთაგანი“. მე საჯაროთ ვაცხადებ, რომ ხელის მომწერლების მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება პირველ შეძლებისთანავე. გ. ტაბიძე.“<sup>5</sup>

**27 იანვარი.** „...ქუჩიშვილი და ტაბიძე, როგორც მარჯვე მოლექსენი, იმდენად სუსტი, უძლურნი და უშნონი არიან როგორც დეკლამატორები, სიცილსაც ინვევენ თავისი კითხვით.“<sup>6</sup>

[იანვარი] „Милый друг! Ты вчера мне предложил оставить свое стихотворение и как хорошо ты сделал бы, если оставил. Сегодня все время искала в книгах клочок бумаги на котором было бы написано твоею рукою. но ты так не позаботился об этом для меня... Узнай как арестовали и где твою „შუანეთა“ и напиши все. Я не хочу чтобы ты ее потерял, Галон. Оля.“<sup>7</sup>

**18 თებერვალი.** „ოლია არ გაუშვა არც ერთი წუთი, რომელიც ბედნიერებას მოგანიჭებს! უიმისოდ ფუჭია მთელი ცხოვრება... ოლია, საზაფხულოდ უსათუოდ ერთად ვიქნებით სადმე... აი ნახავ. თუ საზაფხულოთ არა, მოსკოვში ხომ მაინც... თუ მოსკოვშიაც არა, როდისმე ხომ მაინც ვიქნებით ერთად? ჯანი გავარდეს. მეძალიან გული დამწყდება, თუ წელს ვერსად ვერ წავედი, ისე გულით მინდა, მაგრამ რა გავახერხო? სტიპენდიაზე ფიქრი ტყუილია... მალე ზაფხულიც მოვა. ჩამოვლენ სტუდენტები და კურსისტკები რუსეთიდან, საზღვარგარეთიდან. ააჭრელებენ მთელ ქუთაისს და პირდაპირ შხამით აგვესება ადამიანს გული მათი ცქერით. მეტისმეტათ შურიანი რომ არ ვიყო, შეიძლება მეპატიებია ყველასთვის მათი სტუდენტობა და ჯანდაბები, მაგრამ... შენი გ. 1914 წ. 18 თებერვალი, სალამო.“<sup>8</sup>



**18 თებერვალი.** „ამ ჟამათ ხელის მოწერაა გამართული გ. ტაბიძის თხზულებების პირველი წიგნის, რომელსაც სცემს ტ. გ-ია. შიგ მოთავსებული იქნება: 1. სურათი ავტორისა, 2. ბიოგრაფია, 3. კრიტიკული განხილვა და 4. ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსები. ხელის მოწერა გამართულია ქუთაისში, სხვა ქალაქებში და დაბა-სოფლებში კერძო აგენტებთან. წიგნი ხელის მოწერით ღირს ათი შაური.“<sup>9</sup>

**26 თებერვალი.** „პატივცემულო მეგობარო! ბოდიშს ვიხდი, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. სიმპატიური საქმე გაგიზრახავთ, ახალგაზრდა მგოსნის გ. ტაბიძის ნაწერების გამოცემა. სიამოვნებით ვთანხმდებით თქვენს წინადადებაზე: კრიტიკული განხილვის დანერაზე. მომანოდეთ მისი ნაწერები, რაც შეიძლება მალე ვეცდები შეძლებისდაგვარად შევასრულო თქვენი თხოვნაც. ლექსები გამომიგზავნეთ „თემის“ რედაქციაში. სალამი. თქვენი პატივისმცემელი მ. წულუკიძე.“<sup>10</sup>

როგორც ცნობილია, მ. წულუკიძემ თავისი დანაპირები შეასრულა და საკუთარი აზრი გამოთქვა გალაკტიონის ლექსებზე, რომელიც დართული აქვს პოეტის პირველ წიგნს.

[**28 თებერვალი**]. „...მინდა გავიქცე აქედან სადმე, მაგრამ ჯერ სხვა საქმეები უნდა მოვანყო. ზაფხულზე გადავიკარგები აქედან... და გადავიკარგები ისე, რომ არასოდეს ქუთაისი არ ვინახულო... აქ ისეთი ბოროტი ადამიანები არიან ოლია!.. ხელოვნება? სისულელეა! მშვიდობით, ოლია! გ.

...ვანო ტუაფსეში გავამგზავრეთ – ერთ ღამეს იმასთან ვიყავით, სანთლები ჩავაქრეთ და ნუცამ ბულბულივით იმღერა... ჩემი წიგნის საქმე დიდებულათ მიდის, ივანე გომართელმა ისეთი მშვენიერი კრიტიკული წერილი დასწერა, რომ რა გინდა! მარადის შენი“.<sup>11</sup>

**3 მარტი.** „მიიღება ხელმოწერა პოეტის გ. ტაბიძის ნაწერების I წიგნზე. წიგნში მოთავსებული იქნება 1) ავტორის სურათი, 2) ავტობიოგრაფია, 3) კრიტიკული განხილვა ივანე გომართელისა და 4) ჯერ დაუბეჭდავი ლექსები, ტომში იქნება 200-250 გვერდამდე, დიდი ფორმატისა და დაიბეჭდება კარგ ქალაქებზე. წიგნის დაკვეთა შეიძლება კავკასიის ყველა დაბა-ქალაქებში. ფასი ხელმოწერით ათი შაური. ხელისმოწერა მიიღება აგრეთვე სხვა, კერძო აგენტებთან. ყოველივე მიმწერა სწარმოებს შემდეგი მისამართით: Кутаись, 2-ая Александровская ул. Соб. Д. Тутку Гварамиа<sup>12</sup>

**9 მარტი.** 23 მარტს ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო, სამუსიკო და დრამატიული საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებს მომღერალი აკოფაშვილი, პოეტები: ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე და სხვები.<sup>13</sup>

**9 მარტი.** „მიიღება ხელის მოწერა პოეტის გ. ტაბიძის ნაწერების I წიგნზე. წიგნში მოთავსებული იქნება: 1) ავტორის სურათი, 2) ბიოგრაფია, 3) ივ. გომარ-

თელისა, მიხ. წულუკიძის და სხვ. კრიტიკული წერილები და 4) ლექსები (ჯერ კიდევ დაუბეჭდავებიც). ტომში იქნება 200-250 გ-მდი, დიდი ფორმატისა და დაიბეჭდება კარგ ქალაღზე. ფასი ხელის მოწერით ათი შაური...“<sup>14</sup>

**11 მარტი.** „ამას წინათ, ერთ სტამბაში, გ. ტაბიძემ ნაცნობებს თხოვნისამებრ, აჩვენა ახალი პოემა „შუანეთა“. სწორედ ამ დროს ტაბიძემ ჭიათურიდან დეპეშა მიიღო, სადაც აუცილებლად ჩამოსვლას სთხოვდნენ. ტაბიძე მაშინვე გაემგზავრა და მხოლოდ გზაზე მოაგონდა, რომ პოემა მას სტამბაში დარჩა. სადგურ რიონიდან მან დეპეშით აცნობა ჩვენს რედაქციას ამის შესახებ და სთხოვდა პოემა არ დაკარგულიყო. მაგრამ რედაქციამ პოემის ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო. როდესაც ტაბიძე ქუთაისში დაბრუნდა, იგი ენერგიულათ შეუდგა ძებნას, მაგრამ პოემა ვერ იპოვა. ვაცხადებთ რა ამ გარემოებას, მპოვნელს ვთხოვთ პოემა ჩვენს რედაქციაში მოიტანოს, რისთვისაც მიიღებს გასამრჯელოს.“<sup>15</sup>

**13 მარტი.** გაზეთ „აზრში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ქრისტე“ (ქ. ქუთაისი, 1914 წ. მარტი)“.<sup>16</sup>

**23 მარტი.** „დ. აკოფაშვილის, ვ. რუხაძის, გ. ტაბიძის და სხვათა მონაწილეობით დღეს ქუთაისის თეატრში იმართება დიდი სალიტერატურო, სამუსიკო და დრამატიული საღამო.“<sup>17</sup>

„ამ მოკლე ხანში ჭიათურაში, მომღერალი ქალი ბაშარინას მონაწილეობით გაიმართება საღამო. საღამოში ბაშარინას გარდა მონაწილეობას იღებენ: მომღერლები: ი. სარაჯიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, პოეტები: გ. ტაბიძე და ი. გრიშაშვილი.“<sup>18</sup>

**6 აპრილი.** გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „გეთსიმანიის ბაღში“ (გაზ. „აზრი“, № 22, გვ. 3). ეს ნაწარმოები პოეტმა თავის პირველ წიგნში შეიტანა სათაურით: „გეთსიმანიის ღამე“. მოგვიანებით ის სხვა სათაურით იბეჭდებოდა: „სიჩუმე“ ( ლექსები, 1927, თხზ. 1937, ტ.1 ... თორმეტტომეულსა და საარქივო გამოცემებში. გალაკტიონის თხუთმეტტომეულში მას დაუბრუნეს სათაური: „გეთსიმანიის ღამე.“

**6 აპრილი.** „ხვალ გურიაში სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მისაღებათ გაემგზავრებიან: გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ვიოლენჩელისტი ხაჩატუროვი, ნიორაძე, ურუშაძე და სხვ. ჩოხატაურში და ხიდისთავში 10 აპრილს, სამტრედიაში 11 აპრილს, ზუგდიდში 12 აპრილს, ყვირილაში 13 აპრილს და სხვ.“<sup>19</sup>

**6 აპრილი** ...1914 წელი იყო. ქუთაისში ვცხოვრობდით. გალაკტიონს უკვე ჰქონდა ნიჭიერი პოეტის სახელი მოპოვებული. ემზადებოდა ლექსების პირველი წიგნის გამოსაცემად... მეც და გალაკტიონიც იმ დროს ქუთაისში მცხოვრებ და იქ

მომუშავე ყველა მწერალს ვიცნობდით. აღდგომა დღე იყო. ძველი ტრადიციით, ყველა ოჯახში სუფრა და პურმარილი იყო გაშლილი. მე და გალაკტიონს ბევრი არ გვიფიქრია და გავემურეთ ია ეკალაძესთან, რომელიც იმ დროს ქუთაისში მუშაობდა მასწავლებლად. მის ბინაზე დაგვხვდა თბილისიდან ახლად ჩამოსული შიო მღვიმელი... ია ეკალაძესთან არ დავრჩენილვართ... მე და გალაკტიონი ახალი მასპინძლის გამოძებნას შევუდექით და გადავწყვიტეთ გიორგი ბრეგაძესთან (გაზეთ „შრომის“ რედაქტორი) წასვლა... ბრეგაძე შინ არ დაგვხვდა. გამოვბრუნდით. გალაკტიონმა წამჩურჩულა, ეტლის გასასტუმრებელი ფული თუ გაქვსო. არა-მეთქი. როგორც ჩანს, გალაკტიონს რალაც აზრმა გაუელვა. ჩამოვედით ეტლიდან: – გიგლა, გამიშვი, ეტლის ფანრები უნდა ჩავლენოო. მე დავაკავე. მეეტლემ დრო იშოვა, გააჭენა ცხენები... უფულობის გამო უსიამოვნებას გადაურჩით.“<sup>20</sup>

**10 აპრილი.** „დაბა ლანჩხუთში 10 აპრილს გაიმართა იაკობ გოგებაშვილის საღამო. გ. ნიორაძემ წაიკითხა ლექცია გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეალებზე. საკუთარი ლექსები წაიკითხეს გ. ქუჩიშვილმა, გ. ტაბიძემ, ს. ურუშაძემ. პორველმა ორმა საზოგადოებაზე კარგო შთაბეჭდილება მოახდინეს, უკანასკნელი სუსტობდა.“<sup>21</sup>

**20 აპრილი.** „გურიის დაბა-სოფლებში გაიმართა სალიტერატურო – სამუსიკო საღამოები. გ. ნიორაძე კითხულობდა ლექციებს: „იაკობ გოგებაშვილი და მისი პედაგოგიური იდეალები“; გ. ტაბიძე, ს. ურუშაძე და გ. ქუჩიშვილი კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს... ხალხი ყველგან აღტაცებითა და სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა.“<sup>22</sup>

**21 აპრილი.** „იბეჭდება და მალე ხელისმომწერლებს დაურიგდებათ ახალგაზრდა მგოსნის გ. ტაბიძის პირველი წიგნი.“<sup>23</sup>

**26 აპრილი** „შაბათს, ღამით, პოლიციელებმა გაჩხრიკეს პოეტი გ. ტაბიძე, სანინაალმდეგო არა უნახავთ რა.“<sup>24</sup>

**3 მაისი.** გაზ. „აზრში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „გურიის მთები“.<sup>25</sup>

**11 მაისი.** იბეჭდება და ხელის მომწერთ დაურიგდებათ გ. ტაბიძის ნაწერების I წიგნი. წიგნში მოთავსებული იქნება: 1. ავტორის სურათი, 2. ავტობიოგრაფია, 3. ი. გომართელის, მიხ. წულუკიძის და სხვ. კრიტიკული წერილები, 4. ლექსები ჯერ კიდევ დაუბეჭდავებიც. ფასი ხელის მოწერით ათი შაური. ხელის მოწერა მიიღება ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში და კავკასიის ყველა ქალაქებსა და დაბებში. გამომცემელი ტ. გვარამია.<sup>26</sup>

**25 მაისი.** ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს გალაკტიონის ლექსს: „ვერსად ვერას დროს“.<sup>27</sup>

„25 მაისს ქუთაისის საქალაქო თეატრში სულმნათი ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა სალიტერატურო დილა... საკუთარი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა გ. ტაბიძემ და ვ. რუხაძემ. უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ტაბიძეს უკუუგდია უწინდელი ლექსის კითხვის არაბუნებრივი კილო, ამ დღეს ძლიერ ლამაზათ წაიკითხა თავისი მშვენიერი ლექსი, რისთვისაც საზოგადოებამ ის ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა.“<sup>28</sup>

**26 მაისი** „...იბეჭდება და გამოდის: გ. ქუჩიშვილის, ნ. ჩხიკვაძის, კ. მაყაშვილის, გ. ტაბიძის... თხზულებანი. ყველანი ესენი ჩვენთვის ძვირფასნი არიან... მაგრამ ერთი რამ მეჩხირება თვალში და აღძრულ სიამოვნებას მიფუჭებს. ეს არის კრიტიკული წერილების სიმრავლე, რომლითაც სავსე იქნება ზოგიერთი გამოცემა. გ. ტაბიძის ნაწერებს, მაგალითად, სამი კრიტიკოსის წერილი ექნება დართული. როგორცა სჩანს, ზოგიერთი მწერალი სრულიად გამორკვეული იქნება კრიტიკოსების მეოხებით და მკითხველს ყბების განძრევის მეტი არა დასჭირდება. ვფიქრობ, ამას „რეკლამისთვის“ აკეთებს გამომცემელი... მაგრამ ასეთი „რეკლამა“ საგრძნობლად მავნებელია, როგორც საზოგადოებისათვის, ისე ავტორებისათვის... ყოველი ახალი წიგნი და მით უმეტეს ისეთი მწერლისა, რომელიც პირველად აცნობს თავის ნაწარმოებებს საზოგადოებას – ერთნაირ საიდუმლოებას წარმოადგენს ჩვენთვის. ეგ საიდუმლოება იმდენად მომხიბვლელია, რომ რაღაც გაუგებარ მოწინებით, თითქმის რელიგიური აღმაფრენით იღებთ ახალ წიგნს და სიამოვნებით ფურცლავთ.“<sup>29</sup>

**28 მაისი.** ხუთშაბათს, 29 მაისს გაიმართება სალიტერატურო, დრამატულ-მუსიკალური საღამო, მგოსნის, აკაკი წერეთლის მონაწილეობით. განყოფილებაში მონაწილეობენ: აკაკი, ვ. რუხაძე, იასონ ნიკოლეიშვილი, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, გელა.<sup>30</sup>

**29 მაისი.** „საქართველოს სხვადასხვა კუთხეების დასათვალიერებლათ მალე გაემგზავრება ქართველ მწერალთა და მომღერალთა ექსკურსია. ჯგუფი შემოივლის გურიას, სამეგრელოს, იმერეთს, კახეთს, შავი ზღვის ნაპირებს და გზა და გზა სალიტერატურო საღამოებს გამართავს. ჯგუფში შედიან: მიხეილ ნულუკიძე, გიორგი ქუჩიშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, ს. აბაშელი... და სხვ.“<sup>31</sup>


**29 მაისი.** დღეს, საღამოს, ქალაქის (ქუთაისის) თეატრში, გაიმართება დიდი სალიტერატურო-საკონცერტო დრამატიული საღამო. მგოსანი აკაკი წერეთლის მონაწილეობით. თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: აკაკი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი.<sup>32</sup>

**30 მაისი.** „წურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გამგე ი. კვიციანიძემ, ახალგაზრდა მგოსანი გელას მიერ 29 მაისს გამართული „სალიტერატურო საღამოს“ გამო, 30 მაისს, ნაშუადღევს „საოჯახო ბაღში“ გადაიღო სურათი მგოსან

აკაკისთან ერთად... ქუთათურ და სტუმრად ჩამოსულ ქართველ ძველ და ახალ პოეტების და ბელეტრისტების შუაში ზის მცოვანი პოეტი აკაკი, რომლის გარშემო სხედან შემდეგი მწერლები: დ. კლდიაშვილი, ი. ეკალაძე, ი. ევდოშვილი, ჯაფუ ჯორჯიკია, ვარ. რუხაძე, ლადო დარჩიაშვილი, გალ. ტაბიძე, ტიტე ტაბიძე, აკაკი სვანი, ცვარნამი და სხვანი.<sup>33</sup>

**31 მაისი.** გუშინნინ (29 მაისს – მ. შ.) აკაკის მონაწილეობით გამართულ საღამოს ხალხი ბლომათ დაესწრო. საზოგადოება ძლიერ ნასიამოვნები დარჩა საღამოთი და მასში მონაწილენი ტაშის ცემით დააჯილდოვა.<sup>34</sup>

**31 მაისი.** „იბეჭდება და მოკლე ხანში ხელის მომწერთ დაურიგდებათ გ. ტაბიძის I ნიგნი...“<sup>35</sup>



გალაკტიონი—  
პირველი ნიგნის  
ავტორი

**4 ივნილი.** „გ. ტაბიძის წიგნის ბეჭდვა უკვე დამთავრდა და ხელისმომწერლებს ამ დღეებში დაურიგდება.“<sup>36</sup>

„...[გალაკტიონის] პირველი წიგნის შინაარსობრივ-თემატური ორიენტაციის გარკვევა: აი, ის ძირითადი მოტივები, რაც განსაზღვრავს წიგნის შინაარსს და დრამატიზმს: მარტოობის განცდა, რეალობის შეგრძნების დაკარგვა, ოცნების აღიარება ერთადერთ ჭეშმარიტებად, სწრაფვა ირეალურობისაკენ, პიროვნების გაორება, ადამიანის დანიშნულების ძიება და სხვა. სურათი უფრო სრული იქნება, თუ დავუმატებთ ისეთ თემებს, როგორიცაა ბავშვობის მოგონება, ქალაქისა და სოფლის იდილიის შეპირისპირება... თუ დავაკვირდებით გალაკტიონის პირველი წიგნის თემატიკას, შევამჩნევთ, რომ პოეტი, ძირითადად, იმ მოტივებითა და განწყობილებებით საზრდოობს, რომელიც რომანტიკოსებმა წამოსწიეს წინ და რომლის თავისებური მოდიფიკაცია მოგვცა სიმბოლისტურმა პოეზიამ. ამრიგად, გალაკტიონის პირველი წიგნის თემატიკას განსაზღვრავს საკითხთა ის წრე, რაც პოეზიის სააზროვნო მასალად რომანტიზმმა და სიმბოლიზმმა აქცია.“<sup>37</sup>

**7 ივნილი.** „აკაკისა და დ. კლდიაშვილის ხელშეწყობით და მონაწილეობით ქუთაისში გაიმართა ირ. ევდოშვილისადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამო, სადაც მონაწილეობა მიიღო გ. ტაბიძემაც.“<sup>38</sup>

**7 ივნილი.** ქუთაისში იროდიონ ევდოშვილის საღამო გაიმართა. მოგვიანებით, ამის შესახებ გალაკტიონს ჩაუწერია: „ვერ ვიგონებ, სად, რომელ წელს, რა პირობებში მოხდა ეს ამბავი. [ი. ევდოშვილი] სალიტერატურო საღამოს მართავდა და იმედი კი არა ჰქონდა შემოსავლის. სალიტერატურო საღამოებს განსაკუთრებულ შემთხვევაში ესწრებოდა ხალხი. ამიტომ იგი სთვლიდა, რომ სახელები მიიზიდავენ ხალხს და სახელოვანთა შორის მთვლიდა მეც. მე, რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იქნება მივიღო მონაწილეობა იმ ადამიანის საღამოში, რომელმაც დასწერა „მეგობრებო, წინ, წინ გასწიეთ“; რომელიც რევოლუციური პოეზიის წარმომადგენელი იყო 1905 წელს; თან დავძინე, რომ ჩემი სახელით ძალიან საეჭვოა რამე შემოსავალი მიიღოს საღამომ. ის თავისას არ იშლიდა. ახალგაზრდობა შენით გაგიჟებულია, თეატრი გაიჭედებაო.“<sup>39</sup>

**14 ივნილი.** პარასკევს, 20 ივნისს, ქუთაისის ქალაქის თეატრში ახალგაზრდა მგოსანი ი. მჭედლიშვილი გამართავს სალიტერატურო-მუსიკალურ საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: რუხაძე, გ. ტაბიძე, დია ჩიანელი, ცვარნამი...<sup>40</sup>

**19 ივნილი.** „კვირას, 22 ივნისს ქალაქის (ქუთაისის – მ.შ.) თეატრში გაიმართება იაფ ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება მოლიერის კომედია: „სკაპენის ცუდლუტობა“... დასასრულ დივერსიმენტი – ვ. რუხაძის, პ. ცახელის, გ. ტაბიძის... მონაწილეობით.“<sup>41</sup>

**22 ივნისი.** 22 ივნისს დ. ჭიათურაში შესდგა ეგნატე ნინოშვილის სალიტერატურო საღამო... ახალგაზრდა მწერლებმა: გ. ტაბიძემ, გ. ქუჩიშვილმა და ვარ. რუხაძემ ნაიკითხეს განსვენებულ მწერალზე ლექსები.<sup>42</sup>

კვირას (22 ივნისს – მ.შ.) ქალაქის თეატრში გაიმართა წარმოდგენა დივერსიმენტით... დივერსიმენტში მონაწილეობას იღებდნენ: ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ნ. ჩხიკვაძე და ილია ბახტაძე. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა.<sup>43</sup>

**28 ივნისი.** შაბათს, 28 ივნისს, ახალგაზრდა მგოსანი ნ. ჩხიკვაძე გამართავს ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს... ნაიკითხავენ თავის ახალ ნაწარმოებებს ჩვენი ახალგაზრდა პოეტები და ბელეტრისტები: ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ს. კლდიაშვილი, ცვარნამი, ტ. ტაბიძე, დია ჩიანელი, გ. ტაბიძე...<sup>44</sup>

**ივნისი.** „მკითხველმა საზოგადოებამ 1914 წლის ივნისის ბოლოს მიიღო გალაკტიონის წიგნი. ამ კრებულში შევიდა 157 ლექსი, რომელთაგანაც 35 ადრე იყო გამოქვეყნებული პერიოდულ პრესაში.“<sup>45</sup>

„წიგნი-მთლიანობა. სწორედ მთლიანობა უნდა იყოს ის პრინციპი, რომელმაც განსაზღვრა ლექსების შერჩევაც და მათი არაქრონოლოგიური განლაგებაც. ერთიან სივრცეში მოქცეული ყოველი ლექსი მხატვრული მთლიანობის ნახნაგია, ერთდროულად ამხსნელიც და ასახსნელიც წინარე თუ მომდევნო ტექსტებისა... [გალაკტიონის პირველ წიგნზე] დაკვირვებათა შედეგად, ვფიქრობ... გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი არ არის ლექსების ნაკრები, იგი პოეტური მთლიანობაა, რთული სტრუქტურის ტექსტი-მითია. აქედან გამომდინარე, მეცნიერულ და აკადემიურ გამოცემებში დაუშვებელია მისი ცალკეულ ლექსებად დაშლა და შერევა სხვა ტექსტებთან... დადგენილი რეალობის პირისპირ, ამიერიდან მაინც, უხერხულია საუბარი გალაკტიონის ადრეული ლირიკის შეგირდულ, დიფუზიურ ხასიათზე.

პირველი წიგნი უნიკალური მოვლენა იყო თავისი დროის ქართულ პოეზიაში და იგი ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძეს, თუნდაც დაგვიანებით, განახლების გლობალური პროცესის თანამონაწილედ წარმოაჩენს“.<sup>46</sup>

**2 ივლისი.** ქუთაისში უკვე შესდგა ახალგაზრდა მწერლების ჯგუფი და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში იმგზავრებენ: ვლ. ბაქრაძე, მიხ. ნულუკიძე, პ. ირეთელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ნ. ზომლეთელი, გ. ტაბიძე და სხვ.<sup>47</sup>

**3 ივლისი.** რედაქციამ მიიღო გ. ტაბიძის ლექსთა კრებული, გამოცემა ტ. გვარამიასი. წიგნი სუფთათ და ლამაზათ არის გამოცემული და ღირს 60 კ.<sup>48</sup>

„ბარათაშვილის მსოფლიო სევდის კილო გაისმის ტაბიძის პოეზიაში. ხელოვნების ასპარეზზე ტაბიძე აგერ ახლა გამოვიდა, ამიტომ მისი დაფასება ჯერ

შეუძლებელია; ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ მკითხველს ტაბიძის პოეზიის ნიშანდობლივ თვისებებზე. ეს ქვეყანა ტაბიძეს არ აკმაყოფილებს, ვინროა მისთვის, უშინაარსო... პოეტი ეძებს სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არსებულ ცხოვრებაში ამ მიზანს ვერსად ჰხედავს... ქვეყნად ყოველივე წარმავალია... ადამიანის ოცნებანი ოცნებებთან რჩება და ბოლოს მისი ყოფნა კუბოთ იქცევა. პოეტი გაურბის ამგვარ ცხოვრებას... სევდით გამსჭვალული ეძებს განმარტობას, მთვარიან ღამეს, სასაფლაოს, რომ დაივიწყოს დედამიწა... გაჰყვეს ოცნებას. ოცნებას პოეტი ცისკენ მიჰყავს... ვარსკვლავებისაკენ. ამ დროს ის ბედნიერია, დამმორჩილდით, მეღმერთი ვარ, ყველაფერსა ვქმნიო, აღტაცებით გვიცხადებს პოეტი: მაგრამ მის აღტაცებას ისევ მალე მოჰყვება სევდა: ცაში პოეტი ეძებს სამარადისოს, მიუწვდომელს, ვრცელს, უსაზღვროს.

პოეტი თანდათან რწმუნდება, რომ მისი ძებნა მხოლოდ აუსრულებელი ოცნებაა... ცა მას არაფერს ეუბნება; საიდუმლოება მსოფლიოსი მისთვის მიუწვდომელი რჩება და პოეტი მთელს ქვეყანაზედ ეულად გრძნობს თავს, როგორც უდაბნოში... ეს მარტოობა, სულის ობლობა ტაბიძეს საუცხოვოდ აქვს გამოქანდაკებული, განსაკუთრებით „უდაბნო“-ში. ძლიერი ღრმა გრძნობა თვისებაა პოეტისა... მაგრამ მარტო ძლიერი გრძნობა საკმარისი არ არის პოეტისთვის; მან უნდა შესძლოს ამ გრძნობის ჩვენება, გამოხატვა... გ. ტაბიძე ორივე ამ ღირსებით საკმაოდ არის დაჯილდოებული. ის ძლიერათ გრძნობს, ღრმათ განიცდის ადამიანის არსებობის ტრაგედიას... მაგრამ პოეტის საკაცობრიო სევდას, იმის მსოფლიო სულის კვეთებას მაინც უკეთესი ფორმა შეეფერებოდა.

გ. ტაბიძეს ჯერ ბევრი შრომა სჭირდება ლექსის გარეგნობის გაუმჯობესებისათვის... მას ყოველივე მობეზრდა, მას ქარიშხალთან შებმა უნდა. მაგრამ ბრძოლა თვისებაა ძლიერი, მოქმედი ნებისა. ბრძოლისათვის ნაპოლეონობა თუ არა, ნაპოლეონის შორეული ნათესაობაა მაინც საჭირო. ტაბიძე კი განჭვრეტის, ფიქრის ადამიანია, ის უფრო ჰამლეტს ენათესავება. ამიტომ მისი სულიერი ტანჯვა თანდათან სევდის ნაზ და წარმტაც თაიგულათ იშლება. პოეტი ობოლია ქვეყანაზედ... არავის არ უმყლავნებს თავის სევდას... იცის, რომ იმისი წყლულები უკურნებელია. ის დარწმუნებულია, რომ თავის გაზაფხულს ვერასოდეს ვეღარ იხილავს, აღტაცების დრო სამუდამოთ გაჰქრა და ბედნიერებას არ ეღირსება, ამიტომ არც ეძებს: ... და შეეჩვია გული სევდას, ურწმუნობას“. და აი, ამ ტანჯვაში, ამ სევდაში ჰქმნის პოეტი თავისებურ ნეტარებას, თავისებურ ბედნიერებას... სევდაში, წამებაში თავისებური ბედნიერების ხილვა – აი, ტრალედია პოეტის სულის კვეთებისა...

ტაბიძემ ღრმათ იგრძნო ყოველი შეგნებული ადამიანის სევდა და სულის სწრაფვა, ბარათაშვილს გამოეხმაურა და, თავისი მკვნესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა.<sup>49</sup>

**3 ივლისი.** „ახალგაზრდა მწერლების ჯგუფი პროვინციებში უკვე გაემგზავრა სალიტერატურო საღამოების გასამართავად.“<sup>50</sup>



**4 ივლისი.** ქართველ მწერალთა ჯგუფი გამართავს სალიტერატურო საღამოებს შემდეგ ადგილებში: 4 -ივლ. ოზურგეთში, 5- ჩოხატაურში, 6- ხიდისთავში, 7- ლანჩხუთში.<sup>51</sup>

„ოზურგეთის ახალ თეატრში 4 ივლისს დანიშნული ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის (გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე, პ. ირეთელი, ვ. ბაქრაძე, მ. წულუკიძე) ლიტერატურული საღამო ზოგიერთის დაუსწრებლობის გამო არ შედგა.<sup>52</sup>

**7 ივლისი.** „ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მგოსნის გ. ტაბიძის ლექსთა კრებულის I ტომი, გამოცემა ტ. გვარამიასი. წიგნი ძლიერ ლამაზათ არის გამოცემული, მოზრდილი ფორმატისაა და ღირს 60 კ.“<sup>53</sup>

„პოეტის პირველ წიგნში მძლავრად არის გამოხატული ნეორომანტიზმის არსებითი ნიშნები: რომანტიკული მოტივების აღორძინება და მათი გამსჭვალვა „საუკუნის დამღევის“ მელანქოლიითა და დეკადენტიზმით... ადრინდელი ლექსების თავისებურება მხოლოდ ნაცნობი რომანტიკული მატრიცების განმეორებით არ ამოიწურება. ეს ლირიკა გარდამავალი სახის მოვლენაა, დასკვნითი საფეხურია ნეორომანტიზმისა და მაუწყებელი ახალი ესთეტიკური ფორმაციის მოახლოებისა. ქართული ლექსის უშუალო წარსულის ფონზე აქ მრავალი თვისებრივი სიახლეა, მაგრამ მომდევნო წლების ლირიკასთან შედარებისას არაერთი პარამეტრით ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ და არც თუ ისე ახალ მოვლენად გამოიყურება. პირველი კრებული ცალკეული ფორმალური ნიშნებით ერთგვარი სიახლეა უშუალო წარსულის ფონზე. ამასთანავე აქ პოეტი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმ მაღალი მწვერვალებისაგან, რომელთა დაპყრობას 1915 წლიდან დაიწყებს...“<sup>54</sup>

**8 ივლისი.** ამ მოკლე ხანში, ქ. ფოთში, ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები: გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, და გალ. ტაბიძე გამართავენ ლიტერატურულ საღამოს.<sup>55</sup>

**13 ივლისი.** დღეს ქალაქ ფოთში ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, ნ. ჩხიკვაძის, გ. ტაბიძის და ბ. პელაშვილის მონაწილეობით სალიტერატურო საღამო გაიმართება.<sup>56</sup>

**14 ივლისი.** გაზეთი „შრომა“ (№20) ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს „ქალს მთებიდან“, რომელსაც მოგვიანებით ავტორმა „საუბარი ვალსში“ დაარქვა.

ამავე გაზეთში გამოქვეყნებულია ა. პაპავას „გ. ტაბიძის ლექსები“. კრიტიკოსი წერს: „გ. ტაბიძის წიგნი ერთგვარ ნაზ და სევდიან განწყობილებას ქმნის ჩვენში და ეს განწყობილება საკმაოდ დაცულია ბოლომდე. ის არევ – დარევა და

გამოურკვევლობა, რომელიც ამჩნევია ჩვენს ახალგაზრდა მგოსანთა უმეტესობას, ის განწყობილება, რომელსაც მთლიანობის სახე არა აქვს და უკიდურესის სიხალისიდან საშინელ სასონარკვეთილებამდე აღწევს, სრულიად უცხოა ახალგაზრდა მგოსან გ. ტაბიძისათვის... აქ არ არის აღშფოთებული ტირილი, ბედის წყევლა, ცხოვრების მრისხანე გმობა, მაგრამ, სამაგიეროდ, დაგუბებულია ღრმა მწუხარება, რომელიც არ შეიძლება შემსუბუქდეს, რადგან სიტყვით არ გამოითქმის მისი ძალა... გ. ტაბიძის სევდა ყველასთვის საყვარელი და ძვირფასია, რადგან იგია ჩვენი სულის ინტიმობა, ჩვენი ცხოვრების ტრალიკული წუთები და ამ ხელოვნურად შექმნილ განწყობილებაში თქვენ სრულიად თავისუფლად შეგიძლიათ აპყვეთ, გაშალოთ საკუთარი ვარამი და სევდა... იგია ღვიძლი შვილი ჩვენი ეპოქის – ქართველი ინტელიგენციის სახე, მისი სულის სარკე. ასეთსავე მოლლილობას, იდუმალ ძიებას ლამაზის ფორმისა მწუხარების გამოსახატავად შეამჩნევთ თქვენ დღეის ინტელიგენციაში... მის პოეზიაში ისეთი ჩანასახი სჩანს, რომელიც ეძებს მარადიულს და ცხოვრების საიდუმლოებაზე ფიქრობს... ეს ნაზი აკორდია ქართულ მუსიკალურ პოეზიაში და ვისაც უყვარს ლამაზად სახული ტანჯვა მწუხარებისა, იგი შეიყვარებს ამ წიგნსაც...<sup>57</sup>

**18 ივლისი.** „უჟრნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო ხელისმომწერლებისათვის დასარიგებლად და გასაყიდათაც შემდეგი ახალი გამოცემები: „...ვეფხისტყაოსანი“ ი. აბულაძის რედაქციით... გ. ტაბიძის ლექსები“ (ფ. 3 აბაზი).<sup>58</sup>

**21 ივლისი.** „По имеющимся сведениям главным руководителем газеты „Ахали Азри“ является Галактион Табидзе, упоминаемый в записке моей от 15 марта сего года за №1689, который несколько дней тому назад выехал из Кутаиси. За появлением Табидзе установлено наблюдение и по приезде в Кутаиси будет арестован и привлечен также к приписке...“<sup>59</sup>

**24 ივლისი.** „24 ივლისს პოეტი უკვე სოფელშია.“<sup>60</sup>

**24 ივლისი.** „სალამი, ოლოლ!.. მე არასდროს, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი ჩუმი და მყუდრო ბედნიერება არ განმიცდია, რამდენიც ეხლა, სოფელში ყოფნის დროს. ნარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი, თვალუნვდენელი მინდვრები იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები... მე და ტიტე დღეში სამჯერ ვბანაობთ... ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც გაგვანია. შელამებისას გავალთ რიონს გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე, ვერხვის ძირში, გვაქვს დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს; მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენი... ტიტე მიაბობს მოსკოვის ამბებს, მე ვუამბობ ქუთაისისას. ხანდახან გამოდის, რომ ქუთაისის ამბები ჯობნებია მოსკოვისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვინემ ტიტე, ტიტე გულზე

სკდება... დედაჩემის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ სახლში დავბრუნდი. დედას უნდოდა, როცა ჩავედი, მთელი სოფელი მოეწვია და ერთი უშველებელი ლხინი გადაეხადა. მე ეს არ ვქენი, რადგან სრულიად არ მინდოდა სოფლის მყუდროება დამერღვია რითიმე... მე და ტიტე ხშირათ ვსაუბრობთ შენზე. ტიტემ თქვა, რომ იგი „Странная“ არისო... მე კარგად ვიცი, თუ რასაც ეშმაკობ შენ ქუთაისში ეხლა, მაგრამ რა გაეწყობა. დღეს სამტრედიისში ჩამოვედი, გეფიცები, რომ დღეს გავიგე, ომი იწყება, ქუთაისში ჩამოსვლა არ შეიძლება, მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. ეხლავე სოფელში ვბრუნდები. მშვიდობით, გკოცნი, გკოცნი და გკოცნი. შენი მარადის და მარადის იქითაც გალაკტიონი.“ 1914 წ. 24 ივლისი.<sup>61</sup>

**[ივლისი].** გალაკტიონის ლექსი „ნარნერა წიგნზე“ („როცა უმიზნოდ, უში-ნაარსოდ...) დათარიღებულია [1914 წლის ივლისით].

„ლექსი და მისი შექმნის ისტორია მოთავსებულია ჩანაწერში „პატარა განმარტება...“ ია ეკალაძე... და გ. ტაბიძე წალაპარაკებულან. გალაკტიონი ამის შემდეგ სოფელში გამგზავრებულია. ქუთაისში დაბრუნების შემდეგ მას შეხვედრია ია ეკალაძე, რომელიც გულთბილად მისალმებია პოეტს... გალაკტიონი გაცოცხლებული დარჩენილა, მაგრამ ამასთანავე უაღრესად ნასიამოვნები. „ჩემი წიგნი – წერს გ. ტაბიძე, – ამ დროს გამოსული იყო (ლექსები, ტ. I, 1914 წ. გამოვიდა იმავე წლის მაისის ბოლოს), იამ მოხოვა წიგნი. ჩემმა გამომცემელმა ტუტკუ გვარამიამ ორი წიგნი წარადგინა „იმერეთის“ რედაქციაში, ერთი ეკალაძისათვის. მხვდება მეორე დღეს ია – რატომ წიგნი არ გამომიგზავნეო. მე ძალიან მეუცხოვა. მესამე დღეს ია ეკალაძემ იგივე გამიმეორა. ბოლოს მე თვითონ მივუტანე წიგნი, რომელსაც წავაწერე... [მოტანილია ლექსი „ნარნერა წიგნზე - მ.შ.“]. ეს ამბავი მოხდა 1914 წლის ივლისში და ამდენად ეს ლექსიც ამ წლით დათარიღდა.“<sup>62</sup>

**[ივლისი].** გალაკტიონის ლექსი: „წერილები კოშკიდან“ დათარიღებულია [1914 წ. ივლისით]. „ლექსი დაწერილია ზემოდალნიშნულ „პატარა განმარტებაში“, რომელიც დაწერილია 1914 წლის ივლისში. ამ ლექსის შესახებ პოეტს იქვე აღუნიშნავს „... ფიქრებში გართულმა ეს ლექსი დავწერეო.“<sup>63</sup>

**10 აბვისტო.** რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მგოსნის ტ. ტაბიძის ლექსების პირველი ტომი. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი, მოკლე ბიოგრაფია და ივ. გომართელის კრიტიკული წერილი. წიგნი კარგათ არის გამოცემული და შეიცავს 192 გვერდს და ღირს 3 აბაზათ.<sup>64</sup>

**12 აბვისტო.** რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის და არა ტ. ტაბიძის, როგორც ეს კვირის ნუმერში გვქონდა შეცდომით აღნიშნული.<sup>65</sup>

**15 აბვისტო.** „ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მოვიხადო პატივცემულ მკითხველ საზოგადოების წინაშე, რადგან, ჩემ

მიერ გამოცემული გალ. ტაბიძის წიგნი დღემდე ვერ დავუბრუნებ ხელისმომწერს. მიზეზი ის იყო, რომ როდესაც წიგნები უკვე გამზადებული მქონდა აგენტებთან გასაგზავნათ, დამაპატიმრეს, რამაც შემიშალა ხელი დროზე დამერიგებია. ახლა ვთხოვ აგენტებს მაცნობონ ადრესები და რამდენი ფული აქვთ გამოგზავნილი, რადგან ყოველივე ანგარიშები და მიწერ-მონერა, ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ხელთ არა მაქვს. და ამით მომცენ საშუალება წიგნების დროზე გაგზავნისა. ჩემი მისამართი: Кутаись, 2-ая Александровская ул. Тутку Гварамия. პატივისცემით ტ. გვარამია. P.S. ვთხოვ ქართულ ჟურნალ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი. ტ. გ.<sup>66</sup>

**31 აპრილი.** „ოლკინ! შენ იცი, როგორ სულიერ განწყობილებაში ვიცი მე შენთვის წერილების წერა, მოიგონე ჩემი წინანდელი წერილები... ყოველთვის უსათუოდ დიდი მწუხარება მანუხებდა... ყველაფერი დღეს სულ სხვანაირად მეჩვენება. მე ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები, რაც მოხდა შენი წასვლის შემდეგ. მივედი თუ არა ბინაზე, მე და დედაჩემი და ჩემი ძმა წავედით გორაზე ოთახისთვის, მაგრამ მხოლოდ ნივთების შეკვრა მოვასწარი. გადატანა არ მოხერხდა, რადგან მატარებელზე აგვიანდებოდათ. შემდეგ ისინი სადგურისკენ წავიდნენ, მე კი თეატრში წავედი. საღამოზე, როგორც მაშინ გითხარი, ამ საღამოზე გამოსვლა მე არ მინდოდა, მაგრამ მიცემული მქონდა სიტყვა. გავედი თუ არა დავინწყე „მე და ლამე“, მაგრამ ვერ დავათავე, რადგან დამავინწყდა. უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა ერთმა გარემოებამ: იქვე კათედრაზე ვილაცხას ლექსი დარჩენოდა, ავდექი და მეც ეს ლექსი წავიკითხე. საზოგადოებამ შეატყო, ბევრი მიძახა მეორეჯერ, მაგრამ მე არ გავედი... ყვავილები ძალიან ბევრი მომიტანეს, განსაკუთრებით, როცა თეატრიდან გამოვედი. საშინლად ცუდ გუნებაზე ვიყავი... მე და ლადო მაჭავარიანი ერთ რესტორანში შევედით სავაზმოდ. შევექვიფიანდით... როცა რესტორნიდან გამოვედით... ვფიქრობდით რა უნდა გვექნა. უცებ გამოიარა სათავად-აზნაურო გიმნაზიის ხუთმა მოწაფემ... ერთმა მათგანმა ისე მძლავრად გამკრა მხარი, რომ ხელი ეხლაც მტკივა... არც ბოდიშის მოხდა, არც არაფერი... გიმნაზიელი მობრუნდა... თითქო დამცინოდა კიდევ... მე მოთმინებიდან გამომიყვანა გიმნაზიელის უზრდელმა ქცევამ და ჯოხი დავარტყი... ყველას ხელის გამოლება უნდოდა, მაგრამ ჩემი ჯოხი ყველასთვის მწარე გამოდგა. ამის შემდეგ ყველამ იკადრა პირის ბრუნება... სხვა როგორ იმგზავრე? გზაში ემბაკობდი, არა? ოლკინ, ჭკვიანად იყავი და უბრალოდ ნურავის დაენდობი, ხომ იცი, რა საზიზლარი ქმნილებაა ადამიანი – ზოგიერთი... გალ. 31 აგვ. [1914].“<sup>67</sup>

**[აპრილი].** „ივნისში ახალგაზრდა მწერლის გ. ტაბიძის ლექსთა კრებული გამოიცა... გ. ტაბიძე პესიმისტ პოეტთა ჯგუფს ეკუთვნის. მას როგორც სხვა პესიმისტებს, გულს უღრღნის ის მარადის გამოუცნობელი საკითხი, რომელიც კაცობრიობას სფინქსით წინ უდგას. სახელდობრ ის, თუ რა არის ჩვენი ცხოვრება, რათ ვიბადებით და ვკვდებით, რა არის ჩვენი გაჩენის მიზეზი და მიზანი...“

„საით მივყავარ ჩემ მოწყენილ გზას, სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?... კითხვა კითხვადვე რჩება. თვით ცხოვრება პოეტისთვის ტანჯვას წარმოადგენს. მთელი ქვეყანა მისთვის უდაბნოა... ხშირად იგი უკიდურესობამდე მიდის იტალიელ მწერალ ლეოპარდით, სიკვდილს ეძებს, სიკვდილს უყვიის... ტაბიძეს თუმცა ლექსები სხვა ტემებზეც აქვს ნაწერი და ხშირათ საიმედო მომავალსაც გვისურათებს, მაგრამ ის პესიმისტური ლექსებით ხასიათდება... იქ ხატავს თავის გულის სიღრმეში დაფარულ გრძნობებს და ლტოლვებს. გ. ტაბიძეს ნ. ბარათაშვილის გავლენა ეტყობა („ელეგია“). თუმცა იგი ბარათაშვილზე შორს მიდის. სამშობლოსა და სატრფოს განშორებით არ კმაყოფილდება და როგორც ვსთქვით, ხორციელათ და სულიერათ დატანჯული პოეტი სიკვდილს ნატრობს, რათა სამუდამოთ გაეცალოს ამ არარაობას, ორპირ ქვეყანას და იქ დაისვენოს, სადაც სამარადისო სიჩუმე მეფობს. ვ. ყიფიანი (პეტერბურგი).“<sup>68</sup>

**ზაფხული.** 1914 წლის ზაფხულში გალაკტიონი მშობლიურ ქყვიში იყო, სექტემბერში ქუთაისში დაბრუნდა.<sup>69</sup>

**[5 სექტემბერი].** ოლოლ! როგორი კილოთი მწერ უკანასკნელ წერილს? რამ გამოიწვია შენი აღელვება? გრწამდეს, მიყვარხარ შენ ერთი და მხოლოდ შენ! ჭორებს ყურს ნუ უგდებ... მე ოლოლ მუდამ შენზე ვფიქრობ, რატომ გგონია, რომ სხვაზე? მე მგონია, არას დროს არ შემიცოდავს... მარადის შენი გ. ტაბიძე.<sup>70</sup>

**[20 სექტემბერი].** „ოლოლ!.. საღამო მაქვს 20 ენკენისთვის. <sup>71</sup> არ ვიცი, როგორ ჩაივლის. თუ კარგად ჩაიარა, ხომ ძალღი არ დაჰყევს ჩემს ბედს. კარგა ხნით უზრუნველყოფილი ვიქნები. თუ არა და, მდგომარეობა ძველებური იქნება. რაც გამეხერხება ვტრიალებ, მინდა რამე გაკეთდეს. ოლკინ, უსათუოდ ჩამოდი... აქ ისეთი შინაარსიანი და მშვენიერი ცხოვრება მოეწყობა მალე. შესდგება მსახიობთა ამხანაგობა შალვა დადიანის რეჟისორობით, რომელიც წარმოდგენების მართვას დაიწყებს... შეიძლება მოეწყოს სალიტერატურო წრის საქმე, ჟურნალის საქმე. ყველა ამაზე შეიძლება იმუშაოს კაცმა და სრულიადაც მოწყენა არ იგრძნოს... სხვათა შორის, აქაურმა ქალაქის სამკითხველომ ბევრი ახალი წიგნი მიიღო: მერეჟკოვსკის, ბალმონტის, ვიაჩესლავ ივანოვის და სხვების.“ ... რას შვრება რევეკა, მიიღო რაიმე ამბავი გამსახურდისაგან? (თითქოს ძალიან მაინტერესებდეს). სხვა, მოკითხვა შემოგითვალა მგოსანმა სიმ. წვევლმა...“<sup>72</sup>

**5 ოქტომბერი.** დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „სანთლები.“<sup>73</sup>

**2 ნოემბერი.** ამ მოკლე ხანში ახალგაზრდა მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე გამართავს სალიტერატურო საღამოს.<sup>74</sup>

„მივიღეთ „ლექსები“ გ. ტაბიძისა, ტ. I, გამოცემა ტუტკუ გვარამიასი, ქუთაისი, 1914 წ., 186 გვ. ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და ივ. გომართელის დაწერილი განხილვით (სევდის მგოსანი). ამ წიგნის ცალკე წერილს უძღვნიო.“<sup>75</sup>

თავისი პირველი წიგნის შესახებ გალაკტიონს ჩაუნიშნავს: „როდის თქვა აკაკიმ სიტყვები სიახლეზე? მაინც რა სიახლე იყო იმ პირველ წიგნში? რა თქმა უნდა თემატიური. საჭიროა დეტალური გარჩევა წიგნისა ამ მხრით. შესაძლებელია, იყოს სიახლე ტექნიკურიც. საჭიროა გულდასმით შესწავლა წიგნისა ამ მხრივაც.“

რა ლექსებია წიგნში ისეთი – რომელშიაც პირველად ისმის ესა თუ ის მოტივი, პირველად ცოცხლდება ტემა (მაგალ. „მუსიკა უეცარი“, „გეტერა“, „ასე ხანდახან ქალაქის ხმაში“), რაც წინადა არ ყოფილა.

იდეა გეტერასი: ღვთაებრივ, სალოცავ სახეს – იძლევა თვით ცხოვრება, ხელოვნების ძირითად აზრს იძლევა თვით ცხოვრება. აფროდიტას სახედ ტაძარში იდგმება სახე უბრალო ქალის – ამ შემთხვევაში გეტერასი. აი, რა არის ხაზგასმული. აფროდიტა თუ სიმბოლოა, ამ შემთხვევაში, მაღალი იდეის, რომლისკენაც მიისწრაფვის ადამიანი, რა არის გეტერა, თუ არა სახე, ამ შემთხვევაში – არა სიმბოლური, მაგრამ მაინც ცხოვრებიდან აღებული? მაშასადამე, ძირითადათ როგორია როლი მხატვრის, მგოსნის, მოქანდაკის? (უკეთ როგორი უნდა იყოს). ყოველი დიადი სახე უნდა აღებულ იქნას ცხოვრებიდან. ხელოვნების დასაყრდენი ცხოვრებაა (კიდევ რამდენი ლექსია ასეთი). და ასე უნდა იქნას გარჩეული თვითეული ლექსი. აღმოჩენილი უნდა იქნას... იხ. „მე და ღამე“ – მაგალითად. ისმის თუ არა ამ ლექსში სულიერი სიმტკიცე ახალგაზრდობის, ისმის თუ არა შიგ საიდუმლოების დაცვის ფიცი? სჩანს თუ არა აქ ბუნება, მაგრამ არა ადამიანის გარეშე, არამედ ადამიანის მიერ განცდილი, არა განყენებული (ეს მთავარია). კიდევ რამდენი ლექსია ასეთი!

რატომ არის მთვარე და არა მზე? უვიცს არ ესმის, რომ მთვარე სანყისია ვაჟურობის, მზე ქალურობის (იხ. ამის შესახებ...). მართალია, მითოლოგიაა. წიგნში არის სონეტი. შესაძლებელია, ეს სონეტი... რომელი სონეტი? ლექსი „ტყეში“ – ახალია თუ არა ფორმით? (სავსებით ახალი ლექსი, გამოცა გობეჩიამ(?). რეფრენი: რა მშვენიერი იყო ნამი (ელიკო ანდრონიკაშვილი). „გურიის მთები“-ს ისტორია. გამოცემათა ისტორიაც: ხეთერელი, ხელის მონების ამბავი, დათეშიძე; მაგრამ ეს არაფერია.“<sup>76</sup>

**8 ნოემბერი.** 19 ნოემბერს ქალაქის (ქუთაისის – მ.შ.) თეატრში გაიმართება სალიტერატურო საღამო, ახალგაზრდა მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის სასარგებლოთ. ბ-ნი ტაბიძე სწავლის გაგრძელებას ფიქრობს და საღამოს ამ მიზნით მართავს.“<sup>77</sup>

**16 ნოემბერი.** 19 ნოემბერს ქალაქის თეატრში ახალგაზრდა მწერალი გალაკტიონ ტაბიძე მართავს დიდ სალიტერატურო-სამუსიკო, დრამატულ საღამოს,

შემდეგი შინაარსით: 1) ლიტერატურა: მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მწერლები და დეკლამატორები, 2) წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ვოდევილი „მოჩვენება“, 3) მუსიკა: მონაწილეობას მიიღებენ სკრიპკაზე და ვიოლენჩელზე დამკვრელები, 4) ცოცხალი სურათები დადგმული იქნება გრიგოლ მესხის მიერ.“<sup>78</sup>

**18 ნოემბერი.** „მოვარგონებთ ქუთაისის საზოგადოებას, რომ ხვალ, 19 ნოემბერს, ქალაქის თეატრში იმართება სალიტერატურო-სამუსიკო-მხატვრულ-დრამატიული დიდი საღამო ახალგაზრდა მწერლის, გალაქტიონ ტაბიძის სასარგებლოთ. ბ. ტაბიძე ნიჭიერი პოეტია და ჩვენს ახალგაზრდა მწერლებში საუკეთესო ადგილიც აქვს დაკავებული. იმედია ქუთაისის საზოგადოება საღამოს დაესწრება და მით პატივს სცემს მის ნიჭს.“<sup>79</sup>

**19 ნოემბერი.** „დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება ფრიად საინტერესო ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატული დიდი საღამო, საღამოს მართავს ახალგაზრდა მწერალი გ. ტაბიძე.“<sup>80</sup>

**20 ნოემბერი.** გალაქტიონის ლექსი „ელეგია“ (ქვეშ თარიღით: „1914 წ. ნოემბერი“) დაიბეჭდა გაზეთში „ახალი აზრი“.<sup>81</sup>

**21 ნოემბერი.** „პოეტ გ. ტაბიძის სალიტერატურო საღამო, რომელიც ვერ შესდგა ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, ორშაბათს საღამოს გაიმართება. სხვათა შორის სტ. სერ. ქავთარაძე წაიკითხავს ლექციას.“<sup>82</sup>

**23 ნოემბერი.** ხვალ ქალაქის (ქუთაისის) თეატრში გაიმართება ახალგაზრდა მწერლის გ. ტაბიძის საღამო. საღამო გაიმართება ვრცელი პროგრამით. მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მწერლები... საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ ი. ნიკოლაიშვილი, ვ. რუხაძე, თეოფ. ხუსკივაძე, დ. თომაშვილი, გ. ტაბიძე, შოთა დადიანი, ცვარნამი... დასასრულ მხატვარი გრიგოლ მესხი დადგამს „ცოცხალ სურათებს“ თანამედროვე ომიდან.<sup>83</sup>

**26 ნოემბერი.** 24 ნოემბერს ქალაქის თეატრში გაიმართა სალიტერატურო საღამო. საღამოს ხალხი საკმაოდ დაესწრო. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას ლებულობდნენ: ი. ნიკოლაიშვილი, დ. თომაშვილი, ვ. რუხაძე, შ. დადიანი, ცვარნამი, ლ. მაჭავარიანი, გ. ტაბიძე...<sup>84</sup>

**4 დეკემბერი.** სამშაბათს, 9 დეკემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება სალიტერატურო – მუსიკალური საღამო... მონაწილეობას ლებულობენ: ბ. ბ. არაღელი-იშხნელი, ია ეკალაძე, ცვარნამი, გ. ტაბიძე, შ. დადიანი წაიკითხავს „მეგრულ ლექსებს“...<sup>85</sup>

**9 დეკემბერი.** „ქუთაისში ამ სეზონში მეორეთ იმართება ლიტერატურული საღამო და ორივე ძლიერ სუსტი გამოდგა. წინასწარ აფიშებში გამოაცხადებენ ესა და ეს ღებულობს მონაწილეობას, მიხვალ თეატრში და ამის ნახევარსაც ვერ ნახავთ. ასევე დაგვემართა 9 დეკემბერს. გამოცხადებული იყო: მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ლიტერატორები, მუსიკოსები და დეკლამატორები (გრ. ლალიძე, ცვარნამი, შოთა დადიანი... და სხვ...) ერთი შეკითხვა საღამოს მომწყობთ: სად იყვნენ დანარჩენი პირები, რომელნიც გამოცხადებული გყავდათ? მაგ. ია ეკალაძე, გ. ტაბიძე...

მომავლისთვის ურჩევთ სალიტერატურო-სამუსიკო საღამოების გამგეთ საზოგადოების მოტყუილების გზას ნუ დაადგებინან...“<sup>86</sup>

**28 დეკემბერი.** „ქუთაისში პანიკაა. შეძლებული მცხოვრებნი უკვე გარბიან ქალაქიდან... ომისადმი ინტერესს აძლიერებს ქუთაისის დღევანდელი მდგომარეობა, ქუჩაში გაკრულია გუბერნატორის განცხადებები: იგი ითხოვს, რომ დასცალონ ქალაქი... ბევრმა მასწავლებელმა უკვე აიღო საგზაო ფული, რომელსაც ხაზინა ურიგებს მათ... დაბალი ხალხი ხანდახან ღრმად არის დარწმუნებული, რომ თათრები უკვე გაბაშვილის გორაზე დგანან...“<sup>87</sup>

„დღეს საღამოს თეატრში „მეფე ლირი“ მიდიოდა. „დრუჟენიკებმა“ გალერეაზე აურზაური ასტეხეს. მათი წინამძღოლი თავადი ერისთავი საჩქაროდ იქ განდდა და დააშოშმინა.“<sup>88</sup>

**[1914].** „როგორც იქნა ქუთაისში ვარ!!! ჩემი სალდათობის საქმე არც ისე სახარბიელოა... ჩემთვის შეცდომით პირველი რიგის შეღავათი მოეცათ... მეც ასე მეგონა, მთელი ორი კვირა დიდის სიხალისით გავატარე სოფელში ... სწორედ ამ დროს მომდის უწყება, რომ ჩვენი შეცდომა გვსურს გავასწოროთ, თუ შეიძლება, ქუთაისში ჩამობრძანდით კენჭის ამოსაღებათო. მართლაც, ეს შეღავათი არ მერგებოდა...

P.S. ჩემი საქმე სულ თვენახევარში გათავდება. მანამდე კიდეც დრო მაქვს, ვიმეცადინებ, რაც გამეწყობა. წერილის ადრესი ამგვარია: Кутаис. Гостиница „Гурия“, Г. Табидзе...“<sup>89</sup>

**[1914].** „ოლია! მე ყველაფერს გეტყოდი, რომ რამე იყვეს... რაშია საქმე? ვინაა ის ვაჟბატონი, რომელიც ასე ურცხვავთ ტალახში სვრის ჩემს სახელს, ჩემს სიყვარულს? ან რა საქმე აქვს მას ჩვენთან?... გამაგებინე – ვინაა იგი! მე არ გამკვირვებია ეს ქორი: ეს რომ პირველი არ არის... არც უკანასკნელია... რაისა ჩინლაძის სახელი მოუცილებელ ჩირქად დარჩენილა ჩემს ცხოვრებაში... მე ის არასოდეს არ მყვარებია, მე ის არასოდეს არც მეყვარება... მე იმას სრულადაც არ ვიცნობ, როგორც მეგობარს. მაშ, რა უნდა მის სახელს ჩემს სახელთან?..

ქუთაისში სინყნარეა... მოწყენილობაა... ოჰ, რომ იცოდე როგორ მწყურია სიკვდილი! ღმერთს გეფიცები, ვისმეს თავს შევაკლავ, თუ ასე გაგრძელდა... საშინლად მომწყინდა ყველაფერი... დიდი ხნიდან დავეძებ მე ამ სიკვდილს... მაგ-



რამ არ მოდის იგი... თავის მოკვლა არ მსურს, მაგრამ სხვა არავინა მკლავს... ბევრჯერ მივეცი სხვებს შემთხვევა, მაგრამ... სიკვდილის ყველას ეშინია... რომ იცოდე რა მოსაწყენია, ეს ინტრიგები, დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, ჭორები... თავის თავად იბადება სურვილი, რომ გაშორდე ყველა ამას – რადგან ამის მეტი არა-არის რა.<sup>90</sup>

[1914]. „ოლოლი! მე ძლიერ კარგ სულიერ განწყობილებაზე ვარ. მაგრამ სახლში საღამოს არ ვიქნები, რადგან ქალაქში უნდა წავიდე გვარამიას სანახავად... ხვალ საღამოს კი ლანჩხუთში მივდივართ საღამოზე. რას იზამ. მე მინდა გონორარზე მოვურიგდე. უნდა შევიტყო, ფულს მაძლევს თუ არა. ეხლა, ოლოლ, ვთარგმნი ედ. პოეს „ყორანს“...“<sup>91</sup>

[1914]. „ერთ რამეში, სასტიკ სინამდვილეში თანდათან ვრწმუნდები: მე, თურმე, მთელ დედამიწის ზურგზე არ შემძლება არავისთან გულწრფელი საუბარი და წერილის მიწერა... ეს ჩემი გულის ღრმა ტრაგედიას შეადგენს, ოლია. მინდა, ვთქვა და დავწერო ის, რასაც ვფიქრობ და გამოდის სრულიად სხვა. ვამბობ და ვწერ იმას, რაც არავის არ ესიამოვნება, ეწყინება. რამდენჯერ ყოფილა ასეთი მაგალითი, რომ ჩემი ტკბილი გამარჯვება კაცს დაცინვით მიუღია... ვერ გაიგებენ. გ. ტაბიძე. აი, ასეთი ცუდი კაცი ვარ მე ოლოლი!“<sup>92</sup>

[1914]. „ოლოლი! შენ გიკვირს, რომ ამდენი ხანი წერილი ვერ მოგწერე? მაპატივე, მაგრამ ყველაფერი ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო მოხდა... ერთხელ საავადმყოფოში წავედი ეტლით გელას სანახავათ. შუალამე იყო. თვალთ ვერაფერს გაარჩევდი... ერთი ხრამის პირდაპირ ფაეტონი ქვას დაეჯახა და მომენტალურათ გაჩერდა. ამ დროს მე ფაეტონში კი არ ვიჯექი, ვიდექი და პალტოს ვისწორებდი. როდესაც მოულოდნელად ფაეტონი გაჩერდა, მე თავი ვერ შევიმაგრე და ფაეტონიდან ხრამში გადავვარდი. რა თქმა უნდა, გრძნობა დავკარგე, იქავე ჩემი ნაცნობები აღმოჩნდნენ და საექიმო დახმარება აღმომიჩენეს. სულ სისხლში ვიყავი გასვრილი. თავ-პირი დალენილი მქონდა, ცალი ხელი ნაღრძობი და ფეხზე ძლივს ვიდექი. როგორც იქნა, მიმიყვანეს სახლში და იქ მთელი სამი დღე ვიწექი...სულით და გულით რომ მინდოდეს ჩამოსვლა, ეხლა ეს შეუძლებელია, ახლა კვირას მე თეატრში დიდი საღამო მაქვს და თუმცა თვითონ მე არ ვმუშაობ, მაგრამ მაინც მე ვარ ხელმძღვანელი, ჩემზეა ყველაფერი დამოკიდებული. მერე კიდევ წიგნის საქმე, მერე რედაქციაში მუშაობა, მერე სხვა საქმეები, და ნუ დამემდურები ჩემო ოლია, თუ ვერ ჩამოვალ... [მერე, ოლია, ეხლა იმნაირ უსახსრობას განვიცდი, რომ შეუძლებელია ჩამოსვლა. ნუ გამიმტყუნებ ამას: მე არსად ისე არ შემიძლია წასვლა, თუ ჯიბეში რამე არ მიჭყავის].“ ... გალაკტიონი.... ეხლა, დღეს, მე სულ ვქეიფობ და ვქეიფობ! გუნებაში ვსვამ შენს სადღეგრძელოს... შენი გალონი [რად დამარქვი „გალონი“? ბარემ „გალოპი“ დაგერქვა?]. გ.<sup>93</sup>

[1914]. „პატივცემულო იოსებ! ... თუ შეიძლება, გამომიგზავნეთ თქვენი ჟურნალის სათანამშრომლო ბილეთი... რომ ჩვენს თეატრში და სხვა რამ დაწესებულებებში, თავისუფლად დასწრების ნება მქონდეს... სხვა და სხვა მიზეზების გამო ქუთაისში დიდხანს ვრჩები... ჩემი ადრესი: Кутаис, Месхетская ул. Месхетский пер. Дом Павла Сагирашвили; Галактиону Табидзе. რეცენზიებს, რა თქმა უნდა, გამოგიგზავნით მეც, თუ მიუდგომლობაში მენდობით. ნუ დააგვიანებთ. გ. ტაბიძე.“<sup>94</sup>

### ტუტკუს

(ექსპრომტათ)

როცა სიცოცხლის შორ გატაცებას  
ვუახლოვდებით, რად გწყდება გული?  
მუდამ გახსოვდეს, რომ უკვდავია  
ჩვენი ერთობა და სიყვარული!  
მეგობრის გული როდის არ იგრძნობს  
მეგობრის სულის იდუმალებას?  
იგი აქარწყლებს მწარედ დაკარგულს  
მწუხარებას და ტანჯვა-წვალებას! (1914 წ.)<sup>95</sup>

1914. „სპეციალისტები მიუთითებენ, რომ 1914 წელს გალაკტიონი ხელმძღვანელობდა გაზეთ „ახალ აზრს“. ისინი ეყრდნობიან ჟანდარმთა სამმართველოს მონაცემებს: „არსებული ცნობების მიხედვით გაზეთ „ახალი აზრის“ მთავარი ხელმძღვანელია გალაკტიონ ტაბიძე.“ რას ნიშნავს ხელმძღვანელი? თუ გალაკტიონი ფაქტიური რედაქტორისა და წამყვანი პუბლიცისტის, თანამშრომლის ფუნქციას ასრულებდა, მაშინ ამ გაზეთში უთუოდ უნდა იყოს მისი ნაწერები (თუნდაც ხელმოწერილი), ჩვენ გალაკტიონის სტილის, წერის მანერის, მსოფლგაგების გათვალისწინებით საგანგებოდ შევისწავლეთ 1914 წლის „ახალი აზრი“ და მსგავსს ვერაფერს მივაკვლიეთ...“<sup>96</sup>

1914. „1914 წ. გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი [წიგნი] ტომი, ამავე წელს მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოიცა ილია ჭავჭავაძის ნაწერების პირველი ტომი. ორივე წიგნი შეეძინა ვარდენ ღვანკითელს. როდესაც იგი შემხვდა, ასე მომმართა: – რა ამბავია, პოეტო, როგორი პესიმისტური წიგნი გამოგიცაო. ან ეს ახალგაზრდობა რამ გააგიჟა, რომ სულ შენს [„მერი“] „მესაფლავესა“ და „მე და ლამეს“ გაიძახიანო. ამდენი ცრემლისღვრა, მე და ჩემმა ღმერთმა. [არ შეგფერისო] თვალებს გაგიფუჭებსო. ეგ რა წიგნი გიჭირავს – მეთქი – ვკითხე... ეგ ხომ შენი წიგნიაო... მეორე მეთქი? ილია ჭავჭავაძისაო. გადაშალე ილიას წიგნი ასმეთერთმეტე გვერდი მეთქი – ვუთხარი [და ნაიკითხე]. ვარდენმა გადაშალა წიგნი და ხმამალა ნაიკითხა:

„ვაჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ?  
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი.  
კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად  
ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი.“

ის იყო და ის დღე. არასოდეს ვარდენს ამის შემდეგ ჩემს პესიმისტობაზე ხმა არ ამოუღია: „ილია თუ ასე სწერს, მე რალა მეთქმისო – ამბობდა.“<sup>97</sup>

**[1914-1915]** ძვირფასო სოსო! მე შენთან დიდი სირცხვილი დამემართა, მაგრამ უბედურ გარემოებას რომ არა, შეიძლება... მე მეორე საღამოსვე ქუთაისიდან წამოვედი ჭიათურაში, გზაზე მძიმე ავადმყოფი შევიქენი და მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში მეორე დღესვე უნდა დავბრუნებულიყავი, ჭიათურაში ერთი ამხანაგის ბინაზე ვწევარ ავადმყოფი ეს ორი კვირაა. წარმოიდგინე ორი კვირა! ადამიანს არა ვგეგვარ! ეხლა ცოტა უკეთესად ვარ და დღეს ან ხვალ სანოლსაც მივატოვებ, და ჩამოვალ ქუთაისში. შენ იმისი ნუ გეშინია! ვეცდები და მოვახერხებ რამეს... მარადის შენი გ. ტაბიძე.<sup>98</sup>

გალაკტიონის თორმეტტომეულში (I ტომის დამატებანი და შესწორებანი) აღნიშნულია: „უსათაურო ლექსი „მთის მწვერვლებს, მთის მწვერვალებს“ (გვ. 171-172) დათარიღებულია 1914 წლით“. სინამდვილეში იგი ადრეა დაწერილი. პირველად დაიბეჭდა 1910 წ., ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, №38, გვ. 2).<sup>99</sup>

„...გულდასმით გადათვალიერებულ იქნა 1914 წელს გამოცემული ლექსების წიგნი. მასში აღმოჩენილია 47 ლექსი, რომლებიც შეტანილი არ ყოფილა არც 1927 წელს, არც 1937 წლის კრებულებში. ყველა ეს ლექსები: გადავათვალიერე, გავასწორე იმდენად, რამდენათაც ეს აუცილებელია მთლიანი კრებულისათვის. ყველა ეს ლექსები ძალიან დამახასიათებელია ჩემი იმ დროინდელი შემოქმედებისათვის. ყველა ეს ლექსები აღინუსხება.“<sup>100</sup>

ლექსები: „სიბერე“, „სამრეკლო უდაბნოში“ და „სიმორით შენით“, რომელთა ძველი თარიღი 1914 წელი იყო, [1919 წლით] დათარიღდა.<sup>101</sup>

ლექსები, რომელთა დაწერის თარიღი საეჭვოა და მათი მიახლოებით დათარიღებაც კი გულდინჯ კვლევასა და სათანადო დასაბუთებას საჭიროებს, პირველი პუბლიკაციების მიხედვით 1927 წლამდე დაწერილ ლექსებს მიაკუთვნეს: „რაც უფრო შორს ხარ“ (ძველი თარიღი: 1908 წ.), „დაფნა“ (ძველი თარიღი: 1910), „გუბე“ (ძველი თარიღი 1914 წ.), „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი“ (ძველი თარიღი: 1914), „რომელი საათია?“ (ძველი თარიღი: 1914).<sup>102</sup>

საარქივო გამოცემაში ლექსის: „ნასაკირალთან“ ავტორისეული დათარიღება (1914 წ.) შეიცვალა [1952] წლით.<sup>103</sup>

გალაკტიონის ლექსები: „კანტატა“[1914] და უსათაურო „. ყვავილთ სული მოგიპარავს“ (1914) პირველად 1966 წელს გამოქვეყნდა. პირველი ლექსის ავტოგრაფის შესახებ ტომის შენიშვნებში აღნიშნულია: „ხელმოწერა: ცრემლი. პოეტს „ცრემლი“ გადაუხაზავს და მიუწერია – გ. ტაბიძე“. მეორე ლექსის ავტოგრაფზეც ხელმოწერაა: ცრემლი. „რამ გამოიწვია პოეტში განზრახვა ეხმარა ფსევდონიმად „ცრემლი“? ავტოგრაფის... მარცხენა ზემო კუთხეში ძნელად იკითხება ფანქრით მიწერილი „აკაკი“, რომლის გასწვრივ პატარა რომბისებური ნახაზებია ცრემლის მაგვარი. 1914 წელს აკაკი წერეთელს თვალის ქუთუთოს დამბლა დაეცა და თვალიდან გამუდმებით ცრემლი სდიოდა. გ. ტაბიძისათვის აკაკი იდეალი იყო. ვფიქრობთ აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია პოეტში განზრახვა ეხმარა ფსევდონიმად „ცრემლი“, მაგრამ განზრახვა განუხორციელებელი დასტოვა, პრესაში არ გამოუყენებია, არც ეს ლექსები... გამოქვეყნებულან. ეს ავტოგრაფებიც „ჭყვიშისეულნი“ არიან და პალეოგრაფიული მონაცემებით იძლევიან საფუძველს ლექსები 1914 წლით დავათარილოთ.“<sup>104</sup>

გალაკტიონის „კანტატას“ შესახებ პოეტის ახალ აკადემიურ გამოცემაში აღნიშნულია: „ამ ლექსის (საუბარია ლექსზე „უტეხი ხმებით“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ჟურნ. „მნათობში“ (1928, № 5-6, გვ. 74) ავტოგრაფიდან მომდინარე ვარიანტი დაბეჭდილია თხზ. თორმეტტომეულში („კანტატა“, ტ. I, გვ. 255). როგორც ჩანს, გალაკტიონმა დაამუშავა თავისი ადრე დაწერილი, გამოუქვეყნებელი ლექსი და იგი „ეპოქაში“ შეიტანა.“<sup>105</sup>

**4 იანვარი** ჟურნალში: „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა ლექსი: „რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი“. მოგვიანებით ავტორმა მას სახელწოდება შეუცვალა და „რა სევდიან ნანას ამბობს ქარი“ დაარქვა.<sup>1</sup>

**5 იანვარი.** გაზეთ „შადრევანში“ დაიბეჭდა მიხ. წულუკიძის წერილი: „გ. ტაბიძის ლექსები“.

„...1908 წელს, ე.ი. მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება საშინელ რეაქციას განიცდიდა – გამოვიდა ახალგაზრდა მგოსანი სამწერლო ასპარეზზე და ამან წაუშლელი დალი დაასვა მის პოეზიის შინაარსს და ასე გასინჯეთ, დღესაც გ. ტაბიძის შემოქმედება სავსებით ამ საშინელ დროის ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფება. უიმედობა, პესიმისტური გოდება ახასიათებს ჩვენს ახალგაზრდა მწერალს... უძლურია მგოსანი, მისი მე ცხოვრების ქარიშხლის, უღმობლობის წინაშე. ცალკე ადამიანი, როგორც მთელი საზოგადოება – ამას განიცდის მგოსანი – სრულ უიმედობაში ცხოვრობენ, – გამოსავალს ვერსად ხედავს მწერალი-გამომთქმელი მათ გულინადების, მათ მისწრაფება-მიდრეკილების და ამიტომ, გ. ტაბიძე სრულ უფიცობაში იმყოფება იმის შესახებ, თუ რა ქნას, ვის ან რის შესამკობლად, სასიმღეროდ მომართოს თავისი მოწყენილი ქნარი, ან საჭიროა კი ის ვინმესთვის...“

ხალხს დაშორებული, გამოურკველი იმედების და მისწრაფებების მქონე, ღონე მიხდილი იდგა ქართველი ინტელიგენტი და არ იცოდა რომელი ღმერთისთვის დაეწყო საკმევლის კმევა. ამ გავლენის ქვეშ ძალა უნებურათ აღიზარდა პოეტური აღმაფრენა გ. ტაბიძის – დაშორდა იმ ნიადაგს – ნამდვილ ხალხის სულის-კვეთებას, განცდას, მისწრაფებას... აღარაფერს აღარ აქვს „ფასი ქვეყნად.“ ყველაფერი ამოა – ასეთია დასკვნა გ. ტაბიძის ლექსთა კრებულის, დაუსრულებელია ყველგან და ყოველთვის შინაარსი ტანჯვისა, რომელსაც მოუცავს სამყარო. ასეთი დასკვნა, ასეთი მიმართულება ქნარისა არ შეჭფერის ახალგაზრდა მგოსანს – გ. ტაბიძეს, რომელსაც თავისი თავი ხალხის შვილად მიაჩნია; აბა, ჩაიხედოს მწერალმა ამ ხალხის გულში, თუ დაინახოს იქ უიმედობა, ჭმუნვა, გოდება; ძლიერია განცდა მისი – ხალხისა – იმედების მომგვრელი, სიხარულის შემქმნელი. და მგოსანი ხომ ხალხის შვილია არსებითად. ხალხი ის ძლიერი ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ყოველი კარგი და მშვენიერი, ძლიერი და სრული.<sup>2</sup>

**8,11 იანვარი.** „ოლოლი!... დღეს ძალიან ადრე გამომეღვიძა. გავიხედე ფანჯარაში და მშვენიერი გაზაფხულის დილა მომაგონდა. ცოტა სიცივე, მაგრამ ცა ისე იყო მოწმენდილი, რომ უნებურად რომაშოვივით ლერმონტოვის სიტყვები გავიმეორე: „И небо было так синее, что ангела полет приложный взор следить бы мог...“

საჩქაროდ ჩემი კაკაო დავლიე, მოვიხურე პალტო, ჩამოვიფხატე ქუდი და ტროსტით ხელში „ვაჟნოთ“ გავსწიე ქალაქ გარედ. უნდა გითხრა, რომ ძალიან

მხიარულ გუნებაზე ვიყავი. აბა, შენ წარმოიდგინე, ასეთი მშვენიერი დღეა, მ იან-  
ვარს, შუა ზამთარში... გზამ სოფელ ქვიტირში მიმიყვანა. თურმე სულ ახლო ყო-  
ფილა... შევედი ეკლესიის ეზოში და დიდხანს ვინეჩი ქვაზე, შემდეგ წარწერებს  
ვათვალიერებდი, გავიცანი ბევრი მკვდრები, რომლებიც სიამოვნებით მომეგებ-  
ნენ და მითხრეს: მობრძანდით, მობრძანდით, მაგრე რიგად ნუ გეშინია ჩვენი,  
ერთ დროს ახლობელი მეგობრები ვიქნებით ან ჯოჯოხეთში ან სამოთხეში, უფ-  
რო კი ჯოჯოხეთშიო... მეორე მკვდარმა თავისი ლექსები ამოიღო და პათოსით  
კითხვა დაიწყო... იმ პოეტმა ტრაბახით ამიკლო... მეც ვერ მოვითმინე და თავის  
ქება დავიწყე. მაგრამ მკვდარმა პოეტმა დაცინვით გამილიმა და ჯიბიდან გაზეთი  
„შადრევანი“ ამოიღო, სადაც მიხ. ნულუკიძის წერილია მოთავსებული. მე სირცხ-  
ვილით გავწითლდი და ხმა გავკმინდე...<sup>3</sup>

**11 იანვარი.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის  
ლექსი: „Art poetique“. შემდეგ გამოცემებში ის იბეჭდებოდა უსათაუროდ: „... მიყ-  
ვარდა ჰანგი...“<sup>4</sup>

ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილია გალაკტიონის სურათი და იოსებ  
არიმათელის წერილი: „გალაკტიონ ტაბიძე (მისი ლექსების გამოცემის გამო)“:  
„გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც პირველი ორიოდე ლექსი 1908 წ. გამოაქვეყნა,  
ხოლო უფრო მეტად 1910 წ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრებაში“ და სხვაგან გაშა-  
ლა ფრთა და თავის ლექსთა თაიგული გასულ წელს გამოსცა ცალკე წიგნად, არ  
ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელი ლეგონია... გ. ტაბიძე – ეს  
ბუნებისა და ადამიანის სულის ბგერათა მესაიდუმლე – სრულიად განკერძოე-  
ბით სდგას და თავისი შემოქმედებით იგი მსოფლიო სევდის მგოდებელთ (ჩვენში  
წ. ბარათაშვილს) უახლოვდება... ჩენი პოეზიის ქურუმნი მეცხრამეტე საუკუნე-  
ში და ახლაც, უმეტესად მამულიშვილურ-მოქალაქეობრივ ჰანგთა მღერამ გაი-  
ტაცა, უკანასკნელ ხანში ხომ „პროგრამულ“ ლექსებს სწრენ. ეს იქნება სწორედ  
ასეც იყოს საჭირო, მაგრამ ჭეშმარიტ მგოსანს კიდევ სხვა მიზანი აქვს: ადამიან-  
ის სულის განცდათა გამომჟღავნება, ჩვეულებრივი ადამიანისთვის მიუწვდო-  
მელის შეცნობა... გ. ტაბიძემ თავის ლექსთა მშვენიერ თაიგულში საუცხოვოდ გა-  
დაგვიშალა მუდამ მეძიებელის, სულით ღელვილი ადამიანის სწრაფვა, აღბეჭდა  
უკანასკნელ ათეულ წლების ინტელიგენციის რწმენის მერყეობა, ახალი გზების  
ძებნა, იმედის გაცრუება, უნუგეშობა... ამ პატარა საბიბლიოგრაფიო წერილში  
მოუხერხებელია მკითხველს გადავსცეთ ყოველივე ის, რითაც გასულდგმულე-  
ბულია გ. ტაბიძის ნაზი ლექსები... ვიტყვით კი, რომ ახალგაზრდა მგოსანი დიდის  
ყურადღების ღირსია, და ვისაც ჰსურს განიცადოს სულიერი კმაყოფილება, უაღ-  
რესი სიტკბოება, მან თვით ნაწერები – მგოსნის შემოქმედება უნდა გაიცნოს.“

**14 იანვარი.** „მარინეს პროსპექტზე, ბათუმში, წიგნის მაღაზია და ჟურნალ-  
გაზეთების კანტორა განთიადში... იყიდება: პეტრე გელეიშვილის, გ. ქუჩიშვი-  
ლის, გ. ტაბიძის და ჩხიკვაძის წიგნები.“<sup>5</sup>

**15 იანვარი.** ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ბედისწერა“. რედაქციის შენიშვნა: „ეს ლექსი უნდა მოთავსებულიყო მეოთხე გვერდზე მაგრამ შეცდომით ამ გვერდზე დაისტამბა.“<sup>6</sup>

**19 იანვარი.** გაზეთ „შადრევანში“ იბეჭდება ს. აბ-ელის წერილი „ყვითელი ფოთოლი“: „... გ. ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით. მისი სულის სევდა, მისი ნაღველი იმდენად წარმტაცი, იმდენად მრავალფეროვანია, რომ გვაზიზიანებს ამ სევდაში ჩაქსოვილი არარაობა სოფლისა და მშვენიერების გრძნობით აღტაცებული მზადა ხარ მუხლმოდრეკით თაყვანი სცე პოეზიის აღმადრენ ძალას ... მისი სევდა არ არის გამონეული რაიმე შემთხვევითი მიზეზით, ის უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა. ამიტომ არის, რომ ეს სევდა არ აჩლუნგებს სიცოცხლის გრძნობას, პირიქით, უფრო აღრმავებს და აკეთილშობილებს მას. პოეტის გრძნობა გამსჭვალულია შემოდგომის ნაზი სიმფონიით. „ყვითელი ფოთოლი“, აი, ემბლემა მისი ლირიკისა. შესანიშნავის ხელოვნებით აქვს მგოსანს გადმოცემული გრძნობა სიცოცხლის წარმავლობისა. იგი ისე მძლავრად გრძნობს „ყვითელი ფოთლის“ ნაღველს, რომ იკარგება განსხვავება ბუნებასა და ადამიანს შორის... საზოგადოდ, გ. ტაბიძის ლექსთა წყობა სადაა და უბრალო, რაც უფრო მეტის სინათლით ჰმოსავს გულწრფელ გრძნობათა სათუთ სიმებს... იგი ისე მოველინა ჩვენს მწერლობას, როგორც სიმღერა მოულოდნელი“. ვუსურვებ მგოსანს არ ჩამქრალიყოს მასში ის ღვთიური ცეცხლი, რომლითაც ასე წარმტაცად არის დაფერილი მისი აცრემლებული სტრიქონები.“<sup>7</sup>

**22 იანვარი.** დღეს გამოვა ქუთაისში ჟურნალი „განთიადი“ № 2. აქ არის შემდეგი წერილები: 1. მგოსან აკაკის ავადმყოფობის გამო... 4. ბედისწერა – ლექსი გ. ტაბიძისა...<sup>8</sup>

**26 იანვარი.** გალაკტიონის ლექსი: „აკაკის გარდაცვალების გამო“, დათარიღებულია: „1915 წ. 26 იანვრით.“ ის დაიბეჭდა ამავე წლის პირველ თებერვალს ჟურნალ „განთიადში“.<sup>9</sup>

**26 იანვარი.** „შადრევანის“ მეხუთე ნომერში მოთავსებულია საგულისხმო წერილი „ყვითელი ფოთოლი“. ავტორი წერილისა ს. აბ-ელია. თუ არ ვცდები, აქ ერთი ნიჭიერი მგოსნის ფსევდონიმი იმალება. მგოსანი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას მეორე მგოსნის შესახებ. ნასაბაძი მაგალითია. ამკარაა, რომ მგოსანი უკეთ გაუგებს მგოსანს... მისი სიტყვა უფრო საგულისხმოა, უფრო ნათელი, უფრო ჭეშმარიტი. ამას ზემოხსენებული წერილიც თვალსაჩინოდ ჰმონმობს. ავტორს ღრმად განუცდია, „მგოსნურად“ უგრძნია თავის თანამოძმე – ამ შემთხვევაში გალაკტიონ ტაბიძე... გ. რ.<sup>10</sup>

**[იანვარი].** გალაკტიონის ლექსი „სიკვდილის ბრწყალებში“, პოეტის საარქივო გამოცემაში დათარიღებულია: [1915 წლის იანვრით]. პირველი პუბლიკა-

ცია: 1998 წ. „ლიტერატურული მატინე“, გვ. 4. გალაკტიონის საარქივო გამოცემის მეორე წიგნის შენიშვნებში აღნიშნულია: „1915 წელს დაწერილ ლექსებს 1998 წელს ჩვენი მუზეუმის აღმანახ „ლიტერატურულ მატინეში“ გამოქვეყნებული „სიკვდილის ბრწყინებში“ დაემატა.“<sup>11</sup>

**1 თეზირვალი.** ჟურნალ „განთიადში“ იბეჭდება გალაკტიონის ორი ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“ და „ვაგნერი“.<sup>12</sup>

**2 თეზირვალი.** „თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა საჩხერეში გააგზავნოს აკაკის ცხედრის პატივსაცემლად და ცოცხალ ყვავილებით შესამკობლათ ახალგაზრდა მგოსნები: ს. აბაშელი, ა. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი და ი. გრიშაშვილი. აგრეთვე, მიმართა ქუთაისის კომიტეტს, მათაც გამოაგზავნონ ამ მიზნით ვ. რუხაძე და გ. ტაბიძე.“<sup>13</sup>

**4 თეზირვალი.** „აკაკის ცხედრის ჩამოსვენება (საჩხერიდან თბილისამდე).“ 4 თებერვალს დილის ცხრა საათიდან დაიწყო ხალხმა თავის მოყრა აკაკის ეზოში... ათ საათზე მგოსნის ცხედარი მისმა მეგვარეებმა გამოასვენეს ეზოში. შეგროვილმა ხალხმა მუხლი მოიყარა მგოსნის პატივსაცემლად. ეზოში გ. ნერეთელმა, როგორც გვარის წარმომადგენელმა მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას. მერე წესი აუგეს, რის შემდეგ ჯრუჭის მონასტრის წინამძღოლმა სიტყვა სთქვა. ამ დროს კუბოს ირგვლივ თავს იყრიან ქართველი მწერლები: ნ. ჟორდანიანი, ნ. ნიკოლაძე, გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე, ი. ფანცხავა, ევ. გეგეჭკორი, გ. გველესიანი, გ. ქუჩიშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე... და სხვები. ეზოდან კუბო გამოასვენეს მწერლებმა...<sup>14</sup>

**7 თეზირვალი.** „.. დილის ცხრა საათიდან დაიწყო ხალხმა თავის მოყრა აკაკის ეზოში... ათი რომ შესრულდა, მისმა მოგვარეებმა ძველებური ტირილით გამოასვენეს აკაკი სახლიდან. ეზოში მყოფი ხალხი მუხლებზე დაეცა და ყველას ცრემლები მოადგა თვალებზე: აკაკი უკანასკნელად ჩამოვიდა თავის სახლის კიბეზე. კუბოს დაასვენებენ შუა ეზოში... კუბოს გარშემო შემოიკრიბებიან ქართველი მწერლები და მოღვაწენი: ნ. ნიკოლაძე, გ. ლასხიშვილი, ნ. ჟორდანიანი... გ. ტაბიძე და სხვ.“<sup>15</sup>

**15 თეზირვალი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: ლექსები გ. ტაბიძის...<sup>16</sup>

**15 თეზირვალი.** „გალაქტიონ ტაბიძე სწერს დიდ რომანს.“<sup>17</sup>

**1 მარტი.** გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ფანტაზია“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“). იგივე სათაური აქვს ამ ნაწარმოებს ლექსების პირველ წიგნში, შემდეგ კი ავტორმა მას, მცირე შესწორების შემდეგ, „ოცნება ბორკილებში“ დაარქვა.<sup>18</sup>



**1 მარტი.** გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს გალაკტიონის წერილს: „ჯაჯუ ჯორჯიკია“, გ.-ს ხელმოწერით: „...ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და დაიმსახურა კიდევ, როგორც მკითხველებისა, ისე კრიტიკის ყურადღება... ევროპულად განათლებული, ახალგაზრდა, მხნე და მუყაითი ქართველია. თავდავიწყებამდე უყვარს მწერლობა და საქართველო. წელს გამოვიდა მშვენიერი გამოცემა ჯაჯუს თხზულებათა. ფხიანი და დაკვირვებული მწერალია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ჯაჯუ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში...“<sup>19</sup>

**4 მარტი.** „ხვალ, 5 მარტს ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართება ახალგაზრდა მგოსნის, ი. გრიშაშვილის საღამო ხუთ განყოფილებებით: ... საკუთარ წარმოდგენებს წაიკითხავენ: პ. იაშვილი, შ. დადიანი, გ. ტაბიძე...“<sup>20</sup>

**18 მარტი.** „წერილები რედაქციის მიმართ. (განმარტება). ამას წინად, შემთხვევით, ერთ პატარა დაბაში მოვხვდი და ქუჩებზე გაკრულ აფიშებზე ჩემის თვალით წავიკითხე: გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ეს და ეს მწერლებიო – ჩამოთვლილი იყო რამოდენიმე მწერალი და იმათ შორის მეც. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მე არავისთვის პირობა არ მქონდა მიცემული საღამოში მონაწილეობის მიღებაზე. ეს იყო მხოლოდ შანტაჟი. საღამოს ინკოგნიტოდ დავესწარი და გავიგონე, თუ როგორ გამოაცხადა ჩემთვის უცნობმა პირმა: გალაკტიონ ტაბიძე ავადმყოფობის გამო საღამოში მონაწილეობას ვერ იღებსო. ეს ხდება პროვინციაში. მოგეხსენებათ ქუთაისშიდაც ხშირად იმართება საღამოები და ძლიერ ძვირად ნახავთ აფიშებს, რომელზედაც ჩემი სახელი და გვარი არ იყოს გამოცხადებული. ყოველ ამგვარ აფიშის წაკითხვის შემდეგ მე სახტად ვრჩები: არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის და ისე კი მაცხადებენ. ეს არის მხოლოდ შანტაჟი. ამ ჟამათაც ხელში მიჭირავს ქუთათური გაზ. „სამშობლოს“ ერთი ნომერი, რომელშიდაც წნერია: გაიმართება გრიშაშვილის საღამო, მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს პირნიო და მათ შორის მეც. მე ისევ განცვიფრებაში მოვყავარ ამ ამბავს და გაკვირვებით ვეკითხები ჩემს თავს: ნუ თუ გრიშაშვილმა იგივე ჩაიდინა რაც სხვებმა? მან, უთუოდ, იცოდა რომ მე იმ დროს ქუთაისში არ ვიყავი და სადაც უნდა ვყოფილიყავ მაინც რომ არავის უცნობებია ეგ ჩემთვის? მე მგონია ეს მისი მხრით უნებლიე შეცდომა იყო, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ამით საზოგადოება მოტყვილებული დარჩა და მე კი შეურაცყოფილი. პატივისცემით გ. ტაბიძე.“<sup>21</sup>

**22 მარტი.** გალაკტიონის ლექსი „ატმის ყვავილები“ გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“.<sup>22</sup>

**22 მარტი.** „ღია წერილი ტუტკუ გვარამიას. წელიწადზე მეტია რაც ჩემგან მიიღეთ 5 მანეთი პოეტი ტაბიძის წიგნებისა. თქვენ უნდა გამოგეგზავნათ ათი ცალი წიგნი. მიუხედავად ორჯერ მიმართვისა, თქვენ სდუმხართ და ამ დუმილით მე საძაგელ მდგომარეობაში მაყენებთ იმ ხელისმომწერლების წინაშე, რომლე-

ბისგანაც მიღებული მაქვს... წიგნების საფასური... ალექსანდრე გამსახურდია...  
სადგ. სურახანა.<sup>23</sup>

**30 მარტი.** „ბ-ნ რედაქტორო... ბ. გამსახურდიას ჩემ სახელზე ფული არ გამოუგზავნია... იმ პირს, რომელსაც მან ფული გამოატანა, მე ოთხ თვეზე მეტია წიგნები გავუგზავნე და თუ ბ. გამსახურდიას არ მიუღია, ამაში ვგონებ ბრალი მე არ უნდა მიმიძლოდეს. აქვე აგენტებისა და ხელისმომწერლების საყურადღებოდ ვაცხადებ, იმ აგენტს, რომელსაც დღემდე ანგარიში არ გაუსწორებია, უკანვე დაუბრუნონ ხელისმომწერთ ფული, ვინაიდან მე უკვე წიგნები არ მომეპოვება. გ. ტაბიძის წიგნის გამომცემელი ტუტკუ გვარამია.“<sup>24</sup>

**31 მარტი.** „სამშაბათს, 31 მარტს, ქუთაისის თეატრში გაიმართება ნ. ჩხიკვაძის ლიტერატურული საღამო... ლიტერატურული ნაწილი: ს. აბაშელი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე... ნაიკითხავენ ჯერ დაუბეჭდავ ლექსებს.“<sup>25</sup> ამ საღამოზე გალაკტიონმა ნაიკითხა ლექსი: „აკაკის ლანდი“.

**1 აპრილი.** ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ჰონორარს არ იძლევიან. მე კი უფრო მეტ გულუხვობას გამოვიჩინე და ჰონორარს დაგინიშნავ, ოღონდ ერთი წერილი გამოუგზავნე დედაჩემს... უეჭველათ ამ წერილის მიღებისთანავე წერილი გამოუგზავნე, თორემ ჯავრით აღარ არის. თუ ჩახვალ, იცოდე ძალიან გაახარებ... (აბესალომის წერილიდან).<sup>26</sup>

**3 აპრილი.** გაზეთ „თანამედროვე აზრში“ დაიბეჭდა ვ. რუხაძის ლექსი „გ. ტაბიძეს“:

„გადავიკითხე შენი ლექსები / ეგ მწუხარების და სევდის კონა / მიკვირს: ჯერ  
ჭაბუკს უიმედობის/ ისარი გულში ვინ გაგინონა? / ბარათაშვილი თუ დასტიროდა/  
სულის ობლობას, საბაბიც ჰქონდა:/ ტიტანიური იმისი კვნესა/ მშობელ მიწაზე არ-  
ვის ესმოდა!/ დღეს კი სულ სხვაა: სამშობლო ცაზე/ უკვე გამოკრთა შეგნების სხი-  
ვი/ და ბრძოლის ღმერთი ყაზბეგის მწვერვალს/ თავსა მოეწლო როგორც არწივი...  
/და შენ კვლავ მოსთქვამ სულის ობლობას/ რამ გაგიმსხვრია რწმენის ტაძარი:/  
ტრფობამ, უდროოდ დამინებულმა,/ თუ ვერ ახსენი ყოფნის ზღაპარი?“<sup>27</sup>

**9 აპრილი.** „წერილები რედაქციის მიმართ. გრიშაშვილმა თავის საღამოს მონაწილეთ შორის, ჩემის წინადადებით ჩანიშნა გ. ტაბიძეც. უკანასკნელის და-  
თანხმება მე ავიღე ჩემს თავზე: მე ვიცოდი პოეტის აზრი გრიშაშვილის შესა-  
ხებ, ვიცოდი ისიც, რომ გრიშაშვილის საღამოზე ის ყოველთვის სიამოვნებით  
კითხულობდა თავის ლექსებს. გ. ტაბიძე ამტკიცებს, რომ მის სახელს ხშირათ  
აცხადებენ სხვადასხვა საღამოებზე მონაწილეთ შორის მისდა დაუკითხავათ, და  
უკანასკნელ შემთხვევასაც სხვა შემთხვევებს ადარებს, ყველას ერთად შანტაჟს  
უნოდებს. ბ. ტაბიძემ უნდა იგრძნოს, რომ ის იყო მიწვეული მხოლოდ ერთი მო-  
საზრებით: რომ მისთვის პატივი ეცათ, რა შუაში აქ შანტაჟი? პავლე იაშვილი.

P.S. მე კი ჩემის მხრით ის უნდა დაეუმატო, რომ რაკი ბ-ნი ტაბიძე ველარ ვინახულეთ, მისი გვარი ამოშლილ იქნა როგორც გაზეთის განცხადებიდან, ისე პროგრამიდან და მის ნაცვლათ მოვიწვიე ახალგაზრდა პოეტი კ. ჭიჭინაძე. ი. გრიშაშვილი.<sup>28</sup>

**15 აპრილი.** ჟურნალში „განთიადი“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „მერი“. პოეტმა შემდგომში მას სახელწოდება შეუცვალა და „შენ ზღვის პირად“ უწოდა. „მერის სახელმა პირველად ამ ლექსში იჩინა თავი.“<sup>29</sup>

**16 აპრილი.** გაზეთ „თანამედროვე აზრში“ გამოქვეყნდა ლექსი „ყოველ თეთრ ღამეს“. მოგვიანებით ამ ნაწარმოებს ავტორმა „პრიმიტივი“ უწოდა.<sup>30</sup>

**25 აპრილი.** „დიდად პატივცემულო ბ. კოტე! ბოდიშს ვიხდი თქვენთან. ვიცე, რომ იმისთანა თხოვნისთვის, რომლითაც მე თქვენ მოგმართავთ, პირადათ თქვენთან მოლაპარაკება იყო საჭირო, მაგრამ ათასგვარი გარემოებები ხელს მიშლის თბილისში ჩამოსვლაზე. საქმე ის არის, რომ მომავალი ენკენისთვიდან მოსკოვში მსურს წასვლა შანიავსკის კურსებზე. მაგრამ მე უღარიბესი მშობლების შვილი ვარ, ამიტომ მინდა, თხოვნა მივცე თბილისის სათ.-აზნ. ბანკს – სტიპენდიის დანიშვნის, ან ერთდროული დახმარების შესახებ. არ ვიცი მხოლოდ: 1. არის თუ არა თავისუფალი სტიპენდია? 2. თუ არის, ვის უნდა მივმართო და საერთოდ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე... 3. როდის უნდა წარმოვადგინო თხოვნა და მიიღებენ თუ არა ჩემს თხოვნას ისე, როგორც ახალგაზრდა მწერლისას... 4. თუ სტიპენდია არა, ერთდროული დახმარება ხომ მაინც მომეცემა?“ ჩემი მისამართი: „Кутаис, III Александровская, д. Хачатурова, Галактиону Табидзе“<sup>31</sup>

**28 აპრილი.** 28 აპრილს ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართა „ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატული საღამო“ ოთხ განყოფილებად... მესამე განყოფილებაში საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ვ. რუხაძემ, ... გ. ტაბიძემ წაიკითხა „მე და ღამე“. დამსწრე საზოგადოებამ მას თაიგულები ესროლა. პოეტი კითხულობს ლექსებს თავისებურათ, ორიგინალურად და გრძნობიერათ...<sup>32</sup>

**4 მაისი.** გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „აკაკის ლანდი“, (გაზ. „ახალი კვალი“), რომელსაც ახლავს რედაქციის მინაწერი: „ეს ლექსი ავტორის მიერ წარმოთქმულ იქნა 31 მარტს ქალაქის (ქუთაისის – მ.შ.) თეატრში“.<sup>33</sup>

**7 მაისი.** „მარტის მიწურულს გალაკტიონი გაუჩინარდა, უფრო ზუსტად, ქუთაისიდან გაქრა. ძმამ რამდენჯერმე მიაკითხა, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაკვლია. პროკლე შეშფოთებულია და ნაცნობ-მახლობლებს სთხოვს დახმარებას. და აი, 7 მაისს მარია ხაჩატუროვას წერილს იღებს. „გალაკტიონი ქუთაისში არ ჩამოსულა და მეც ძალიან მიკვირდა მისი ამბავი. მაგრამ ეხლა გავიგე, რომ ჭიათურაში ყოფილა. იქ ჩემი დაა და იმან შემომითვალა, რომ აგერ ერთი თვეა აქ არისო. იმისთვის ნუ ჯავრობთ, კარგად არისო. გალაკტიონი ოლიასთანაა.“<sup>34</sup>

**11 მაისი.** „შეცთომის გასწორება. „ა.კ.“-ის („ახალი კვალი“ – მ.შ.) 1 №-ში გალაქტიონ ტაბიძის ლექსში „აკაკის ლანდი“, ერთ ტაეპში შეცთომაა: „გაგვინათებს დღეს, გაგინათებს ღამეს...“ უნდა იყოს: „გაგვინათებს დღეს, გაგვითევს ღამეს.“<sup>35</sup>

**11 მაისი.** „ჩემი საქმეები, ღლიკინ, ამ მაისში ვერ ეწყობა (სალამო). ფული ვისესხე ივნისამდე, როცა სალამო მექნება... პეტრე გელეიშვილმა შემომითვალა, რომ არაფერი გზით ივნისამდე სალამო არ გამართო სამტრედიაშიო, ივნისში კი მარტო ერთ სალამოზე 150 მანეთს ჩაგაბარებო. თბილისიდან არც ერთ წერილზე პასუხი არ მოსულა... 1915, 11 მაისი, ქ. ქუთაისი.“<sup>36</sup>

**15 მაისი.** „ქალაქის (ქუთაისის – მ.შ.) თეატრში შაბათს 16 მაისს, გამართული იქნება სალიტერატურო დრამატიული სალამო... სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ: თ. ნ. ლორთქიფანიძე, ბ.ბ. ვარლამ რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე და ნოე ჩხიკვაძე.“<sup>37</sup>

**15 მაისი.** ქუთაისი. კვირას ქალაქის თეატრში გაიმართება ლიტერატურულდ დრამატიულ-მუსიკალური დილა... მონაწილეობას მიიღებენ: მიხ. ნუღუკიძე, ვ. რუხაძე, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, ნ. ჩხიკვაძე, ცვარ-ნამი და სხვ.<sup>38</sup>

**24 მაისი.** დღეს ქალაქის (ქუთაისის) თეატრში დილის 12 საათზე გაიმართება ლიტერატურული დილა... სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ი. ნიკოლეიშვილი, გ. ტაბიძე...<sup>39</sup>

**25 მაისი.** „სამინელ მატერიალურ გაჭირვებას ჩვენში ბევრი ახალგაზრდა მწერალი განიცდის, მაგრამ სულ სხვაგვარია ჩემი მდგომარეობა: მე შვილი ვარ უღარიბესი მშობლების, ვერავითარ დახმარებას ოჯახიდან ვერ ვიღებ, არც მეგობრები, არც დამხმარეები მყავს ისეთები, რომ შემეძლოს თავი დავალწიო იმ მდგომარეობას, რომელშიდაც დღეს ვიმყოფები. ჩემი ბავშვობიდანვე გულში ჩანერგილი სურვილი უმაღლესი განათლება მიმელო სურვილადვე დარჩა და საუკეთესო იმედები სიღარიბემ სრულიად გამინადგურა. ერთადერთი გზა, რომლის მიღწევასთან სრულიად გამოიცვლება ჩემი ცხოვრება ეს არის სტიპენდიის დანიშვნა ჩემთვის ქ.შ.წ.კ.გამ. საზოგადოებისაგან (თავისუფალია ათი სტიპენდია). ამით მე შეძლება მომეცემა შევიძინო განათლება მოსკოვში, შანიაესკის უნივერსიტეტში. უმორჩილესად გთხოვთ ქმნკვს ქუთაისის განყოფილებას შევიდეს ჩემს მდგომარეობაში და მიშუამდგომლოს თბილისის წ/კ საზოგადოების გამგეობასთან სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ ქუთაისის წ-კ საზოგადოების განყოფილება ყურადღებას მიაქცევს ჩემს თხოვნას და უარს არ მეტყვის დახმარებაზე. პატივისცემით გ. ტაბიძე. ქ. ქუთაისი. 1915 წ. 25 მაისი.“<sup>40</sup>

**6 ივნისი.** „მივიღე შენგან გამოგზავნილი ბარათი, რომელმაც ძალიან ცუდ ხასიათზე დაგვაყენა. უცნაური კილო, ვილაც მტრებზე საუბარი და სხვ... ამავე

დროს არაფერს იწერები შენს ეხლანდელ მდგომარეობაზე, ჩამოსვლაზე და სხვ... იწერები რაღაც დახმარებაზე... შენი დახმარება ის იქნება, თუ კარგათ იქნები, თავს მოუფრთხილდე და რაიმე გზას დაადგები. დედა დაჟინებით გთხოვს, შენი ხაბაკით ჩამოხვიდე... აბესალომი.<sup>41</sup>

**17 ივნისი.** „სოფ. შროშაში, კვირას 21 ივანობისთვის ზალიკო ჩიხლაძის თაოსნობით, გაიმართება წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით... დივერსიმენტში მონაწილეობენ: ია ეკალაძე, გ. ტაბიძე, ნოე ჩხიკვაძე, ვ. გორგაძე, სიმ. წეველი...“<sup>42</sup>

**21 ივნისი.** „სოფ. შროშაში 21 ივნისს გაიხსნა უფასო წიგნთსაცავი სამკითხველო, ჩვენი ერის სიამაყე, აკაკის სახელობაზე. კურთხევაზე ქუთაისიდან ჩამოვიდნენ ია ეკალაძე, ლადო ბზვანელი, ნემო და სხვანი... რაისა ჩიხლაძემაც მიულოცა თავის მეზობლებს ეს ბედნიერი დღე და გრძნობიარე სიტყვით გამოხატა ძლიერი სიყვარული ხალხისადმი. ვარლამ ჩიხლაძემ ლექსით მიმართა სამკითხველოს და ერმალოზ ებანოიძემ მადლობა გადაუხადა შროშელებს ასეთი საქმის მოწესრიგებისათვის... შორაპნიდან მოწვეული იყო დეპოს მუსიკა, რამაც საზოგადოება დიდად ასიამოვნა. სიტყვების შემდეგ გრამაფონის ფირფიტაზე დაუკრეს იმდღისთვის საგანგებოდ მოტანილი ალექსანდრე თაბაგრის მიერ, აკაკის ლექსები...“<sup>43</sup>

**[ივნისი-ივლისი].** ძვირფასო ძმაო აბესალომ! შენი წერილები ბაკურიანში მივიღე, მაგრამ ამდენი ხანი ვერ გიპასუხე დიდი ხნით სულიერად დაუმშვიდებლობის გამო... ისეთი აპატიით ვიყავი გარემოცული, რომ კალმის ხელში აღება არ შემეძლო, ხომ იცი, ჩემი ჩვეულებრივი მეღანქოლია როცა დამიბყრობს, ყველაფრის ხასიათი მეკარგება.<sup>44</sup>

**1 ივლისი.** ძვირფასო დედა და ძმაო აბესალომ, პირველად ღმერთს ვთხოვთ თქვენს ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს... სწორედ 24 ივნისს ღამით მე გავედი ქუთაისიდან ბაკურიანში. ბაკურიანში კი არც გაზეთები მოდის, არც ბევრი მოაგარაკებია, ასე რომ, წყალდიდობის ამბავმა მხოლოდ დღეს, 1 ივლისს მოატანა აქ...<sup>45</sup>

**12 ივლისი.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ იბეჭდება მის. აბრამიშვილის ვრცელი წერილი: „ღამის მგოსანი“ (გალაქტიონ ტაბიძის ლექსები).<sup>46</sup>

**19 ივლისი.** ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აგრძელებს მის. აბრამიშვილის წერილის: „ღამის მგოსანი“ ბეჭდვას.<sup>47</sup>

**26 ივლისი.** გრძელდება მის. აბრამიშვილის „ღამის მგოსნის“ გამოქვეყნება.<sup>48</sup>

**ივლისი.** ბაკურიანში დაიწერა გალაქტიონის „ვერხვები“.

**9 აბვისტი.** იბეჭდება მის. აბრამიშვილის „ღამის მგოსნის“ გაგრძელება.<sup>49</sup>

### ჰუნგარი.

უკვლევთ, როგორ დაბრუნდეს ჩვენი  
 და მშობლები მთელი ქვეყნის ავსტრიის  
 კონტინენტის დასავლეთით დაბრუნდეს  
 ანტიკონტინენტის დასავლეთით.  
 გლობალი იგი გაიხსნა და მნიშვნელოვანი  
 ძველი კონტინენტის ცენტრში და მძვინვარე  
 მოულოდნელად ვაქცეს და გვიჩვენებდეს  
 გრძელად მნიშვნელოვანი ვიზუალური თანხმობა.  
 ეს იყო ნიშანი, რომელიც ნიშნავდა  
 სივრცის, სივრცის, სივრცის? - ან ვიზუალური!  
 იყავი სივრცის და მნიშვნელოვანი,  
 გლობალი დასავლეთით დასავლეთით.  
 ეს იყო ნიშანი, რომელიც ნიშნავდა  
 ეს იყო ვიზუალური დასავლეთით დასავლეთით,  
 და, შენთვის, ის იყო გლობალი  
 ის იყო გლობალი, რომელიც მნიშვნელოვანი.  
 უკვლევთ, როგორ დაბრუნდეს ჩვენი  
 და მშობლები მთელი ქვეყნის ავსტრიის  
 კონტინენტის დასავლეთით დაბრუნდეს  
 ანტიკონტინენტის დასავლეთით.

1915.  
 ბაქოში  
 ივანე

**22 აპრილი.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ დამთავრდა მიხ. აბრამიშვილის ვრცელი წერილის „ღამის მგოსანი“ გამოქვეყნება.<sup>50</sup>

**30 აპრილი.** კვირას, 30 აპრილს, მსახიობმა დ. ჩარკვიანმა ავადმყოფ თამარა ივანიძის სასარგებლოდ გამართა ლიტერატურულ-დრამატიული საღამო. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობდნენ: დ. თომაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე...<sup>51</sup>

**ზაფხული.** „1915 წლის ზაფხული გალ. ტაბიძემ წალვერში გაატარა. აქ შექმნა მან ლექსების ციკლი: „თეთრი ლანდებით“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ახალ ცისკარში“ (1916 წ.).<sup>52</sup>

**1 სექტიმბერი.** „გამოვიდა სექტიმბრის ნუმერი ჟურნალ „განათლებისა“ შემდეგი შინაარსით... „ყვითელი ყვავილი“ – გ. ტაბიძე...“<sup>53</sup>

**[1 სექტიმბერი].** ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ყვითელი ფოთოლი“.<sup>54</sup>

პოეტის არქივში არსებობს ჩანაწერი „ყვითელი ფოთოლი“, რომელშიც ვკითხულობთ: „უნდა აღვადგინო ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილი „ყვითელი ფოთოლი.“ მე ის ნავიკითხე ქუთაისში, სალამოზე, რომელსაც დაესწრო აკაკი წერეთელი. მე ვკითხულობდი მას ხმის აწევით, თითქოს კი არ ვკითხულობდი, არამედ ვმღეროდი, ვზმოვანებდი. ვკითხულობდი ძალიან გაბედულად, როგორც „მეამბოხე“, როგორც „მრისხანე მომწოდებელი: „ყვითელ ფოთოლს ღმერთი არ სწამს, ღმერთი არ სწამს ყვითელ ფოთოლს...“ თეატრი სულგანაბული მისმენდა. მქუხარე ტაშისცემა იყო ჯილდო ჩემი ხმაგამეტებული კითხვისა. როდესაც ფარდა დაეშვა, აკაკიმ მკითხა: – თქვენ რაჭველი ხომ არა ხართ? – არა ბატონო აკაკი, იმერეთიდან გახლავართ. – საოცარია, როდესაც თქვენ კითხულობდით ლექსს, მე მეგონა, რომ მღეროდით. ასეთი იყო ძირითადად ქართული კითხვა ძველად, ლაპარაკობდნენ გაბმით, თითქო სიმღერით, რაჭველობაც იმიტომ გკითხეთო. „ძირითადად ქართული კითხვა სიმღერით“ – ასეთი იყო აკაკის შეფასება ჩემი ლექსების კითხვისა.“ ჟურნალ „განათლებაში“ გალაკტიონის ორი ლექსი დაიბეჭდა ერთნაირი სათაურით: „ყვითელი ფოთოლი“: 1912 წ. № 9, გვ. 697 და 1915 წ. № 9, გვ. 484. რომელამათგანს ეხება აღნიშნული ჩანაწერი ძნელი დასადგენია... პოეტის პერიფრაზირებული სტრიქონები: „ყვითელ ფოთოლს ღმერთი არ სწამს, ღმერთი არ სწამს ყვითელ ფოთოლს“ „განათლებაში“ დაბეჭდილ ლექსთა ტექსტებში არ მოიპოვება“.<sup>55</sup>

**5 სექტიმბერი.** ჟურნალში: „თეატრი და ცხოვრება“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „MERI“.<sup>56</sup>

„... სახელი „მერი“ მე არ გამომიგონებია, თუმცა ლექსის ობიექტად – პირველია ეს სახელი საქართველოში. მერი – ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი – ასულდგმულებს შელლის, მერის აღტაცებაში მოჰყავს პუშკინი, მერი ერთი უკეთესი ტიპია ლერმონტოვისა და ათასი ინგლისელი და ფრანგული სიმღერების გმირი ქალია მერი. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არ ჰგავს. ასე, ალექსანდრ ბლოკის მერი – სიმბოლიური სახებაა. ჩემი მერი რომანტიულია, მაგრამ რეალური და ცხადია. კრიტიკოსებს კი სურთ გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია. 3. ერთხელ ოპერის თეატრში „მერი“ ცოცხალ სურათად დადგეს. მერის ანხორციელებდა მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი. იგი იდგა პედესტალზე... ქვევით ვიდექი მე და ვკითხულობდი „მერის“ (იხ. აქვე, „მატიანეში“, 1916 წლის 23 დეკემბერი – მ.შ.)... 4. „მერი“ ჩემდა დაუკითხავად დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“, 1915 წელს, (sic). მალე ისე პოპულარული გახდა, რომ ყველამ ზე-

პირად იცოდა. 5. „Grane aux fiours“-ში მერი დაიბეჭდა მცირე ცვლილებით. ეს არ მოეწონა საზოგადოებას. ძველებური სჯობდაო – გაიძახოდა იგი. ნ. . „მერი“ რუსულად სთარგმნა პ. პეტრენკომ...“<sup>57</sup>

**6 სექტემბერი.** ქუთაისში არსდება ჩვენი ახალგაზრდა მგოსნის გალაქტიონ ტაბიძის თაოსნობით სალიტერატურო წრე. წრეში იმუშავებენ ცნობილი ლიტერატორები. ამ მიზნით ქუთაისის გუბერნატორთან შუამდგომლობას აღძრავენ ამ ახლო მომავალში...<sup>58</sup>

**6 სექტემბერი.** „ამ მოკლე ხანში ახალგაზრდა მგოსანი გ. ტაბიძე გამართავს სალიტერატურო-მუსიკალურ-დრამატიულ-იუმორისტულ საღამოს. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.“<sup>59</sup>

**8 სექტემბერი.** გალაქტიონ ტაბიძის საღამო გაიმართება ქალაქის თეატრში 20 სექტემბერს.<sup>60</sup>

**10 სექტემბერი.** ქალაქის თეატრში გაიმართა ლექცია: „ვაჟა-ფშაველა“ (მ. წულუკიძე). საღამოს ხალხი საკმაოდ დაესწრო. საღამოზე თავისი ნაწარმოებები წაიკითხეს... გალაქტიონ ტაბიძემ, ვ. რუხაძემ, შ. დადიანმა...<sup>61</sup>

**13 სექტემბერი.** კვირას, 20 სექტემბერს ქალაქის თეატრში შედგება გალაქტიონ ტაბიძის საღამო. დანვრილებით შემდეგ.<sup>62</sup>

**16 სექტემბერი.** „...ნაღვლიან ძენსას მაგონებს ჩვენს უახლეს მწერლობაში ახალგაზრდა მგოსანი გალაქტიონ ტაბიძე!.. მეც სიტყვით ვერ გადმოგცემთ ძალას და ძლიერებას გ. ტაბიძისას. იგი უხილავი ტრფობაა დამწვარის გულისა... ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მწერალი პოეტი დღემდე შეუმჩნეველი რჩება და იმის მაგივრათ, რომ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს... ხელი შეუწყოს უტყუარი ნიჭის გაფურჩქვნას და მშობლიური დახმარება გაუწიოს. ჭეშმარიტი ჰანგი-სა და მსოფლიო სევდის გამოსათქმელად გამზადებული ახალგაზრდა მგოსანი... სულს ლაფავს სადმე ნესტიან სარდაფში... ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ახალგაზრდა მგოსანი გალ. ტაბიძეც... თქვენ ხშირად გენახვებათ, ქუთათურებო, მაღალ-მაღალი, გამხდარი, მაგრამ მშვიდი სახის, ცოცხალი, ცეცხლის მფრქვეველი თვალებიანი ახალგაზრდა კაცი, ნელის ნაბიჯით რომ დადის ხანდახან ბულვარის ქვაფენილებზე და ნაღვლიანის თვალებით ათვალთქვებს თავდავინწყებას მიცემულ მოსეირნეთ... აი, ეს ყმანვილი მგოსანი ოც ამ თვეს ქალაქის თეატრში ჰმართავს სალიტერატურო საღამოს თავის სასარგებლოდ. ძნელი და აუტანელი უნდა იყოს ძალზე ხელმოკლე მგოსნისათვის ასეთი ხელის გაშვერა. მაგრამ ჩვენ ვაგრძნობინოთ, რომ ალაღია მისთვის თითოეული ჩვენთაგანის წვლილი... ჩვენის გროშების გაღებით შევეუქმნათ მას ისეთი მდგომარეობა, რომ ერთხანს მაინც დავინყდეს „ძებნა ლუკმა პურისა“... მაშ, ოც ამ თვეს გავსწიოთ ყველამ ქართულ თეატრისკენ. ეს არის ჩვენი მოვალეობა! ია ეკალაძე.“<sup>63</sup>



**16 საქმეპირი.** „მხატვარმა გრ. მესხმა დიდ ტილოზე ფერადი საღებავებით დაჰხატა გალაქტიონ ტაბიძის სურათი. ამავე მხატვარს ეკუთვნის აკაკის, ვასო აბაშიძის, ქართველ მრავალ მწერლების, საზოგადო მოღვაწეების სურათები. უკანასკნელ გ. ტაბიძის სურათი სხვა სურათებთან ერთად უნდა გამოფენილიყო საშემოდგომო გამოფენაზე, რომელიც ეტნოგრაფიულ საზოგადოების დაუხმარებლობის გამო აღარ შესდგება.“<sup>64</sup>

**17 საქმეპირი.** „19 სექტემბერს ცნობილი ახალგაზრდა მომღერალი ვარ. ლორთქიფანიძე გამართავს კონცერტს ხუთ განყოფილებად... სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ბ.ბ. დ. თომაშვილი, პ. იაშვილი, გუცა, გ. ტაბიძე...“<sup>65</sup>

**17 საქმეპირი.** „შეცთომის გასწორება. გუშინდელ წერილში „დავეხმაროთ მგოსანს“ შეცთომით არის აწყობილი: „მეც სიტყვით ვერ გადმოგცემთ ძალას და ძლიერებას გ. ტაბიძისას.“ უნდა იყოს „მეც სიტყვით ვერ გადმოგცემთ ძალას და სინაზეს გ. ტაბიძის პოეზიისას. იგი უხილავი ტრფობაა დამწვარის გულისა.“<sup>66</sup>

**19 საქმეპირი.** გაზეთ „სამშობლოს“ ამ ნომერში (№179) გალაქტიონის შესახებ სამი ინფორმაციაა გამოქვეყნებული. პირველ გვერდზე: „დღეს, 19 სექტემბერს, ცნობილი ახალგაზრდა მომღერალი ვ. ლორთქიფანიძე გამართავს კონცერტს... სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ... ქ-ნი ჩარექოვისა... გ. ტაბიძე...“

მესამე გვერდზე, განსხვავებული, მსხვილი შრიფტით, აწყობილია: „ახალი ამბავი. ქუთაისი. ხვალ, კვირას, ქალაქის თეატრში გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის საღამო.“ იქვე, ახალ ამბავში, კიდევ ერთხელ, უფრო ვრცლად გადმოცემულია მომღერალ ვ. ლორთქიფანიძის კონცერტის შესახებ, რომ სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩარექოვისა, ბ.ბ. დ. თომაშვილი, შალვა დადიანი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე...“<sup>67</sup>

**19 საქმეპირი.** „კვირას, 20 ენკენისთვის ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის საღამო სათაურით: „საქართველოს ყვავილები“. 1. პავლე იაშვილი წაიკითხავს მოხსენებას „სამშობლოს გარედ ომის დროს... იმპრესიონისტული შთაბეჭდილებანი.“ 2. სიკვდილი ნაპოლეონისა, დრ. ერთ მოქმედებათ... 3. პოეზია (გვარები ანბანზე): ვ. გაფრინდაშვილი, ელენე დარიანი, შალვა დადიანი, პ. იაშვილი, კატო მიქელაძე, ვარ. რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, აკაკი ფალავა. 4. მუსიკა: ქ-ნი ციციშვილი- ანდრონიკაშვილი, ბ. ვარდენ ლორთქიფანიძე.“<sup>68</sup>

**20 საქმეპირი.** დღეს, ჩვენი ნიჭიერი მგოსანი გალაქტიონ ტაბიძე ქალაქის თეატრში თავის საღამოს მართავს... რითი შეგვეძლო ჩვენ, მის მეგობარ ჟურნალისტებს, რომელთაც არც ლექსების წაკითხვა შეგვიძლიან, არც სახიობა, არც სიმღერის თქმა, ალგვებეჭდა მის ნიჭისადმი ჩვენი ღრმა და გულწრფელი პა-

ტივისცემა?... ეს არის წერა, წერა იმაზე, რაზედაც ორატორი სიტყვით იტყოდა... ყველა ჩვენ ახალგაზრდა მწერალს დასაწყისი აქვს ცუდი. ტრადედია მათი უფრო დიდია, როგორც ახალგაზრდა და ჯერ შეურიგებელ სულისა და ყველაზედ სასირცხვო მათთვისაც და ყველა ჩვენ დანარჩენებისათვისაც ის არის, რომ ამ ტრადედიას სარჩულათ სიღარიბე უდევს... ეს სიღარიბეც და ამ სიღარიბისაგან გამონწეული ტრადედიაც ჩვენი მწერლობისა, მძიმე ლოდით და სირცხვილად აწევს თანამედროვე ქართულ კულტურას...<sup>69</sup>

**20 სექტემბერი.** დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის საღამო.<sup>70</sup>

**20 სექტემბერი.** ქუთათურ ახალგაზრდა მწერალთა ერთ ჯგუფს გ. ტაბიძის მეთაურობით განზრახვა აქვს დაარსონ მხატვრულ ნაწარმოებათა მოყვარულთა წრე.<sup>71</sup>

**26 სექტემბერი.** გ. ტაბიძის საღამომ „საქართველოს ყვავილებმა“ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. გ. ტაბიძეს ყვავილები მიაერთვეს. დანვრილებით შემდეგ.<sup>72</sup>

**3 ოქტომბერი.** „ქუთაისში გ. ტაბიძემ კვირას, 20 ენკენისთვის, გამართა საღამო „საქართველოს ყვავილები“. პ. იაშვილმა წაიკითხა მოხსენება საზღვარ გარეთის შთაბეჭდილებების შესახებ ომის დროს... ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას იღებდენ: შალვა დადიანი, ვარ. რუხაძე, გ. ტაბიძე, შ. დადანი, აკ. ფალავა. საზოგადოება ყველას ტაშის ცემით მიეგება. გ. ტაბიძეს მიაერთვეს ყვავილები. პ. იაშვილმა წაიკითხა ქართველი ქალის ელენა დარიანის ლექსები, რომლებმაც საზოგადოება გააკვირვეს თავის საოცრებით და გაბედულებით. ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდა. თეატრი ხალხით სავსე იყო.“<sup>73</sup>

**4 ოქტომბერი.** ბალმონტს ქუთაისში ელიან დიდი სიხარულით. მისი შეხვედრის შესაფერი მოწყობა მიენდო კომიტეტს, რომელშიც არიან: შ. დადიანი, ჯ. ჯორჯიკია, შ. ამირეჯიბი, გ. ტაბიძე, შოთა დადიანი, პ. იაშვილი, ალ. არსენიშვილი და თითო წარმომადგენელი სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებისა...<sup>74</sup>

**5 ოქტომბერი.** „ორშაბათს (5 ოქტ. მ.შ.), 12 საათზე ქუთაისს ჩამოვიდა რუსეთის ცნობილი მწერალი კ. ბალმონტი... დიდძალი საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება. პ. იაშვილმა მგოსანს თაიგული გადასცა... შემდეგ შევიდნენ სადგურის ბუფეტში. იქ მიესალმნენ ბალმონტს ჩვენი მგოსანი გ. ტაბიძე, ქართული ლექსების რუსულად მთარგმნელი ვ. გაფრინდაშვილი...“<sup>75</sup>

**7 ოქტომბერი.** „კ. ბალმონტმა დაათვალიერა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები... ბალმონტის სურათი გადაიღეს პოეტ ვ. რუხაძესა და გ. ტაბიძესთან... სტუმარი კმაყოფილი დარჩა მისი აქ ყოფნის სამახსოვრო სურათების გადაღებით და

სთქვა, რომ ეს სურათები სამახსოვრო იქნება არა მარტო მისთვის, არამედ ისტორიისთვისაც.<sup>76</sup>

**13 ოქტომბერი.** ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“ (მიხაილოვის პროსპექტი 18) იყიდება: აკაკი, თხზულებები პირველი და მეორე, ი. ჭავჭავაძე, თხზულებები პირველი და მეორე და სრული, კარგ ქალაღდზე ყდაში...გ. ტაბიძე, ლექსები...<sup>77</sup>

**27 ოქტომბერი.** ქალაქის თეატრში (ქუთაისში – მ.შ.) დღეს, 27 ოქტომბერს, გაიმართება ილიას საღამო, მოხსენებას წაიკითხავს ა. წერეთელი... საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, დ. მესხი, ნ. ლორთქიფანიძე, პაოლო იაშვილი, გ. ტაბიძე...<sup>78</sup>

**8 ნოემბერი.** ახალგაზრდა მგოსნები გ. ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი დღეს მიწვეულნი არიან დაბა ყვირილას სალიტერატურო საღამოზე მონაწილეობის მისაღებად. საღამო იმართება ადგილობრივ კულტურულ საზოგადოებათა სასარგებლოდ.<sup>79</sup>

**13 ნოემბერი.** გ. ტაბიძისა და გ. ქუჩიშვილის მონაწილეობით ქართულ საღამოს დაბა ზესტაფონში საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. საღამოს შემდეგ მგოსნებს გაუმართეს ვახშამი, რომელზედაც მრავალი გრძნობიერი სიტყვა იყო წარმოთქმული.<sup>80</sup>

**15 ნოემბერი.** ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გამგე ის. კვიციანიძეს საგანგებოდ მოეყვანა ფოტოგრაფი ნიკ. საღარაძე, რომელმაც გადაიღო ცალკე პორტრეტი პოეტებისა... ის. კვიციანიძემ იმავე ფოტოგრაფს გადააღებინა ბალმონტის პორტრეტი თავის კანტორა „იმერეთში“, ვარლამ რუხაძესა და ვალაკტიონ ტაბიძესთან ერთად. თითოეული ამ პორტრეტებისა სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებში გაიგზავნება დასასტამბავათ.<sup>81</sup>

**20 დეკემბერი.** „გ. ტაბიძის ლექსების მეორე ტომი. ნაახალწლევს მთელ საქართველოში და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყება ხელისმონერა გ. ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე. ამ წიგნში მოთავსებული იქნება მრავალი, ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსი. ერთი წლის წინ დაბეჭდილი პირველი ტომის 3000 ეგზემპლარი მოკლე ხნის განმავლობაში სწრაფად გაიყიდა.“<sup>82</sup>

**31 დეკემბერი.** იყიდება წიგნის მაღაზიებში და ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან კ. თავართქილაძის შედგენილი და კანტორა „განათლების“ გამოცემული 1916 წლის კალენდარი. შინაარსი... ლექსები ნ. ბარათაშვილისა, აკაკის, ს. აბაშელის, გ. ტაბიძის...<sup>83</sup>

**1915.** საარქივო გამოცემაში 1915 წელს დაწერილ ლექსებს 1998 წელს აღმანახ „ლიტერატურის მატრიანეში“ პირველად გამოქვეყნებული „სიკვდილის ბრჭყალებში“ დაემატა...<sup>84</sup>

1915 წლით დათარიღებული უსათაურო ლექსი „... ელვარე და ლომფერი...“ პირველი პუბლიკაციის მიხედვით (1927 წ.) დათარიღდა.<sup>85</sup>

**1916 წლამდე.** დაგვიანებული სალამი ჩემს ოლოლს. ოლია, შენი ორი წერილი ეხლახან მივიღე, რადგან ადრესი [შეცვლილიყო] მართალი არ იყო... წერილი გამომიგზავნე ამ მისამართით: Кут., III Алекс. д. Григория Хачатурова... სხვა, მე ერთი პატარა ლექსი დავსწერე, რომელიც მსურს, შენ მოგიძღვნა, ჯერ-ჯერობით მშვიდობით... ლექსს მალე დავბეჭდავ, ეხლა კი იმგვარ ხასიათზე ვარ, რომ არც ერთი სტრიქონის მეტის დაწერა არ შემიძლია! მარადის გ. [1916 წლამდე].<sup>86</sup>

სიმბოლისტური პერიოდი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში იწყება დაახლოებით 1915 წლიდან... შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი მთელი თავისი არსებით, მთელი მწერლური ბიოგრაფიით მომზადებული იყო სიმბოლისტური მსოფლმხედველობისა და პოეტიკის მისაღებად. მაგალითად, უკვე... „მე და ლამეში“ არის სიმბოლისტური ლირიკისათვის დამახასიათებელი განწყობილებები: სამყაროს იდუმალი ძალების, ირაციონალურის მძაფრი განცდა. მაგრამ ამ ლექსში ეს მოტივები გადმოცემულია ჯერ კიდევ ადრინდელი ნეორომანტიზმისათვის დამახასიათებელი „ბრტყელი“, „ერთგანზომილებიანი“ პოეტური სახეებით...

გალაკტიონ ტაბიძისათვის ყველაზე ახლობელი აღმოჩნდა ფრანგული სიმბოლიზმის ერთდერთი მამამთავრის პოლ ვერნელის ლირიკა, განსაკუთრებით მისი მოძღვრება მუსიკალური სანყისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე პოეზიაში და ფერწერულ ელფერებზე... რაც შეეხება რუს პოეტებს, გალაკტიონის ზოგიერთ, განსაკუთრებით ადრინდელ სიმბოლისტურ ლექსებში აშკარად იგრძნობა ბალმონტის გავლენა. მაგრამ შინაგანი შემოქმედებითი ნათესაობის თვალსაზრისით გალაკტიონს ბევრად მეტი რამ აახლოვებს ალექსანდრე ბლოკის პოეზიასთან, რამაც თავისი გამოსხატულება პოვა მის მიერ რუსი პოეტისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ლირიკულ ლექსშიც... ამ პოეტურ ნაწარმოებში გამხელილია ის პირველმიზეზი, რომელიც თავისებურ ეროვნულ ელფერს აძლევდა ბლოკისა და ტაბიძის სიმბოლისტურ ძიებებს და ამ მხრივ საგრძნობლად გამოარჩევდა მათ შემოქმედებას იმდროინდელ ლიტერატურულ ფონზე.<sup>87</sup>

**1915-1916.** ... წარმოიდგინეთ ახალგაზრდა პოეტი, მეტისმეტად სუფთა, როგორც ბროლი, რომელიც მთელ თავის დარდს გულში ატარებს და არავის უმყუდვენებს მას. პოეტი მთელი კვირის განმავლობაში დადის მშვიერი და ეს წლობით გრძელდება. მან უკვე მოამზადა მეორე ნიგნი, მაგრამ როგორ და რით გამოსცეს?! დაიწყოს ახალ ნაწარმოებზე მუშაობა, როგორ დაამთავროს, როცა მუდამ მშვიერია! შიმშილი რომ დაივიწყოს, ყოველდღე ქალაქგარეთ უხდება სირბილი. ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს ჯერ არ დაუწყია ცხოვრება და უკვე გამოფიტულია შიმშილისაგან. როგორ იმუშაოს ასეთ პირობებში? <sup>88</sup>

**1 იანვარი.** „სულ ახლად გაიფურჩქნა ნიჭი გალაქტიონ ტაბიძისა, მის ლექსთა პირველ ტომში ოთხი-ხუთი ლექსია მხოლოდ ნამდვილ პოეტური. მაგრამ ნიჭის დასაფასებლად ესეც კმარა. თვისება მისი ნიჭისა – უშუალობაა (გ. ქიქ. ტერმინი რომ ვინმაროთ) მისი პოეტური ტემპერამენტი ნერვიულია მეტად და ამასთანავე „გულღია“ ძალზე, ამით მოქმედობს იგი. თანვე სილამაზის ფაქიზი გრძნობა აქვს. იცის თავდაჭერა. მშვენიერია მისი უკანასკნელი ლექსი „მერი.“<sup>1</sup>

**1 იანვარი.** გაზეთ „შრომის“ თანამშრომელთა თაოსნობით იანვრის გასულს ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული „სხივი“... მონაწილეობენ: მიხ. ბოჭორიშვილი, ია ეკალაძე, ნიკ. მინიშვილი, გ. მუმლაძე, ილია ნაკაშიძე, გ. ნათაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლეო შენგელაია და სხვ.<sup>2</sup>

**5 იანვარი.** გაზეთ „საქართველოში“ იბეჭდება ტიცციან ტაბიძის „მარტოობის ორდენის კავალერი (გალაკტიონ ტაბიძე)“:

„პირველი კავალერნი მარტოობის ორდენის არიან ნ. ბარათაშვილი და მამია გურიელი. დღეს კი ახალზე მინდა საუბარი. მორცხვად შემოდგა ფეხი ჩვენი მწერლობაში გალ. ტაბიძემ; რომ დარეკა გლოვის ზარებზე და უკვდავ მეზარეთა ჩრდილები არ განყრებიან მის დანახვაზე. ეს მწერალი საინტერესო სახეა ქართველი მწერლის, არა მარტო სამგოსნო ტალანტით, უფრო წერის მანერით და ლიტერატურული გავლენით... სიმვოლიზმს ჩვენში ღამეც არ გაუთევია... მხოლოდ ეხლა იწყება პირველი ხაზების გახსნა, უკვე გრძნობ ახალ სიოს. ეს გარიჟრაჟის წინ ბურუსია: და ეს უნდა გათენდეს. ამ სახეთა ცვლას უჩვეულო თვალიც შეამჩნევს გ. ტაბიძეში. ვგრძნობ, რომ პოეტი უკვე გადმოფრინდა ძველი ბუდიდან, მაგრამ სივრცეს ლალად საფრენად ჯერ კიდევ ვერ ენდობა და შიშით იკვალავს გზას. მის სიმღერაში, გზების ძებნაში, თქვენ მოდიხართ ნ. ბარათაშვილიდან და მამია გურიელიდან, მაგრამ სწორი ხაზი, რომელიც გაარჩევდეს მას ამ პოეტებისაგან... ჯერ მხოლოდ კონტურით არის დახაზული, ამ გაურკვეველობით და ბურუსით ხასიათდება გ. ტაბიძე და მწერლობა ჩვენი დღეებისა... მისი სიმღერა ნაზია, როგორც დედოფლის სიზმარი მელანქოლიას, მაგრამ მასში არც გლადიატორის კენესაა ბოდღერის და ფრანგების „დაწყველილთა“.. იცი, რომ ის საშინელ სიტყვებს არ ამბობს მაგრამ... გრძნობ, რომ ეს პრელიუდიებია მომავალი დიდებული ორატორიების... ჩვენ გვჯერა გ. ტაბიძე ნახავს სიტყვებს, ყოველ შემთხვევაში აუსპიციები სანდომიანი მოსჩანან: აბა წაიკითხეთ ლექსები: „შორეულს“, „მე და ღამე“ და თქვენ მიხვდებით რომ ის „დაიღალა ამ კუბოში“... ეს პირველი „Lama sabachtani“ არი ჩვენ პოეზიაში...“<sup>3</sup>

გაზეთ „საქართველოს“ ამავე ნომერში დაბეჭდილია განცხადება: „ხვალ... ყვირილაში გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან ახალგაზრდა პოეტები: ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე და გ. ტაბიძე“<sup>4</sup>

**6 იანვარი.** გაზეთ „საქართველოში“ დასრულდა გ. ტაბიძის წერილის „მარტოობის ორდენის კავალერის“ ბეჭდვა.

„ეს ლექსი („უდაბნო“ – მ.შ.) ერთი საუკეთესოთაგანია წიგნში. აქ პოეტი მიდის ნამდვილ მოდერნისტულ გრძნობის ჟონგლიორობამდე და თვრება მარტოობით. ნ. ბარათაშვილის შემდეგ ბალიშს ცრემლით ეს ლექსი დაგვისველებს... ლექსი გალაკტიონის მოწყვეტილია, უჩვეულო, მოკლე სიტყვებში იშლება... მას აქვს რალაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ცეკვავენ... ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს და საკვირველი ის არი, რომ მუსიკა შინაგანი, ბუნებრივად არი გამონვეული და არა იმ აკრობატული ლექსის შეზღუდვით, ჩვენში რომ ბევრი ფონს გადის... ზევით ამონაწერი ლექსები ამტკიცებენ ამას, მაგრამ მე არ მომწყინდება მშვენიერი ლექსების ამონერა... (შემდეგ ტიცინანს მოაქვს გალაკტიონის ლექსის: „ტყეში“, (ნაწყვეტი) განა არ მაგონებს ეს ლექსი პოლ ვერლენის ლექსის ინსტრუმენტაციას, ფრთა აშვებულ ფრენას ვერლემანისას, რომელმაც სთქვა: მუსიკა, მუსიკა ყველაზე უნინ (Art Poetique) ... ლამაზი შედარებანი, მეტაფორები გ. ტაბიძის უბრუნებენ ქართულ მწერლობას ბრწყინვალე პერიოდს... გ. ტაბიძის ლექსები მდიდარია პოეტური სახეებით, ამასთან ეს სახეები უშუალოდ განცდილი არიან... არ არის წიგნით მოწერილი ან ძალით გამოგონებული, ყველას უაღრესად ქართული სული აქვთ...

გ.ტაბიძეს აქვს მთელი ციკლი რომანტიულ პიესების საქართველოს წარსულიდან. ეს ლექსები ამ წიგნში არ მოხვედრილან, გარდა ერთისა, „სამშობლოში“, რომელიც თითქოს შესავალია ამ ციკლისა... თუმცა, ჩვენი საზოგადოება არ იცნობს ამ ლექსებს, მაგრამ ეს ისეთი გადანახული საუნჯეა, რომ როცა ნახავს, შემდეგში მაინც გაიხარებს ნამდვილი სიხარულით...

„საით მივყავარ ჩემ მოწყენილ გზას / სად ვჰპვებ შვებას მიუსაფარი?! / რას მომცემს ისეთს მე საქართველო / და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?“ – კითხულობ შენ? საქართველოს ჯერ შეუძლია მარტო ტანჯვის და წამების მოცემა, მაგრამ ეს დიდი ძღვენია... შენმა ქნარმა უნდა აამღეროს ეს ტანჯვა, სთქვას საქართველოთი ნაწამები ქებანი... მაშინ მოწყენილი გზა ნაგიყვანს დიდებისკენ და ეს იქნება უდიდესი შვება მსხვერპლის მიმღებისა და მიმცემისაც.. გ. ტაბიძე. ქ. მოსკოვი.“<sup>5</sup>

დავით ნერედიანი ვერლენთან გალაკტიონის დამოკიდებულების შესახებ წერს: „ხშირად ამბობდნენ, რომ მას ვერლენის გავლენა ჰქონდა, რაც არასწორი მგონია. გალაკტიონი ვერლენს რუსული თარგმანებით იცნობდა, სადაც სწორედ ის ნერვია დაკარგული, რაც მათ ერთმანეთთან ანათესავებს. ნათესავობა კი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს ლიტერატურულ გავლენას ნაკლებად მიეწერება. ისინი სულიერი წყობით ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივე მათგანის მთავარი მახასიათებელი ინტუიტიური აზროვნების სიჭარბე და ლოგიკური აზროვნების იოლად შესამჩნევი დეფიციტი იყო. ორივენი – ნერვებანეილნი, მოუნესრიგებელნი, ალკოჰოლისკენ მიდრეკილნი, უკონტაქტონი, ახალგაზრდობის სიყვარულით გა-

რემოსილნი, უჩინარ მუსიკალურ რხევებზე, შინაგან ხმებზე დადარაჯებულნი. მსგავსება ამის იქით არ მიდის. „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. <sup>6</sup>

**6 იანვარი.** „იყიდება წიგნის მალაზიებში და ჟ. გ. აგენტებთან კ. თავართქილაძის შედგენილი და კანტორა „განათლების“ მიერ გამოცემული 1916 წლის კედლის კალენდარი. შინაარსი: ლექსები: ნ. ბარათაშვილი, აკაკი, გ. ტაბიძე...“ <sup>7</sup>

**6 იანვარი.** ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ მხატვრული კრებული „სხივი“... მონაწილეობენ: მიხ. ბოჭორიშვილი, ია ეკალაძე, ნიკ. მინიშვილი, გ. მუმლაძე... გ. ტაბიძე... <sup>8</sup>

**15 იანვარი.** „ქართულ ლირიკაში შარშან მგოსნები იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე იპყრობდა უფრო ჩვენს ყურადღებას. ფრიად შესანიშნავი იყო ჟურნ. „განთიადში“ (№ 3) დასტამბული გ. ტაბიძის ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“. ამ ძლიერსა და ენტუზიაზმით აღსავსე ლექსში ახალგაზრდა მგოსანი ანუგეშებს ამ ეროვნული უბედურობით გულ მოკლულ ქართველობას... საყურადღებოა ამავე მგოსნის პატარა ლექსი „მერი“.<sup>9</sup>

**17 იანვარი.** ქუთაისის საზოგადო საკრებულოში 26 იანვარს დანიშნულია აკაკის საღამო მისი გარდაცვალებიდან წლისთავის აღსანიშნავად... გ. ტაბიძე წაიკითხავს თავის ცნობილ ლექსს: „აკაკის ლანდი“.<sup>10</sup>

**19 იანვარი.** ქუთაისის საზოგადო საკრებულოში 26 იანვარს დანიშნულია აკაკის საღამო მისი გარდაცვალებიდან წლისთავის აღსანიშნავად... ამ საღამოზე სხვათა შორის ჩვენი ახალგაზრდა პოეტი გალ. ტაბიძე წაიკითხავს ლექსს: „აკაკის ლანდი.“ <sup>11</sup>

**23 იანვარი.** „კვირას, 24 იანვარს ქუთაისის ქართულ თეატრში ქალთა წრე მართავს ლექციას სალიტერატურო განყოფილებით... მონაწილეობას მიიღებენ: ... გ. ტაბიძე და სხვ.“ <sup>12</sup>

**24 იანვარი.** „მოვაგონებთ საზოგადოებას, რომ დღეს ქალაქის თეატრში დღის 12 საათზე ქალთა წრის მიერ გამართული იქნება იაფ ფასიანი სახალხო ლექცია... სალიტერატურო განყოფილებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ეფ. მესხი, ეკ. მიქელაძე, ბ.ბ. გ. ტაბიძე და ი. ჟღენტვი.“ <sup>13</sup>

**5 თებერვალი.** პაოლო იაშვილის რედაქტორობით უკვე დაიწყო „ცისფერი ყანწების“ ბეჭდვა. აღმანახში მონაწილეობას იღებენ: „გალაქტიონ ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. გრიშაშვილი, გრ. რობაქიძე...“ <sup>14</sup>

**9 თებერვალი.** იბეჭდება და 14 თებერვალს გამოვა „ცისფერი ყანწები“. შინაარსი: პოეზია: გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, ელენე დარიანი, გ. ტაბიძე...<sup>15</sup>



ოლია ოკუჯავა,  
1916 წლის  
13 თებერვალი.  
გალაკტიონის ნახატი

**10 თეატრული.** 14 თებერვალს ჭიათურაში ადგილობრივი დრამატიული საზოგადოება გამართავს ამავე საზოგადოების სასარგებლოთ სალიტერატურო საღამოს, რომელზედაც მოწვეულია ჩვენი ნიჭიერი მგოსანი გ. ტაბიძე.<sup>16</sup>

**11 თეატრული.** იბეჭდება და 14 იანვარს გამოვა ალმანახი „ცისფერი ყანწები“.<sup>17</sup>

**15 თეატრული.** „ანონსები. აფიშები. თეატრის აღება. ბილეთების გაყიდვის მოწესრიგება. I. სამშაბათს, 31 აპრილს(?)! ქუთაისში. II. ხუთშაბათს, 2 მარტს – ხონში. III. შაბათს, 3 მარტს – ყვირილაში. IV. კვირას, 5 მარტს – ჭიათურაში. V – სამშაბათს, 7 მარტს – სამტრედიიაში. VI. ხუთშაბათს, 9 მარტს – ლანჩხუთში. VII. კვირას, 12 მარტს – ოზურგეთში. VIII. ხუთშაბათს, 16 მარტს – ახალსენაკში. IX. კვირას, 19 მარტს – ფოთში. X. კვირას, 29 მარტს – თბილისში. გ. ტაბიძე, 1916, 15 თებერვალი.“<sup>18</sup>



**16 თეპერვალი.** „ცისფერი ყანნები. რადგანაც კვირას „ცისფერი ყანნების“ გაგზავნა პროვინციაში ვერ მოესწრო, აღმანახი გამოვა გასაყიდათ და პროვინციაში დაიგზავნება 21 თებერვალს.“<sup>19</sup>

**17 თეპერვალი.** იბეჭდება და 20 თებერვალს გამოვა ლიტერატურული აღმანახი „ახალი ცისკარი“. მონაწილეობენ: ია ეკალაძე, გალაქტიონ ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი... აღმანახში მოთავსებული იქნება... კრიტიკული წერილი მგოსან გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ კ. მ-ლისა.<sup>20</sup>

ქუთაისში ჩატარდა შიო მღვიმელის საიუბილეო დილა (მისი სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლის გამო)... საიუბილეო დილის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გალ. ტაბიძემ.<sup>21</sup>

**18 თეპერვალი.** გამოვიდა და იყიდება ლიტერატურულ-მხატვრული კრებული „სხივი“. შინაარსი: გ. ტაბიძე „მთვარის ლანდები...“<sup>22</sup>

[**18 თეპერვალი**]. ქუთაისში გამოვიდა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული „სხივი“, რომელშიც საერთო სათაურით: „მთვარის ლანდები“, დაიბეჭდა გალაქტიონის ლექსები: „თეთრი ლანდებით“ „ალვის ხე თოვლში“, „ვერხვები“ და „Nocturne“. შემდგომში ლექსს: „ალვის ხე თოვლში“ – „ალვები თოვლში“ ეწოდა. ხოლო „Nocturne“-ს ავტორმა „ის“ დაარქვა.<sup>23</sup>

**23 თეპერვალი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა აღმანახი „ახალი ცისკარი“ შემდეგი შინაარსით... გალაქტიონ ტაბიძე – „კოშკი“... გალაქტიონ ტაბიძის პოეზია – კრიტიკული წერილი კ. მი-ლისა...<sup>24</sup>

**26 თეპერვალი.** 28 თებერვალს ქ. ქუთაისში გამოვა აღმანახი „ახალი ცისკარი“ შემდეგი შინაარსით: პოეზია: ... გ. ტაბიძე – „კოშკი...“<sup>25</sup>

**27 თეპერვალი.** „ცისფერი ყანნები“ მოიკითხეთ კვირას.<sup>26</sup>

აქვე, გაზეთში „მეგობარი“, მეორე გვერდზე, დაბეჭდილია ინფორმაცია: „დაიბეჭდა და გამოვა კვირას, 28 თებერვალს აღმანახი ცისფერი ყანნები. აღმანახის შინაარსი: პირველ თქმა – პაოლო იაშვილისა, ლექსები: გრ. რობაქიძის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, ელენე დარიანის...“

**28 თეპერვალი.** გაზეთი „მეგობარი“ (№121) პირველ გვერდზე მკითხველს აწვდის ინფორმაციას: „ცისფერი ყანნები“ მოიკითხეთ დღეს.“ აქვე, მესამე გვერდზე, ახალ ამბებში, იუნყებიან: „ცისფერი ყანნები“ გამოვიდა.“

**28 თეპერვალი.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ დაბეჭდილია ფოტოსურათი, რომლის ქვეშ წარწერაა: „ახალგაზრდა მგოსნები: გალაქტიონ ტაბი-

ქე და გ. ქუჩიშვილი ყვირილაში 1916 წ. გამართული სალიტერატურო საღამოს დროს, მხატ. ს. გოლაძის მიერ გადაღებული.“ (№ 9). იხ. აგრეთვე, ამ წლის 5 იანვრის ინფორმაცია „მატიანეში“.

**[28 თებერვალი]** ჟურნალ „ცისფერ ყანნებში“ (ქუთაისი, გაზაფხული, ჩშივ, №1) დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსები: „მთანმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“.<sup>27</sup>

„ლურჯა ცხენების“ შესახებ გალაკტიონს მოგვიანებით, 1940-იან წლებში, ჩაუწერია: 1. ლურჯა ცხენები – ნოვატორული ლექსია. 2. მას საფუძვლად უდევს რეალისტური საფუძველი. 3. შინაარსი მისი – (რეალისტურია) ახალი რეალიზმი. 4. ფორმა უაღრესად მუსიკალური, მანამდე არ არსებული. 5. იგი დანერვილია სამეცნიერო თემაზე მეცნიერებაში მტკიცედ დადგენილ დებულებაზე, რომ დედამინის გარეშე არსებობს მარადიული გაცივებული მხარე, სადაც არაა სიცოცხლე. 6. ნისლის ნამქერი – განათებული ჩამავალი მზით და ნაპირი იმ სამუდამო მხარისა. 7. სიტყვა ელვარებდა აქ მოცემულია ჰიპერბოლურად. 8. არ სჩანდა შენაპირი – საუბარია რელიგიაზე, რომელიც ადამიანებს პირდება, რომ სიკვდილის, ამ შემთხვევაში გაცივების შემდეგ, არსებობს კიდევ ახალი ცხოვრება, ე. ი. სამოთხე. 9. ცივი მდუმარება სამუდამო მხარისა. 10. მიუსაფარი მდუმარება ე. ი. ახსნილი, განმარტებული, [ნათელი] ბნელი მდუმარება, [მდუმარება] წინააღმდეგ აუხსნელი, განუმარტებელი, ნათელ მდუმარებისა (სიკვდილი და არა სიცოცხლე). 11. მდუმარება და სიცივე – გაყინვა – არასიცოცხლე. 12. სიმნუხარე – სამუდამო მხარისა. 13. უცეცხლობა – ცეცხლი – სახე სიცოცხლისა, ცეცხლის კრთობა თვალში – უცეცხლო თვალები. 14. კიდევ სიმბოლო მარადისი მხარისა“.<sup>28</sup>

**[28 თებერვალი]**. „გ. ტაბიძეზე ჩემი აზრი გამოვთქვი „საქართველოში“. ის ახალგაზრდაა ამ სამებაში (ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე – მ.შ.) და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისკენ გადახრა. „მე და ღამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმად, მგოსანიც შორს იყურება შიგ და გრძნობასაც დაკრავს საბედისწერო ელფერი. პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას. რაც ძვირად არ დავაფასოთ ის, რაც იმან მოგვცა, მაინც იმაზე მეტი მომავალშია.“<sup>29</sup>

**1 მარტი.** გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციამ მიიღო ალმანახი „ახალი ცისკარი“, ახალგაზრდათა გამოცემა. ალმანახი სუფთათ არის გამოცემული და ღირს 10 კაპ. რედაქციამ აგრეთვე მიიღო ალმანახი „ცისფერი ყანნები“. ალმანახი ძვირფასად არის გამოცემული, მაგრამ სამნუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გარეგნული სიძვირფასე ალმანახისა სრულებით არ შეეფერება შინაარსს, რის შესახებაც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება შესაფერისი ბიბლიოგრაფია.<sup>30</sup>

**[1 მარტი]**. ჟურნალ „ახალ ცისკარში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „კოშკი“.<sup>31</sup> მოგვიანებით ეს ლექსი ჟურნალ „კანდელიში“ დაიბეჭდა (1922 წ.(№. 2).

აქვეა რედაქციის ცნობა: „ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ამ ნომერში ვერ მოთავსდა ყველა განზრახული მასალა. კ. მილის წერილი: „გ. ტაბიძის შემოქმედება“ გადადებულ იქნა (გვ. 15).

**1 მარტი.** „[გ. ტაბიძემ] ერთ ქართულ ჟურნალში („თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 2 – მ. შ.) მოათავსა ლექსი „Art poetique“. ეს იყო თანამედროვე მგოსნებისადმი პირველი მანიფესტი, მოწოდება მუსიკისა და სილამაზისადმი, მსგავსი პარიზის ბოგემის მეფის პოლ ვერლენის მოწოდებისა. პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძეს ჰქონდა უფლება ამნაირი მოწოდებისა... „ვგრძნობ, რომ ეს პრელუდებია მომავალი დიდებული ორატორებისა“ განაცხადა ამ წიგნის შესახებ ერთმა ახალგაზრდა მწერალმა და დაამატა – გ. ტაბიძე საინტერესო სახეა ქართველი მწერლისა, არა მარტო სამგოსნო ტალანტით, უფრო წერის მანერით, ლიტერატურულ გავლენით („მარტოობის ორდენის კავალერი“).

უკანასკნელი წლების განმავლობაში არც ერთ ქართველ მწერალზე იმდენს არ სწერენ, რამდენსაც გალაკტიონ ტაბიძის შესახებ და მაინც გაუშუქებელია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარეები. ერთი მათგანია მისი „წერის მანერა“. მისი სახელმძღვანელო პოეტიკა, სრულიად ახალი პოეტიკა... ეხლა ყველას შეძლია ისარგებლოს იმ ახალი შემოღებით, რომელსაც გვაძლევს გ. ტაბიძის ლექსები. ჯერ კიდევ პირველ წიგნში მრავლად არის ასონანსები, რითმების ახალი სახე (იხ. ლექსები: „ორი ზარი“, „გურიის მთები“, „ტყემ წამიყვანა“), არის ასონანსები ცნობილ ლექსებში: „მერი“, „აკაკის ლანდი“... გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში აგრეთვე, მოხერხებულადაა ნახმარი შინაგანი რითმები („ატმის ყვავილები“, „აკაკის ლანდი“)... ახალია აგრეთვე გ. ტაბიძის ლექსების ჩამოყალიბებული მოწყობა ხმოვანთა და თანხმოვანთა, განსაკუთრებით დასაწყის სიტყვებში (სქოლასტიკურ პოეტიკაში-ანაფორა)... შემდეგ აღსანიშნავია, აგრეთვე, ხმათა მიბაძვა, თანხმოვანთა ერთნაირი ბგერა, რომელიც სურათს ამშვენებებს.

ჩვენ შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა გ. ტაბიძის დაუბეჭდავი ლექსი, სათაურით: „იაგუნდა“, რომელშიც არის დისონანსები. დღემდე ყველასთვის წარმოუდგენელი იყო, თუ ქართულ ლექსში შესაძლებელი გახდებოდა დისონანსის შემოღება. მიუხედავად ამისა, ამ ლექსში დისონანსები სავსებით იმარჯვებს. სატურნი“<sup>32</sup>

**9 მარტი.** „ვნუხვართ და ჩვენს გულისწყრომას ვუცხადებთ მგოსან გალაკტიონ ტაბიძეს, რომ ასეთ უნიადაგო და გამრყენელ ჟურნალში („ცისფერი ყანწები“ – მ. შ.) მონაწილეობა მიიღო.“<sup>33</sup>

**10 მარტი.** „...ვისაც გაგების უნარი სავსებით არ დაუკარგავს, მისთვის დღესათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ვალ. ტაბიძის საგრძნობლად პესიმისტური მოტივებით გაჟღენთილ პოეზიას არაფერი საერთო არა აქვს ლოთი ძმად ბიჭების ვაკხანალიასთან... ერთი რამ აშკარაა: ტაბიძის „მთანმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“ პირდაპირი დისონანსი ანუ აშკარა წინააღმდეგობაა იმისა, რაც მოთავ-

სებუღია „ცისფერ ყანნებში“. ჩვენ არ გვგონია, რომ კარგად გრძნობს თავის თავს გალ. ტაბიძე ელენე დარიანებისა და გრ. რობაქიძის კომპანიაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი შეძლებს მის მიერ არჩეული გზით ბოლომდე სიარულს.“<sup>34</sup>

**12 მარტი.** „[13 მარტს] ამა დღეს, ქალაქის თეატრში ქუთაისის „ქალთა საზოგადოების“ გამგეობა მართავს სალიტერატურო დილას ორ ნაწილათ... მეორე განყოფილებაში თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: ბ.ბ. ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე, მ. ანაშვილი და სხვ.“<sup>35</sup>

**13 მარტი.** „9 მარტს [ქუთაისში, საკანდიტრო „ფინჯანი ჩაი“-ში] მონვეული იყვნენ ახალგაზრდა მგოსნები ლექსების წასაკითხავათ. სანამ ლექსებს წაიკითხავდნენ კიტა აბაშიძემ, რომელმაც ქუთაისში კ. ბალმონტის ყოფნისას გამართულ ბანკეტზე, მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ საქართველოში გადმონერგილიყოს ის მიმართულება, რომლის წარმომადგენელი ბალმონტი არისო.“ აქ, ამ საღამოს მან დაახლოებით შემდეგი სიტყვებით დაახასიათა „ცისფერი ყანნების“ მონაწილეები: „ჩვენს ლიტერატურაში გაჩნდა ახალი მიმართულება, მას საზოგადოების ერთი ნაწილი გულის წყრომით იხსენიებს და პროტესტს უცხადებს, მაგრამ განა ჩვენი დიდებული მგოსნების: ილიას და აკაკის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლას მაშინდელი საზოგადოება ასევე არ შეხვდა?“ და სხვა ასეთი „მარგალიტებით“ შეამკო ჩვენი „ფუტურისტები...“ მის სიტყვას საზოგადოება სიჩუმით შეხვდა, მაგრამ ჯავრი პ. იაშვილზე იყარეს. სტვენა, ხმაურობა... ქალები მოითხოვდნენ გაეგდოთ პ. იაშვილი, შემდეგ ვ. გაფრინდაშვილმა განიზრახა ლექსის წაკითხვა, მარა არც მას დააცალეს... დამსწრენი მისცვივდნენ გამგეს და მოითხოვეს კედელზე დაკიდებული შოთა რუსთაველის ლ. ჯაფარიძის მიერ დახატული სურათი მოეხსნათ, როგორც ცისფერყანნელის დახატული, ვინაიდან ეს შოთას შეურაცყოფად მიიჩნიეს. შემდეგ საზოგადოებამ სთხოვა ბ.ბ. ნ. ჩხიკვაძესა და გ. ტაბიძეს და ლ. მაჭავარიანს წაეკითხათ თავიანთი ლექსები... ეს უკანასკნელნი საზოგადოებამ მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა...“<sup>36</sup>

**13 მარტი.** 9 მარტს თეატრის ფონდის გასაძლიერებლად გახსნილ კაფეში (ქუთაისში-მ.შ.) მინვეულ იქნენ ახალგაზრდა მგოსნები ლექსების წასაკითხავად. სანამ ისინი ლექსების კითხვას შეუდგებოდნენ, კიტა აბაშიძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ დაიწყო ლექსების კითხვა, მაგრამ ამ დროს მოულოდნელი ხმაურობა შეიქნა. ცოტა დაწყნარების შემდეგ პ. იაშვილმა დაიწყო ლექსის კითხვა, აქ უფრო დიდი ხმაურობა ატყდა და ლექსი შეაწყვეტინეს. როცა წესიერება აღდგენილ იქნა, გაფრინდაშვილმა, გ. ტაბიძემ და ნ. ჩხიკვაძემ წაიკითხეს ლექსები.<sup>37</sup>

**14 მარტი.** „ჩვენი საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ერთხმად დაგმო „ცისფერყანნელების“ გამოსვლა, აღნიშნა მისი გათახსირებული ხასიათი და სამარცხვინო ბოძზე გააკრა „ცისფერი ყანნების“ თანამშრომელი.“<sup>38</sup>

**15 მარტი.** „... ცისფერი ყანების“ ვრცლად განხილვა და მასზე ლაპარაკი დამამცირებლად მიგვაჩნია ქართველი ქალისათვის. ჩვენ ამ გახრწნილებას სულ დუმილით შეხვდებოდით, რომ „ყანებში“ ქალის სახელი არ იყოს. ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, ქართველი ქალი იმდენად გაურცხვდა და დაკარგა ის, რაც მის საუკეთესო თვისებას შეადგენდა... ეჭვი გვაქვს, რომ ის მართლა ელენე იყოს. ამიტომ მივმართავთ „ყანების“ ზოგიერთ ავტორს (ლორთქიფანიძეს, გ. ტაბიძეს, ყიფიანს და ფალავას), რომელთა ადამიანობის ჯერ კიდევ გვჯერა, ჩამოხადონ ნილაბი ელენე დარიანს და დაგვანახონ მისი ნამდვილი სახე; ამასვე მოვითხოვთ გაზეთ „მეგობრისაგან“. ჩვენ ერთი ჯგუფი ინტელიგენტი ქართველებისა მოვითხოვთ თქვენგან, დაგვისახელეთ ვინ არის ეს ელენე? წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სრული უფლება გვეძლევა თქვენც ისეთი სახელი გინოდოთ და ისეთივე შეხედულების ვიყოთ თქვენზე, როგორსაც ვუნოდებთ იაშვილს.“<sup>39</sup>

**16 მარტი.** „... აბა რა მოეთხოვება დევნილსა და მშვიდ მწყურვალ კაცს იმის მეტი, რასაც იგი აწვდის საზოგადოებას?.. გ. ტაბიძე, ნ. ჩხიკვაძე და სხვანი მხოლოდ ოცნებითა, თავისი ცრემლებითა და ჰაერით იკვებებიან. ქართველ მწერალთა უმრავლესობა გერები არიან ჩვენის ცხოვრებისა და ისიც საკვირველია როგორღა აქვთ ხალისი წერისა და სიმღერისა, მაგრამ, ალბად, განგებას მათთვის, მართლა, რაღაც საარაკო ძალა მიუცია!“<sup>40</sup>

**18 მარტი.** „... ვერ ამიხსნია, მაგალითად, დავიწყება ისეთის მწერალ-პოეტებისა, როგორებიც არიან ძველებში: ვაჟა, ა. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი, ვ. ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ახლებში კი, ს. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, სპ. მცირიშვილი, კირ. ნუთისოფელი, ნ. ლორთქიფანიძე, უიარალო და სხვანი. ამათ შესახებ ყოველ დღე უნდა ინერებოდეს წერილები. უნდა ვსწავლობდეთ მათ. მათ ნაწერებს უნდა ვავრცელებდეთ ხალხში იაფ-ფასიან წიგნაკებად და სამაგიეროდ რას ვხედავთ? ჩვენ უფრო გვიტაცებს მსუბუქი და უაზრო ლექსები გრიშაშვილისა და იმის ჟანრის მგოსნებისა...“<sup>41</sup>

**4 აპრილი.** „გალაკტიონ! რად არ მწერ წერილს! ჩემი დაზღვეული ბარათი ხომ მიიღე?. რა ამბებია ქუთაისში. ხომ იცი როგორ მაინტერესებს. მომწერეთ ვინმემ. ამას გარდა, ერთი საქმე იწყობა შენტვის მოსკოვში. მაგრამ აუცილებელია, რომ შენ ესთეტი და პოეტი იყო მარტო. როგორც გინდა ისე გაიგე. დაწვრილებით როცა ჩამოხვალ ან როცა შენს წერილს მივიღებ. ჩემი სამხედრო ბეგარის შესახებ ვწერ პალოს. თუ მაგან არ გაიგოს, შენ მაინც მიშველე. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს... ვსარგებლობ თუ არა „ასტროჩკით“ და თან როგორ. შენი ტიტე.“<sup>42</sup>

**10 აპრილი.** „... ამ აღმანახის („ცისფერი ყანების“ – მ.შ.) გარშემო ატეხილი უსიამოვნო ატმოსფერის შესამსუბუქებლად ბ-ნი რობაქიძე, როგორც ერთი მონაწილე ამ კრებულის, იძულებული გახდა საჯარო ლექციით თავდასაცველი სიტყვით მიემართა ქუთაისის საზოგადოებისათვის... ლექციის უფრო გაბედული

და ძალადაუტანებელი ადგილი იყო მეორე ნაწილი, როდესაც ლექტორი შეეხო სიმბოლიზმის დახასიათებას და ბ-ნთ ლორთქიფანიძესა, ტაბიძეების, ჭუმბაძის, გაფრინდაშვილისა და სხვათა ნაწარმოების გარჩევას. აქ ბ. რობაქიძემ საკმაო მასალა ამოკრიფა აღმანახის ამ ზოგიერთ ავტორთა ნიჭისა და ღირებულების დასაფასებლად...“<sup>43</sup>

**10 აპრილი...** წაიკითხეთ რა პოეზიის საბურველშია გახვეული გ. ტაბიძის ლექსები: „მთვარის ლანდები“. თვითული სტრიქონი ამ ლექსისა პოეზიაა და განხორციელება მშვენიერებისა. აქ თითოეული სიტყვის სიძლიერეს და სინაზეს გრძნობთ, აქ თავისუფლათ ამოისუნთქებთ, რადგან შორს ხართ „პუბლიცისტური პოეზიისაგან“. თუმცა დიდ ნაკლს არ წარმოადგენს, მაგრამ სჯობდა არ ეხმარა მგოსანს ისეთი სიტყვები, როგორცაა „პაჟი“, „პრინცესა“, სილუეტები და სხვ. ჩვენი ენა მეტად მდიდარია და მრავალშინაარსიანი და როდესაც მგოსანი ვერ იყენებს სიტყვებს მშობლიური ენისას, მაშინ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ასეთი „ევროპეიზმები“, თუმცა იგი ლიტერატურაში მიღებულია, მაგრამ ქართველს უფრო ეჩოთირება, რადგან რუსთაველის ცეცხლოვან სიტყვებთან აჭრელებულის სიტყვების ხმარება და შემოღება ცოდვად ითვლება.“ (სიკო ლეონიძე (ქ. ყაზანი).<sup>44</sup>

**16 აპრილი.** დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ყოველ თეთრ ღამეს“. მოგვიანებით ავტორმა ამ ნაწარმოებს „პრიმიტივი“ უწოდა.<sup>45</sup>

**16 აპრილი.** „... გავრცელდა ხმები, რომ ბევრის მტრულმა განწყობილებამ „ცისფერი ყანებისადმი“ შეაშინა თვით აღმანახის რამოდენიმე მონაწილე და ისინიც მზად იყვნენ უარი ეთქვათ თავის ორგანოზეო, ამიტომაც, გრ. რობაქიძის ლექციაზე დიდი ინტერესით მოდიოდა საზოგადოება. იგი ამტკიცებდა, რომ ყველა მონაწილეს „ცისფერი ყანებისას“ აერთიანებდა მრავალი რამ და მათი ერთი მეორს დაცელება მავნებელი იქნება ახალ ქართული ხელოვნებისთვისო... გაარჩია რა დანვრილებით ლექსები, აღნიშნა გრიშაშვილის ვირტუოზობა, გალაკტიონ ტაბიძის მისტიციზმი, რომელიც ხშირად ღრმავდება და ძლიერ გამოხატულებას პოულობს მის „ლურჯა ცხენებში“. მაგრამ უმთავრესი ნაკლი ამ პოეტისა არის ფორმისა და შინაარსის განსხვავებაო...“<sup>46</sup>

**19 აპრილი.** „პასუხი დაგვიანებულ პასუხზე (ბ.ბ. პ. იაშვილსა და ი. გრიშაშვილს). ზედმეტად მიმაჩნია ხელახლა გავიმეორო ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტება, მაგრამ როდესაც მაიძულებენ? ბ. იაშვილო! გრიშაშვილის საღამოზე ჩემი გამოყვანა თქვენ აგიღიათ თქვენს თავზე, რადგან გცოდნიათ, როგორც სჩანს, რომ მე სიამოვნებით გამოვიდოდი მის საღამოებზე. ძალიან კარგი, მაგრამ საიდან იცოდით თქვენ, რომ ხუთ მარტს ხელს არ შემოშლიდენ რაიმე, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზები, ჩემივე უნებურათ? წინათვე რატომ არ შემატყობინეთ და არ მიიღეთ ჩემგან გადაჭრილი პასუხი მანამ, სანამ ჩემს სახელს და გვარს საზოგადოებას აცნობებდით? რა პატივისცემაა აქ ჩემდამი... ამასთანავე, თქვენ

ვერ გაგიგიათ ჩემი წერილიდან, თუ ვის ვუნოდებდი შანტაჟისტებს... ორი სიტყვა ბ. გრიშაშვილსაც, თავის გასამართლებლად რომ ამბობს, რომ როდესაც მე ვერ მინახულეს და ჩემს ნაცვლად შემდგომ გამოაცხადეს ბ. ჭიჭინაძე. გაზ. „სამშობლოს“ 4 მარტის № 26, როგორც განცხადებაში, ისე ახალ ამბავში კი გამოცხადებულია ბ. ჭიჭინაძე და იქვე, მის გვერდით გ. ტაბიძეც. ფაქტი ენინააღმდეგება თავის მართლების სიტყვას. გ. ტაბიძე.“<sup>47</sup>


**26 აპრილი.** „გალაქტიონ ტაბიძე უთუოდ წავა სიმვოლისტების გზაზე, მისი „ლურჯა ცხენები“ მისტიურია, მას მხოლოდ ფორმისა და შინაარსის ჰარმონია აკლია...“<sup>48</sup>

**27 აპრილი** „ჟურნალ „სხივში“ არის მოთავსებული ლექსი... გალაქტიონ ტაბიძისა... გალაქტიონ ტაბიძე მგოსანია სევდა-კაეშნისა, ის ტლუ არის ახალგაზრდა მგოსანთა შორის, როგორც დედის ერთა ობოლი – ხალხთა შორის. მისი ჩანგი სევდიანია, ნაზი, ფაქიზი. არავის შერცხვება იტიროს გ. ტაბიძის ცრემლით და იკვნესოს იმის კვნესით. იგი მგოსანია ამაღლებული სულის და დაჩაგრული სიამაყისა... მის ლექსს, მის ჰანგს გაიგებს და მიხვდება მხოლოდ „სულით ობოლი“, მხოლოდ უანგარო მეოცნებე! ცრემლი გ. ტაბიძისა არის ცრემლი განსპეტაკებული ადამიანისა და ოხვრა მისი არის ოხვრა ხალხის სასამსახუროდ განმზადებულის ზვარაკისა. გ. ტაბიძის ლექსებს განიცდის მხოლოდ თვით პოეტი, თვით შეგნებულად ნატანჯი და ნაბრძმედი მკითხველი! ამ მხრივ ტაბიძე ნაკლებად გასაგებია საშუალო მკითხველისათვის...“

„ცისფერიყანწები“, ამ ჟურნალის შესახებ იმდენი რამ დაინერა, რომ იმის მეასედის ღირსიც არ არის. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს არც „ფუტურიზმი“, არც „სიმბოლიზმი“, მით უმეტეს არც ახალი მიმართულება ჩვენს მწერლობაში, არამედ ეს არის ლიტერატურული გაბედულობისა და სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულთა „პოეზია“ და სხვა არაფერი (ვწუხვართ, რომ ამ ჟურნალში მოჰყვენენ გ. ტაბიძე და ნ. ლორთქიფანიძე).“<sup>49</sup>

**28 აპრილი.** ახალგაზრდა ლექტორი გრ. ხაინდრავა 1 მაისს ქ. ფოთში, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში გამართავს სალიტერატურო საღამოს... მეორე, ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ი. ნიკოლაიშვილი, გალ. ტაბიძე, ჯ. ჯორჯიკია...<sup>50</sup>

**28 აპრილი.** „იძულებითი განმარტება ... სექტემბერში შევიკრიბეთ თუ არა ქალთა საზ. გამგეობა... მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება: 1) მოეწყოს ქალთა დღე და ამ დღისთვის გამოიცეს ალმანახი... აგრეთვე მიმართონ ყველა ჩვენს გამოჩენილ ლიტერატორთ წერილებით მასალისათვის... მოგვყავს სია იმ პირთა, ვისაც მივმართე: ბ.ბ. კ. აბაშიძე, გ. ზდანოვიჩი, ს. ხუნდაძე... გ. ტაბიძე, ნ. ჩხიკვაძე, ი. კაკაბაძე, ს. ქვარიანი, გრ. გველესიანი. სარ. კოლ. წევრი.“<sup>51</sup>



*გალაკტიონი  
და პროკლე*

**აპრილი.** გალაკტიონის ლექსის: „შენი ღიმილი“ (ნაწყვეტი ალბომიდან) ხელნაწერი დათარიღებულია 1916 წლის აპრილით.<sup>52</sup>

**1 მაისი.** პირველი მაისისათვის დანიშნული ქ. ფოთში ბ-ნ გ. ხაინდრავას თაოსნობით სალიტერატურო დილა სხვადასხვა მიზეზებით გადაიდვა მ მაისისთვის. 9 მაისს სალიტერატურო დილა ამავე პროგრამით დ. ლანჩხუთში გაიმართება.<sup>53</sup>

**22 მაისი.** 22 მაისს საკრებულო დარბაზში დავით ონიაშვილმა წაიკითხა ლექცია: „ეროზა კავკასიაში“. ხალხი ბლომათ დაესწრო და ლექციით კმაყოფილი დარჩა. პოეტებმა გ. ქუჩიშვილმა და გ. ტაბიძემ წაიკითხეს თავიანთი ლექსები.<sup>54</sup>

**17 ივნისი.** გ. ტაბიძის ლექსების მეორე ტომი ახლო მომავალში დაიბეჭდება.<sup>55</sup>

**ივნისი.** „გ. ტაბიძე. ბაკურიანი. 1916. თიბათვე“ (წარწერა ვ. რანცოვის წიგნის: „ხრონოლოგია ვსეობშჩეი ი რუსსკოი ისტორიი“-ს ყდაზე). წიგნში აღწუსებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი



მოვლენები. თხრობა ლაპიდარულია. მაგალითად, ქრისტეს დაბადებამდე 1388-1322 – რამზეს მეორე – დიდი, ეგვიპტის ხელმეორედ აყვავების ხანა. ვ. რანცოვის ნიგნის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიანიშნებს, რომ გალაკტიონი ესწრაფვის ცოდნის გაღრმავება-გაფართოებას... მაგრამ არანაკლებ საგულისხმოა სხვა მხარეც. ფიქსირებული ფაქტებისა და მოვლენების მიღმა გალაკტიონი ცხოვრების უმძაფრეს და უფაქიზეს ეპიზოდებს ქვრეტდა. მისი ფანტაზია ფრთებს შლიდა... ყველაფერი ეს კი, ადრე თუ გვიან, ორიგინალურად გაცხადდებოდა („სარკოფაგიდან დგება მუშია, რა სიჩუმეა, ჰაერი ლურჯი აბრეშუშია. ორხიდები ეცემა ნილოსს, როს მნუხარება ქვიშაზე კვნესის...“).<sup>56</sup>

**25 ივლისი.** გაზეთ „ახალ კვალში“ (№ 33) დაბეჭდა გალაკტიონის ლექსი „გზაში“.

**19 აპრილი.** „პატივცემულო ვარლამ! ოდესმე გიცნობდით, არ ვიცი გახსოვართ თუ არა, ამიტომ ცოტა უხერხულობას ვგრძნობ როცა განუხებთ, მაგრამ ამხანაგური და საერთო ჩვენში ძლიერ ბევრია და ეს მახედეინებს თქვენთან წერილის მოწერას, ამასთანავე ჩემი მდგომარეობა საშინელზე უსაშინლესია და ამიტომ ნუ გენწყინებათ, რომ წერილით თავს განწყენთ. სწორედ ასე ვანუხებდი ქუთაისის ნ. კ. გამ. საზოგადოების განყოფილებას, რომ ეშუამდგომლებია მთავარ გამგეობასთან ჩემთვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. გამგეობამ ეს თხოვნა შეინყნარა და შუამდგომლობა ჩემს თხოვნასთან ერთად მანდ გადმოაგზავნა. ეხლა გთხოვთ დამეხმაროთ. მე არავის არ ვიცნობ და ამის გამო რომ სტიპენდია ვერ მივიღო ეს ხომ უსამართლობა იქნება. პირდაპირ გავიტანჯე ამ საშინელ სიღარიბით. ამბობენ გამგეობაში ჩვენებიც არიანო, მე პირადათ არ ვიცნობ მათ. მოელაპარაკეთ ყველას ღვთის გულისათვის და აუხსენით ჩემი მდგომარეობა... მე მივდივარ მოსკოვში, შანიავსკის უნივერსიტეტში. მაშ ასე, ეს არის ჩემი თხოვნა... იმედია ამისრულებთ. მარადის და მარადის იქითაც თქვენი გალაკტიონ ტაბიძე...“<sup>57</sup>

**20 აპრილი** არასდროს არ დაავიწყდება. ამ დღეს გაზეთ „სამშობლოს“ რედქციაში ახალგაზრდები მივიდნენ... გალაკტიონ ტაბიძის ნახვა თუ შეიძლება?... მცირე ხნის შემდეგ რედაქტორის კაბინეტში გალაკტიონი შემოდის. ახალგაზრდები ესალმებიან. პოეტი შეცბუნებულია; ერთი-ორისთვის თუ მოუკრავს თვალი საფუძვლიანად არცერთს არ იცნობს. მაღალი ვაჟი შეფუთულ ნივთს აწვდის. – გავიგეთ, რომ მოსკოვს მიემგზავრებით. გვინდა წარმატება გისურვოთ და საჩუქრად ეს ვერცხლისფრთიანი კალამი მოგართვით. გალაკტიონს აყრყოლებს. ყმანვილებს გულში იკრავს.“<sup>58</sup>

**20 აპრილი.** „20 აგვისტოს ოლიამ და გალაკტიონმა ჯვარი დაინერეს. ახალდაქორწინებულები მოსკოვს გაემგზავრნენ.“<sup>59</sup>

**24 აპრილი.** უმორჩილესად გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და მომცეთ ერთი სტიპენდია მოსკოვში შანიავსკის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. ჩემი აუტანელი პირობები და ის, თუ რა შემძლია გავაკეთო, იცის მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, ამიტომ სრული იმედი მაქვს, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ანგარიშს გაუწევს ყოველივე ამას და მომცემს საშუალებას სწავლის დასამთავრებლად. გალაკტიონ ტაბიძე, ქ. ქუთაისი, 1916 წ. 24 აპრილი.<sup>60</sup>

**26 აპრილი.** გალაკტიონი ერთი დღით სოფელში ჩადის – დედას და ძმას ემშვიდობება. პროკლე 30 მანეთს აძლევს.<sup>61</sup>

**აპრილი.** „1916 წელს... გალაკტიონი დაქორწინდა ოლღა სტიფანეს ასულ ოკუჯავაზე. თვალტანადობით მოხდენილი, სანდომიანი, რევოლუციის ცეცხლით ანთებული, კომუნისტური პარტიის წევრი, განათლებით იურისტი, ადამიანებთან ურთიერთობაში უბრალო, გულწრფელი, გალაკტიონის სულის უანგარო მესაიდუმლე, გულითადი მეგობარი, მხნეობის და აღმაფრენის წყარო – აი, ოლღას (ოლიას, ოლოლის) პორტრეტი. ოლია 1916 წლის აგვისტოში გაემგზავრა მოსკოვში უმაღლესი განათლების მისაღებად, მასთან ერთად გაემგზავრა გალაკტიონიც... ისინი დაბინავდნენ ჯერ პოვარსკაიას ქუჩაზე (ამჟამად ვოროვსკის ქუჩა – ი.ლ.), შემდეგ ბოლშაია ბრონნაიაზე. გალაკტიონი ცდილობდა მოწყობილიყო რომელიმე სასწავლებელში, მაგრამ ვერ მოახერხა.“<sup>62</sup>

**2 მაქტიმბერი.** ღამის ორი საათი. ძმები რიონის სადგურში ხვდებიან ერთმანეთს. აბესალომი გზას ულოცავს და წვრილმანი ხარჯებისათვის 5 მანეთს აძლევს.<sup>63</sup>

**14 მაქტიმბერი.** 1916 წლის 14 სექტემბერს ოლია და გალაკტიონი პირველად ესტუმრნენ მოსკოვს. გალაკტიონი უკვე ამზადებდა მეორე წიგნის ციკლს, რომლის სათაურიც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოფიქრებული. ვწერ ძალიან ბევრს – შეატყობინა ძმას 9 ოქტომბერს. 17 ნოემბერს კი დააზუსტა: უკვე მზად მაქვს მეორე წიგნი, რომლითაც ყალყზე შევაყენებ მთელ საქართველოს.“<sup>64</sup>

„მოსკოვში ყოფნისას გალაკტიონი ცდილობს დაამყაროს კონტაქტი რუს პოეტებთან. ქართველმა სტუდენტობამ (სტუდენტ ვ. ყიფიანის ინიციატივით) მოაწყო გალ. ტაბიძის საღამო. საღამოს დაესწრო კ. ბალმონტი, რომელსაც გალ. ტაბიძე ქუთაისში გაეცნო 1915 წელს.“<sup>65</sup>

**9 ოქტომბერი.** „შენი ორივე წერილი მივიღე. სალდათობამ ძალიან შემიშალა ხელი ყველაფერზე. ჯერ არასად არ ვარ, რადგან იანვარში უნდა დავბრუნდე ისევ ქუთაისში. მანამდე აქ ვრჩები და ვმეცადინებ ხან შანიავსკის უნივერსიტეტში და ხან სხვაგან. ოჰ, როგორ არ მინდა დაბრუნება... რამდენი

დრო დამიკარგავს ტყუილად. აქ, მხოლოდ აქ, შეიძლება მეცადინეობა. ახლა არ ვიცი როგორ იქნება ჩემი საქმე. პირობები ძალიან ცუდია. იწყება ზამთარი. ფული თითქმის სულ გამომელა და ჩემი სულიერი განწყობილება თანდათან უარესდება; წინანდელი აღფრთოვანება ეცემა. მგონია ხანდახან, რომ ეს უზარმაზარი ქალაქი უასათუოდ მიმსხვერპლებს... ვწერ ძალიან ბევრს. ფული რაც შეიძლება საჩქაროდ მომაშველე, რამდენიც იქნება სულ ერთია... აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ არ იცი, რა გელის ხვალ. ღმერთმანი, სჯობდა არ წამოვსულიყავი, მაგრამ რადგან წამოვედი, ეხლა ჩემსას გავიტან, თუ მოვახერხე, ძალიან დავსუსტდი... დედაჩემს მინერე, რომ კარგად ვარ და ველი მისგან წერილს. შენ იყავი მაგრად და ყოჩაღად, გული არაფერზე გაიტეხო. ვიყოთ – ვიბრძოლოთ.“<sup>66</sup>

**13 ნოემბერი.** „ქართული წიგნები. ყურნალ გაზეთების კანტორა „განთიადი“ (მიხეილის პრ. 18) იყიდება: აკაკი... გალაქტიონ ტაბიძე „ლექსები“...“<sup>67</sup>

**3 ნოემბერი.** „...გ. ტაბიძე ტირილში გვათრობს, მის ნაზს სევდას ჩვენ უფრო ვგრძნობთ, ვინემ ვგებულობთ. როცა მის გრძნეულ ლექსებს კითხულობთ, გრძნობთ ავტორთან სულის ინტიმურ ნათესაობას. მას „გული სტკივა“, ამიტომ მხოლოდ თავის გულს გვიშლის, სხვის გულში აღარ იხედება. ამაშია მისი სიძლიერე და ამავე დროს სისუსტეც.“<sup>68</sup>

**6 ნოემბერი.** „ძმაო აბესალომ! შენს წერილებს ვიღებ და სამაგიერო წერილებსაც ვიწერები. არ ვიცი, არ მოგდის, თუ რა ამბავია – დღეღღეზე ველი ფულს, რომელიც ძალიან მჭირდება... შენ არ იცი, რა არის აქ გაჭირვება... სადმე ან გაიყინები, ან შიმშილით ამოგხდება სული. მე შენ გეტყვი, ვინმე შეგიბრალებს... ყოველწამში გრძნობ, თუ რა საშინელი წყევლაა კაცის თავზე ღარიბად დაბადება. მე არ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი, მაგრამ ეხლა ვიტყვი: ვერავინ ამჩნევდა ამას, მაგრამ ჩემში ბევრი ცეცხლი იყო, ბევრი სიცოცხლე, ბევრი სულიერი ელვა. ეხლა ვგრძნობ, თანდათან ვცივდები, ვბერდები; ოჰ, მერე რანაირად მეყინება გული, რომ იცოდე... პირდაპირ ტირილი მინდა ხანდახან, როდესაც ვგრძნობ, რომ თვალეში ჰქრება ის, რაც ახალგაზრდობას ეკუთვნოდა... აქ უფულობა წარმოუდგენელია. შენ რომ იცოდე, აქ რა ტანჯვა გადავიტანე, უსათუოდ გამოავაზინდი ფულს ამდენ ხანს. უფულობა იმდენად არაფერია, რამდენიც სულიერი ტანჯვა: ცხოვრობდე კაცი მთელი წლების განმავლობაში, და ინსტინქტურად გრძნობდე, რომ თითქო ახლობელი და პატრონი არ გყავს... 1916 წ. ქ. მოსკოვი, ნოემბერი 6.“<sup>69</sup>

**8 ნოემბერი.** „დახმარება მწერლებსა და მხატვრებს. 8 ნოემბერს თავად-აზნაურობის დეპუტატთა და წინამძღოლთა საკრებულოს კრება გაიმართა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით. თავად-აზნაურობის საზოგადო კრების მიერ გადადებული ფული განაწილებულ იქნა... თითოს მიეცა 300 მან. აი, მათი გვარებიც: ი. გრიშაშვილი, მ. ჭიაურელი, დ. შევარდნაძე და გ. ტაბიძე.“<sup>70</sup>

**17 ნოემბერი.** „ძმაო აბესალომ! შენგან გამოგზავნილი წერილები და ფული მივიღე. ძალიან დროზე მომისწრო. საზოგადოთ, ეხლა აქ ძალიან კარგად ეწყობა ჩემი საქმე. სრულიად მოულოდნელად, მე არც კი მითხოვია, აქაურმა ქართულმა საზოგადოებამ დამინიშნა სტიპენდია 30 მან. თვიურად ჯერჯერობით. შემდეგ შეიძლება 5 თუმანიც მომცენ. ფულს ვიღებ ყოველ ოცში. გარდა ამისა, მაქვს პატარა გაკვეთილი სამი საათის, ვიღებ თვიურად ხუთ თუმანს. გუშინ კიდევ გაზეთი წავიკითხე და გავიგე, რომ თბილისის თავ. აზნ. ბანკს ჩემთვის გადაუწყვეტია 300 მანეთის გამოგზავნა. გასაკვირველია! მე ბანკისთვის არც კი მიმიმართავს. ალბათ კ. მაყაშვილმა მოაწყო. ამ დღეებში უსათუოდ მივიღებ აქ სუბუქ სამუშაო ადგილს, თვიურად თერთმეტი თუმანი იქნება... მაგრამ სამუშაო დრო 9 საათიდან 4 საათამდეა... მთელი ექვსი საათი... სრულიად ვერაფერს ვიმეცადინებ... საზოგადოება კარგად მეპყრობა. ყველაზე მეტად დავუახლოვდი აქ ერთ ქართველ ექიმს... სხვათა შორის, ის ოცდაათი მანეთი სტიპენდია იმან მოაწყო... ეს სტიპენდია სულ გაგრძელდება, რამდენ ხანსაც მიინდა – ხუთ, ექვს წელიწადს. გაკვეთილიც მან მიშოვა... ეს გაკვეთილი იმით არის კარგი, რომ მთელ ზაფხულს კრიმში გავატარებდი ამ ბავშვთან ერთად. მაგრამ ზაფხულზე ხომ საქართველოში უნდა ჩამოვიდე. თუ რამე მიშლის ხელს რომ ვიმოქმედო, ეს ისევ სალდათობაა... მასამდე არასგზით არ შემიძლია ჩამოსვლა, მასში კირას მიზამენ არ ვიცი... თავისუფალი დრო ცოტა მაქვს. მაგრამ ჩემს მუშაობასაც ვახერხებ. ვკითხულობ ძალიან ბევრს... დავათვალიერე ტრეტიაკოვის გალერეა – რუსეთის გამორჩენილი მხატვრების სურათები. დიდებული რამეა. ვიყავი ალექსანდრე მესამის მუზეუმში, სადაც საუკეთესო ქანდაკებები ინახება. ვიყავი რუმინანცევის ეტნოგრაფიულ მუზეუმშიც. ვიყავი სამხატვრო თეატრში (ჩეხოვის თეატრი)... ვნახე კრემლი და სხვ. ერთბაშად ვერ ჩამოთვლი ყველაფერს. ვერ წარმოიდგენ რანაირად ველი ომის გათავებას... როგორც კი ეს მოხდება, ჩემი პირველი მიზანია მოგზაურობა.. მთელ დედამიწას შემოუვლი... ქუთაისში ეს მე შეუძლებლად მიმაჩნდა, აქ კი ვგრძნობ, რომ ეს სულ ადვილი შესაძლებელია... მე უკვე მზად მაქვს მეორე წიგნი, რომლითაც ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოს. აი ნახავ! მალე კიდევ აქ გავმართავ დიდ ქართულ საღამოს, რომლითაც მთელ მოსკოვს ჩემებურად ავალაპარაკებ. ვინ იცის, შეიძლება მალე ძალიან დიდი, ცნობილი კაცი გავხდე? შეიძლება მსოფლიოდ ცნობილი?... ვერ წარმოიდგენ, რა იაფია აქ წიგნები. მაგალითად, თვიური ჟურნალი სიმბოლისტების, შესანიშნავ ქალღმერთ და ბებქდილი და არისტოკრატიულად გამოცემული „პერევალი“ ვიყიდე მანეთად. შიგ ყველა თანამედროვე ცნობილი სიმბოლისტებია... აქ ყოველდღე თოვლია და ტიტეს ვხვდები ხანდახან. ძალიან მოწყენილია და ხანდრას ეძღვევა. ამბობს, რომ ჭირივით შეძულდა მოსკოვი. აქაური ქართველი სტუდენტები ყველა დაგლახაკავებულია, დადიან და ნუნუნებენ რალაცაზე. მშვიდობით! იყავი ყოჩაღად...“<sup>71</sup>

**24 ნოემბერი.** 24 ნოემბერს გალაკტიონი მოსკოვიდან სამშობლოში გამოემგზავრა. 29 ნოემბერს უკვე ქუთაისში იყო.<sup>72</sup>

**29 ნოემბერი.** „რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ! როგორც კი გამოვს-  
ციდი როსტოვს, დავინახე ჩვენი ლურჯი ცა და ვიგრძენი მხურვალე მზე. აქ ეხლა  
გაზაფხულია, სითბოა... როგორც კი ჩამოვედი ქუთაისში, მაშინვე ღვინოს მივა-  
შურე, ვსვამ და ვწერ ამ წერილს... დასწყევლოს ღმერთმა მოსკოვი! მე მალე ჩა-  
მოვალ, ალბად, მაგრამ რა ეშველება სიცივეს, რომელიც მაქ არის? აქ ეხლა გა-  
ზაფხულია... აქ ვგრძნობ მხოლოდ რომ ღმერთი ვარ!.. ნეტავი ჩამოხვიდოდე... 29  
ნოემბერი, დილა.“<sup>73</sup>

**30 ნოემბერი.** „ოლკინ, შენ აღარ გიყვარვარ! არავის არ ვუყვარვარ ამ ქვე-  
ყანაზე! უკეთესია, რომ მოვკვდებოდე! სიკვდილი კი თითქოს ამბობს: გალაკტიონ  
ტაბიძე, შენ ჯერ არ მოკვდები, კიდევ ბევრი რამეს გააკეთებო! ვნახოთ! ვნახოთ!  
მე მთელ დედამიწას დუელში ვინვევ! ვნახოთ, რა იქნება, ვნახოთ! ამ წერილს კა-  
ფეში ვწერ, შემოვიდა გრ. ლალიძე და ყველას სალამი მისცა ჩემს მეტს. ვნახოთ,  
ვნახოთ. მეორე დღეა ქუთაისში ვარ და არავინ არ მინახავს... ვნახოთ... ვნახოთ...  
გალაკტიონ ტაბიძე, 30 ნოემბ., 1916.“<sup>74</sup>

**30 ნოემბერი.** „ვიყავი თქვენსას. ვიგრძენი ნამდვილი ბედნიერება... ვიგრ-  
ძენი რომ დედაშენს ვუყვარვარ... ყველა თქვენები მიყვარს. მაპატივე ეს სიტყვე-  
ბი. მე, „ქუჩის ბოვში“, ღირსი არ ვარ ეს სიტყვები ვთქვა... ყველა კარგებია! შენც  
კარგი ხარ... შენისთანა არავინ არის! მე ვარ მხოლოდ უბედური და დაწყევლილი,  
უსახლკარო, უბინაო... მე მართლა, შენი არ იყოს, „ქუჩის ბიჭი ვარ!“<sup>75</sup>

[**30 ნოემბერი**]. „ოლი! თუ გავნთავისუფლდი, მე აქ მალე სალამოს გავმარ-  
თავ! სალამოს დიდებულად მოვანყობ. ფული შემოვა. რა ამიდებია, რომ იცოდე!  
ზაფხულია პირდაპირ! შეიძლება იების მოკრეფა. თუ მოვკრიფე, მოგიტან უსა-  
თუოდ. ჩემს სალამოზე მომიტანებენ ყვავილებს? ვინ იცის!“<sup>76</sup>

**11 დეკემბერი.** „ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ დაიბეჭდა გალაკტიონ-  
ის ლექსი „ჩემო მადონნავ.“ (რედაქციის მინაწერი: „ეს ლექსი მიღებულია 1910  
წელს“).<sup>77</sup>

**15 დეკემბერი.** „ოლია!... არაფერი ჯერ არ გამიკეთებია და როდესაც საქმე-  
ებს მოვათავებ, შეგატყობინებ. მიდის აქ ჩემი ცხოვრება ჩვეულებრივად, ძლიერ  
უფერულად და უსიხარულოდ. ბინათ ვარ ჩუდეცკისთან. ერთხელ ჩუდეცკისთან  
მივიდა მეორე მხატვარი, კროტკოვი და დიდ ქალაქზე დახატა ჩემი სურათი.  
ვერ წარმოიდგენ, რა შესანიშნავია. თან წაიღო. დახატული ვარ პროფილში. ჩუ-  
დეცკიმაც დაიწყო ჩემი სურათის ხატვა – ამ დღეებში დათავდება. 23 დეკემბერს  
ქალაქის თეატრში მაქვს სალიტერატურო სალამო. ძალიან მიშლიან ხელს, რომ  
სალამო კარგი გამოვიდეს, მაგრამ მოვანყობ რამეს. სამუდამოდ დავშორდით  
ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი. ძალიან დიდი ჩხუბი მოგვივიდა და  
ვუთხარით ერთმანეთს ისეთი სიტყვები, რომლებიც ამის შემდეგ დაახლოვების

ნებას არ მოგვცემს. მე არ ვნანობ... ჩემი ჯარისკაცობის საქმე ბურუსშია. რაღაც მეშინია გამოცხადება... მე მთლად ნერვებად ვარ გადაქცეული, ძალიან მწარეა ჩემი ცხოვრება, ძალიან! ტიტე თურმე აქ ჩემზე ცოტათი ირონიულად წერილებს იწერება. *Finita la comedia...* ნეტავი ახლა შენთან ვიყო მანდ მოსკოვში, ოლი თავს გაუფრთხილდი... ოლი ილოცე ჩემთვის! ნეტავი გავიმარჯვებთ თუ არა ამ საღამოზე? ოლი, არავინ ყვავილებს არ მომიტანს, არავინ! მაგრამ იმ დღეს ჩემთან განუყრელად იქნება შენი ოცნება, არა? მე ეს გამამხნევებს... აქ ყველა ჩემი მტრეზია! ჩამოვალ მოსკოვში და უსათუოდ ვიცხოვროთ ერთად სადმე კარგ ოთახში, ყველასგან დაშორებით, უსათუოდ ასე სჯობია, არა? ღმერთო! შენ იყავი ჩვენი ორივესი მფარველი. სამარის კარამდი შენი გალ.“<sup>78</sup>

**16 დეკემბერი.** პარასკევს, 23 დეკემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართება მგოსნის გ. ტაბიძის სალიტერატურო საღამო. დანვრილებით შემდეგ.<sup>79</sup>

**21 დეკემბერი.** პარასკევს, 23 დეკემბერს ქალაქის (ქუთაისის – მ.შ.) თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. ამ დღეს მგოსანი წაიკითხავს თავის ახალ, ჯერ დაუბეჭდავ ლექსებს. მხატვარმა კროტოვმა დახატა გ. ტაბიძის სურათი.<sup>80</sup>

**25 დეკემბერი.** „23 ამ თვეს ქალაქის თეატრში გაიმართა ჩვენი ნიჭიერი მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის ტრადიციული საღამო. გვეგონა მგოსნის სახელი საკმაო გარანტია იქნებოდა იმისათვის, რომ საზოგადოება პატივს სცემდა და საინტერესო საღამოს დაესწრებოდა. მაგრამ სიტყვით ქვეყნის ამშენებელი ხალხი, საქმით სხვანაირად იქცევა და თეატრში ვერ ნახავდით იმ ხალხს, რომელიც ტაბიძის სახელით ამაყობს. საღამო დაიწყო ბ. ალ. წერეთლის ლექციით... შემდეგ დაიწყო ბ. ტაბიძის ლექსების კითხვა. ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა სურათი: სამი ასული, თეთრ მოსასხამში, ჭიანურით ხელში. შემდეგ, ცოცხალ სურათად გამოწყობილი სდგას ასული და თეთრ სვეტს მიყრდნობილი ნაბადში გახვეული მოსჩანს თვით მგოსანი, ჭიანური უკრავს და ლოყიდან ლექსს „მერი“, კითხულობს პაოლო იაშვილი. ზომაზე მეტის ხმით, რაც ლექსს უკარგავდა ელფერს. პ. იაშვილმა წაიკითხა „მერი“. შემდეგ ლ. ჯაფარიძემ და ვ. გაფრინდაშვილმა წაიკითხეს გ. ტაბიძის ლექსები: „მე და ღამე“, „ვერხვები“ და სხვ. უკანასკნელ განყოფილებაში თითონ გალაკტიონ ტაბიძემ წაიკითხა თავისი ლექსები. საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით აჯილდოვებდა მგოსანს. დებმა იშხნელებმა იმდერეს გიტარაზე ტაბიძის ლექსები. საერთოდ, საღამო ძლიერ საინტერესო იყო, მხოლოდ, სამწუხაროდ ხალხი ცოტა დაესწრო.“<sup>81</sup>

**25 დეკემბერი.** „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში დაიბეჭდა გრ. რობაქიძის ლექსი: „სონეტი ლოცვის“ (ახალ მხედართ: ვ. გაფრინდაშვილს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, გ. ტაბიძეს).“<sup>82</sup>

[26 **დეკემბერი**]. ოლია! როდესაც ჩამოვალ, უსათუოდ ერთად უნდა ვიცხოვროთ... არ ვიცი, შეიძლება თუ არა იანვრიდან შანიავესკის უნივერსიტეტში ჩაწერა? ეს აუცილებლად საჭიროა სტიპენდიისათვის. მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე. განა კარგი არ არის? აჰ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ... მე ამისი იმედი მაქვს.<sup>83</sup>

[28 **დეკემბერი**]. „ოლია! ჩემი სალამო საცოდავად ჩატარდა. არავინ არ მოვიდა. მრცხვენია პირდაპირ. სალდათობის საქმე მოუწყობელია, მალე ჩამოვალ ალბათ მოსკოვში... აქ ძლიერ ცუდად ვგრძნობ თავს... მიიღე ჩემი წინანდელი წერილები? აქ სულ ვქეიფობ. გასაოცარი ამიდებია – კარგი! იყავი კარგად. გალ.“<sup>84</sup>

**29 დეკემბერი**. ოლია! ეს ეს არი, ვიყავი თქვენებთან. მიშა აქ არის. კატიას ბავშვი ეყოლა... გადმომცეს შენი წერილი. ყველაფერს გავიგებ, ბაქტეოროლოგიაა თუ რალაც და ხვალ მოგწერ... ტიტეს სურათი სადაა? მანია არ იყო სახლში და, ალბად, გაეზნათ... ძალიან, ძალიან კარგი ხალხია ყველა თქვენები... ვინ იცის, ჩამოვალ თუ არა მოსკოვში? შენ ხელს ნუ დააკლებ... იცოცხლე! გალაკტიონი. 29 დეკემბერი. 1916.<sup>85</sup>

**ზამთარი**. გალაკტიონის ლექსის „ოთხი დრო“ ავტოგრაფზე აღნიშნულია თარიღი: „1916 წ. ზამთარი.“<sup>86</sup>

**1916**. თხზულებათა თორმეტტომეულის I ტომის 345-ე გვერდზე დაბეჭდილ ლექსში: „მაგრამ მე რა ვქნა?“ (1916 წელი), მეშვიდე-მეცხრე სტრიქონები ასე ერთმანეთს ერთმანეთს: „ლანდები – „ვეჭვიანობდი“, იქვე, 484-ე გვერდზე შენიშვნებში ყველა მითითებულ გამოცემაში ამგვარადაა გართმული: „ლანდები“ – „ვეჭვიანდები“ (იხ.: ლექსები, 1927 წ., თხზულებანი, ტ. I, 1937 წ.; რჩეული, 1944 წ.; რჩეული, 1959 წ.) საარქივო გამოცემაში სარიტმო წყვილი აღდგენილია პირვანდელი სახით: „ლანდები“ – „ვეჭვიანდები“.<sup>87</sup>

1916 წლით დათარიღებულ ლექსს „უკანასკნელი თანამგზავრი“, გ. ლეონიდის სახ. ლიტერატურის მუზეუმში დაცული ავტოგრაფის მიხედვით აღუდგინეს ზუსტი თარიღი – 1924 წელი.<sup>88</sup>

გალაკტიონის ლექსი: „შორი ხმა ლოკომოტივის“, რომელიც დათარიღებული იყო 1916 წლით, პირველი პუბლიკაციის მიხედვით (1952 წლით) დათარიღდა.<sup>89</sup>

„ლექსი: „რა რიგ მწყურია“ (1916 წ.) ვარიანტია 1912 წელს შექმნილი ლექსისა „Ave Maria“ (ყურნ. „განათლება“, 1912, № 9, გვ. 697), ამიტომ, იგი საარქივო გამოცემის მეორე ნიგნში აღარ შეიტანეს.<sup>90</sup>

**1 იანვარი.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ საახალწლო ნომერში გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი: „დედაო ღვთისავ!“ შემდეგ გამოცემებში ის იბეჭდებოდა სათაურით: „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში.“<sup>1</sup>

**11 იანვარი.** „[შანშიაშვილი პოემების წერამ გაიტაცა] და ლირიკა თითქოს უყურადღებოდ დარჩა... თუმცა კარგი მოწაფე გამოაჩნდა მას ამ მხრივ. ეს დარგი ჩვენის ახალის პოეზიისა გ. ტაბიძემ აიღო და უნდა ითქვას, ფრიად ღირსეულად დაამუშავა, გააღრმავა იგი სევდა, წარმტაც ფორმაში ჩამოასხა და ფრიად ორიგინალური სახე მისცა მას. მეტად საყურადღებო პოეტია გ. ტაბიძე და დიდი გულწრფელობა, უმეშვეობა სჩანს მის სათუთ შემოქმედებაში. ნაზი მუსიკა უხვად იფრქვევა თქვენ წინ, გხიბლავთ უცხო ჰანგებით... ანკარა ცრემლები არასოდეს ყოფილა ასე მოდუღუნე ჩვენში.“<sup>2</sup>

**12 იანვარი.** [ს. ფაშალიშვილის] სევდის მუსიკალობა გ. ტაბიძესთან ერთად ძლიერის ტონებით იმლება, ფრიად ინტიმური ხდება და იდუმალ განცდას ბუნებრივად გაყვარებთ.<sup>3</sup>

**29 იანვარი.** „გალაკტიონი ქუთაისშია. 1917 წლის დასაწყისში იგი ცდილობს გამოსცეს ლექსების მეორე კრებული „ქართული ორნამენტის“ სახელწოდებით. გალაკტიონი დიდ ანგარიშს უწევდა ოლიას გემოვნებასა და ნიჭს. გამოსაცემად განზრახული წიგნისათვის შესავალი წერილი ოლია ოკუჯავას უნდა დაენერა, რაც ირკვევა ერთ-ერთი პირადი ბარათიდან.“<sup>4</sup>

**[29 იანვარი].** „ოლია! სწერ თუ არა ჩემზე წერილს? უსათუოდ უნდა დამახვედრო, იცოდე, როდესაც ჩამოვალ, ჩემი წიგნი უნდა გამოვცეთ რუსულად – თარგმანები. აქ იყო იგორ სევერიანი... გავიცანი... ძალიან კარგი კაცი ყოფილა... როდესაც ჩამოვალ, ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ, წამოსვლას შეგატყობინებ დეპეშით. ესლა კი მშვიდობით... შენი გალაკტიონ ტაბიძე.“<sup>5</sup>

**29 იანვარი.** „ოლია!.. საქმე ძალიან არეულად მაქვს... ღმერთმანი ყველაფერი მომწყინდა... ვერაფერი სალდათობას ვერ მოვუხერხე, ჯერ არცკი გამოვცხადებულვარ. გამოვცხადებები მალე – და შემდეგ პირდაპირ მოსკოვში. მოვდივარ ტრიუმფით... სწერ რამეებს? სწავლობ? მე სრულიად არაფერს არ ვაკეთებ... ღირს განა ქართველებისათვის თავის განირვა?.. შენი გ. [29 იანვარი, 1917].“<sup>6</sup>

**[27 თებერვალი].** ოლია! ხომ კარგად ხარ? მე ჯერჯერობით მოსკოვში ვერ ჩამოვდივარ. საქმეები აქ ძლიერ ცუდად მაქვს... ნუ დამივიწყებ. გალაკტიონი... შეიძლება მალე წიგნი გამოვცე აქ. მე მაშინ შემოგიტვლი და ხელნაწერები გამომიგზავნე...<sup>7</sup>

**თებერვალი.** „როგორც ქორი გინახავს, თებერვლის რევოლუცია ისე მოულოდნელად დააცხრა ქუთაისს. მე მაშინ მხატვარ თედორე ჩუდეცკისთან



ვცხოვრობდი. მატერიალურად გამოუსვლელ მდგომარეობაში ვიყავით ორივენი. მაგრამ ერთად ვიტანდით ჭირსა და ლხინს... უფრო მეტად, თუ ფული ჩაგვივარდებოდა ხელში, დროს რესტორნებში ვატარებდით, მეორე დღეს კომმარები, თავისტიკილი, არაფრისმომტანი დღე... ვცხოვრობდით ჯიბოს სახლში, ჯიბოს ჯიბებში პაოლოსაც უღალატა და, არც „კორპორაციას“ გააჩნდა რამე, ჩვენ რომ დაგვხმარებოდა. სახლთან სრულიად არავითარი კავშირი არ მქონდა, რომ მქონოდა კიდევ მერე რა? არც სახლში არ გააჩნდათ რამე... არსაიდან რაიმეს იმედი, არავითარი სახსარი საარსებო, არსად არ ვმუშაობდი, რედაქციებშიც „ჭიდოსნურად“ იყო საქმე... ერთის სიტყვით, სრული უიმედობა ყოველი მხრივ და აქ კიდევ ამბავი ბეგლარ ახოსპირელთან. ორ-ორი კვირა გვექონდა პატიმრობა გადაწყვეტილი „სიმშვიდისა და წესრიგის დარღვევისათვის.“ დღე-დღეზე ველოდი დაპატიმრებას. უეცრად მოხდა რევოლუცია და ის შენი ლავრენტი მახარაძე თვითონვე დაიჭირეს თავის საპოლიცემისტროში“.<sup>8</sup>

**19 მარტი.** „ქუთაისში მოწვეულ იქნა ხელოვანთა კრება გ. ტაბიძის თაოსნობით. კრებამ გადასწყვიტა ხელოვანთა საზოგადოების დაარსება. გამგეობამ აირჩია და ახალ მთავრობას მისალმების დეპუტა გაუგზავნა“ (დამფუძნებელ კრებას როძიანკოს მეთაურობით – მ.შ.).<sup>9</sup>

**21 მარტი.** „კვირას, 19 მარტს, სათ. – აზნ. ბანკის შენობაში გაიმართა ქართველ ხელოვანთა კრება... ბჭობა იყო შესახებ იმისა, რა დამოკიდებულება იქონიოს ქართველმა ხელოვანმა დღევანდელ მომენტთან და რამდენათ სასურველია ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დაფუძნება ამ ჟამათ. საუბარში მონაწილეობა მიიღეს: ჯაჯუ ჯორჯიკიამ, ალ. წერეთელმა, გრ. მესხმა, კ. ფოცხვერაშვილმა, გ. ტაბიძემ და სხვებმა... კრება მით დასრულდა, რომ საზოგადოების საორგანიზაციოთ აირჩიეს ბიურო. ბიუროში შედიან: ქ-ნი ნინო ჩხეიძისა, აკ. ფალავა, ჯ. ჯორჯიკია, გ. ტაბიძე, კ. ფოცხვერაშვილი და გრ. მესხი.“<sup>10</sup>

**23 მარტი.** გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“ გამოქვეყნდა გალაკტიონის „დროები ჩქარა!“ ლექსი დათარიღებულია 1917 წლის 13 მარტით.<sup>11</sup>

„პოეტის არქივში დაცულია ჩანაწერი (რომანტიული ხასიათისა)... პირველად დიდი ხნის შემდეგ ქალაქში [ქუთაისში] გამოვედი... თეატრს შორიდან მოუარე... შევედი თუ არა თეატრში, აღელვებულმა აუდიტორიამ იმნამშივე შემამჩნია და ძახილით: „გაუმარჯოს რევოლუციას!“ გარს შემომეხვია... თვალის დახამხამებისთანავე ხელში ამიტაცეს და ასე რამდენჯერმე შემომატარეს. თეატრში ისმოდა... ძახილი „გაუმარჯოს რევოლუციას! დროები“ – აი, ამ მომენტში დაიბადა ჩემი ლექსი „დროები ჩქარა...“ ლექსში „თავისუფლება ხალხს ისე მოსწყურდა“ ასოთამწყობმა ააწყო „სულს“ (იხ. „სოციალ დემოკრატი“, 1917 წ.) და შემდეგ მე აღარ გამისწორებია. ყველა შემდგომ გამოცემაში არის „სულს“...<sup>12</sup>

**25 მარტი.** გალაკტიონი გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“ ბეჭდავს ლექსს: „ნიკოლოზ II“ (სონეტი), 1917 წ. 24 მარტი“. ლექსის დაწერის თარიღად პოეტს აღნიშნული აქვს: „ნიკოლოზ II დაწერილია მისი ტახტის დაცემის დღეს“. შემდეგ ეს ნაწარმოები იბეჭდებოდა სათაურით: „ათრობდა ხალხთა მწუხარება.“<sup>13</sup>

**მარტი.** „ძვირფასო დედა! შენთან ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენ ხანს ვერ ჩამოვედი... მე ძალიან მალე ჩამოვალ. აქ იმდენი საქმეები მაქვს, და ისე დიდი საქმეები, რომ ნებას არ მაძლევს ასე ადვილად მივატოვო ქუთაისი... ეხლა გამაგრდი, დედა! მთელი ქვეყანა გახარებულია თავისუფლებით. შენც უნდა იყო მხიარულად. მე სხვაფრივ კარგად ვარ. შენი ერთგული და მუდმივად მოსიყვარულე შვილი გ. 1917 მარტი.“<sup>14</sup>

**28 აპრილი.** 1 მაისს გამოვა ახალი ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო სოციალ-დემოკრატიული გაზეთი: „ალიონი“. მონაწილეობას მიიღებენ: ს. აბაშელი, ვ. ბურჯანაძე, დ. თურდოსპირელი, დ. ლიხელი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი.<sup>15</sup>

**30 აპრილი.** „ძვირფასო დედა! მე დიდი ხანია ქუთაისიდან გამოვემგზავრე, მაგრამ გზაში ცოტა ავად გავხდი და შეუძლებელი იყო მატარებლით მგზავრობა. დღეს მესამე დღეა ელიზავეტპოლში (დღევანდელი განჯა – მ.შ.) ვარ. ამაღამ წავალ უთუოდ. თურმე დიდი ამბებია მოსკოვში. ძალიან მიხარია რომ იქ მივდივარ. მალე შეიტყობთ, თუ როგორ მეხივით დავიგრიალე მთელ დედამინაზე... სულ დედას ვუტირებ მტრებს. სახუმარო კაცი არ ვარ მე...“<sup>16</sup>

**1 მაისი.** გამოვიდა „ახალი ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ალიონი“. პ.დ. საყარელიძის რედაქტორობით. მონაწილეობას მიიღებენ: ს. აბაშელი, ვ. ბურჯანაძე, დ. თურდოსპირელი... გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი...“<sup>17</sup>

**20 მაისი.** 20 მაისს ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის სასარგებლოთ გაიმართა ლიტერატურული საღამო. ქალაქის თეატრი გადაჭედული იყო ხალხით... ვ. ხუროძემ (მალაქიშვილმა) შინაარსიანი ლექცია წაიკითხა ქართულ ლიტერატურაზე, უმთავრესად შეეხო რეაქციის დროის ახალგაზრდა მწერალთა მოღვაწეობას. ერთ რიგში დააყენა: ნ. ზომლეთელი, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე და სხვ. მეორე რიგში შანშიაშვილი, გრიშაშვილი და ფუტურისტები...“<sup>18</sup>

**25 მაისი** „ამ მოკლე ხანში ტფილისში გამოვა პერიოდული მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „ამირანი“ კოტე მაცაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, კონია აბაშისპირელის რედაქტორობით. მონვეულნი არიან შემდეგი მწერლები და მხატვრები: აბაშელი ს., აბაშისპირელი კ., გრიშაშვილი ი... საგანგებო მოსაწვე-

ვები დაეგზავნებათ: ა. შანშიაშვილს, გ. და ტ. ტაბიძეებს, ნიკო ლორთქიფანიძეს და სხვ.“<sup>19</sup>

**17 ივნისი.** ქართული სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოსა და მწერალთა საგანგებო კომისია კვირას, 9 ივლისს იწვევს ქართულ სიტყვა კაზმულ ლიტერატურის მწერლების ყრილობას ქ. ტფილისში. ბიურო მოუწოდებს ქვემო მოხსენებულ პირთ წინდანინ მიიღონ ბიუროსაგან ყრილობაზე დასასწრები ბარათები: ... ტატიშვილი ი., ტაბიძე გალაქტიონ, ტაბიძე ტიტე...<sup>20</sup>

გალაქტიონი 1917 წლის მაისიდან 1918 წლის ივლისამდე მოსკოვშია.<sup>21</sup>

**19 ივნისი.** „ძმაო გალაქტიონ! ჩვენ სოფელში ყველანი კარგად ვართ. გალაქტიონ! ერთ რალაცას გითვლი და იმედია, თქვენ თანხმობას და თანაგრძნობას გამოგვიცხადებთ. 18 ივნისს აქ გავხსენით უფასო წ. საც. სამკითხველო და ხალხმა ერთხმად მოისურვა, რომ გახსნილიყო თქვენს სახელზე და გახსნეს კიდევაც. დიდი გულნატკენი ვართ, რომ ვერ დაგეკითხეთ, მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, რომ ვერ მოვასწარი. იმედია, თანაგრძნობას გამოგვიცხადებთ. საქმე კარგად მიდის. სამკითხველოს შეუძლია თავისუფალი არსებობა. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ დახმარება აღგვიტევა. 1917 წ., 19 ივნისი. ვანიკო ტაბიძე.“ P.S. „პასუხი შემომითვალე, უარი არ იქნეს, თუ არა მაინც ხალხმა თავისი ქნა.“<sup>22</sup>

**11 ივლისი.** ძვირფასო დედა და ძმაო აბესალომ! თქვენგან გამოგზავნლ წერილი მვიღე... მე ძლიერ კარგათა ვარ... ჯერჯერობით გაჩუმებული ვარ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნოემბრამდე ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებ. ეხლა მთელი ჩემი დღეები და ღამეები მიდის მეორე წიგნისთვის მზადებაში. ნაწერებს ვასწორებ და წიგნს შინაარსის მხრით, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ცოტა ლექსი იქნება, ვერავინ წუნს ვერ დადებს. იანვრამდე, სიცოცხლეთ რომ დამიჯდეს, წიგნი დაბეჭდილი იქნება უსათუოდ. მაგრამ ჯერჯერობით ეს საიდუმლო იყოს... არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემი მეორე წიგნით ყველაფერი გადაწყდება. მე ასეთ წიგნებს ბევრს ვეღარ დავწერ და ვაი თუ... ვერ დააფასონ... არც მაგაზე დამწყდება ძალიან გული. მე ჩემს ვალს მოვიხდი ხელოვნების წინაშე... ეს კი თავი და თავია.<sup>23</sup>

**28 ივლისი.** წერილის მოწერა დამიგვიანდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, ასეთი იყო მდგომარეობა. მოსკოვი ეხლა დამშვიდებულია, მაგრამ ასე არ იყო რამდენიმე ხნის წინად. მოსკოვი აღელვების ცეცხლში იყო გახვეული... ეხლა დამშვიდებულია, რალაც საშინელი ბედიწერის მოლოდინში. ვნახოთ, რითი გათავდება ყველაფერი ეს. ჩემი წიგნი უსათუოდ გამოვა – მე ამაში ეჭვი არ შემდის. გარდა ამისა, მაქვს მასალები მრავალი საინტერესო წერილებისათვის და ისტ. გამოკვლევებისათვის. მოსკოვის მუზეუმებში მე ვიპოვე ბევრი მასალები საქართველოს წარსულის გასაშუქებლად. გარდა ამისა, მზად მაქვს ბევრი

წერილები ხელოვნებაზე (ქანდაკებაზე, პოეზიაზე, წარსულის გრძნობაზე და სხვ.). მე ჩაფლული ვარ ბევრ საინტერესო წიგნებში, ისეთ წიგნებში, რომლებიც ჯერ არავის დასიზმრებია რამედ გამოეყენებია. ყველაფერი ეს ჯერ არავის გადასცეთ. მე არ მინდა, იცოდეს ვინმემ ჩემი მიზნები.

ამნაირად, ყველა ამის მოსანესრიგებლად დრო არის საჭირო და მე საშუალება არ მექნება ჩამოსვლსა გაის ივანობისთვის... მაშინ კი უსათუოდ ჩამოვალ, ენკენისთვიდან შევუდგები ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურის შესწავლას უნივერსიტეტში. ამასთანავე კიდევ სხვებსას. მაგრამ ყველაფერი ეს დამოკიდებულია ლექსების მეორე წიგნზე, რანაირად მიიღებენ მას, როგორი გასავალიქნება და სხვ... ჩემს სახელზე სამკითხველოს გახსნის შესახებ გავიგეთ ქვენი წერილებიდან და გაზეთებიდანაც (მე მომდის ოთხი ქართული გაზეთი: სოციალ-დემოკრატი, ერთობა, ალიონი და ჩვენი ქვეყანა)... იცოდეთ, არ შემარცხვინოთ, სამკითხველო არ დახუროთ უსახსრობის გამო (მეორეჯერ და მესამეჯერ კი აღარ დაარქმევენ ჩემს სახელს)... მომწერეთ სად არის ტიტე ან რას აკეთებს. თუ სადმე ნახოთ, გადაეცით, რომ მოუთმენლად ველი... მარადის თქვენი გალაკტიონი“<sup>24</sup>



ავტოპორტრეტი. მოსკოვი.  
1917 წლის 13 აგვისტო

**20 აპრილი.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ი. ხინველის „მესაფლავე,“ \* მელოდრამა სამ ცოცხალ სურათად (\* გ. ტაბიძის ლექსიდან).“<sup>25</sup>

**ოქტომბერი.** „Я однажды посетила Галактиона Табидзе в Грузии, в цветущем городке Кутаис. Просторная комната с голубыми занавесками на окнах ушла все в молчание той грусти, которая незаметно, беспрестанно болезненно бродит в пуховых туфлях, чья нежная и немая тоска проливает полусонный свет на письменный стол, покрытый в беспорядке книгами, на страницах которых красуются стихи персидских, французских, греческих, грузинских и других поэтов давних веков; чернильница без крышки с ручкой; на перечернило ещё невысохло, а рядом объёмистая тетрадь в зелёной обёртке гордится сказочными стихами, только что написанными на грузинском языке; к ней подкрадывается с сожалением и любовью воспоминание, как фиалочное отражение, радужной, забытой мечты. [Казалось, вот-вот] [Было такое ощущение, что вот-вот влетит в комнату Эдгаров Ворон,] [было ощущение от потери Леноры] Веляло скорбью от потери Леноры. Как-то отозвался [...] Табидзе „На чёрном коне [...] как ураган. Чёрный плащ за ним развеивается, как чёрный рок его.“ Эта знаменитая фраза не давала мне покоя, когда я видела его в Грузии.“<sup>26</sup>

**28 ნოემბერი.** ქუთაისის საქალაქო თეატრში გაიმართა გ. ტაბიძის დიდი საღამო.<sup>27</sup>

**30 ნოემბერი.** „ოლია! როდესაც ჩამოვალ, უსათუოდ ერთად უნდა ვიცხოვროთ. აქედან წამოვიღებ რამე-რამეებს. ტანისამოსი გინდა შენ, დედოფალო! არ ვიცი, შეიძლება თუ არა იანვრიდან შანიავსკის უნივერსიტეტში ჩანერა? ეს აუცილებლად საჭიროა სტიპენდიისათვის. მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე, განა კარგი არ არის? აჰ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ. მე ამისი იმედი მაქვს... Будем жить припеваючи! ა? ა? ა? კარგია, კარგი ცხოვრება! ცხოვრებას კარგად უნდა მობყრობა, ცხოვრება მიდის!“<sup>28</sup>

**დეკემბერი.** „წლის ბოლოს (დაახლოებით დეკემბრის მეორე ნახევარში) გალაკტიონი მოსკოვში მიემგზავრება. ოლია მოსკოვში ერთდროულად სწავლობდა კიდეც და მსახურობდა. ისინი პოვარსკაიას ქუჩაზე ცხოვრობდნენ პატარა სახლში.“<sup>29</sup>

**1917.** გალაკტიონის ლექსი: „მთანმინდის იქით“ (ძველი თარიღი 1917 წ.) პირველი პუბლიკაციის მიხედვით, 1952 წლით დათარიღდა.<sup>30</sup>

გალაკტიონის ძველი აკადემიური გამოცემის მეორე ტომში დაბეჭდილია პოეტის ცნობილი ლექსი: „... მზეო თიბათვისა.“ ამავე ტომის ვარიანტებსა და შე-

ნიშვნებში წყაროდ მითითებულია: „ნაბეჭდი: გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ. № 259.“ (გაზეთის ამ ნომერში ეს ნაწარმოები არ ჩანს).<sup>31</sup>

„ეს მოხდა 1917 წელს, ოცდაათი წლის წინად, მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულს, მე შემატყობინეს, რომ ქუთაისის გენერალ გუბერნატორის მიერ განკარგულება იყო გაცემული ჩემი დაპატიმრების შესახებ... რის შესახებაც მე ჩუმად მაცნობა გუბერნატორის მდივანმა გვარად დადიანმა... რა თქმა უნდა, მაშინვე არალეგალურ ცხოვრებაზე გადავედი. ვცხოვრობდი ხან ერთ, ხან მეორე მეგობართან..სახლიდან არც დღით, არც ღამით არ გამოვდიოდი, ასეთ მდგომარეობაში განვაგრძობდი დიდი ხნის წინათ დაწყებული წიგნის „ქართული ორნამენტი“ წერას. საქმე იმაშია, რომ ყრმობიდან ძალიან მიტაცებდა ქართული ორნამენტის იშვიათობა, მასში, როგორც ჩვენს ხუროთმოძღვრებაში, მე ვგრძნობდი და ვხედავდი ქართველი ერის, მისი ხელოვნების, მისი ადამიანების მთლიან ბუნებას,ნიჭის თავისებურებას..“<sup>32</sup>

**1918 წლის დასაწყისი.** „მძიმე მდგომარეობაა, როგორც მოსკოვში, ისე მთელ რუსეთში... გაჭირვება აიძულებს პოეტს, სწავლის გარდა, სხვა, დამატებითი სახსარი მოიპოვოს არსებობისათვის. ვალ. ტაბიძე მუშაობას იწყებს კომისიაში, რომლის მოვალეობას შეადგენს მოსკოვის მოსახლეობის აღწერა, რაც საშუალებას აძლევს პოეტს უფრო ღრმად და დეტალურად შეისწავლოს მოსკოვი. ლექსი: „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ დაწერილია მოსკოვში 1918 წლის აღწერით გამონვეული შთაბეჭდილებების ზეგავლენით. „მე პირადად ვიღებდი მონაწილეობას ამ აღწერაში – წერს გალაკტიონი, ჩემზე შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის ფსკერმა, მისმა სილატაკემ.“<sup>1</sup>

**14 იანვარი (1).** „ძვირფასო დედა!.. ვარ ძლიერ კარგად, ერთადერთი, რაც მანუხებს, ეს თქვენი ამბავის უცოდინარობაა. პირდაპირ საოცარ და საშინელ დროში ვართ, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ასე აირეკოდა; უბრალო წერილის გამოგზავნაც კი მოუხერხებელი გახდა... საქართველოდან აქ არავითარი ცნობები არ მოდის და რაც მოდის, რალაც არ არის დასაჯერებელი. წერენ ოსმალეთის გამარჯვებაზე... და ვწუხვარ... ვაი, თუ ჩემს მშობლიურ ბუდესაც მიუახლოვდნენ – მეთქი... გზაში ათასი გაჭირვება უნდა ნახო და, ისიც ვინ იცის, მიაწევ თუ არა სამშობლომდე... მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მე გადაწყვეტილი მაქვს შემოდგომამდე მოვახერხო წამოსვლა. აქ სამსახურში ვარ (Комиссариат юстиции) ჯამაგირს ვიღებ იმდენს, რომ საცხოვრებლად მყოფნის. გასაოცარი სიძვირეა დღეს აქ... რამდენი უბედურება მე აქ გადავიტანე, ვინ დათვლის... მაგრამ თქვენც არანაკლებ მდგომარეობაში ხართ, ალბათ... დღესვე ჩავჯდებოდი მატარებელში... როგორმე ამ საშინელ და უბედურ დროს თუ უხიფათოდ გადავურჩით, შემდეგ არა გვიშავს რა. ღმერთი მოწყალეა. მე დიდი იმედი მაქვს მომავლის. ღვთისა და თქვენის დახმარებით მე არ დავიღუპები... P.S. მე ეხლა ვცხოვრობ მოსკოვის ქართულ საზოგადოებაში... (მშვენიერ ბინაში). ტელეგრამა ასე გამოგზავნეთ: Москва, Повареная 29/18, Галактиону Табидзе.“<sup>2</sup>

**იანვარი.** გალაკტიონი მეორედ მოსკოვში 1918 წლის იანვრიდან ივლისამდე იყო.<sup>3</sup>

**27 თებერვალი.** „1918 წელს გალაკტიონი მოსკოვში დაესწრო იგორ სევერიანინის არჩევას პოეტთა მეფედ. სევერიანინის კარგად იცნობდა ჯერ კიდევ ქუთაისიდან. მაშინ რუსი პოეტი დაპირდა, რომ მის ლექსებს თარგმნიდა. და აი, 27 თებერვალი. პოლიტექნიკური მუზეუმის დიდი დარბაზი. გალაკტიონი მოხარულია სევერიანინის გამარჯვებით. გულწრფელად ულოცავს. ამ ცერემონიაზე დასწრება გარკვეული სტიმული, ერთგვარი ბიძგი გახდა 1921 წლის ბატალიისა.“<sup>4</sup>

**თეატრალური.** „რიტმა – სიტყვის ორეულია და სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯული; მას შეჰყავს ჩვენებათა ქაოსი სამუდამო ნაპირებში. აი, რითმები – პოეტების ახალი პორტრეტები:

გაფრინდაშვილი ვალერიან: ქორნილს – დალორნილს მაინც – რაინდს. გრიშაშვილი: ამქარი – ყალამქარი მდურავი – ნურავინ. ტაბიძე გალაქტიონ: ასოებით – სასოებით სილაში ვარდი – სილაჟვარდე...“<sup>5</sup>

**7 მარტი.** 1918 წლის 7 მარტს თორმეტფურცლიან რვეულში აკვარელით ოთხფერი ყვავილებიანი ვაზა დაუხატავთ და ქვევით მიუწერიათ: Худ. Олли, худ. Галл, 1918 г., 7 марта, сүмерки.<sup>6</sup>

**18 ივნისი.** ქართული სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოსა და მწერალთა საგანგებო კომისიისაგან შემდგარი ბიურო კვირას, თბათვის 9, ინვევს ქართულ კაზმულ-ლიტერატურის მწერლების ყრილობას ქ. თბილისში, ახალი კლუბის დარბაზში დღის 12 საათისთვის. ყრილობაზე დასწრების უფლება აქვს მგოსნებს, ბელეტრისტებს, კრიტიკოსებს, დრამატურგებს და მთარგმნელებს. ბიურო მოუწოდებს ქვემოთხსენებულ პირთ წინასწარ მიიღონ ბიუროსაგან ყრილობაზე დასასწრები ბილეთები ...ტატიშვილი ი., ტაბიძე გალაქტიონ, ტაბიძე ტიტე...<sup>7</sup>

**21 ივნისი.** „გალაქტიონის ლექსის: „მოვა... მაგრამ როდის?“ „პირვანდელი რედაქცია დაწერილია 1918 წლის 21 ივნისს, საღამოს 10 საათზე, ქ. მოსკოვში. 1919 წელს, ლექსების მეორე ტომში, ლექსი ახალი რედაქციით დაიბეჭდა („მარიამ ანტუანეტა“ – მ.შ.), იმ რედაქციით, როგორცაც ის იბეჭდებოდა 1954 წლამდე. 1954 წელს ლექსმა რედაქციული გადამუშავება განიცადა... 1954 წლის „რჩეულის“ სწორებანი ავტორისეულია, მაგრამ უდავოდ ვილაცის დაჟინებითი ჩარევით მოთხოვნის შედეგია. რამდენადაც ლექსის მხატვრული შინაარსი და მსოფლმხედველობითი მხარე სავსებით ეწინააღმდეგება ე.წ. უკანასკნელ (1954 წ.) „ავტორისეულ“ სწორებას. ლექსის ადრინდელი რედაქციის მხატვრული კონცეფცია გამოხატულია კატეგორიული ფორმით, რაც 1954 წლის რედაქციაში დარღვეულია და ლაბილურია. რეფრენი მხატვრული თვალსაზრისით სუსტია და ლექსის მთლიანობას აფერმკრთალებს, ხოლო ამოღებული 8 სტრიქონი ლექსის მთლიან შინაარსს კვეცავს. ამდენად, ჩვენ ძირითად ტექსტად ყველაზე ავტორიტეტული გამოცემა ავირჩიეთ. ლექსი შემოქმედებითი ისტორიის გათვალისწინებით დავათარილეთ 1918-1919 წლის ივნისამდე.“<sup>8</sup>

**25 ივნისი.** 1918 წლის 25 ივნისს გალ. ტაბიძე მოსკოვში ამთავრებს სარეჟისორო კურსებს და იღებს მონაწილას: Выдано от Совета преподавателей режиссорских курсов при Московской лиге любителей сценического искусства Гал.



Вас.Табидзе, что он в течение семестра 1918 года прослушал полный установленный курс... Москва 25 июня, 1918 г. № 680... подпись...<sup>9</sup>

მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის დაარსებულ ამ პირველ სარეჟისორო (ინსტრუქტოროულ) კურსებზე, სადაც ერთსემესტრიანი (ხუთთვიანი) სწავლება იყო, ისწავლებოდა: რეჟისურა (მასწ. ნ.ფ. აკსაგარსკი), სცენის მოწყობა და არქიტექტურა (მხატვარი ე.ი. კომზოლკინი), გრიმის თეორია და პრაქტიკა (მასწ. სახალხო თეატრის მსახიობი დ.ე. გარინა-ვინდგინა), თეატრის ისტორია (მასწ. ვ.ა. ფილიპოვი), მეტყველების ისტორია და დიქცია (მსახიობი ო.ვ. რახმანილოვი) და სახალხო თეატრების ორგანიზაცია (მასწ. ჩეტირკინა).<sup>10</sup>

**27 ივნისი.** სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1918 წლის 27 ივნისს, გალ. ტაბიძე რამდენიმე დღით მიემგზავრება პეტროგრადში... მიღებული შთაბეჭდილებების შედეგია არაერთი და ორი ლექსი: „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „ქალაქი ნყალზე“, „წერილი მეგობრებისადმი“...<sup>11</sup>

„გ. ტაბიძე პეტერბურგშია 1918 წ. 27 ივნისიდან 30 ივნისამდე.“<sup>12</sup>

**4 ივლისი.** „შუადღისას ცაზე ერთი ღრუბელიც კი არა სჩანდა. საღამოს კი ისეთი წვიმა მოვიდა, რომლის მსგავსი დღემდე არ მახსოვს... მე მივეჩქარებოდი მოსკოვის დიდი თეატრისაკენ, სადაც იხსნებოდა სრულიად რუსეთის საბჭოთა მეხუთე ყრილობა... წარმოგიდგენიათ? საბჭოთა V ყრილობა! და აი დაბრკოლება: მანუჟთან გზა ნიაღვრებმა გადაგვიჭრეს... წარმოგიდგენიათ? საბჭოთა V ყრილობაზე მაგვიანდებოდა! სასწრაფოდ გავიხადე ფეხსაცმელები, გადავიკიდე ზურგზე და შევერიე მუხლებამდე ნიაღვარს...“<sup>13</sup>

**6 ივლისი.** „ამ თეატრში ვიყავი 1918 წელს. იმ დღეს, როდესაც მოჰკლეს გრაფი მირბახი. ეს აკტი ჩაიდინეს მემარცხენე ესერებმა. თეატრში კი ისინი მოწვეულნი იყვნენ დიდ ყრილობაზე... მახსოვს იგი დღე. გარედ წვიმდა. კრება არ შესდგა. სპირიდონოვა ავიდა ტრიბუნაზე, არა, სკამზე... და დაიძახა: „Товарищи! Мы все арестованы! Споем же наши революционные песни.“ ამღერდა პარტიზონის ნაწილი. გვიანამდე მღეროდენ. როდესაც გარედ გამოვედი, თეატრი გარშემორტყმული იყო წითელარმიელებით ხუთ რკალად. მე გამატარეს.“<sup>14</sup>

**19 ივლისი.** „ოდესიდან (აქ წერს გალაკტიონი ლექსს: „იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“ ( პირველი რედაქცია) გემით იგი საქართველოში დაბრუნდა. 19 ივლისს ის უკვე თბილისშია... საქართველოში დაბრუნებული პოეტი თბილისში სახლდება... დამთავრდა მისი მოღვაწეობის „ქუთათური“ პერიოდი. ქუთაისი მისი პოეტური დავაჟკაცების დიდი კერა იყო...“<sup>15</sup>

**24 ივლისი.** გალაკტიონის ლექსი: „შუადღის გულმოდგინება“, ერთ ხელნაწერში დათარიღებულია ამგვარად: „1918 წ. 24 ივლისი. ქ. ბათუმი.“<sup>16</sup>

**ივლისი.** გემით „დალანდი“, გალაკტიონი ივლისში საქართველოში ბრუნდება, რაც ასახულია პოეტის ამავე სახელწოდების ლექსში.<sup>17</sup>

**2 ოქტომბერი.** კონსერვატორიის დარბაზში, შაბათს, 5 ოქტომბერს, გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო. ბილეთები იყიდება ნ. კ. გ. ს. ნიგნის მაღაზიაში.<sup>18</sup>

**5 ოქტომბერი.** „გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო გაიმართება დღეს კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. 8) ნაკითხულ იქნება პოეტის მრავალი ახალი ლექსები, წარმოთქმულ იქნება სიტყვები და სხვ. დღესვე შეიძლება ბილეთების შექენა თვით კონსერვატორიაში. საღამო დაიწყება 8 საათზე.“<sup>19</sup>

„გ. ტაბიძის საღამო. შაბათს, ოქტომბრის 5-ს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის საღამო. საღამო ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველ განყოფილებაში სიტყვები წარმოთქვეს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე გრ. რობაქიძემ, ვ. კოტეტიშვილმა და ალ. არსენიშვილმა. მეორე განყოფილებაში ლექსები წაიკითხეს: ვალ. ტაბიძემ „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“ და სხვ. ტიციან ტაბიძემ „მალარია“, გრ. რობაქიძემ „აქლემი“, გ. ქუჩიშვილმა, გ. ცეცხლაძემ და ლ. ჯაფარიძემ.“<sup>20</sup>

**7 ოქტომბერი.** „ოქტომბრის 5-ს თფილისის კონსერვატორიაში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მგოსნებმა „ყანწელების“ სკოლიდან. უკეთესი იქნება ამ საღამოს ვუნოდოთ „ცისფერი ყანწების“ საღამო, ვიდრე გალაქტიონის, რადგან თვით მედლეობის და გ. ქუჩიშვილის ლექსთა და ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვის გარდა, ჩვენ ვიხილეთ მართოდენ „ყანწელთა“ პოეზიის დემონსტრაცია... ზოგიერთები (ალი არსენიშვილი, ტიციან ტაბიძე, ვ. კოტეტიშვილი) მოკლეთ სიტყვებში შეეცადნენ გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის არსის გარკვევას და დახასიათებას, მაგრამ ოდნავაც ვერ ასახეს ის მოტივების სიღიადე და უღვეველობა, რომელიც მის შემოქმედებაში არის ჩამარხული. მათ ახალი ვერა გვითხრეს და ჩვენი პოეტის მართლაც და საუკეთესო დამფასებლის, ივანე გომართელის აზრებს დასტრიალებდნენ. ალ. არსენიშვილი... მეტად მოწყენით და სიტყვათა ტკეპნით ამტკიცებდა იმ უდავობას, რომ გალაქტიონ ტაბიძე ჭეშმარიტი პოეტია. ასე გასინჯეთ, ის ვაკვრით რალაც პარტიულობასაც შეეხო და უაზრო ბუნდოვანება დაჰბადა. ამ მხრივ (კრიტიკის) უფრო საგულისხმო იყო გრ. რობაქიძის მოკლე და კობტა სეფე სიტყვა, რომელმაც „მესხური გამოხედვის“ და სალი კულტურის ნატეხები აჰკინძა მის შემოქმედებაში. აღნიშნავდნენ ასევე გალაქტიონ ტაბიძის ახლობლობას და ნათესაობას ჩვენს „ყანწელებთან“,

რომელთაც საუბედუროთ, კიდევ ერთი დიდი ნაკლი აქვთ მანია გრანდიოსა – მაგრამ ჩვენის აზრით, მათ შუა სხვაობას და შორეულობას უფრო მეტი ალაგი უკავია. ამ მხრივ მართალია ტიცინი ტაბიძე, რომელმაც პოეტს „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა. როგორც „შავი მერანის შავი მხედარი“, ნიკოლოზ ბარათაშვილი მარტო იყო თავის „შემოღამების“ დროს, ისევე მარტო და ერთეულია გალაქტიონ ტაბიძე თავის „მზიურ ლამეში“ და ესევე დარჩება შემდგომც. თუმც ვ. კოტეტიშვილი შეეცადა დაემტკიცებინა ნ. ბ. და გ. ტაბიძის უნათესავობა, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ ამ ორ ნიჭთა შორის რაღაც სულიერი ურთიერთ ლტოლვაა, ნათესავობაა, თუნდაც იმაში, რომ წინააღმდეგ ვ. კოტეტიშვილის რწმუნებისა, ორივე იღებს მსოფლიოს და დასტირის მის ბედს, თუმცა პირველში უფრო სჭარბობს აქტივობა, მეორეში კი პასივობაა. თავიანთი შემოქმედების ახალი ნაკვეთები მოგვცეს გრ. რობაქიძემ და თვით მედლეობემ. პირველის, „დიადი შუადღე“ და „აქლემი“ ახალი პოეზიის უებრო ნატეხებია. აღმოსავლეთის და ჩვენი ძველი მესხური კულტურის მიღება იმ კრიტერიით, რომლითაც ავტორი უდგება (არა ნირვანისებური) უფრო პროგრესული და დადებითი მოვლენაა. „უკანასკნელი ლექსი“ გალაქტიონ ტაბიძის სამარგალიტო საგანძურია ჩვენს პოეზიაში, მაგრამ „ლურჯა ცხენები“ კიდევ დიდხანს დარჩება მის ახალგაზრდული შემოქმედების შედეგად... „პოეზიის საღამოს“ ბევრი ნაკლი ჰქონდა, გალაქტიონ ტაბიძის და ზოგიერთ პოეტთა ახალმა ნაკვეთებმა საზოგადოთ ეს ნაკლი დაჰფარეს.<sup>21</sup>

**10 ნოემბერი.** „... რაც შეეხება ტ. ტაბიძეს და გ. ტაბიძის სონეტებს („ყანების“ გამოსვლამდე), მე მგონია, თვითონ ავტორები არ ჩათვლიან მათ მართალ სონეტებათ.<sup>22</sup>

**19 დეკემბერი.** „ქრონიკა. მთავრობის მდივნის დანიშვნა. საქართველოს რესპუბ. მთავრობის მდივნად მიწვეულ იქმნა გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობის აღსრულებას.“<sup>23</sup>

**დეკემბერი.** 1918 წლის დეკემბერში გალ. ტაბიძე ქუთაისშია.<sup>24</sup>

**1918.** პოეტის არქივში დაცულია ჩანაწერი „მივარდნილი აივანი“, რომელშიც აღნიშნულია: „ლექსი დაწერილია 1918 წელს. თათარი შემოესია ბათომს. ლექსი სატირაა იმდროინდელი ვითარებისა...“<sup>25</sup>

„ამ ლექსში, რომლის სატირულ-პაროდიული ინტენცია ერთდროულად მიემართება ორივე ტექსტს: „არტისტულ ყვავილებსა“ და ცხოვრებას, უკვე რეალიზებულია პოტენცია ნიშანთა მთელი წყებისა, რომელიც ათწლეულების შემდეგ გალაქტიონის ირონიულ-პაროდიულ ლირიკაში და შემდგომ – მის ეპიგონთა შემოქმედებაშიც წარმმართველი გახდება: სახეთა მკაფიო რეალისტურობა და კონკრეტულობა, კარნავალური ელფერი, სიტუაციისა და სახეთა გროტესკულო-

ბა, იუმორისტული ეპითეტები, ზეპირმეტყველებითი დიალოგური პასაჟები, ინტონაცია, როგორც პაროდირების ხერხი; პლანების მოულოდნელი შენაცვლება, ტრადიციული (აქ – დაბალი შაირის) ფორმის პაროდირება და მახვილგონივრული რითმა, როგორც პაროდია რითმისა.“<sup>26</sup>

**1918.** ჟურნალ „ლიგეიაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „შენი ღიმილი“ (ნაწყვეტი ალბომიდან)“.<sup>27</sup>

„გალაკტიონის ლექსს: „იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“, ქვეშ მინერილი აქვს: „1918 წ. ოდესა.“ ლექსის ავტოგრაფი დაწერილია პოეტის მიერ ნავსადგურში, რაზეც კარგად მეტყველებს მისი პირველი ვარიანტი. ამდენად, ადგილი და თარიღი ლექსის დაწერისა (1918 წ. ოდესა) უსათუოდ სანდოა.“<sup>28</sup>

**1918.** წელს დაწერილი ლექსებიდან თარგმნილ ნაწარმოებებს მიემატა ვალერი ბრიუსოვის ლექსის: „ამხანაგ ინტელიგენტებს“ თარგმანი – უსათაურო („... ჯერ ისევ გუშინ შენ თავზე იდევ...“)<sup>29</sup>

**1918.** „გალაკტიონს თბილისში გადმოსვლის პირველივე დღეებიდანვე ვიცნობ, ეს იყო მგონი 1918 წლის დასასრული. თითქმის ერთი წლის განმავლობაში ბინა არ ჰქონდა. შემდეგ მთავრობამ მისცა ბინა, მაგრამ საცხოვრებლად ნაკლებ გამოსადეგი. ეს იყო მაშინდელ ერევნის მოედანზე, ახლანდელ ცეკავშირის შიდა ნაწილში, ერთი უმზეო და ნაკლებსინათლიანი ოთახი. რამდენიმე მეგობარი რომ სტუმრებოდა, ფეხზე უნდა მდგარიყვნენ, ვერ დააჯენდა. ამიტომაც იყო, რომ ამ ოთახში ღამეს თუ გაათევდა, თორემ დღე ვერ ჩერდებოდა.“<sup>30</sup>

**1918.** „1915 წლის დასაწყისში ახალი მხატვრული სიტყვის ქადაგებამ ქუთაისის თავზე გადამფრენ ფრინველთა სიმღერასავით გადაიქროლა. ქუთაისი შეშფოთდა. თვითრჯული ქალაქი: იგი მეტაფიზიკური „ობივატელობის“ უდავოდ გენიალური გამოხატულებაა, და ამასთან, მეტისმეტად თავისებური. ის, რაც ნიციშემ საშუალო ელინელზე თქვა, სავსებით მისაღებია საშუალო ქუთაისელისათვის: „გენიალურის თვისებები გენიალურობის გარეშე“ – არსებითად, სულისა და ხასიათის ყველაზე სახფათო თვისებები“. ქუთაისი – სინამდვილეში „ეპიკონი“ გახლავთ. იყო, რაღაც ჭეშმარიტად მშვენიერი და დიადი – ახლა კი მხოლოდ ცდილობს, იყოს და რამდენადაც „არ გამოდის“, ბრაზობენ და ნიჰილისტური გაუფასურების საძაგელ ეშმაკთან ხვდებიან. აღარ არსებობს სიმალღეები, და სრულიად აღარაა სიღრმეები, – არის ოდენ საშუალო და ბრტყელი, – და ამიტომ, უმცირესი, გადაკრული სიტყვა „სიმორის პათოსზე“ ყრუ გაღიზიანებას იწვევს. აქედან – ტრაგიკული აგზნებულობა, გაუთავებელი „მრავალჭამიერი“, ეს, თავისებური, საშინელი გოდება რაღაცაზე, და არა მზის მაუწყებელი სიმღერა. ქუთაისი ჭეშმარიტად ტრაგიკულია თავის „ობივატელობაში“ (-აქ კი, შესაძლოა

მთელი თანამედროვე საქართველოს საშინელი სიმბოლოა), – საჭიროა სოლოგუბის ტალანტი, როზანოვის გენიალურ ყოვლისმგრძნობელობასთან ერთად, რათა მკაცრი სიმართლით გადმოვცეთ ამ „ობივატელობის“ მთელი კომმარის. და ქუთაისის „განგაში“ ახალი სიტყვის ქადაგების საპასუხოდ, ბუნებრივი გახლდათ.

ახალგაზრდები, რომელთაც თავიანთი ახალი სიმღერით ქუთაისის ქუჩების უდარდელი მყდროება დაარღვეს, იყვნენ დამწყები პოეტები: პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიცციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე. ცხოვრების განცდის მოდერნისტული სტილი მხატვრული სიტყვის მწყობრ განსახიერებაში, – აი, რა იყო მათი ალტქმის ახალი სჯულის კანონი და ქუთაისის დუქნები პარიზის ლიტერატურულ კაფეებად გარდაიქმნა, სადაც ხრინწიანი ორღანისა და და აუცილებელი „მრავალჭამიერის“ გვერდით მოისმა ძვირფასი სახელები: „ედგარ პოე და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოზე – მარია ერედია და ემილ ვერჰარნი, კონსტანტინ ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრე ბელი და ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანენსკი და ალექსანდრე ბლოკი და სხვ. მართალია, ქუთაისელი ობივატელის სკეპტიკური სიფხიზლე ახალგაზრდების შემოქმედებით თრობას „ყოველდღიურობის ირონიით“ (- ოჰ რა საშინელია იგი!) ეხმაურებოდა – მაგრამ მეფე ბაგრატის ტაძრის მეფური ნანგრევები უტყვად უჭერდნენ მხარს მათში მსხვერპლისებური წვის შემოქმედებთ ელემენტს... მოდერნისტების ჯგუფში მე აღვნიშნე გალაკტიონ ტაბიძე. ახლა ცნობილია, რომ ის თავის მეგობრებს დაშორდა. ვფიქრობ, ეს წასვლა წმინდად პირადული ხასიათსაა. მას, არსებითად, სიმბოლიზმთან განშორება არ შეუძლია: – თუ არა მხოლოდ შემოქმედებითი თვითმკვლევლობით. მისი „ლურჯა ცხენები“ ნათქვამის ბრწყინვალე დადასტურებაა. ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია ქართულ პოეზიაში. და იგი ამკარად სიმბოლურია. თუმცა ჩანს ბალმონტის გავლენაც (“თანახმიერობანი“). მაგრამ „ლურჯა ცხენები“ ბალმონტის ნაწარმოებს არაფრთ ჩამოუვარდება“<sup>31</sup>

**1918.** [მოსკოვში] „მე და მესხიშვილს რომ ქართული გაზეთის გამოცემა გვინდოდა. 1918-ში, სომეხმა მესტამბემ უარი გვითხრა შრიფტზე (დაშნაკი იყო თურმე. აქ, საქართველოში, თურმე ომი იყო მენშევიკებსა და სომხებს შორის). კარგი იქნება მოსკოვში ქართული ჟურნალის გამოცემა. არის იქ ქართული შრიფტი თუ არა?“<sup>32</sup>

**1918.** „...როდესაც ის (კალისტრატე სალია) ოთხმოციან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრობაზე დათანხმდა, ალბათ სჯეროდა, რომ ხდებოდა წევრი არა საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიისა, არამედ აკადემიისა, რომელიც შეიქმნა 1918 წლის 26 იანვარს, დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ბაზაზე და რომლის წევრებიც თავის დროზე იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვები. ხოლო საპატიო წევრები: გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია.“<sup>33</sup>

**29 იანვარი.** ქ-ნო ტასო! დღეს დილით გელოდით აქ, როგორც თვითონ ბრძანეთ, მაგრამ თქვენ არ მობრძანდით... რატომ? თუმცა საქმეთ მმართველი ავად გაგვიხდა და ადრე წავიდა, მაინც შესაძლებელი იყო თქვენთვის სასახლის ბილეთის შოვა... სასახლეში თქვენ მაინც ბილეთს არ გთხოვენ... რა საოცრებაა... შეიძლება დარაჯების ასე მოჯადოება? ამ მხრით თქვენ საშიშროებას წარმოადგენთ ჩვენი სახელმწიფოსთვისაც. ბედნიერი ქალი ბრძანდებით... ქ-ნო ტასო! აი, ეს... დამავინყდა თქვენთვის მეთქვა. გალაკტიონ ტაბიძე, ტფილისი, 1919, 29 იანვარი.<sup>1</sup>

**23 თებერვალი.** სამხატვრო-სალიტერატურო საღამო. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ... გაიმართება ქართულ კლუბში კვირას, თებერვლის 23-ს შემდეგი შინაარსით: ... პოეზია – გრიშაშვილი ი., ტაბიძე ვალ...<sup>2</sup>

**2 მარტი.** მარტის შუა რიცხვებში ქ. ქუთაისში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“. მონაწილეობას მიიღებენ: აბაკელია გრ. ამირეჯიბი შ. გრიშაშვილი ი. გუდიაშვილი ვლ. დადიანი შალვა... ტაბიძე გ. ტაბიძე ტ. ფალიაშვილი ზ. ფალავა ა. ფოცხვერაშვილი კ...<sup>3</sup>

**17 მარტი.** გალაკტიონი ქუთაისშია სტუმრად სიმონ ჩხეიძის ოჯახში. ამის დასტურია მასპინძლის ალბომში ჩანაწერი: „უძღვნი სიმონს! გაუსვი და გამოუსვი ვითომც ჭიანურიანო. მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ იგიც შინაურია. გ. ტაბიძე.“<sup>4</sup>

**18 მარტი.** „პოეტების კარავი. განზრახულია ამ დღეებში „პოეტების კარავი“ შეიქმნას. რომელსაც ჯერჯერობით ხელმძღვანელობას გაუნწვენ: გ. ტაბიძე, რაჟდ. გოგობია და სიმ. წეველი. კარავს მიეცემა აკადემიური ხასიათი და დადგება ყოველგვარი სკოლის გარეშე.“<sup>5</sup>

**18 მარტი.** ორშაბათს, მარტის 24-ს სახელმწიფო თეატრში ი. გრიშაშვილი ჰმართავს ტრადიციულ საღამოს.. მესამე განყოფილება. პოეტების ოჯახი: ო. თუმანიანი, კ. მაყაშვილი, გ. ტაბიძე, ს. აბაშელი...<sup>6</sup>

**24 მარტი.** ორშაბათს, მარტის 24-ს სახელმწიფო თეატრში მგოსანმა ი. გრიშაშვილმა თავისი ტრადიციული საღამო გამართა. საღამოს პროგრამა ფრიად საინტერესოდ იყო შედგენილი და გაჭედილი თეატრიც დააკმაყოფილა... საკუთარი ნაწარმოებები წაიკითხეს: ი. ელფთერიძემ, კ. მაყაშვილმა, გ. ტაბიძემ...<sup>7</sup>

**24 მარტი.** „ქართველ მწერალთა სია ავტოგრაფებით იოსებ გრიშაშვილის საღამოზე. იოსებ გრიშაშვილის საღამო. პოეტების ოჯახი, ავტოგრაფების სია. მათ შორის პირველია გალაკტიონ ტაბიძე.“<sup>8</sup>

**27 მარტი.** შაბათს, 29 მარტს, ფოსტის კანტორის სათეატრო დარბაზში ფოსტა-ტელეგრაფის მომსახურებათა წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებ-

ლოთ გაიმართება საღამო. მონაწილეობას მიიღებენ: დ. ონიაშვილი (ლექცია), გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, ხ. ვარდოშვილი...<sup>9</sup>

**28 მარტი.** გალაქტიონ ტაბიძის წიგნი. იბეჭდება და სულ მალე გამოვა პოეტ გალაქტიონ ტაბიძის წიგნი.<sup>10</sup>

**30 მარტი.** გამოვიდა სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალი „თოლაბულისის სარტყელი“. მონაწილეობენ: გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე, შ. კარმელი, ლ. მაჭავარიანი, რ. გოგობია, გრ. ცეცხლაძე, კ. ებრალიძე, გ. მეგრელიშვილი, შ. ლონდელი, ლიენა ლანდი და სხვ.“<sup>11</sup>

**[30 მარტი]** ჟურნალ „თოლაბულისის სარტყელში“ დაიბეჭდა გალაქტიონის „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, რომელიც დათარიღებულია 1917 წლით.<sup>12</sup>

ამავე ჟურნალში, ბოლო გვერდზე, გამოქვეყნებულია ცნობა: „იბეჭდება გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნი.“

„გაზეთში „ჩვენი ქვეყანა“ (1919 წ. №№ 62,63) დაიბეჭდა ორი რეცენზია ჟურნალ „თოლაბულისის სარტყელის“ №1 გამოსვლასთან დაკავშირებით (გ. გორგაძისა და მარინეტისა (?)) ორივე რეცენზენტი დიდ ადგილს უთმობს გ. ტაბიძის ლექსის „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ განხილვას. მარინეტი ეჭვს გამოსთქვამს ლექსის თარიღის გამო. იგი წერს „ლექსის დატა აღნიშნულია 1917 წლით, რაც ჩვენ საფუძვლიანად გვაეჭვებს: ლექსი უფრო ორიოდ თვისაა [ე.ი. 1919 წ.] ვიდრე ორიოდ წლისა („ჩვენი ქვეყანა“ 1919 წ., №63). რა იყო მარინეტის ეჭვის საფუძველი ძნელი დასადგენია. თავის ერთ-ერთ ჩანაწერში, ეხება რა ამ ლექსის ისტორიას, გალაქტიონი წერს: შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ დაიბეჭდა პირველად ჟურნალ „თოლაბულისის სარტყელში“ (1918) (!) წ. ის უცვლელად იქნა შეტანილი წიგნში „Grane aux fleurs“... „უცვლელადვე დაიბეჭდა ამ ტომში. ასეთი რიტმი და მეტრი პირველად იქნა შემოღებული ამ ლექსით...“<sup>13</sup>

**[მარტი].** გამოვიდა ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“. თანამშრომლები: აბაკელია გრ., ამირეჯიბი შალვა, არაყიშვილი დიმ... ტაბიძე გალაქტიონ... ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია გალაქტიონის „თეატრები“: „რეჟისორი. პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის გამოცდილ რეჟისორს. ჰამლეტ. არა! პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეფერის დახლოვნებულ მსახიობებს... ოფელია. მე მინდა ვთქვა, რომ უმთავრესი პიროვნება თეატრში არც რეჟისორია და არც აქტიორი: ყველაზე უმთავრესი ისევ ჩვენი ძვირფასი თეატრია: უნდა ამაღლდეს იგი მაღალ ხელოვნებად! აი, რას ვუსურვებთ მათ ყოველი სეზონის დასაწყისში. გალაქტიონ ტაბიძე. თფილისი, 1919, თვე მარტი.“<sup>14</sup>

**12 აპრილი.** „17 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ტიცინ ტაბიძის პოეზიის საღამო. გერონტი ქიქოძე წაიკითხავს მოხსენებას: “ახალი ქართული პოეზია“... სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ილია ზდანევიჩი, გ. ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, შალვა ამირეჯიბი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ყანჩელი...“<sup>15</sup>

**[24 მაისი].** გამოვიდა სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალ „თოლაბულისის სარტყელის“ მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონის ლექსი: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“.<sup>16</sup>

**[24 მაისი].** ჟურნ. „თოლაბულისის სარტყელი“ (№2) იუნყება: „დაიბეჭდა და იყიდება. გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, ტ. II „Grane aux fleurs artistiques“ (1914-1919).“<sup>17</sup>

ლექსები (რომელთა უმრავლესობა შევიდა 1919 წელს გამოცემულ კრებულში „არტიტული ყვავილები“) წარმოადგენდნენ განსაკუთრებით „ორთოდოქსალურ“ რკალს გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში როგორც თავისი მსოფლმხედველობით, ისე პოეტური გამოხატვის ფორმით. მათი ავტორი შეიძლება აღიარებულ იქნას ყველაზე მართლმორწმუნე სიმბოლისტად XX საუკუნის პოეზიაში.“<sup>18</sup>

**25 მაისი.** საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის ტფილისის სარაიონო გამგეობის მიერ გამართული იქნება დიდი სადღესასწაულო საღამო-კაბარე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ვ. სარაჯიშვილი, მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული, მგოსნები: ი. გრიშაშვილი, მარიჯანი, გ. ტაბიძე...<sup>19</sup>

**8 ივნისი.** „დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების II ტომი. წიგნი პირველ ხანებში გაიყიდება შემდეგ ადგილებში: სასახლეში, საქვეტრო ნაწილში და გაზ. „ერთობის“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციებში.“<sup>20</sup>

**11 ივნისი.** დღეს, სახალხო სახლში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. საქართველოს ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ სიტყვას წარმოთქვამს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე... სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ: გალაკტიონ ტაბიძე, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ს. ნეველი, ნ. ჩხიკვაძე...<sup>21</sup>

**13 ივნისი.** „რედაქციას მოუვიდა გ. ტაბიძის კრებული: „Grane aux fleurs“. წიგნი ლამაზად არის გაფორმებული და შეიცავს 126 გვერდს და ღირს 25 მან.“<sup>22</sup>



რას ნიშნავს წიგნის ფრანგული სახელწოდება, რომლის ქართულად თარგმნა გვიხდება დღეს? „არტიტული ყვავილები“ – ასეთი შემოკლებით დამკვიდრდა, თითქოს მთავარი ყვავილები იყოს... ასეა თუ ისე, ისინი მთელი კრებულის დევიზს წარმოადგენენ, მათში სიკვდილის მეტაფიზიკური ესთეტიკა იკითხება... „არტიტული ყვავილების“ ხანაში, რომელიც მოიცავს 1914-1919 წლებს... მისი ეგზისტენციალური გარდატეხის წლებს, საბოლოოდ გაირკვა მისი პოეტურ-კულტურული ორიენტაცია. პოეზიის სამშობლოდ მან პოვა ევროპული უნივერსალიზმის რანგში აყვანით ფრანგული პოეზია („ფრანგი“ მისთვისაც „ევროპელის“ სინონიმია)... საბოლოოდ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ სამმაგ მისიაზე, რაც დააკისრა მუზამ ამ წიგნს ჯერ ავტორისთვის, მერე მკითხველისთვის, ბოლოს ქართული (ალბათ არა მხოლოდ) პოეტური კულტურისათვის.<sup>23</sup>

**14 ივნისი.** „საჩაიე „ძმურ ნუგეშში“ დღეს იმართება საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა ტფ. კომიტეტის დღე. დილიდანვე ორკესტრი. სალამოს პოეტები: ს. ფაშალიშვილი, გ. ტაბიძე, ლ. ჯაფარიძე, ი. მჭედლიშვილი, ტ. ტაბიძე... წაიკითხავენ ლექსებს...“<sup>24</sup>

„მესამე რაიონის ს.ს.დ.მ.პ. კოლექტივი, ავლაბრის კლუბში, კახეთის ქ. № 1, მართავს 14 ივნისს, შაბათს, დიდი სალამოს კულტურული მიზნების ფონდის გასაძლიერებლად. მოხსენებას მომენტზე წაიკითხავს ამხ. ი. გომართელი. ლიტერატურულ განყოფილებაში ლექსებს წაიკითხავენ მგოსნები: გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი...“<sup>25</sup>

**22 ივნისი.** ქართულ კლუბში მესხეთ-ჯავახეთის დღე! სალამოს დიდი სეირნობა! ახალი გართობები! ქართული დუქანი – ქეიფი დილამდის, კონცერტი... პოეზია: პ. იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, გალ. ტაბიძე, თავუნა.“<sup>26</sup>

**29 ივნისი.** ორთაჭალის საზაფხულო მუშათა კლუბში კვირას, 29 ივნისს, გაიმართება ფრონტზე მყოფ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ დიდი სეირნობა-სალამო... III. დივერსიმენტი, გამოვლენ: ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე...“<sup>27</sup>

**9 ივლისი.** „თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. ტაბიძის ახალი წიგნი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენს ახალ პოეზიაში... წელში გამართვა ქართული თანამედროვე ლირიკის... როგორც ლირიული შემოქმედება, გ. ტაბიძის მეორე წიგნი შედევრია ჩვენს ახალ პოეზიაში. მას ახასიათებს ორი მნიშვნელოვანი რამ, შინაარსის სიფაქიზე და ტექნიკური სისრულე. ავტორი დიდი ნიჭის პატრონია. თუმცა ამ წიგნის მიხედვით გადაწყვეტა მისი პოეზიის ბედისა ძნელი არის. ძნელია ერთი კალმის მოსმით გადაჭრა იმისა, თუ ვინ არის გალაკტიონი, მეორეს მხრივ, ელემენტარობა მის პირველ წიგნის შინაარსისა, ხელს უშლის მას ცნობილ იქნეს კოლოსად ჩვენ ახალ ლირიკაში. ყოველ შემთხვევაში, პოეტის შემოქმედება განსხვავებულია, ამ მხრივ მას წინაპარი არ ჰყოლია... ბოდლერის ხაშხაში და გალაკტიონის ღვინო ორ სხვადასხვა ნიადაგზე არიან აღმოცენებული...“<sup>28</sup>

**ივლისი.** ჟურნალში „სმარაგდი“ დაიბეჭდა გალაკტიონის "ხიდი რიალტო მთის მდინარეზე" (№1, გვ. 3). აქვე დასტამბულია ვ. გ. -ს (ვასო გორგაძე) წერილი გალაკტიონის წიგნზე: „Grane aux fleurs artistiques“ და ცნობა: "ქუთაისში გამოვიდა „ახალი პოეზიის ანტოლოგია"... მასში გალაკტიონის ლექსებიცაა გამოქვეყნებული: „ლურჯა ცხენები“, „დედაო ღვთისავ“, „მე და ლამე“. „ლურჯა ცხენები" პირველად ჟურნალ „ცისფერ ყანნებში" დაიბეჭდა (1916, №1), „დედაო ღვთისავ" პირველად ჟ. „თეატრი და ხელოვნებაში" გამოქვეყნდა (1917, №1), შემდეგ ავტორმა მას „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში" უწოდა. „მე და ლამე" კი პირველად ჟურნ. „ოქროს ვერძში" (1913 № 4) დაიბეჭდა.

**24 აგვისტო.** იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში: გალაკტიონ ტაბიძე: ლექსები, ტომი მეორე (1914-1919). მსურველთ წიგნი გადაეგზავნება პროვინციაში. წიგნი უნდა მოითხოვონ შემდეგი მისამართით: თფილისი, გაზ. „ერთობა“, წიგნის ფასი 25 მან.<sup>29</sup>

**28 აგვისტო.** გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა „გალაკტიონ ტაბიძის ლექსები უკანასკნელი წიგნიდან: „Grane aux fleurs“. სულ დაბეჭდილია ექვსი ლექსი: „მთანმინდის მთვარე“, „თოვლი“, „ატმის ყვავილები“, „შიშველი“, „სიკვდილი მთვარისაგან“, „შენ ერთი მაინც.“<sup>30</sup>

**28 აგვისტო.** გაზეთი „ერთობა" ბეჭდავს გალაკტიონის ლექსებს ახალი წიგნიდან: „მას გახელილი დარჩა თვალები" და „რამდენიმე დღე პეტროგრადში."<sup>31</sup>

**29 აგვისტო.** „პარასკევს, აგვისტოს 29-ს პროფესორი ენრი ბროჯი სახელოსნო კლუბში გამართავს კონცერტს და პოეზიის საღამოს. აკაკი პაპავა წაიკითხავს რეფერატს „თქმა ხელოვნებაზე“. მონაწილეობენ ახალგაზრდა მგოსნები: ს. ფაშალიშვილი, გ. ტაბიძე, ი. მჭედლიშვილი...<sup>32</sup>

**31 აგვისტო.** „პროფ. ენ. ბროჯის კონცერტი და პოეტების საღამო სახელოსნო კლუბში არაჩვეულებრივი წვიმის გამო გადადებულ იქნა ოთხშაბათს, 3 სექტემბრისთვის“.<sup>33</sup>

**3 სექტემბერი.** დღეს პროფ. ენრიკო ბროჯი მართავს კონცერტს და პოეზიის საღამოს... პოეტები: გ. ტაბიძე, მჭედლიშვილი, ფაშალიშვილი, გ. ლეონიძე... წაიკითხავენ ლექსებს,<sup>34</sup>

დიდი ანშლავით იუწყებოდა ქართული პრესა გალაკტიონის ლექსების მეორე კრებულის: „Grane aux fleurs artistiques“ გამოსვლას. ამ წიგნით იწყება სრულიად ახალი ხანა ქართული პოეტური კულტურისა.<sup>35</sup>

**16-25 სექტემბერი.** გალაკტიონი მონაწილეობს სალიტერატურო დილა – საღამოებში: ხაშურში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიიაში, ახალ-სენაკსა და ოზურგეთში.<sup>36</sup>

**26 ოქტომბერი.** გალაკტიონი ქუთაისშია, ისევ სიმონ ჩხეიძის სტუმარი. „რესტორანში სადილობა გაუგრძელდათ. მერე არქიელის გორაზე ასვლა მოისურვა პოეტმა, მშობლიურ ქალაქს უნდა გადმოვხედოო... გვიან დაეშვნენ... ოჯახში გააგრძელეს სერობა. გამოთხოვებისას შეითხზა ეს „მიძღვნა“: „უძღვნი „სიმონიკას“. სიმონიკა სამუდამოთ იყოს ჩვენი აქ მოსვლა ლამის 12 1/2 საათზე არქიელის გორიდან რომ დავბრუნდით. იყოს სამუდამოთ ეს ჩვენი ამხანაგობა და არავის არ .....? შენი ძმა და მეგობარი გ. ტაბიძე 26 ოქტომბერი 1919 წელი. კიდო ლამის 12 1/2 საათზე აქ ვიყავი.“<sup>37</sup>

**9 ნოემბერი.** ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (№ 12) ბეჭდავს სურათს: „მგოსანი გ. ტაბიძე (ნახ. დ.კ. – დ. კაკაბაძე) ახალი რომანსის „მერის“ სიტყვების ავტორი.“ აქვეა დაბეჭდილი ვალერი ჯვარიძის პორტრეტი: ახალგაზრდა, ნიჭიერი მომღერალი, „მერის“ შემსრულებელი.“

ნიკა აგიაშვილს თავის წიგნში: „პირად-პირადი“ მოტანილი აქვს ვალერი ჯვარიძის მოგონება: „მერიმ“ ძალიან გაგვითქვა სახელი - ავტორსაც და მეც - როგორც კომპოზიტორსა და მომღერალს... გალაკტიონი ძალიან ბრაზობდა: რა ამბავია, ჩემ მოკლე და სხარტ სახელსა და გვარს ეს შენი გრძელზე გრძელი ვალერიანე ჯვარშიშვილი რად მიფუჭებს და მიმახინჯებსო. თუ სახელსა და გვარს არ გამოიცვლი, ამიერიდან აღარ იმღეროო. რა მექნა არ ვიცოდი... იოსებ იმედაშვილმა გვიშველა... ამიერიდან ვალერი ჯაჭვადე დაირქვი და შენი სახელი და გვარიც გალაკტიონივით მოკლე იქნებაო. თანაც იმ „მერის“ ნოტებიცა და ჩემი სურათი, ახალი სახელითა და გვარით თავის ჟურნალში მოათავსა.“<sup>38</sup>

**30 ნოემბერი.** „ვალერი ჯვარიძემ დასწერა ახალი რომანსები: ... „მწარე მელოდია“, სიტყ. გ. ტაბიძისა და როიალისათვის „მტკვრის დუდუნი.“<sup>39</sup>

**21 დეკემბერი.** დღეს, 12 საათზე ქართულ კლუბში გაიმართება სალიტერატურო დილა სტუდენტთა სალიტერატურო წრის სასარგებლოდ: 1) ლიტერატურული პერსპექტივები – ლექცია ა. პაპავასი. 2) კაზმული სიტყვა: დ. მეგრელი, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი...<sup>40</sup>

**26 დეკემბერი.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სალიტერატურო წრე აწყობს სალიტერატურო დილას ქართულ კლუბში კვირას. დეკემბრის 28-ს დილას, ათ საათზე დეკემბრის 21-სთვის ნაყიდი ბილეთები გამოდგება.<sup>41</sup>

**28 დეკემბერი.** კვირას, 28 დეკემბერს, დილის 10 საათზე ქართულ კლუბში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის სასარგებლოდ გაიმართება დილა. მონაწილეობენ: აკაკი პაპავა, დავით კლდიაშვილი, დუტუ მეგრელი, გალ. ტაბიძე...<sup>42</sup>

**[31 დეკემბერი].** ჟურნ. „ტფილისში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „ტფილისი“; იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული ჟურნალის ყდაზე

ალბეჭდილი წარწერიდან („საყვარელ სოსოს არ. გაბუნისასგან. 31. XII. 919 წ.“) ჩანს, რომ ჟურნალის ეს ნომერი 31 დეკემბერს უკვე დაბეჭდილი იყო.<sup>43</sup>

[1919]. „...თანამედროვე პოეზიას აუცილებლად დიდი კავშირი აქვს ძველ საქართველოსთან. ახალმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, რომელიც 1908 წლიდან დაიწყო, შეეცადა წარსულისაგან შეუსრულებელი იდეების გატარებას, შემოიტანა რა თანამედროვე პოეზიაში ახალი სტილი: სტილი უფრო ღრმა, რთული, ხელოვნური, ნიუანსებითა და ძიებებით სავსე, განშორებული წინანდელ ჩვეულებრივ ენას. ყველა პალიტრების ფერებით, ყველა ტექნიკურ ლექსიკონების სიტყვებით, ყველა კლავიატურების ნოტებით, იდეები უკანასკნელთა მიერ გადმოცემულნი არიან გამოუცნობელი და ძლივს შესამჩნევი, ძლივს დასაჭერი

იხილა და მოლოყიყა შაყუაძისა, ილინ უკვალ შაკუთზე  
 ყაყა უკვალზე ზუკუარე მათა.  
 ირება ძვირუა საღიჟჟე ჩუბი ღოო, მესამ ჩუკი აყნა  
 .მეკ აკვუკუაძიიში ძალი ბიკა

---

ვიცი ქაი იმ გონებ, რომებო მუხტენ ამ გუგოთ, ანაშტყეკო  
 იმ ზღობებ მიქსვამ ლეკყოთ, დასაკაოთ მანებ, რომელებ აჯობს ამ მკათა ანებ  
 ლოკებ, და მათკით რსტონო ცხიბო ყაყუა მანებ, მათი საზოგადო ყაყუაოთ  
 კაკუხეხეხიოთ ცხეკა ნაზნა უკვალ, რომელებ მონებ მონებებუაღი ჩაკო  
 აბი (ჩრდეთი) მხებთაი კიბი იკოთ, რომელები უკვალთა მხებთაი (მხებთა) მხებთა  
 აკიბი მათო, ეკ დაბაზოთ, რომელები უკვალთა მხებთაი (მხებთა) მხებთა  
 აკიბი მათო, ეკ დაბაზოთ, რომელები უკვალთა მხებთაი (მხებთა) მხებთა

კიბი მათო, ეკ დაბაზოთ, რომელები უკვალთა მხებთაი (მხებთა) მხებთა  
 კიბი მათო, ეკ დაბაზოთ, რომელები უკვალთა მხებთაი (მხებთა) მხებთა  
 კიბი მათო, ეკ დაბაზოთ, რომელები უკვალთა მხებთაი (მხებთა) მხებთა

მანა ეკ მუხტოთა ჭკუაგო ნაგანოთ მკათა მკათა  
 მკათა მკათა (მკათა) მკათა მკათა მკათა მკათა მკათა  
 მკათა მკათა (მკათა) მკათა მკათა მკათა მკათა მკათა მკათა  
 მკათა მკათა (მკათა) მკათა მკათა მკათა მკათა მკათა მკათა  
 მკათა მკათა (მკათა) მკათა მკათა მკათა მკათა მკათა მკათა

ამ ყბაქმამთ, რომი კი ტან  
 იახილო სუკემ, ემოკსენ  
 მკათა მკათა

ანარეკლით, ფორმა კი გადმოცემულია ნისლიდან და დაბურულ სახეებით. სტილი სავსეა ნევროზით, მოუშორებელ იდეების გალუცინაციებით, რომელნიც პირდაპირ შეშლამდე, შერყევამდე მიდის. ეს სტილ დეკადანსისა, – უკანასკნელი სიტყვაა ჩვენში ენის, რომელმაც უნდა გამოთქვას ყველაფერი და, რა თქმა უნდა, ადვილი არაა ყველაფერი ეს, რადგან იგი აძლევს გამოთქმას ახალ იდეებს, ახალ ფორმებს, ახალს კიდევ ჯერ არმოსმენილ სიტყვებს. ეს პირდაპირი წინააღმდეგობაა კლასიკური სტილის. ახალ სტილში არის ბუნდოვანება და ამ ნისლში ძლივს გასარჩევად ირევან ცრუმორწმუნოების სათლები, უძილო ღამეების საშიშარი აჩრდილები... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც კი მოწყენილს, გამოუსახველს და გაუგებრად საშინელს ინახავს სული თავის უძირო და შეუცნობელ ხვეულებში...“<sup>44</sup>

**[1919].** „ძვირფასი საფლავეები“. ავტოგრაფი წარმოადგენს რვეულს, რომელშიც, როგორც ჩანს, გალ. ტაბიძე იწერდა შენიშვნებს ქართველ მწერლებზე... რვეულის დასაწყისში სათაური არ წერია, ერთ-ერთი აბზაცის დასაწყისში მიწერილია – „ძვირფასი საფლავეები“, ეს მინაწერი მთელი წერილისათვის შესაფერის სათაურად ვცანით“.<sup>45</sup>

**[1919]** წელს დაწერილი ლექსის „ქარი არხვედა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში“ სათაური ავტოგრაფის და ნაბეჭდი წყაროების მიხედვით გასწორდა: „იტალიური“ შეიცვალა „იტალიანურით“.<sup>46</sup>

საარქივო ოცდახუთნიგნეულში 1919 წელს დაწერილ ლექსებს დაემატა – პირველი პუბლიკაციის მიხედვით დათარიღებული: „სიბერე“, „სამრეკლო უდაბნოში“ და „სიმორით შენით“.<sup>47</sup>

1919 წელს გალაკტონმა გამოსცა თავისი მეორე წიგნი. „არტისტული ყვავილებით“ დგას იგი ქართულ პოეზიაში, როგორც ახალი რუსთაველი. მხოლოდ რუსთაველს თუ ჰქონდა ასეთი გულისმომკვლელი ლირიზმი და სიტყვის ძალა. ჯერ 28 წელი არც კი შესრულებოდა, მაგრამ წინ ელოდნენ ახალი ლურჯა ცხენები, ეფემერები, შინდისის ჭადრები და შემოდგომის ბლონდები ... მთელი სამყაროს ბზარები გულზე აჩნდა, ყველას სატკივარს იტევდა, მაგრამ მარტობას მაინც ვერ სძლევდა. „ახლა მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია“, გოდებდა იგი – „ლურჯა ცხენებისა“ და „თოვლის“, „მთანმინდის მთვარისა“ და „სილაჟვარდის“ ახალგაზრდა ავტორი, ვისაც შეეძლო ერთბაშად დაებეჭდა ასი ახალი ლექსი და ვიდრე ხალხი გაოგნებისაგან გამოერკვეოდა – კიდევ ასი ლექსი!... მთელი ქართული ლირიკის შედევრების თითქმის ნახევარი გალაკტიონს ეკუთვნის. ამ ლექსების ნაკითხვის შემდეგ განცვიფრება და შიში გვიპყრობს – როგორ შეეძლო ადამიანს დაენერა ისინი და თუ დაწერდა, ცოცხალი დარჩენილიყო!.. იგი მართლაც დემონი იყო, რომელიც ბოჰემის სამოსელს ატარებდა.“<sup>48</sup>

**1 იანვარი.** „... ვაჟა-ფშაველას... „მჭვარტლიანი ჩონგურის“ უკანასკნელ-  
მა ამოკენესამ – დაამთავრა საქართველოს ბუმბერაზ მწერალთა პერიოდი. გა-  
დის ხანი და შემოქმედების სადღოლო მოედანი თითქმის ცარიელდება... ჩნდებიან  
პატარა ლანდები და ზოგი მათგანი იზრდება... ჯერ შანშიაშვილის დარბაისელი  
ლანდი გაიღვებს... ჩაივლის გრიშაშვილის ცქრიალა მუზა... ჩაივლის მზე და ლა-  
მის უგზობაში „ტანზე ნაბადშემოხვეული“ მარტო, ვით სული გამოჩნდება გვი-  
ანი მგზავრი გ. ტაბიძე...<sup>1</sup>

**1 იანვარი.** დაიბეჭდა და იყიდება „მერი“. სიტყვები გ. ტაბიძის, მუსიკა მა-  
სენესი, სიმღერა ვ. ჯვარიძის, გამოცემა ნ. დეძირბაშვილისა.<sup>2</sup>

**1 იანვარი.** „იანვარში გამოვა ყოველთვიური „შვილდოსანი“. მონანილეო-  
ბენ: შალვა ამირეჯიბი, ა. არსენიშვილი, შალვა აფხაიძე, გალაკტიონ ტაბიძე...“<sup>3</sup>

**3 იანვარი.** „სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა ლექსები ჩვენი ცნო-  
ბილი პოეტების, მაგრამ შესამჩნევი ნაყოფიერება არავის გამოუჩენია, გარდა  
ვარლამ რუხაძის, გაფრინდაშვილის და გალაკტიონ ტაბიძისა... პირველი წიგნის  
გამოსვლის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე დიდხანს სდუმდა. ეს გარემოება განსა-  
კუთრებით იყო საწყენი ჩემთვის, რადგანაც პირველ ტომში უტყუარი ნიჭი სჩან-  
და და ამავე დროს ბარათაშვილის მონათესავე სული.

მეორე წიგნში გალაკტიონი იმდენათ გაიზარდა, რომ ასეთი დიდი ნაბიჯი  
ჩვენს მწრლობაში მეტათ იშვიათი მოვლენაა. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება  
ცხოვრებამ ვერ ჩაკლა, მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდანვე ცუდ პირობებში  
იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ის  
საგრძობლად გაიზარდა და მისი მეორე წიგნი ჩვენი ახალი პოეზიის ერთი სა-  
უკეთესო თვალია... პირველად როცა ჰკითხულობთ გალაკტიონის მეორე წიგნს,  
ის, თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების გამო გაურკვეველ შთა-  
ბეჭდილებას სტოვებს. როდესაც რამდენჯერმე წაიკითხავთ, მხოლოდ მაშინ  
შესძლებთ იმის ჩანვდომას, გაცნობას, დაფასებას და მისი პოეზიით ტკბობას.  
გალაკტიონის ახალი წიგნი სარკეა პოეტის სულისა, აქ მან ჩაგვახედა იშვიათი  
ლირიზმით გაჟღენთილ პოეზიაში. იმდენად ნაზი, სათუთი, ფაქიზი, წმინდა და  
მომხიბლავი გრძნობაა, ხან ჩუმი და წყნარი, ხან უსაზღვრო, უნაპირო, უძირო  
სევდით დათალხული, – გრძნობა, რომელიც სულისა და გულის სიღრმეში გწვდე-  
ბათ და მთელს არსებას იბყრობს, იმონებს, ბარათაშვილის შემდეგ პირველად  
არის ჩვენს პოეზიაში... გალაკტიონის მეორე წიგნში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ  
ნაძალადევ რითმას. რითმები და ასონანსები აქ ერთი მეორეს ეჯიბრებიან და  
რიტმათა გადაჯგუფებაში მას ტოლი არა ჰყავს... აიღეთ მისი ლექსები ლურჯა  
ცხენები, Voiles, ატმის ყვავილები, ის. აქ რითმები მარტო ბოლოში კი არ არიან,  
არამედ შიგ სტრიქონების შუაგულში... დარწმუნდებით როგორის ხელოვნებითა  
აქვს ავტორს აწყობილი რითმები შიგ შუაგულ სტრიქონებში. ასეთი რითმებით  
მოქარგული ლექსები ჩვენს ახალ პოეზიაში მხოლოდ გალაკტიონსა აქვს. გალაკ-

ტიონის სული მეტად ნაზია, გრძნობით აღვსილი. ამიტომ ის ვერ ასცდა გავლენას და იმის მეორე ტომს საკმაოთ ამჩნევია კვალი სიმვოლიზმისა. თუ გაფრინდაშვილის პოეზიას ახასიათებს ერთგვარი მისტიური შიში, აქაც იმავესა ვხედავთ, ან გგრძნობთ გალაქტიონის შემოქმედებაში.

სიმვოლისტებს სჩვევიათ ბუნდოვანად, გაუგებრად წერა. გალაქტიონის მეორე ნიგნშიც არის რამდენიმე ლექსი, რომლის აზრი მეტად ბუნდოვანია. ყოველივე ეს არის შედეგი მიბაძვისა და არ წარმოადგენს გალაქტიონის ნიჭის თვისებას. ამიტომაც რაც ადრე მიატოვებს პოეტი ამ დროებითს ნახტომს ამაზე და მიენდობა მხოლოდ თავის ნაზ და ლამაზ, ტკბილს სევდით დათენთილ აღმაფრენას, მით უფრო ნაყოფიერი და უფრო სხივოსანი იქნება მისი შემოქმედება. საზოგადო მიმოხილვაში უალაგოა ვრცლად დახასიათება გალაქტიონის პოეზიისა. იმის სევდას, როგორც ბარათაშვილის გულის კვნესას, ხშირად საპირადო სარჩული უძევს. გალაქტიონი გრძნობს თავის ნიჭს და სულიერ ძალას, იმას საკმაოდ განვითარებული თავმოყვარეობა აქვს და ამავე დროს მეტად ნაზი გრძნობა. სინამდვილე ჯერ არ აძლევს მას რაც საჭიროა, რომ მისმა ნიჭმა დაუბრკოლებლად გაშალოს ფრთები. აი, აქ არის ახსნა იმისი, რად იმეორებს პოეტი: რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ. გალაქტიონ ტაბიძე დიდი ნიჭია და მას დიდი ყურადღება უნდა, სხვანაირი მობყრობა. ეს ყურადღება და მობყრობა მან დაიმსახურა.<sup>4</sup>

**[7 იანვარი]** „გ. ტაბიძის მეორე ტომი. ტაბიძე სხვანაირია. იგი ყველა ჩვენ პოეტებზე უფრო ფანტასტიური ადამიანია. მისი მეორე ტომი მეტად განირჩევა მის პირველ ტომისაგან. და როგორც მის პირველ ტომში, ისე აქაც, მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი და ავტორის დამახასიათებელი. საკვირველია, რომ დასავლეთ საქართველოს პოეტებს ქართული ენა ვერ ეხერხებათ. გაფრინდაშვილს თავის „დაისები“ სავსე აქვს პროვინციალურ გამოთქმებით. მაგ. ჩაყენილი, ლურჯი, ქალურებ, დაღალდი, გარება და სხვ. გალაქტიონ ტაბიძემ კი უკვე მოიხსნა თექა პროვინციალური (წინათ ჰქონდა: ცვენა) და როგორც ყოფილი სემინარელი და ნიჭიერი პოეტი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდება ქართულ ენას. გალაქტიონს თავისი ღირსება-ნაკლულოვანებით – ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ნაფიცი კრიტიკოსები ამ წიგნზე სდუმან, მათ უფრო ეინტერესებათ სიმბოლისტების დაბალი შკოლა (კრონოსის სარკე, სმარაგდი, აისი, თოლაბულუსის სარტყელი და სხვ.) ვიდრე ნიჭი, ხალასი, უმეშვეო და თავისებური. მე ვამზადებ ვრცელ გამოკვლევას ამ სათაურით: „ასონანსები ძველ მწერლებში“, ხოლო ახლებში კი უნდა ითქვას, რომ არც ერთს პოეტს არ ეხერხება ასონანსები ისე, როგორც გალაქტიონს. ჩამოთვლა ნუ გვინდა. აჰფურცლეთ წიგნები და ირწმუნეთ! პირადათ მე მომწონს მისი: „ლურჯა ცხენი“, „მერი“ და „პირიმზე“. ამ უკანასკნელში თინათინობს საქართველოს ყოფილი სევდა.“<sup>5</sup>

**14 იანვარი.** „ამ შენობაში“ (სასტუმრო „კავკაზი“ – მ.შ.) ერთხელ მივიყვანეთ ავადმყოფი ტიცვიანი: იგი არ ვიცი, სიმთვრალისაგან, არ ვიცი რისგან, სულს

ძლივს ითქვამდა... ერთი სიტყვით ძალიან უგრძობლად იყო. მოვეხვიეთ ყველა-  
ნი, ხელით ავიყვანეთ და საქორწილო ოთახიდან აქ გადმოვიყვანეთ.“ როგორც  
ტიციანის მეუღლის ნინო ტაბიძის მოგონებიდან ირკვევა, ეს შემთხვევა 1920  
წლის 14 იანვარს მომხდარა.<sup>6</sup>

**16 იანვარი.** „მე მივყვებოდი მწუხარებას შეყვარებული და ქარვისფერი“  
ამბობს გ. ტაბიძე. ეს მწუხარება საშუალებაა ბუნებაში შესასვლელად, მაგრამ  
თუ სხვას ბუნებაში შესვლა, მასთან შესხეულება, კოსმოსის ზიარება სიხალისეს  
გვრის, მსოფლიოს მიღებას ამკვიდრებს, ტაბიძისათვის ასეთი ზიარება შვება  
არაა, მას ისევ მწუხარება ატკობს... გ. ტაბიძეს... პანთეიზმი პიროვნებას ვერ  
უკლავს. მსოფლიო ყოფის ყოველ გამომხაურებას ემუსიკება ავტორის ქნარი,  
მაგრამ მისი პიროვნება არასოდეს არ იჩრდილება... სევდით მიღება მსოფლიოსი,  
აი, მისი სტიქია. მისი რელიგია მწუხარებაა, მაგრამ მას იგი ღმერთისთვის არასო-  
დეს დათმობს, მისი ბუნება უაღრესად სუბიექტურია და მას უყვარს საკუთარ  
„მეს“ გახმაურება ბუნებაში...“<sup>7</sup>

**17 იანვარი.** „... გ. ტაბიძე არისტოკრატია ჩვენს პოეზიაში ამ სიტყვის ღრმა  
მნიშვნელობით.“<sup>8</sup>

**17 იანვარი.** „არტიტული საზოგადოების“ დარბაზებში შაბათს, 17  
იანვარს, ტფილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლასის უსახსრო მონაფეთა  
სასარგებლოდ ეწყობა ბარ-კაბარე: 1) ლიტერატურული განყოფილება. მონაწი-  
ლეობენ: პაოლო იაშვილი, ქუჩიშვილი, ჯაფარიძე, ტაბიძე გალაქტიონი და კა-  
მენსკი.“<sup>9</sup>

**25 იანვარი.** „ტფილისი“. ხელოვნებათა და ლიტერატურის ყოველკვი-  
რეული ჟურნალი მიიღო რედაქციამ. ჟურნალში მოთავსებულია გ. ტაბიძის, გ.  
საგანელის და სხვათა ნაწარმოებები. სუფთათ არის გამოცემული, შეიცავს 16  
გვერდს.“<sup>10</sup>

**[25 იანვარი].** გამოვიდა ჟურნალი „ტფილისი“, რომელშიც დაიბეჭდა გა-  
ლაქტიონის ლექსი: „ტფილისი“ (№ 1). მოგვიანებით ის იბეჭდებოდა სათაურით  
„თბილისი.“

„მეათეჯერ წავიკითხე ეს თეთრყდიანი წიგნი და ვიცი კიდევ მრავალჯერ  
დავუბრუნდები, რადგან აქ ყოველი ლექსი ლამაზი სიზმრით მასწავლებს. აქ  
სინამდვილე მთვარის შუქით დაფერილი სიზმარეთია... ამჟამად კი ცხადია: სა-  
ქართველოში მოდის დიდი მწერალი და მას გზას ულოცავს ერის ეროვნული პო-  
ლიტიკური თავისუფლება. ჩვენ თვალ წინ ირღვევიან ხელოვნების დამჩრდილა-  
ვი სოციალური პირობები და ამიერიდან ხელოვნება არ იქნება მარტო ბრძოლის  
საყვირი, არც სიბრალულისა და სათნოების ფსალმუნად იქცევა იგი სილამაზე,



მშვენიერება! აი, რა იქნება მისი მიღწევა, თავისუფალი, ყოველგვარი დოგმატიზისაგან. აი, რა იქნება მისი დევიზი... სრულიად განსაკუთრებული გზით მიდის გ. ტაბიძე. ბუნებრიობა, ესთეტიკური სისპეტაკე და ლიტერატურული სინდისი-ანობა. ამავე დროს იგი მთელი თავისი ტემპერამენტით, შეშლილი ნერვებით და ნაღვლიანი ოცნებით ახალი კულტურის წინამორბედი. გ. ტაბიძემ შექმნა ჩვენში შკოლა: წმინდა ესთეტიური (განა ეს ადვილი საქმეა?) მეორე მხრით დღეს ფორმისა და სტილის დაძლევისათვის ბევრი ნიჭი ვირტუოზობს. გალაკტიონისებური ბუნებრიობა, მისებური სიმარტივით მიღწევა იშვიათია. ლექსებში თქვენ გესმისთ შოპენის მელოდოები, გხიბლავთ ისეთივე სირბილე და რიტმთა გრძნეულება, როგორც შოპენის მუსიკაში. ჭეშმარიტად, გენიალური გალაკტიონის მსგავსად ბევრს არავის აქვს უფლება სთქვას: „საქართველო! შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე/ ჩემს მეგობრობას,/ უფრო მხურვალედ/ ვინემ მე შენსას!“<sup>11</sup>

**[25 იანვარი].** „მიუდგომელი მინდა ვიყო. გალაკტიონ ტაბიძე ჭეშმარიტი პოეტი არის – მაღალი რანგის. ეს ბევრს ავალებს მას. მისი ლიტერატურული ბიოგრაფია 1907 წლიდან იწყება. პერიოდი „სევდიან“ ლექსებისა მან განვლო და პირველ წიგნში ვალი მოიხადა თავის ახალგაზრდობის წინაშე. რამდენიმე წლის შემდეგ მისი მეორე წიგნი გამოდის, ჩვენ დიდის ყურადღებით შევხვდით მას, მით უფრო, რომ ჩვენ ის დასრულებულ პოეტათ მიგვაჩნდა „ცისფერ ყანწებში“ მოთავსებული ლექსების შემდეგ. „ლურჯა ცხენები“ შედეგია, თუმცა გალაკტიონ ტაბიძის ქმედით ინდივიდუალობას არ ეთვისება. ამ ლექსის შემდეგ ჩვენ სხვა შედეგებს ველოდით, მაგრამ წიგნში ვერსად აღმოვაჩინეთ ირრაციონალური პოეზია „ლურჯა ცხენებისა“, არსად არ მეორდება მისი საოცარი დინამიკით, იქნებ ეს უკანონო იყოს. შეიძლება ის შემთხვევითი ლექსია ალკოგოლის კომმარი, ცრემლებით და რითმით გაკეთილშობილებული. მთელი წიგნის მიღება გასაჭირია: აქ არ არის დაცული ესთეტიური კულტურა და მხატვრული სისწორე. პრეტენზიებს ჩვენ გვერდს ვუართ... არის სასტიკი ადგილებიც, უმხატვრო, ყალბი „ბუტაფორიის შეხლა“, ჩვენ ამას თამამათ ვამბობთ. მაგალითი:

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი  
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი (!?)  
ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი!  
სიკვდილი ერთი და უცაბედი.

(„რამდენიმე დღე პეტერბურგში“)... “ზოგიერთი შედარებები და მეტაფორები თარგმანია ჩვეულებრივ რუსულ სახეებისა, თუმცა სიძვირფასის შთაბეჭდილებას იძლევიან. მაგრამ ერთი რამ ითქმის უსათუოდ: წიგნში არის ამღერება (напев), და თუ სამი სტრიქონი ყალბია, მეოთხეში დიდ პოეტს იგრძნობთ. კარგი ლექსები: „მარმარილო“, „პარალელი“, „ედგარი მესამედ“, „სახლი ტყის პირად“, „შენი სადღეგრძელო“. გალაკტიონ ტაბიძისათვის სახიფათოა ის ქება, რომელიც მას ერგო ბ. გომართელის, პაპავას და სხვების მიერ. ეს სწრაფი მიღება არ არის გასახარელი მით უმეტეს, რომ მას ყველაზე პირველათ აგრარულ საკითხზე ჭკუა დაქნილი კრიტიკოსები ასხამენ ქებას...<sup>12</sup>

**[31 იანვარი].** „... ჩვენ ის აზრიც გამოვთქვით, რომ... დიდ პოეტად თანამედროვეებიდან შეიძლება გახდნენ შანშიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, აბაშელი, ნ. ჩხიკვაძე – თქო. არ ვიცი დანარჩენი სამნი როგორ გაამართლებენ ამ აზრს, ხოლო გალაკტიონ ტაბიძემ კი თავისი ლექსების მეორე ტომის გამოცემით კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი იმედები და დღეს უფრო თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაბიძე დიდი პოეტი იქნება. დიახ, ასეთია ჩვენი განმეორებითი დასკვნა ამ მგოსნის შესახებ, თუმცა როგორც ქვევით დავინახავთ, ბევრ რამეში არ ვეთანხმები პოეტს... გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ჯერჯერობით ორი ნიგნია გამოსული. პირველი ნიგნი 1914 წელს გამოვიდა, მეორე კი – ამ გაზაფხულში, ორივე ნიგნი ძვირფასი მარგალიტებია ქართული ლიტერატურისათვის, ჩვენს ხელოვნებას უთუოდ დიდი საგანძური შეემატა ამ ტომთა გამოცემით. მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალ კალაპოტში და ახალ ფორმებში ჩამდგარ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში უთუოდ ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს ნიჭიერი მგოსანი, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებში და ბევრ იმედებს ამყარებენ ჩვენი ლიტერატურის კეთილმსურველნი... ტაბიძის ხელოვნური ნიჭი იმდენად ძლიერი და მომჯადოებელია, რომ ყველას დაიმორჩილებს; თქვენ შეგიძლიათ არ გაინანილოთ ტაბიძის მსოფლმხედველობა, მაგრამ იმას კი ვერ უარყოფთ, რომ მისი ლექსების კითხვის დროს სწორედ იმ გრძნობას განიცდით, რასაც თითონ პოეტი განიცდიდა... დიდებულ მოვლენას (რევოლუციას) ტაბიძე აღტაცებით შეხვდა... მაგრამ ეს აღტაცება ნამიერი იყო, ტაბიძე იმდენად მომნიჭებული და ფეხ-მომაგრებელი აღმოჩნდა, რომ ამ უდიდესმა ტალღამაც ვერ მოაცვლევინა ფეხი, ის ვერ გადაეშვა რევოლუციის ემბაზში, რევოლუციამ მის გარეშე გაიარა, კოლექტივიზმმა ვერ სძლია ინდივიდუალიზმს... ტაბიძე, როგორც ხელოვანი თავიდანვე თითქმის უნაკლული იყო... მუსიკისა და რითმის მხრივ ტაბიძის პოეზია უმაღლეს ნერტილზე ასულად უნდა ჩაითვალოს, ასეთი სადა, მომხიბლავი და ძალადაუტანებელი რითმა თითონ გრიშაშვილსაც კი არ მოეპოვება, ამ მხრივ პირდაპირ აკაკია ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურისათვის... მე სრულებით არ თანაუგრძნობ მეორე ტომის ტაბიძეს, ვერ გავიზიარებ „ლურჯა ცხენების“ ფილოსოფიას, ეს მიმართულება არ მიმარჩნია საღათ და ცხოვრების შესაფერისად... ღრმად მჯერა ისიც, რომ ტაბიძესავით ღრმა და სრული ხელოვანი ამ გზაზე ვერ შეჩერდება, მრწამს რომ ტაბიძე ისევ პირველი ტომის ხაზს დაუბრუნდება და ადრე იქნება თუ გვიან თავს დააღწევს იმ მისტიურ ნისლს, რომელშიაც ის გახვეულა... მეორე ტომს აშკარად აზის სიმბოლიზმის ბეჭედი... გაუგებრობასა და სტილის ბუნდოვანებასაც, რაც ასე ახასიათებს სიმბოლიზმს... ჩვენის აზრით... ტაბიძე დაუბრუნდება პირველ ტომს, კვლავ აღინთებს ამქვეყნიურ სიდუხჭირესთან საბრძოლველ ცეცხლს... ვ. ხუროძე, ხონი, 1919 წ., აგვისტო.“<sup>13</sup>

**1 თებერვალი.** გალაკტიონის ლექსი: „წინამურში რომ მოჰკლეს ილია“ ავტორისეული თარიღია: „1920 წ. 1. II“.<sup>14</sup>

„ჩვენს ახალ პოეზიაში ფილოსოფიის ელემენტები ძლიერად მოიპოვებიან. მაგალითისთვის დავასახელებთ გ. ტაბიძეს, ვ. გაფრინდაშვილს, ს. აბაშელს – მათ შემოქმედებას.“<sup>15</sup>

**11 თეზისი.** ხუთშაბათს, თებერვალს 12-ს, ქ. ხაშურში. გ. ქუჩიშვილის და გ. ტაბიძის მონაწილეობით შესდგება მოხეტიალე მუსიკოსის ილიკო ქურხულის სალამო. ასეთივე სალამო გამეორდება სურამში, შაბათს, თებერვლის 14-ს.<sup>16</sup>

**15 თეზისი.** „... ყველაზე მეტად, ძლიერად სიცოცხლის და ტანჯვის პრობლემა ერთმანეთთან დაკავშირებულია გ. ტაბიძის პოეზიაში. აქ სიცოცხლის კითხვას განკერძოებულად ტანჯვის პრობლემასთან თქვენ ვერ აღმოაჩენთ. ამით გ. ტაბიძესაც შეუძლია იამაყოს... გ. ტაბიძეც ჩვენში ეძიებს იმ შინაარსს და იმ სისტემას, რომელშიაც მას შეეძლება ეს სოციალური ელემენტები შეჭკრიბოს და მოგვცეს მთლიანი დამთავრებული პოეტური სისტემა. გ. ტაბიძის პოეზიაში არის ტენდენცია ამ გზისკენ და მიუღებლად უნდა ჩავთვალოთ ზოგიერთ დამფასებელთა მოსაზრებანი, ვითომ გ. ტაბიძეს მოვალეობას მომავალში ის შეადგენდეს, რომ დასტოვოს ძველი გზა და ახალს დაუბრუნდეს... გ. ტაბიძემ თავის პოეზიაში სწორედ ორი ელემენტი აიღო. ეს არის ინტელიგენციის, როგორც ასეთის მოტივი „სევდის ტანჯვის პრობლემა...“ თავისი მსოფლშეგრძნება გ. ტაბიძემ ბოლომდე უნდა მიიყვანოს და კერძო ფორმულა მისი გაასაზოგადოებრივოს. აქ იქნება სწორედ ტაბიძის უღრმესი მნიშვნელობა და ტალანტი და ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ ტაბიძეს სკოლა არა აქვს, თუ აქვს, ძლიერ სუსტი და უმნიშვნელო. ეს სულ ახალი ინტელიგენციაა, დღევანდელი, რომელიც სრული ანტიტიპია ძველი, ამ ათი წლის წინანდელ ინტელიგენციისა... მეორე წიგნი გ. ტაბიძის ნაწერებისა ამას შესაძლებლად სცნობს. ფორმა გ. ტაბიძის შემოქმედებისა არსებითად არ განირჩევა სხვა, ჩვენში კარგად ცნობილ მგოსნების ნაწარმოებთა ფორმებისაგან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასონანსებს) და ამიტომ ამაზე შემდეგ...“<sup>17</sup>

გალკტიონ ტაბიძის სალამო. მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში გაიმართება ჩვენი პოეტის გალკტიონ ტაბიძის სალამო.<sup>18</sup>

**17 თეზისი.** ამ მოკლე ხანში პოეტი გალკტიონ ტაბიძე სახელმწიფო თეატრში გამართავს სალიტერატურო სალამოს.<sup>19</sup>

**25 თეზისი.** გაზეთ „ერთობის“ პირველ გვერდზე მოთავსებულია გალკტიონის პორტრეტი (მხატვარი დ. კაკაბაძე) და განცხადება: „პოეტის, გალკტიონ ტაბიძის სალამო სახელმწიფო თეატრში, ოთხშაბათს, 3 მარტს.

ივანე გომართელი წარმოთქვამს სიტყვას გალაკტიონ ტაბიძის  
პოეზიის შესახებ

პოეტები

და

მწერლები:

აბაშელი საშა

ბარნოვი ვასილ

გრიშაშვილი ი.

დადიანი შ.

ინგოროყვა პ.

მაყაშვილი კ.

ქუჩიშვილი გიორგი

მეგრელი დ.

რუხაძე ვ.

,რამიშვილი ტრ.


ტაბიძე გალაკტიონ

შარაშიძე შ.

შიუკაშვილი ნიკო

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს... დასაწყისი საღამოს 8 სა-  
ათზე. ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.<sup>420</sup>

**26 თებერვალი.** „ოთხშაბათს მარტის 4-ს (უნდა იყოს „3-ს“ – მ.შ.) სახელ-  
მწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. მონაწილეობენ: ვ.  
ბარნოვი, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა, კ. მაყაშვილი, დუტუ მეგ-  
რელი, ვ. რუხაძე, ტ. რამიშვილი, შ. შარაშიძე, ნ. შიუკაშვილი და გ. ქუჩიშვილი.



მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე

მისი საღამოს განო სახელმწ. თეატრში ოთხშაბათს

(იხ. ამავე ნომერში „თეთრი ზეფე“)

წარმოდგენილი იქნება ოპერა „ალეკო“ და გაიმართება ბალეტი ბაუერზაკსის მონაწილეობით.“<sup>21</sup>

**28 თებერვალი.** 3 მარტს, ოთხშაბათს, სახელმწიფო თეატრში შედგება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. ივანე გომართელი წარმოთქვამს სიტყვას გალაკტიონის პოეზიის შესახებ...<sup>22</sup>

**29 თებერვალი.** ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ (№ 8) პირველ გვერდზე გალაკტიონის პორტრეტია დაბეჭდილი: „მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე. მისი საღამოს გამო სახელმწიფო თეატრში, ოთხშაბათს (3 მარტს).

„გალაკტიონ ტაბიძემ ათი წლის წინად ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ აიდგა სამგოსნო ფეხი და დღეს ათი წლის თავზე, უკვე სახელ-მოხვეჭილი მგოსანია, რომლის ქიშპობაც არც თუ ეგრე ადვილია... ოთხშაბათს სახელმწიფო თეატრში იმართება მისი საღამო და თუმცა ამ საღამოს მძიმე ამინდი დაუდგა, მაინც გვეგონია, სილამაზის, უმაღლესი გამოცდის და მშვენიერების თაყვანისმცემელნი უყურადღებოდ არ დატოვებენ ამ საღამოს. გულითადი საღამო ჩვენის გრძნობათა თეთრ მეფეს – გალაკტიონ ტაბიძეს!“<sup>23</sup>

**2 მარტი.** ხვალ სახელმწიფო თეატრში გალაკტიონ ტაბიძის საღამოა. მეძლევა შემთხვევა, მოკლეთ, განვიხილო მისი შემოქმედებითი გენია... მაღალი ბუნების ხელოვანია გალაკტიონ ტაბიძე! მასში უნდა გაცოცხლდეს ახალი ესთეტიური საქართველო. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ, უდიდესი პოეტი-ფილოსოფოსი, რომლის ტანჯვა და პესიმისტური მსოფლმხედველობა თანაბარი იყო ჰამლეტის ტრაურის... გალაკტიონ ტაბიძე მუსიკალური რიტმის ჯადოსანია. პოეტმა იცის მუსიკალური პათოსი და ის ხმარობს იმისთანა სიტყვათა კომბინაციებს, რომელიც ქმნიან მუსიკალურ კასკადად. მის ლექსის რიტმებში არის მინორი და სიტყვების ფიგურაცია. შეიძლება გალაკტიონ ტაბიძეს ბევრგან რითმამ უმუხთლოს, მაგრამ პოეტის მუსიკალური რიტმი კი მასთან იქნება... ის ესთეტია, ლამაზი შემეცნების პოეტი. ფაქიზი და უნაზესი სულის პატრონი. დანტეს და პეტრარკის ცის ქვეშ იზრდებიან ასეთი პოეტები... გალაკტიონ ტაბიძე არც ერთ ჩვენ პოეტს არ ჰგავს... ის უფრო მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე ამ პატარა ესკიზის... სხვა პირობებში და სხვა დროში ჩვენ ვეცდებით ფართოდ შევეცხოთ მის პოეზიას.“<sup>24</sup>

**3 მარტი.** სახელმწიფო თეატრში დღეს გალაკტიონ ტაბიძის საღამოა.<sup>25</sup>

**3 მარტი.** „... ჟურნალი პირველი სადებიუტო ნაბიჯია ახალგაზრდა მწერლების მიერ სალიტ. ესტრადისკენ გადადგმული... ახალგაზრდა დებიუტანტები უკრიტიკო გატაცებით გამოჰყიდებიან ჩვენი ლიტერატურის ახალ მიმდინარეობას. გადმოუღიათ მისგან ფორმა და წერის მანერა... მ. ჯავახიშვილი თავის „ფიქ-

რთა ნაქარგში“ გალაქტიონ ტაბიძით სუნთქავს, ამავე დროს სრულიად არ ეხერხება ტრიოლეტების წერა“<sup>26</sup>

**5 მარტი.** „სახელმწიფო თეატრში გუშინ (უნდა იყოს გუშინწინ- მ.შ.) გაიმართა პოეტის, გალაქტიონ ტაბიძის საღამო. საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო, უფრო მრავალი კი უბილეთობის გამო გაბრუნდა.“<sup>27</sup>

**[5 მარტი].** „ჟურნალი „თფილისი“ თითქმის არარაობას წარმოადგენს, რადგანაც ნახევარზე მეტათ უბრალო თარგმანისგან შესდგება. „Чтецдекламатор“-იდან. ლექსი „თფილისი“, თუმცა ბუნების აღწერით იწყება (მგონებ, იგი დასცდა იმ დროს, როცა ამ მანერით სწერდენ და ცოტა გრძელი არის. სუსტია პირველი და მეშვიდე ტაეპი... რაც შეეხება კრიტიკულ ნაწილს, „გენიალური გალაქტიონის“ მიღება ჩვენთვის ძნელია. გენიალობა ცოტა უხერხული პრივილეგია არის და სახიფათოც, რომ ასე ადვილათ დაბოლოვდეს ს.ს-ანის მიერ პატენტის მიცემა და გენიალობის არსებობაზე ხელის დადება.“<sup>28</sup>

**7 მარტი.** „გალაქტიონ ტაბიძის საღამო, მარტის 3 სახელმწიფო თეატრში, ქართულ რჩეულ მგოსან მწერალთ ალლუმი იყო. აქ გამოვიდნენ ივ. გომართელი თავის ქართველურ-არაკული მიმოხილვით (გ. ტაბიძის დახასიათება), რომელმაც სიტყვა მონოდებით დააბოლოვა, გ. ტაბიძეს შხამით სავსე თასი ჩამოვართვით და ტკბილ ნექტარით შევუცვალოთო. არა გვგონია, მგოსანს თუ შხამ-ნაღველით სავსე თასი ჩამოვართვით, მისი შემოქმედება კვლავ საყოველთაოდ ფხიან-მიმზიდველი იყოს... საკუთარი ლექსები წაიკითხეს: დ. მეგრელმა, ვ. რუხაძემ, გ. ქუჩიშვილმა, ი. გრიშაშვილმა, თაგუნამ, რუსის მგოსანმა (თარგმ. გ. ტაბიძის და ნ. შენგელაიას ლექსების)... თეატრი თითქმის სავსე იყო და ახალგაზრდა მგოსანს გულთბილად შეხვდნენ.“<sup>29</sup>

**23 მარტი.** „კვირას, აპრილის ოთხს, საქართველოს მწერალთა კავშირის დადგენილებით მოწვეულ იქნება საქართველოს მწერალთა II ყრილობა.“ აქვეა იმ მწერალთა სია, რომლებიც მიწვეულნი არიან ყრილობაზე, მათ შორის: ... 120\* ტაბიძე გალაქტიონ...“ (შენიშვნა – ის მწერლები, რომელთა გვარებიც აღნიშნულია ვარსკვლავებით, ითვლებიან კავშირის წევრებათ).“<sup>30</sup>

**24 მარტი.** გალაქტიონ ტაბიძის საღამო მეორეთ, საზოგადოების თხოვნით გაიმართება სახელმწიფო თეატრში ოთხშაბათს, 7 აპრილს, ხარება დღეს. ბილეთები დღეიდანვე იყიდება მხოლოდ სახელმწიფო თეატრის კასაში.<sup>31</sup> განცხადებას დართული აქვს გალაქტიონის დ. კაკაბაძისეული პორტრეტი.

**26 მარტი.** კვირას, მარტის 28-ს, დილის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის თაოსნობით გაიმართება სალიტერა-

ტურო დილა. I. ლექცია ვ. კოტეტიშვილისა: „უგზობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“, II. კაზმული სიტყვა: მონანილეობენ: დუტუ მეგრელი, თაგუნა, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე...<sup>32</sup>

**1 აპრილი.** „პოლიტიკური ცხოვრების აღორძინებასთან ერთად ჩვენში აღორძინდა ლიტერატურული ცხოვრებაც... ქართველ მკითხველს შეძლება აქვს გაეცნოს სამშობლო ლიტერატურას იმ წიგნებით, რომლებიც გამოუშვეს ამ უკანასკნელ ხანს ქართველმა მწერლებმა: გალაქტიონ ტაბიძემ – მეორე ტომი, ობოლი მუშა – ლექსები, ვალერიან გაფრინდაშვილი – დაისები...“<sup>33</sup>

**4 აპრილი.** გაზეთ „ერთობაში“ გალაქტიონის შესახებ ორი ინფორმაციაა დაბეჭდილი. პირველ გვერდზე იტყობინებიან: „გალაქტიონ ტაბიძის ტაბიძის მეორე სალამო სახელმწიფო თეატრში გაიმართება აპრილის 7.“

მეორე უფრო ვრცელია: „გალაქტიონ ტაბიძის მეორე, დიდი სალამო სახელმწიფო თეატრში გაიმართება ოთხშაბათს, 7 აპრილს, ბ-ნი აკაკი პაპავა წარმოთქვამს სიტყვას ქართულ პოეზიაზე („ქარიშხლის ჩადგომისას“). სალამოში მონანილეობას მიიღებენ მწერლები და არტისტები: ვასო აბაშიძე, ვალ. გუნია, ნიკ. ერისთავი, რიურიკ ივნევი, კარა დარვიში, კოტე მაცაშვილი, ვარლამ რუხაძე, ტრიფონ რამიშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, აკაკი ფალავა, გიორგი ქუჩიშვილი, შალვა შარაშიძე, გრიშა ჯაფარიძე და სხვ. სახელმწ. თეატრის ანტრეპრენიონის ევლახოვის მიერ დადგმული იქნება ოპერიდან „თავადი იგორი“ – მესამე აქტი – ბალეტით. ოპერაში მონანილეობას მიიღებენ სახ. თეატრის მომღერლები: პოლიაევი, იანსა, ვიშემორსკაია, ბაუერზაგსი და ბალეტმაისტერი ვიკარეცი. დირიჟორობს კარშონი. ბილეთები იყიდება სახ. თეატრის კასაში.“<sup>34</sup>

**7 აპრილი.** დღეს, სახელმწიფო თეატრში შესდგება გალაქტიონ ტაბიძის სალამო.<sup>35</sup>

**15 აპრილი.** ამ დღეებში ქართველ მწერალთა თაოსნობით კახეთში გაიმართება სალიტერატურო სალამოები. პირველი სალამო გაიმართება თელავში. მიიღებენ მონანილეობას: ვ. კოტეტიშვილი, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე და სხვანი.<sup>36</sup>

**[15 აპრილი].** „პარნასი“ – სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი №2 გამოვა 15 აპრილს. მონანილეობენ: ვალ. ტაბიძე, ი.მჭედლიშვილი, კ. ებრალიძე, მის. ბოჭორიშვილი...“<sup>37</sup>

**24 აპრილი.** „აპრილის შვიდს სახელმწიფო თეატრში კიდევ იმართება სალამო ჩვენი მგოსნის გალაქტიონ ტაბიძისა... ორიოდ სიტყვით მაინც გვინდა ხაზი გავუსვათ მის შემოქმედების ზოგიერთ თვისებებს... საქართველოს პოეზიის რენესანსში გალაქტიონმა თავისი წვლილი შეიტანა, აგრეთვე უნდა ითქვას, რომ გალაქტიონი მიმართულებით სიმბოლისტია, იგი თავის განცდებს სიმბოლიუ-

რად გვიხატავს და მის ლექსებში უმთავრესად სიფაქიზის და სინაზის მისტიციზმი გამოსჭვივის. გალაკტიონი ინდივიდუალიზმის ცეცხლით არის გამსჭვალული, მას სწამს მხოლოდ „მე“, როგორც მსოფლიოს განუსაზღვრელი და განუყრელი ნაწილი. გალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხილული ქვეყნის ანარეკლია; იგი ყოველთვის საგნების გადაღმა ეძებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს და აქ არის გალაკტიონის გამართლება; მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუძს ემოციონალურ და ესთეტიურ გრძნობის დაკმაყოფილება... სხვა ლექსებს რომ თავი დავანებოთ „ლურჯა ცხენები“ შედეგია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს ნერტილს აღწევს. აგრეთვე ასონანსებს მის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რომელსაც უმაღლესი პრეროგატივა ეძლევა ახალ პოეზიაში. გალაკტიონი ვინრო ყალიბში არ თავსდება. იგი თავისი შეუკავებელ სულით ლიცენციისკენ მისწრაფის და აქ იშლება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები... შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში არ დავეთანხმოთ გალაკტიონს, მაგრამ რამდენიმე ლექსით ჩვენ მას ვღებულობთ, როგორც პოეტს. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გალაკტიონმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი; მან იცის თავის დანიშნულება და ჩვენ ვფიქრობთ, მომავალში იგი სავსებით დაიკავებს იმ ხაზს, რომლის ნიაღში პოეზიის აბსოლუტური გამარჯვება აუცილებელი იქნება... ჩვენ ვფიქრობთ, ვისთვისაც საინტერესოა პოეტის პატივისცემა, მან უეჭველია, საღამოზე დასწრების სახით უნდა მოიხადოს თავისი მოვალეობა.“<sup>38</sup>

**7 მაისი.** „ქაოსი ფანტაზიის აკვანია. ფანტაზია კი აღმოსავლეთის პირმშოა. და თუ არა ერუდიცია, არა აგზნებული სიყვარულით და წინაპართა ისტორიული გზის გაგრძელებით, ზოგნი მიდიან ამ ქაოსთან და აღმოსავლეთის ჰანგების აღმოსაკრეფად; მისი ვნებების და ღია ფერების ამოსაჭრელად. ჩვენ დღესაც ვსტკბებით გრიშაშვილის ვნებიან კოცნით, გ. ტაბიძის იჭენეულ სიყვარულით. მარტო ამის ამოკრეფა და ისიც მოხვეულის გზით შესაძლო გახდა აღმოსავლეთის ღია ფერის, ღია დღის საზღაპრო ქაოსიდან.“<sup>39</sup>

**[ივნისი].** „ჩვენ დიდი გზებით მოსული ვართ და წავალთ მალე, როგორც ბავშვები დავატარებთ არშიან კაბებს, ჩვენი ცრემლები დიდ ქალაქში ვერსათ დავმალეთ და გვსურს ვენვიოთ ახლა სტუმრად სულ მცირე დაბებს“. ამ შესანიშნავ სტრიქონებს ვერ დასწერდა ვერც შანშიაშვილი, ვერც გრიშაშვილი და ვერც გალაქტიონ ტაბიძე“...<sup>40</sup>

**3 ივლისი.** შაბათს, ივლისის 3-ს ნოე ჩხიკვაძის გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავად გაიმართება ლიტერატურული საღამო... საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი.<sup>41</sup>

**10 ივლისი.** შაბათს, 10 ივლისს, გ. ქუჩიშვილის საღამო. ვახტანგ კოტეტიშვილი სიტყვა: „მოწინავე სადარაჯოზე“. შინაარსი: 1) ისტორიის გადაცეხვა; 2)



ქვეყნის ტკივილები; 3) ევროპა ახალ საზღვართან; 4) აღმოსავლეთი; 5) საქართველოს პერსპექტივები. პოეტები: ვარლამ რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, გ. ცეცხლაძე, გ. შინატიანი.<sup>42</sup>

**15 ივლისი.** ივლისის 15-ს გაიმართება ლადო მაჭავარიანის საღამო: სიტყვები, ლექსები, მინიატიურები. მონაწილეობენ: გრ. რობაქიძე, დუტუ მეგრელი, ვარ. რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ტ. ტაბიძე...<sup>43</sup>

**22 ივლისი.** „მეორე ქართული კლუბი ხუთშაბათს, ივლისის 22-ს, სახ. გვ. საგანგებო ბათალიონისა და საინჟინერო გუნდის კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია მართავს ომის დროს ამავე ბათალიონის დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ საღამო-სეირნობას... დივერსიმენტი. მონაწილეობას მიიღებენ: ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, ს. ფაშალიშვილი, ივ. ყიფიანი...“<sup>44</sup>

**10 აპრილი.** „გალაკტიონს რუსთაველის პროსპექტზე გერონტი ქიქოძე შეხვდა. – სად დაიკარგე? კოტე მაყაშვილი გკითხულობს... იმავე დღეს მიაკითხა... ვალიკო ჯუღელმა მთხოვა, რეკომენდაცია გავუწიო ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს, რომელიც ჟურნალის ( „სახალხო გვარდიელი“ – მ.შ.) გამოცემაში დაეხმარება. შენზე შევაჩერე არჩევანი. ვფიქრობ, არ უნდა იყოს ურიგო საქმე. ჯამაგირიც გექნება... [ვალიკო ჯუღელთან] შეხვედრა მოკლე და საქმიანი იყო... პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას შეასრულებ... რედაქცია ჩემი კაბინეტის გვერდით მოთავსდება. რაც შეეხება ჯამაგირს, თვიურად 7300 მანეთი გექნებათ. დამატებით ოფიცრის „პაიოკს“ მიიღებთ. ... ხვალიდანვე შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა... მერე ადიუტანტს მოუხმო – დღესვე მიეცით ერთი თვის ჯამაგირი.“<sup>45</sup>

**24 აპრილი.** „ თუ არ მოხერხდა დაბორკილი სიტყვის გაშლა, იგი ხმოვან სიტყვებში მანაც უნდა ჩაისვას; სიტყვას მაგნიტის ძალა აქვს, დაბორკილი სიტყვა რომელიმე სხვა ასეთს მძიმე სიტყვას მოჰყვება. შეუწყნარებელია მაგალითად ასეთი სტრიქონი: „ისე სავსე უხვ გრძნობებით“ (გალაკტიონ ტაბიძე). აქ ორი სიტყვა ერთდება „უხვგრძნობებით“ და ექვსი თანხმოვნის ერთიმეორეს დართვით სტრიქონი სრულიად ნადგურდება...“<sup>46</sup>

**2 სექტემბერი.** გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს გალაქტიონის ლექსს „გოტიეს“. თარიღი: „ტფილისი, 1920. 1 ენკენისთვე.“<sup>47</sup>

**15 სექტემბერი.** „დღეს თბილისიდან პროვინციაში გაემგზავრებიან პოეტები გალაქტიონ ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საღამოებში, რომელსაც მართავს სახალხო გვარდია: ხაშურში 16 ენკენისთვეს, ჭიათურაში 18, ქუთაისში 19, ხონში 20, სამტრედიისში 21, ახალენაკში 21, ფოთში 23, ოზურგეთში 25, ბათუმში 26 და სხვ. პოეტებთან ერთად მიემგზავრება გვარდიის შტაბის წევრი ან. სალუქვაძე და გვარდიასთან არსებული მსახიობთა ტრუპა ბ. დ. აბდუშელიის ხელმძღვანელობით.“<sup>48</sup>

**21 საქმეზე.** გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს გალაკტიონის სამ ლექსს: „შენ და შემოდგომა“ („არის ნეტარება – ხშირად მოაგონდეს...“), „შენ და შემოდგომა“ („შენს სიყმანვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნის ქარის...“) და „დგება შემოდგომა.“<sup>49</sup>

**24 საქმეზე.** „ხაშურში 16 ენკენისთვის, ჭიათურაში 17 და 18, ქუთაისში 19, ხონში 20, სამტრედიისში 21, ახალ-სენაკში 22, ფოთში 23 და ოზურგეთში 25 სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლ. განყოფილების ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება გრანდიოზული სეირნობა შემდეგი პროგრამით... III გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე და სხვა მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს. საღამოზე: აუქციონი, პტი-შვო, ფოსტა, ყვავილთა შეჯიბრი, აზიური კიოსკი... დიდი ვახშამი გათენებამდე, ცეკვა-თამაში და სხვ. დაუკრავს გვარდიის ორკესტრი.“<sup>50</sup>

**5 ნოემბერი.** „სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის და საინჟინერო გუნდის კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია შაბათს, 6 სექტემბერს ხსნის თეატრს „სახალხო გვარდიის სახლი კარლ კაუცკის სახელობაზე.“ გახსნის აღსანიშნავათ გაიმართება საღამო... პოეტები გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, ვ. რუხაძე წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს.“<sup>51</sup>

**27 ნოემბერი.** ავლაბრის მუშათა კლუბში გაიმართება ამავე კლუბის სასარგებლოთ დიდი საღამო. მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მგოსნები: გ. ტაბიძე, ხ. ვარდოშვილი, ობოლი მუშა.<sup>52</sup>

**28 ნოემბერი.** გაზეთ „ერთობაში“ გალაკტიონი აქვეყნებს ვრცელ ლექსს: „ლადო მესხიშვილი“, ქვეშ მინაწერით: „გალაკტიონ ტაბიძე, „ერთობის“ რედაქცია 28 ნოემბერი.“ ამ ნაწარმოებს გადაკეთება – შემოკლების შემდეგ, ავტორმა „ცხრაას თვრამეტი“ უწოდა.<sup>53</sup>

**8 დეკემბერი.** „წურნალ „გვარდიელის“ № 1 გამოვა 12 დეკემბერს დღესასწაულის აღსანიშნავად. შიგ მოთავსებული იქნება წერილები კ. კაუცკის, ვ. ჯუღელის, აკ. ჩხენკელის... ლექსები ტაბიძის, ქუჩიშვილის, ვ. რუხაძის...“<sup>54</sup>

**11 დეკემბერი.** „წურნალი „სახალხო გვარდიელი“ გამოვიდა. შიგ მოთავსებულია... ლექსები გალაკტიონ ტაბიძის, ვარლამ რუხაძის, გიორგი ქუჩიშვილის...“<sup>55</sup>

**12 დეკემბერი.** გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის სამი ლექსი, საერთო სათაურით „გვარდია“ (№ 284, გვ. 2). ყოველ მათგანს თარიღად დასმული ჰქონდა: „12. XII. 1920 წ. თბილისი.“ მოგვიანებით პოეტმა სამივე ნაწარმოები სათითაოდ დაასათაურა და მათ უწოდა: „პოეზია უპირველეს ყოველისა“, „თვალს ნაზი და მთვარეული“ და „პირველ თაველებს“.<sup>56</sup>

ჟურნალ „სახალხო გვარდიელში“ (№ 1) დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „საქართველო“. შემდეგ ის უსათაუროდ იბეჭდებოდა: „... სადაც ტყეების ისმოდა დარდი.“<sup>57</sup>

**18 დეკემბერი.** „გამოვიდა ჟურნალ „აისის“ № 2. მონაწილეობენ: გალაკტიონ ტაბიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, გრ. ცეცხლაძე, ვ. გორგაძე, ლადო მაჭავარიანი, შ. ლორდელი და გრ. ზოდელი.“<sup>58</sup>

**[18 დეკემბერი]** ჟურნალ „აისში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „შავი პელიკანი“ (№ 2, გვ. 3). მოგვიანებით ის იბეჭდებოდა სათაურით „თეთრი პელიკანი“.<sup>59</sup>

**[1920 წ. ბოლო-1921 წ. დასაწყისი].** ჟურნალში „მზიური საქართველო“ გამოქვეყნდა გალაკტიონის 1921 წლის ლექსი „ქალის ქანდაკება“ (№ 1). აქვეა რედაქციის განცხადება: „ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ ნომერში განზრახული მასალა, კ. მილის წერილი: „გ. ტაბიძის შემოქმედება“ გადადებული იქნა.“<sup>60</sup>

ახალ აკადემიურ გამოცემაში ლექსს „...სადაც ტყეების ისმოდა დარდი“ თავდაპირველი სათაური „საქართველო“ დაუბრუნეს, რომელიც 1920 წლით დათარიღდა.<sup>61</sup>

**[1920].** „ძმაო აბესალომ! მოგილოცავ დღესასწაულებს... როგორაა დედა? მე ნიგნის გამოცემა ვერ მოვახერხე. ეხლა ვხელმძღვანელო (კრიზისის გამო) ჟურნალ „სახალხო გვარდიელს!“ ვარ იქ მდივნად და, მაშასადამე, ყველაფრად. კარგ განწყობაში ვარ საზოგადოებასთან. მაგრამ უფულობა მაინც კვალდაკვალ მდევს. ჯამაგირად მაქვს 7300 მან. და „პაიოკი“. არა უშავს გამოკეთდება. მომწერე, რას შვრებით, როგორია თქვენი სულიერი განწყობილება... ელით უკეთეს მომავალს, თუ დაკარგეთ სრულიად? მომწერე დედაჩემის შესახებ ყველაფერი.

გარდა ამისა, აი, რა უნდა გთხოვო: ჟურნალ „ნოვოე სლოვო“-ში არის ერთი წერილი „История Каспара Гаузера“. ეს წერილი ძალიან მჭირდება. ამოხიე ჟურნალიდან და გამომიგზავნე. რაც ადრე გამომიგზავნი უკეთესია, რადგან მე ერთ წერილს ვწერ, სადაც ეს წერილი აუცილებლად საჭიროა... შიმშილით ხდება სული მთელ ტფილისს. აუტანელი სიძვირეა. ამ ზამთარს ყველა უშეშოდ ატარებს, არის ყინვა და თოვლი – ჯამაგირი კი არავის ყოფნის, ათასწილად უკეთესია ეხლა ყველასთვის სოფელი. ასე, აბესალომ, მომწერე წერილი: ტფილისში, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბთან, რედაქცია „სახალხო გვარდიელისა“, ჩემთან.“<sup>62</sup>

**1 იანვარი.** ჟურნალ „სახალხო გვარდიელში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი: „1920“, რომელიც შემდგომ სხვა რედაქციით იბეჭდებოდა. ამ ნაწარმოების პირველი ვარიანტი („1920“) უფრო ვრცელია, ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი უსათაურო ლექსი „...მზეო თიბათვისა“:

„მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებიერო,  
მზეო-თიბათვისა, გრაალს შევედრები...  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.  
მწარე მოჩვენებებს თვალნი მიურიდენ,  
ლამე გაუთენე კარგი, შენმიერი...  
დილა მიანიჭე ისევ ციურიდან,  
შუქი უმანკოთა მიეც შევნიერი.  
დაე, ნუ მოწყდება ბაგეს ამოხვრა,  
თვალებს ნუ მოწყდება ცრემლი უეცარი,  
სხვად ნუ შეიცვლება მისი მიმოხვრა  
მით, რომ საუკუნე დადგა უმეცარი.  
ამას გევედრები: დროის შეჩვენება  
სიკვდილს უცხოეთში მე ნუ გამაგონებს.  
იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება,  
იგი, მწუხარება, ხშირად დამალონებს...  
წელმა საოცარმა, გზა რომ შეეღება,  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...  
მძაფრი ქარტახილი მას ნუ შეეხება,  
მზეო-ღვთისმშობელო, ამას გევედრები.  
ტფილისი. გალაკტიონ ტაბიძე<sup>1</sup>

**1 იანვარი.** გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „გადია“ (ქვესათაური „ფრაგმენტი“), რომელიც მოგვიანებით ავტორმა ხუთ დამოუკიდებელ ლექსად დაშალა და შეიტანა თავის 1927 წლის კრებულში.<sup>2</sup>

**22 იანვარი.** „მხოლოდ ახსენე თავო ჩემო /ორი ტაბიძე,- / მათი სახელი ყველამ იცის /თუგინდ დაფიცე.“<sup>3</sup>

**22 იანვარი.** „ბატონებო! განგიზრახავთ რჩეული მგოსნის დასახელება და მისი დადაფნა „პირველის სახელით“ სწორთა შორის. მე მიმაჩნია სამი ჩინებული მგოსანი: გალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე შანშიაშვილი და ი. გრიშაშვილი. მათ შორის, ჩემის აზრით, უფრო აღსანიშნავია გალაკტიონ ტაბიძე, როგორც დიდი სევდის მატარებელი მგოსანი. ია ეკალაძე.“<sup>4</sup>

**25 იანვარი.** „მგოსანთა მეფის არჩევა ჯერ უდროვოდ მიმაჩნია. ვერც ერთი თანამედროვე მგოსანი ვერ მისწვდა უმაღლეს წერტილს. ჩვენს მგოსანთა შორის

სამი უფროა ამ სახელის ტარების ღირსი. გალაქტიონ ტაბიძე, ალ. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი... და თუ ამათ შორის არჩევანს მომახდენინებთ – ოქროს კალამს გალაქტიონ ტაბიძეს მივართმევ, როგორც მსოფლიო ჰანგთა მატარებელს, მაგრამ ვშიშობ, ეს კალამი ალ. შანშიაშვილმა არ ჩამოართვას. იოსებ იმედაშვილი.<sup>5</sup>

**25 იანვარი.** «Избрание короля поэтовъ. 25 января литературная молодежь Грузии произвела выборы «Короля поэтов». Пожизненно возведёнъ в это почётное звание самый достойный из поэтов – Галактион Табидзе, имеющий громадное влияниена всю современную поэзию Грузии. С конца прошлого столетия избрание короля поэтов применяется во Франции, где первым избранником был Поль Верлень, вторым Стефанъ Малларме. Поэтический престоль после смерти Маллармэ перешёл к Леону Дирксу, а после смерти Диркса королём поэтов был избран Пол Форь, символистъ. Галактион Табидзе был избранъ единогласно. Присутствующие молодые поэты устроили ему шумную овацію».<sup>6</sup>

**26 იანვარი.** „სტუდენტთა ტრადიციულ დღეს, ოთხშაბათს, იანვრის 26-ს, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ჰმართავს სალამო-მეჯლისს.. შემდეგი შინაარსით.. მგოსანთა ოჯახი. მონან. (ანბანზე): პაოლო იაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, თავუნა, გ. ლეონიძე..<sup>7</sup>

**27 იანვარი.** „1921 წლის დასაწყისში ქართველი პოეტების ერთმა ჯგუფმა, რომელიც შემდეგ ჟურნალ „ლომისის“ გარშემო შემოიკრიბა, გადაწყვიტა „პოეტების მეფის“ სახელის მოსაპოვებლად გაემართათ კონკურსი. ყოველ მონაწილეს უნდა წარედგინა ერთი ლექსი დაწერილი სპეციალურად კონკურსისათვის.. ერთი ცნობის მიხედვით, ეს ლექსი ყოფილა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, რომელსაც კონკურსზე გაუმარჯვია, ხოლო მისი ავტორი 1921 წლის 27 იანვარს აურჩევიათ „პოეტების მეფედ“.<sup>8</sup>

[**იანვარი**]. „სრულიად საქართველოს პოეტთა მეფობისათვის ხმას ვაძლევთ გალაქტიონ ტაბიძეს. ტერენტი გრანელი.“

ხმას ვაძლევ პოეზიით დასწეულს და პოეტ-მეფეს საქართველოსას გალაქტიონ ტაბიძეს. მრწამს, რომ გალაქტიონი არის არაჩვეულებრივი და მასთან შეუდარებელი, როგორც პოეტი. მიიღე ტიტული: „კოროლისა“, გალაქტიონ! ახალი პოეტი – გრ. ორაგველიძე.

სრულიად საქართველოს პოეტთა მეფობისათვის ხმას ვაძლევ გალაქტიონ ტაბიძეს. გრ. ზოდელი.

ვასახელებ პოეტების მეფეთ გალაქტიონ ტაბიძეს. ა. კალანდაძე.

პოეზიის გვირგვინოსნობაზე საქართველოში ვაძლევ ხმას ჩვენს დიდებულს გალაქტიონს. არტემ გაბუნია.

ვაძლევ ხმას პოეტ გალაქტიონ ტაბიძეს საქართველოში პოეტთა უპირველესობისათვის. ჰერ. ყანჩელი.

„ხმას ვაძლევთ პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს. 1. პოლიო აბრამია, 2. მიქელ რა-  
ბიანი, 3. სიმონ ჩიქოვანი, რწმუნებული გრ. ორაგველიძე.“<sup>9</sup>

„ხმას ვაძლევ პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს მასში, რომ მას ეკუთვნის, იყოს  
სრულიათ საქართველოს მგოსანთა მეფე.“<sup>10</sup>

**2 თებერვალი.** „От редакции. редакция выражает сожаление, что в но-  
мер от 29 января, в отдел Хроники, по недосмотру прошло сообщение „Из-  
брание короля поэтов,“ известие Это, нам сообщают из союза писателей, не  
соответствует действительности“.<sup>11</sup>

**6 თებერვალი.** „... [ტ. გრანელის] წიგნი შეიცავს რვა გვერდს და მოთავსე-  
ბულია რვა ლექსი... როდესაც ამ წიგნს ვკითხულობ ვსტკბები, ვსხვანაირდები  
და ეჭვი მიპყრობს გალ. ტაბიძეს ხომ არ ვკითხულობ? იძულებული ვარ გ. ტაბიძე  
გადავიკითხო, თუმც ზეპირად ვიცი. ვკითხულობ, ეჭვები გაიფანტენ, მხოლოდ  
გავლენა სკოლის მეტად დიდია, რაიც უსათუოდ მოწმობს ტ. გრანელის ნიჭის  
ღირსებას...“<sup>12</sup>

**12 მარტი.** 2 აპრილი. „ხანდახან ისტორიაში ასეთი მოვლენა ხდება: პიროვ-  
ნებასთან ერთად კვდება მისი ხანაც; 1907 წელს წინამურში მოჰკლეს ილია ჭავ-  
ჭავაძე. და თითქო ამ საბედისწერო აკტით დასრულდა ერთი ხანა ქართული პო-  
ეზიისა. და უეცრად იმავე წელს იფეთქა ახალმა მიმართულებამ ქართულ პოეზი-  
აში. [1908 წელს] სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მთელი რიგი ახალგაზრ-  
და პოეტების და მათ შორის გაისმოდა გალაკტიონ ტაბიძის მელანქოლიით სავსე  
ხმაც. ამ ხნიდან (1908 წლიდან) იწყება სრულიად ახალი ხანა ქართულ პოეზიაში  
(პირველი მისი ლექსი დაიბეჭდა... ჟურნალ „ახალ კვალში“ და გაზ. „ამირანში“).  
კრიტიკამ იგი მაშინვე შეამჩნია. ბ. ნარი (1908 წელს) სწერდა ჟურნ. „თეატრი და  
ცხოვრებაში“, რომ გ. ტ. საოცრად გამოირჩევა ყველა თანამედროვე პოეტები-  
საგან და (სიმბოლისტური ელემენტები ქ. პოეზიაში) უპირველესთა რიგში აყე-  
ნებდა მას. გაზეთი „ხალხის ხმა“ (1910 წ.) იხსენიებდა გ. ტ-ს უკეთეს პოეტთა  
რიცხვში“.<sup>13</sup>

**25 მარტი-2 აპრილი.** „ტფილისი ცოტათი გამოცვლილია. კომუნისტები  
რეპრესიებს არ ხმარობენ. ჩვენთვის მოუციათ დიდებული „ხელოვნების სასახ-  
ლე. მხოლოდ ძლიერ მაფიქრებს, რომ ამ სასახლის № არის 13. მე დროებით აქ  
ვცხოვრობ. მიმიღეს სიმპატიურად... მომავალში უნდა გავმართო საღამო სახელ-  
მწიფო თეატრში, რომელიც ცოტათი გამოაკეთებს ჩემს საქმეს... კვირას არის  
არჩევნები ხელოვანთა კომიტეტისა. ყველა ხელოვნები აქ არიან. მთავრობა ხე-  
ლოვანებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. უთუოდ არც მე დავიჩაგრები. რანაი-  
რი იქნება ჩემი მომავალი მუშაობა, ჯერჯერობით სრულიად არ ვიცი. იქნება-კი.  
სალამი ჩემს ბრწყინვალე მომავალს! მე მასში ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება.“<sup>14</sup>

**მარტი.** „1921 წლის მარტიდან გალაკტიონი ხელოვნების სასახლეში ცხოვრობდა, საიდანაც 1923 წელს გამოასახლეს. ამის შემდეგ 1926 წლამდე მას მუდმივი თავშესაფარი არ ჰქონია. ერთი პერიოდი უცხოვრია ვახტანგ კოტეტიშვილთან: „ექვსი თვე დაჰყო გალაკტიონმა ჩვენსა. მერე დიდი მადლობებით გამოგვეშვიდობა და წავიდა...“ (ვახუშტი კოტეტიშვილი). 1926-1934 წლებში პოეტი ცხოვრობდა თავისი ცოლისძმის შალვა ოკუჯავას ბინაში: კრილოვის ქ.№ 10.“<sup>15</sup>

**9 აპრილი.** „გრუკავროსტას გამგეს, მოქ. ბოგდატიევს. ჩემი წიგნი (ლექსები, ტ. II) დაბეჭდილ იქნა ჩემმიერ 2000 ეგზემპლიარი. იგი დაჯდა (მაისში 1919 წ.) 25000 მანეთი (ქალაღი, აწყობა, დაბეჭდვა და სხვ.). ნაწილი ამ წიგნებისა, მე უფასოდ დავარიგე სალიტერატურო საღამოებზე... უფრო მეტი ნაწილი წაიღეს აგენტებმა და შემდეგ არ დაუბრუნებიათ არც წიგნები და არც ფული. ამნაირად, მე არ მიმიღია არა თუ საავტორო ჰონორარი, არამედ... გამოცემის ხარჯებიც კი არ გამისწორებია. 500 წიგნი, რომელიც შენახული მქონდა, გთხოვთ, იყიდოთ ჩემგან – ეგზემპლიარი ათას მანეთად, თუ არა – გთხოვთ, დამიბრუნოთ. გალაკტიონ ტაბიძე.“<sup>16</sup>

**19 აპრილი.** „იყო მორიგი სხდომა აკადემიის და მორიგი სოოსულეჩლები.“<sup>17</sup>

**20 აპრილი.** „დავლიე რა რიუმკა კონიაკი, მე გავეშურე კად. კორპუსკენ. იქ დანაკლისის შესახებ ვნახე და ველაპარაკე სახ. შინაგან საქმეთა კომისრის მდივანს: ის თურმე კიდეც მცნობდა და დიდებულად მიმიღო. ვნახოთ რა გამოვა. საზოგადოდ, საზოგადოებაში თანდათან ვსარგებლობ იდუმალი სიმპატიით. რაც ძნელი გამოსაცნობი არაა. საღამოს აკადემიის სხდომაა. გრ. რობაქიძე კითხულობდა ლექციას ნოვალისის პოეტიკის შესახებ. მან აღწერა ნოვალისის გარე ცხოვრება, მისი სულიერი ცხოვრება და აქიდან გამოიყვანა მისი პოეტიკაც. იგი კითხულობდა წიგნიდან ციტატებს და ასე ლექციის წაკითხვა არავისთვის ძნელი არაა. მაინც ლექცია ძლიერ საინტერესო გამოვიდა ერთის მხრით: მან ნათლად დაამტკიცა რობაქიძის არაპოეტობა, და ამისთვის შესაფერი საფუძვლების ძიება... ლექციის შემდეგ ჩაი დავლიეთ პაოლოსთან. აქ მე პირდაპირ ობლად ვგრძნობ თავს. იმდენად უსინდისოები არიან, რომ ყველანაირ ტერორს მიკეთებენ სიტყვის თქმის დროს, ერთმანეთს გადახედავენ ხოლმე და სხვ. ეს კარგი, მე მშვენიერად ვგრძნობ თანდათან რანაირად მოვიქცე...“

რა უბოლოო, რა დიდ და ღრმა მწუხარებასა და მარტოობას განვიცდი; დავკარგე ყველაფერი, რაც მიწერია ბავშვობიდანავე... სულ ყველაფერი... თითქო მომკვდარიყოს ჩემი სიყმანვილე: მრავალი გათენებული ღამეები, მრავალი გრძნობები სიხარულისა, მუყაითი შრომის, ენერგიული თავგამოდების... ჩემი დღიურები. ჩემი ლექსები... ვერასოდეს, ვერასოდეს, ვერასოდეს მათ ველარ ვნახავ... ყველაფერი დაიკარგა... ეხლა ყოველივე ეს მკვდარია: თქვენ, იდუმალებით სავსე ნაწყვეტებო, რომელთაც მონინებით გინახავდით მომავალი დიდი რომანის დასამუშავებლად. თქვენ, ჩემო ძვირფასო წიგნებო: გოტიე, ვერლენ... რემბო!..“

არავინ, არავინ, არავინ თქვენთაგანი არ დაბრუნდება... და ვარ ეხლა სრულიად მარტო... გაქრა წარსული, ჩემი გული, ჩემი იმედი მომავალისა. ეხლა მეშინია იმაზე ფიქრი, თუ რა მომელის მე მომავალში. ვინ დამიჭერს მხარს? ვინ მომცემს ძალას... გალაკტიონ ტაბიძე აღარ არის. გაუმარჯოს გალაკტიონ ტაბიძეს. [ზოგიერთები], ტიცვიანმა თქვა, როდესაც რობაქიძე ლაპარაკობდა ბარათაშვილზე..., საზოგადოებამ გალაკტიონს გადახედაო... ეს ირონიულად სთქვა... მასხრად, ვნახოთ, ვნახოთ ვინ იქნება აგდებული.“<sup>18</sup>

**21 აპრილი.** „მე წინადადება მომცენ მონანილეობა მივიღო შვიდი მაისის გაზეთში. ვამზადებ ყუმბარას: მანიფესტს: იქნება აფეთქება. შალვა კარმელმა მითხრა: მე თქვენზე სულ სხვა წარმოდგენის ვიყავი: მეგონეთ ვიღაცა ყაჩაღი და აღმოჩნდით ძალიან და მეტად მშვიდობიანიო... სალამოს ვიყავი კონსერვატორიაში, სადაც ბოგდატიევმა უსინდისობით სავსე რეფერატი წაიკითხა ტოლსტოიზე. ტოლსტოი არც მე მრწამს დიდათ როგორც ფილოსოფოსი, მაგრამ იგი გენიალური მხატვარია... კარა დარვიშმა ერთ ლამაზ სომხის ქალთან ასე წარმადგინა: „Познакомьте, король поэтов“ და სხვ. ბოგდატიევი თავის ლექციის კითხვის დროს მიყურებდა მხოლოდ მე...“<sup>19</sup>

**22 აპრილი.** საცაა მალე დაიწყება სხდომა აკადემიის. ვინ არიან მისი წევრები, ჯერჯერობით გამოურკვეველია... მე „Злой гений“ ქართველი პოეტების, ვინ იცის კიდევ რა როლს ვითამაშებ გარემოებებში. არა... მე თანდათან ვრწმუნდები, არც ერთს მათგანს არა აქვს ჩემდენი დაფარული პოეტური ენერჯია... იგი გაანადგურებს ყოველივეს, რაც კი წინ დახვდება... გაუმარჯოს მომავალ ბრწყინვალეებს და მეფეს ქართველი პოეტებისას. შორს არაა ის დრო, როცა კიდევ იგრილებენ გაზეთები, ქუჩები, თეატრები. ამ ხმას აჰყვება მსოფლიო. გაუმარჯოს მსოფლიო რეზონანსს...“<sup>20</sup>

**24 აპრილი.** „რამდენ ძალასა ვგრძნობ, რამდენ ნიჭს, რამდენ ღირსებას ჩემში: არისტოკრატულს, შვენიერს, უსათუოდ შვენიერს... მახალისებს ყოველივე. მე გავიმარჯვებ. ჩემი დიდება აუცილებელია. ჩემი შუქმოსილი ბრწყინვალეობა დააბნელებს ირგვლივ ყველაფერს... ეს აუცილებელი მოვლენა და დღე იქნება მალე, ძალიან მალე.“<sup>21</sup>

**[22 მაისი].** ხელოვნების მთავარ განყოფილებას გალაკტიონ ტაბიძის განცხადება. გთხოვთ, ნება დამართოთ, რათა კვირას, 22 მაისისთვის სახელმწიფო თეატრში გავმართო პოეზიის, მუსიკის, დრამისა და მხატვრობის სალამო... [(ამასთანავე გთხოვთ, ნება დამართოთ დავანესო საკუთარი ფასები. მე სრული იმედი მაქვს თქვენი ამხანაგური თანხმობისა. მართალია, არსებობს დეკრეტი თეატრის კერძო პირთათვის არმიცემის შესახებ, მაგრამ ჩემს შესახებ ყოველთვის შეიძლება გამონაკლისის დაშვება, რაც თვითეულმა თქვენგანმა კარგად იცის... სალამოს ექნება ყოველმხრივი ხასიათი: პოეზია, მუსიკა, დრამა, მხატვრობა თანაბრად იქნება წარმოდგენილი].“<sup>22</sup>



**24 მაისი.** 1921 წლის 24 მაისს გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია: „მე ოლია შემდეგი ლექსით გავაცვილე რუსეთს: „მზეო თიბათვისა, მზეო ღვთისმშობელო“.

„მზეო თიბათვისა, მზეო – ღვთისმშობელო,  
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.  
ტანჯვა-განსაცდელში თვალი მიურიდენ,  
სული მოავლინე ისევ შენმიერი,  
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,  
სული უმანკოთა მიეც მშვენიერი.  
ხანამ საშინელმა გზა რომ შეეღება,  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,  
მძაფრი ქარტყილი მას ნუ შეეხება,  
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები!“<sup>23</sup>

**27 მაისი.** ძმაო გალაკტიონ! იმ დღიდან, რაც აქედან წადი, ყოველ საათში ველოდით წერილს. არ მეგონა, თუ არ მოიწერებოდი: ან როგორ ჩადი თბილისში, დაგხვდა რაიმე თუ არა, ან სად მოენყვე?.. ამ დღესასწაულებზე გელოდით, შენ სთქვი, ჩამოვალო და შენ ხომ, რასაც იტყვი, ხომ უეჭველად აასრულებ... რაც იყო, იყო და ეხლა მაინც ჩამოდი... გალაკტიონ! დედამ კონვერტი გამახვევია და გითვლის: საცვლები ან ასეთი რამ გასარეცხი თუ გექნეს, ყველაფერი დაახვიე და წამოიღეო. აბესალომი.<sup>24</sup>

**11 ივნისი.** „გალაქტიონ ტაბიძის საღამო. ხვალ (კვირას, ივნისის 12) სახელმწიფო დრამის თეატრში შესდგება გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო. საღამოში სხვადასხვა სახით მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. მოხსენებას „გალაქტიონ ტაბიძის პოეზია“ გააკეთებს ალ. წერეთელი. ახალი ლექსებით, ნოველებით და სიტყვებით გამოვლენ ტფილისში მყოფი თითქმის ყველა ქართველი მწერლები. გამოვლენ აგრეთვე უცხოეთის მწერლები. პოეტის ლექსებს წაიკითხავენ მსახიობები სახელმწიფო დრამის თეატრისა. წაკითხულ იქნება ლექსები I, II და III წიგნიდან (მერი, მთანმინდის მთვარე, ლურჯა ცხენები, მე და ღამე, ვლ. ალექსი-მესხიშვილის ხსოვნას, რევოლუცია, პოეტების მეფედ გამოცხადების გამო და სხვ.), წაიკითხავს ლექსებს თვითონ პოეტი II და III წიგნიდან. მონაწილეობენ ასევე მომღერლები სახელმწიფო ოპერის თეატრიდან (ინაშვილი და სხვა). იქნება პიანინო, სკრიპკა. დადგმულ იქნება ცოცხალ სურათად რამდენიმე ლექსი გალაქტიონ ტაბიძისა. ამ დღეს უფასოდ დარიგდება ეგზემპლიარები პოეტის უკანასკნელი წიგნისა „Grane aux fleurs“. ადგილების ფასი ამ საღამოზე დაკლებულია, დიდი ნაწილი ბილეთებისა გადადებულია უფასოდ დასარიგებლად (მსურველებს ბილეთები შეუძლიათ მოითხოვოთ სახ. თეატრის კასაში) დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით შემდეგ.“<sup>25</sup>

**12 ივნისი.** „დღეს, 12 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მგოსან გ. ტაბიძის პოეზიის საღამო. საღამოს შინაარსი მრავალ ფეროვანი და საინტერესოა.“<sup>26</sup>

**15 ივნისი.** „საქართველოს რევოლუციონური მთავრობა არსებობის პირველ დღიდანვე მფარველობას უწევს ქართულ ხელოვნებას... ყოველი ღონისძიება იყო მიღებული და არის, რათა ხელოვნების მსახურთათვის გაუმჯობესებულიყო ცხოვრება. ამას ვერ უარყოფს ვერც ერთი სინდისიერი ქართველი მწერალი, მსახიობი, პოეტი... მაგრამ ეს უკანასკნელნი იმის მაგიერ, რომ რევოლუციას დაეხმარონ და მუშათა სახელმწიფოს განმტკიცებას შეუწყონ ხელი, წინააღმდეგს მუშაობენ და საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას უტიფრად სცემენ ზურგში ლახვარს. ამის დამამტკიცებელი ფაქტები მრავლად მოგვეპოვება. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, მჭედლიშვილის მიერ მოთავსებული ლექსები „სოც. ფედერალისტ“-ში, „პოეზიის დღეს“ გამართულ საღამოებზე ზოგიერთ პოეტების გამოსვლა, გრიშაშვილის და ტაბიძის „საღამოები“ ... სამშობლოს სიყვარულის ფრაზეოლოგიაში სურთ ამ ვაჟბატონებს დამაღონ თავიანთი შავი ზრახვები. გრიშაშვილის გამოსვლა თავის ლექსით „ტაბიძის საღამოზე“ იმის მაჩვენებელია, რომ მისი პოეზია გახრწნას განიცდის... დღეს ის სრულიად გარიყულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ცხოვრებიდან. სანდრო.“<sup>27</sup>

**21 ივნისი.** „ოლია! ჩვენ მალე ჩამოვალთ (ყოველ შემთხვევაში, მე მაინც მოვახერხებ ჩამოსვლას, მგონია)... ლექსები დავწერე ბევრი... ოლია მეორე წერილში გამოგიგზავნი ლექსებს. ეხლა ვერ მოვასწარი... Галактион Табидзе, Король поэтов Грузии. 1921, 21 июня, Тифлис.“ ძვირფასო ოლია, მენატრება შენთან ჩამოსვლა.“<sup>28</sup>

**22 ივნისი.** „ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მტრები ვერ ისვენებენ!.. საბჭოთა საქართველოს რევოლუციური მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ძველი დამსახურებული ხელოვანები და რესპუბლიკისათვის გამოსადეგი ინტელიგენტები ყოველ მხრივ უზრუნველ ჰყოს და დააჯილდოვოს... მაგრამ უმადურთ და „ბედით უკმაყოფილოთ“ რა დააკმაყოფილებს, ან მათ გატეხილ გულს რა გაამთელებს?.. „კუზიანს მხოლოდ სამარე ასწორებს“ – აი ჩვენი პასუხი ამ კითხვებზე!.. ყველა შეამჩნევდა, რომ ეს სამი თვეა, რაც ქართულ ნაციონალისტურ პოეზიაში (თეატრი, წიგნი, გაზეთი და ჟურნალი) ერთი საშინელი შოვინისტური ვაკხანალიაა ამართული. მოიგონეთ თეატრებში განუწყვეტლივ „ლალატის“, „სამშობლოს“ და ამისთანა პიესების დადგმა. ოპერაში „კოტე და ქეთოების“, „არშინ-მალ – ალანების“ და სხვა გამრყენელი მუსიკის ჟრიამული. მოიგონეთ „პოეზიის დღე“ და იქ ნაციონალისტ მგოსნების „ბუზლუნი“ სამშობლოზე, მოიგონეთ გრიშაშვილის და გალაქტიონის „უკვდავი საღამოები“, რომლითაც მათ ჩვენი „საზოგადოების“ უსაქმურ ნაწილს ისედაც აშლილი ნერვები გაუღიზიანეს და

ჩვენს სამტროთ მომართეს. ეს ჩინებული აგიტაციაა, ჩვენი აშკარა მტრების სასარგებლოთ განეული... რა გაეწყობა, ჩვენ ვივლით ჩვენი გზით, ისტორიით გაკაფული გზით და ამ გზიდან ეს ჩვენი მოლაღატენი და გაუსწორებელი კუზიანები, ჩვენი ხალხის ხორცმეტენი უფსკრულში გადაიჩეხებიან, ამის მიზეზი მხოლოდ ის იქნება, „რომ დღეს საქართველო ის როდია, რაც იყო წინათ: ახალმა ძალამ ძველი ძალა მოსპო, ალაგმა. რ. კ.“<sup>29</sup>

**26 ივნისი.** ჟურნალში „ხელოვნება“, გამოქვეყნდა ობოლი მუშას ლექსი: „გალაქტიონ ტაბიძე“.<sup>30</sup>

**10 ივლისი.** „სამშაბათს, 12 ივნისს (უნდა იყოს 12 ივლისს – მ.შ.) ქართული კლუბის საზაფხულო ბაღში გაიმართება საინტერესო საღამო რეპორტიორ დავით პავლიაშვილისა... ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობენ: იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ია ეკალაძე, ტაბიძე გ.“<sup>31</sup>

**17 ივლისი.** „ ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაქტიონი, /გვარად ტაბიძე და „ტიტულით მეფე-მგოსანი“; /მის ლექსის თქმაზე აკანკალდეს ძველი სიონი, / გლოვის ძაძებში გაეხვიოს მზე სხივოსანი...“<sup>32</sup>

**31 ივლისი.** გალაქტიონის ლექსის „დღემ გაიარა“ B რედაქცია უფრო ვრცელია, სათაურიც სხვა აქვს: „ალექსანდრეს“ რომელსაც მინაწერი ახლავს: „ალექსანდრეს ბაღი. 31 ივლისი 1921 წ.“<sup>33</sup>

**[7 აგვისტო].** ალექსანდრე ბლოკის გარდაცვალებას მიუძღვნა გალაქტიონმა ლექსი: „ალარ არის მენესტრელი“... ლექსი დაწერილია 1921 წლის 7 აგვისტოს შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა ალ. ბლოკი.<sup>34</sup>

**10 აგვისტო.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით მწერალთა ერთი ჯგუფისა და, მათ შორის, გალაქტიონ ტაბიძისათვის ერთდროული დახმარების – 50000 მანეთის მიცემა... მიეცა დახმარების სახით ორმოცდაათი ათასი მანეთი (50000) შემდეგ მწერლებს: გ. ტაბიძეს, გ. ქუჩიშვილს, გ. ლიონიძეს, შ. კარმელს, რ. გვეტაძეს, ი. გვანცელაძეს, ბაბილინას, შ. კაჭახიძეს, და მ. აბრამიშვილს...<sup>35</sup>

**19 აგვისტო.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე გალაქტიონ ტაბიძისა და ილია აგლაძის ერთობლივი წინადადება: გ. ტაბიძისა და ი. აგლაძის წინადადებით, საჭიროა სახელოვნო ცენტრს ლექციების გამართვის დროს კავშირი ჰქონდეს არა ხელოვნების აკადემიასთან, არამედ მწერალთა კავშირთან.<sup>36</sup>

**21 აზვისტო.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. ...  
2. ძველი და თანამედროვე ქართველი მწერლების გამოცემის კოლეგიაში აირჩიეს: გ. ტაბიძე, ი. ეკალაძე და შ. აფხაიძე.<sup>37</sup>

**31 აზვისტო.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის დადგენილება. დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა, რომ აკადემიური ულუფა მიეცეს შემდეგ მწერლებს: 1. ს. აბაშელს, 2. ვ. გაფრინდაშვილს, 3. ი. გრიშაშვილს, 4. პ. იაშვილს, 5. ვ. კოტეტიშვილს, 6. კ. მაყაშვილს, 7. ობოლ მუშას, 8. ი. აგლაძეს, 9. ვ. რუხაძეს, 10. გ. ტაბიძეს, 11. ტ. ტაბიძეს, 12. ს. ფაშალიშვილს, 13. ლ. ქიაჩელს და 14. გ. ქუჩიშვილს.<sup>38</sup>

**9 სექტემბერი.** „[შეიქმნა] სახელოვნო კომიტეტის კოლეგები: ძველი და თანამედროვე ქართული მწერლობის გამოცემისა: (ია ეკალაძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ იმედაშვილი, შალვა აფხაიძე).“<sup>39</sup>

**6 ოქტომბერი.** საქართველოს მწერალთა ახლად არჩეული საბჭო შეუდგა მუშაობას. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ კ. მაყაშვილი, მის ამხანაგებად: ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, გალაკტიონ ტაბიძე.<sup>40</sup>

**12 ოქტომბერი.** საქართველოს მწერალთა კონფერენციაზე მწერალთა კავშირის ახლად შექმნილ გამგეობაში გალაკტიონ ტაბიძის არჩევა... საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ: ალექსანდრე აბაშელი, ობოლი მუშა, ვარლამ რუხაძე, ია ეკალაძე, კოტე მაყაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ილია აგლაძე, იოსებ გრიშაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, კონია გამსახურდია და ტიციან ტაბიძე.<sup>41</sup>

ქართველ მწერალთა ახალი საბჭოს დადგენილებით, მწერლებისაგან ნაწარმოებთა შესასყიდად და გამოსაცემად შეიქმნა მწერალთა კავშირის გამოცემათა სარედაქციო კომისია: გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია.<sup>42</sup>

**21 ოქტომბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის მოხსენება ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის საკითხზე. სხდომას დაესწრნენ: ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, ვ. რუხაძე, ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ი. ეკალაძე. მოისმინეს ტაბიძის მოხსენება ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის... შესახებ. დაადგინეს: პრინციპულად მიღებულ იქნას ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემის დადგენილება, ქალაქის ჟურნალისათვის მოხმარება. თუ კვირეული ჟურნალის გამოცემა არ მოხერხდა, გამოიცეს თვეში ერთხელ მაინც – 32 გვერდი მინიმუმ, 64 გვერდი მაქსიმუმ, თანამშრომლებს ჯამაგირი და ჰონორარი მიეცეს ტარიფის მიხედვით.<sup>43</sup>

**9 ნოემბერი.** „მწერალთა კავშირის ინიციატივით ხელოვნების სასახლეში გაიმართება“ ლიტერატურული ხუთშაბათი“, ლექსთა და მოხსენებათა კითხვა ქართული ძველი და ახალი ლიტერატურის შესახებ. მოხსენებას წაიკითხავენ: ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, გალ. ტაბიძე, კ. აბაშიძე, აკაკი შანიძე... მოხსენებების გარდა გაიმართება ლექსების და მოთხრობების კითხვა ავტორების მიერ...“<sup>44</sup>

**10 ნოემბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, ი. გრიშაშვილი, ობოლი მუშა, ი. ეკალაძე, კ. მაყაშვილი, ა. აბაშელი. მოისმინეს: ... ნ. ივანე კორინთელის განცხადება ბიბლიოთეკისათვის მისი წიგნების შექმნის შესახებ. დაადგინეს: მიენდოს გ. ტაბიძესა და ი. გრიშაშვილს – დაათვალიერონ წიგნები და გამართონ მოლაპარაკება შესყიდვის შესახებ. საკითხი გადაეცეს განსახილველად ხელოვნების მთავარ კომიტეტს.<sup>45</sup>

**21 ნოემბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის არჩევა პერიოდული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარედ. სხდომას დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ლ. ქიაჩელი, ობოლი მუშა, ა. რუხაძე, ვ. რუხაძე, პ. ირეთელი, გ. ტაბიძე, გ. გრიშაშვილი, ი. ეკალაძე, კ. გამსახურდია, კ. აბაშიძე. მოისმინეს: გამომცემლობის მოწყობისა და პერიოდული ჟურნალის საკითხი. დაადგინეს: აირჩეს სარედაქციო კოლეგია და დაუყოვნებლივ შეუდგეს მასალების შეგროვებას. კოლეგიაში თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გალაკტიონ ტაბიძე, წევრებად კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი. ჟურნალის სახელი გამოიმუშაოს კოლეგიამ და მოახსენოს საბჭოს.<sup>46</sup>

**21 ნოემბრის შიშფაშ.** სახალხო განათლების კომისარს. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა დაადგინა, გამოსცეს ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი, რომლის მასალები წინასწარ განიხილება სათანადო ცენზურის მიერ. ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორობა მინდობილი აქვს პოეტ – გალაკტიონ ტაბიძეს. ს.ს. მწერალთა კავშირის საბჭო გთხოვთ, ნება დაგვართოთ ჟურნალის გამოცემისა და დაბეჭდვის სახელმწიფო განკარგულებაში მყოფ რომელიმე სტამბაში.<sup>47</sup>

**29 ნოემბერი.** „პირველი იანვრისთვის გამოვა ახალი ჟურნალი – მწერალთა კავშირის უწყებები. სარედაქციო კოლეგიაში შევიდა გალ. ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, კ. გამსახურდია.“<sup>48</sup>

**2 დეკემბერი.** „პირველი იანვრიდან გამოსვლას იწყებს სრულ საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ჟურნალი “ლომისი“. მასალები უნდა გადაეცეს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს – გალაკტიონ ტაბიძეს. რედაქცია მოთავსებულია ხელოვნების სასახლეში (სერგ. ქუჩა № 13).“ მეოთხე

გვერდზე, დამატებითი ინფორმაცია: „სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის გალაკტიონ ტაბიძის ნახვა შეიძლება იქვე ყოველ-დღე დღის 12-2 საათამდე.“<sup>49</sup>

**11 დეკემბერი.** კონია გამსახურდია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მოხსენება „ი. გრიშაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე“, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გადაიდება ახლო მომავლისთვის.<sup>49</sup>

**21 დეკემბერი.** გამოიცა ერთჯერადი გაზეთი „ტერენტი გრანელი“ (მისი პოეზიის დღის გამო). მომწყობი კომისია იუწყებოდა: „დღეს საქართველოში პირველად გამოდის ასეთი სახელწოდებით და საერთოდ ასეთი ხასიათის გაზეთი“. ამ გამოცემის მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებულია ცნობა: „წერილები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ იქნა გამოშვებული: წერილი აპოლონ ქელბაქიანის: „გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი“.

**23 დეკემბერი.** „ახლახან გამოვიდა რუსული თარგმანი ქართველი პოეტებისა: „Поэты Грузии“. წიგნში მოთავსებულია ლექსები იმ პოეტებისა, რომელნიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოების ყურადღებას იპყრობენ. უმთავრესად ეს წიგნი ეკუთვნის ყანწელებს. არის მცირე გამონაკლისი (აბაშელი, გალაკტიონ ტაბიძე და ამირეჯიბი)... გ. ტაბიძის „მე და ღამე“ ნახად და მუსიკის სრული დაცვით არის გადმოცემული ვ. გაფრინდაშვილის მიერ...“<sup>51</sup>

**1921.** „პირველადვე დაისვა საკითხი – რა სახის, ასე ვთქვათ, რა მიმართულების უნდა ყოფილიყო აკადემია. ჰქონოდა მას სახე მართლა აკადემიური, თუ იგი ყოფილიყო ბუნტარული (უმთავრესად იმავე აკადემიზმის წინააღმდეგ), არც ერთის, არც მეორეზე დათანხმება, ჩემის აზრით, არ შეიძლებოდა: იგი არ იქნებოდა აკადემია: 1. უმეტესობა იქ დამსწრეთა წინააღმდეგი აღმოჩნდა თუნდაც ანბანიდან დაწყებისა; 2. საქართველოში არ იპოვება ლექსის მცოდნენი, რომელთანაც ლაპარაკი შეიძლება (პირადათ მე ამათ რიცხვში ვაქცევ გრ. რობაქიძესაც) ლექსის შესახებ; 3. მესამენი არც ისე აუცილებლად თვლიდნენ ამფიბრაზებისა და იამბიკონების გამო სერიოზულად დროის დაკარგვას (აქ პაოლო იაშვილმა სამართლიანად თქვა, რომ უმეტესობა უნიჭიერესი პოეტებისა ანგარიშს არ უწევს, ზოგი სრული შეგნებით, ზოგი შეუგნებლად, ასე თუ ისე ზედმეტად თვლიან ამაზე დროს დაკარგვას). პირადათ მეც ვიცი, რომ თვითონ პაოლო იაშვილს არაფერი არ გაეგება ამ წყობისა, მარა ეს სრულიად ხელს არ უშლის იყოს პოეტი. ამნაირ გარემოებებში მოქცეული „აკადემია“ – რა თქმა უნდა, აკადემია ვერ იქნება. მაშ, როგორი უნდა იქნას მუშაობა? მიმართული ამ აკადემიზმის წინააღმდეგ – ბუნტარული? რა თქმა უნდა, ვერც ასეთი იქნება...“

ჩემის აზრით, ერთი გზაა: ეს არ იქნება არც ძველი აკადემიზმი, არც ფუტურიზმი. ყოველგვარი სისტემა ამ მუშაობაში არ-მისაღებია. სახე ამ დაწესებულებისა უნდა გამოამკარავდეს თანდათანობით და არა ერთბაშად... თვითონ ინიციატორებს ემჩნევათ დაბნევა...ისინი გამოდიან ჯგუფის სახელით, მაგრამ

მთლიანობა ჯგუფისა კი არა აქვთ: გრ. რობაქიძე ამბობს, მე ვართაგავასთან ვერ ვიმუშავებ. ტ.ტ. ამას შესაძლებლად ცნობს. რობაქიძე ამბობს: რომ საქართველოში მე ვერავინ მაჯობებს ლექსის ცოდნაშიო, პაოლო იაშვილი უპასუხებს, რომ საქართველოში აღმოჩნდებიან; ტიცვიან ტაბიძე აცხადებდა აკადემიას, ალი არსენიშვილი წინააღმდეგი ყოფილა, რობაქიძისათვის ეს სულ ერთია...

ასე და ამგვარად, ჩვენთვის ჯერაც გამოურკვეველია: ინიციატორები არიან ცისფერი ყანწელები თუ ჩვენა ვართ ყველანი. ე. ი. მე მინდა ვთქვა: აკადემიას აარსებენ ჯგუფის სახელით, ჯგუფური მიზნებისათვის თუ საერთოდ ქართული პოეზიისათვის... თუ აკადემია იხსნება ც. ყ. ჯგუფური მიზნებისათვის (რის ტენდენციასაც, თუმცა ნათლად არა, მაგრამ მაინც ვამჩნევთ), მაშინ იგი არ იქნება არც ბუნტარული, არც აკადემიური... 1. გამოირკვა, რომ არ არის აკადემია, მაშ რა უნდა დაერქვას; თუ თანახმანი არიან, დაერქვას აკადემია იმას, რაც არ არის. 2. დაერქვას ყველა ხაზები, ყველა მიმდინარეობა. 3. მე არ ვიცი, რა არის ცისფერი ყანწების მიმდინარეობა. მე ვიცი უფრო მშობლიური ტრადიცია...<sup>52</sup>

**1921.** მოგვიანებით, 1955 წლის 23 თებერვლის ქარიან დღეს ჩაუწერია: „დიდი ქარია ტფილისში. დალენა ყველაფერი... მწერალთა კავშირში ჩაამტვრია ჩვენი სექციის ოთახის მინები (კარგი მინები იყო, სარაჯიშვილის დროინდელი). ამ ოთახში ვცხოვრობდი 1921 წელს.<sup>53</sup>

**[1921].** „ახალ მერნების წყება“. „1922 წელს ჟურნალში „ლომისი“ (№1) დაიბეჭდა გ. ტაბიძის მეთაური წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, რომელიც დაწერილია 1921 წელს. ლექსი „ახალ მერნების წყება“ წარმოადგენს ამ წერილის გარკვეული ნაწილის პოეტურ წარმოსახვას... წერილსა და ლექსს შორის ტექსტოლოგიური ხასიათის დიდი დამთხვევებია, განმეორებულია ერთი და იგივე სიტყვები, გამოთქმები და სახეებიც კი... ასეთი დეტალური დამთხვევა, როგორც ტექსტში, ასევე მის ფაქტობრივ, იდეურ და მხატვრულ შინაარსში, ნათლად მეტყველებს რომ წერილიცა და ლექსიც ერთსა და იმავე დროს არიან დაწერილნი. ამრიგად, ლექსი 1921 წელსაა დაწერილი.<sup>54</sup>

**1921.** ნიკოლოზ შენგელაია შემხვდა 1921 წ. მატარებელში. მაშინ სამხედრო იყო. მე მოვდიოდი სოფლიდან. ის შემოიჭრა და სთქვა – ძლივს დავაღწე თავი, მივყავდით დაჭერილი და ხიდიდან წყალში გადავხტიო და თავს ვუშველეო. ძალიან ცოცხალი კაცი იყო. ის მოწმე იყო 1922 წ. ხელოვნების სასახლეში ჩემი და ტიცვიანის კონფლიქტის. მე ვთხოვე არავისთვის გაემხილა და მან ეს შეასრულა.<sup>55</sup>

**1 იანვარი.** ჟურნალ „ლომისში“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი: „ზამთარი“.

ძველი აკადემიური გამოცემის მეორე ტომის ვარიანტებსა და შენიშვნებში აღნიშნულია: „ეს ნაწარმოები „1927 წელს პოეტმა სამ დამოუკიდებელ ერთეულად აქცია („დგება თეთრი დღეები“, „მეოცნებე აფრებით“, „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“ – მ.შ.). უფრო გვიან ლექსებმა სხვადასხვა თარიღი მიიღეს. წინამდებარე გამოცემაში გათვალისწინებულია ავტორის უკანასკნელი ნება მათ დამოუკიდებელ ლექსებად დასტამბვისა, არ გავიზიარეთ ავტორის მიერ გვიანდელ გამოცემებში მოცემული თარიღები (1912, 1917) და ლექსები პირველი პუბლიკაციის მიხედვით დავათარიღეთ.“<sup>1</sup>

ლექსი „მეოცნებე აფრებით“ შემდგომ შეცვლილი სათაურით: „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით“ იბეჭდებოდა (მაგ. ლექსები, 1927 წ.). ამ სათაურითაა ის შეტანილი თხუთმეტტომეულშიც.

**1 იანვარი.** ჟურნალ „ლომისის“ ამავე ნომერში დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის წერილი: „პოეზია უპირველეს ყოვლისა.“ „ხელნაწერის დასაწყისში ვკითხულობთ: წერილი დაწერილია 1921 წელს. იგი 1921 წლის დამლევს წაკითხული იქნა მწერალთა კავშირის კრებაზე და მქუხარედ დაჯილდოვებული. გადანყდა, ეს წერილი დაბეჭდილი ყოფილიყო როგორც სახელმძღვანელო წერილი ჟურნალ „ლომისში“. „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ თავის ქრონიკაში იუწყებოდა: 1921 წლის ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო გ. ტაბიძის წინადადებით აარსებს ჟურნალ „ლომისს“, რომლის გარშემო თავს იყრის თითქმის ყველა მწერალი...“<sup>2</sup>

1922 წლის პირველი დღე ხელოვნების სასახლემ გახსნა ჟურნ. „ლომისით“, რომელიც გალ. ტაბიძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა...<sup>3</sup>

**1 იანვარი.** „იყო დრო, როცა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის კულტურათა უმეშველო გავლენას განიცდიდა... ახალ ეპოქას ხსნიან ალ. შანშიაშვილი და იოსებ გრიშაშვილი, ეს ორი ბრწყინვალე დიოსკური ქართული მწერლობისა. მათ შორის განმარტოებით სდგას გალაკტიონ ტაბიძე“.<sup>4</sup>

**2 იანვარი.** „ძ. გალაკტიონ!.. ჩვენ კარგათა ვართ. შენი ამბავი კი არ ვიცით... უეჭველათ გელით ამ უქმეებზე. შენ იცი, თუ ჩამოხვალ, მაგრამ ეხლა ნამეტანი კრიზისია ფულის და სიმონის ნამოსვლაც აი, ერთი საათის წინ გავიგე... თუ ვერ ჩამოხვალ, მომწერე. შეიძლება ვახერხო და რაიმე გამოვავ ზავნო ბაგაჟით – შემომითვალე, რა გამოგიგ ზავნო... აბესალომ ტაბიძე.“<sup>5</sup>

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სხდომას დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ვ. რუხაძე, ი. ეკალაძე, კ. გამსახურდია, ობოლი მუშა, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი და კ. აბაშიძე. მოისმინეს: დანტეს სიკვდილიდან 600 წლის შესრულების აღსანიშნავად საზეიმო სხდომის მოწყობა... დაადგინეს: დაევალოს



ი. გრიშაშვილს, გ. ტაბიძეს, ობოლ მუშას და კ. გამსახურდიას – თარგმნონ და ნაიკითხონ ნიმუშები დანტეს შემოქმედებიდან.<sup>6</sup>

**7 იანვარი.** „... „ჟურნალ „ლომისს“ ანერია სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა, მხოლოდ ამიტომ ვხდით მას ბიბლიოგრაფიის საგნათ. „სრულიად“-ს რასაკვირველია, დიდი ბრჭყალები აქვს. ყოველ შემთხვევაში ეს ჩიჩიკოვები მოხერხებულად ვაჭრობენ „მკვდარი სულებით“, ძველი მწერლები, რომელნიც შეადგენენ მათ კაპიტალს და ოფიციალურ გამართლებას, აქ არ არიან. სამაგიეროთ აქ მოთავსებულია ლექსი ერთი მგოსნის, რომელსაც გიონ საგანელის ჟურნალ „ტფილისი“-ს გარდა ლექსი არსად არ დაუბეჭდია. მაგრამ ჰქონია თურმე გამართლება ამ მალვასა და სიფრთხილეს. ეს ლექსი გადამღერება ნადსონის მოტივების რომელსაც ეხლა მარტო კუხარკები კითხულობენ ცრემლებით. კუხარკების მოვალეობას ჩვენში ბევრი ასრულებს. მაგრამ ეს არაფერს შემატებს გ. ტაბიძის სახელს. ალბად ამაში თვითონაც მალე დარწმუნდება, რადგან მას არ აქვს პოეტური კონცეპცია და სახე და ტემპერამენტით კი ჩამორჩება თავის მეტოქე გ. საგანელს. მაგრამ ეს ავტორი უფრო გათავხედებულია, როცა ქართულ პოეზიას ეხება. კარგია რასაკვირველია, როცა სამაუწყებო ამბობენ გავხდეთ „ერუდიტები“-ო, რომ რომ გამასხარავება არ იყოს. შეიძლება საქართველოში ვინმემ მართლა დაიჯეროს მისი „ერუდიტობა“, მაგრამ საკმაოა ამ წერილის ტერმინოლოგიით გარჩევა... რომ გამოვა კონფუზი. ავტორი ეხება რაღაც კაფეს პოეზიას. საწინააღმდეგოთ შეიძლებოდა ალბად ხაშების და ბურსაკების პოეზიაზე მითითება, მაგრამ რა საჭიროა...“<sup>7</sup>

**13 იანვარი.** შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ი. ეკალაძე, კ. მაყაშვილი, ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, კ. აბაშიძე, ა. რუხაძე, ი. აგლაძე, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი... მოისმინეს: ოთახის დაცლის შესახებ. დაადგინეს: წინადადება მიეცეს ი. გრიშაშვილსა და გ. ტაბიძეს მომავალ ორშაბათისთვის, 23 იანვრამდე აუცილებლად დაცალონ ოთახები.<sup>8</sup>

**31 იანვარი.** გალაკტიონ ტაბიძის თხოვნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისადმი. დამზადებული მაქვს გამოსაცემად ჩემი ლექსების მესამე ტომი. გთხოვთ დამეხმაროთ მის გამოცემაში. გამოცემისთვის საჭირო ქალაქისა და სხვა გასავლის ხარჯებში თქვენ დაიტოვებთ წიგნის იმდენ ეგზემპლარს, რამდენიც გაანაღდებს განუულ ხარჯებს, და აგრეთვე მოგცემთ განსაზღვრულ მოგებასაც. წიგნისთვის საჭიროა 25 ფუთი ქალაქი, 15 მილიონი მანეთი – ასანყობად და დასაბეჭდად. აგრეთვე ყდა. გამოცემის ხელმძღვანელობას თვით მე გავწევ. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>9</sup>

[**იანვარი.**] „[„ლომისის“] პირველი ნომერი იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „ზამთარი“, გალაკტიონ ტაბიძეს ქართულ პოეზიაში აქვს საკმაოდ პოპულარული სახელი... იგი გამომსახველია რომანტიზმის უნაზეს ხვეულების,



ლურჯა ცხენები.  
ლ. გულიაშვილი

ცისფერი შუქით დანისლულ სულის ნიუანსების. „ზამთარი“ არ არის მისი საუკეთესო ლექსთაგანი, მასში ბევრია ჰაერი, მაგრამ წყალიც საკმაოა – ხოლო ცეცხლი – ოდნავ... გალაქტიონ ტაბიძის წერილი: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ სავესეა პოეტურ ჩვენებათა კორიანტელით, ვერ გაიგებ, რაშია საქმე: გასული წლის ლიტერატურული მიმოხილვაა, თეთრი ლექსია, თუ ლირიკა პროზათ?... „პოეტები სვამდნენ საუკეთესო ღვინოს, წარსულისგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდნენ თავიანთ თავს, რომ ღვინო არ მოჰკიდებოდათ.“ ავტორს ვერ დაუჯერებთ, რომ ის ადევნებდა თავის თავს თვალყურს“, ვინაიდან იქვე ასეთ ერესს ამჟღავნებს: მე-XIX საუკუნემ მე-XX-ს საჩუქრად მოართვა მხოლოდ ერთი ზარმაცი ცხენი, ჩვენს საუკუნეს კი გაჭენებული მერნები, „ლურჯა ცხენები სჭირდება. ახლა ეს მერნები დგანან ახალი ეპოქის კარებთან...“ აქედან ირკვევა ორი რამ: მე-XIX საუკუნეს უანდერძებია მე-XX-სათვის ჯაგლაგა პოეზია. მეორე: მე-XX საუკუნე ამ მემკვიდრეობის ამარა სულს განუტევებდა, მაგრამ აი, გამოჩნდება „ლურჯა ცხენების“ ავტორი გალაქტიონ ტაბიძე და თავისი პოეზიის მერნებით

გააქანებს მთელ საუკუნეს. დიდი ენერგიით არის გასროლილი ეს სიტყვები, მაგრამ პოეტის პრესტიჟისათვის უკეთესი იქნებოდა ეს ეთქვა რომელიმე მკვლევარს პოეზიისას, ვსთქვათ 1932 წელს. დიდებას მით უფრო მალე მოიხვეჭ, რაც უფრო ნაკლებ ეპოტინები მას. წერილის მეორე ნახევარში ავტორი რაღაც გაუგებარი დაჟინებით ლაპარაკობს ხალხზე და ხალხის სახელით... აქ უთუოდ არის რაღაცა „გლავპოლიტპროსვეტი“-ს ლოზუნგებიდან.<sup>10</sup>

**5 თებერვალი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ილია აგლაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, ია ეკალაძე, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი, კოკი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, არჩილ რუხაძე, კოტე მაცაშვილი. განიხილეს: გალაკტიონ ტაბიძის წიგნის გამოცემის და გამომცემლობის საკითხი. დაადგინეს: მონვეულ იქნას 7 თებერვლისთვის საგანგებო სხდომა საბჭოსი და განხილული იქნას როგორც ეს, ისე რეორგანიზაციის საკითხები.<sup>11</sup>

**7 თებერვალი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაცაშვილი, კოკი აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ი. ეკალაძე, ი. აგლაძე, ობოლი მუშა, გ. ტაბიძე. განიხილეს: არჩევნები პრეზიდიუმის წევრთა და დანარჩენი კომისიებისა. დაადგინეს: სარედაქციო კოლეგიის წევრებად არჩეულ იქნენ: გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, ი. აგლაძე.<sup>12</sup>

**10 თებერვალი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაცაშვილი, ა. რუხაძე, გ. ტაბიძე, ი. აგლაძე, ლ. ქიაჩელი, ი. ეკალაძე, ობოლი მუშა, ი. გრიშაშვილი, კ. აბაშიძე. მოისმინეს: გ. ტაბიძის წიგნის გამოცემის საკითხი და საგამომცემლო კომისიის მოხსენება. კომისიის აზრით, პირველ სერიაში უნდა გამოიცეს ოთხი ავტორი: ქოლა ლომთათიძე, ნოე ჩხიკვაძე, კოტე მაცაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე. დაადგინეს: გამოიცეს კომისიის წარმოდგენილი ავტორები. სასურველია გამოიცეს ოთხივე წიგნი პარალელურად.<sup>13</sup>

**13 თებერვალი.** გალაკტიონის ლექსის: „ცხოვრება ჩემი“ თარიღია: „13 თებერვალი, 1922 წ.“<sup>14</sup>

„**13 თებერვალს** ლექსად გამოეპასუხა მოშურნე ოპონენტებს:  
„და შურიანი პოეტების გაბმული ყეფა  
დეე ისმოდეს – რისთვისაა პოეტი მეფე!  
ჩემს მაღალ წარსულს თქვენი ყეფის არ ეშინია.“<sup>15</sup>

**3 მარტი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ლეო ქიაჩელი, გალაკტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, არჩილ რუხაძე, კოტე მაცაშვილი, კოკი აბაშიძე. მოისმინეს: ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეს შესახებ. დაადგინეს: არჩეულ იქნას მცირე კომისია ლეო ქიაჩელის, გალაკტიონ ტაბიძისა და კოკი აბაშიძის შემადგენლობით, რომელნიც იზრუნებენ იუბილეს მოსაწყობად.<sup>16</sup>

**6 მარტი.** „თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში ორდერი აიღო – № 2030: მიეცეს ტაბიძეს ბელინსკის ქუჩაზე №9, ბინა 2.“<sup>17</sup>

**17 მარტი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაცაშვილი, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ი. აგლაძე, კ. აბაშიძე, ა. რუხაძე. მოისმინეს: „ლომისის“ საკითხი. დაადგინეს: ვინაიდან ჟურნალი ამ დღეებში გამოვა და პრეზიდიუმმა მიიღო ზომები, რომ ფული არ იქნეს სხვა პირებზე გაცემული და ამით არ შეფერხდეს ჟურნალის სტამბიდან დახსნა, გ. ტაბიძეს მიეცეს ჯამაგირისა და ჰონორარის ანგარიშში ერთი მილიონი მანეთი.<sup>18</sup>

**26 მარტი.** ჟურნალ „ლომისში“ ნ.ნ. –ს ფსევდონიმით გამოქვეყნდა გალაკტიონის წერილი „ზაქარია ჭიჭინაძე“ (№ 6-7).

**26 მარტი.** „დამზადებულია გამოსაცემად... გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა მესამე წიგნი, მის ბეჭდვას ახლო მომავალში შეუდგებიან“.<sup>19</sup>

**2 აპრილი.** ლიტერატურული ხუთშაბათი. ნ აპრილს ხელოვნების სასახლეში გაიმართება მორიგი საღამო... კოკი აბაშიძე წაიკითხავს: გალაკტიონ ტაბიძის „პოეზია“.<sup>20</sup>

**7 აპრილი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ლ. ქიაჩელი, ა. რუხაძე, ი. აგლაძე, კ. აბაშიძე, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, კ. მაცაშვილი, ი. გრიშაშვილი. განიხილეს: პოეზიის დღის მონყობის საკითხი. მოხსენება გ. ტაბიძისა. დაადგინეს: პოეზიის დღე გაიმართოს სახელმწიფო ოპერის შენობაში. პრეზიდიუმს დაევალოს ამთავითვე დაიკავოს თეატრი 7 მაისისათვის. გაზეთ „პოეზიის დღის“ გამოცემა და მასალის შეგროვება მიენდოს გ. ტაბიძეს...<sup>21</sup>

**9 აპრილი.** „ქართული ინტიმური საღამოები. შესდგა ახალგაზრდა ლიტერატორთა წრე, რომლის ინიციატორობითაც კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ხოლმე ინტიმური საღამოები. ძველი და ახალ მწერლების ნაწარმოებთაგან. ძველ მწერალთაგან საღამოები ერგებათ: ილიას, აკაკის, ბარათაშვილს, ბესიკს, საიათნოვას და სხვ. ახლებში: ი. გრიშაშვილს, კ. მაცაშვილს, ა. შანშიაშვილს, გალ. ტაბიძეს, ს. აბაშელს და სხვ. ჩარჩეული იქნება პოეტის შემეცნება, სტილი, ფორმა და წაკითხული – პოეტის ნაწერები.“<sup>22</sup>

**16 აპრილი.** გალაკტიონის ლექსის „ძველი ხელები წყდება კალიპსოს“ თარიღია: „16 აპრილი, აღდგომა, 1922 წ.“<sup>23</sup>

**3 მაისი.** „მაისის შვიდისთვის სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭო გამოსცემს ტრადიციულ გაზეთ „პოეზიის დღეს“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აბაშელი ს., ბარნოვი ვასილ, ტაბიძე გალაკტიონ...“<sup>24</sup>

**7 მაისი.** გამოვიდა ქართველ მწერალთა ერთდროული გაზეთის: „პოეზიის დღე“ მორიგი ნომერი (№ 3), რომლის მონინავე წერილი: „პოეზიის დღე“, გალაკტიონს ეკუთვნის.

**7 მაისი.** „ჩვენ ვდღესასწაულობთ ეროვნული პოეზიის დღეს არა მარტო იმიტომ, რომ ქართველი პოეტი ძლიერია თავისი წარსულითა და აწმყოთი; არა იმიტომ, რომ ქართველი პოეტი ქმნიდა შედეგებს, რომლის მსგავსით იამაყებდა ბევრი გამოჩენილი ერი... პოეზიაა ყოვლის მპყრობელი – როგორც სიყვარული და სიკვდილი. ჩვენს პოეზიაში წარსულიდან ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა... საქართველო და მისი პოეზია თანაბრად არიან რთული, განვრთნილი და ამაღლებული მრავალფეროვანი და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორია... საქართველომ მიიძინა როგორც მეფემ და გაიღვიძა, როგორც გაძარცვულმა, მაგრამ მის ახლო, თვით მასში, ყოველთვის იყო და არის პოეტი. პოეზია საქართველოში იყო ყველაფერი, რაც ცოცხლობდა, მოძრაობდა, ხმამაღლა გაიძახოდა. ამნაირი სახით მოვიდა იგი დღემდე. ჩვენი სამშობლო – სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, რომ არ შეიძლება ჩამორჩეს მას...

უხლა ყოველი მონინავე ქვეყანა გრძნობს საჭიროებას გადავიდეს ახალ ფორმებზე და გამოიყენოს წარსულიც... არავინ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები... სალამი ქართველ პოეტებს, ჩვენს სიამაყეს, გაუმარჯოს საქართველოს – ქვეყანას პოეტებისას. საქართველოსთვის უპირველეს ყოვლისა არსებობს პოეზია და პოეტებისათვის უპირველეს ყოვლისა – საქართველო!“<sup>25</sup>

**7 მაისი.** „[„ლომისის“] პირველი ნომერი გალაკტიონ ტაბიძის ზამთარმა გახსნა ლურჯთვალეზიანი რომანტიკა ალმაცერი ღამეების, იღუმალი ფიქრი ღამის ქაოსის მხატვარზე, სულეთისაკენ აფრაგაშლით მქროლავი ანგელოზის ფრთასავით თეთრი იალქნიანი. ჩუმი ცრემლი ამ ქვეყანაზე წაბილწულ კდემამოსილებსა, ჩივილი ლაჟვარდზე უსპეტაკესი სულისა მეორე წიგნიდან ოდნავ ნაცნობი „სამუდამოდ მშვიდობით“. იქვე მისი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, აქ კი მომავლის ფანტასტიურ კიბეებზე ამომავალი პოეტი ერთბაშად „ხალხთან მისვლაზე“ და „ხალხში ტრიალზე“ გველაპარაკება, ამ ხალხოსნურ კოლექტივისტურ სულს უეჭველია ერთგვარი დისპარმონია შეაქვს მის პოეტურ სოლიპსიზმით გამსჭვალულ წერილში. ჩვენ კი არ უნდა მივიდეთ ხალხთან, არამედ ხალხი ჩვენთან მოვიდეს.. მიუხედავად იმისა, რომ ამ წელს ქართული საზოგადოება სრულიად ინდიფერენტულად ექცეოდა ყოველივე საზოგადო საქმეს და განსაკუთრებით ქართულ მწერლობას, ხელოვანთა სასახლეში გულმოდგინედ დადიოდა ახალგაზრდობა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ერთი და იმავე შემადგენლობის აუდიტორიის წინაშე იმართებოდა მოხსენებები... ნაკითხულ იქნა მთელი სერია

მოსხენებებისა... ქართველ მწერლებზე: ნ. ბარათაშვილზე, გ. ტაბიძეზე, ი. გრიშაშვილზე...“<sup>26</sup>

**7 მაისი.** პოეზიის დღესთან დაკავშირებით ბათუმშიც გამოვიდა ერთდროული გაზეთი („აჭარისტანის ქართველ მწერალთა“ გამოცემა), რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსები: „ავდრები“ და „ოფორტი“.<sup>27</sup>

**9 მაისი.** გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ტრადიციული სადღესასწაულო დღის 7 მაისის გაზეთი „პოეზიის დღე“ შემდეგი შინაარსით: „პოეზიის დღე“ – გალაკტიონ ტაბიძე, „თეთრი კოშკი“, ს. აბაშელი, „ტაძარში“ – ბაბილინა, „ანტიქრისტე დიდ ქალაქში“ – კონსტანტინე გამსახურდია...“<sup>28</sup>

**9 მაისი.** „7 მაისი პოეზიის დღეთ არის გამოცხადებული ძველი მწერლობის კავშირის მიერ... პოეზიის გამოფენა გალაკტიონ ტაბიძეთი დაიწყო. გალაკტიონ ტაბიძის ყოველი სტრიქონი სისხლის წვეთებითაა ამოჭრილი. ღრმად განიცდის პოეზიას და ყოველგვარი ტენდენციური აზრით დაუმძიმებელი ლექსებით ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას. იმ საღამოსაც მის მიერ წაკითხული ლექსები სავსებით ამართლებს ჩვენს მიერ ნათქვამს. დანარჩენი პოეტების მიერ წაკითხული ლექსები გამეორებაა იმისა, რაც უკვე დაბეჭდილი იყო გაზეთებში... დამსწრე.“<sup>29</sup>

**20 მაისი.** „რედაქციამ მიიღო ქ. ბათუმში გამოცემული გაზეთი „პოეზიის დღე“. გაზეთში მონაწილეობენ: ბარნოვი ვასილ, ტაბიძე გალაკტიონ, კასრაძე დ., გაფრინდაშვილი ვალერიან, ქუჩიშვილი გ., ვარდოშვილი ხარიტონ, ნადირაძე კ...“<sup>30</sup>

**22 მაისი.** ცნობილი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც მთელი საქართველო თვლის ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლად, კვირას, 18 ივლისს სახელმწიფო ოპერის თეატრში მართავს ტრადიციულ საღამოს. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო შუამდგომლობს თქვენს წინაშე, სესხად მიეცეს მას 25 000 000 მანეთი. ეს ფული დაუბრუნდება აღმასრულებელ კომიტეტს გალაკტიონ ტაბიძისაგან საღამოს გამართვისთანავე. მწერალთა კავშირი იმედოვნებს, რომ აღმასრულებელი კომიტეტი ამ სახით დაეხმარება ნივთიერად ხელმოკლე პოეტს. თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, მდივანი მ. ბოჭორიშვილი.<sup>31</sup>

**31 მაისი.** მწერალთა კავშირის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, ი. აგლაძე, ი. ეკალაძე, კ. აბაშიძე. მოისმინეს: ზაქარია ჭიჭინაძის ბიოგრაფიისათვის ჰონორარი ავტორს და გასამრჯელო – რედაქტორ-კორექტორს. დაადგინეს: საავტორო მიეცეს გ. ტაბიძეს ხუთი მილიონი მანეთი, ხოლო ლეო ქიაჩელს ორნახევარი მილიონი მანეთი სარედაქციო და საკორექტურო. მათი სწრაფი დაკმაყოფილება დაევალოს პრეზიდიუმს.<sup>32</sup>

**მაისი.** „1922 წლის მაისში (25 მაისს- მ.შ.) აღინიშნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართული მწერლობისა და ისტორიის მკვლევარის... ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლისთავი. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით გამოიცა საიუბილეო მონოგრაფია – „ზაქარია ჭიჭინაძე“ ნ.ნ. (ნომენ ნესციო – სახელი უცნობია – ი. ლ.) ხელმოწერით. დადგენილია რომ „ნ.ნ.“ ამოფარებული იყო გალაკტიონ ტაბიძე.“<sup>33</sup>

**20 ივნისი.** დღეს, 20 ივნისს რუსთაველის თეატრში დანიშნულია ფრიად საგულისხმეო საღამო – გარდაცვალებულ კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის თხზულებების საღამო. საღამო ორი განყოფილებისგან შედგება. მუსიკოსებთან ერთად პოეტებიც გამოვლენ: გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ი. მჭედლიშვილი...<sup>34</sup>

**22 ივნისი.** „გოეთეს საღამო. შაბათს, ივნისის 24-ს საღამოს 8 საათზე, ხელოვანთა სასახლეში კ. გამსახურდია გამართავს გოეთეს საღამოს: 1. გოეთეს ბიოგრაფია – ვალ. ბოკუჩავა. 2. გოეთე ქართულად: გალაკტიონ ტაბიძე, დემნა შენგელაია, ხ. ვარდოშვილი, ს. ფაშალიშვილი, ი. აგლაძე...“<sup>35</sup>

**23 ივნისი.** ივნისის 25-ს გაიმართება მგოსან გალაკტიონ ტაბიძის საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო ძალები.<sup>36</sup>

**23 ივნისი.** საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომის დადგენილება გალაკტიონ ტაბიძისათვის საყვედურის გამოცხადების საკითხზე. დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ი. აგლაძე, კ. აბაშიძე, ვ. რუხაძე, ა. აბაშელი. განიხილეს: გ. ტაბიძის საღამოს აფიშებში გამოცხადებულია რომ ის არის პოეტების მეფე. დაადგინეს: მოისმინა რა გალაკტიონ ტაბიძის საღამოს აფიშების შინაარსი, სადაც გ. ტაბიძე თავისთავს პოეტების მეფედ აღიარებს, საბჭოს სრულიად შეუფერებლად მიაჩნია ასეთი საქციელი საბჭოს წევრისა და პოეტის სახელისათვის, უცხადებს მას საყვედურს, მით უმეტეს, რომ გ. ტაბიძე არც ერთი ორგანიზაციის ან საზოგადოების მიერ არ არის არჩეული პოეტების მეფედ.

ვინაიდან საზოგადოებაში ხმებია გავრცელებული, თითქოს ეს საღამო იმართებოდეს საბჭოს ინიციატივით, გამოცხადდეს პრესაში, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამ საღამოსთან.<sup>37</sup>

**24 ივნისი.** ივნისის 25 დანიშნულია გ. ტაბიძის საღამო. არ შემძლია ორიოდ სიტყვა არ უძღვნა „ლურჯა ცხენების“ და „ლამის“ ტკბილ მგოსანს... გ. ტაბიძე მე მაგონებს ხეხილთა შორის განმარტოებით მდგარ, მორცხვით თავდახრილ ძენწას, საოცნებოთ რომ იწვევს ხოლმე ადამიანს, აშორებს და ყოველგვარ სიგლახეს და მიწიერ ჭუჭყიანობას.“<sup>38</sup>

**25 ივნისი.** „ღია ბარათი. სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭოს. გაზეთებში გამოქვეყნებული ქრონიკის საშუალებით გაგებული გვექონდა, რომ ივ-

ნისის 25-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში, მწერალი გალაქტიონ ტაბიძე მართავს საღამოს. რა თქმა უნდა, რომ ასეთი საღამო სრულიად ჩვეულებრივია და მწერლისთვის მას უმთავრესად მატერიალური მიზანი ამართლებს. გალ. ტაბიძესაც, როგორც ერთ-ერთ მწერალს (რომელსაც ბევრი კეთილი თვალით უყურებს) რასაკვირველია აქვს უფლება ასეთი საღამოები გამართოს და როგორც მწერალთა კავშირი, ისე საზოგადოებაც მორალურად ვალდებულია დახმარება გაუწიოს მას. მაგრამ მე მინდა მიგიითითოთ იმ სკანდალზე, რომელიც მოახდინა ამ საღამოს შესახებ გამოკრულმა აფიშებმა, ქართულ და რუსულ ენაზე, სადაც არშინიან ასოებით გამოცხადებულია, რომ იმართება „საქართველოს პოეტების მეფის, გალაქტიონ ტაბიძის საღამო Вечер короля поэтов грузии Г. Табидзе). აფიშაში ჩამოთვლილი მწერლები, რომელთაც საღამოში მონაწილეობა უნდა მიიღონ, არიან უმთავრესად სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს წევრნი, ხოლო საღამოს ჰესნის ამავ კავშირის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი მართავს ოფიციალურ საზეიმო საღამოს, რომელზეც აწესებს „დინასტიას“ და მეფობის ტიტულს აძლევს „რამოდენიმე კარგი ლექსის ავტორს“. მაშინ, როდესაც ქართულ მწერლობასა და განსაკუთრებით პოეზიას, ახსოვს თავის მნათობთა მაღალი სახელები, რომელნიც უგვირგვინოდ ჩასულან საფლავს და ისტორიასაც არ მოსვლია აზრად ასეთი აბსურდი, რომ მათთვის მეფობის მარკა მიეცა. ისინი მეფობენ იმდენად, რამდენათაც მეფობს ქართული პოეზია. ეხლა კი, ამ გამოსვლას ეძლევა რაღაც იაფი, ცირკის ხასიათი, რომელიც შეურაცყოფს ქართული ლიტერატურის ღერძს და ეს ხდება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თვალწინ და მისი სახელითაც. თუ ეს ასეა, ამ სასკანდალო საქმეს მწერალთა საბჭო ხელმძღვანელობს, მაშინ სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ასეთი განცხადების გამოქვეყნებამ, როგორც ქართველ მწერლებში, ისე საზოგადოებაშიც.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე, როგორც მწერალთა კავშირის წევრი, ვესწრებოდი და მონაწილეობას ვიღებდი სრულიად საქართველოს მწერალთა ყველა კონფერენციაში, სადაც მუდამ ირჩეოდა წმინდა საორგანიზაციო-პროფესიონალური საკითხები და ყველა საბჭოსთვის კონფერენციის მიერ მიცემული დირექტივები არ გასცილებია ამ ფარგლებს (ყოველ შემთხვევაში, არც ერთ კონფერენციას არ მოსვლია ისეთი სულელური აზრი, რომ საბჭოსათვის მიეცა ინსტრუქცია მეფეების დანიშვნისათვის). ასევე იყო უკანასკნელ კონფერენციაზედაც, რომელმაც თქვენ აგირჩიათ საბჭოს წევრებად, რომელთა რიცხვში პერსონალურად შეყვანილ იქნა აგრეთვე გალაქტიონ ტაბიძეც. ამიტომ მწერალთა ერთი ჯგუფის სახელით გეკითხებით, თუ მართლა საბჭოს რაიმე კავშირი აქვს ხსენებულ საღამოსთან და იგი აპირებს ამ „დაგვირგვინებას“, რომელი სტატუსის მიხედვით ხელმძღვანელობს და რა მიზანი აქვს მას ასეთი „დინასტიის“ დანყებით. ხოლო თუ ეს შანტაჟი კერძო, უპასუხისმგებლო პირისგან ხდება, რა ზომებს იღებს მწერალთა კავშირის საბჭო თავისი შეურაცყოფილი სახელის აღსადგენად და ასეთი კრიმინალური ტიპის თავისი წრიდან განსადევნათ? სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ს. ფაშალიშვილი. ტფილისი. 24 ივნისი.“<sup>39</sup>



\*რედაქციისაგან. მიუხედავად წერილის კილოს სიმკაცრისა, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფს, რომლის სახელითაც გამოდის მოქ. ფაშალიშვილი, გამოსთქვას თავისი აზრი. რედაქცია.

\*წერილი რედაქციის მიმართ.

ვინაიდან საზოგადოებაში ხმა დადის, თითქოს გალაქტიონ ტაბიძის საღამო (რომელიც იმართება დღეს საოპერო თეატრში) ეწყობა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მონაწილეობით, საბჭო იძულებულია განაცხადოს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ საღამოსთან. საღამო იმართება კერძოდ, გ. ტაბიძის ინიციატივით. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.<sup>40</sup>

**25 ივნისი.** გაზეთ „ტრიბუნას“ მესამე გვერდი მთლიანად გალაქტიონს დაეთმო. აქ არის პოეტის პორტრეტი, მისადმი მიძღვნილი მასალა, ლექსები: გ. ქუჩიშვილის „ანდერძი“, ლ. ძიძიგურის „გალაქტიონ ტაბიძეს“, ქნარის „გალაქტიონ ტაბიძე“, განდევგელის უსათაურო ლექსი, იასამანის „ბედი პოეტის გალაქტიონის“. წერილები: ომეგას „გალაქტიონ ტაბიძე“ და ხომელის „გალაქტიონ ტაბიძე“.<sup>41</sup>

**[27 ივნისი].** ჟურნალ „კანდელიში“ იბეჭდება გალაქტიონის ლექსი „ვილანელი“, ქვეშ თარიღით: „ივნისი, 1922 წ. ქ. ბათუმი“ (№ 1, გვ. 3). 27 ივნისის გაზ. „კომუნისტის“ ცნობით: „ბათომში გამოვიდა ადგილობრივ მწერალთა კავშირის სალიტერატურო ჟურნალი კანდელი.“

„ვილანელი წყობაა ძველი ფრანგული, ძველი იტალიანური და პროვანსული სადაც დაიბადა როგორც რონდო, ისე სონეტი. ფორმა ვილანელისა გადმოცემულია პირველად ზემოხსენებულ ლექსით ქრთულ ენაზე.“<sup>42</sup>

**[27 ივნისი].** „ილია ჭავჭავაძის მონამეობრივი სიკვდილი სიმბოლიური დასრულება იყო ძველი მიმართულებისა... ილიას საფლავში ჩასვენებით იწყება ჩვენი ახალი მწერლობის საზაფხულო პრელუდია. სიცოცხლის განახლებულ ჭიანურზე ახმაურდა იმ დროინდელი მეზაირახტრე ალ. შანშიაშვილი, მას გვერდით ამოუდგა ცელქი ამურის მემშვილდისრე პსიხვასთან მოცეკვავე და მასთან ჰამაკში აღერსით დამთვრალი ი. გრიშაშვილი... დასასრულ ამავე ხანში „ლურჯა ცხენებით“ გამოიჯირითებს დღესაც გვირგვინოსნობის მეტოქე გალაქტიონ ტაბიძე...“<sup>43</sup>

**2 ივლისი.** გალაქტიონ ტაბიძის საღამო, რომელიც უნდა შემდგარიყო 25 ივნისს, შესდგება ოთხშაბათს, 5 ივლისს. გაყიდული ბილეთები ძალაშია. დარჩენილი ბილეთები იყიდება კასაში.<sup>44</sup>

**3 ივლისი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ლ. ქიაჩელი, ობოლი მუშა, ი. აგლაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია. განიხილეს: გ. ტაბიძის სალამოს შესახებ ფაშალიშვილის წერილის საკითხი. მიეცეს პასუხი პრესის საშუალებით თუ არა. დაადგინეს: ვინაიდან ხმები შუაზე გაიყო, საკითხი გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის, რომელზეც საბჭოს მეტი წევრი გამოცხადდება.<sup>45</sup>

**7 ივლისი.** „გალაქტიონ ტაბიძის ავადმყოფობა. პოეტი გალაქტიონ ტაბიძე ამ ჟამად ავად არის – პოეტი წევს საკუთარ ბინაზე.“<sup>46</sup>

**9 ივლისი.** „ნეტა სად გაქრა ჩემი მეფობა,  
სალამო გაქრა მზგავსი ქიმერის,  
მე გულში დამრჩა ზიზლი და ტრფობა,  
როცა მარტო ვარ, ვიგონებ მერის...  
წავალ, ვენვევი მთაწმინდის მთვარეს,  
ო, რამდენია ლოცვები წმიდა,  
მე ქვეყანაზე ვერ ვგრძნობ მოყვარეს,  
მე ვგრძნობ კახური არაყი მინდა.  
გალაქტიონ ტაბიძე...“<sup>47</sup>

**12 ივლისი.** გალაქტიონ ტაბიძე ამჟამად სრულიად ჯანმრთელად არის. პოეტი ავად იყო ერთი კვირის განმავლობაში. ამ მოკლე ხანში გაიმართება მისი სალამო.<sup>48</sup>

**17 ივლისი.** გალაქტიონის ლექსის: „ვისმენ დანატრულ ხმას“ ავტოგრაფი დათარიღებულია: „17 ივლისი, 1922 წ. ტფილისი“.<sup>49</sup>

**ივლისი.** „სამშობლო შავი ლიუციფერის“ ავტორისეული თარიღია: „ივლისი, 1922 წ.“<sup>50</sup>

**[ივლისი].** ჟურნალ „კანდელში“ დაბეჭდილია გალაქტიონის ლექსი „კომკი“ (ივლისი, 1922 წ., ქ. ბათომი), (№ 2, გვ. 3).

ეს ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა ალმანახში „ახალი ცისკარი“, ქუთაისი, 1916 წ.<sup>51</sup>

ჟურნალ „კანდელის“ ამავე ნომერში, ფორზაცზე, დაბეჭდილია რედაქციის განცხადება: „დიდი ხანია ბათუმის ქართული საზოგადოება მშვიდრია ხელოვნებით... ბათუმს არ ეღირსა ბედნიერება ქონოდა პერიოდული სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი, რომელიც მაჩვენებელი იქნებოდა ჩვენი ლიტერატურული განვითარების თუ სისუსტისა. ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა, მუდამ და არაერთხელ ვცდილვართ კიდეც შეგვევსო ეს ნაკლი და იგი გამოჩნდა.. ჟურნალში მონაწილეობენ ანბანზე: კ. აბრამია, ი. გრიშაშვილი... გ. ტაბიძე...“

**18 აგვისტო.** 20 აგვისტოს გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის საღამო. სიტყვა ტიცინ ტაბიძის: „უახლესი პოეზია“. ლექსები: ვალერიან გაფრინდაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე...“<sup>52</sup>

**19 აგვისტო.** „კვირას, 20 აგვისტოს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის საღამო... ლექსები: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, გობრონ აგარელი და სხვები.“<sup>53</sup>

**29 აგვისტო.** გალაქტიონი მუკუზანშია.<sup>54</sup>

**30 აგვისტო.** გალაქტიონ, მეყვარებით და პატივსაც გცემთ როგორც პოეტს. ნ. ხუც. 30/VIII-1922 წ. ქ. სიღნაღი.<sup>55</sup>

**აგვისტო.** „ზაფხულში გალაქტიონი მოგზაურობს კახეთში. ამ მოგზაურობის დროს იწერება მისი ლექსები: „ეს მშობლიური ქარია“, „წინანდადელი ნათელა“, „კახეთის მთვარე“, „ალაზნთან“, „მივდიოდით ალაზნის ველად“, „მხოლოდ გული“, „გახედე კახეთი“, „ღამე ხეობაში“, „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია“. აქ ჩამოთვლილი ლექსები გვიან პოეტმა სხვადასხვა წლებით დაათარილა. „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალში“ დაბეჭდილ ამ ლექსს („ეს მშობლიური ქარია“ – მ.შ.) წამძღვარებული აქვს საერთო სათაური: „ალზიორა“ (კახეთში დანერგილი ლექსები).“<sup>56</sup>

**აგვისტო.** ს.ს.ს.რ. განათლების კომისარს. გალაქტიონ ტაბიძის თხოვნა. განზრახვა მქონდა გამომეცა ჩემი ლექსების მესამე ტომი, რომელიც დიდი ხანია დამზადებულია, მაგრამ ვერას გზით გამოცემა ვერ მოვახერხე. ვერ ვიშოვე ქალაღი, სტამბის ფული და სხვ. დღემდე არ მსურდა მიმემართა თქვენთვის, მიუხედავად იმისა, რომ თქვენდამი რწმუნებული კომისარიატი არა ერთსა და ორ პოეტს დახმარებია წიგნის გამოცემაში, და უთუოდ დამეხმარებოდა მეც. იმედი მქონდა, რომ თვითონვე სხვა გზით გავახერხებდი წიგნის გამოცემას [არავითარი იმედი არა მაქვს]... ჩემი წიგნის გამოსვლას უსათუოდ ექნება მნიშვნელობა ქართული პოეზიისათვის, ეს გარემოება მაბედვინებს მოგმართოთ თხოვნით, რომ შემაძლებინოთ ჩემი წიგნის გამოცემა. მე მჭირდება მხოლოდ ქალაღი – დაახლოებით 95 ოზმა, რომლის საფასურში შემიძლია გადმოგცეთ წიგნები როგორც კი დაიბეჭდება. წიგნი იქნება დაახლოებით 300 გვერდი... მარადის და მარადის იქითაც თქვენი პატივისმცემელი გალაქტიონ ტაბიძე.“<sup>57</sup>

**[1 სექტემბერი].** გალაქტიონის ლექსი: „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“, დათარიღებულია: „[1922 წ. 1 ენკენისთვე. ქ. სიღნაღი].“<sup>58</sup>

**3 სექტიმბერი.** ლექსები: „დგება თეთრი დღეები“, „მეოცნებე აფრებით“, „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“- ერთ ლექსად, სათაურით: „ზამთარი“- დაბეჭდილია ჟურნალ „ლომისში“ ეს ლექსი გალაკტიონს თავის ერთ-ერთ შედეგურად მიაჩნდა.<sup>59</sup>

**3 სექტიმბერი.** „... საქმეც ის არის კაცმა ის მოიპოვო, რაც წინაპრებს ვერ მოუპოვებიათ... არც ტიტე ტაბიძე და მისი მეგობრებია დიდი მუხრან ბატონები. გალაკტიონი რომ არ გამოჩენილიყო, ტიტეს იმედით ტაბიძეების გვარში უკანასკნელი სიტყვა დარჩებოდა იმ ცრუპენტელა მაჭანკალს ნესტორა ტაბიძეს, რომელიც ასე ოსტატურად დაგვიხატა დ. კლდიაშვილმა, როგორც ფლიდობისა და გაიძვერობის ინკარნაცია...“<sup>60</sup>

**17 სექტიმბერი.** „დღეს წიგნის გამოცემა პოეტისთვის საბედისწეროა, რადგანაც წიგნს თანამედროვე კულტურის გაგებით სჭირია დიდი პოეტური პოტენცია და შეცნობა საკუთარი თავის. მარტო ერუდიციით არ შეიძლება პოეზიის ხელოვნურათ შექმნა, თუ პოეტში არ არის სულიერობა. პოეტის პორტრეტის დახატვა მხოლოდ წიგნით შეიძლება, ამიტომ წიგნს ხშირად მოსდევს როგორც გამარჯვება ისე დამარცხებაც... საერთოდ „ყანწელებს“ არ სჩვევიათ წიგნების გამოცემა, თუმცა იციან წიგნის ღირებულება... საუბედუროდ „ყანწელებს“ არ შესწევთ გამბედაობა წიგნის გამოცემის, არც საამისო მასალები გააჩნიათ, რაც შეეხება ისეთ აშკარა ტყუილ განცხადებებს როგორც „ყანწელებს“ მისდით საერთოდ, და კერძოდ, ნ. მინიშვილის ქრონიკა წიგნის უკანასკნელ გვერდზე ყოვლად მიუღებელია, და უადრესი მეტიჩრობის ნიმუშია. წერა იმაზე, რომ პარიზში წიგნი გამოვა „ქართველი პოეტების“ ფრანგულად, ისეთივე ნაადრევი პროგნოზია, როგორც ოცდამეათე საუკუნის სიზმარი...“ გ. ტ.<sup>61</sup>

**17 სექტიმბერი.** მგონია დამინიშნეს პენსია.<sup>62</sup>

**27 სექტიმბერი.** „დღეს ქართულ კლუბში გაიმართება პროლეტარულ პოეტის ნ. ზომლეთელის დიდი ლიტერატურული საღამო... გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო ეული, იონა ვაკელი და თვით ნ. ზომლეთელი წაიკითხავენ ლექსებს... იმედია თბილისის მშრომელი მასსა დაესწრება ამხ. ზომლეთელის საღამოს.“<sup>63</sup>

**29 სექტიმბერი.** „დღეს 29 სექტემბერს დღით, პარასკევს, სახელმწიფო გამომცემლობის გამგემ, ზუმბაძემ დამპირდა, რომ ნოემბრის დამლევს იგი მომცემს ქალაქს – წიგნის გამოსაცემად, 40 ფუტს – კარგ ქალაქს...“<sup>64</sup>

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობის გამგეს. გალაკტიონ ტაბიძის განცხადება. გთხოვთ ნება დამართოთ, გამოვსცე სამხატვრო-სალიტერატურო ყოველკ-

ვირეული ჟურნალი სახელწოდებით: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. ჟურნალი იქნება ყველკვირეული, გამოიცემა წინასწარი ცენზურით: დაიბეჭდება ლექსები, მოთხრობები, ნოველები, წერილები და სხვ. ეს განცხადება გოსიზდატში მივიტანე 17 ოკტ. № 2191... ზუმბაძემ მითხრა, რომ შესაძლებელი იქნება სახელის გამოცვლა, თუ მოვისურვებ.<sup>65</sup>

**საქტომბერი.** ქ. ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმს. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრის გალაკტიონ ტაბიძის განცხადება. თითქმის წელიწადია, რაც მე უბინაოდ ვიმყოფები.<sup>66</sup>

**8 ოქტომბერი.** ოქტომბრის 11-ს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის საღამო. მონაწილეობას მიიღებენ: კ. მაყაშვილი, გ. ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, კ. გამსახურდია...<sup>67</sup>

**15 ოქტომბერი.** „... ი. ვაკელი ამ ჯგუფში ახალგაზრდა პოეტია – მისი ისტორია კი სრულიად მოკლეა... არ შეიძლება ასე გზის აბნევა, იგი ხან აბაშელს იმეორებს, ხან გ. ტაბიძეს. „შუა დღე ქარხანაში“ დაწერილია გ. ტაბიძის „ატმის ყვავილების“ ფორმის გავლენით...“<sup>68</sup>

**[15 ოქტომბერი].** ჟურნალი „ილიონი“ ბეჭდავს დ. შენგელაიას წერილს „გალაკტიონ ტაბიძე (სილუეტი)“.<sup>69</sup>

„... მას მეტად დააგვიანდა გამოსვლა. იგი დაგვიანებული გრძნობების მაყარია მივარდნილ აივნებისა, რომელზედაც კევი ლეჭია, ხავერდისფერ თვალებიანი, დამწველი თავდახურული ქალები რომ გადმოეფინებოდნენ ხოლმე ჭრელ ნოხებივით. მოვიდა ნაზი, სათუთი და მოიტანა თავისი გამხდარი, გრძნობებით დატენილი წერვები, მოვიდა და ჰკითხულობს უმანკო გულუბრყვილობით: „შორეული ქალის ეშხი მოვა მაგრამ როდის?/ სიყვარული სასახლეში/ მხოლოდ ერთხელ მოდის!“ გ. ტაბიძე მოვიდა წარსულის პანაშვიდზე და გამოიტირა იგი. და პანაშვიდი იგი მიაგავს ხანდახან ლიუციფერის შავბნელ მესსას, შავს მესსას ფარულ ღვთის გამობითა... საოცარი მოუსვენრობაა გამეფებული მის წიგნში... მისი წიგნი ცახცახებს ნერვიულად. მისი ნაღველი გიპყრობთ თქვენ და უმწეობას გაგრძნობინებს. უმწეობა და ირონია. არ არის ხსნა. არ შეიძლება გამოხლართვა იმ წარსულის სახეებისა თანამედროვე ცხოვრების კანვაზე. ფორმა დაშორდა შინაარსს. საგანი არ ენდობა თანამედროვე თვალებს. „ჯვარს ეცვი თუ მინდა საშველი,/ არ არის, არ არის, არ არის.“ მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ ჰკარგავს. იგი იპოვნის სულს საგნისას, სულს გარემოისას. ხანდახან მისმა სულმაც იცის მოლოდინი და იმედი. „როგორმე ქარმა თუ მიმატოვა,/ როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!“ ჰკვივის იგი აწივლებული სულით, მაგრამ ლურჯა ცხენები მიჰქრიან. „შემლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები,/ უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!“ ასეთია გ. ტაბიძე.

მერის სახელი არ ასვენებდა მის სულს, სახელი, რომელიც ასე სასტიკად აკვნესებდა შელლისაც. სახელი რომელიც ლეგენდად იქცა... გალაკტიონი დათენთილია ტფილისით. მას უყვარს იგი... იგი მოვიდა დატვირთული ძველ სახეებით... მაგრამ თანამედროვეობას არ ესმის ამ ნივთების მნიშვნელობა... და იგი დადის მარტო...<sup>70</sup>

**17 ოქტომბერი.** მე, საშა აბაშელი და ქუჩიშვილი ამოგვშალეს პენსიონრებიდან (სასიამოვნოა). პენსია დაენიშნა პირველი კატეგორიის გრ. რობაქიძეს. ესეც სასიამოვნოა. გიგლა მებუკემ სთქვა, რომ გამოსცემს ხუთ ნომერს ჩემი ჟურნალისას.<sup>71</sup>

**18 ოქტომბერი.** „დემნა შენგელაიას სალამო. პარასკევს, ოქტომბრის 20-ს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის სალამო... ლექსები, მინიატურები: კ. მაცაშვილი, გალაქ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი...“<sup>72</sup>

**21 ოქტომბერი.** შაბათს, 21 ოქტომბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის სალამო. სიტყვა კ. გამსახურდია „შპენგლერის პესიმიზმში“. ლექსები და მინიატურები: კ. მაცაშვილი, გალ. ტაბიძე, ლეო ქიაჩელი...<sup>73</sup>

**ოქტომბერი.** „ბიბლიოგრაფია. ლომისი № 4. ეკუთვნის ტერენტი გრანელს. რატომ მიაწერა მან გ. ტ. არ ვიცი... ეს იყო რედაქტორის <უყურადღებობა>, რომ შეცდომით გ. გ. მაგივრად მოაწერა გ. ტ. ლომისის სარედაქციო კოლეგიის წევრი: კონსტანტინე გამსახურდია. P.S. გ. ტაბიძეს გაუმხილე პსევდონიმი, როგორც საბჭოს წევრს. კ. გამსახურდია.“<sup>74</sup>

**2 ნოემბერი.** თამბაქოს ტრესტის გამგეს. ჩემის რედაქტორობით მომავალ კვირაში გამოდის ყოველ კვირეული ჟურნალი (ნებართვა სახ. გამომცემლობისა 1921). გთხოვთ მომცეთ ჟურნალისათვის განცხადება და ამით შემადღებინოთ გამოცემის განგრძობა, რისთვისაც წინდანინვე მადლობას მოგახსენებთ. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>75</sup>

**5 ნოემბერი.** „...დემნა შენგელაიას წერილი გალაქტიონ ტაბიძეზე შეუდარებელია. გალაქტიონზე ასეთი წერილი არ დაბეჭდილა. დემნა შენგელაიამ გაუგო გალაქტიონს და მასთან როგორც პოეტთან ახლოს მივიდა ძალიან. ბევრს ჩვენ კრიტიკოსებს არ ძალუძს ასე გალაკტიონის გაგება...“<sup>76</sup>

**7 ნოემბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაცაშვილი, გ. ტაბიძე, ა. რუხაძე, ლ. ქიაჩელი, კ. აბაშიძე, ი. აგლაძე, ი. გრიშაშვილი. მოისმინეს: გ. ტაბიძის თხოვნა 5 ფუთი ქალაქის სესხად მიცემის შესახებ. დაადგინეს: გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.<sup>77</sup>

**16 ნოემბერი.** ხუთშაბათს, ნოემბრის 16-ს ევროპაში მომავალ სტუდენტთა ჯგუფის სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო... მუსიკალურ-ლიტერატურული განყოფილება: პოეტები... გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, კ. მაყაშვილი.<sup>78</sup>

**30 ნოემბერი.** „3 დეკემბრიდან გამოსვლას იწყებს ცნობილი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი. ჟურნალი გამოვა ყოველკვირეულად. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ლიტერატურული ძალები. პირველი ნომერი გამოვა კვირას.“<sup>79</sup>

**ნოემბერი.** საბჭოთა საქართველოში დაიკარგა გალაქტიონის სამშობლო. „1922 წლის ნოემბერში დაინერა ეს ელევია: – რალაცა სამუდამოდ დავკარგეთ. ამოდ ვეძებთ მას ქალაქებში, სახლებში, ქუჩებში. არსად არაა სიმშვიდე. ქალაქებმა, სახლებმა და ქუჩებმა სულ სხვა იერი მიიღეს. არაა მოსვენება არც მშობლიური ხეების ჩრდილებში.“<sup>80</sup>

**1 დეკემბერი.** რუსთაველის თეატრში, დეკემბერს 5-ს გაიმართება ვ. რუხაძის საღამო... მეორე განყოფილებაში მწერლები: კ. მაყაშვილი, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე... წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს.<sup>81</sup>

**1 დეკემბერი.** რუსთაველის თეატრში, სამშაბათს, დეკემბრის 5-ს გაიმართება ვარლამ რუხაძის საღამო... მეორე განყოფილებაში მწერლები: კ. მაყაშვილი, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე...წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს...<sup>82</sup>

**3 დეკემბერი.** გამოვიდა №1 გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. №5, ქართული კლუბის პირდაპირ. ჟურნალი გამოდის ყოველკვირეულად. მასალები: ლექსები, მოთხრობები, წერილები ხელოვნების ყოველი დარგის შესახებ, პიესები, ბიბლიოგრაფია, მათიანე და სხვ. №1 გამოვიდა დღეს, მოითხოვეთ ყველგან.<sup>83</sup>

**3 დეკემბერი.** „გამოვიდა „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“ №1. ჟურნალში მოთავსებულია როგორც თვით პოეტის, აგრეთვე სხვა ცნობილი მწერლების და პოეტების ნაწარმოები... № ღირს 30 000 მანეთი.“<sup>84</sup>

**3 დეკემბერი.** „ხუთშაბათს, დეკემბრის 7-ს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო... ლექსები: გალაქტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ობოლი მუშა, ს. ფაშალიშვილი, გობრონ აგარელი და სხვ.“<sup>85</sup>

**3 დეკემბერი.** „... ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალ-

გაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი! ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული და შემოქმედების უნარს მოკლებული ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას... ხელოვანთა სასახლე, ტფილისი, 1922 წ. ნოემბერი.“<sup>86</sup>

**3 დეკემბერი.** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ დაიბეჭდა ლექსები საერთო სათაურით: „ალზიორა“ (კახეთში დანერგილი ლექსები).

მოგვიანებით ეს ნაწარმოები პოეტმა დაყო და ცალ-ცალკე დასათაურა: „ეს მშობლიური ქარია“, „წინანდალევი ნათელა“, „კახეთის მთვარე“, „ალაზნთან“, „მივდიოდით ალაზნის ველად“, „მხოლოდ გული“, „გახედე, კახეთი“, „ღამე ხეობაში“, „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია.“<sup>87</sup>

აქვე დაბეჭდილია გალაკტიონის უსათაურო „... არა ზეცა, არა ლანდი“. ლექსი ხელმოწერის გარეშე ჩართულია წერილში „ფოსტა“, რომელშიც საუბარია „გაზელას“ (ყაზალის) სალექსო ფორმაზე.<sup>88</sup>

ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილია გალაკტიონისადმი მიძღვნილი ი. ტოფაძის, გ. ქუჩიშვილის, ლ. ძიძიგურის, იასამანის, ქნარის ლექსები, ია ეკალაძისა და ხომლეღის წერილები გალაკტიონზე, აგრეთვე რეცენზია ჟურნალ „კანდელებზე“, სადაც გალაკტიონზეც არის საუბარი.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ამავე ნომერში, მათიანეს რუბრიკაში, სხვასთან ერთად დაბეჭდილია ინფორმაცია: „სამწუხარო მარტიროლოგი“, რომელიც გ. ტაბიძეს ეკუთვნის.

**3 დეკემბერი.** „გალაკტიონ ტაბიძე მე მაგონებს ხეხილთა შორის განმარტოებით მდგარ ძენნას, საოცნებოთ რომ იწვევს ხოლმე ადამიანს, აშორებს რა ყოველგვარ სიგლახეს და მიწიერ ჭუჭყიანობას. მაშ, გიყვარდეთ და გაუფრთხილდით ოცნების ამ წყაროს, თუ არ გინდათ მსხვერპლი შეიქმნეთ დაწყევლილი დღის სიცხადისა.“<sup>89</sup>

**3 დეკემბერი.** „.. ქართულ ლირიკაში პირველი მერცხალი ასეთი ახალი ლიტერატურისა შეიქნა გალაკტიონ ტაბიძე და ამაშია მისი განსაკუთრებული ინდივიდუალური მნიშვნელობა. ამის უტყუარი საბუთია მისი ლექსების მეორე წიგნი. აქ სრულიათ განსხვავებულია მგოსნის რიტმიც, რითმაც, სტილიც, წერის მანერაც, გრძნობა და აზრიც. კარგ გუნებაზე მოყავხარ პოეტის მღელვარე, დაუცხრომელ გრძნობათა აღმაფრენას და გულწრფელობას, საკუთარი ტემპერამენტით განცდათა სიტურფეს, რითმათა მრავალგვარობასა და მშვენიერებას. სალიტერატურო ფორმატ ნაირგვარობას და სილამაზეს, ლექსთა მუსიკალობასა და სინაზე-სინარნარეს... ამ ლექსებში გალაკტიონ ტაბიძე – ნამდვილი და ჭეშმარიტი იმპერიალისტია...“<sup>90</sup>



**3 დეკემბერი.** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ (№ 1) დაიბეჭდა იპ. ვარ-თაგავას წერილი: „ვასილ ბარნოვი.“

მოგვიანებით ავტორმა გაიხსენა ამ წერილის დაბეჭდვის ისტორია: „ [თბი-ლისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ტარდებოდა ვ. ბარნოვის იუბილე] ზეი-მის დამთავრების შემდეგ, თეატრიდან გარეთ გამოვედი. მოულოდნელად გზა ახალგაზრდა ყმაწვილმა გადამიჭრა და თავი მდაბლად დამიკრა. ხელის ჩამორთ-მევისა თითქოს ერიდებოდა. გამარჯობათ ბატონო იპოლიტე! მომმართა მან, მე თქვენი ყოფილი მონაფე გალაკტიონ ტაბიძე გახლავართ.. გალაკტიონმა მითხ-რა: ბატონო იპოლიტე, ამ დღეებში გამოდის ჩემი ჟურნალი სახელწოდებით: „გა-ლაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, გთხოვთ გვიბოძოთ თქვენი მოხსენება, რომელსაც მე პირველ ნომერში პირველ წერილად დავბეჭდავ.. უარი არ მითქვამს და ნაშ-რომი უყოყმანოდ გადავეცი. გალაკტიონმა დანაპირები შეასრულა. ყოფილი მას-წავლებლის წერილი დაიბეჭდა, მაგრამ არა ჩემი, არამედ მისეული სათაურით: „ვასილ ბარნოვი“. <sup>91</sup>

**3 დეკემბერი.** სამშაბათს, დეკემბრის 5-ს გაიმართება ვარლამ რუხაძის სა-ლამო... თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: კ. მაცაშვილი, გ. ტაბიძე, ს. აბაშე-ლი... <sup>92</sup>

**4-5 დეკემბერი.** დეკემბრის 4-ს რუსთაველის სახელობის თეატრში გაი-მართა პოეტის, ვარლამ რუხაძის სალამო, ხოლო დეკემბრის 5-ს ხელოვნების სა-სახლეში სალამო ტერენტი გრანელიისა. როგორც პირველის, ისე მეორე სალამოს სალიტერატურო განყოფილება ლექსებით გახსნა გალაკტიონ ტაბიძემ. ორივე სალამოზე პოეტებს დამსწრე საზოგადოება ოვაციებს უმართავდა. <sup>93</sup>

**5 დეკემბერი.** [ვ. რუხაძემ] დეკემბრის 5-ს პირველად გამართა სალიტერა-ტურო სალამო... რუსთაველის თეატრი სავსე იყო დამსწრეთაგან... მეორე განყო-ფილებაში თავიანთ ნაწერებს კითხულობდნენ: გ. ტაბიძე, აბაშელი, ბოჭორიშვი-ლი, ობოლი მუშა, დემნა შენგელაია... <sup>94</sup>

**7 დეკემბერი.** „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი ლი-ტერატურული ხუთშაბათი 7 დეკემბერს გაიმართა იმ ახალგაზრდა პოეტის სა-ხელზე, რომლის ბედს არავინ არ შეჰყეფს დღეს, მაგრამ რომელიც არავის არ დაუთმობს თავის პოეტურ სულის წამებას – ეს ტერენტი გრანელია. მოხსენებით გამოვიდა დ. შენგელაია. ლექსები წაიკითხეს: გალ. ტაბიძემ, ს. ფაშალიშვილმა, გ. აგარელმა, ხ. ვარდოშვილმა და თვით ტ. გრანელმა.“ <sup>95</sup>

**10 დეკემბერი.** გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (№ 2). მასში და-ბეჭდილია გალაკტიონის „იაკობ ნიკოლაძის იუბილეს გამო“: „ჩვენს ქვეყანაში

დღეს იბადება იდეა მიქელანჯელოსი, უდიდესი იდეა მითიური, გიგანტური ლან-დშაფტის შექმნისა... თანამედროვეობაც ზღვას ჰგავს, იმ მბრუნავ მაღსტრომს, რომელზედაც დაუფინყარ ლეგენდებს ქმნიდნენ ედგარ პო, არტურ რემბო, ბოდლერი. რამდენი მთვრალი ხომალდი დაილუპება ამ უსივრცო ოკეანეში... მე მახსოვს ტიტანიური გემი „დალანდი“... მე ვბრუნდებოდი რევოლუციიდან, მომქონდა კაპიტალური რომანები და წიგნი „Grane aux fleurs“ და კიდევ ერთი იდეა: განახლება ან სიკვდილი!.. ხელოვნების სასახლე, ტფილისი, 1922 წ. დეკემბერი.“<sup>96</sup>

**10 დეკემბერი.** „... გ. ტაბიძე მოვიდა წარსულის პანაშვიდზე და გამოიტირა იგი. და პანაშვიდი იგი მიაგავს ხადახან ლიუციფერის შავბნელ მესასას, შავს მესას ფარულ ღვთის გმობით გალაკტიონი შევიდა ძველ პარკში და დაიძირა მის ნოტიო ბინდების მტევნებში. მთვარე ოდნავ ანათებს უნუგემო მათხოვარ ქალის მკლავებით დაძონძილ ხეებს... საოცარი მოუსვენრობაა გამეფებული მის წიგნში... მისი წიგნი ცახცახებს ნერვიულად. მისი ნაღველი გიპყრობთ თქვენ და უმწეობას გაგრძნობინებთ. უმწეობა და ირონია... არ არის ხსნა... მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ ჰკარგავს...“<sup>97</sup>

ჟურნალის ამავე ნომერში (2) დაბეჭდილია შიო მღვიმელის ლექსი: „ნატვრა (გალაკტიონ ტაბიძეს)“.

**10 დეკემბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ი. გრიშაშვილი, ა. რუხაძე, გ. ტაბიძე, ობოლი მუშა, ლ. ქიაჩელი, ი. აგლაძე, კ. გამსახურდია. განიხილეს: გ. ტაბიძის თხოვნა სესხად ქალაქის მიცემის შესახებ. დაადგინეს: მიეცეს სესხად ქალაქის ის რაოდენობა, რომელიც აღმოჩნდება ცეკავშირის სტამბაში, ჟურნალ „ლომისზე“ მონარჩენი.<sup>98</sup>


**17 დეკემბერი.** გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (№ 3), სადაც დაბეჭდილია გალაკტიონის „ეფემერა“ (ხელოვნების სასახლე, 1922, ტფილისი“; აქვე გამოქვეყნებულია გობრონ აგარელის ლექსი: „სიჩუმის დღეებიდან“ (მწუხარე გალაკტიონს) და ნ. გერგესელის „სამრეკლო უდაბნოში“ (კრიტიკული ესკიზი):

„... გალაკტიონი ეპოქის გამთლიანებული სულის კვეთებაა... და მის სევდას აქვს – „სული“ – იდეა... ჩანგია მსოფლიო. სიმები ბაირონი, ბარათაშვილი, კიდევ და მათთან გალაკტიონი, იქმნება მთლიანი აკკორდი... [გალაკტიონის] შემოქმედების მთლიანი ქანდაკება მოზაიკურია. ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგან თვით საშო ეპოქაა. მის სულზე მისი დროის ყველა კითხვები აღბეჭდილია და მშვენიერად გაშლილი... როგორც ვთქვით, გალაკტიონი ეპოქის გამთლიანებული სულის კვეთებაა... ვინ იქნება ბედნიერი... ერთხელ მოსული სიყვარული მიიღოს, არავინ! და გალაკტიონიც უსიყვარულოთ არის. ჩვეულებრივ სახეებში მან ვერ იპოვა, რომ მისი სული მოეთავსებია, და აქ მასზედ გამართლდა ნიცშეს შეხედულება შორეულის სიყვარულისა და პოეტი გადაექსოვა შორეულ ხატების სახეებს...“

გალაკტიონის მეორე წიგნი აღსანიშნავია როგორც სიმბოლიზმის ახალი და სამაგალითო ნიმუშები... გალაკტიონის სიმბოლიზმი მეორე წიგნით გაგებულ-ლი, ეს ერთგვარი მანიფესტია ქართულ ლიტერატურაში... გალაკტიონ ტაბიძის ინდივიდუალიზმი, ეს ისეთი მაგიური ფოკუსია, ისეთი „განწმენდის კარებია“, რომელშიც ყველა კითხვა ღრმა ფილოსოფიური და სოციალური შტრიხების კანონებით პოეტურ ფარგლებში იშლება და მე მნამს: შესაძლებელია ჩვენი ერის საუკეთესო მერმისში, ერთი პატარა ხაზგასმა გალაკტიონ ტაბიძისა დიდ ტანიან რომანის იდეათ და აზრათ გამოადგენ...“<sup>99</sup>

**17 დეკემბერი.** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მესამე ნომერში დაბეჭდილია ნ. ელიანის „მწერლობისათვის“. იგი წერს: ...[მწერლობა] ასულდგმულებს ეროვნულ სხეულს, აცისკროვნებს მის სულსწრაფვას და მიუძღვის მთელს ცხოვრებას... მწერალი საზოგადოებრივ წყვილიად კვეთს და სინათლის ბრწყინვალეობას ამკვიდრებს ქვეყნის სულსა და გულში: „ცხოვრებას დაჰკვივის ხმა – ცოცხალი უნდა ვიყოთ“ და ეს ხმა პირველყოვლისა მწერლობამ უნდა გაიგონოს და უნდა გააუკვდავოს ჩვენი საღვთო ლტოლვები. ამიტომ ადვილად გასაგებია და ბუნებრივი, როცა ამ მწერლობის უფუძვნიერესი დარგის – პოეზიის ერთი დიდი თანამედროვე ქურუმთაგანი – გალაკტიონ ტაბიძე თავის ნაზი, მომხიბლავი ხმით გაჰკვივის სამშობლოსათვის – „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ ამით სრულიადაც არ მინდა ვთქვა... პოეზია და კერძოდ, მირონცხებუი პოეტი, როგორც მისი უმნიკვლო რაინდი, უბრალო „გარემოების საყვირია“ და მზნად ისა-

3410



15

~~უჩიხვროუსი მომანიჭელ რაფნა მუვეთა,  
იმ რქულ მოვლად თუთარს აქარათა  
იმ რქულ მოვლია თუთარს თქულო, და მარცხათა.  
კავარე კახი; თუთარს თქულონი უმოთვეთა,  
მოვსეჲ კართ; მარცხელამ რა მოსოუთა.  
)მუხირან მოვლია.~~

უჩიხვროუსი მომანიჭელ რაფნა მუვეთა,  
იმ რქულ მოვლად თუთარს აქარათა  
იმ რქულ მოვლია თუთარს თქულო, და მარცხათა.  
კავარე კახი; თუთარს თქულონი უმოთვეთა,  
მოვსეჲ კართ; მარცხელამ რა მოსოუთა.  
)მუხირან მოვლია.

1922 წ.

ხავს სამარადდღეო ჭირ-ვარამის სამსახურს. ხელოვნება თავის შინაგან მიზნებს ემორჩილება. მას საკუთარი თვითმყოფობა ახასიათებს, მაგრამ იგი ამავე დროს უაღრესად სოციალური მოვლენაა და წარმოადგენს საზოგადოებრივ-ეროვნული ორგანიზმის უდიდეს და უფაქიზეს ფუნქციას“.<sup>100</sup>

**17 დეკემბერი.** რედაქციისაგან. გალაკტიონ ტაბიძე მადლობას უხდის ყველას, ვინც პირადათ თუ წერილობით მიესალმა მისი ჟურნალის გამოსვლას. გალაკტიონ ტაბიძე გამხნევებულია ჟურნალის არაჩვეულებრივი გამარჯვებით და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც მას არ მოაკლდება საზოგადოების თანაგრძნობა.<sup>101</sup>

**17 დეკემბერი.** „მართლაც და ვინ არ არის ჩვენგანი მთვრალი სულხანიშვილის მუსიკით, გალაკტიონის ლექსით, და რათ გვიტაცებს, რათ გვაჯადოებს, რათ გვატყვევებს ნეტავ ასე პირველის მუსიკა, მეორის ლექსი? და ვერც ახსნით ამას ასევე, როგორც... თუ რათ გიტაცებთ მზის ამოსვლა ბახმაროზე! ორთავე სანახაობა კალმით აუნერვლია, როგორც ალაზნის მზის – სულხანიშვილის ჩასვენება, ისე ბახმაროს მზის – გალაკტიონის ამოსვლა. ორივე მზე ერთი და იგივე სულის ნატეხია.“<sup>102</sup>

**24 დეკემბერი.** გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ № 4, რომელშიც დაიბეჭდა: „ისევ ეფემერა“.

**24 დეკემბერი.** „ჟურნალის სახე ორიგინალობისა და სიახლის იმედს იძლევა. დიდი დეკლარატიული პათოსით გაიხსნა მისი პირველი ნომერი... მაგრამ შემოქმედების მხრივ დეკლარაციის მეორე გვერდიდანვე ჟურნალის მთელ დამსახურებას შეადგენს მზის სინათლეზე გამოყვანა იმ მწერლებისა, რომელთა უმრავლესობა გაჩენის პირველსავე დღეებში ჩაძირულან უნიჭობისა და წვრილმანების ბსკერზე ან სამართლიანათ დავიწყების მსხვერპლნი გამხდარან.“ „თეატრი და ცხოვრებას“ შემდეგ ჩვენს ლიტერატურას არ ახსოვს ჟურნალი, რომელსაც თავი მოეყაროს პოეზიის ასე გაუმართლებელ მიმდევართათვის და ისიც ყოველგვარ სკოლის და ლიტერატურულ credo-ს გარეშე... ჩვენ ვფიქრობთ გ. ტაბიძე მეტისმეტად „სეზონის პოეტი“ გამოდგა: იგი მაშხალისებურად ავარდა ჩვენი პოეზიის ჰორიზონტზე და ნაადრევათ დაცხრა. მარტო ის ფაქტი, რომ ის დღეს ათი წლის წინათ დაწერილ ლექსებს კითხულობს საღამოებზე, უდიდესი დაეჭვებაა წინსვლისა და გამარჯვებისა... „ეფემერა“ გადამღერება „ლურჯა ცხენების“. „შავი პელიკანი“ 2 წლის წინ რომ დაბეჭდა, ახლა ორბელიანისებურ „სადღეგრძელოებით“ გააჭიანურა... უფრო უმწეოა კრიტიკული ნაწილი [ჟურნალის]. ნ. გერგისელის გრძელი წერილი გალაკტიონ ტაბიძეზე სავსეა ულოგიკობით. აქ თანამედროვეობა დახასიათებულია, როგორც ლითონის ეპოქა და გალაკტიონი – ეპოქის პოეტათაა აღიარებული... წერილში იმდენი სიყალბეა, რომ მათ დასახელებაც კი გადაგვაცილებს ბიბლიოგრაფიის საზღვარს... ამ რიგად, ეს ჟურნალი სრულიად არ არის გამართლება მისი

დეკლარაციის. საერთოდ, ეს ჟურნალი დამცირებაა გ. ტაბიძის სახელისა, ავტორიტეტის, თუმცა ის ალბათ წინააღმდეგშია დარწმუნებული.“<sup>103</sup>

**1922.** „ძნაო გალაკტიონ! ერთი წელიწადი კი გადის, ვგონებ, რაც შენგან წერილი არ მიმიღია... ამბობენ: გალაკტიონმა ცოლი შეირთო. კარგი, მაგრამ რატომ არ გვაცნობებ არაფერს. ასე შეიძლება? შეიძლება შვილის მამაც ხარ და ჩვენ კი არაფერს გვწერ... ამბობენ, მესამე წიგნი გალაკტიონის გამოსულიაო. რატომ არ გამოაგზავნე.“<sup>104</sup>

**[1922].** „ძვირფასო ლავრენტი! დღეს ჩემთვის არაჩვეულებრივი და მეტად საპასუხისმგებლო დღეა. გელი თეატრში. გიტოვებ ლოყას. წამოიყვანე ერთგულები. მარადის შენი გალაკტიონი. ლოყაში ოთხი ადგილია. გ.“<sup>105</sup>

**1 იანვარი.** გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეხუთე ნომერი, სადაც დაიბეჭდა ლექსები: „საახალწლო ეფემერა“<sup>1</sup> და „ზღვის ეფემერა“. აქვეა, გალაკტიონის წერილი: „ეს იყო ოქტომბრის დამღევს...“ აგრეთვე „თუმის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსი: „გალაკტიონ ტაბიძეს“.

**1 იანვარი.** „... ჩვენთვის დიდათ საინტერესოა გალაკტიონ ტაბიძე ამ წლის განმავლობაში იმ მხრით, რომ მის წერილებს თუ არ ვცდები, ამ წელში პირველად ეცნობა ქართველი საზოგადოება, სადაც გადაჭრით არის ნათქვამი, თუ რა გეზი უნდა აიღოს ქართველმა ხელოვანმა: „... ჩვენ უნდა ვიყვეთ ერთის მხრით მომავალ საუკუნეთა დღესასწაულის პლანეტარულ ქაოსის გამომხატველი და მეორე მხრით ნაციონალურ სახეების მძებნელი...“ რომანტიზმი, გალაკტიონ ტაბიძის აზრით, „ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებათ“... თავისი შეხედულებები ხელოვნებაზე გალაკტიონ ტაბიძემ კიდევ უფრო ნათელ ჰყო... „პოეზიის დღის“ მონინავე წერილში... [მან] შემდეგი დებულებანი წამოაყენა პოეზიის სფეროში: 1) ქართველი ხელოვანი უნდა იყოს ხალხში და ხალხთან ერთად, 2) ქართველი ხელოვანი უნდა იყოს ერთის მხრით მომავალ საუკუნეთა თანამგზავრი, მეორეს მხრით ნაციონალურ სახეების მძებნელი, 3) ქართველმა ხელოვანმა უნდა უარყოს კაფეების პოეზია, 4) ქართველი ხელოვანი ვერ დაკმაყოფილდება მარტო წარსულით, ძველი ღმერთებით და 5) ქართველი ხელოვანის დევიზი უნდა იყოს ამ საბედისწერო ხანაში ან სიკვდილი ან განახლება...“<sup>2</sup>

**1 იანვარი.** გაზეთ „ლომისში“ გამოქვეყნდა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული ხუთშაბათები“, 1921-1922 წლებში ჩატარებულ ღონისძიებათა ნუსხა: „... 1922 წლის იანვრის 5-ს – პროლეტარული პოეზია – ობოლი მუშა ... მარტის 6-ს – გ. ტაბიძის პოეზია – კოკი აბაშიძე ... დეკემბრის 7-ს – ტერენტი გრანელის საღამო – გალაკტიონ ტაბიძე, სიკო ფაშალიშვილი, დემნა შენგელაია.“<sup>3</sup>

**1 იანვარი.** „გალაკტიონ ტაბიძემ სულ რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა 1922 წ. შესაძლებლობა – აი, ვისზე შეიძლება ითქვას. ქართულ პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძის მეორე წიგნი – უდიდესი მიღწევაა ახალი დროისა. სანამ გავიცნობდი პირადად პოეტს, ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა – ვაი, თუ დაიფერფლა იგი და მის გაცნობა ვერ შემემთხვას – მეთქი, ისეთ დიდ წვას იძლეოდა იგი თავის წიგნში, მე მიმაჩნია დიდად საინტერესოდ ამ პოეტის პიროვნება. ის ახლა საკუთარ ჟურნალს სცემს და დარწმუნებულია, რომ სხვანაირად მისთვის მოქცევა შეუძლებელია. არც ერთ პოეტს გარდა ს. შანშიაშვილისა და ს. გრიშაშვილისა არ ჰქონია გავლენა ახალგაზრდობაზე, როგორც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, აი, ახლა იგი საკუთარ ჟურნალს სცემს და მე თავს ვერ ვიკავებ გაფრთხილებისაგან, თუმცა 1923 წელმა, იქნება წინააღმდეგი დამიმტკიცოს.“<sup>4</sup>

**1 იანვარი.** „1922 წ. პირველი დღე ხელოვნების სასახლემ გახსნა ჟურნალ „ლომისით“, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა... ამავე დროს მთელი წარსული წლის განმავლობაში ხელოვნების სასახლეში იმართებოდა საჯარო მოხსენებები ლიტერატურული ხუთშაბათების სახით და აგრეთვე ლიტერატურული კვირები... წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: „სტეფან გეორგე“, „ჩვენი მწერლობის გზები და მიზნები“... გალაკტიონ ტაბიძის პოეზია... აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ საღამოებს საზოგადოება ყოველთვის მრავალი ესწრებოდა...“<sup>5</sup>

„ბახტრიონს, ლომისს, ილიონს, გ. ტაბიძის ჟურნალს“  
სუბსიდია რადგან არ გაქვთ  
რა ჯანაბა უნდა მოხრათ,  
დაანევით განცხადებებს  
არ დაზოგოთ ბეჭდეთ ოხრათ.“<sup>6</sup>

გალაკტიონ ტაბიძეს  
უნუგემო მხარეში, რესტორანის არეში,  
ღვინის სიმხურვალეში მეჭედება გენია  
ძლიერ მოსაწყენია, ფხიზლად სთვალო დღენია,  
გულის მომალხენია პოეტების თარეში...  
ლურჯა ცხენზე მჯდარია, ჩემი სულის არია.“<sup>7</sup>

**3 იანვარი.** „ამ ერთი წლის [1922 წ.] განმავლობაში გამოვიდა „მეოცნებე ნიამორების“ ოთხი ნომერი, გაზ. „ბარრიკადი“... გამოვიდა ძველი მწერლობის ორგანო „ლომისი“, მაგრამ თავიდანვე ეს დამსახურებული მწერლები სულ არ გამოჩენილან. გაზეთი დაიპყრო უნიჭო ახალგაზრდობამ... ვიდრე გაზეთი [„ლომისი“] გამოვიდოდა, არსებობდა ჟურნალი „ლომისი“. იგიც გაზეთის ორეული იყო. ამ „ვინიგრეტში“ ერთმანეთს სცვლიდა გ. ტაბიძის „ლურჯი მონტევიდეო“ და ა. რუხაძის ბანალური მინიატურები... **გ. ტაბიძის ჟურნალი.** ეს ჟურნალი იყო სურროგატი „თეატრი და ცხოვრების“, სადაც ასე კადნიერად იმხელს თავს „ქართული ხალტურა“. გ. ტაბიძეს აქვს თავისი წარსული, ამიტომ, მას „ხარის „ანდაზის უნდა ეშინოდეს. წრეულს მან დაბეჭდა „ეფემერა“ და სხ. ლექსები, სადაც გადამღერება, როგორც სხვისი, ისე თავისი ტემების.

**პროვინცია.** 1922 წ. პროვინციაში სრული ლიტერატურული არარაობა იყო. თუმცა იქაც გამოდიოდა რაღაც „ჟურნალისდაგვარი“ („კანდელი“, „უქიმერიონი“). განსაკუთრებით პირველი იყო მატარებელი საშინელი უბადრუკობის. ორივეს გამართლება მითაც შეიძლება, რომ თბილისამდე ვერ ჩამოახნიეს. რასაკვირველია, აღნიშვნის ღირსიც არ არის ბათომში გამოსული აჭარისტანის (!) „მწერალთა პოეზიის დღე“, რომ იქ სრულიად შემთხვევით არ მოხვედრილიყვენ ზოგიერთი ავტორები... 30 / XII. გალლი.“<sup>8</sup>

**7 იანვარი.** გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეექვსე ნომერი, მასში დაბეჭდილია ეფემერა“ და „მშობლიური ეფემერა“. ამ უკანასკნელის ავტორისეული თარიღია: „1923 წ. 11 მარტი, ტფილისი“.<sup>9</sup> ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია გერცელ ბააზოვის ლექსი „მესია“ (ძღვნად გალაკტიონს).

**14 იანვარი.** გამოვიდა მორიგი ნომერი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალისა“, სადაც დაბეჭდილია გალაკტიონის ლექსი: „ქალაქში“.<sup>10</sup>

**[18 იანვარი].** „... ჩვენს მწერლობაშიაც აღმოჩნდნენ ნიჭიერი მწერლები, რომელთაც ახალ საუკუნეს ახალი სიტყვა შესძღვნეს. ასეთები არიან: ს. აბაშელი, კ. გამსახურდია, ტ. გრანელი, ი. გრიშაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი... ამ თაობის გამოსვლასთანაა უმთავრესად დაკავშირებული ახალი სტილის შექმნის ცდა ჩვენს სიტყვა კაზმულ მწერლობაში...“<sup>11</sup>

**2 თებერვალი.** „საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა... დაესწრნენ კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, კ. აბაშიძე. მოისმინეს: აკაკის ძეგლზე გვირგვინის დადება გარდაცვალების რვა წლის შესრულების გამო. მოხსენება კ. გამსახურდიასი. დაადგინეს: აკაკის სახელობაზე გაიმართოს მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათობა. კვირას, 18 თებერვალს მოენყოს ძეგლის საზეიმო დადაფვნა. მოსაწყობად არჩეულ იქნას კომისია შემდეგ პირთაგან: კ. აბაშიძე, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე.“<sup>12</sup>

**4 თებერვალი.** გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომელშიც დასტამებულია ევგენი სიდოშვილის ლექსი: „ლანდი“ (გალაკტიონ ტაბიძეს) და ვ. გარრიკის წერილი: „გალაკტიონ ტაბიძე“.<sup>13</sup>

**4 თებერვალი.** „... საქართველოში არის ერთი პოეტი, რომელიც განსაკუთრებული ტოგით სდგას. დიდი ხელოვანია იგი. იშვა ახალი სულის კვეთებით. მოვიდა ახალი შემეცნებით და ახალი ესთეტიკით. ეს არის გალაკტიონ ტაბიძე. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ, ეს უდიდესი პოეტი – ფილოსოფოსი, რომლის ტანჯვა და პესიმისტური მსოფლ-მხედველობა თანაბარი იყო ჰამლეტის ტრაურის – გალაკტიონ ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში განცალკევებულ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს... გალაკტიონ ტაბიძის ლექსის რიტმი მუსიკალურ ჯადოსნობით არის გამართული... [მისი] ლექსის რიტმში არის მინორი და სიტყვების ფიგურაცია. ლექსის მთავარი ფუძე – მუსიკალური რიტმია. სიმეტრია და პროპორციაც ამით უნდა გაიშინჯოს... ის ესთეტიკა, ლამაზი შემეცნების პოეტი, ფაქიზი და უნაზესი სულის მატარებელი. დანტეს და პეტრარკას ცის ქვეშ იზრდებიან ასეთი პოეტები... მისი „ლურჯა ცხენები“ ვირტუოზული ტეხნიკით და მქმინავი ცეცხლის სტრიქონებით არის დაწერილი, თითქოს გაგონდება ბარათაშვილის მერანი თავისი გამკვეთი სტიქიურობით... [ის] მჭიდროთ არის დაკავშირებული თავის სამშობლოსთან და მისთვის გასაგებია ქართული ეროვნული კულტურა. იგი



ეზიარა ევროპის კულტურას სულით და მისწრაფებით დასავლეთისკენაა, მაგრამ ტემპერამენტით აღმოსავლეთის შვილია...“<sup>14</sup>

**6 თეზირვალი.** სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის თავჯდომარეს მამია ორახელაშვილს. ჩემის რედაქტორობით ქართულ ენაზე გამოდის ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო „ჟურნალი“. ჟურნალს არ შეუძლია არსებობა, თუ მას არ ექნა განცხადებები. ამიტომ, გთხოვთ ნებართვას: განცხადებები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებების იბეჭდებოდეს ჩემს ჟურნალშიც, როგორც ეს არის „ლომისში“ და „რუბიკონში“. ჩემი ჟურნალი ერთადერთი ყოველკვირეული ჟურნალია საქართველოში. გალაკტიონ ტაბიძე. თფილისი.<sup>15</sup>

**11 თეზირვალი.** „გალაკტიონ ტაბიძე იძლევა ასეთ რითმებს 1922 წელში: არ ამსოფლო – სამშობლო, ევროპა – დაუდევრობა, ბურუსს – კენგურუს, ტანზე – ჩიმპანზე, აჩნია – გააჩნია, ცეცხლ-მოდებული – აშფოთებული.“<sup>16</sup>

**11 თეზირვალი.** სატირიკონში, გაზეთ „ტრიბუნას“ იუმორისტულ დამატებაში, „ტრა-დიციას“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ლექსი: „გალაკტიონ ტაბიძე (ავტოსონეტი)“.<sup>17</sup>

**15 თეზირვალი.** „თებერვლის 15-ს ხელოვნების სასახლეში გაიმართა მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათი: „აკაკის საზეიმო საღამო“. სიტყვები წარმოსთქვეს: კოტე მაცაშვილმა, კ. აბაშიძემ და კ. გამსახურდიამ. ლექსები წაიკითხეს: გალაკტიონ ტაბიძემ, ვარლამ რუხაძემ, ტერენტი გრანელმა და ი. მჭედლიშვილმა.“<sup>18</sup>

**16 თეზირვალი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული ხუთშაბათებისათვის მოხსენებათა გეგმის შემამუშავებელ კომისიაში არჩევა. დაესწრნენ: კ. მაცაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, კ. აბაშიძე. ლიტერატურული ხუთშაბათების მოწყობის და ჰონორარის განაწილების შესახებ. დაადგინეს: არჩეულ იქნას კომისია არისტო ჭუმბაძის, გალაკტიონ ტაბიძის და კოკი აბაშიძის შემადგენლობით მოხსენებათა გეგმების შესამუშავებლად. კონფერენციის მონვევის საკითხი. დაადგინეს: გაიგზავნოს განათლების კომისართან დელეგაცია ნებართვის მისაღებად შემდეგი შემადგენლობით: კ. მაცაშვილი, ვ. რუხაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე.<sup>19</sup>

**18 თეზირვალი.** „ქართულ ლიტერატურაში ბარათაშვილის მერანით თელილი გზა, ტაბიძემ განაგრძო – ლურჯა ცხენებით. იყო დიდი ცდა ცხოვრების საბოლოოდ გამოტირების. არია არარაობის ეკუთვნის გალაკტიონს. ბევრს ეგონა – ტაბიძე გაარღვევდა რკალებს; ამაოთ. მას აჩერებს მძლავრი ურაცანი, რომელიც სიკვდილით ესტუმრა სანტიმენტალურ ციხეში დამწყვდეულ ამაყ სულს. ტაბიძემ, როგორც სათუთი გრძნობის პოეტმა, ალბათ ყველაზე უფრო ადრე იგ-

რძნო დაღუპვის აუცილებლობა... ტაბიძე ხმარობს ხერხს მობრუნებული ფოკუსით. მისი ჟურნალი: – ნოეს კიდობანია – (აქ შეხვდებით ყოველგვარ ფრინველებს). ყოველი N-ი იხსნება გალაკტიონით. პოეტი ცდილობს მორიგ ეფემერებით მთელი მისი შემოქმედების გადამღერებას. მის ლექსებს დიდი ანალოგიური ნათესაობა აქვს გედის სიმღერასთან. შემდეგ არის მეტათ საინტერესო მასკარადი: მთელი პლუადა ქართული ლიტერატურის დაობებულ პორტფელიდან გამომზეურებულ „პოეტების.“ უნდა ითქვას, რომ „თეატრი და ცხოვრებას“ მეტი გამართლება ჰქონდა. ტეხნიკურად მეტათ მოხრილი, ფორმატი – დიდი. ნახევარი ჟურნალი დათმობილი აქვს რესპუბლიკის კერძო სავაჭრო ფირმების განცხადებებს. ტაბიძე უსათუოთ მეტ ფიგურათ დარჩებოდა ჩვენი ლიტერატურის მატრიანეში, რომ მას არ მოეხდინა „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციიდან უვადო შვებულებით დათხოვნილ „პოეტების“ მობილიზაცია.“<sup>20</sup>

**25 თებერვალი.** „რა ვუყოთ რომ ახლანდელი პოეტის სიტყვას იმდენათ არ ეტყობა... კლდე-ღრის გადასავლელი ძალა... გალაკტიონ ტაბიძის თამამ მოწოდებაში: „ან განახლება ან სიკვდილი“, ჩვენ ვერ ვხედავთ, როგორ აქვს წარმოდგენილი ახალგაზრდა პოეტს ახალი შემოქმედებითი გზები... პუბლიცისტიკას დღეს მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე პოეტის „სიტყვას“. რალაც მშრალი პროპაგანდის ხასიათს იღებს ხშირათ ეს „სიტყვა“. ზემოთ მე აღვნიშნე ამ მხრივ გალაკტიონ ტაბიძის მოწოდება... სხვაა როცა პაოლო იაშვილი, ან გალაკტიონ ტაბიძე გვპირდებიან... „ყურის მგლეჯელ გრაალს“, „გიგანტური მთის ლანდშაფტის უდიდესი იდეის“ განხორციელებას და ამით არ მიაჩნიათ თავი გმირის უძღურ წინამორბედათ. ეადვილებათ ჩვენს ახალგაზრდებს თავის ძალების გადამეტება... ჩვენი თანამედროვე პოეტის „სიტყვაში“ არის ცდა, რომ გამოუსხლტეს „დამნაცრებელი“ დროის ბრჭყალებს... პოეტის „სიტყვას“ ძალა არ ექნება, თუ ის არ გახდა ხალხის მესაიდუმლე. უმრავლესობა ჩვენი დღევანდელი პოეტებისა, ამ მხრივ მიდის „აცდენილი გზით“...“<sup>21</sup>

**25 თებერვალი.** ნავიკითხე გაზეთ „რუბიკონის“ მეოთხე ნომერში ვ. გაფრინდაშვილის წერილი: „რითმები 1922 წელში“. თემა მეტად საინტერესოა, მაგრამ არასწორად დაწერილი დიაგნოზი... გალაკტიონ ტაბიძიდან უფრო უკეთესი რითმების მოყვანა შეიძლებოდა, „ევროპა – დაუდევრობა“ კი გ. გვაზავას ცნობილი რითმაა: „ვენეციაა – მთელი ევროპა/ ეს გვექნებოდა ჩვენ გაგებული,/ რომ უმეტრული დაუდევრობა/ არ იყოს ჩვენზე გამეფებული“... გალაკტიონი არ არის დილეთანტი და ქართულ მწერლობაც ზედმინევით იცის. იგი როგორც ასონანსის პირველი არშიყი, არ ერიდება აკაკის რითმებსაც: „სამშობლო-საამსოფლიო“...“<sup>22</sup>

**3 მარტი.** გაუმარჯოს გალაკტიონს! პირველად ყოვლისა გამარჯვებას გისურვებ... იყავი კარგათ. მეტი სიფხიზლე. არაყი და ღვინო ეს ეშმაკის სულია, დიდების წასართმევად მოგზავნილი და სახელის დასამდაბლებლად შემოპარული. აი, აქ გჭირია თავის დაჭერა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ახლის თქმა, ჟურნალის

გაძლოლა და დაჭერილ პოზიციის შენარჩუნება... გალაქტიონ! მასწავლებლებმა 200 000 გამოაგზავნეს ფოშკით... გთხოვდენ, ერთი თვით ჟურნალი გამოგვიგზავნეო... ჩვენ კარგად ვართ. დედა გითვლის: მომწერე, გატუნია, სახლში როდის მოხვალო... შენი ძმა აბესალომი.<sup>23</sup>

**6 მარტი.** „მერვე ნომრის („გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“ – მ.შ. ) შემდეგ ასი მილიონი ვალი დაედო და... სახალხო კომისართა საბჭოს არზა წარუდგინა: – ჩემი რედაქტორობით ტფილისში გამოდის ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი. გამოვიდა რვა ნომერი, თითქმის აწყობილია მეცხრე. ჟურნალი სარგებლობს საზოგადოების დიდი სიმპატიით, ვრცელდება, მაგრამ... ჟურნალის გაყიდვისგან შემოსული ფული ხარჯებს ვერ ფარავს, ამიტომ ას მილიონამდე ვალი დაგვედო. დღემდის ჩვენთვის ერთ სახსართაგანს შეადგენდა განცხადებების ბეჭდვა, მაგრამ უკანასკნელად სადაც კი მივალთ განცხადებისთვის, გვთხოვენ სათანადო ქალაქს მთავრობისაგან... გთხოვთ მოგვცეთ შესაფერისი მანდატი, რომ უფლება გვექნეს სხვა გამოცემების მსგავსად ჩვენც ვბეჭდოთ განცხადებები და ამით საშუალება მოგვეცემა პერიოდულად მაინც გამოვცეთ ჟურნალი და მოვიშოროთ განცხადებების „ბეჭდვის აკრძალვისაგან თავსდატეხილი მეტად სამძიმო ვალი.“<sup>24</sup>

**11 მარტი.** „მშობლიური ეფემერას“ ავტორისეული თარიღია: „ტფილისი, 1923 წლის 11 მარტი“.<sup>25</sup>

**18 მარტი.** „...გალ. ტაბიძე ერთგულია ისევე საშუალო საუკუნის მთვარის, რომელიც თრთვილავს ცაში აგებულ კოშკებს. ეს მთვარე ისევე სოფლის წმინდა ჰაერზეა, მკრთალი, უმი, ნაზი. „მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე:/ საამო, ნაზი, უხავერდო და უვნებელი.“ („სიკვდილი მთვარისგან“). „მთანმინდის მთვარე“ არის იდეოლოგია სოფლის კულტურის, კანში მომწყვდევის, მაგრამ აქვს გალ. ტაბიძეს მეორე გრძნობა მთვარის, რომელშიც სუსხია და წყევლა, რღვევა და შხამი. მთვარეს ედება ბაცილა (შიში). მთვარე რომელიც ბანრებად ჩამოდის სპლინი და სხვა გვარი შუქი. პოეზიის ახალმა პრობლემებმა თავისებურად შეატრიალეს მთვარის პსიხიური ათვისება.“<sup>26</sup>

**2 აპრილი.** „რედაქციის ბინის ქირა – 19.000.000 მან. მაღროვეს 6 მაისამდე. ჟურნალი გაიწერა „აფხაზეთის ქართ. კოლეკტ. გამგ.“ – სოხუმში. დასტოვა 400 000 მან.<sup>27</sup>

**4 აპრილი.** ოთხშაბათს, 4 აპრილს მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება ახალგაზრდა მხატვრის შალვა შევარდნაძის საღამო. I. მოხსენებას გააკეთებს გალაქტიონ ტაბიძე: ლიტერატურული ანალოგები. II. ლექსთა თქმა, პოეტები: 1. გ. ტაბიძე, 2. რ. გვეტაძე, 3. გ. ცეცხლაძე, 4. ხ. ვარდოშვილი, 5. ე. სიდოშვილი, 6. ა. მალულარია, 7. ტ. გრანელი, 8. გ. აგარელი...“<sup>28</sup>

**13 აპრილი.** საქართველოს მწერალთა კავშირის მე-4 კონფერენციის სხდომა... სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ნ. შიუკაშვილი სალამოს 8 საათზე ხსნის სხდომას. სიტყვით გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც მოითხოვა, რომ საბჭოს წევრთა რიცხვი აყვანილ იქნეს 15 კაცამდე... საბჭოს წევრად დასახელებულია 18 კაცი. მათ შორის გ. ტაბიძე. ფარული კენჭისყრით აირჩიეს 13 კაცი. მათ შორის გ. ტაბიძე.<sup>29</sup>

**15 აპრილი.** საქართველოს მწერალთა კავშირის კრება... დაესწრნენ: გალაკტიონ ტაბიძე, კ. კაპანელი, დ. კასრაძე, ი. ტატიშვილი, გრ. რობაქიძე, ტ. ტაბიძე, პ. ინგოროყვა... მოისმინეს: საგამომცემლო კომისიის არჩევა. დაადგინეს: არჩეულ იქნენ: ა. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, ი. ტატიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი.<sup>30</sup>

**17 აპრილი.** „მწერალთა კავშირში. ხუთშაბათს აპრილის 13-ს დასრულდა წლიური საზოგადო კრება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა... დასასრულს მოხდა არჩევნები. საბჭოში არჩეულ იქმნა 13 კაცი: კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, ნ. შიუკაშვილი, ვ. რუხაძე, არ. ჯაჯანაშვილი, ობოლი მუშა, გ. ტაბიძე, ქ-ნნი ცქვიტი, მიმქრალი, პ. საყვარელიძე, ს. ფაშალიშვილი, მ. ბოჭორიშვილი...“<sup>31</sup>

**19 აპრილი.** გალაკტიონის ლექსი „მე ერთადერთი მქონდა ნუხილი“ დათარიღებულია 1923 წლის 19 აპრილით.<sup>32</sup>

**22 აპრილი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ა. რუხაძე, მიმქრალი, ნ. შიუკაშვილი, პ. საყვარელიძე, გ. ტაბიძე, ობოლი მუშა, ი. გრიშაშვილი, მ. ბოჭორიშვილი, ა. ჯაჯანაშვილი, ცქვიტი. განიხილეს: პოეზიის დღის საკითხი და აკაკის ძეგლის კურთხევა. დაადგინეს: არჩეულ იქნას კომისია ხუთი კაცისაგან, რომელთაც ევალებათ პრეზიდიუმთან ერთად შეიმუშაონ პროგრამა სასახლეში სალამოს გასამართავად და აკაკის ძეგლის კურთხევის ცერემონიალი. მათვე ევალებათ საბჭოსა და კავშირის წევრთა სურათების გადაღების მოწყობა ამ დღისათვის. კომისიაში არჩეულ იქნენ ცქვიტი, ი. გრიშაშვილი, პ. საყვარელიძე, გ. ტაბიძე, ობოლი მუშა.<sup>33</sup>

**29 აპრილი.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წლიური კრების ანგარიში ... საბჭოში არჩეულ იქნენ: მაყაშვილი, შიუკაშვილი, ი. გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, მის. ბოჭორიშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, ცქვიტი, პ. საყვარელიძე, ს. ფაშალიშვილი, მიმქრალი.<sup>34</sup>

**30 აპრილი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა... დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ნ. შიუკაშვილი, ა. ჯაჯანაშვილი, ცქვიტი, მიმქრალი, ობოლი მუშა, ვ. რუხაძე, პ. საყვარელიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშ-

ვილი, მ. ბოჭორიშვილი. განიხილეს: „პოეზიის დღის“ მოწყობის საკითხი... და-  
ადგინეს: პოეტების გამოსვლა მიენდოს გ. ტაბიძეს, ი. გრიშაშვილსა და ობოლ  
მუშას. თავმჯდომარეობა დაევალოს კ. მაყაშვილს.<sup>35</sup>

**2 მაისი.** ... ჩვენ ადგილები მოგვიზომეს და ნახევარ ნორმას გვაძლევენ, რო-  
გორც მოსამსახურეს. შენ, რასაკვირველია, ჩათვლილი ხარ, როგორც ორი სული  
(როგორც ცოლიანი) და არა ცალკე მოსახლე; მაგრამ შენ შეგიძლია მოითხოვო,  
რომ ჩავთვალონ ცალკე მოსახლეთ იმ ანგარიშით, თითქოს დედა შენს მზრუნვე-  
ლობის ქვეშ იყოს და ან საეზოვე ან ნახევარი ნორმა მაინც მოითხოვო, თორემ  
ერთ ქცევა ადგილამდე მაინც ჩამოგვართმევენ... აბესალომი.<sup>36</sup>

**3 მაისი.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს. სრულიად საქართველოს მწე-  
რალთა კავშირის საბჭო შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რომ უფასოდ დაეთმოს  
პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს ჟურნალის რედაქციის ბინა. პოეტის გარშემო თავ-  
მოყრილი არიან მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც ენერგიულად  
მუშაობენ და ხელს უწყობენ ქართული პოეზიის აღორძინებას. იმედია აღმასკო-  
მის პრეზიდიუმში დააკმაყოფილებს ჩვენს შუამდგომლობას და ამით შეაძლები-  
ნებს ახალგაზრდა მწერლებს განაგრძონ კულტურული საქმიანობა. სრულიად  
საქართველოს მწერლების ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი შ. რადიანი.<sup>37</sup>

**7 მაისი.** „გ. ტაბიძის ჟურნალი. ამ ჟურნალს ცუდ ნიშანს არ დაფუსვამდი.  
ზოგიერთი მასალა კი ბავშვების ჟურნალისათვისაც სათაკილოა. ჩვენ არ ვეთან-  
ხმებით ასპიროზის რეცენზენტს თითქოს „გალაკტიონმა მობილიზაცია მოახდინა  
„თეატრი და ცხოვრებიდან“ – უვადო შვებულებით დათხოვნილი პოეტებისა“, ამ  
ჟურნალებში უმთავრესად გალაკტიონი სჩანს და ასეთი ჟურნალები კი რუსეთში  
მრავალია: „Журнал Василия Каменского და სხვ. მხოლოდ არ შეგვიძლიან და-  
ვეთანხმით ნიჭიერ გალაკტიონს იმაში, რომ ლექსის დაბოლოვების შრიფტი უკ-  
ნიდან იწყება. ეს ვითომცდა ორიგინალური ცდა რუსეთში თვით იმაჟინისტებმაც  
უარყვეს და მით უმეტეს აქ, ქართული თვალისთვის ასე აწყობილი ლექსი სრულე-  
ბით მიუღებელია. ჟურნალის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან რვა ნომერამ-  
დე მიაღწია და ნახევარი გაზეთი თითქმის განცხადებებით იყო დატვირთული.“<sup>38</sup>

**7 მაისი.** ბათომის ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით ახლო მომა-  
ვალში გამოვა ჟურნალი: „მწვერვალები“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ:  
აბაკელია დ., ებრალიძე კოკი, კაკაბაძე პოლიკარპე ... ტაბიძე გალაკტიონ...<sup>39</sup>

„**მაისის 7.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა იდღესასწაულა  
თავისი ტრადიციული „შვიდმაისობა“... საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლე-  
ში გაიმართა საზეიმო საღამო. ამ დღისთვის საგანგებოდ დაწერილი იყო „პოე-  
ზიის ჰიმნი“, მუსიკა დ. არაყიშვილისა, სიტყვები გალაკტიონ ტაბიძის... მესამე  
განყოფილებაში თავიანთი ნაწარმოებნი წაიკითხეს: გალაკტიონ ტაბიძემ, დუტუ

მეგრელმა, საფო მგელაძემ, ლავრენტი ძიძიგურმა, ი. დარაშვილმა, დემნა შენგელაიამ, ს. ფაშალიშვილმა, ტერენტი გრანელმა... ი. გრიშაშვილმა. დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშისცემით აჯილდოებდა პოეტების გამოსვლას და რამოდენიმეჯერ ინვევდა ლექსის სათქმელად. სალამო დასრულდა ღამის თორმეტ საათზე, მაგრამ ხალხი მაინც დიდხანს არ დაშლილა.<sup>40</sup>

**28 მაისი.** დიდი ლიტერატურული სალამო რუსთაველის თეატრში. I. სიტყვები: პროფ. შ. ნუცუბიძე... II ლექსები: აბაშელი, ვარდოშვილი, ... ტაბიძე გალაქტიონ...<sup>41</sup>

**10 მაისი.** „ორშაბათს, 7 მაისს, ხელოვანთა სასახლეში შესდგა პოეზიის დღის საზეიმო სალამო... მომღერალთა გუნდმა შეასრულა საგანგებოდ ამდღისათვის დაწერილი კომპოზიტორ დ. არაყიშვილის პოეზიის ჰიმნი... დასასრულს ს. გრიშაშვილმა, ვ. რუხაძემ, ობოლმა მუშამ, ს. მგელაძემ, ვ. ძიძიგურმა, გ. ტაბიძემ, დ. შენგელაიამ... ტ. გრანელმა წაიკითხეს თავისი ნაწარმოებიდან... პოეტები მხურვალე ტაშით დააჯილდოვა საზოგადოებამ. სალამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.“<sup>42</sup>

**11 მაისი.** „ახალი მწერლობის კავშირმა „პოეზიის დღე“ ჩაატარა 6 მაისს... გამოვიდა გაზეთი „პოეზიის დღე“. მეთაური გაზეთის რომელიც ეკუთვნის პაოლო იაშვილს... ეს არის კიდევ ერთი შედეგური იმ ვულგარული ლექსიკონიდან, რომელიც „ყანწელებმა“ შექმნეს საგანგებოდ ჩვენს წინააღმდეგ. ეს არაა უკვე მოულოდნელი მათგან და ამდენათვე არაა საყურადღებო... რა პრეტენზიები აქვს იმ ლიტერატურულ ჯგუფს, რომელიც მთელი ორი-სამი წელი ეფარებოდენ დღეს უკვე მათ მიერ გაპროფანებულ სახელებს გალაქტიონ ტაბიძის და იოსებ გრიშაშვილისას, რომელზედაც გრიგოლ რობაქიძე ისეთივე ცრუ კლასიკური პათოსით კითხულობდა ლექციებს...“<sup>43</sup>

**20 მაისი.** „სამშაბათს ივნისის 5-ს რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი ლიტერატურული სალამო... ლექსები: ს. აბაშელი, ტ. გრანელი, კ. გამსახურდია, ხარიტონ ვარდოშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, ი. ტოფაძე, ა. ჭუმბაძე, ი. ყანჩელი... სალამოს თავჯდომარე: მაყაშვილი.“<sup>44</sup>

**22 მაისი.** უსათაურო ლექსის: „... შენ ემართლები მიმქრალ სახეებს“ ავტორისეული თარიღია: „ტფილისი, 1923 წ. 22 მაისი“.<sup>45</sup>

**23 მაისი.** გალაქტიონის ლექსი: „რა დროს რომანსეროა“ დათარიღებულია: „1923 წ. 23 მაისით.“<sup>46</sup>

**მაისი.** გალაქტიონის ლექსის: „ელეგია (ლ. მ.)“ ხელნაწერი დათარიღებულია: „1923 წელი, მაისით“. მას ახლავს ლიდია მეგრელიძის მინაწერი: „როცა ეს ლექსი დამიწერა გალაქტიონმა, დილა იყო. ღამით ძალზე მთვრალი მოსულიყო

და ვერ გაეხედა კარებზე დაკაკუნება და იქვე დასძინებოდა ღია აივანზე. როცა ამ ლექსს წერდა ისე უკანკალებდა ხელი, რომ კალმისტარი ძლივს ეჭირა თითებში. მერე მე მთხოვა გადამეწერა მისი კარნახით. ლ. მ.“<sup>47</sup>

**3 ივნისი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა... დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, მ. შიუკაშვილი, გ. ტაბიძე, ს. თავაძე, ვ. რუხაძე, ლ. ქიაჩელი, პ. საყვარელიძე, ცქვიტი, მიმქრალი, მ. ბოჭორიშვილი. განიხილეს: ქართულ კლუბში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს გამართვის საკითხი. დაადგინეს: ნებართვის აღება დაევალოს ვ. რუხაძესა და გ. ტაბიძეს. მოწყობის საშუალებანი გამონახოს საფინანსო კომისიამ, რომელსაც ამ მიზნით საგანგებოდ დაემატოს წევრად ცქვიტი.<sup>48</sup>

**10 ივნისი.** გაზეთი „ტრიბუნა“ პირველ გვერდზე აქვეყნებს განცხადებას: „რუსთაველის თეატრი. კვირას, ივნისის 17-ს გალაკტიონ ტაბიძის საზეიმო საღამო.“ მესამე გვერდზე კი საღამოს მომწყობი კომისიის განცხადებაა:

„ა. წ. ივნისის 17-ს რუსთაველის თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 15 წლის შესრულების აღსანიშნავად... არავისთვის დღეს საეჭვო არ არის, რომ გალაკტიონ ტაბიძე, როგორც პოეტი, ეპოხალური მოვლენაა საქართველოში... თხუთმეტი წლის წინად მკითხველმა საზოგადოებამ ერთხმად აღიარა მასში შეუდარებელი ნიჭი... თხუთმეტი წლის განმავლობაში თვითეული მისი ლექსი იწვევდა არაჩვეულებრივ გამომხაურებას. მისი ლექსების წიგნები ათასობით ვრცელდებოდა. უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი აღეველებული პირველი მიესალმა ამ წიგნის გამოსვლას... მან [გალაკტიონმა] შექმნა საკუთარი შკოლა. მისი ლექსების მეორე ტომი – დღემდე შეუფასებელი განძია, უკანასკნელი ეფემერები კი მესამე ტომისთვის, შეეჯიბრებიან საუკუნეებს... მოვავგონებთ ქართველ საზოგადოებას, რომ იგი მოვალეა დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საღამოში, რომელიც იმართება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 15 წლის შესრულების აღსანიშნავად, რადგან ასეთი პოეტი საუკუნეში მხოლოდ ერთი იბადება. საღამოს მომწყობი კომისია“.

ამავე გაზეთის მეოთხე გვერდზე კიდევ ერთი ცნობაა: „გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურულ ასპარეზზე 15 წ. აღსანიშნავ საღამოში... მონაწილეობას მიიღებენ მწერალთა კავშირის წევრები, პოეტები, ბელეტრისტები, სახელმწიფო ოპერის და დრამის მსახიობები, აკად. გუნდი. საღამოს აწყობს საგანგებოდ არჩეული კომისია.“<sup>49</sup>

**15 ივნისი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე „ზარია ვოსტოკას“ პუბლიკაციის განხილვა. დაესწრნენ: ნ. შიუკაშვილი, ცქვიტი, გ. ტაბიძე, მ. ბოჭორიშვილი, პ. საყვარელიძე, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ა. რუხაძე, კ. მაყაშვილი. განიხილეს: ი. გრიშაშვილის განცხადება, რომ „ზარია ვოსტოკაში“ მოთავსებულია („ახალი ამბები“), თითქოს საბჭო 15 წლის იუბილეს

უმართავს გ. ტაბიძეს. ეს განცხადება გაუგებრობას იწვევს წევრთა შორის. ამიტომ საჭიროა რედაქციისთვის განმარტების მიცემა. დაადგინეს: მიენეროს „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას, რომ გ. ტაბიძის შესახებ „ახალ ამბებში“ მოთავსებული ცნობა სინამდვილეს მოკლებულია.<sup>50</sup>

**17 ივნისი.** გაზეთი „ტრიბუნა“ ბეჭდავს ვ. პატარაიას ლექსს: „ანთებული სინაზე“ (ძღვნად გ. ტაბიძეს).<sup>51</sup>

**20 ივნისი.** ამ მოკლე ხანში ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტ. გრანელის საღამო. მონაწილეობენ პოეტები და მწერლები: გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, შიო მღვიმელი...<sup>52</sup>

**21 ივნისი.** ძმაო გალაქტიონ! გისურვებ ჯანმრთელობასა და წინსვლას... მე ამ მისამართით ვაგზავნიდი წერილებს: „ხელოვნების სასახლე, გ. ტაბიძეს“... ჯერ გაზეთები არ გადამითვალა, ისე კი ვანიკომ გადმომიცა: საღამო ჰქონდა და 15 წლის იუბილევ გადაუხადეს... წრფელი გულით გილოცავ. ჩუმად, ხუმრობით გეტყვი: შენ ჩემო გატუნია, არც ხუმრობ, ისე თამამად ადგამ ნაბიჯებს წინ... და არ შეჩერდე... აბესალომი.<sup>53</sup>

**22 ივნისი.** „ქ-ნო დომინიკა! ვიყავი თქვენთან, მინდოდა ბოდიში მომეხადა უსათუოდ. გაზეთის მასალას, რომელიც მე გადავეცი „ტრიბუნას“ მოყვა თქვენი ლექსი. მე მეგონა ის ლექსი ცალკე მქონდა გადანახული და მეტისმეტად გავოცდი, როცა კვირის ნომერში დავინახე დაბეჭდილი. იმედი მაქვს მაპატიებთ ამ უნებურ შეცდომას... ჩემი საღამო შესდგება საოპერო თეატრში სამშაბათს. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ მობრძანდებით იმ საღამოს. ბილეთს მოგართმევთ. ერთხელ კიდევ ვიხდი ბოდიშს. მარადის და მარადის იქითაც თქვენი პატივისმცემელი გალაქტიონ ტაბიძე.“<sup>54</sup>

**[ივნისი].** გალაქტიონის ლექსი „იყო“ (...იყო ბურუსი გაურღვეველი..“) დათარიღებულია [1923 წ. ივნისით].

„ლექსი პოეტს პირველად წარმოუთქვამს ქუთაისში 1923 წლის 10 ივნისს მის სალიტერატურო მოღვაწეობის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. საღამოს ანგარიშში გადმოცემულია პოეტის სიტყვის შინაარსი, რომელიც ასე მთავრდება: „... ძვირფასო მეგობრებო, როგორც აქ გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, მე მონმე გახლდით ოქტომბრის რევოლუციის ბრწყინვალე დღეებისა, ვხედავდი თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდა ხალხი თავისუფლებისათვის. მეც მტკიცედ ჩავთვალე თავი აბობოქრებულ დღეების თანაზიარად. ხელოვნების ყოველ მუშაკს რევოლუცია უნდა ჰმბეჭდეს გამბედაობას, მას რევოლუციაში თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს“... ბოლოს ანგარიშის ავტორი დასძენს, რომ გალაქტიონმა წაიკითხა ახალი ლექსი და მოტანილია ლექსის ტექსტი.<sup>55</sup>



28 ივლისი. „არა ერთხელ და ორხელ დანერილა... პროვინციაში გაზეთების თავის დროზე მიუსვლელობის ან სულ დაკარგვის შესახებ. მე კერძოდ მინდა შევეხო რა მდგომარეობაშია გაზეთებისა და ჟურნალების მიღების საქმე ქ. სოხუმიში. სოხუმის ყველა სამკითხველოში როდესაც არ უნდა მიხვიდეთ ყოველთვის შეგიძლიად ახალი გაზეთები (მხოლოდ რუსული) ან ჟურნალები ნაიკითხოთ, მაგრამ საუბედუროთ იშვიათად ნახავთ ქართულ გაზეთს ან ჟურნალს თავის დროზე მოსულიყოს... სოხუმის ქართულ სამკითხველოში გამონერილი არის შემდეგი გაზეთები და ჟურნალები: ტრიბუნა, კომუნისტი, მუშა, მინის მუშა, ლომისი, გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი და გრდემლი. დანყებული პირველი ივლისიდან სისტემატურად ვღებულობთ რუსულ გაზეთებს. ქართული ზეცამ ჩაჰყლაპა თუ მინამ უყო პირი არ ვიცი... სოხუმის ქართული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა – სამკითხველოს გამგე.“<sup>56</sup>

x  
x x

ესტო ჯი მჭირღით, ნახაძრ! ნახაძრ!  
ნახაძრ! რეჩქომ ქამაა.  
ჩემ! გზამ ზე ყნრა რაღამრეს  
კათ თქვენზე ჟენრთ ამაა.  
მეზავითა გქონთოე ქათიღნი  
რა ბინრა ქოსუჟსი მხლოჯ ეს,  
ხომ ჰოუთხე ქვიჟიღის ქქრლოთი  
მეჟსჟკოჟ ზიბჟიღე კეღეღი.  
ნაჟ სმჟნერიო მჟაჟოჟ ყიჟინღ,  
ნაჟ ჰიბზა ქაჟიღბოთი იბეჟი  
თუჟოთი ზე ყქიღიო მქრთ ჰინღ,  
ნაჟ რაჟოჟ მჟეჟიღ ნაჟეჟი.  
ყთინაღი: ესტოჟთ ნაჟეჟი  
ქსჟნბოთი მჟეჟიღოთი ბიბაჟს,  
ხომ ჰეჟ ბეჟიღა ზამჟარო  
ხომჟოთიო იბეჟა ზიბჟიღონღ.  
ნახაძრ! რეჩქომ! მძეჟ უჟნრიო  
ქაჟეჟიღეჟი ქაჟი რა ჰამჟრმაჟი.  
ქანღიოთ რა იბეჟ რამჟჟნერიო  
მჟიოჟნეჟონღ ეღბნღბოთი ეამაბჟი.

ნაჟ  
ნაჟეჟი  
ნაჟეჟი

11 ნოემბერი  
1923

ქართული  
ბიბლიოთეკა

**12 აპრილი.** გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონის ლექსები: „გრიგალი“ (ბათომი 1923 წ.)“ და „ცისფერი“ NN-ის ხელმოწერით.<sup>57</sup>

ჟურნალის ამ ნომერში არის გალაკტიონის კიდევ ერთი პუბლიკაცია: „სახელგამომცემლობა“, რომელსაც NN-ი მოაწერა:

„ტფილისი, და მაშასადამე, საქართველო, მოფენილია რუსეთიდან შემოზიდული წიგნებით... ამავე დროს ბაზარზე არ სჩანს ქართული წიგნი და თუ არის, ისე ცოტაა და ფერმკრთალი, რომ მისი არსებობა არ სჩანს. სახელმწიფო გამომცემლობის ეს „საცოდავი“ გამოცემები მართლაც ქლექს დამსგავსებია და წარღვნამდის დაბეჭდილი გეგონებათ. სახელმწიფო გამომცემლობას ეტყობა მეტისმეტი სისუსტე და ეს უარყოფითი თვისება გამგზდარი აქვს ძვალრბილში...“<sup>58</sup>

**29 აპრილი.** მანდატი. ამით ვამოწმებთ, რომ პოეტი გალაკტიონ ტაბიძე არის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოსა და ამავე კავშირის წევრი. თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, მდივანი მ. ბოჭორიშვილი.<sup>59</sup>

**1 სექტემბერი.** გაზეთ „ტრიბუნაში“ ტ. გ-ს ინიციალებით დაიბეჭდა რეცენზია: „ი. ჟორდანიას „ერისთონი“ წიგნი ლექსების.“<sup>60</sup>

**1 სექტემბერი.** ჩემო კარგო გალაკტიონ! ბაკურიანიდან სურამში წამოვედი და ამიტომ დამაგვიანდა... შენი ჟურნალი დამხვდა. გმადლობ. საუცხოოა შენი „გრიგალი“. შედეგრი. საერთოდ კი ჟურნალი სუსტ შთაბეჭდილებას ახდენს. ყოვლად უაზროა და ნაძალადევი სიხარულიძის წერილი. მობერებული თემაა პარიზელ ქართველ სტუდენტის მოგონება... რა ბრწყინვალე მარგალიტივითაა ამ უმნო მასალაში შენი ლექსი და წერილი. აი, რატომ უნდა სცდილობდე გაემიჯნო შენ მათ. მათსა და შენ შორის ისეთივე სივრცეა, როგორც ცასა და დედამიწას, ან, თუ გნებავთ პუშკინსა და კუკუნიკს შორის... შენ, როგორც მამამთავარი განსაზღვრული, ჩამოყალიბებული სკოლისა, უნდა შეუდგე წვრთნას ახალთაობისას... ნაყარ-ნაყარი პოეტები შენს ჟურნალში – ესაა ლაქა მშვენიერ ბანოვანის სახეზე... დაგკოცნი შენი გრიგ. ორაგვ. 1 ენკენისთვე, 1923. ი. გრიშაშვილმა წაღვერში შენი ჟურნალი მთხოვა, მაგრამ ვერ უგზავნი, რადგან მე აღარ მრჩება.“<sup>61</sup>

**20 სექტემბერი.** „[გაზ. „მწვერვალის“] გამოცემას ვფიქრობდი ჯერ კიდევ 1921-1922 წლებში. რაკი მისი გამოცემა მაშინ ვერ მოვახერხე, ავტორებისათვის არც კი მისაყვედურნია, როდესაც მათ ჩემთან შეუთანხმებლივ სხვა ორგანოებში გამოაქვეყნეს ჩემ მიერ შესყიდული მასალები (მაგ. ლეო ქიჩიელმა: „სამკაულეზი“, გ. ტაბიძემ – თავის ჟურნალში...) არც ერთ ამათთვის არა მისაყვედურნია რა, ვიმეორებ, თუმცა მასალები შესყიდული მქონდა და უბრალო ეთიკა მოითხოვდა გაკვრით მაინც შემკითხოდენ რამდენად მესიამოვნებოდა მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები... გაზეთ „მწვერვალის“ რედ. დავ. კასრაძე.“<sup>62</sup>

**22 ოქტომბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: გალაკტიონ ტაბიძე, კ. კაპანელი, დ. კასრაძე, ი. ტატიშვილი, გ. რობაქიძე, ტ. ტაბიძე, პ. ინგოროყვა... მოისმინეს: საგამომცემლო კომისიის არჩევა. დაადგინეს: არჩეულ იქნენ ა. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, ი. ტატიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი.<sup>63</sup>

**23 ოქტომბერი.** „გამოდის გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის 10 (მეათე) ნომერი. ჟურნალი იქნება დიდი ფორმატისა, დასურათებული და ელირება მხოლოდ 500 000 მან. მკითხველებში გამონვეული განსაკუთრებული ინტერესის გამო ეს № გამოვა 10000 ეკუმპლიარი. №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 – გაყიდულია.“<sup>64</sup>

[**25 ოქტომბერი**]. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი მივმართავთ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს – თხოვნით, რათა აღძრას შუამდგომლობა ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველოს წინაშე, [რათა] დაგვითმოს უბინაო მწერლებს ერთი სახლი საცხოვრებელი ბინებისათვის.<sup>65</sup>

**27 ოქტომბერი.** მწერალთა მეხუთე, გამაერთიანებელ კონფერენციაზე საბჭოს წევრთა რაოდენობა 33 წევრამდე გაზარდეს. მწერალთა საბჭოში აირჩიეს: ... გ. ტაბიძე... გ. ტაბიძე აირჩიეს საგამომცემლო-საჟურნალო სექციაში ვ. გაფრინდაშვილთან, იოსებ ტატიშვილთან და სანდრო შანშიაშვილთან ერთად.<sup>66</sup>

**28 ოქტომბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: კ. მაყაშვილი, ნ. შიუკაშვილი, ლ. ქიაჩელი, მიმქრალი, გ. ტაბიძე, ცქვიტი, პ. საყვარელიძე, მ. ბოჭორიშვილი, ს. თავაძე. განიხილეს: აღმანახის გამოცემის საკითხი. დაადგინეს: საბჭო ადასტურებს პრეზიდიუმის დადგენილებას – აღმანახის გამოცემისა და მისი საჭიროებისათვის 25 მილიონის გადადებას. სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქნენ: ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, კ. მაყაშვილი.<sup>67</sup>

**1 ნოემბერი.** ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველოს – გალაკტიონ ტაბიძის განცხადება. რადგანაც ამჟამად უბინაოდ ვიმყოფები, ვთხოვ უძრავ ქონებათა სამმართველოს, მომცეს საცხოვრებლად ერთი ოთახი ქალაქის ცენტრში. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>68</sup>

**7 ნოემბერი.** იანვრიდან გამოსვლას იწყებს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, ახალი შემადგენლობითა და შინაარსით.<sup>69</sup>

**9 ნოემბერი.** „კვირას, ნოემბრის 11-ს რუსთაველის თეატრის საინსტიტუტო დარბაზში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო. სიტყვები: კ. კაპანელი „პოეტი და სევდა“, გ. ნადირაძე „ტერენტი გრანელი“, გამოვლენ პოეტები და მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, ობოლი

მუშა (თავაძე), ვარლამ რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ქიაჩელი...“<sup>70</sup>

**11 ნოემბერი.** უსათაურო ლექსის „... ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!“ ავტორისეული თარიღია – 11 ნოემბერი, 1923 წელი.“<sup>71</sup>

**11 ნოემბერი.** იანვრიდან გამოვა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ ახალი შემადგენლობითა და შინაარსით.<sup>72</sup>

**4 დეკემბერი.** „... გალაკტიონ ტაბიძეს. თქვენი ნიჭი მე მაკვირვებს და მახარებს, როგორც ქართველ დედაკაცს. რაც შეეხება რევოლუციას და თქვენ რევოლუციანარ გიმთაწერას, მე ვერაფერს ვიტყვი, არ ვიცნობ მას და არც თუ მესმის იმისი სიდიადე. თქვენ ხელთ არის გაგვაცნოთ და სამლოცველოთ გაგვიხადოთ. ეკატერინე გაბაშვილისა.

ჩემ შვილად საგულეებელ გალაკტიონ ტაბიძეს უძღვნი გამარჯობას, დღეგრძელობას და მადლობას. ეკ. გაბაშვილი, 4 დეკემბერი, 23 წ. “... „იდეალურ პოეტათ ხარ აღიარებული, ღმერთმა ჰქმნა ხალხის გულამდინ მივიდა შენი ძახილი, გიცნობ მან და თავყვანი ქცა ისე, როგორც ლიტერატორთა საზოგადოებამ და განათლებულ მკითხველთ უკვე გაკურთხეს და სახელი, ხალხოსნობის სახელი გინოდეს. ეკ. გაბაშვილისა...“<sup>73</sup>

**1923.** „გადავავთვალე რე გალ. ტაბიძის ჟურნალი (№2, 3, 4), გული გამიტყდა. რისთვის იხარჯება ამდენი ქალაქი?... გ. ტაბიძის „ეფემერა“ მანერიანია, არა-სადა, არამარტივი, მისი პოეზიის ღირსება კი უმთავრესად სიმარტივე-სადა გულწრფელობაშია... გ. ტაბიძის ლექსის: „ისევ ეფემერა“ – დედააზრი ეს არი: პოეტი ისე მაღალია, რომ ის იმგვარადვე ტყდება, როგორც მაღალი ხე, რომლის მწვერვალზეც ხვდება ქარი. მაგრამ ხელოვნური მიხნევა ვერ შეედრება განზრახვას... დასკვნა, ჟურნალი არ ღირს იმ შრომად და ქალაქდათ, რომელიც მასზე დახარჯულია.“<sup>74</sup>

**1923.** „გალაკტიონის ლექსი „სულ მალე“ დათარიღებულია [1923წ.]. „ლექსი დავათარიღეთ 1923 წლით, რის საფუძველს იძლევა C -ში არსებული კუპიური („ტოკიოს მაინც ასეთ დროში ეწვია წგრევა“). ძლიერი მინისძვრა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ქ. ტოკიოს, მოხდა 1923 წელს. ამ მინისძვრამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში, რაც კარგად ჩანს ლექსში.“<sup>75</sup>

**1923.** ჩემი დამოკიდებულება გრიშაშვილთან ცოტათი უმჯობესდება, ტიცინთან უმჯობესდება, შესაძლოა გაფრინდაშვილთან გაუმჯობესდეს, შესაძლოა პაოლოსთანაც და გრიგოლთანაც. ჩემი დამოკიდებულება ლეო ქიაჩელთან საუცხოვოა. მან სთქვა, რომ ლექციას დაამზადებს ჩემზე. გამსახურდია მიწოდებს გენიოსს. მისთვის მე უფრო ძვრფასი ვარ, ვინემ დოსტოვესკი.“<sup>76</sup>

**19 იანვარი.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს მიმართა “... პოეტი გალაკტიონ ტაბიძე რამოდენიმე ხანია უბინაოთ არის და ამ ზამთრის ცივ ღამეებში თითქმის გარეთ უხდება დარჩენა. გთხოვთ აღმოუჩინოთ დახმარება გალაკტიონ ტაბიძეს ბინის შოვნაში..”<sup>1</sup>

**იანვარი.** „...მხოლოდ XIX საუკუნემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შინაარსს. ოღონდ ლექსი კი დაგენერა და შინაარსი ჩაგედო შიგ, ფორმას და სილამაზეს ვინ დაგიდევა. ეს ნაკლი მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოსწორდა: მოვიდნენ მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტების (გ. ტაბიძე, აბაშელი, შანშიაშვილი, გრიშაშვილი და სხვ.), რომელთაც გატეხეს ნავსი და განახლების ცეცხლი გადმოისროლეს პოეზიაში.“<sup>2</sup>

**[17 თებერვალი].** გამოვიდა ჟურნალი „კავკასიონი“ (№ 1-2), სადაც, ვახტანგ ჯავახაძის აზრით, სხვა მასალასთან ერთად დაიბეჭდა ფრანგი პოეტების გალაკტიონისეული თარგმანი. ის თავის „უცნობში“ წერს: „1924 წელს პავლე ინგოროყვამ გამოსცა ჟურნალ „კავკასიონის“ 1-2 გაერთიანებული ნომერი, რომელშიც... დაიბეჭდა სამი ფრანგი პოეტის სამი თავისუფალი ლექსი: გიომ აპოლინერის „კროკსები“, ჟან კოკტოს „მუზები (ოდა პიკასოს)“ და ბლევ სანდრარის „კოშკი“. მთარგმნელი მითითებულია ლათინურად – Petronius...“

გალაკტიონის 1924 წლის ბლოკნოტში წარმოდგენილია ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანაწერი – „კავკასიონი“. როგორც ირკვევა, მწერალთა კავშირის საბჭომ გადაწყვიტა ახალი ჟურნალის გამოცემა და შექმნა სარედაქციო საბჭო. რედაქტორად დაინიშნა პავლე ინგოროყვა, ხოლო გალაკტიონი სარედაქციო კოლეგიის წევრი გახდა. მაგრამ კოლეგიის წევრს არ მოეწონა რედაქტორის „სეპარატისტული მუშაობა“ და, ვიდრე ჟურნალი გამოვიდოდა, უარი განაცხადა კოლეგიის წევრობაზე, „კავკასიონს“ კი „მხოლოდ ინგოროყვას ჟურნალი“ უწოდა... გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ჟურნალის გამოცემა მწერალთა კავშირმა ორი წლით ადრე დაადგინა. ჟურნალში ვრცელადაა წარმოდგენილი „უცხოეთის ლიტერატურა“ და, როგორც ჩანს, ქართველი მკითხველებისათვის ჯერ კიდევ უცნობი თანამედროვე ფრანგი პოეტების თარგმნა პავლე ინგოროყვამ გალაკტიონს შეუკვეთა. გალაკტიონმაც პირველი ნომრისთვის სამი ავტორი შეარჩია...

1923 წლის იმავე უბის წიგნაკში... დაუგეგმავს: ფრანგული ენა ხვალიდან. რაც მიანიშნებს, რომ ფრანგები ორიგინალიდან უნდა იყოს თარგმნილი. როგორც მოგახსენეთ, ჟურნალში მთარგმნელის ვინაობა ლათინურადაა მითითებული – Petronius. გაიუს პეტრონიუსი – პირველი საუკუნის რომაელი სატირიკოსი – ავტორი აღიარებული „სატირიკონისა“ და გახმაურებული ფრაზისა: „კაცობრიობა კომედიას თამაშობს“- ნერონის კარზე მოღვაწეობდა და სასახლის ინტრიგების გამო სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა.

რაკი გალაკტიონმა კოლეგიის წევრობაზე და შემდგომ თანამშრომლობაზე უარი განუცხადა, ეტყობა, რედაქტორმა კომპრომისული გამოსავალი გამოიპოვა

ხა: მთარგმნელისათვის ფსევდონიმი შეარჩია და გალაკტიონთან შეთანხმებით თუ შეუთანხმებლად, ამ მიზნით პირველი საუკუნის რომაელი აირჩია... (სხვათა შორის, 1916 წელს ტიცვიან ტაბიძემ პეტრონიუსს დაუპირისპირა გალაკტიონი – „ქართველი პოეტი ჯერ ვერ შეიშენებს, რომ პეტრონიუსივით თავისი სიკვდილის ანტრექტებში ეროტიული ლექსი „დასწეროსო“, – და შეიძლება ეს პასაჟი გაახსენდა პავლე ინგოროყვას...

დღემდის ითვლებოდა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს თარგმანი არასოდეს გამოუქვეყნებია. „კავკასიონის“ პუბლიკაცია ამ მხრივაც საყურადღებოა და საყურადღებოა იმითაც, რომ ქართველმა მკითხველმა პირველად გაიგონა მეოცე საუკუნის სამი უაღრესად საინტერესო ფრანგი პოეტის სახელი და გვარი.“<sup>3</sup>

**24 მარტი.** „1924 წლის 24 მარტს განათლების კომისარს მიაკითხა: რადგან ვიმყოფები მეტისმეტად შევიწროებულ მდგომარეობაში უტანსაცმლობით და უფეხსაცმლობით, უმორჩილესად გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა საქ. უმაღლესი მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარესთან, გამიხსნას კრედიტი მისდამი რწმუნებული ტრესტებიდან ტანისამოსისა და ფეხსაცმლის მისაღებად. ფულს ნაწილ-ნაწილ მიიღებენ თვით ჩემგან, ხოლო თავდებობა იქნება თქვენი კომისარიატისა. იმედი მაქვს მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას.“ ცივი უარით გამოისტუმრეს: „უარი ეთქვას!“<sup>4</sup>

**6 აპრილი.** „... მე პირადად დიდს დანაკლისად მიმაჩნია, რომ დღემდის გამოცემული არ არის თხზულებათა სრული კრებული შემდეგი მწერლებისა: ნიკოლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კოტე მაცაშვილის... გალაკტიონ ტაბიძის... გრ. რობაქიძის და სხვების.“<sup>5</sup>

**[25 აპრილი].** „ყოფნა „მნათობის“ მეორე ნომერში<sup>6</sup> დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსები: „მღვრიე ქარი“, „ქარი არხევდა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში“, „ქარი მსოფლიო ომის მაუნყებელი“, „ქარი ამწევი ფარდის“, „ქარი მოგონებათა...“, „... ქარი ჰქერის“, „არა ერთი და ორი“, „ქიმიურ საგნებთან“, („მე არ მოვდივარ/ ქალაქის ჰაერიდან...“). „მნათობში“ ისინი დაბეჭდილია ერთ ციკლად საერთო სათაურით: „ქარი“, რომელიც 1934 წელს გაერთიანდა ახალ ციკლში – „იგი ომია“). პოეტმა თემატური მინიშნების მიზნით, ყველა ლექსს ცალკე თავში მიაწერა წლები, მაგ. I. 1917 – მღვრიე ქარი; II. 1908 – ქარი არხევდა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში; III. 1917 – ქარი ამწევი ფარდის... VI. 1924 – არა ერთი და ორი და ა. შ. ეს მინიშნებები თარიღად არ უნდა არ უნდა იქნას გაგებული.“<sup>7</sup>

**15 მაისი.** „გალაკტიონ! გამაგებინე თუ ძმა ხარ, რაშია საქმე? არც წერილი, არც არავითარი ამბავი... ნეტა ვიცოდე, როგორ ცხოვრობ? წერით არაფერია გაზეთებში, ისე მიჩუმათებული ხარ... მსახურობ სადმე? ჩვენ ვცხოვრობთ როგორც არის. დედა ცოტა სუსტათაა. გელის მოუთმენლად. მარკას ვდებ წერილში. იქნებ მაშინ გაბედო მოწერა. აბ. ტაბიძე.“<sup>8</sup>

**25 მაისი.** გალაკტიონმა ხელოვნების მუშაკთა კავშირის სამდივნოს სთხოვა: ამჟამად არ მომეპოვება ბინა. უმორჩილესად ვთხოვ ხელოვნების კავშირის სამდივნოს, მომცეს ერთი ოთახი მის განკარგულებაში მყოფ რომელიმე სახლში.<sup>9</sup>

**1 ივნისი.** „ოთხშაბათს, ივნისის 11-ს ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“-ს საღამო... ხელოვნების თაიგული: პოეზია – ი. გრიშაშვილი, რ. გვეტაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე... დასაწყისი საღამოს 8 საათზე.“<sup>10</sup>

**[22 ივნისი].** ჟურნალ „მნათობში“<sup>11</sup> ქვეყნდება გალაკტიონის „აღმოსავლეთი“ (ქვეშ მიწერილია თარიღი: „12 ივნისი“). ჟურნალის ამ ნომერს დაავიანდა. მისი გამოსვლის შესახებ გაზ. „კომუნისტი“ 22 ივნისს იუწყებოდა.

„მნათობი“ ამავე ნომერში, NN-ის ხელმოწერით, დასტამბულია გალაკტიონის რეცენზია: „კონსტანტინე ჭიჭინაძე – „რჩეული ლექსები.“

**23 ივნისი.** „[ძვირფასო ოლია!] ისევ გაიღვიძა გულში ძლიერმა და გამოუსავლობის მქონე გრძნობამ: რითაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა დავანგრიო ეს ყოვლად საზიზღარი და გაუტანელი დაწესებულება სერგიევის ქუჩაზე: ხელოვანთა სასახლე, კერძოდ, მწერალთა კავშირი; ისინი განაგრძობენ ჩემს წინააღმდეგ კომპანას, მიუხედავად იმისა, რომ აღარ აქვთ არავითარი დასაყრდენი ადგილი: „კავკასიონი“, „ქართული სიტყვა“. ეხლა მხოლოდ სიტყვით, ცარიელი სიტყვით, ინსინუაციით, გაიძვერობით – განაგრძობენ თავიანთ საზიზღარ საქმეს... ისე როგორც წინად, ექვსი, შვიდი წლის განმავლობაში. ეს იყო ყოვლად საზიზღარი საქმე, რომელსაც მე არავის არ ვაპატივებ. ეხლა კი დროა, დროა გვასწოროთ ანგარიშები. მე ვიცი თვითოეულის სახელი და გვარი, პიროვნება, ყველაფერი, რაც ახსიათებთ მათ. რას იტყვიან მაშინ? ატირდებიან თუ არა ცხარე ცრემლით? მუხლებზე ჩოქვით მოვლენ თუ არა?.. ატირდებიან მწარედ, მუხლებზე ჩოქვით მოვლენ. მოინანიებენ. ყველაფერს იტყვიან... დროა მწარე ბრძოლის გამოცხადების. ამ ბრძოლაში ან ერთი მოკვდება ან მეორე. ან მე, ან ისინი. ვიცი თორთავისი ძალა... ვნახოთ, ყველაფერი მალე გაირკვევა.

ძვირფასო ოლია, შენ რომ არ ყოფილიყავ, შესაძლებელია მე სამუდამოდ დავესამარებო ამ ცინიკების ხროვას. შენ იცი ჩემი პატიოსანი და სიყვარულით სავსე ცხოვრება. აქ არ ყოფილა კინტობა, ცინიკობა, არ ყოფილა დაუდევარი მოპყრობა ჩემი ხელოვნებისადმი, არც საზოგადოებისადმი, არც თავისთავისადმი, რადგანაც მე ვგრძნობდი, რომ ვჭირდებოდი საზოგადოებას, ხალხს, ქართულ ლიტერატურას, პოეზიას, სამშობლოს, მშობლებს, ჩემს სოფელს, დედას, რამდენიმე კაცს, შესაძლებელია. მაშასადამე, დროა ბრძოლის. იქნება მწარე ბრძოლა. მარადის შენი გალაკტიონი. 1924, 23 ივნისი.“<sup>12</sup>

**[4 ივლისი].** „...ტრადიცია ამ სკოლას შეუქმნა არიმათელმა და „თეატრი და ცხოვრებამ“, სადაც პირველათ იბეჭდებოდნენ ყანწელები. ფორმალური მეთოდის სიახლე თოთხმეტ მარცვლების რეფორმატორებმა სონეტით განსაზღვრეს.

„რტოებით - განმარტოებით“, „სწორი - ორი“ „ლექსი - ალექსი“ - ამ პოეტებმა შემოიტანეს პირველათ - ეხლა მაგის უნარიც დაეკარგათ... საამაყო არაფერი არ დარჩათ წარსული ბრძოლების მოგონების გარდა. ამისთვის არსებობს მოგონების არხივი ტიტე ტაბიძე – მოგონებებში რაც გამორჩენილი აქვს ტიტეს, ის არის რომ პირველ გამოსვლებში ყანწელები ეფარებოდენ გალაქტიონ ტაბიძე გრეხვა და კაბას და გრიშაშვილის აბანოს... ორივე ძმებმა ტაბიძეებმა ძალიან ისარგებლეს ნადსონით, თუ გალაქტიონმა პირველი სტადია დაიწყო, მეორე დაასრულა ტიტემ. აქ ალბათ სისხლის ნათესაობასაც ქონდა მნიშვნელობა... მწერალ პოეტებს შარშანდელი წლის განმავლობაში დამსახურებათ ჩაეთვლება იუბილეებში გულუხვი და სახე-გაბრწყინებული მონაწილეობა...რა უნდა სთქვან კრიტიკოსებმა, როცა მათი საყვარელი პოეტების ლექსები იმღერება „ახ იაბლოჩკა“, „არშინ-მალ-ალან“, „შამილი“ ბაიათები და იმერულ სიმღერების (სანთელი ქრება, ჩამოიბინე შენ ჩემს საფლავზე და სხვ.) მოტივებზე. ფაქტები: გრ. რობაქიძე: ვერის ხიდზე – სულთან ბეგმა გაიხარა (არია არშინ მალ-ალანიდან)... გალაქტიონ ტაბიძე: ლურჯა ცხენები – შამილი. შავი პელიკანი – ვაშა-ვაშა (არღის მოტივი). ი. გრიშაშვილი: ყველა მისი ლექსი იმღერება სოფლის გიტარაზე...ამიერიდან ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნების ანტისანიტარულ მდგომარეობას და დაწყებული გალტაბ ტიტტაბიდან კასრადით დათავებული გარეკილ იქნენ შემოქმედების არენიდან. ჰაერის დასანმენდი რეცეპტი მოცემული არის.“<sup>13</sup>

**7 ივლისი.** პოემა „ჯონ რიდი“ დათარიღებულია 1924 წლის 7 ივლისით. ნაბეჭდი: ჟურნ. „მნათობი“, 1924 წ., №4. ავტოგრაფებს ახლავს ეპიგრაფი: „ძვირფას რიგს პოეტებისას, რომელთაც გამომაცხადეს პოეტების მეფედ, რევოლუციიდან დაბრუნების შემდეგ. ვუძღვნი ამ წიგნს ძვირფას რიგს პოეტებისას, რომელთაც გამომაცხადეს პოეტების მეფედ 25 იანვარს 1921 წელს რევოლუციიდან დაბრუნების შემდეგ. გალაქტიონ ტაბიძე. B“<sup>14</sup>

**18 ივლისი.** „ძმაო გალაქტიონ!.. ამ წერილს ქუთაისიდან გწერ. აქ ვართ განვეული მასწავლებლები და გამგეები ერთი თვის ვადით კურსებზე. სახლი მიტოვებული მაქვს. მარტო დედა, სხვა არავინ. დედამ შემეხვეწა: გალაქტიონს მისწერე, იქნებ ორი ან ერთი კვირით მაინც ჩამოვიდესო. ძალიან დასუსტებულია და მეც არ მინდოდა დამეტოვებია მარტო, მაგრამ ვერაფერი ვახერხე. იქნებ შენ ჩამოხვიდე ცოტა ხნით მაინც... ოთხი წელიწადია, არ ჩამოსულხარ, ნუ თუ მაშინ ჩამოხვალ, როცა ავადმყოფობას, ან სიკვდილს გაიგებ ჩვენსას?... ნუთუ მე არ უნდა შემეძლოს ორი დღითაც მივატოვო სახლი და შენ კი მთელი წლობით შეგიძლია ასე მოიქცე. ჩადი უეჭველად სახლში.“<sup>15</sup>

**18 ივლისი.** „ძვირფასო ოლია... ჩემი წიგნის გადაწერა დავიწყე. წიგნი მზად იქნება ორ კვირაში. პირველი აგვისტოდან შევუდგები ბეჭდვას და დავამთავრებ 15-ში. ეხლა თავისუფალი ვარ ორი თვით – მაგრამ ფული ცოტა მოგვცეს – კრი-



ზისიაო... ჩვენს რედაქციაში ცოტაოდენი ცვლილებებია მოსალოდნელი ენკენის-თვიდან: სარედაქციო კოლეგიაში ვალია ბახტაძემ მოიწვია რამდენიმე ფუტურისტი, თუ იმათმა არ აწინებს საქმე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავითარი საფრთხე მოსალოდნელი არ არის. „ჯონ-რიდი“ ახდენს პირდაპირ სენსაციას – თუმცა ჯერ არ გამოსულა. ჟურნალი დაბეჭდილია, გამოვა დღეს ან ხვალ... გალაკტიონი, 18 ივლისი.“<sup>16</sup>

**20 ივლისი.** „20 ივლისი, ღამე. ოლია.. პირველი წერილი დაწერილი მქონდა. დღეს ვუერთებ ამ წერილს. ის-ის იყო დავწერე პირველი წერილი და უეცრად მომიხდა ტფილისის მახლობლად, კოჯორში წასვლა. იქ გავიგე ბევრი რამ ახალი. მიშა დაუნიშნავთ გენერალურ მდივნათ; მთელი ცვლილებებია კიდევ...[1924].“<sup>17</sup>

**23 ივლისი.** გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „მნათობი“ მე-4 ნომერი შემდეგი შინაარსით: გ. ტაბიძე ჯონ რიდი...“<sup>18</sup>

**[23 ივლისი].** ჟურნალი „მნათობი“ ბეჭდავს გალაკტიონის პოემას „ჯონ რიდი“ (№ 4). ამ ნაწარმოების B ხელნაწერს ეპიგრაფი ახლავს: „ვუძღვნი ამ წიგნს ძვირფას რიგს პოეტებისას, რომელთაც გამომაცხადეს პოეტების მეფედ 25 იანვარს 1921 წელს, რევოლუციიდან დაბრუნების შემდეგ...“

**24 ივლისი.** „... ჟურნალი იწყება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით: აღმოსავლეთი. ეს ლექსი ახალია, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. მდიდარი ფერებით მოცემულია მონური აზია, რომელიც მძინარე ქსოვს ხალიჩებს, ფარჩებს... ძილში მყოფ აღმოსავლეთს თვალწინ უდგას ევროპა – ამპირი... სადაც „კულტურით“ მოქანცულნი ვეღარ გრძნობენ: „რომ სულ ახალი დროის ჰამლეტი მოჯადოებულ ბურუსში მყოფი დგება, იღვიძებს აღმოსავლეთი“... ლექსი თავდება ძლიერი სტრიქონებით: და თუ გრიგალი ისევ მოვიდა/ და გაზაფხულის ველი მოლია/ ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე,/ როგორც არავის არ უბრძოლია.“<sup>19</sup>

**29 ივლისი.** „ჟურნალი „მნათობი“ № 4 (რომლის შინაარსი უკვე გვეყონდა მოთავსებული). უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ.“<sup>20</sup>

**13 აგვისტო.** „ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქციისაგან. მნათობის მე-5 ნომერში, რომელიც გამოვა სექტემბრის პირველ დღეებში სხვა მასალებთან ერთად გამოქვეყნებული იქნება ელისაბედ ყაზბეგის... „მემუარები“... რომ სანდრო ყაზბეგის ავტორობით ცნობილი თხზულებანი ეკუთვნიან არა სანდროს, არამედ დიმიტრი ყაზბეგს... მნათობის რედ. ვ. ბახტაძე.“<sup>21</sup>

**9 სექტემბერი.** გალაკტიონის ლექსი: „მაცნე დავიმსახურე“ დათარიღებულია: „9 სექტემბერი, 1924 წ. ტფილისი“.<sup>22</sup>

**13 სექტემბერი.** „კვირას, 14 სექტემბერს ლენინის სახ. კლუბში (სალიანდაგო სამსახურის მე-6-ე უბანი) გაიმართება პროლეტარული პოეზიის საღამო. მონაწილეობას იღებენ: გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, შინატყეხელი, შაქრო ნავთლულელი, გ. ხეჩუაშვილი, სიო ხიდისთაველი, ვასო როინიშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, იონა ვაკელი...“<sup>23</sup>

**24 სექტემბერი.** „დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ ჟურნალ „მნათობის“ მეხუთე ნუმერი – შემდეგი შინაარსით: გალაქტიონ ტაბიძე. ლექსები. მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“...“<sup>24</sup>

[**24 სექტემბერი**] ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა გალაქტიონის პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ (№ 5, გვ. 7-25). საინტერესოა ამ ნაწარმოებთან დაკავშირებული ერთი დოკუმენტი: „... მთავრობა საშინელ პირობებში გვაყენებს ჩვენ. თავისიანებსაც არ ინდობს, თუ კი ისინი სიმართლის გამჟღავნებას გაბედავენ. თავიანთი პრესა ხომ საშინელი ცენზურის ქვეშ ყავთ დაყენებული. ამას წინათ კონფისკაცია უყვეს თავიანთ ჟურნალ „მნათობის“ მეხუთე ნომერს. იქ გალაქტიონ ტაბიძის ლექსი „100 პროცენტი“ და სხვ. მოთავსებული. ლექსში უცხოელი ხალხის მღელვარება და მთავრობის რისხვა აღწერილი. ბოლშევიკებმა ამაში საარაკო მაიმუნის მსგავსად თავიანთი სახე დაინახეს. ტაბიძე დააპატიმრეს და რამდენიმე ხანი ჩეკაში ყავდათ...“<sup>25</sup>

ამ პოემის შესახებ რევაზ თვარაძე იხსენებს: „1946 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი და მე სტუმრად გახლდით სოლოლაკში, ღვალაძეების ოჯახში. ამ ოჯახის უფროსი ქალიშვილები – ლონდა და ლატავრა ჩვენი მეგობრები იყვნენ. მათი მამა 1937 წელს ემსხვერპლა (ლონდა გრიგოლ რობაქიძის ნათლული ყოფილა და სხვა მიზეზი ალბათ, არც იქნებოდა საჭირო, მამამისი ხალხის მტრად რომ შეერაცხათ!). ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი თამარ კუცია, სათნო მანდილოსანი, მწერლობისა და მრავალი მწერლის კარგად მცნობელი, უამრავ საინტერესო ამბავს მოგვითხრობდა ხოლმე. იმ საღამოს გვიამბო: ოცდაოთხი წლის აჯანყება სისხლში რომ ჩაახშეს, გალაქტიონ ტაბიძემ დაწერა პოემა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“. ეს პოემა იმავე წელს „მნათობში“ დაიბეჭდა, მაგრამ „მნათობის“ ის ნომერი არ გავრცელებულა, ტირაჟი მოსპეს, რადგან, მართალია, პოემაში თითქოს უცხოეთზე იყო საუბარი, სანამდვილეში ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ოცდაოთხი წლის აჯანყებას ეძღვნებოდაო. მაშინ გალაქტიონი დააპატიმრეს და რამდენიმე თვეს ციხეში იჯდაო. ის პოემა მეც ჩამივარდა ხელში, იმ პირობით გადმომცეს, რომ დავიზეპირებდი და დავწვავდიო. შემდეგ ქალბატონმა თამარმა მთელი პოემა ზეპირად წავკითხა. ჩვენ, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკები, გაოგნებულნი ვისხედით. იმხანად ოცდაოთხი წლის მარტოოდენ ხსენებაც არ იყო უხიფათო, არამცთუ ამ ამბის შესახებ დაწერილი პოემის წაკითხვა. და, აი, ამნაირი ბედნიერება გვხვდა წილად! ჩავგანერინეთო, – შევემუდარეთ ქალბატონ თამარს.“

ჩანერას დიდი დრო დასჭირდება, ამაღამ რალა მოესწრება, დღეის სწორს მობრძანდით და ჩაგანერინებთო, – მოგვიგო. დათქმულ დღეს, დათქმულ საათზე რომ ვეახელით, ქალბატონმა თამარმა ამგვარი რამ ბრძანა: ვერ ჩაგანერინებთ, სულ დამავინყდაო ტექსტი. დიახ, ის ტექსტი, ოც წელიწადს ზეპირად რომ ახსოვდა, ერთ კვირაში დავინყებოდა უკვე! გავიდა ათიოდე წელი. მე გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციაში ვმუშაობდი. გაზეთის რედაქტორს ვუყვარდი, მონდობილი იყო ჩემზე. ერთ საღამოს, საღამოს კი არა, კარგა გვიან ღამით, წვეულებიდან ვბრუნდებოდით. რაც მაშინ მითხრა, იმის თქმას ფხიზელი ვერ გაბედავდა, რასაკვირველია, თუმცა კი ჯულაშვილი უკვე აღარ იყო ამ ქვეყნად: ოცდაოთხი წლის აჯანყება რომ მოხდა, მთავლიტში ვმუშაობდიო, – მიაბო. – მაშინ გალაკტიონმა რალაც პოემა დაწერა და „მნათობში“ დაბეჭდა. მაგრამ, სანამ ტირაჟი გავრცელდებოდა, მიუხვდნენ, რაზეც იყო პოემა დაწერილი და მთელი ტირაჟი მოსპეს. ოღონდ ერთი სამთავლიტო ეგზემპლარი მე შემომრჩა და ეხლაც შენახული მაქვსო. ისე, იმ პოემისთვის გალაკტიონი რამდენიმე თვეს ციხეში იჯდაო. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა ამის გამგონეს! მაჩვენეთ-მეთქი ის ჟურნალი, – იმასაც შევემუდარე. აუცილებლადო, – მითხრა, – ხვალვე წამოვიძვანებ სამსახურშიო. მაგრამ ვერც ხვალვე და ვერც შემდგომში იმ ჟურნალის ნახვას ვერ ვეღირსე. რომ გამოფხიზლდა, სხვაგვარი სიტყვა ბრძანა: ვეძებე და ვერსად მივაგენი, ეტყობა დამკარგვიაო. იმასაც ეშინოდა, რასაკვირველია. ვერც გავამტყუნე ამგზობაზეც განბილებულმა...

კარგა ხნის შემდეგ ამ ორი სხვადასხვა პირის მიერ მოთხრობილი აბსოლუტურად იდენტური ამბავი ერთმა სახელოვანმა მწერალმა დამიდასტურა: ოცდაოთხის აჯანყებაზე გალაკტიონმა რალაც ანტისაბჭოთა პოემა დაწერა („მნათობის“ ამბავი არ უხსენებია). დაიჭირეს და რამდენიმე თვეს ციხეში იყო. არ ვიცი, რა დამართეს ისეთი, რომ იქიდან სხვა კაცად გამოვიდა: თავისი საამო მკერდისმიერი ბოხი ხმის ნაცვლად განვრილებულ ხმაზე ალაპარაკდა, თითქოს მასხარად გვაჩვენებდა თავს, სერიოზულ საუბარში არასგზით არ ჩამოგყვებოდა, ლოთობითაც ამის მერე გალოთდა, მანამდე ღვინოს არ ეტანებოდაო. სხვათა შორის, ერთხელ რალაცაზე გაცეცხლებულმა გალაკტიონმა იმ თავისი განზრახ განვრილებული ხმის ნაცვლად კვლავ ძველებური, მკერდისმიერი ბოხი ხმით შემომიტირა და ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, უცბად კიდეც შევშინდიო...<sup>26</sup>

„ერთხელ, 1924 წლის ცნობილი გამოსვლების დროს, ოლიას ვილაც ქალმა დაურეკა და აცნობა, გალაკტიონი დააკავესო. ოლია მაშინვე გაემართა შინსახკომის უფროსთან, კოტე ცინცაძესთან... მიშველე, გალაკტიონი გყოლიათ დაპატიმრებულიო!.. ცინცაძეს უთქვამს: წადი, ნუ გეშინია, ნახევარ საათში შინ მოვაო. არა, დაველოდებო!.. შენ როგრც გენებოს... ნახევარ საათში გამოვუშვებო! წამოსულა ოლია და მართლაც, მალე გალაკტიონიც დაბრუნებულა. ისეთი გაფითრებული და შეშინებული იყო, რომ მთელი კვირა, ხეირიანად, არც უსვამს და არც უჭამია, რაც იქ ენახა, ენა ჰქონდა ჩავარდნილიო.“<sup>27</sup>

**საქტომბერი.** „კავკასიონი“. 1. რა არის სარედაქციო კოლეგია... 2. რა აზრით ირჩევდა სარედაქციო კოლეგიას მწერალთა კავშირის საბჭო. 3. როგორ გაიგეს სიტყვა „თავმჯდომარე“... 4. სეპარატიული მუშაობა თავმჯდომარისა და სრული გვერდის ახვევა კოლეგიალური მუშაობისადმი. 5. პარალელი კოლეგიალურსა და სეპარატიულ მუშაობას შორის. 6. შედეგები ასეთი მუშაობისა ეხლავე შეიძლება დასახელდეს: 1. ჟურნალს სრულიადაც არ ექნება სახე მწერალთა კავშირის, არამედ იგი იქნება მხოლოდ ინგოროყვას ჟურნალი. 2. ჟურნალი დაპირებისამებრ ვერ გამოვიდა აღნიშნულ ვადას – 15 იანვარს. 3. პირველადვე, დასაწყისშივე 1-2 ნომრის ერთად გამოცემა უკვე დამარცხებას უდრის. 4. საზოგადოებაში უკვე ინტერესს აღარ იწვევს ეს ჟურნალი, რადგან აშკარად სჩანს ყველასთვის, როგორ არანორმალურ პირობებშია კოლეგიალური მუშაობის მხრით მისი საქმე. 7. ჩემი როლი ამ მუშაობაში, როგორაცა სჩანს, მხოლოდ ლექსით უნდა გამოხატულიყო; მე კი ასე არ მსურდა. რადგან კოლეგიის წევრი ვიყავი – მე მინდოდა ერთნაირად მემუშავნა ჟურნალის შინაგანსა და გარეგნულ სახეებზე. როდესაც პასუხისმგებლობა მეკისრება რამეზე, მე ავიღებ და პასუხისმგებლობას პირნათლად შევასრულებ. როდესაც ამის საშუალებას ამხანაგი არ მომცემს, მეც ჩამოვშორდები მას. ეხლა ძალიანაც რომ შემეხვეწოს, მე სრულიადაც არ მინდა ამ ნაირად მუშაობა. მე გამოვდივარ სარედაქციო კოლეგიიდან...<sup>28</sup>

**5 ოქტომბერი.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გალაქტიონ ტაბიძის ახალი პოემა „ჯონ რიდი“.<sup>29</sup>

**8 ოქტომბერი.** გალაქტიონის „ეს ლექსი“ დათარიღებულია 8 ოქტომბრით (1924 წ.).<sup>30</sup> პირველად ის ჟურნ. „მნათობში“ გამოქვეყნდა სათაურით: „1917“.

**[9 ოქტომბერი].** „ დღეს დეპეშებმა ამბავი მოიტანეს მისი [ვალერი ბრიუსოვის] გარდაცვალებისა. პირველი შთაბეჭდილება: ვზივარ „მნათობის“ რედაქციაში, ვხედავ გაშლილ გაზეთს: ვალერი ბრიუსოვი – შავი არშიებით... ეს იყო მეტისმეტად მოულოდნელი ამბავი: წინათგრძნობათა წინანდელი დენით მე იგი სიკვდილისთვის ჯერ ისევ მიუდგომელი ციხე- სიმაგრე მეგონა და უცებ... განა დიდი ხანია მას მერე, რაც ცხრაას ჩვიდმეტი წლის კორიანტელში სამუდამადად დაიმარხა რიგი გამოჩენილი პოეტებისა?... ნანგრევებმა მოიყოლიეს ქვეშ რომანტიკული სული ომის წინა და შემდეგ აქტივობის მქონე პოეზიისა. გადარჩა ძლიერ ცოტა და ერთი მათგანი იყო ვალერი ბრიუსოვი.“<sup>31</sup>

**9 ოქტომბერის შემდეგ.** გალაქტიონის ლექსის „შავი სვეტების“ ერთი ავტოგრაფის სათაური („ვალერი ბრიუსოვის ხსოვნას“ გვაძლევს საფუძველს, ლექსი დავათარილოთ ვ. ბრიუსოვის გარდაცვალების წლით (1924 წლის 9 ოქტომბრით) 1924 წ. ოქტომბერი“.<sup>32</sup>

„გალაქტიონის ლექსის „უკანასკნელი დეპეშას“ ავტოგრაფის სათაური გვაძლევს საფუძველს ლექსი დავათარილოთ – 1924 წლის 9 ოქტომბრის შემდეგ და უარვეყოთ ავტორისეული თარიღი 1917 წ.“<sup>33</sup>

**7 ნოემბერი.** „დაიბეჭდა და გამოვიდა „მნათობი“ № 6. ჟურნალი მინერო-ლია ოქტომბრის რევოლუციისადმი. შინაარსი: „მხატვრული ლიტერატურა... გალაკტიონ ტაბიძე – 1917...“<sup>34</sup>

**[7 ნოემბერი].** ჟურნალი „მნათობი“<sup>35</sup> ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს „1917“, რომელიც დათარიღებულია 8 ოქტომბრით. მოგვიანებით ამ ნაწარმოებს ავტორმა „ეს ლექსი“ უწოდა.

ჟურნალის ამავე ნომერში რედაქციის განცხადებაა: „მნათობში თანამშრომლობენ: აბულაძე იუსტინე, ამაღლობელი სერგი, ახმეტელი ალ., ბახტაძე ვალ., ბელიაშვილი ა., გამრეკელი ირ., გამსახურდია კონ. ...რობაქიძე გრ., სამსონაძე პ., ტაბიძე ვალ., ტაბიძე ტ...“

**7 დეკემბერი.** „მნათობი № 6“ ... ქართული პოეზიის განყოფილებას ხსნის ვალ. ტაბიძის „1917“. ეს არის გახსენება იმ წუთების, როდესაც რუსეთის პროლეტარიატის ცნობიერებაში საბედისწერო ინტუიცია იშვა: „სხვა არ არსებობს ველი შველისა;/ გარდა სასტიკი ბრძოლის ველისა.“ ამაში იყო „ოქტომბრის“ ავტორების გენიალური მიხვედრა. ლექსი სუსტია შედარებით ცხრაას ჩვიდმეტ წელთან.“<sup>36</sup>

**25 დეკემბერი.** გალაკტიონის ლექსი „ჩვენ პოეტები საქართველოსი“ დათარიღებულია 25 დეკემბრით.<sup>37</sup>

**[31 დეკემბერი].** „ეს ლექსი [“რომელი საათია?” – მ.შ.] 1914 წელს არ არის შექმნილი, როგორც პოეტის თხზულებათა [ძველ] აკადემიურ გამოცემაშია მითითებული. იგი ოციან წლებში დაინერა. ამის დასამტკიცებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება... ჩანანერს, რომელიც ლექსის თავდაპირველ პროზაულ ჩანასახად მიგვაჩნია. იგი ფიქსირებულია ფურცლის ერთ ნახევარზე, მეორეზე პოეტის საახალწლო ფიქრებია გადმოცემული... დათარიღებულია 1924 წლის 31 დეკემბრით... თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩანანერი წინ უსწრებს ლექსს, მაშინ შეიძლება ითქვას: „რომელი საათია?“ დაწერილი უნდა იყოს 1924 წლის 31 დეკემბერს ან 1925 წლის პირველ დღეებში. ლექსის განწყობილება და პოეტური არტისტიზმიც 20-იანი წლების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ეს ბრწყინვალე ლექსი რომ 1914 წელს ყოფილიყო შეთხზული, ძნელი დასაჯერებელია, გალაკტიონს იგი 1919 წელს გამოცემულ „არტისტულ ყვავილებში“ არ შეეტანა...“<sup>38</sup>

**1924.** 1924 წელს დაარსდა ქართული საბჭოთა ჟურნალი „მნათობი“, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მუდმივი თანამშრომელი იყო ვალ. ტაბიძე... „მნათობში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ასობით ლექსი...<sup>39</sup>

„1924 წელს პოეტი მიეკედლა იმ ლიტერატურულ დაჯგუფებას, რომელიც „აკადემიური ჯგუფის“ სახელითაა ცნობილი 20-იანი წლების ქართულ მწერლო-

ბაში. გალაკტიონ ტაბიძე წერს: „ჩემი როლი ამ მუშაობაში, როგორც ჩანს, მხოლოდ ლექსით უნდა გამოხატულიყო, მე კი ასე არ მსურდა, რადგან კოლეგიის (ჟურნალი „კავკასიონი“ – ი. ლ.) წევრი ვიყავი. მე მინდოდა ერთნაირად მემუშავნა ჟურნალის შინაგან და გარეგნულ სახეზე. როდესაც პასუხისმგებლობა მეკისრება, მე ავიღებ და პასუხისმგებლობას პირნათლად შევასრულებ. როდესაც ამის საშუალებას ამხანაგი არ მომცემს, მეც ჩამოვშორდები. არ მომწონდა თავმჯდომარისეული (პავლე ინგოროყვა – ი. ლ.) სახელწოდება – „სულ ვართ ორი მილიონი“... ვერ შევეწყვეთ და მეც ჩამოვშორდი.“<sup>40</sup>

**[1924].** 1916 წლით დათარიღებულ ლექსს: „უკანასკნელი თანამგზავრი“, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცული ავტოგრაფის მიხედვით აღუდგინეს თარიღი [1924] წელი.<sup>41</sup>

1918 წელს შექმნილი უსათაურო ლექსის „ჯერ კიდევ გუშინ შენ თავს იღევ“ (თარგმანი ვ. ბრიუსოვის ლექსისა „ამხანაგ ინტელიგენტებს“) ვარიანტად მიჩნეული ლექსი: „რკინის ანგელოზი“, გალაკტიონის საარქივო გამოცემაში დამოუკიდებელ ნაწარმოებად გამოქვეყნდა და [1924] წლით დათარიღდა.<sup>42</sup>

უსათაურო „...მოწმეა რბევის“ (ძვ. თარიღი 1937 წ.) [1924] წლით დათარიღდა.<sup>43</sup>

ლექსი: „ოქტომბრის გამარჯვებისთვის“ (ძვ. თარიღი 1924) [1930-1931] წლებით დათარიღდა.<sup>44</sup>

**1924-25** „...მხატვრულ პროზას „მნათობ“-ში ჩამორჩა პოეზია... ქართველ პოეტებიდან მონაწილეობენ: გალ. ტაბიძე, ვალ. გაფრინდაშვილი, კოლ. ნადირაძე და სხვ... „ჯონ რიდი“ გალექსილი ბიოგრაფიის მასალას წარმოადგენს. მგონია, რომ ჯონ რიდის წიგნი თვით უფრო მეტ მასალას იძლევა ავტობიოგრაფისათვის, ვიდრე გაჭიანურებული „ჯონ რიდი“. სხვა ლექსებში არ არის არც ერთი პოეტური ხაზი, თქმა. საკვირველია, ეს გადაშენების პოეტები საიდან ჩაცვინდნენ „მნათობ“-ში? ისინი კრიტიკას ვერ უძლებენ...“<sup>45</sup>

[18 იანვარი]. გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ 1924 წლის № 7-8,<sup>1</sup> სადაც დაიბეჭდა გალაკტიონის „ჩვენ პოეტები საქართველოსი“. ლექსის ავტორისეული თარიღია: „1924. 25 დეკემბერი“.

**24 თებერვალი.** საქართველოს გასაბჭოების 4 წლის აღსანიშნავად, დღეს ნითელ თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო შემდეგი შინაარსით... 2) ლიტერატურული განყოფილება პროლეტარული მწერლების – ნ. ზომლეთელის, გ. ქუჩიშვილის, გ. ტაბიძის, ი. ვაკელის, გ. ხეჩუაშვილის, ნავთლუღელის და შინატყეხელის მონაწილეობით.<sup>2</sup>

**8 მარტი.** ამ დღეებში გამოვა „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მე-10 ნომერი. პროგრამა: 1) ხელოვნება და საზოგადოებრიობა, 2) ლიტერატურა, 3) მხატვრობა, ქანდაკება, 4) მუსიკა, 5) კინო და სხვ.<sup>3</sup>

[20 მარტი]. ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „ეს არის გუგუნი მთელი ეპოხის“. 1935 წლიდან ამ ლექსს მიეცა ახალი სათაური: „ლენინი“.<sup>4</sup>

[20 მარტი]. „გალაქტიონ ტაბიძე, რომლის ლიტერატურულ პოპულიარობას 15 წლის ისტორია აქვს, ჩვეულებრივ გაგებულა როგორც სევდის რომანტიკოსი. ძიება მიუწვდომელი; უსაზღვრო სივრცეები, შორეული ნაპირები, ცის სილაჟვარდე, უძილო ღამეები, ეს იყო ჩვეულებრივი ფონი მისი შემოქმედების. გალაკტიონ ტაბიძის გავლენაში მოექცა არა ერთი ქართველი მწერალი. ერთ დროს იგი „ცისფერი ყანები“-ს მთავარ ციტადელს წარმოადგენდა. მის უშუალო გავლენაში აღიზარდა მთელი რიგი ახალგაზრდა „მწუხარე“ პოეტების, რომელთაც პოეზია ნევრასტენიულ წუნუნამდე დაიყვანეს. 1924 წელს გ. ტაბიძისათვის აღმოჩნდა ახალი ტემა: – რევოლიუცია. გასულ წელს მან გაარღვია ძველი მისი შემოქმედებით შემორკალული წრე... აღსანიშნავია, რომ ამ პოემებსა და ლექსებშია გრძნობა რევოლუციის მხოლოდ გარეგანი პათოსი; რევოლიუცია როგორც ნგრევეთი დინამიკა. აქ არ სჩანს მეორე... სახე ამ იანუსის, რაც მთავარია და არსებითი – რევოლიუციის იმანენტური აზრი და იდეა. ამიტომ, რომ რევოლუციას ანალოგიათ ყოველთვის აღებული აქვს ქარი, ამღვრევა, სისხლი. ასევეა გაგებული რევოლიუცია ალ. ბლოკის „თორმეტ“-შიაც. მისთვის რევოლიუცია უმთავრესად, ათვისების ობიექტია და იგიც იძლევა მის აღწერილობით ქრონიკას. შეასრულებს თუ არა გალაქტიონი რევოლუციის მე-2 მხარეს, მისი შინაარსის, მისი იდეის და ამ იდეის განხორციელების მოცემას? პასუხი ძნელია, თუმცა მისი ლექსი – პოემა „აღმოსავლეთი“ ამის შესაძლებლობას აადვილებს... ჩვენი სურვილი კი იქნებოდა, რომ ეს ასე მომხდარიყო, ქართული ლიტერატურა და თვით ტაბიძეც ამით ბევრს მოიგებდა. ლექსი „ჩვენ პოეტები საქართველოსი“ შესრულებულია მეტი სიფრთხილით და სიყვარულით...“<sup>5</sup>

**[20 მარტი].** „ჯონ რიდი“ (ანუ „ორი პოეტი რევოლუციის ცეცხლში“, დავუმატებდი მე; ეს ორი პოეტი ჯონ რიდი და გალაქტიონ ტაბიძე არიან). ... ეს პოემა არის მოგონება III ინტერნაციონალის კეთილშობილ დელეგატზე, მოგონება, რომლის ფონზე გადაშლილია რევოლუციის ცეცხლში მყოფ რუსეთის სამოქალაქო ომის სურათები... გალაქტიონ ტაბიძე პირადად ლებულობდა მონაწილეობას რუსეთის რევოლუციაში. ამ მხრივ ეს პოემა უნდა პოეტის დღიურად ჩაითვალოს. ეს არის... ფანტასტიური დღიური პოეტის, რომელმაც რევოლუცია სავსებით მიიღო, მაგრამ თავისი ლირიული სულის პრიზმით ასახა იგი... მხოლოდ გალაქტიონ ტაბიძეს შეეძლო პირადი და მასების განცდები და ნგრევის სურათები ფანტასტიკის რკალში მოემწყვდია, მაგრამ იმავე დროს მხატვრულ რეალიზმს არ ასცილებოდა... აპოთეოზად ჩვენ ვხედავთ „შებინდებულ მირაჟს მნუხარებისას“. იმ კეთილშობილი პიროვნების აჩრდილს, რომელმაც ასე შეიყვარა სოციალისტური რუსეთი და თავისი სიცოცხლე შესწირა მას. პოემაში მრავალი შესანიშნავი ადგილია... შეუძლებელია ყველა საინტერესო ადგილების გადმობეჭდვა. „ჯონ რიდი“ ძვირფასია, როგორც მოგონება, როგორც რევოლუციის დღიური და აღსანიშნავია როგორც პოეტური ნაწარმოები, რომელიც არა ერთხელ მოხიბლავს და ჩააფიქრებს ადამიანს.<sup>6</sup>

„მნათობის“ ამავე ნომერში (№ 1) დასტამბულია რედაქციის განცხადება: „1924 წელს გამოვიდა ჟურნალ „მნათობი“-ს რვა ნომერი შვიდ წიგნათ. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი ავტორების ღირშესანიშნავი მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოები: პოეზია: გალაქტიონ ტაბიძე. ლექსები: ქარი, აღმოსავლეთი, ჯონ რიდი, ჩვენ პოეტები საქართველოსი და სხვ...“<sup>7</sup>

**25 აპრილი.** „გაუმარჯოს გალაქტიონს! როგორ ხარ? შე მეტყუელია, შენა! ვიცი, ეხლა რომ მანდ ვიყო, ჩვეულებრივი მიმიკით მეტყვი: ეხლა უნდა წამოვსულიყავი! ა! ეხლა ვაპირებდი გამოგ ზავრებასო... ჩვენ გვარიანადა ვართ. დედას დრომ და ხანმა თავისი დალი დაამჩნია. თუმცა გულს არ იტებს... არ იქნა და არა, ვერ მოვახერხე სახლის ყიდვა და ვერც გადაკეთება... ხანდისხან გავიფიქრებ... წავალ ქალაქში, სადაც გაცილებით კარგათ ვიცხოვრებ – თქო. მაგრამ გული ვერ შორდება იმ გარემოს, სადაც აღვიზარდეთ, სადაც ესოდენი რამ განვიცადეთ. სულ უბრალო რამ... ოთახზე ბავშვური ხელით ამოყვანილი: „ეს ვოთახი ეკუთვნის გალაქტიონს“ და ვერ წარმოიდგენ, როგორ მოქმედებს ეს ჩემზე... „Лишняя сентиментальность“ წამოიძახებს პროზაიკი. მაგრამ ჩვენ კი ვერასოდეს ვერ ვიტყვით ასე, რადგან, არ ვიცი რა მიზეზით (აღზრდა თუ მემკვიდრეობა), მეტად მგრძნობიარენი ვართ... „მნათობის“ უკანასკნელ ნომერში შენი არაფერია მოთავსებული. ხომ არ დაგინებებია თავი თანამშრომლობისთვის თუ დაგანებებინეს? როგორ არის საქმე? გაზეთებში წავიკითხე, საკუთარი ჟურნალის გამოცემის შესახებ... მოკითხვა ოლიას. უთხარი ჩემ მაგივრათ: თვალ-ყური გქონდეს, რომ გალაქტიონმა მოცემული პირობა (ღვინის გადაკვრის) არ დაარღვიოს – თქო... აბესალომი.“<sup>8</sup>



**16 მაისი.** „გაცნობებთ, რომ დაარსდა „ქართველ ხელოვანთა კოლექტივი“. ამასთანავე გიდგენთ კოლექტივის წევრთა სიას. კოლექტივის მინდობილობით გალაკტიონ ტაბიძე, 1925 წლის 16 მაისი. კოლექტივის შემადგენლობა: 1. შიო მღვიმელი (პოეტი). 2. გიორგი ქუჩიშვილი (პოეტი). 3. ნარ-კანი (ნ. კურდღელაშვილი, მწერალი). 4. კოტე ქავთარაძე (მხატვარი). 5. პოლიო ირეთელი (დრამატურგი). 6. ივ. იოსელიანი (ბელეტრისტი). 7. გალაკტიონ ტაბიძე (პოეტი). 8. გიორგი სვანიძე (კომპოზიტორი). 9. დავით ჩარკვიანი (მსახიობი და რეჟისორი). 10. ლავროს ძიძიგური (პოეტი). 11. შალვა დადიანი (დრამატურგ-რეჟისორი).“<sup>9</sup>

**16 მაისი.** „ორშაბათს, 18 მაისს, პროლემაფის ინიციატივით მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართება დისპუტი პროლეტარული ლიტერატურის შესახებ... მონაწილეობას მიიღებენ: ს. აბაშელი, ს. ამალლობელი, ვ. ბახტაძე, ბ. ბუაჩიძე, კ. გამსახურდია... გ. ტაბიძე, ჯავახიშვილი-ადამაშვილი...“<sup>10</sup>

**[ივნისი].** „ჟურნალ „მნათობში“ ამას წინად დაბეჭდილი იყო გ. ტ. პომეა, სადაც ავტორი მხატვრულ ფორმის სახით, გვანჯდის მეტად ვულგარულ რეაქციონურ სახეებს. ეს ლექსი აშკარად მომართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთი გზა არაფრად არ ვარგა. მწერლობა ამას უნდა ერიდოს...“<sup>11</sup>

ლიდია მეგრელიძე თავის მოგონებებში წერს: „პოეტს საკუთარი განცდები ჰქონდა და ოლიამ ვერ გაუწია ამას ანგარიში. მას დიდი მოღვაწე უნდოდა შეექმნა პოეტში, გალაკტიონის გულში კი სულ სხვა ხმა მღეროდა: „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაყვარდე...“ მე კი ვუხატავდი სხვა გზას...“ დიდი შემოქმედის აზროვნება უნდა მიუძღოდეს მებრძოლ ხალხს წინ, მომავალი ადამიანების ბედნიერი ყოფისათვის...“ „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა...“ მე ვუმტკიცებდი: ასეთი ლექსები ვერ გახდება თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის წინამძღოლი... როგორც იქნა „მეფე პოეტი“ შედგა მებრძოლი პოეტის მაღალ საფეხურზე. ამას ხელი შეუწყო ჟურნალ „მნათობის“ დაარსებამ, მაგრამ „მნათობის „ მეხუთე ნომერში დაბეჭდილ პომეაში („მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ – მ.შ.) მაინც აღმოჩნდა ჯერ კიდევ გაუმტკიცებელი მრწამსი დიდი პოეტისა, რისთვისაც გალაკტიონი დააპატიმრეს ერთი დღე-ღამით, „მნათობის“ ნომერს კი კონფისკაცია გაუკეთეს. ოლიამ იმდენი მოახერხა, რომ მეორე საღამოს გალაკტიონი გაანთავისუფლეს ერთი დღე-ღამის პატიმრობიდან.“<sup>12</sup>

**აგვისტო.** „ჟურნალ „მნათობის თანამშრომელს გალ. ტაბიძეს მიუღებელი აქვს აგვისტოს თვის 1925 წ. ჯამაგირი, რაოდენობით 70 მანეთი. გთხოვთ მისცეთ.“<sup>13</sup>

**4 სექტემბერი.** გალაკტიონის ლექსის „ტფილისს ძინავს მძიმე ძილით“ თარიღია: „1925 წ. 4 სექტემბერი, ტფილისი, ხელოვნების სასახლე“. <sup>14</sup>

**9 სექტემბერი.** გალაკტიონის ლექსი: „ტფილისი ღამით“ დათარიღებულია: 9 სექტემბრით, „1925 წ. ღამე. ტფილისი. ჩემი ბინა – ხელოვნების სასახლე“. <sup>15</sup>

**[10 ნოემბერი].** ყურნალ „მნათობის“ მეათე <sup>16</sup> ნომერში დაიბეჭდა გალაკტიონის „100 ლექსი“ (ფაქტობრივად 98). ესენია:

1. „პროლოგი“ (გვ. 97). შემდეგ იბეჭდებოდა სათაურით: „პროლოგი 100 ლექსის“.

2. „სად იყო სმენა და გაგონება?“ (გვ. 97).

3. „ბავშვები“ (გვ. 97). შემდეგ მას „ბავშვები კაფეში“ დაერქვა.

4. „და წამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი“ (გვ. 98). მოგვიანებით ავტორმა მას სათაური შეუცვალა: „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა“.

5. „დაბრუნდა გრძნობა და სისადავე“ (გვ. 98).

6. „ქაოსიდან გზებზე გავედით“ (გვ. 98). შემდეგ ამ ლექსს „გზებზე გავედით“ დაერქვა.

7. „თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი“ (გვ. 98).

8. „ბრძოლა ღმერთთან“ (გვ. 98).

9. „აღვის ხის გადარჩენა“ (გვ. 99).

10. „შინდისის ჭადრებს“ (გვ. 99).

11. „ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები“ (გვ. 99).

12. „იარე, კაცი შენ აღარ გქვია“ (გვ. 99).

13. „სამი ღრუბელი“ (გვ. 99).

14. „ყანები“ (გვ. 100).

15. „მე ერთად ერთი მქონდა ნუხილი“ (გვ. 100). ნაწყვეტი ლექსისა შედის „იგი ომის“ შემადგენლობაში. <sup>17</sup>

16. „შემოდგომა“ (გვ. 100).

17. „გაჰქრენ ზაფხულის დღენი“ (გვ. 100).

18. „ხალხური მოტივებიდან“ (გვ. 101).

19. „გახედე: კახეთი!“ (გვ. 101).

20. „ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების“ (გვ. 101).

21. „არ ღირს იმ ერთ ცრემლად“ (გვ. 101).

22. „ეგვიპტეს სასაფლაონი“ (გვ. 102). მოგვიანებით ამ ლექსს „სასაფლაონი“ დაერქვა.

23. „ცხრაას ჩვიდმეტი“ (გვ. 102). შემდეგ ამ ლექსს ავტორმა

„ურიცხვ დროშებში“ დაარქვა.

24. „სანატორია“ (გვ. 102), პოეტმა ეს ლექსი შემდეგ პოემა „იგი ომიას“ ტექსტში ჩართო. <sup>18</sup>

25. „მთელი საუკუნე მიდის“ (გვ. 102), ეს ლექსიც ჩართულია პოემა „იგი ომიას“ ტექსტში. <sup>19</sup>

26. „რა ღრიანცელში ვიდოდა გემი“ (გვ. 103).

27. „წერილი მისადმი“ (გვ. 103).

28. „მაისმა ისევ მოიტანა ლაჟვარდი ზღვები“ (გვ. 103).

29. „წყნარი ზღვა“ (გვ. 103).
30. „მეგობარს“ (გვ. 103).
31. „კაცი, რომელმაც გაბედა“ (გვ. 104).
32. „როდესაც მთვარე ანათებს დღისით“ (გვ. 104).
33. „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიოს ლეღვებს“ (გვ. 104).
34. „ლამე ხეობაში“ (გვ. 104).
35. „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“ (გვ. 104).
36. „ავადმყოფს“ (გვ. 104).
37. „თუ ბრძოლა არ არის“ (გვ. 105).
38. „მატარებელში“ (გვ. 105).<sup>20</sup>
39. „ადრიანი გაზაფხული“ (გვ. 105).
40. „ბინდი ლამისა გაჰქრა“ (გვ. 105).
41. „ვარ გენია რიმანელი“ (გვ. 105).
42. „რა დროს რომანსეროა?“ (გვ. 106).
43. „პირიმზეს“ (გვ. 106).
44. „მაინც დავიმსახურე“ (გვ. 106).
45. „ნარწერა წიგნზე“ (გვ. 106).
46. „გააფრებული რომ იყოს ლომი“ (გვ. 107), მოგვიანებით სიტყვა „ლომი“, „ვეფხვით“ შეიცვალა. ეს ლექსი სხვა სათაურითაც დაიბეჭდა.<sup>21</sup>
47. „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ (გვ. 107).
48. „მე არა ერთხელ მქონია ფრთები“ (გვ. 107).
49. „იქ პოეტების ფრიალებს დროშა“ (გვ. 107), შემდეგ სიტყვა „პოეტების“, „პოეზიით“ შეიცვალა („იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“).
50. „რაც იქნეს-იქნეს“ (გვ. 107).
51. „ერთი გავარდნილი კაცი“ (გვ. 108).
52. „დადგა აგვისტო“ (გვ. 108).
53. „ფანტასტიური იმპერატორი“ (გვ. 108).
54. „რუს პოეტს“ (გვ. 108).
55. „ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა“ (გვ. 108).
56. „ვისმენ დანატრულ ხმას“ (გვ. 109).
57. „არ დაღუპულა“ (გვ. 109).
58. „ნარწერები“ (გვ. 109).
59. „შემოდგომის მოტივებიდან“ (გვ. 109).
60. „ნამი ნამს ეზიდება“ (გვ. 110).
61. „ქალაე!“ (გვ. 110).
62. „გზად ეშურება მგზავრი“ (გვ. 110).
63. „შუადღის გულმოდგინება“ (გვ. 110).
64. „მოგონება ჩვენი ჭალისა“ (გვ. 110).
65. „ძველი ხელები წყდება კალიპსოს“ (გვ. 111).
66. „მოგონება ყრუ შესახვევის“ (გვ. 111).
67. „მშვიდობიანი სიმღერა დების“ (გვ. 111).



ქანი მწიკ, ქანი მწიკ, ქანი მწიკ  
ფორთუხით მიწინა ქანაქან.  
სკა ზიკ, სკა ზიკ სკა ზიკ  
სკა სკა, სკა სკა, სკა სკა.  
მე ვ სკა სკა სკა  
ყ-ყ-ყ-ყ, ყ-ყ-ყ-ყ ყ-ყ-ყ-ყ,  
მე ვ სკა სკა სკა...  
ქანი მწიკ, ქანი მწიკ, ქანი მწიკ.

1925.

ქანი მწიკ



ო, ეახსება, ო, ეახსება  
ო, ეახსება ამ სოფელში  
ჩემი ჩემი ჩემი  
ქანი მწიკ სკა სკა სკა.  
ქანი მწიკ სკა სკა სკა.  
ქანი მწიკ სკა სკა სკა.

- 68. „იქით ნუში, აქეთ ნუში“ (გვ. 111).
- 69. „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“ (გვ. 111).
- 70. „საღამო სოფლად“ (გვ. 112).
- 71. „დროის უარმყოფელი“ (გვ. 112).
- 72. „აფიშა, როგორ...“ (გვ. 112).<sup>22</sup>
- 73. „ო, გადავეშვით უფიქრებლად“ (გვ. 113).
- 74. „მივდიოდით ალაზნის ველად“ (გვ. 113).
- 75. „ყვავილების ქალი“ (გვ. 113).
- 76. „ლოცვაზე უფრო“ (გვ. 113).
- 77. „სიხარული ბრძოლაში“ (გვ. 114).
- 78. „ტფილისს სძინავს მძიმე ძილით“ (გვ. 114).
- 79. „შენ, ამხანაგო, დღიურ პროზიდან“ (გვ. 114), შემდეგ ეს ლექსი იბეჭდე-  
ბოდა სათაურით: „დღიურ პროზიდან“.
- 80. „ილიმებიან სახლები“ (გვ. 114).
- 81. „ცეცხლი“ (გვ. 114), ეს ლექსი პოეტმა შეიტანა პოემაში: „იგი ომია“.<sup>23</sup>
- 82. „უბინაო ბავშვები“ (გვ. 115).
- 83. „ეჯახებიან პლანეტები ერთი მეორეს“ (გვ. 115).
- 84. „სულ ადვილია რწმენა“ (გვ. 115).
- 85. „მხოლოდ ბრძოლების სურვილით სავსეს“ (გვ. 115).

86. „ორად გაიპო წითელი კლდე“ (გვ. 116).
87. „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“ (გვ. 116).
88. „გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ“ (გვ. 116).
89. „შემოდგომის ყვავილები“ (გვ. 117).
90. „ბალახები“ (გვ. 117).
91. „მთვარე ჭაში“ (გვ. 117).
92. „მუხები“ (გვ. 117).
93. „ქაჯები, ალები, ჭინკები და სხვ.“ (გვ. 117) შემდეგ სათაურს ჩამოშორდა „და სხვ.“<sup>24</sup>
94. „ცხოვრება ჩემი“ (გვ. 118).
95. „აუჩქარა ცხენმა გზაში“ (გვ. 118).
96. „ზამთრის მოტივებიდან“ (გვ. 118).
97. „წინამურში რომ მოკლეს ილია“ (გვ. 118).<sup>25</sup>
98. „აგერა! აჰანდე! დასასრული!“ (გვ. 119), მოგვიანებით ეს ნაწარმოები იბეჭდებოდა სათაურით: „აგერა! აჰანდე!“

ჟურნ. „მნათობში“ გამოქვეყნებული „ასი ლექსის“ შესახებ არსებობს პოეტის შემდეგი ჩანაწერი: „- ასი ლექსი? – წამოიძახა მოსემ (გოგიბერიძე)! – ბრავო! რამ დაგანერინა, შე კაცო, ასი ლექსი... ძვირფასი ამბავია. მაგრამ ასი ლექსი... ამას ხომ ჟურნალის ასი გვერდი მოუნდება. აჰა, ... არა, შენ ამბობ, რომ მხოლოდ თორმეტი გვერდი იქნებაო... ძალიან კარგი... რანაირად მოახაზირე ახლა შენ მაი... ა?/ – მოვახერხე სულ უბრალოდ: ოთხოთხი სტრიქონი ერთ სტრიქონად გადავაქციე – მერე რეიზა ჰქენი მაი საქმე? დარჩენილიყო ოთხ-ოთხ სტრიქონად... მე შენს ადგილზე ასე მოვიქცეოდი; ნელა-ნელა ვბეჭდავდი თითო ლექსს თითო თითო ნომერში, ესეც შენი ასი ნომერი „მნათობის“. ეხლა კი ასი ლექსია და ჰონორარს კი მიიღებ ერთი ლექსისა... რეიზა შობი მაგ საქმეს, ა?/ – იმისათვის, ჩემო მოსე, რომ ჩემთვის უმჯობესია ლექსები დაიბეჭდოს ეხლავე, თორემ სულ ერთია დამეკარგება, ან გადამავინწყდება. მერეც ისა, რომ ლექსების ჰონორარით არავის უცხოვრია ჩვენში და მე როგორ შევძლებ, რომ ვიცხოვრო? დეე, ასი ლექსი ერთ ლექსად ჩაითვალოს. არაფერია, გავძლებთ. მესამე კიდეც... – დაიცა, დაიცა. რას ამბობ ვერ გავიგე, ეს როგორაა რომ სხვები თითო ლექსს ათ-ათჯერ ბეჭდავენ, ერთი ლექსი ათ ლექსად გამოჰყავთ. შენ კი ასი ლექსი გინდა ერთ ლექსად ჩაგითვალონ. კარგი შენი ნებაა... მესამე კიდეც რაო?... – მესამე კიდეც ისა, ჩემო მოსე, რომ კიდეც ბევრი ასი მაქვს დასაბეჭდი და თუ თითო-თითოდ ვბეჭდე, ძან ადრე კი მოვრჩები საქმეს – აი? – ორიგინალური კია, – სთქვა მოსემ, – ასი ლექსი ერთად ვისმეს რომელიმე ჟურნალში რომ დაებეჭდოს, არ მაგონდება... მაშ შენ ამბობ, რომ კიდეც ბევრი ასი გაქვს დასაბეჭდი... მე კი, სულ ცოდივილო, მეგონა, რომ შენ ეფექტის მოყვარული კაცი ხარ, გინდოდა გაგეოცებია ხალხი – ორიგინალური სათაურით: ასი ლექსი! – არა, ჩემო მოსე, შეცდომაში არავინ შეგიყვანოს. რა დროს ორიგინალობა და ეფექტებია, შეიძლება ხვალ მოვკვდე და ეს ლექსები მაინც დარჩეს დაბეჭდილი. შეიძლება შთამომავლობამ შეაფასოს ისე,

როგორც საჭიროა. უმჯობესია ეხლავე დაიბეჭდოს, თორემ მე თუ „მნათობი“-ს ასი ნომრის გამოსვლას ვუცადე... სად წამიყვანს...

მეორე დღეს ასი ლექსი სტამბაში იყო გაგზავნილი ასანყობად. მეორე თუ მესამე დღეს საგურამოში მომიხდა წასვლა. როდესაც ჩამოვედი, ჟურნალის მე-10 ნომერი აწყობილი დამხვდა. ჟურნალი გამოსული იყო და ჩემი ასი ლექსი დაბეჭდილი. – ბრავო! ასი ლექსი! – გაიძახდენ მკითხველები... მარტოდ მარტო – პალოს (პ. იაშვილი – მ.შ.) თითქოს სწყინდა რაღაც... როდესაც რუსთაველის პროსპექტზე შევხვდი, მან მითხრა: – აი, როგორ შეგვყავს ხალხი შეცდომაში! – როგორ თუ შეცდომაში! პალომ გადინარხარა: – შენ დაბეჭდილი გაქვს არა ასი, არამედ ოთხმოცდათვრამეტი ლექსი; ორი ლექსი აკლია! – როგორ? – აი, ნახე! დავით-ვალე, მართლაც არა ასი, არამედ 98 ლექსი იყო. იმნამშივე სტამბაში გავექანე. მოვითხოვე ჩემი ხელნაწერი... და მართლაც, ამოღებული იყო ერთი ლექსი, მეორე...“<sup>26</sup>

**12 ნოემბერი.** გალაკტიონის ლექსი: „ორი ასული ნეტარი“ დათარიღებულია: „1925 წ. 12 ნოემბრით.“<sup>27</sup>

**16 ნოემბერი.** გალაკტიონის უსათაურო ლექსის „... მე მარწმუნებდენ: ფოთლები გაჰქრა...“ თარიღია: „16 ნოემბერი. 1925 წ. მუშტაიდის ბალი“.<sup>28</sup>

**5 დეკემბერი.** „ჟურნალის ამ ნომრის გამოცემა გამოიწვია უეცარმა თოვლმა, რომლითაც გადათეთრებული იყო ტფილისი ხუთ დეკემბერს. იმ დღეს ვავა ბებუთიშვილი ხატავდა ჩემს პორტრეტს. 1/4 საათის შემდეგ შევიარე კოტე ქავთარაძესთან, მუზეუმში. გამოსვლისას შემხვდა პოეტი – ჩვენი ქართველი პოეტი და ექსპრომტი მომანოდა: „В снежн... утро“...

В снежное утро 5/XII-25

Как будто я в Москве проснулся,

Как будто видел сон,

И вдруг явился он

- Галактион.Федя<sup>29</sup>

**9 დეკემბერი.** ოლია ამხნევებს გალაკტიონს: – 25 год пусть закончится 25-ю твоих томов. Сегодня мы вдвоем и мыслях 25. Пусть обет в этом истрепанном ресторане будет залогом собрания двадцати пяти.<sup>30</sup>

**1925 წ.** „1925 წელს, როგორც ეს პოეტის არქივის შესწავლით დადგინდა, გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ ენაზე თარგმნა პოლ ვერლენის ლექსები... რომლებიც პოეტის არქივში აღრიცხულია 137-ე დღიურის ნომრით. მასში აღმოჩნდა თორმეტი ლექსი. თითოეულ მათგანს სათაურად აქვს „პოლ ვერლენი“... შედარებით ნათელი გახდა, პოლ ვერლენის რომელი ლექსები იყო ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის მიერ (ორი ლექსის გარდა)... გალ. ტაბიძის ამ თარგმანებს მკითხვე-

ლი გაეცნობა პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულის მეშვიდე ტომში... ზოგჯერ თარგმანი მეტად თავისუფალია, არაა შენარჩუნებული ორიგინალის პოეტური სახეები... ამიტომ ვფიქრობთ, რომ თარგმანი რუსული ენიდან უნდა იყოს შესრულებული (ხშირად თარგმანი სიტყვა სიტყვით მიჰყვება თ. სოლოგუბის რუსულ ენაზე ნათარგმნ ტექსტს). აღსანიშნავია, რომ პოლ ვერლენის ლექსების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი ქართულ ენაზე იყო გალაკტიონ ტაბიძე... ვერლენის ლექსების თარგმანს ერთგვარი დალი დაუსვამს გალ. ტაბიძისათვის. მის მიერ თარგმნილი ლექსებიდან ზოგიერთი სტრიქონი იმდენად ღრმად ჩარჩენია მხსიერებაში პოეტს, რომ შემდეგ თავის საკუთარ, ორიგინალურ სტრიქონებად მიუჩნევია და დაუბეჭდავს კიდევაც 1927 წელს თავის ლექსების კრებულში.“<sup>31</sup>

1921-1925 წლებში გალაკტიონი ხანგანგამოშვებით ხელოვანთა, ანუ მწერალთა კავშირის შენობაში ცხოვრობდა და ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის სახელით ცნობის ასეთი ტექსტი გაამზადა: Предъявитель сего поэт Галактион Васильевич Табидзе проживает во дворце искусства на Сергеевской ул. д. №13 – холост<sup>32</sup>

**1925.** გალაკტიონის საარქივო გამოცემაში გათვალისწინებულ იქნა ვ. ჯავახაძის მოსაზრება, რომ ლიტერატურის მუზეუმში: დაცული ავტოგრაფები ლექსისა: „ორად გაიპო წითელი კლდე,“ ერთი ლექსის სამი ნაწილია და არა სამი ვარიანტი. ამიტომ 1925 წელს დაწერილი ეს ლექსი სრულად დაიბეჭდა.<sup>33</sup>

**[1925]** წელს შექმნილ ლექსს „სასაფლაონი“ ავტოგრაფის მიხედვით პირვანდელი გრაფიკული სახე დაუბრუნდა. საუბარია ლექსზე, რომელიც გალაკტიონის თხუთმეტტომეულში შეტანილია თავდაპირველი სათაურით: „ეგვიპტეს სასაფლაონი“.<sup>34</sup>

**1925.** „აბრეშუმი და ძონძები“, ასე უნდა დარქმეოდა პოემას, რომლის დაწერა გ. ტაბიძემ განიზრახა 1925 წელს.. ლიტერატურულ მუზეუმში დაცული მისი არქივის ერთ-ერთ რვეულში ამ პოემის შესახებ გალაკტიონის ხელით დაწერილია შემდეგი: ... ეს იყო 1925 წელს აპრილში, დილით. მე მივდიოდი ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.. მე მქონდა დაწერილი მისამართი: ჩერქეზიშვილის სახლი № 22. ამ სახლში მოთავსებული იყო მაშინ მექანიკური აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. მე ვაპირებდი ინდუსტრიული პოემის დაწერას. ამ პოემას უნდა რქმეოდა „აბრეშუმი და ძონძები“. პოემაში მსურდა დამეხატა ბევრი რამ, მეტად ბევრი რამ. ფანტაზია მიხატავდა არა ერთსა და ორ შესაფერის მოტივს, რომელიც უნდა გადაშლილიყო დიდი სანარმოს ფონზე. აბრეშუმი და ძონძები, ვფიქრობდი მე..<sup>35</sup>

**24 იანვარი.** „ც. კ. ბეჭდვით განყოფილებას. ვინაიდან ჩემი წიგნის ბეჭდვა დიდი ხანია დამთავრდა და გასაყიდათ კი არ გამოდის სახელგამის იმ მოსაზრების გამო, რომ მისთვის საჭიროა წინასიტყვაობა, გთხოვთ, მოახდინოთ განკარგულება წიგნის გამოშვებისათვის უწინასიტყვოთ, ვინაიდან მოკლე ხანში კარგ წინასიტყვაობას ვერავინ დასწერს და ჩემი წიგნისთვისაც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს. გ. ტაბიძე...“<sup>1</sup>

**[13 თებერვალი].** ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა გალაკტიონის „პოემა ვეფხისა“.<sup>2</sup>

**15 თებერვალი.** საქ. კინომრეწველობის გამგეობას. გთხოვთ, მოგვცეთ განცხადება ჩვენი ჟურნალის მე-10 ნომრისათვის. ჟურნალი გამოდის გადიდებული ფორმატისა – ამ დღეებში. რედ. გ. ტაბიძე. 15 თებერვალი, 1926.<sup>3</sup>

**9 მარტი.** ქართველ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – ამხ. ს. თოდრიას. გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ სრულიათ საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარესთან, რათა ნება მოგვეცეს „ჟურნალი“-ს მე-10 ნომერში მოვათავსოთ სახ. დანესებულებათა განცხადებები ისე, როგორც ეს ხდება „დროულში“ და სხვ. ამით საშუალება მოგვეცემა, გამოვცეთ ჟურნალის ერთი ნომერი. გალაკტიონ ტაბიძე, მწერალთა კავშირის წევრი. 9 მარტი, 1926.<sup>4</sup>

**4 აპრილი.** „1926 წლის 4 აპრილს ერთი არასასიამოვნო ინციდენტი გაიხსენა, რომელიც ესენინს თბილისში შეემთხვა და ნაცნობ თანამემამულთა სახელით მოუბოდიშა უცნობს:

ტფილისში არის ორგეი და დიდი მიეთ-მოეთი.

მე ბოდიშს გიხდი, სერგეი, როგორც ქართველი პოეტი.<sup>5</sup>

**4 აპრილი.** „მნათობი“ №1 იხსნება ლექსების განყოფილებით... მათ შორის წარმოდგენილია გალ. ტაბიძე ქართული ძველი შემოქმედი“...<sup>6</sup>

**27 აპრილი.** ოცდაათი აპრილიდან დაიწყება ხელის მონერა „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის სრულ ანტოლოგიაზე“, ანუ ლიტერატურულ ნიმუშების კრებულზე. კრებული გამოვა ორ ტომად, იქნება დიდი ზომის, დაიბეჭდება კარგ ქალაღზე, დაერთვის მწერალთა სურათები და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, თითო ტომი იქნება 500-600 გვერდამდე. წიგნში მოთავსებული იქნება სანიმუშო ნაწარმოებნი შემდეგი მწერლებისა: მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შავთელი. ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი.. ჭავჭავაძე ილია, წერეთელი აკაკი.. სულიაშვილი -ლიხელი, სოსელი (ჯუღაშვილი – სტალინი), ტაბიძე გ... ანტოლოგიის რედაქტორ-გამომცემელი ია ეკალაძე.<sup>7</sup>



**29 ივნისი.** „... ჩვენი წერილების მიზანია გამოვარკვიოთ ჩვენი პოეტების პროფილები, რამდენად შეცვალა ისინი რევოლიუციამ... დაიწყოთ გალაქტიონ ტაბიძით. ისეთი ღრმა გარდატეხა, როგორც გალაქტიონმა განიცადა იშვიათად განუცდია რომელიმე მწერალს. ავიღოთ გალაქტიონის პროფილი რევოლიუციამდე. იგი ამ დროს სევდის ჩადრწამოსხმული მგოსანია. მისთვის ცხოვრებას ყოველგვარი ფასი დაუკარგავს. მგოსანმა თავის სამუდამო მხარეში – ვერ ნახა ვერაფერი... ირგვლივ მგოსნისთვის „მხოლოდ სიმწუხარეა“... რევოლიუციის წინა პერიოდი გალაქტიონმა ისე განვლო, რომ ერთი სასიხარულო სიტყვა არ უთქვამს, შავი რეაქციისათვის სახეზე ღიმი არ დაუნახვებია... მგოსნის არსებაში დაგროვილია უანგარიშო, უღევი პოტენციალური ძალა. მოზღვავებული ენერგია ელის შესაფერ წუთებს, რომ ფაფარაყრილ ღვარივით გადმოხეთქოს, დახავსებული ქვეყანა გადარიყოს... მგოსანს მომავალი ნათლად აქვს წარმოდგენილი. ეს არის რევოლიუციის ხანძარი... პოეტი ამას ინტუიციით გრძნობს და თვითონაც საბრძოლველად ემზადება... იცის მგოსანმა, რომ მერე დადგება ხანა კეთილდღეობისა... რევოლიუცია მოსპობს ამ ქვეყნიურ უკუღმართობას და დამყარდება ის „ნელი თამაში“, რომლისთვისაც სევდის მგოსანი ხალხს ამზადებს: „როგორმე ზამთარს თუ გადაურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა, არის გზა, არის ნელი თამაში.“

ასეთია მგოსნის პროფილი პროლეტარულ რევოლიუციამდე... გავშინჯოთ მგოსნის მეორე პროფილი. როგორი სახე მიიღო მან დიდი პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ... ვალ. ტაბიძემ რევოლიუციის პირველ დღეებშივე თავისი წამოსხმული სევდის ჩადრი მყისვე ჩამოიგლიჯა და როგორც პოეტი რევოლიუციის წიაღში გადაეშვა... ამ ხანში ერთ და იმავე დროს იწერება რევოლიუციონურ ლიტერატურაში ორი შესანიშნავი ლექსი – ალექსანდრე ბლოკის „თორმეტი“ და გალაქტიონ ტაბიძის „რამდენიმე დღე პეტროგრადში“. ამიერიდან შემოქმედების მთავარ თემად... წარმოუდგენელი მსრბოლი ისტორიული ამბები თავს იყრის პოეტის შემეცნებაში და მხატვრული სილამაზით ობოლ მარგალიტებივით პოემაქრონიკაში – „ჯონ რიდი“ სახიერდებაინ... ეს პატარა ნაწარმოები გრანდიოზული პანორამაა რევოლიუციის... მგოსანს სწყურია სიცოცხლე, სწყურია ნგრევა და სიკვდილი. რევოლიუციონურ დინამიკიდან ეძებს გამოსავალს, რომელსაც მომავლის პერსპექტივაში ხედავს... პროლეტარული დიდი რევოლიუცია თავისი შედეგებით პრაქტიკულია... გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაც ასეთი პრაქტიციზმით არის გაჟღენთილი. გადაათვალიერეთ მისი უკანასკნელი დროის ნაწერები. ძნელია მათში ერთი მსოფლმხედველობის, ერთი მთლიანი რამის პოვნა. სამაგიეროდ ეს დიდი ცდაა ჩვენს მწერლობაში, თუ როგორ სურათდება თანადროულობა, ყოველდღიურობა მხატვრული სიტყვით. ამ მხრივ გალაქტიონი – მხატვრული ენით ნაამბობი ჩვენი დროის ისტორია არის... ამგვარად, რევოლიუციის თილისმური ძალა ჩვენთვის ცხადი გახდა. მოხდა დიდი გარდატეხა. რომანტიული მისტიციზმით გატაცებული... მგოსანი ბრძოლის მონაწილეთ გადაიქცა, ხოლო მისი სევდიანი კილო რევოლიუციის დაფ და ნალარად შეიცვალა. პოეტის ეს პროფილი მშრომელი მასისთვის გასაგები და უფრო მისაღებია.“<sup>8</sup>

**18 ივლისი.** „... ფულებს მათაც ვესესხები / ბესოშვილს და ესაკიას / რონდ ელსა და გალაქტიონს, / ერთი სიტყვით, ახალგაზრდა / პოეტების სხვა მაცრიონს / მე ვავალებ: თითო ლექსი / შემოსწირონ გაფიცულებს / რა თქმა უნდა, ჰონორარსაც / ამ საქმისთვის თუ იგულებს. / გალაქტიონ ტაბიძესთან / უსათუოდ ჩვენც გვაქვს საქმე: / თედომ სთქვა, რომ შენ ტირილი, / სამყაროზე მოისაქმე, / ახლა თურმე, შენ ლექსებში / ხალისი და სიცილია. / ერთ ლექსს ალბათ შენც დაგვინერ, / რადგან ბრძოლა ჭიდილია..“<sup>9</sup>

**[20 ივლისი].** ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა გალაქტიონის ლექსი „კოს-მიური ორკესტრი.“<sup>10</sup>

**14 აპრილი.** კვირას, 15 აგვისტოს, კოჯორში გაიმართება სალიტერატურო საღამო ია ეკალაძის, გ. ქუჩიშვილის, გ. ტაბიძის, ლ. მაჭავარიანის და სხვათა მონაწილეობით.<sup>11</sup>

**29 დეკემბერი.** – „ძნაო გალაქტიონ!.. რატომ წერილი არ გამოაგზავნე... რა დაემართა შენს წიგნს? არაფერი ისმის არც გაზეთებში და არც შენგან. ხომ არ შეგფერხებია საქმე? გაზეთებს ყოველდღე ვათვალიერებ და ვკვირობ, შენზე სიტყვაც არაა!.. ამ დღეებში იყო „საუბარი ბარონ ბიბინეიშვილთან“. ჩამოთვლილია, თუ რა წიგნები გამოუცია სახელგამს და რის გამოცემას ფიქრობს ამ მოკლე ხანად და შენი წიგნის შესახებ კი არაფერი უთქვამს. ყველაფერი მოსალოდნელია! ნურც იგი გაგიკვირდება, რომ წიგნი არ გამოვიდეს?! ვიყოთ კარგათ! აი, უმთავრესი და დანარჩენს ყველაფერს მოვესწრებით... აბესალომი... ხანდისხან, გალაქტიონ, მე გამიელვებს ის აზრი, რომ შენ აქაურობის არაფერი გაინტერესებს... მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივი არ არის... და გულს მხოლოდ ერთი აზრი ეუფლება: როგორც უნდა იყოს, მაინც ჩვენი გატუნია, მაინც ჩვენი ძვირფასი გატუნია: ცხოვრებაში ბავშვი და აღმადრენით კი დიდი პოეტი; ჩემი ძმა, რომელიც ყველაზე ძვირფასია ამ ქვეყნად...“<sup>12</sup>

**1926.** იოსებ მეგრელიძე იხსენებს: „პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ „მნათობის“ 1924 წლის № 4 – 5-ში (უნდა იყოს № 5-ში – მ.შ.) დაიბეჭდა... ამ პოემის მოზრდილი ნაწილი (გვ. 10-11, 13-14) ნიკო მარმა გადაბეჭდა ახალი ქართული ენის სასწავლო წიგნში – „Пособие для изучения живого грузинского языка“ (ლენინგრადი, 1926, გვ. 96-99). მე ეს წიგნი უნივერსიტეტში დამქონდა და ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთხელ ჩემმა თანაკურსელმა ქეთევან ირემაძემ გამომართვა და გალაქტიონს უჩვენა. პოეტს ეს გახარებოდა და ეთქვა, სოსომ მნახოსო... მივედი „მნათობის“ რედაქციაში მოსე გოგიბერიძესთან (ჟურნალის მდივანი იყო); გალაქტიონი იქ დამხვდა. გამომკითხა, თუ საიდან ვიშოვე ეს წიგნი. მადლობა მითხრა. მეც მაქვს ეს წიგნი, და დასძინა: ნიკო მარი მეცნიერების მუხაა, მაგრამ პოეტიც არის, ლექსის არჩევაში არ მოტყუვდებაო, – მიმართა ჟურნალ „მნათობის“ მდივანს: „ხომ მართალი ვარ მოსე? მოსე გოგიბერიძემ

უპასუხა: მართალი ხართ, მართალი, მაგრამ მაგ პოემა („მოგონებები...“) თქვენც ნერვები დაგიჯდათ და მეც გამანვალაო. გახსოვთ ვალიამაც (ბახტაძე) რომ მისაყვედურა, ეს რა დამაბეჭდვინეო?!“

1931 წლის შემოდგომაზე ლენინგრადში გავემგზავრე ასპირანტურაში. სიტყვამ მოიტანა და ნიკო მარს ვუთხარი: გალაკტიონ ტაბიძე მაღლიერია, რომ მისი პოემის ნაწყვეტები თქვენს ქრესტომათიაში რომ მოგიტავსებიათ-მეთქი. მარმა თქვა: მე ტაბიძეს ვიცნობ, ლექციებზეც დამსწრებია და თბილისშიაც შემხვედრია. ჭეშმარიტად ხალასი მგოსანიაო.<sup>13</sup>

**20-იანი წლები.** „წერილი რედაქციის მიმართ. ძვირფასო ამხანაგებო! მე ხშირად მესმის [მუშების] საყვედური, მომართული [ჩემს მიმართ, რომ მე, გალაკტიონ ტაბიძე] ჩემდამი: [ერთი] ხასიათის, თითქო მე, ძვირფასო ამხანაგებო, ვამაყობდე ჩემთვის მოცემული სახელწოდებით: „პოეტების მეფე“. მე ძვირფასო ამხანაგებო, მართლაც ვამაყობ ამ სახელწოდებით – არა იმიტომ, რომ მართლა მეფე ვიყო...“<sup>14</sup>

1927 წლამდე დანერილ ლექსებს დაემატა „სიშორით შენით.“<sup>15</sup>

პოეტის არქივში შემონახული განცხადება გვაუწყებს, რომ „ზარნიშიანი“ წიგნი (ლექსები, ტფ. 1927 წ. – მ.შ.) 1927 წლის იანვარში უკვე დაბეჭდილი იყო. ამიტომ, ამ წელს დანერილი და გამოქვეყნებული ლექსები ამ კრებულში ვერ მოხვდებოდა, ისინი 1927 წლამდე შექმნილად იქნა მიჩნეული. ამრიგად, 1927 წლის წიგნის ლექსები 1908-1926 წლებით უნდა შემოვსაზღვროთ და გალაკტიონ ტაბიძისა და მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი 1915-1926 წლებით დავათარილოთ.<sup>16</sup>

**3 იანვარი.** ღრმად პატივცემულო ბ. იოსებ! ამასთან ერთად გიგზავნი თქვენი ლექსების რვეულს. გულდასმით რამდენჯერმე გადავიკითხე და დავრწმუნდი, რომ თქვენს ლექსებს არავითარი გასწორება არ სჭირდება. მათი ხასიათი ისეთია, რომ შესწორება (სხვისაგან) თუ ავნებს, თორემ არავითარ ღირსებას არ შემატებს. ეს ლექსები შესანიშნავია თავისებურებით. ძლიერ კარგი ლექსებია.

თქვენთან დიდ ბოდიშს ვიხდი, ბ. იოსებ, რომ ამდენი ხანი ვერ გიპასუხეთ, მაგრამ ავადმყოფობამ და სხვა საქმეებმა შემიშალეს ხელი...მარადის თქვენი პატივისმცემელი ვალაკტიონ ტაბიძე.<sup>1</sup>

**28 იანვარი.** პარასკევს, 28 იანვარს სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მუსიკალურ-ვოკალური საღამო. მონაწილეობენ გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ნ. ჩაჩავა, მომღერალი დოლონაძე, ქუმსიაშვილი, ანდლულაძე, ეპიტაშვილი...<sup>2</sup>

**30 იანვარი.** „... ამხ. შ. რადიანი შეეხო „თანამგზავრობის“ პრობლემებს ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ დაჯგუფებათა გარეშე მდგომ მწერალთა შორის, როგორც თანამგზავრებზე, მომხსენებელი მიუთითებს ვალ. ტაბიძეზე...“<sup>3</sup>

**13 თებერვალი.** „ჩემო ძვირფასო, ჩემო სახელოვანო, ჩემო კარგო ვალ! ცხოვრებისგან გატანჯულო, გაცისკროვნებული პოეზიით ფრთაშესხმულო ვალ!.. საათმა უმწეოდ ჩამოჰკრა 11-ჯერ. ნახევარი საათის შემდეგ შენ გაემგზავრები... იგი გაგაქროლებს შენ ლაყვარდოვანი ზღვის ამწვანებული ნაპირისკენ. წყნარ ზღვას გისურვებ ბათუმში და ბედნიერ მგზავრობას გემით სოხუმამდე, დაე გულში ჩაგიკრას სოხუმმა და დაგიბრუნოს ჯანმრთელობა.“<sup>4</sup>

**13 თებერვალი.** „ვალაკტიონი სოხუმში პირველად 1927 წლის 13 თებერვალს ჩადის ბათუმიდან მომავალი თბომავალით: „თეოდორ ნეტტე“.<sup>5</sup>

**16 თებერვალი.** „სახელგამის გამოცემანი. სახელმწიფო გამომცემლობის რედკოლეგიამ მიიღო გამოსაცემად და ისტამბუბა შემდეგი წიგნები: ... ვალ. ტაბიძე – ლექსები“...<sup>6</sup>

**5 მარტი.** მოვიარე წიგნის ყველა გამოფენა, მაგრამ ვერავინ ხვდება, რას ვეძებ. ამიერკავკასიის წიგნის მაღაზიაში რატომ არ ჩანს შენი წიგნი? ო, რა არასასიამოვნოა, როცა ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინას ჭუჭყიანი მინის მიღმა ვხედავ შენს წიგნს, წყეულებმა არ იციან ლამაზად დანყობა. მსურს ვუყვირო მათ... (ოლიას დღიურიდან).<sup>7</sup>

**16 მარტი.** ... თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ

ამ ადამიანს ჯერ-ჯერობით ვერ უბოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ასოციაცია არიფიონის მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში... კულტურული წარსული, ანმყო და მომავალი არიფიონს ორგანიულ ერთეულად მიაჩნია... არიფიონს მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს თავის წევრთა შორის და ყველგან მხატვრულ მეტყველებისა და აზროვნების კულტურას, ქართულ სიტყვისა და თქმის დანმენდას და ადამიანობის კულტის განმტკიცებას...“

ვასილ გორგაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან მეტრეველი, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი-ლიხელი, გალაქტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხეილ ჯავახიშვილი. 16 მარტს, 1927 წელს. დედაქალაქი.<sup>8</sup>

**24 მარტი.** „ბრაზი მიპყრობს, სად არის წიგნები, როგორ იყიდება, როგორ ვრცელდება ხალხში... დავფურეკე სახელმწიფო გამომცემლობის ვაჭრობის განყოფილების გამგეს... გამოვიდა გალაქტიონ ტაბიძის წიგნი? დიახ, გამოვიდა. გაზეთებიდან და ვიტრინებიდან არ ჩანს, მხოლოდ ერთი მაღაზიის ვიტრინაში, დამტვერილი მინის იქით შევნიშნე ამ წიგნის ყდის ნაწილი... ამიერკავკასიის და რაიონების მაღაზიებში გაგზავნილია? დიახ, ყველგან, ყველაფერი მოგვარებულია... არა, თბილისში ერთ ადგილას ვნახე... გმადლობთ რომ გამაფრთხილეთ, მე ახლავე გავარკვევ. მეორე დღეს ვხედავ ვიტრინებში გაკრიალებული მინის მიღმა თვალსაჩინო ადგილას განლაგებულია მისი წიგნები...“ (ოლიას დღიურიდან).<sup>9</sup>

**3 აპრილი.** „ძმაო გალაქტიონ! მოულოდნელად წახვედი ტფილისიდან. ველარ მოვასწარი შენთან დანვრილებით მოლაპარაკება. აქამდე ვიყავით დაუსრულებელ რჩევა-ბაასში. შენც დაგვჭირდი... გვაკლია მხოლოდ წესდება და შენი პასუხი... გიგზავნი დეკლარაციას... შენიანად 14 ვიქნებით... პირველ რიგში მიდის ალმანაჰის გამოცემა. მასალებს უკვე ვაგროვებთ. იმედია, შენც დაიჭექებ ძველებურად. ველით მოუთმენლად ორიოდე ლექსს – მყივარსა და მქუხარს. თუნდაც ლირიკა იყოს – შენი სახელი და ოსტატური ხელი ყოველივეს მოერევა... ჯერ საჩქაროდ დააბრუნე ხელმოწერილი დეკლარაცია... მერე ჩაუჯექი წერას... ალბათ, დაწერილიც გექნება – გამოაყოლე... ეს დეკლარაცია არავის ნაუკითხო. პირველად ალმანაჰში გამოვა... ერთმანეთი უნდა გავიტანოთ ყველგან და ყველაფრით, თორემ უპატრონო ქათმებივით შეგვჭამენ. მეტი გზა არ არის, ეპოქის ნაბიჯს უნდა ავყვეთ... ისე არ შეხვდებით ერთმანეთს არიფები, რომ შენც არ გაგხსენოთ... ორი თვეც გადის, ამბავიც არ გვესმის. ერთი წერილი მაინც მოგვწერე... აბა კარგად იყავი. დაბრუნდი განკურნებული. ყველანი გითვლით არიფულ სალამს და აქედან გინვდით ძმურ ხელებს. შენი ძმა და მეგობარი მიხეილ ჯავახიშვილი, ტფილისი, 3/IV-1927.“<sup>10</sup>

**5 აპრილი.** „ძვირფ. გალაქტიონ! სალამი! გიგზავნით „არიფიონი“-ს განცხადებას. დანვრილებით მიშა გწერს ყველაფერს... იმედი მაქვს, როგორც ახლო-

ბელი ძმა და პატივისმცემელი – ყურადღებ ყოველივეს და დროით გვაცნობებ შენს აზრს – საბოლოოს. აბა ჩქარა! შენი ვ. გორგაძე. 1927 – 5/IV.<sup>11</sup>

**29 აპრილი.** [ოლიას] ოპერაცია 30 აპრილისათვის დანიშნეს და წინააღმდეგ ანდერძით ბარათი დაუნერა თავისიანებს: მე ძალიან მიყვარს გალაკტიონი, მოექცეცით მას ისე, როგორც უახლოეს ჩვენიანს. მე ძალიან ვუყვარვარ გალაკტიონს და და არასოდეს არ გადამიყვარებდა, თუკი გადავრჩებოდი... შენ კი, გალაკტიონ, გნამდეს, მე შენ თავდავიწყებით მიყვარდი, მაგრამ ჩვენ არ გვეღირსა ერთხელ მაინც განგვეცადა უშუალოდ ჩვენი სიყვარული, ერთი დღით მაინც გავვეზიარებინა. ჩვენ ვერ დავასრულეთ საუბარი და ჩვენი საუბარი დაუსრულებელი დარჩება სამარადისოდ. ამავე სიტყვებს გაიმეორებდა ალბათ, ანდა გაიმეორა კიდევ, 1941 წლის 11 სექტემბრის ღამით, როცა სრულიად მოულოდნელად სასიკვდილო განაჩენი გამოუცხადეს და უმალ აღასრულეს.<sup>12</sup>

**[6 მაისი].** „... გალაკტიონ ტაბიძის მცირე პროდუქცია გასულ წელს შეიძლება აიხსნებოდეს მისი მუშაობით თავისი ნაწერების სრული ტომის დამზადებაზე, რომელიც უკვე გამოიცა. მან დაბეჭდა 1926 წელს მხოლოდ „მსოფლიო ორკესტრი“ და „პოემა ვეფხის“. ეს ლექსები არ იძლევიან იმპულსს, რომ ტაბიძეზე ითქვას ახალი სიტყვა. გარეშე მასზე დამკვიდრებული შეხედულებისა. აქ მოცემულია ტაბიძის სპეციფიური ლექსიკის მრავალფეროვანი შეთავსება. „კოსმიურ ორკესტრში“ შერეულია თითქმის ყველა მეტრი გ. ტაბიძის პოეტურ სტილისტიკიდან.“<sup>13</sup>

**[7 მაისი].** სახელმწიფო გამომცემლობა. გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში შემდეგი ახალი წიგნები: მხატვრული ლიტერატურა... გალაკტიონ ტაბიძე, ლექსები, 542 გვ., ფასი 5 მან.<sup>14</sup>

**[11 მაისი].** „... ასე მიუახლოვდით ჩვენ ისევ პოეზიის კრიზისსა და გაბანალებას, რომელიც გარდასულ ფორმებისა და სახარინიანი სევდების პოეზიამ გამოიწვია. პროლეტარული პოეტები მალე შეეგუენ ამ მეშჩანურ ნისლს პოეზიაში და დაიძრა ყინული მობრუნებული მოვალეობის. ასე შერჩა პოეზია დეკადენტების ნისლს, ასე გამოცოცხლდა ტაბიძეების დეგენერატული ისტერიკა და იაშვილის ბოშური სიმღერები. აქვე ჩამოყალიბდა ჩვენი ინდუსტრიალიზმის გაბანალება და რელიგიურ ფატალიზმამდე დაყვანა...“<sup>15</sup>

**[11 მაისი].** ... ერთ ფრონტს ქმნიან – აბაშელი, შანშიაშვილი, გრიშაშვილი, გაფრინდაშვილი, გვეტაძე, იაშვილი, ტაბიძე, გრანელი, ლორთქიფანიძე, კალაძე და სხვ... [ხოლ+ო მეორე ფრონტზე სდგას ქართული მემარცხენე მწერლობა... პროლეტარული მწერლობის ახალგაზრდობის პათეტიური დეკლარაცია გალღვა რომანტიული განწყობილებებით... კ. ლორთქიფანიძის] განწყობილება არაფრით არ განსხვავდება ტერენტი გრანელის განწყობილებისაგან. სანიმუშოდ ჩვენ მო-

ვიყვანთ მრავალ ამონაწერებს მის ლექსებიდან „ექვსი სიმღერა“. გარდა იმისა, რომ ეს ლექსი თავის განწყობილებით მეტისმეტად მკრთალია და რომანტიული, იგი მუსიკალურად გალ. ტაბიძის ახლო ნათესავობაში იმყოფება. საკმარისია შედარებისთვის: „წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ...“ (გ. ტაბიძე), „ზვირთებო, ზვირთებო რას მეტყვეთ სხვას...“ (კ. ლორთქიფანიძე).<sup>16</sup>

**[11 მაისი].** „... რაც შეეხება მაშაშვილს – ეს არის ლიტერატურული დომხალი. „პასუხი მოგონებას“ გრიშაშვილის და გალ. ტაბიძის შეერთებაა და ალ. მაშაშვილამდე დაყვანა... [მაშაშვილის] პოეზიაში ბევრია სახარინი... მაგ. გ. ტაბიძის ვარიაციაა: „საქართველოში შენ ერთი ხარ ცბიერი (ა. მაშაშვილი) „საქართველოში შენ ერთი მაინც... გ. ტაბიძე...“

დ. რონდელის წერილი გამოხმაურებაა ს. ჩიქოვანის წერილზე თანამედროვეობა და პოეზია“. აქვე აბაშელი, ჩიქოვანი და ტაბიძე მოქცეულია ერთ რკალში. წერილის ავტორს ეს მოუვიდა იმიტომ, რომ „მიძღვნა ახალ პოეტებში“ დაუჭერია ერთი კუპლეტი თითქოს პესიმისტური ხასიათისა. საჭირო იყო ლექსის ქვემოდ წაკითხვა და პასუხს იქვე მიიღებდა ავტორი...“<sup>17</sup>

**20 მაისი.** „ქართულ პოეზიას აქვს მდიდარი ისტორია, მის წარმომდგენთ რიცხვი სამ ჯგუფად გაიყოფა: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან შოთა რუსთაველი... რუსთაველს მოსდევს გრიგოლ ჩახრუხაძე, ივანე შავთელი, ვინც იყო არაბეთის უნივერსიტეტის პროფესორი და ვისაც არაბთაგან ეწოდა აბდულ მესია. ამათ მოსდევენ თეიმურაზ პირველი, დავით გურამიშვილი, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. დღეს ამ ჯგუფს უნდა მიემატოს გალაკტიონ ტაბიძეც. ამის გამოთქმის უფლებას მაძღვეს მე გალაკტიონ ტაბიძისაგან დანერილი და ახლად დაბეჭდილი ლექსების ვრცელი ტომი, რომლის ფურცელთა რიცხვიც შესდგება 542 გვერდისაგან. ჩვენს მწერლობაში ასეთი უხვი, დიდი ტომი ლექსებისა ახალგაზრდა კაცისაგან დიდ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს... ასეთი ზომის წიგნი და ასეთი ლექსის მრავალფეროვნება, ლექსების სილამაზე, ქართული ენის სინარნარე და სიკეკლუცე არავის უნახავს... ზაქარია ჭიჭინაძე, 20 მაისი, 1927 ტფილისი.“<sup>18</sup>

**31 მაისი.** „ძმაო გალაკტიონ! ასეთი დავინყება გაგონილა? წელიწადი გადის: წერილი არ მიმიღია... აქამდე მიზეზათ იმას ასახელებდი, წიგნის დაბეჭდვამდე დრო არა მაქვსო. წიგნი დაიბეჭდა, სოხუმში გაისეირნე, სად არ დადიხარ და სახლში მოსვლა ვერაფერმა გაფიქრებია... სახლის შესახებ: გავყიდო თუ არა? მე მეტი გამოსავალი გზა არა მაქვს: ვალეები მაქვს ათას მანეთამდე და უსათუოდ უნდა გადავიხადო... გავიგე ოკუფაგებისას არ არისო! მე ეს არ ვიცოდი და წერილი ძველი მისამართით გამოგიგზავნე... აბესალომი.“<sup>19</sup>

**31 მაისი.** ძმაო გალაკტიონ! ეს მეორე წერილია, რომ ვწერ... ან ერთს მიიღებ ან მეორეს. კაცო, რა დაგიშავე, რომ ასე მატყუებ... მომწერე მაინც, გავყი-

დო სახლი თუ არა? ვალი მაქვს ათას მანეთამდე... თუ მოახერხო, ჩამოდი. შვიდი წელიწადია, რაც სახლზე ხარ მოშორებული... ვგონებ, რომ ყველანი დავწყდეთ, მაშინაც არ იფიქრებ, აქეთკენ პირი ქნა? შენი მისამართი მომწერე – ამბობენ, ოკუფაციებისას არ არისო...” (აბესალომის წერილიდან).<sup>20</sup>

**მაისი.** „1927 წლის მაისში გალ. ტაბიძე „სავარდო და სამაისო ქუთაისის ენ-ვია. გაიმართა დიდი საღამო. პოეტს მისი პოეზიით მოჯადოებულმა და აღტაცებულმა საზოგადოებამ აუარება ვარდის თაიგულები მიართვა. ქუთაისში ყოფნის დროს დაწერა მან თავისი ცნობილი ლექსი „ვარდები“.<sup>21</sup>

**10 ივნისი.** „გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“ №5-6 შემდეგი შინაარსით: პოეზია – გალაკტიონ ტაბიძე „ქალაქი წყალ ქვეშ“...<sup>22</sup>

**[10 ივნისი].** ჟურნალი „მნათობი“ ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს: „ქალაქი წყალ ქვეშ (ძველი დიოსკურია), 1927. აფხაზეთი“.

პოეტის არქივში დაცულია ჩანაწერი, რომელშიც მოთხრობილია ამ ნაწარმოების შექმნის ისტორია, თუ როდის, რა პირობებში, რა შთაბეჭდილებების გავლენით დაიწერა ეს ლექსი. „ოცი წლის წინად გემით „ტეოდორ ნეტტე“ მე მოვდიოდი აფხაზეთში... ეს ლექსი „ქალაქი წყალქვეშ“ დაწერილია 1927 წელს, აფხაზეთში ყოფნის დროს... 1928 წლის ჩემს უბის ნიგნაკში ასეთი ჩანაწერია: მისცურავს ჩვენი გემი. ზაფხულია, შუადღეა... უეცრად ზეცა სწრაფად ბნელდება... ამოვარდა საშინელი გრიგალი წვიმით... ზღვა ღელავს... გაისმის გრგვინვა... ასე მივუახლოვდით ნავთსადგურს. ზღვა წყნარდება, წვიმაც შესწყდა. სწორედ ამ დღეს არის დაწერილი ლექსი „ქალაქი წყალქვეშ“.<sup>23</sup>

**15 ივნისი.** 19 ივნისს მუშათა ახალი კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება პოეტ გალაკტიონ ტაბიძის საღამო.<sup>24</sup>

**23 ივნისი.** მცირე განმარტება. გადაჭრით ვაცხადებ, რომ გ. ტაბიძისათვის ლექსი არ მიმიძღვნია. მან ჩემს ჩვეულებრივ ლექსს, რომელიც გადავეცი მის მიგზავნილ კაცს საგაზეთო მასალათ, სათაური გამოუცვალა და მოაქცია მისდამი მიძღვნილ ლექსებში. ეს, ჩემის აზრით, დაუშვებელია და გარდა იმისა, რომ ამკარად ამჟღავნებს ავტორისადმი უპატივცემლობას, სიყალბის სუნიც უდის, რაც არ შეეფერება მწერალს. რომ ეს ასეა, ამას ოდნავ დაკვირვებული მკითხველი მაშინვე მიხვდება: ამ ლექსში მოცემულია რევოლიუციის დამახასიათებელი ხაზები და გალაკტიონის პიროვნებასთან არაფერი საერთო არა აქვს. ვარლამ რუხაძე, 1927 წ. 23 ივნისი.<sup>25</sup>

**[24 ივნისი].** გამოვიდა სალიტერატურო ბიულეტენი გალაკტიონი – 1927 – ტფილისი. შინაარსი (წერილები და ლექსები):



სანდრო შანშიაშვილი – დიდი ლირიკი.

დ. კლდიაშვილი: შვენება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიის.

ვ. ბარნოვი – გალაკტიონ ტაბიძე.

ვ. გუნია – ტემპერამენტი.

განდეგილი – სადღეისო.

შ. დადიანი – გალაკტიონის ახლოს.

ი. ეკალაძე – მწერლებს (ქვეთავი: მკითხველებს).

ტრ. რამიშვილი – სასიქადულო, დიდათ ნიჭიერი.

ზ. ჭიჭინაძე – გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ.

შ. მღვიმელი – მეზადე (ლექსი).

გ. ქუჩიშვილი – გალაკტიონს, ხალხისაგან განდიდებულს (ლექსი).

ვ. რუხაძე – პოეზიის უტეხი ძალა (ლექსი).

ნ. ზომლეთელი – მგოსნის გატაცება (ლექსი).

ნარკანი – კურდღელაშვილი – მკრთალი პორტრეტი.

თედო ბეგიაშვილი – რევოლუციის მგოსანი.

აკ. ფალავა – განდგომილი პოეტი (ლექსი).

ილა მოსაშვილი – არიფს გალაკტიონს (ლექსი).

ლიდა მეგრელიძე – პოეზიის დიდო სინტეზო (ლექსი).

დარია ახვლედიანი – გალაკტიონის ლექსებით (ლექსი).

ვახტანგ გარრიკი – გილიოტინა და ეშაფოტი.

ლავროს ძიძიგური – გალაკტიონ ტაბიძე (ლექსი).

გრ. საქარიქედელი – გალაკტიონ ტაბიძე.

შალვა ჯანბერიძე – ძეგლი ცისფერი (ლექსი).

ნაზისი – ძვირფასი სახელი (ლექსი).

ჰერცელ ბააზოვი – მესსია (ლექსი).

ოლიმპიელი – გამარჯვებული პოეტი.

კაიუს პელი – გალაკტიონ ტაბიძე – პოეტი საქართველოსი.

ვასო მუშა – ჩემი ტკბილი მოგონება.<sup>26</sup>

**[24 ივნისი].** სახელმწიფო გამომცემლობა. გამოვიდა და იყიდება ყველგან გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. ფასი 5 მან.<sup>27</sup>

აქვეა მეორე განცხადება: „კვირას, 26 ივნისს მუშათა კლუბი (ყოფ. „ქართული კლუბი“, სასახლის ქ. № 9) გალაკტიონ ტაბიძის საღამო. დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 9 საათზე. საღამოს მომწყობი კომისია.“<sup>28</sup>

**[24 ივნისი].** „ძმაო გალაკტიონ! ... შენ ხარ ჩვენი ეპოქის დიდი ლირიკი და ტოლი არც გყავს... შენმა პოეზიამ დაჩრდილა ძველი და ახალი ლირიკოსები. სადღაა ბესიკი ან ალექსანდრე? ან და ახლები? გადაღმა დარჩნენ და შენ წინ მის-

დიხარ ჟინჯღღლიან ჩირაღდნით... შენ თანამედროვე ეპოქას ღრმად ჩასწვდი. ვინც ხალხის გენიას თვალთ იხილავს, უკვდავია. შემოსილხარ მარადიული თემებით, ახალი ხილვით თვით აენთე და აანთე სხვაც... რეალიზმი, რომანტიზმი, სიმბოლიზმი და ყველა სხვა „იზმი“ ჩემის აზრით, შენთვის მხოლოდ ნიადაგია, საიდანაც ნათესაურს მიიღებ, მაგრამ არ დაემორჩილები... ჰქმნი სინტეზს... მე რომ კრიტიკოსი ვიყო, ასეთს მიმართულებას სახელს მოვუძებნიდი, სრულიად ახალს, რაც არ ხმარებულა სხვა ხალხის ლიტერატურაში. ასეთ სინტეზს, საქართველოში პოეზიის ასეთ სხვაობას, რომელიც არც ერთ შკოლას არ ეკუთვნის, ყველაფერი მასშია ახლად გარდაქმნილი ახალს თემაზე, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და ეპოქის სინამდვილეში ღრმად შეჭრილი, თვითონ უნდა გახდეს მომავალ თაობისათვის შკოლად და მიმართულებად, მე დავარქმევდი „ბიონოვიას“ (ახალ ყოფა-ცხოვრებას)... შენი სანდრო შანშიაშვილი.“<sup>29</sup>

**[24 ივნისი].** „... ბედმა მას დააკისრა ყოფილიყო გამომსახველი, გამომთქმელი იმ ადამიანების სულის კვეთებისა, რომელთა შორის იგი იყო; და ადამიანებმა შეიყვარეს მისი სულიერი ცხოვრების გამომსახველი და მუდამ სიყვარულით შემოსილს იყოლიებს. ეს ბუნების ჯილდოა. ცოტას ხვდება ასეთი ბედნიერება; და ამათ შორის ჩვენს საყვარელ გალაკტიონ ტაბიძეს, ქართული ლირიული პოეზიის შვენებას და სიამაყეს. დიახ, გალაკტიონის განცდანი მარტო მას არ ეკუთვნის – იგი ჩვენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი.“<sup>30</sup>

**[24 ივნისი].** ლექსთა კრებული მომძიმო ტანის... ქართული ტკბილი. სულ უბრალოდ, მიამიტად იწყობს სიმღერას... სიტყვის სიუხვე. კუთხის ლამაზი თქმა ერთ თაიგულად... საოცნებო სახეთ სიუხვე წვრილ ლექსებში ველარ ეტევა, გალაკტიონ! ოცნებები დაგრაზმიან, გთხოვენ პოემებს.<sup>31</sup>

**30 ივნისი.** დღეს, 30 ივნისს, ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის ტრამვაის კლუბში (პლენანოვის გამზირი №182) გაიმართება დიდი ლიტ. მუსიკალური და მხატვრული საღამო. ლექსებს წაიკითხავენ: გ. ტაბიძე, შ. მღვიმელი, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, ტ. გრანელი.<sup>32</sup>

**6 ივლისი.** „ყოველგვარი უპასუხისმგებლო ლიტერატურული ყალთაბანობა და უხეირობა მჭიდროთ დაკავშირებულია და პირდაპირ გამომდინარეობს იმ სოციალური ფენებიდან, რომელთა ვითარება განიარაღებულ, ყალბ იდეურ სიცალიერის საფუძველზეა... რასაკვირველია, ადვილად გასაგებია ასეთი განწყობილებების ლიტერატურაში შემოჭრის მიზნები, მაგრამ საშინლათ მომაბეზრებელია და აუტანელი ამ პროცესში ზოგიერთთა ხლესტაკოვობა და პოშლიაკობა, მოკლებულია ყოველგვარ იდეურობას და რაც მთავარია, ყოველგვარ საზოგადოებრივობას. გარკვეულად ასეთი მოვლენა დაკავშირებულია სოციალურად გარიყულ ფენების მდგომარეობასთან. იგი უმთავრესად მოდის უნიჭო და გამო-

თავყვანებულ კალმოსნობიდან... საილუსტრაციოთ განვიხილოთ ასეთი პროდუქციის რამოდენიმე ფაქტები. დავიწყოთ თუნდ გ. ტაბიძის გაზეთიდან („გალაკტიონი“). გ. ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში დამაჯერებელია, როგორც ძლიერი შემომქმედი პოეტი, რევოლუციის თანამგზავრი მწერალი. მაგრამ ეს გაზეთი მის სახელთან დაკავშირებით სამწუხარო მოვლენაა და ისეთი კურიოზული შეცდომაა, რომელიც მას არ ეპატიება. ეს გაზეთი მისი არა მკითხვე, უნიჭო პანიგერიკების ყალბი გვირგვინია. უფრო მეტი: აქ ტაბიძე „მკვდარი სულებით“ მოვაჭრე ჩიჩიკოვის როლშია. აქ ყველაფერია ჩვენი თანადროულობის გარდა, თუ გინდ ნავუხოლონოსორის საუკუნეც. საჭირო იყო პოეტი მორიდებოდა შეგნებულად დიდიგურ-კაიუსპელების პედანტურ ცრუ აპოლოგიას...“<sup>33</sup>

**21 ივლისი.** ათი დღის წინად მე მივიტანე წიგნები [„გოსიზდატ“-ში. იქ ერთი მიწიშვილია]. სახელმწიფო გამომცემლობაში. ეს არის დაწესებულება, რომლის წინ თავს იყრის ქართველი მწერლების უმრავლესობა: ყველა დარგის, ყოველნაირი მიმართულების. ფაქტიურად კი მხოლოდ ორი ჯგუფია: ერთი 300-500 მანეთს რომ იღებს თვეში, მეორე, რომელსაც არავითარი საარსებო წყარო არ აქვს, რომელთა სახეზე და ტანსაცმელზე სწერია სიღარიბე, საშინელი, აუტანელი, წელში გამწყვეტი სიღარიბე... ასეთი სიღარიბე ყოველთვის დამამცირებელი და მართლაც, საშინელი რამეა, ხანდახან თავისთავისადმი პატივისცემასაც უკარგავს ადამიანს, არა თუ შეაზიზღებს მთელს კაცობრიობას. ეს ნამდვილი ნყევლაა... ადამიანი თავისთავად ხდება შურიანი, ბოროტი.<sup>34</sup>

**22 ივლისი.** „ძმაო გალაქტიონ! ბიჭო, ასე მალე დაგავიწყდა ნათქვამი სიტყვა. ასე არ მითხარი, „20“ წამოვალო... დედა მოუთმენლათ მოგელის და შენი ჯავრით არ არის... წერილის მიღებისთანავე, ადექი, წამოიღე წიგნები, გაზეთები (შენი) და ორი კვირით აუცილებლათ ჩამოდი... ბილეთი აიღე, დილით იქნები სამტრედიისში... დელეჟანი მანეთს გადაგახდევინებს და მეორე დღეს ჭყვიშში იქნები... აბესალომი“...“<sup>35</sup>

**30 აბვისტი.** „ხელშეკრულება. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელისმომწერნი – ოლია ოკუჯავა და გალაქტიონ ტაბიძე ვსდებთ ხელშეკრულებას შესახებ მას შინა, რომ სექტემბრის პირველ რიცხვებიდან ვინცებთ ერთად სალიტერატურო შრომის, ამ შემთხვევაში – რომანის, წერას. თუ რომელიმე ჩვენგანმა ან დაუდევრობით, ან წინასწარ განზრახულებით... დაარღვია ეს ხელშეკრულება, დამრღვევი მხარე გადაიხდის ჯარიმას 300 (სამასი) მანეთს მეორე მხარის სასარგებლოთ სამი თვის განმავლობაში. ეს პირობა რომ იქნეს შესრულებული, ამისთვის საჭიროა: ღრმა, ნაზი, ძლიერი და სპეტაკი სული. ამას კი ართმევს გალი ოლიას. დაუბრუნე ოლიას მისი იდეალი, შენ წარმოდგენილი იდეალური და ის შეასრულებს ამ პირობას, რას შინა ხელს ვანერთ ჩვენ ორნი: ოლ-ოლ ოკუჯავა და გალ. ტაბიძე – თვით პოეტი. 30.VIII-27 წ., ბორჯომი. გ. ტაბიძე.“<sup>36</sup>

**30 აპრილი.** გალაკტიონის ლექსი:ს „მგზავრის სიმღერა“ თარიღია: „1927 წლის 30 აგვისტო. ბორჯომი.“<sup>37</sup>

**ზაფხული.** 1927 წლის ზაფხულში გალაკტიონი ბორჯომში ისვენებს. აქ დაინერა მისი ლექსი „მგზავრის სიმღერა“, რომელიც თავის მეუღლეს მიუძღვნა.<sup>38</sup>

**აპრილი – სექტემბერი.** „დაცემულ განწყობილების დამ მერყეობის და რევოლუციონურ გამოუბრძმედელობის მიზეზით უნდა ავხსნათ ის, რომ ჩვენი პირველი მნიშვნელოვანი თანამგზავრი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე – მთელ რიგ რევოლუციონური პოეტების და გარკვეულათ მებრძოლ რევოლუციონურ განწყობილების შემდეგ ეშვება ისევ ასლექსიანი საფეხურით პესიმისტურ ხავსზე და დაბრუნებულ განწყობილებების მტირალა რკალში ექცევა...“<sup>39</sup>

**10 სექტემბერი.** ძმაო გალაკტიონ! გამოუღეველ ტყუილებს ბოლო არ ეღება – არ ჩამოდიხარ და არა... ჩვენ კარგათა ვართ... ჩემი უახლოესი მიზანი იყო სკოლაში გამგეთ დავრჩენილიყავი, იმიტომ რომ აქ ბევრი შრომა მიმიძღვის. 9 წელიწადია გამგეთ ვარ; მიყვარს ეს საქმე და შესაფერი ცოდნაც მაქვს... ამ დღეებში ჩამოვიდა ახალგაზრდა... აგრონომი, ჩამოიტანა ბრძანება... გამგეთ ვარ და ნიშნული და ტაბიძე ჩემთან არის მასწავლებლათ... და „დასრულდა ესე ამბავი“. ორი წერილით შევანუხე ოლია... ნინა წერილებში ასე მწერდა: „Будьте спокойны и все сделает, что нужно для вас.“ ოლიას მოკითხვა და მადლობა. აბესალომი.<sup>40</sup>

**[10 სექტემბერი].** ვ. რუხაძის „მცირე განმარტების“ გამო. როგორც მკითხველს მოეხსენება, ამას წინადა გამოვიდა „გალაკტიონ ტაბიძის გაზეთი“, რომლისთვისაც ვ. რუხაძეს მიუცია თავისი ლექსი. მათ ვისაც ეს ლექსი მიუღია დასაბეჭდად, შეუტანიათ მის სათაურში შესწორება, რასაც გამოუწვევია ვ. რუხაძის განმარტება, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი ჟურნალის მე-ნომერში... (უნდა იყოს მე-5 ნომერში – მ.შ.) ამა განმარტების გამო რედაქციას მოუვიდა შემდეგი „წერილი რედაქციას მიმართ“... ეს სინამდვილეს მოკლებულია. ვ. რუხაძის განმარტება შეიცავს ლიტერატურულ სიყალბეს... აღნიშნული გაზეთის სარედაქციო კოლეგია გადაჭრით აცხადებს, რომ გაზეთის გამოცემაში გალაკტიონ ტაბიძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ, მისი პოეზიის პატივისმცემლებმა, რამდენიმე პირმა ვიკისრეთ გაზეთის გამოცემის ინიციატივა და ჩვენ მივუგზავნეთ კაცი ზოგიერთ მწერლებს არა თხოვნით, არამედ ვაცნობეთ: სურვილისამებრ მიიღოთ მონაწილეობა ამ გაზეთში. ვ. რუხაძისაგან ერთი ლექსის მაგიერ ორი ლექსი მივიღეთ. სიყალბეა, თითქოს რუხაძის ლექსს სათაური შეუცვალა ვინმემ. ჩვენ, სარედაქციო კოლეგიამ, ჩავუმატეთ სათაურს მხოლოდ პირველი სიტყვა, („უტეხი ძალა“) რითაც ლექსი შევუთანხმეთ გაზეთის შინაარსს. მასალის ასეთი უბრალო შესწორების უფლება ჩვენ ვფიქრობთ, ყოველთვის აქვს სარედაქციო კოლეგიას. ჩვენ გვაქვს გაზეთში მოთავსებული ყველა წერილებისა და ლექსების ხელნაწერე-

ბი, სადაც ერთი წერტილიც არ შეგვიცვლია არავისათვის. ეს ხელნაწერები ინახება ჩვენთან. „გ. ტაბიძის გაზეთის სარედაქციო კოლეგია“<sup>41</sup>

**[13 ნოემბერი].** ჟურნალ „მნათობში“<sup>42</sup> გალაკტიონის ხელმოწერით ქვეყნდება ლექსი: „პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს, 1927 წ.“

**[13 ნოემბერი].** „... ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ქართველ მწერალთა ძველი თაობის უმრავლესი სკოლები აქტიური მტრები გახდნენ ოქტომბრის რევოლუციის. მაგრამ იყო გამონაკლისი: მაგალითად, საუკეთესო სიმვოლისტი პოეტი ვალ. ტაბიძე იმთავითვე ოქტომბრით „მოხიბლული“ აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, მისტიკოსმა და ინდივიდუალისტმა პოეტმა თავისებურად, რომანტიულად (ქაოსად და მისტერიად) გაიგო რევოლუცია. მაგრამ ეს ცალკე თემაა და აქ მას არ შეეხებოთ. ქართველ მწერალთა თანამგზავრული გადახალისება



გალაკტიონი. 1927 წელი

დაიწყო მაშინ, როდესაც ჟურნ. მნათობში იბეჭდებოდა გალ. ტაბიძე თავის „ჯონ რიდი“, მიხ. ჯავახიშვილი თავისი „ჯაყოს ხიზნებით“... ეს იყო საერთოდ ცდები, ნახევრად მხტვრული, ნახევრად დეკლარატიული, ქართველი მწერლობის ძველი თაობის მიახლოებისა ჩვენი რევოლუციისადმი, როდესაც გ. ტაბიძემ სთქვა: „დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია“... ეს უკვე სინამდვილეს შეეფერებოდა ქართველ მწერალთა ძველი თაობის განსაზღვრული ნაწილისათვის...<sup>43</sup>

**20 ნოემბერი.** დღეს, 20 ნოემბერს, სალამოს რვა საათზე ხელოვნების სასახლეში გაიმართება ოქტომბრის ათი წლის რევოლუციის თავის აღსანიშნავი საზეიმო სალამო... თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ... გრ. რობაქიძე, აბაშელი, გრიშაშვილი, ვ. რუხაძე... გ. ტაბიძე...<sup>44</sup>

**[31 დეკემბერი].** „ავილოთ ჩვენი ცნობილი პოეტი გალაქტიონ ტაბიძე. ეს პოეტი ჩვენში პირველ თანამგზავრ პოეტად ითვლება. წინეთ, მენშევიკების დროს, გალაქტიონ ტაბიძე ცნობილი იყო უიმედო პესიმიზმით: „საშველი არ არის, არ არის“ გაიძახოდა ის. მაგრამ დღეს ამ პოეტმა მოახდინა „შემოტრიალება“. ამას მოწმობს მისი უკანასკნელი ნაწერები: „ჯონ-რიდი“, „აღმოსავლეთი“ და სხვ. ეს პოეტი აშკარად აცხადებს, რომ ის მზადაა მიიღოს „ქარიშხალი“ (რევოლუცია): ეს გრიგალი ოქტომბრის დიდი რევოლუციაა... ვნახოთ, შერჩება თუ არა ეს მწერალი აღებულ გეზს და სიტყვას გადააქცევს თუ არა საქმედ... ამ შემთხვევაშიც ვამბობ, დიდი ცვლილება მოხდა ამ პოეტში – ცვლილება ჩვენ სასარგებლოდ. ეს არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, რომ იდეოლოგიური ფრონტის „კრიზისი“ ჩვენში ისე მწავავთ როდი სდგას, როგორც ეს ჩვენებურ ემიგრაციას ელანდება.“<sup>45</sup>

**1927.** „ტფილისში სიცხეებია და ბორჯომიდან წამოსული გრილი ჰაერი გაანელებს ამ მხურვალებას... შემოდგომაზე დავინწყებთ ახალს, ენერგიულს, მზიურ ცხოვრებას. ოლია მე დღეს გადავდგი ასეთი ნაბიჯი. „ნარკომპროსში“ განთავისუფლდა ერთი ადგილი ლიტერატურული განყოფილების გამგისა (ლიტოს გამგე). აქ მსახურობდა აკაკი პაპავა... იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია სამსახურისთვის. [ხელოვნებისკავშირის გამგეობამ] პაპავას ადგილზე დაასახელა სამი კაცი: გაფრინდაშვილი, აბაშელი და ისევ პაპავა... ისე, დიპლომატიურად მინდა მოველაპარაკო ზოგიერთებს, მაგრამ, მგონია არაფერი გამოვიდეს. ძალიან კი მინდოდა ამ ადგილზე ყოფნა... ოლია, შეიძლება, როდესაც ლაპარაკი მოგიხდეს, ან ტელეგრამით შეატყობინო ნინას და მანიას, რომ ამ საქმეზე ენერგიულად ემუშავათ? რა ბედნიერება იქნებოდა ეს ადგილი მე რომ შემხვდეს. გარდა იმისა, რომ საქმე ლიტერატურულია – აღსანიშნავია ჯამაგირიც 500 000 (ნახევ. მილიონი) მანეთი და „აკადემიური პაიოკი“... ჩემი წიგნები ყველა დამიბრუნეს (მაგრამ არა ნარკომპროსმა – არამედ თვითონ „კომუნისტის“ რედაქციამ... ეხლა ეს წიგნები უნდა გავყიდო...“<sup>46</sup>

1927. „ქ. სოხუმში იმართება დიდი საღამო გალაკტიონის პატივსაცემად. სოხუმის ახალგაზრდობამ გალაკტიონს სახსოვრად მიართვა ოქროს ლირა წარწერით: „გალაკტიონს, პოეტების მეფეს.“<sup>47</sup>

[1927]. „ეს გამოცემა [ლექსები, თბ. 1927 წ. – მ.შ.] უნდა ჩაითვალოს უფრო პოპულიარულ წიგნათ... ეს გადაჯგუფება ლექსებისა გამომდინარეობს როგორც ტემების ღირებულებით, ისე იმ მიზნით, რათა წიგნი ხელმისაწვდომი ყოფილიყო მკითხველისათვის... საქართველოში გ. ტ. გავლენა უფრო დიდია, ვინემ რომელიმე თანამედროვე ქართველი პოეტის. მისი პოეზია მთლიანი და ნათელი ხაზია ჩვენი საუკუნის თითქმის ერთი მეოთხედის განმავლობაში. იგი არის უდიდესი სვეტი, შემქმნელი ქართული ახალი რომანტიზმის. იგი არის ნამდვილი ლიტერატურული გმირობა. წესი ამ გამოცემისა არ არის ქრონოლოგიური, მაგრამ თვალსაჩინოა ორი მომენტი – ლექსები 1917-ამდე და ლექსები 1917 შემდეგ. პირველი პერიოდი თავდება 399 გვ., ხოლო დანარჩენები მოდის 399 გვერდის შემდეგ. ყდა გაკეთებული ს. სუდეიკინის, კ. ზდანევიჩის და ვლ. ნილოსანის მიერ. ეს გამოცემა უნდა ჩაითვალოს პირველ გამოცემად, რომელშიდაც ავტორი შეეცადა შეეკრიბა თავის სხვადასხვა წიგნებში, ჟურნალებში და გაზეთებში გაფანტული ნაწერები. რა თქმა უნდა წიგნის სივრცის ზომის განსაზღვრული რაოდენობის გამო, ამ გამოცემაში არ შედის მისი ვრცელი პოემები და დიდი ნაწილი პირველი წიგნიდან. მისი ამოცანა იყო შეეკრიბა მხოლოდ დამახასიათებელი...“<sup>48</sup>

[1927]. ერთ უთარილო ჩანაწერში გალაკტიონს თავისი დიდი, 1927 წლის ლექსების, „ზარნიშანი“ წიგნის, შესახებ აღნიშნული აქვს: „... შემონმებულ იქნა 1927 წლის გამოცემა. წიგნში აღმოჩნდა უამრავი კორექტურული შეცდომები. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ბევრი ლექსი ამ წიგნიდან შეტანილი არ არის 1937 წლის გამოცემაში (პირველ ტომში). 3. 1937 წლის გამოცემის გულდასმით გადათვალიერებამ ცხადჰყო, რომ [უმრავლესობა] ყველა ლექსები ამ წიგნისა ამოკრეფილია 1927 წლის წიგნიდან. ზოგი მათგანი შესწორებულია. კორექტურული შეცდომები ამ წიგნში უფრო ნაკლებადაა, მაგრამ ამ წიგნს არ აქვს ის დიდი ღირსება, რომელიც 1927 წლის გამოცემას ახასიათებს, სახელდობრ: დიდ წიგნში (1927 წ.) ლექსები დალაგებულია თემატიური განხრით, რაიც ეფექტს მატებს წიგნს, მაშინ როცა 1937 წ. გამოცემაში ლექსები უსისტემოდაა განლაგებული. მომავალი გამოცემისათვის ჩვენ ვიღებთ 1927 წლის გამოცემის სისტემას თემატიურად დალაგებული ლექსებისას იმ შესწორებებით, რომელსაც იძლევა 1937 წლის წიგნი. მაშასადამე: 1. 1927 წლის გამოცემაში არის 552 ლექსი. 2. 1937 წლის გამოცემაში 397 ლექსი. 1937 წლ. გამ. აკლია 155 ლექსი. 3. 552+45 (1914 წ. ლექს.) – 597 ლექსი.“<sup>49</sup>

გალაკტიონის ლექსში „გორიდან,“ კონიუნქტურის გამო გამოტოვებული წინასწარმეტყველური მეოთხე და მეხუთე სტრიქონები: „სამხრეთ ოსეთის საზღ-

ვართან ვარ, აჰა, ტყვიავი. /მამასადამე, ბიჯი ერთი და საზღვარგარეთ!“ ეს სტრიქონები პირველი პუბლიკაციის მიხედვით (ლექსები. ტფ. 1927) აღადგინეს საარქივო გამოცემაში.<sup>50</sup>

„1927 წელს, პარიზში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წევრს, ნოე რამიშვილს, განზრახული ჰქონია საქართველოდან ერთი რომელიმე (ანტიკომუნისტურ პოზიციაზე მდგარი) ცნობილი მწერლის გამოყვანა თუ გამოწვევა (ფარულად) იმისთვის, რომ უცხოეთში დამკვიდრებულ ამ მწერალს შემდგომში საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ და ქვეყნიდან ძალადობით გაძევებული, კანონიერი ხელისუფლების სასარგებლოდ ემუშავა. ამის თაობაზე საუბარი ჰქონია ვალიკო ჩუბინიძესთან, რომელსაც მისთვის დაუსახელებია რამდენიმე პიროვნება შემდეგი თანმიმდევრობით: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დავით თურდოსპირელი (ჩხეიძე), გრიგოლ რობაქიძე. ნოე რამიშვილს ეს საკითხი იმავე წლის დეკემბერში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროში დაუყენებია. ბიუროს აურჩევია ამ საკითხის მომგვარებელი კომისია, სამი წევრის შემადგენლობით. მიუმართავთ ჯერ გ. ტაბიძისათვის და შემდეგ კ. გამსახურდიასათვის. ორივეს უარი უთქვამს ერთი მიზეზით: საქართველოში მეტის გაკეთებას შეეძლებო.“

ვ. ჩუბინიძე თავის ჩანაწერში („ჩემი დღიურიდან“) აზუსტებს ამ ფაქტს: „1927 წელს, როცა მოვათავე ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ინფორმაცია ნ. რამიშვილთან, მან შემეკითხა ქართველ მწერლების შესახებ, ვინ უფრო აქტიურობს, ან თუ ვისი ჩამოყვანაა სასურველი აქ სამუშაოდო, ჩემი პასუხი იყო – გალაკტიონ ტაბიძე. რაში გამოიხატება ეს გალაკტიონის აქტიურობა? – მკითხა ნოემ. მე მივუგე: გალაკტიონ ტაბიძემ შესანიშნავი ლექსი დაბეჭდა „მნათობ – 5-ში“, 1924 წლის აჯანყების შესახებ... ამ ნომერს მთლიანად რეკვიზიცია უყვეს... გალაკტიონს ძველ ბოლშევიკებს შორის ჰყავდა მეგობრები, რომლებმაც დაჭერას გადაარჩინეს... გ. ტაბიძე კარგია მითხრა ნ. რამიშვილმა მაგრამ რომ არ დათანხმდეს ჩამოსვლაზე, მაშინ?... ნ. რამიშვილმა ეს საკითხი (მწერლებთან მოლაპარაკება -მ.შ.) დაყენა ცენტრალურ ბიუროში 1927 წლის დეკემბერში. ბიურომ აირჩია კომისია: ნ. რამიშვილი, დათიკო შარაშიძე და ვასო ნულაძის შემადგენლობით. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, პარიზში, მსოფლიო მწერალთა ყრილობაზე დასასწრებად (1935 წ. – მ.შ.) ჩამოვიდა გალაკტიონ ტაბიძე. მის სანახავად, სხვათა შორის მივიდნენ სიმონიკა ბერეჟიანი, ილია ზდანევიჩი და ჩვენი გოგი ნოზაძე. არ ვიცი ესენი მიიღო თუ არა გ. ტაბიძემ, მაგრამ ნოე რამიშვილის დავალებით, ის ინახულა დათიკო შარაშიძემ, ერთად ივანშმეს, ბევრი იმუსაიფეს. გ. ტაბიძემ უარი უთხრა აქ ჩამოსვლაზე სამუშაოდ. მე იქ მეტს გავაკეთებო. მხოლოდ დ. შარაშიძემ ბევრი საინტერესო ცნობები მიიღო მისგან, რომელიც გამოიყენა მის წიგნში ანრი ბარბიუსის შესახებ.“<sup>51</sup>



**19 იანვარი.** ძვირფასო გალაქტიონ! მიიღე გულწრფელი სალამი ჩემგან და მთელი „არიფიონის“-გან... ახლა შემდეგი თხოვნა გვაქვს „არიფიონ“-ს. ალმანახის ბეჭდვას ამ დღეებში შევუდგებით. უშენოთ არ ივარგებს პირველი ნომერი და აბა, შენ იცი, ერთი კვირის ვადით – ე. ი. 28 იანვრამდის თუ მოგვანოდებ მასალას... დაგკოცნი – შენი ვ. გორგაძე.<sup>1</sup>

**15 თებერვალი.** ძვირფასო დედა. გისურვებ დიდი ხნისა და ჯანმრთელ ცხოვრებას. გავიგე, რომ თქვენს ცხოვრებაში ცვლილება მომხდარა და ძალიან მიხარია: ჩემი სალამი ჯერ უცნობ ჩემს მეგობარ ქალს, მხურვალე სალამი! მე კარგად ვარ. ველი ახალი წიგნის დაბეჭდვას, ვცდილობ, მალე მოვიშორო საქმეები და გინახულოთ. ოლიაც კარგად არის და მოკითხვას გითვლისთ. მაშ ასე, ნახვამდის, მომწერე წერილი. სალამი ყველას. მარადის თქვენი გალაქტიონი. 15 თებერვ. [1928].<sup>2</sup>

**1 მარტი.** დღეს, ხუთშაბათს, სალამოს 6 საათზე ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქციაში (ვოლოდარსკის ქ. 11, გაზეთ „ახალი სოფლის“ შენობა) შესდგება ჟურნალ „მნათობის“-ს თანამშრომელთა მორიგი ლიტერატურული თათბირი. თათბირს უნდა დაესწრონ: ა. აბაშელი, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გორგაძე, ვ. გაბესკირია, ს. ეული, გ. ტაბიძე...<sup>3</sup>

**3 მარტი.** ხვალ იხსნება საქართველოს მწერალთა კონფერენცია, მე არ მინდა დავესწრო. გალაქტიონი ისევ სოფელშია<sup>4</sup>

**28 მარტი.** ოპოზიციური საქმიანობისათვის ოლია პარტიიდან გარიცხეს.<sup>5</sup>

**30 მარტი.** „დღეს, პარასკევს, 30 მარტს, სალამოს 6 საათზე „მნათობის“ რედაქციაში შესდგება თანამშრომელთა ლიტერატურული წრის კრება. უნდა დაესწრონ: ა. აბაშელი, ბობოხიძე, ამაღლობელი, კ. გამსახურდია... გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე...“<sup>6</sup>

**3 აპრილი.** ძმაო გალაქტიონ! სად გარდაიხვეწე ამდენი ხანი, არსადა ჩანხართ, ღმერთმანი, მოგვწყინდა უთქვენობით, და ყოველთვის ერთიმეორეს ვეკითხებით: „სად არის გალაქტიონი? როდის ჩამოდის? და შემდეგ იწყება საუბარი და მოგონებები ხელოვნებაზე, პოეზიაზე, ლვინოზე და რომანტიკაზე. ღმერთმანი, უთქვენობით რაღაც მოაკლდა თბილისს, რაღაც სასიცოცხლო ძალის გამაღიზიანებელი. გალაქტიონ, რამდენიმეჯერ გადავიკითხე გულდასმით თქვენი ახალი წიგნი და ყოველთვის აღტაცებაში მოვედი. აქ გამართულია და გამართლებული ყოველი ლექსი თავის ფორმაში და შინაარსში. ეს წიგნი, უეჭველია, არის ქართული პოეზიის ძვირფასი საუნჯე უნაზესი ფერებით სავსე. ამ წიგნში ჩანს თქვენ გენიასთან თქვენი დიდი ლაბორატორიული მუშაობა. დღემდის უმაგალითოა ქართულ ლიტერატურაში ლექსის ამდენი ფორმების მოძებნა და ვფიქრობ, აწიც ვერავინ მონახოს იგი... მთელ წიგნში ქართული სიტყვის ძარღვების თამაში მონახულია და ვფიქრობ, ქართული პოეზია შენი ლექსების სახით ავიდა მაღალ

მწვერვალზე... დიდება და დღეგრძელობა შენ, პოეზიის ქურუმო, გალაქტიონ... გალაქტიონ, მე მითხრეს, შენ დიდი წვერები მოგიშვია და ძალიან დავინტერესდი. თუ შესაძლებელია, სურათი გადაიღე და გამომიგზავნე და, რომ ჩამოხვალ, დაგხატავ კიდევ. შენი ირაკლი ტოფაძე. ხელოვნების სასახლე, 1928, აპრილის 3.<sup>7</sup>

**[7 აპრილი].** „გალაქტიონ ტაბიძემ წარსულ წელს მხოლოდ ორი ლექსი გამოაქვეყნა. უფრო საყურადღებოა მათ შორის „ქალაქი წყალ ქვეშ“. აქ რომანტიულ ტონებში ახლის ძველთან დაპირისპირებაა... ეს ლექსი დაწერილია შედარებით მტკიცე ტონით და მის ბგერებში არ იგრძნობა ძველი, გალაქტიონისებური მოდუნება. მეორე ლექსი: „პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს, 1927 წ.“ შედარებით პირველთან სუსტია. თვით თემა, რომ პოეტი ძველის ნანგრევთა მოჩვენებებს ხვდება, ვერ არის ხაზგასმული და მოჩვენებები მართლაც მოჩვენებებად (მკითხველისათვის) რჩებიან. ცუდია სათაურში სიტყვა „მოჩვენებებთან.“ გარდა ამისა, ჩვენის აზრით, არ ვარგა როცა გალაქტიონ ტაბიძე აკაკი წერეთელს ბაძავს და აწერს ლექსს მხოლოდ სახელს („გალაქტიონი“)...“<sup>8</sup>

**9 აპრილი.** სრულიად საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს. სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა ცნობილ მწერალს გალაქტიონ ტაბიძეს დაუნიშნოთ გაძლიერებული პენსია. გალაქტიონ ტაბიძე უკვე ოცი წელია ეწევა ლიტერატურულ მუშაობას და ახლა ავად არის. სრულიად საქართველოს მწერლების ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი შ. რადიანი.<sup>9</sup>

**19 აპრილი.** „სალამოს შემხვდა ჩემი მარადიული მეგობარი და ძვირფასი პოეტი გ. ტ. ...ექვსი თვე არ მენახა. შემხვდა დღეს, უცებ ვიგრძენით ერთმანეთი. ბევრი ვისაუბრეთ ალექსანდროვის ბაღში. ბაღში ჩვენს გარდა სხვებიც იყვნენ. უცებ გავჩუმდით. მივდივართ და ქვეყანას იპყრობს ცისფერი ბინდი.“<sup>10</sup>

**5 მაისი.** სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველწლიურ გამოცემაში: „პოეზიის დღე“ დაიბეჭდა გალაქტიონის ლექსი: „დიდი ცეცხლი ქუთაისში! სამასამდე სახლი გადაინვა! ხუთიათასამდე მოსახლე უბინაოდ დარჩა“. შემდეგ ეს ლექსი იბეჭდებოდა სათაურით: „ცეცხლი ქუთაისში.“<sup>11</sup>

**23 მაისი.** ამხ. ვანო! როგორც მოგეხსენებათ, მე ამჟამად უბინაოდა ვარ. თქვენ დამპირდით ბინას, თუ მას სადმე აღმოვაჩინდი ამხანაგების დახმარებით. მე აღმოვაჩინე ბინა საბჭოთა სახლში. ბინა განთავისუფლდება პირველი ივნისისათვის შესდგება ორი პატარა ოთახისაგან. იმედი მაქვს, შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში და ამ ბინას მე მომცემთ, რადგან ბევრი სამუშაო მაქვს. გ. ტაბიძე. 1928, 23 მაისი.<sup>12</sup>

**16 ივნისი.** „გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „მნათობი“ (№ 5-6). ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა... გალ. ტაბიძე – ეპოქა...“<sup>13</sup>

[16 ივნისი]. ჟურნ. „მნათობში“ იწყება გალაქტიონის პოემის: „ეპოქა“ გამოქვეყნება. <sup>14</sup>

[26 ივნისი]. გამოვიდა ჟურნალი „ქართული მწერლობა“ № 5, რომელშიც დასტამბულია გალაქტიონის ლექსი „მოგონება გორკიზე.“ მოგვიანებით ამ ნაწარმოებს ავტორი აქვეყნებდა სათაურით: „ბოძთან ტრამვას უცდიდა მგზავრი.“ <sup>15</sup>

**27 ივლისი.** „გალაქტიონ! მუდამ გამარჯვებული ხარ და ანიც გამარჯვებული იქნები! შენ დარწმუნებული ვარ – გამარჯვებ ჩვენ მტერზეც! (ღვინოზე). ოღონდ შენ მოისურვე... არც ერთ კრებაზე ან სალამოზე დალეული არ ნახვიდე... ოლია! ძალიან ბევრი საქმე განუხებს... მაგრამ რაკი „ბედმა ასეთ დიდ კაცთან შეგაერთა, უნდა იზრუნო და ცხოვრების გზა შეუმსუბუქო. წვრილმან რამეზე მაგისი გონება ვერ ჩერდება, მაგის ნერვებზე ცოტაც კი მოქმედობს და ნუ გავამტყუნებთ – თუ მაინც და მაინც ჩვენზე ბევრს არ ფიქრობს. პატარა ხნის შემდეგ, აგარაკიდან რომ დაბრუნდება, ისევ ის კარგი ხასიათის გალაქტიონი იქნება. დასვენება საჭიროა... აბესალომი... დღეს გალაქტიონი მწერალთა სასახლეში იქნება 7 საათზე.“ <sup>16</sup>

[ივლისი 1928]. „... აქ ჯიხურში შენი სურათები იყიდება... ოლია, ბორჯომი...“ <sup>17</sup>

**4 აპრილი.** გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“ (№ 7)... შინაარსი: გალ. ტაბიძე – „ეპოქა...“ <sup>18</sup>

[4 აპრილი]. ჟურნალ „მნათობის“ მორიგ ნომერში გრძელდება გალაქტიონის პოემის: „ეპოქა“ ბეჭდვა. გალაქტიონმა მოგვიანებით ისინი ცალ-ცალკე დაასათაურა და ისე შეიტანა თავის წიგნში: „ეპოქა“ თუ სხვა გამოცემებში. <sup>19</sup>

[12 აპრილი]. ძვირფასო ოლია! ... უფრო მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩრდილოეთ კავკასიამ, გროზნო, ბესლანი, პროხლადნია, გიორგიევსკი... სულ ახლო სჩანდა კავკასიონის მთები და თვით იალბუზი, თერგი კი რატომღაც აქ არ არის ჩქარი. როსტოვში ვიყიდე და წავიკითხე მშვენიერი გაზეთი „Молот“... ასე ჩავედი მოსკოვში... ვნახე ბევრი ძველი ადგილები, გამახსენდა ბევრი რამ. პოვარსკაიაზე ჩვენი სახლი იმნაირათვე სდგას ურემონტოთ, წინა კედლებს კიდევ აჩნია ტყვიების დაღი... ბრონნაიაზე, იქაც, აქაც, ყველგან არის რაღაცა, რომელიც აღვიძებს მოგონებებს... აქ შეიძლება ტომების დანერა. მაგრამ ეს სხვა დროისთვის... მარადის და მარადის იქით შენი გალაქტიონი. <sup>20</sup>

**14 აპრილი.** „14 აგვ. მ. კახიანი. ორი კვირის შემდეგ დამპირდა, რომ გადამიყვანს ყოველთვიურ ჯამაგირზე მნათობში. მითხრა რომ დავახლოვებოდი კორშონს, „Ассоциация пролетарских поэтов“, ისინი ნასულნი არიანო სამხრეთში, შეიძლება ჩამოვიდენ კიდევ. უსათუოდ დავუახლოვდები...“ <sup>21</sup>

**[14 აბვისტო].** ოლია! ძვირფასო!.. შენ ყოველთვის იცი, რომ ჩემი მწუხარება არაა შემთხვევითი ხასიათის... ოლია, შენ იცნობდი განდევნილს... პოეტებსა, ძალიან ნიჭიერი... უდიდესი მეგობარი აკაკი წერეთლის, საუკეთესო მთარგმნელი დღეს გულის სიგანივრით გარდაიცვალა... უკანასკნელი მისი წერილი ჩემს შესახებ ასეთი იყო: „გალაკტიონ ტაბიძე – ეს დიდი პოეტია, უდიდესი განცდებით და უნაზესი გამოცემებით. გალაკტიონი ეს სულ განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. შეიძლება იმას ამიტომაც უწოდეს პოეტების მეფე. იგი განსაკუთრებულად გრძნობს ბუნების ხვაშიადს; იგი არ არის ჩვეულებრივი პოეტი და ამიტომაც მას სათუთის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი“. ეს სიტყვები ანდერძივითაა... აი, როგორ მაფასებდა მე იგი... გალაკტიონი. ოლია, თუ მე შენ გიყვარვარ, გვირგვინი, ან ყვავილები წარწერით: „ოლია ოკუჯავასგან“ უსათუოდ საჭიროა. გალაკტიონი...<sup>22</sup>

**21 აბვისტო.** „ანბანის დ-ს ხელახლა შემოღების შესახებ ლაპარაკობდა მ. ჯავახიშვილი; იგი საზოგადოდ ლაპარაკობდა ერთი მთლიანი ქართული მართლწერის შესახებ, „არიფიონისთვის“ მისი დაკანონების შესახებ... ხმები გაიყო ორად: მ. ჯავახიშვილი, პეტრე ქავთარაძე, ი. ტატიშვილი, ილა მოსაშვილი, ვ. გორგაძე... მე თავი დავიჭირე... შემდეგი ჩვენი კრება იქნება ორიგინალურ გარემოებაში. გადავწყვიტეთ ზეგ ვიყვეთ კახეთში.“<sup>23</sup>

**23 აბვისტო.** 12 არიფი: მე, ჯავახიშვილი, გერონტი, ლეო, პეტია ქავთარაძე და სხვ. ვიყავით კახეთში. ჩვენთან იყო მუშიშვილი. ბანკეტზე მან თქვა: „არიფიონი“ ძლიერი მოვლენაა საქართველოში... ვიცინეთ, ვიმხიარულეთ, ვიმღერეთ, ვსვით მაჭარი. ყველაფერი ეს იყო ილა მოსაშვილის სახლში...<sup>24</sup>

**24 აბვისტო.** „ტფილისში ვართ. ლეო ქიაჩელი შემხვდა: კარგი იქნება „არიფს“ ჰქონდეს გაზეთი, ყოველკვირეული – ვთქვი მე. დიდებული იქნება... გადავწყვიტეთ მომავალ კრებაზე დავსვათ ეს საკითხი...“<sup>25</sup>

**30 აბვისტო.** გალაკტიონის უსათაურო ლექსის „... ვერაფრით დამძალავდა ბედი...“ თარიღია: „1928 წ. 30 აგვისტო. მოსკოვი.“<sup>26</sup>

**[აბვისტო].** 1928 წლის აგვისტო – გალაკტიონი კომინტერნის მე-6 კონგრესზე დასასწრებად მოსკოვში მიემგზავრება.<sup>27</sup>

**[აბვისტო].** როგორც მოსკოვში ყოფნის დროს მოგახსენეთ, ჩემი მატერიალური მდგომარეობა იმდენად აუტანელია, რომ შეუძლებელი ხდება ლიტერატურული მუშაობის განგრძობა. ამის გამო, როგორც გიამბოთ, მე გადავწყვიტე, გადავიდე ჟურნალ „მნათობში“ მუდმივ თანამშრომლობაზე; მივიღებ რა განსაზღვრულ, ყოველთვიურ ჰონორარს, ჩემთვის შესაძლებელი იქნება, უარი ვთქვა იმ ჰონორარზე, რომელიც მომიწევს ჟურნალის ყოველ 2-3 ნომერში მოთავსებული მასალისათვის [1928].<sup>28</sup>

**1 სექტიმბერი.** მე ვნახე საოცარი სიზმარი 1 ენკენისთვის ღამით, შემოდგომის დასაწყისში. ეს იყო დიდი ოთახი, წიგნებით სავსე. Хитрость и доброжелательство. Если верить снам, этот сон безусловно что-то предсказывает – хорошее.<sup>29</sup>

**[სექტიმბერი].** გალაკტიონმა კომინტერნის მე-6 კონგრესის დელეგატებთან ერთად დონბასში, უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში იმოგზაურა.<sup>30</sup>

**[2 ოქტომბერი].** გრძელდება გალაკტიონის პოემის „ეპოქა“ ბეჭდვა ჟურნალ „მნათობში“. პოეტმა შემდგომ ეს ნაწარმოებიც დააცალკევა და სათითაოდ დაასათაურა.<sup>31</sup>

**[2 ოქტომბერი].** „გალაქტიონ ტაბიძის პოეზია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ქართული რომანტიული ლირიკის ისტორიაში – მისი შემოქმედებითი გზა მეტად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია. მაგრამ ამავე დროს მეტად ძნელი და დაკლაკნილი: პოეტის სამწერლო განვითარება მთელი 20 წლის მანძილზე სავსეა წინააღმდეგობებით. პირველ ხანებში უკიდურესი პესიმისტი და დღეს კი პროლეტარული რევოლუციის ლიტერატურული თანამგზავრობისკენ მლტოლველი. აი, გ. ტაბიძის მხატვრული ევოლუციის ორი უმთავრესი და უკიდურესი პოლიუსი... უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტაბიძე არ წარმოადგენს მთლიანი მხატვრული მსოფლმხედველობის პოეტს – ის გაორებულია, დისჰარმონიულია, ხშირად მეტად სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილების გავლენის ქვეშ მოქცეული, მაგრამ, როდესაც კითხულობთ გ. ტაბიძის ლექსებს, იქ შთაბეჭდილება რჩება, რომ უმეტეს შემთხვევაში პოეტი არც კი ცდილობს თავი დააღწიოს ამ დისჰარმონიულობას. რევოლუციამ გ. ტაბიძეში აღფრთოვანება და ოპტიმიზმი გამოიწვია. პოეტი რომანტიკოსი გაიტაცა რევოლუციის ლამაზმა სანახაობამ... „გათენდა, ცეცხლის მზე აენტო...“

საქართველოს გასაბჭოებამ გ. ტაბიძეს ფართო ასპარეზი გადაუშალა. ამ ხანიდან იწყება გ. ტაბიძის შემოქმედებაში ძველი, პესიმისტური რკალის უფრო ფართედ და საფუძვლიანად გარღვევა და თანამედროვეობასთან უფრო დაახლოვება... 1917 წლამდე გ. ტაბიძე უცხოა ჩვენი დროისთვის. საქართველოს ოქტომბრის შემდეგ კი გ. ტაბიძე, ისევე როგორც რუსეთში ა. ბლოკი, იცვლის ტონს... დღეს გ. ტაბიძის შემოქმედების ძირითადი განწყობილებაა რევოლუციონური რომანტიკა, რევოლუციონურ მოვლენათა გრანდიოზულობით და სიძლიერით გატაცება: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია...“ ამგვარად, გ. ტაბიძემ შემეცნებით თუ არა, მსოფლათვისებით მაინც საკმაოდ მტკიცედ განსაზღვრა თავისი ადგილი პროლეტარიატის უდიდეს ბრძოლაში არავითარ წუთიერ და ნახევრად მისტიურ განწყობილებებს არ შეუძლია დააბნელოს გ. ტაბიძის საზოგადოებრივი თანაგრძნობა. რასაკვირველია, გ. ტაბიძე არ არის კლასიურრევოლუციონური პოეზიის წარმომადგენელი. მის შემოქმედებაში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი, გაურკვეველობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედების უკანასკნელი პერიოდი გარკვეულადაა მიმართული რევოლუციონ-

ნური პოეზიისკენ. გ. ტაბიძე გამომხატველია ინტელიგენციის იმ ფენის, რომელმაც რომანტიულად მიიღო რევოლუციის სტიქია. მან იცის, რომ ერთად ერთი შესაძლო წინსვლისა არის პროლეტარულ რევოლუციასთანთანამშრომლობის გზა. რამდენადაც ეს შეგნებული აქვს გ. ტაბიძეს იმდენად ის პროლეტარული რევოლუციის ლიტერატურული „თანამგზავრია“.<sup>32</sup>

**[22 ნოემბერი].** ჟურნალ „მნათობის“ მორიგ ნომერში იბეჭდება გალაკტიონის პოემა „ეპოქა“ (გაგრძელება). აქ გამოქვეყნებული მასალაც გალაკტიონმა მოგვიანებით დაასათაურა და ისე შეჰქონდა შემდგომ გამოცემებში.<sup>33</sup>

**1928.** „გაზეთ „მერცხალში“ (გამოდიოდა ქუთაისში 1912-1913 წლებში)... პოეტებიდან ჩვენი დავალებით და ჩვენთან ერთად მუშაობდნენ: ვ. რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე (მაშინ თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს), გ. ქუჩიშვილი და სხვები... პარტიის პროფესიონალური მომუშავენი იმ დროს მძიმე ეკონომიურ პირობებში მუშაობდნენ... საჭირო შეიქნა წყაროს გამოძებნა. ამ მიზნით ქუთაისის ორგანიზაციამ განიზრახა დიდი ლიტერატურული საღამოების მოწყობა. ერთი ასეთი საღამო მოეწყო ქუთაისში. რომ პოლიციას ეჭვი არ აეღო, რომ ეს იყო კომიტეტის საქმე, საღამოს დაერქვა გ. ტაბიძის საღამო და როგორც ღარიბი პოეტი, ის მიიღებდა შემოსავლიდან წილს. საღამომ შემოსავალი მოგვცა 300 მანეთზე მეტი... მონაწილეობა მიიღეს ქუჩიშვილმა, ვ. რუხაძემ, ია ეკალაძემ, ნოე ჩხიკვაძემ... ია ეკალაძესთან – რომ მას საღამოში მონაწილეობა მიეღო, წავედით მე და პლებეიშვილი (გაბრიჩიძე), (როგორც მახსოვს, თვით გალაკტიონ ტაბიძეც იყო). ია ეკალაძემ კარგათ მიგვიღო, მხოლოდ გვითხრა: სოც. დემოკრატების სასარგებლოდ მე არ გამოვალ, მაგრამ თქვენ ისე მოგიჭახრაკებიათ საქმე, რომ სახელათ გალაკტიონ ტაბიძის საღამო დაგირქმევიათო. გალაკტიონ ტაბიძეს დიდათ ვცემ პატივს და ამიტომ უთუოდ მივიღებ მონაწილეობას“.<sup>34</sup>

**[1928].** გიდგენთ ცნობას ჟურნ. „მნათობი“-ს რედაქციაში ჩემი თანამშრომლობის და საშუალო თვიური შემოსავლის შესახებ. გთხოვთ ჩამრიცხოთ განათლების მუშაკთა კავშირის წევრად.<sup>35</sup>

**[1928]** „ძვირფასო, ყოველ მინუტში, ტკბილად საგონო, სანახავათ სანატრელო ჩემო გალაკტიონ! პ-დ ვისურვებ თქვენთვის ყოველივე კეთილს, რომ ყოფილიყო ჯანმრთელად და როგორც ხარ, კიდე მეტი სასახელო ურცხვენელათ გაგეტარებოთ თქვენი ახალგაზრდობა... ამდენი ხანი გავიდა, ერთი წერილის ღირსიც აღარ შევიქენი... ოლიასთან უკაცრავათ, საკუთარი წერილი უნდა გამომეგზავნა. ეს შენი ბრალიც არის რამოდენივე, თუმც ერთი არ გამაცანი, არც მანდ წამიყვანე, არც აქ მომიყვანე... სულ ყოლგან დადიხარ და აქ უნდა უფრო გეხარებოდეს მოსულა... ამ ორ-სამ დღეში აქ უნდა იქნეთ იცოდე... სხვა კიდევ, ჯერ თქვენგან გაუცნობელმა თქვენმა რძალმა ტატიანამ მოგიკითხა... შენგან მოძულეებული დედაშენი მაკ.“<sup>36</sup>

**[14 იანვარი].** გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“ 1928 წლის № 11-12, რომელშიც დასრულდა გალაკტიონის „ეპოქას“ გამოქვეყნება.<sup>1</sup>

**25 იანვარი.** სალამი გალაკტიონს! როგორ ხარ? რაა მიზეზი, რომ არც ჩამოდი და არც წერილს არ იწერები. გაიგებდი უთუოდ, რომ მე ცოლი შევირთე. ქალი მასწავლებლობს ჩვენს სკოლაში... მე ერთი თვის წინად თბილისში ვიყავი; შენ ბევრი გეძებე. მაგრამ ვერსად გიპოვნე: შენ მისამართს ხომ ვერავინ გაიგებს, შემდეგ წერილი დავტოვე ოლიასთან: გთხოვდი ჩამოსულიყავი... ჩვენ კარგათა ვართ. ბუხრები გავაკეთე, შენ ხომ სულ ამაზე მისაყვედურებდი... გულწრფელი სალამი თქვენი უცნობ რძლისგანაც... აბესალომი.<sup>2</sup>

**20 იანვარი.** „იყო სალიტერატურო დისპუტი მუშათა სასახლის დიდ დარბაზში... მოხსენების თემად პ. ქიქოძესა ჰქონდა: „ქართ. მხატვრ. პოეზია და პროზა 1928 წელს“. მან აღნიშნა პირადად ჩემი დიდი მიღწევები, აგრეთვე ნაროუშვილის, დანარჩენები ყველა დაცოცხა... [მივიღე აბესალომის წერილი] ფული არ მაქვს.<sup>3</sup>

**31 იანვარი.** ვიყავი სასახლეში თათბირზე, რომელსაც დაესწრო 20-მდე მწერალი, უფერულად ჩატარდა. მე კარგად მიყურებდენ. ფული კიდეც არა მაქვს.<sup>4</sup>

**1 თებერვალი.** ფული აღარა მაქვს სრულიად. იმედიც არავისა და არაფრის. კატასტროფიული მდგომარეობაა...<sup>5</sup>

**4 თებერვალი.** „სრ. საქ. მწერალთა კავშირს. გთხოვთ, მომცეთ მოწმობა იმის შესახებ, რომ მე ვითვლები თქვენი კავშირის წევრად და ვარ უმუშევარი. გ. ტაბიძე, 4 თებერვალი, 1929.“<sup>6</sup>

**4 თებერვალი.** გამომცემლობა „შრომა“-ს. გთხოვთ, გამოსცეთ ჩემი რჩეული ნაწერები I, II და III ნიგნებიდან. ეს მასალა ჩემ მიერ წარმოგედგინებათ პირველ მოთხოვნისთანავე. გ. ტაბიძე.<sup>7</sup>

**9 თებერვალი.** ცნობა. პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ნამდვილად არის სრულიად საქართველოს მწერალთა ფედერაციის წევრი, როგორც ერთეულად შემავალი მწერალი და ამჟამად არის უმუშევარი. სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი შ. რადიანი. საქმეთა მმართველი ირ. ქავჭავაძე.<sup>8</sup>

**14 თებერვალი.** მთავარხელოვნებას. წელს შესრულდა 20 წელიწადი, რაც სალიტერატურო ასპარეზზე ვმუშაობ (1908 წლიდან). ამ ხნის განმავლობაში მე ვთანამშრომლობდი მრავალ საუკეთესო ქართულ ჟურნალებში და გაზეთებში. გამოცემულია ჩემი ნაწერების I, II და III ტომი. უკანასკნელი ნიგნი, სახელგამის მიერ გამოცემული, შეიცავს 600 გვერდს, შიგ მოთავსებულია 1000-მდე ლექსი. ცალკე გამოცემულია აგრეთვე პოემა „ჯონ-რიდი“, სულ მოკლე ხანში გამოვა რე-

ვოლუციონური წიგნი „ეპოქა“... 20 წლის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდი მრავალ სალიტერატურო საღამოში, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებული რევოლუციონური ნაწარმებით; ვრედაქტორობდი სახელოვნო ჟურნალებს. კრიტიკა და საზოგადოებრივობა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან მე მთვლიდა პირველხარისხოვან პოეტად, ერთხმად აღიარებდა ჩემს მიღწევებს შემოქმედების სფეროში, ნიჭსა და თანამშრომლობა თითქმის უანგაროა. იმ გარემოებამ, რომ რევოლუციონური 1917 წელი მე გავატარე პეტროგრადსა და მოსკოვში, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს შემოქმედებაში: პირველად ჩემმიერ იქნა გადადგმული ნაბიჯი რევოლუციონური პოეზიის შესაქმნელად საქართველოში. მაგრამ იმავე გარემოებამ ფიზიკურად დამაავადმყოფა.

შემდეგი წლების შიმშილმა, უბინაობამ, უტანსაცმლობამ სრულიად გამანადგურა. ამჟამადაც მოკლებული ვარ ფიზიკური არსებობის ყოველგვარ საშუალებას. ასეთ კატასტროფულ მდგომარეობას ზედ დაერთო ავადმყოფობა, რომელიც საშუალებას არ მაძლევს დამშვიდებულად ვემსახურო ჩემს საყვარელ საქმეს. გაცნობებთ ყოველივე ამას სავსებით დარწმუნებული, რომ თქვენი მზრუნველობა ხელოვნების მსახურთადმი და აგრეთვე ციფრი XX საშუალებას მომცემს მე, ამდენი ტანჯვის ამტანს, ცოტათი მაინც ადამიანურად მოვანყო ჩემი ცხოვრების, შესაძლებელია, უკანასკნელი დღეები. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>49</sup>

**22 მარტი.** ... დღესაც ავადა ვარ. მუშაობა არ შემიძლია. საერთოდ მდგომარეობა კატასტროფულია. არსაიდან ჯერჯერობით იმედი არა მაქვს, რომ საიდანმე გაჩნდება სულ ცოტა მაინც ფული, რომ პაპიროსი მაინც მექნეს, თუ სადღილი არა. გადაუხდელია წყლისა და ბინის ქირა. სულ ადვილად შეუძლიან გადამასახლონ ბინიდან... სახელგამიდან პასუხი არ არის „ეპოქის“ გამოცემის შესახებ. მთავარხელოვნებიდანაც პასუხები არაა XX წლის მუშაობის აღნიშვნის შესახებ. „მნათობიდან“ პასუხი არაა იქ თანამშრომლობის შესახებ. ერთად ერთი პასუხი გამომცემლობა „შრომის“-განაა. იგი თანახმაა, გამოსცეს ჩემი რჩეული ლექსები. მაგრამ... როგორ უნდა შესდგეს „რჩეული“ ლექსები. ავტორისათვის ყველა ლექსი რჩეულია. მე ... შევეცდები შევარჩიო, მაგრამ იქნება კი ესე, როგორც საჭიროა? გარდა ამისა წიგნი გამოვა ერთი ან ორი თვის შემდეგ. მანამდე? მანამდე? რა უნდა ვქნა, როგორ ვიმუშაო მანამდე? ხომ შეიძლება, ბინა დავკარგო მანამდე, ხომ შეიძლება შიმშილმა წამაქციოს სადმე მანამდე?.. ყოველ შემთხვევაში. დღეს დავინყე „ეპოქი“-ს გადამუშავება. ვინ იცის რა მოხდება?.. არც ერთი მეგობარი, არც ერთი ოჯახი ტფილისში... აქ, მახლობლად სამკითხველოა, რომელიც ცხრა საათზე იხურება. ეხლა სამი საათია, მაშასადამე მთელი ექვსი საათი შემიძლია გავატარო სამკითხველოში. მშიერი მე ვზივარ სამკითხველოში ექვსი საათის განმავლობაში, ვკითხულობ გაზეთებს, ჟურნალებს. დამავინყდა შიმშილი. დამავინყდა რომ ავადა ვარ! მერე როგორ ავადა!.. დახურეს სამკითხველო... და ხეტიალი. თოვს. ხეტიალი ავადმყოფისა და უფულო კაცის. ღამით. გავიარე პლენხანოვის პროსპექტი ვორონცოვის ხიდან... გამარჯობა – დამიძახა ვილაცამ... ვილაცა გადარეული ლაუ სორტელია. „ბატონო გალაკტიონ“ აქეთ რამ წამოგაყვანათ?.. ნავიდეთ, ღვინო დავლიოთ. მაგრამ მე ფული არა მაქვს. აი, აი, აი, ჩე-



მი მეგობრები... მომიხდა დღეს ქეიფი მეკუბოვეებთან, დამმარხველებთან... აი, სანამდე მიგიყვანს შიმშილი!.. ვბრუნდები ჩემს ოთახში... ვწყვეტ წერას: იმდენი უსინდისოა ამ სახლში, ე.ი. ჩემს ოთახში, როგორც ეტყობა, არავინ ჩემი პატივისმცემელი არ არის ამ სახლში... ეხლა მთვრალი ვარ და იმიტომ ვწერ. ხვალ ფხიზელი შევწახდები... ზიზღი სახლისადმი: Крыловская 10 – ჩაინეროს ამ ქალაქში, აფხანიკებო!.. ეეეჰ! [მე მთვრალი ვარ დღეს].<sup>10</sup>

**1929 წლის 22 მარტს** ნასვამს ჩაუნერია:

„მისაყვედურებს ბევრი, / მაგრამ მე მესმის მათი,  
მათ კი არ ესმით ჩემი, / კრილოვის ქუჩა, 10  
აქ ჩემს მესამე სართულს / მთვარე ანათებს ღამით,  
გათენებამდის ვწუხვარ / ლიტერატურულ შხამით.“<sup>11</sup>

**23 მარტი.** „ – დილით ვიყავი ხელოვნების მთავარ სამმართველოში, პასუხი ჯერ კიდევ არ არის. – ეპოქის შესახებაც იმგვარადვე. მნათობში ლექსი ჯერ არ აწყობილა. – ფული არსაიდან არ არის... რუსთაველის პროსპექტზე დადიან „პოეტები“ – Как сыпно-тифозные призраки ოცნებობენ ჭიქა ღვინოზე. აწყობენ მანეთის შოვნის გეგმებს. მაგრამ სრულიად უიმედონი არიან. უიმედობა! ო, უბედურთა თავშესაფარო... შევედი სამკითხველოში გაზეთებისათვის. შემხვდა ბენო გორდეზიანი. – კარგი იქნება – ვუთხარი, – ერთი ქართული ყოველკვირეული გაზეთი. სპეციალურად სახელოვნო. დიდებული იქნება – მაგრამ ნებას არ მოგვცემენ. – რატომ? – თანამედროვეობა მხოლოდ მუშკორებით გამოჩენას სცდილობს. რუსეთში ლეჟია, ისიც დახურეს და მოითხოვეს, რომ ლეფელებმა იმუშაონ კოლექტიურად, ხელისმონერაც კი არ უნდა იყოსო. – ეგ არასდროს არ მოხდება, რადგან შეუძლებელია. მე გეუბნებით ფაქტს. მერე? საერთოდ უნდა გაჩერდე და დაუცადო. ისტორიულად გარდამავალი ხანაა. დიდი მსოფლიო ამბების მოხდენის ხანაა. დიდი ამბები უნდა მოხდეს. მოგებული ის დარჩება, ვინც გაჩუმებული იქნება, დავიცადოთ უნდა. – ?!..<sup>12</sup>

**24 მარტი.** კვირა. საუცხოვო მზიანი დღეა. სჩანს, გაზაფხულდა. მე კი ორი დღეა არა მიჭამია რა. მაინც კარგია გაზაფხული. რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდობა სწუხს უკასტუმობაზე: გავიხდით პალტოს, ტანისამოსი კი არა გვაქვსო. მოვედი სახლში, ჩაკვეტე კარები და ვწევარ. მწოლიარე კაცი უკეთესად იტანს შიმშილს. შევუდექი „რჩეული“ ლექსების დამზადებას, ვნახოთ, რა გამოვა. ღამით საოცარი სიზმრები მესიზმრებოდა. ვინ გინდა არ იყო ამ სიზმრებში: ახლობლები და შორეულები: პირადათ მე საკუთარი ხელით დაბლობიდან მალლა მთაზე ავიტანე უზარმაზარი მატარებელი! ტროცკი, სტალინი, ყველანი იყვნენ. ასე კარგია სიზმრები. ასე კარგია გალიუცინაციები. სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე. ეხლანდელი სინამდვილე კი... განსაკუთრებით ჩემი... ღმერთმა შეინახოს. მსოფლიო შემოსილია მხოლოდ შავი, საშინელი სინამდვილით. საბრალო პოეტი. რა უნდა ჰქნას წინანდელმა პოეტმა?<sup>13</sup>

**[31 მარტი].** „მნათობში“ გამოქვეყნდა გალაკტიონის „ლექსი დანერილი „მნათობი“-ს 5 წლის არსებობის გამო.“<sup>14</sup> შემდეგ ეს ნაწარმოები იბეჭდებოდა სათაურით „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“.

ჟურნალის ამავე ნომერშია „მნათობის გენერალური სარჩევი, 1924 წლის თებერვლიდან 1929 წლის მარტამდე დაბეჭდილი მასალები... ტაბიძე გალ.: 1) „ქარი“ 1924, №2; 2) „აღმოსავლეთი“, № 3, 1924; 3) „ჯონ რიდი“, № 4, 1924; 4) „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, № 7-8, 1924; 5) „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“, № 5, 1924; 6) „1917“, № 6, 1924; 7) „ეს არის გუგუნი მთელი ეპოხის“, № 1, 1925; 8) „ასი ლექსი“ № 10, 1925; 9) „პოემა ვეფხვისა“, № 1, 1926; 10) „კოსმიური ორკესტრი, №7, 1926; 11) „პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლუციური მუზეუმის წინ 7 ნოემბერს 1917 წ.“ № 10, 1927; 12) „ეპოქა“, № 5-6, 7, 8-9, 10, 11-12, 1928; 13) „ლექსი დანერილი „მნათობის“ ხუთი წლის არსებობის გამო“, № 2-3, 1929“.

**1 მაისი.** „მე ენა არ მემორჩილება ვთქვა ის, რისი თქმაც აუცილებელია. რანაირი დღე იყო დღეს? იყო იგი სიხარულის დღე? არა. მაშასადამე, კლასს – არა სცალია სიხარულისთვის. კალონები მანიფესტანტების მიდიოდენ უხმოდ, დაღვრემილნი, წარბშეჭმუხვნილნი, საშინლად წარბებშეჭმუხვნილნი... თითქო მათი დღესასწაული არ იყო დღეს. ნამდვილად დღეს არავისი დღესასწაული არ იყო, იყო ოფიციალური დღესასწაული, იყო აუცილებლობა. ძალით გამოყვანილი ხალხი. მასსა, რომელმაც იცის საიდუმლო. მასსა. (ხმალაძე, მილიციის უფროსი, სთხოვდა მანიფესტანტებს, ემღერათ გულით, მიქაძე ჯოხით უმასპინძლებოდა ქუჩის მეორე მხარეზე გადამსვლელებს...)“

მან დაარახუნა კარებს... „მოზრდნით – ვუთხარი მე და სკამი მივანოდე. იგი არ დაჯდა... ის ამბობდა: „ჩემი ცოლი საჭიროებს ვანნას, ამიტომ თქვენი ოთახი ჩემთვის საჭიროა. შალიკომ ეს იცის. მან მირჩია, რომ ოლია დამეყენებია ფაქტის წინაშე.“ თუ იგი არ თანხმდება, მე იძულებული ვიქნები, საბინაო ამხანაგობას შევატყობინო, რომ სამხედრო ბინას იჭერს კერძო კაცი. მაშინ თქვენ ძალით გადაგასახლებენ.“ „... ბინა არ მყოფნის, თქვენი ოთახი ჩემთვის ზედგამოჭრილია.“ „ოლიას და შენ მშვენიერად გეყოფათ ჩემი პატარა ოთახი...“ „რაც შეეხება, თქვენ რომ აქ მეორე ოთახის გაკეთება გსურთ, ეს მოუხერხებელია... ჩვენ ნებას არ მოგცემთ აქ ბინის, ახალი ოთახის მომატებისას.“ „ერთი სიტყვით, თუ თქვენ ნებით არ დასცლით ოთახს, სულ ერთია, ძალას მივმართავ“ – და სხვ... საერთოდ იგი არამზადულად მსჯელობს. იქცევა, როგორც არამზადა. იგი არა თუ იმუქრება, ძალით გადასახლებით, ცდილობს დამარწმუნოს, რომ მას აქვს ამის მორალური უფლება. გამოდის, რომ სამხედრო პირს არა აქვს უფლება თავისთან დააყენოს საკუთარი და (ამ შემთხვევაში შალიკოს).

3. დაბეჭდილია აღმასკ. პირველ სტამბაში. ტირაჟი 2500. სახელგამი.№.. მთავლიტი №... ყდა კ. ზდანევიჩისა. დღეს სტამბაში: 1. ყდა და კლიშე სურათების. 2. სახელგამში: გაგზავნილია თუ არა? 3. რას იტყვიან???

1. რას ნიშნავს: კაცი არ ვყოფილვარ, თუ მაგ წიგნი გამოვიდეს ქართულ ენაზეო? როგორ? რა არის, მუქარა?.. პირადულია? სხვა არაფერი!.. აკადემიკოსი

მარი მაფასებს, მთელი ქვეყანა მაფასებს. და აღმოჩნდა, რომ – გაიძახის. შეიძლება პოლიტიკური რაიმე იყოს ჩემს წიგნში? სრულიად არაფერი! მაშ, რა უნდა პ. საყვარელიძეს? მხოლოდ თავისი პირადი ძლიერების გამოჩენა, ვითომ, აი, შეხედეთ ვინა ვარო.“<sup>15</sup>

**18 მაისი.** 18 მაისს, სალამოს, ბაქოს რადიო-სადგურში მოენყო ქართველ მწერალთა გამოსვლის რადიო-გადაცემა... ლექსები წაიკითხეს: გალაქტიონ ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, პაოლო იაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, კ. კალაძემ, კონსტ. ლორთქიფანიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ტ. ტაბიძემ, ს. შანშიაშვილმა და სხვ.<sup>16</sup>

**30 ივლისი.** 1. ჩემი წიგნი, სახელგამის გამოცემა 27 წლის – არ არის გამოფენილი მაღაზიის ვიტრინებზე. არც სახელგამში, არც სხვაგან – ასე გრძელდება [3]5 წლის განმავლობაში. დღეს გამოვიარე მარშანიასთან (მოსკოვის სააგენტო), არც იმას აქვს. სპეციალურად უნდა გადავდო დღე ყოველივე ამის მოსაგვარებლად. არც „ჯონ რიდია“. მიღებული უნდა იქნას ზომები.<sup>17</sup>

**30 ივლისი.** „ეპოქა“ გადაეცა პირველ სტამბას. კორექტურა არნო ონელი...<sup>18</sup>

**30 ივლისი.** გამომცემლობა „შრომა“-ს! ვინაიდან მატერიალურ სივინროვეს განვიცდი, გთხოვთ მიღებული ჩემი წიგნის ჰონორარის ანგარიშში გამომინეროთ (100 მანეთი).<sup>19</sup>

**[29 აგვისტო].** მხურვალე სალამი, ჩემო ოლია. შენ მშვენიერად იცნობ ამ თავგებს, რომლებიც ჩემს გვერდით სცხოვრობენ კრილოვის ქუჩაზე. როდესაც შენ ამბობდი, ჩემი წასვლის შემდეგ თავზე დაგაჯდებიანო... ისინი მხოლოდ შურს ძიობენ იმის გამო, რომ მე მათ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ, როგორც ქალებს, მე ისინი მიმაჩნიან მხოლოდ ბოზებად... მე ძლიერ მიხარია, რომ ისინი გაბრაზებულები არიან. მე არავისში არ გავცვლი ერთს ძვირფასს, ყველაზე უფრო საყვარელ ადამიანს, ოლიას. გალაქტიონი.<sup>20</sup>

**[აგვისტო].** „ძვირფასო დედა! ჩემო დედა! შენმა წერილმა მე მომკლა! დედიკო! რატომ იწერები, რომ მე ყოველ წამში შენთვის სანატრელი ვარ. არა, დედა, შენ გენაცვალე, ჩემზე ნუ ფიქრობ. თუ არ მოგკვდი, სწორედ უცრხვნელად, როგორც შენ გინდა, გავატარებ ჩემს ახალგაზრდობას. შენ იწერები: „შენგან მოძულეებული“!!! ძვირფასო დედა, შენ არ შეგფერის სთქვა: „შენგან მოძულეებული“. ო, ჩემო ძვირფასო დედა!.. დედიკო ურიცხვი კოცნა!!!.. დედა, რაც შეეხება ჩემს ეხლა ჩამოსვლას – ჩემთვის ძალიან ძნელია... სწორედ ახლა იბეჭდება, დედიკო, ჩემი ოთხი წიგნი. შეიძლება ორი მაინც მალე მოთავდეს. მე, თუ ეს მოთავდა, მოვალ...“<sup>21</sup>

**[ზაფხული].** Я четырех часов сидела у тебя голодная, выпила чай и поела немного хлеба, хотелось и тебе оставить. Хотела занять денги, не достала, знаю и у тебя ни копейки.<sup>22</sup>

**5 სექტემბერი.** „სალამი ძვირფას პოეტს გალაქტიონს! თქვენ გაიკვირვებთ ჩემს წერილს... აღშფოთებული გწერთ, ვინაიდან ერთმა მეგობარმა დღეს მომიყვავა თქვენი მეზობლების ამბავი. მაქ, სჩანს, მოკალათებულან კულაკური და აზნაური ელემენტები, რომელნიც მიჩვეული არიან ბატონ-ყმობას. ამხანაგმა გადმომცა, გალაქტიონთან ვიყავი ერთხელ, გალაქტიონი არ დამხვდა, მაგრამ მის კარებთან და ფანჯარასთან ერთი ამბავი იყო... მაშასადამე, შენ ვერც კარს ალებ და ვერც ფანჯარას. სინდისი სადა აქვთ, პოეტს ასეთ რომ ექცევიან? მეორე დღეს მისულა დილით, არავინ ყოფილა. შენს ფანჯარა – კარებთან ვილაცის ლოგინი ეგდოვო, გალაქტიონის ნაფთიანი ბოთლები ნაქცეული და დაღვრილი და სხვა... ამდენი მიბრძვია ამდენი ხანია საბჭოთა დიქტატურისთვის და ეს საზიზღროება კიდევ?! თქვენ გაჩუმდით. მე ჩამოვალ და ყველას წავაყენებ იქ, სადაც საჭიროა. გავიგე თქვენი ძვირფასი მეგობრის და რევოლუციონერის [...] მისამართი. უნდა ვნახო...[ხაშური] (უცნობი პირის წერილიდან).“<sup>23</sup>

**14-16 სექტემბერი.** ქ. გორი. 14-16 ენკენისთვე, 1929...<sup>24</sup>

**16 სექტემბერი.** საქ. სახელმწიფო გამომცემლობას. გთხოვთ, ჩემი წიგნის „ეპოქა“-ს ანგარიშში გამომიწეროთ ასორმოცდაათი (150) მანეთი, რის ალებასაც ჩემის ავადმყოფობის გამო ვანდობ ოლია ოკუჯავას. გ. ტაბიძე.<sup>25</sup>

**16 /IX.** დავალება დღეს: 1. ალება ფულის. 2. გაგება სტამბის. 3. რაშია საქმე. მისი მოვალეობაა მოსვლა დღეს სასწრაფოდ, მაგრამ არა სჩანს. უკვე რვა საათია. ეხლა მე დავწვები და დავიძინებ. როცა მოვა, ხმას არ გავცემ. მან იცის, რას ნიშნავს ჩემთვის ყველი. თუ იყო? წერილის დატოვება განა ძნელია? მაგრამ არ ყოფილა. Она идет давно <пош.> на авантюристический путь. Завтра я все узнаю. В когтях сестры, типичной авантюристки.<sup>26</sup>

**11 ოქტომბერი.** ყდა წიგნისთვის. – ქალაქი – ჩამოვიდნენ თუ არა რუსი პოეტები. როდისაა შემდეგი ჟურნ. გამოვიდა თუ არა? მნათობი, მწერლობა, პრ.მწერლობა. კლიშეები...ორ კვირაში წიგნი უნდა გამოვიდეს.<sup>27</sup>

**12 ოქტომბერი.** „მშვენიერი სურათია დზიგა ვერტინისა „ადამიანი კინო-აპარატით.“ სიუჟეტი არაა, წარწერებიც არაა. არის თანამედროვე ქალაქის დინამიურობა ძალიანი.“<sup>28</sup>

**27 დეკემბერი.** ოლია ოკუჯავა შუააზიაში გადაასახლეს.<sup>29</sup>

[1929]. „В Союзе писателей ССР Абхазии, г. Сухуми. мною представлено право на первое издание (на русский язык) моего произведения «Джон Рид» переводчице последнего тов. Шер (Ел. Ник. Шервашидзе) о чем ставлю вас в известность и прошу Союз Писателей издать означен. повесть на русском языке.“<sup>30</sup>

**1 იანვარი.** იუმორისტულ ჟურნალ „ტარტაროზის“ , პირველ ნომერში, გ. ტაბიძის ხელმოწერით, დაიბეჭდა ნაწყვეტი პოემიდან „ეპოქა“. სინამდვილეში მისი ავტორი გაიოზ ყირიმელი (გრიგოლ ცეცხლაძე) იყო.

**15 იანვარი.** საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს. სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა (ოქმი №41) იმუამდგომლოს თქვენს წინაშე, რათა მწერალთა გალაკტიონ ტაბიძეს გაუდიდოთ პენსია. ბიოგრაფიული ცნობები მისი მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენილია სოცუზრუნველყოფის კომისარიატში. მწერალთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი შ. რადიანი.<sup>1</sup>

**7 თებერვალი.** „ძმაო გალაკტიონ! ასე როგორ დაგვივინყე, რომ სრულე-ბით არ კითხულობ: კვდრებია, ცოცხლებია, ან რა დაემართათ!.. ერთი წერილი რა გაგიჭირდა... აქეთ დიდი ამბებია, მთელი თემი კოლექტივიზაციაზეა გადასული. ჩვენ, მასწავლებლებს, მარტო ეზო და სახლ-კარი დაგვიტოვეს... სახლის გაყიდვას ვფიქრობთ და შენი ჩამოსვლა საჭირო და აუცილებელიც არის... ჩამოდი რამდენიმე დღით. გზის ფული ისესხე და აქედან მე გაგატან... დედაჩემის წუნუნს გადამარჩინე. არ გრცხვენია, კაცო, რას გვახვენებ. სხვა, ოლიასაგან დეპეშა მივიღე: შემატყობინე, სად არის გალაკტიონი ან როგორ არისო. გუშინ წერილიც მივიღე. მე ხომ არაფერი ვიცი შენ შესახებ და რა ვაცნობო... მისამართიც არ მაცნობე და ამ წერილს ესებეს სახელზე ვაგზავნი. აბესალომ ტაბიძე.<sup>2</sup>

**17 თებერვალი.** [სალიტერატურო თემატური საღამო პაციფიზმის წინააღმდეგ. შესავალი სიტყვები: [შამშე ლეჟავა, თ. ხამაშურიძე, ფ. მახარაძე... 3. ლექსები წიგნებიდან: „ეპოქა“, „ჯონ-რიდი“, „პაციფიზმი“...<sup>3</sup>

**26 თებერვალი.** ძმაო აბესალომ! შენი გამოგზავნილი წერილი მხოლოდ დღეს მივიღე. საქმე იმაშია, რომ ხელოვნების სასახლეში არ შემივლია კარგა ხანია. ცოტა ავად ვიყავი. ეხლა ძალიან კარგად ვარ. დედაჩემი გაამხნევე, უთხარი ყველაფერი თავის რიგზე მიდის. მე მალე მოვრჩები ყველა საქმეებს – და ჩამოვალ. განა მე არ მინდა თქვენთან ყოფნა, მაგრამ არ მოხერხდა (ეპოქა, მართალია დაიბეჭდა, მაგრამ ეხლა იბეჭდება სხვა წიგნი, „პაციფიზმი“, ვამზადებ სხვა მასალებსაც. ეხლა ისეთი დროა, როცა საჭიროა უფრო მეტი მუშაობა... სახლის შესახებ მოიქეცი ისე, როგორც თქვენთვის აჯობებს...<sup>4</sup>

**26 თებერვალი.** სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. მაქვს რა უდიდესი სურვილი, თვალყური ვადევნო დიდი გარდატეხის წლის ამბებს ამიერ-კავკასიაში, გთხოვთ, მომცეთ საშუალება ამიერკავკასიის რკინიგზებზე მოგზაურობისა ერთი წლის ვადით. გალაკტიონ ტაბიძე, ტფილისი, 1930, 26 თებერვალი.<sup>5</sup>

**3 მარტი.** „3 მარტი სალამო. სახელგამში. ს. აბაშელმა: იცი? გადმოგცეს? დღეს კრებაა! დღეს გიბარებენ ცეკაში ჟოჟიკაშვილთან.<sup>6</sup> „ჟურნალების“ თაობაზე. შ. რადიანი: დღეს კრებაა. ვიქნებით ჩვენ... მე, ბენიტო და სხვ. „პაციფიზმი“ ძალიან მოსწონთ, ცალკე წიგნათ? ო, უსათუოდ! მოდი დღეს სალამოთი ცეკაში „ჟურნალების“ შესახებ. ნ. მინიშვილი: კიბეზე შემხვდა, რალაცაზე გვიბარებენ. ვნახოთ, რაშია საქმე (ნამდვილად მიდის ადრე, ყ- თან ცდილობს ცალკე ლაპარაკს და დაახლოვებას).<sup>7</sup>

**17 მარტი.** შალვა რადიანმა მთხოვა სასახლეში მოსვლა საქმეზე.<sup>8</sup>

**[29 მარტი].** ჟურნალი „მნათობი“ იანვრის ნომერში ბეჭდავს გალაკტიონის „პაციფიზმს“<sup>9</sup>

**12 აპრილი.** საქ. სახელმწიფო გამომცემლობას. მე გამოვეცი წიგნი „პაციფიზმი“, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალ მნათობში №1. გთხოვთ, შეიძინოთ ეს წიგნი (1900 ცალი, ფასი 60 კ.). ვინაიდან მოკლე ხანში მომიხდება ტფილისიდან ნასვლა, გთხოვთ, იმ შემთხვევაში, თუ წიგნს შეიძენთ, ანგარიში გასწორებულ იქნას წიგნის მალაზიისათვის ჩაბარებისთანავე. გ. ტაბიძე. 12 აპრილი, 1930.<sup>10</sup>

**26 აპრილი.** „გალაქტიონ ტაბიძის წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი. ამხანაგებო! პირადად მე, გალაქტიონ ტაბიძე ფედერაციის მემარჯვენე ფრთისაგან არ მოვითხოვ 180 გრადუსით გადმოხრას. მე მოვითხოვ რომ მან იქონიოს გამბედაობა, პირდაპირ შეხედოს თვალეში სინამდვილეს. ვიმეორებ: ეს ლიტერატურული ომები ხელოვნების სასახლეში, ჟურნალებში, გაზეთებში, სალიტერატურო სალამოებზე – მიდის ერთი ლოზუნგით: უნდა შეგწვედეს გამბედაობა პირდაპირ შეხედო თვალეში სინამდვილეს. სინამდვილე კი აი, როგორია: ჩვენი და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს. მწერლობას მას შემდეგ არ უნდა შეშინებოდა არავითარი რეაქციის, არავითარი ძალდატანების, თქვენ კი საბედისწერო სისუსტე გამოიჩინეთ! გამოირკვა ულმობელი სიცხადით, რომ მემარჯვენეობა თავიდანვე თვითონ ცხოვრებისგან იყო განწირული, ცხოვრება შეუბრალებლად გაექანა მსოფლიო რევოლუციისკენ, თქვენ კი ქრონიკული ალიანსებით და კომპრომისებით, სუსტი, ხანდახან ავანტიურისტული ხელმძღვანელობის წყალობით, მიუახლოვდით ნაპრალს, მიდით გადაჩეხვამდე, აი, ეს არის სიმართლე, რომელსაც პირდაპირ უნდა შეხედოთ თვალეში. პროლეტარული ახალგაზრდობა, ინტერნაციონალური-პროლეტარული იდეოლოგია მოითხოვს, რომ ხელი შევუწყოთ შინაგან გადახალისების ორგანულ პროცესს. ამ ახალგაზრდობას სწყურია მდიდარი, სოციალისტური მშენებლობის ხელის შემწყობი, ბრწყინვალე, გრანდიოზულ-დიდებული ლიტერატურა – თქვენ კი რას აწვდით მას?

თქვენი მემარჯვენე ფრთა ჯიუტად იცავს თავის დანგრეულ პოზიციებს და ამით ხელოვნურად აკავებს პროცესს რევოლუციონურ ლიტერატურულ ჯგუფთა გაერთიანებისას, სცდილობს მისი განვითარების შეფერხებას. ბოლოსდაბოლოს, რისგან შესდგება ეს თქვენი მემარჯვენე მიმდინარეობა? იგი შესდგება ნამსხვრევთა ნამსხვრევებისაგან, იგი შესდგება რევოლიუციის მიერ შეურაცყოფილი კლასების ნამსხვრევებისაგან; ეროვნული ინტერესები აქ არაფერ შუაშია. პირდაპირ უნდა შევხედოთ სინამდვილეს თვალეზში და ვთქვათ: ეს არის ლიტერატურული სიყალბე და ისტორიული უნიადაგობა. მემარჯვენეობა ისე იჭერს თავს, როგორც ძველი გვარდია ვატერლოოსთან, რომელიც ჰკვდება, მაგრამ არ ნებდება. ამის დამნახველი ალბად სიცილით ჰკვდებიან ოლიმპოს ღმერთები. ეს ღრმად პატივცემელი აკადემიური, მაგრამ ღრმად პროვინციალური კომიკები. ჩვენ გვინდა მდიდარი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა, რომელიც დაენმარება სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ყოფის განმტკიცებას. პროლეტარული ახალგაზრდობა სავესებით მართალია: არ შეიძლება დიდხანს ყოფნა ასეთ სუმბურულ მდგომარეობაში. უნდა გადახალისდეს ხელოვნების სასახლე, უნდა „ამოძრავდეს საბჭოთა მწერლობის აქტიური ენერჯია“, თუ თქვენ გამბედაობა შეგწევთ, უნდა დაჰყაროთ ფარხმალი, აღიაროთ თავისი სრული უძლურება და გზა მისცეთ ახალს, თორემ რასა ჰგავს? არავითარ ყურადღებას გარემო ამბებს თქვენ არ აქცევთ, ნუ თუ მაინცა და მაინც კატასტროფა უნდა მოხდეს, ნუ თუ ციდან მეტეორიტი, ბოლიდი ან მთვარის ნატეხი უნდა ჩამოვარდეს, რომ თქვენ ჭაობიდან დაიძრათ? მიპასუხეთ! მე ამას მალაპარაკებს გრძნობა, რომელიც არ მასვენებს, მე ამას მალაპარაკებს მასსა, რომელიც მიყვარს, მე ამას მალაპარაკებს რევოლიუცია. მე მიყვარს მასსა, მიყვარს რევოლიუცია, მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველ ცხოვრებას, საჭიროა არა ისეთი ცხოვრება, როგორიც მწერალთა კავშირშია, არამედ ცხოვრება ადამიანური, მაღალი, სპეტაკი, კოლექტიურად მიმართული ბრწყინვალე მომავლისაკენ. დღეს საჭიროა მწერლობა აქტიურად მებრძოლი ახალი ცხოვრებისათვის, პროლეტარული რევოლუციის იდეალებისათვის, აი, რა არის თავი და თავი. გალაქტიონ ტაბიძე.“<sup>11</sup>

**26 აპრილი.** „... გალაქტიონ ტაბიძე დამშრალი და უძარღვო წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. სასონარკვეთა, უსასოება, გადაგვარება, დაცემულობა, მეშჩანობის შიში, სევდა, „ყოფნა-არ ყოფნის“ ტვინ-ნალრძობი ფილოსოფია, ანარქია, ტირილი და ბოჰემურ განწყობილებათა ლოთური ბოდვა, გალაქტიონ ტაბიძის ნიჭიერი სამღერების „ზურმუხტი და ლალი“ იყო. მაგრამ მოხდა რადიკალური გარდატეხა, ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილმა ელვარებამ დაიპყრო და აღაფრთოვანა პოეტის სულისკვეთება. ის სასტიკათ შეებრძოლა საკუთარ თავს, დეკადანსს, უსასოობას, წუნუნს... გ. ტაბიძემ მხნეთ და გაბედულათ დაარღვია ამ განზე გამდგართ, დრო-გადასულთა მოხუცთა პოლიტიკურ საზოგადოებრივი იდილია და მთელი თავის შემოქმედე-

ბითი ენერჯით ჩადგა რევოლუციონურ მასის საომარ ბანაკში. ... პოეტმა მონახა ეპოქის ძარღვი... „ეპოქის“ მხატვრული ხარისხი, გ. ტაბიძის ჩვეულ, მაღალ საფეხურზეა. აქ მის პოეზიისათვის დამახასიათებელი მრავალი ფორმებია გამოყენებული. ... „ეპოქაში“ არის საგრძნობი სუსტი, ბუნდოვანი ადგილები. კითხულობ და თავი ნისლიანდება. ვერ გაგიგია რისთვის? რატომ? საიდან? რა შუაშია? შიფრი არ არის. აზრი არ არის ... შეიძლება „ეპოქის“ დანმენდა, შემკვრივება – რომ პოეტისთვის ხანდისხან მხატვრულ ალლოს არ ელაღატებია... მაგრამ ეს საგრძნობი დეფექტები ვერ ჩრდილავს „ეპოქის“ მხატვრულ-საზოგადოებრივ ღირებულებებს... დღეს ის რევოლუციის ერთგული რომანტიკოსია... რევოლუციამ მისცა მას დადებითი მარაგი, განიმსჭვალა ენტუზიაზმით, ახალი ენერჯით. რევოლუციას სჭირდება ასეთი თანამგზავრები.“<sup>12</sup>

**[აპრილი].** ძმავ გალაქტიონ! როგორ ხარ? რატომ არაფერსა გვწერ? დედა შენი ჯავრით არ არის... მოგიკითხა ჩვენებმა, ჩვენმა პატარა ვასიკომაც. იგი რვა თვის ბიჭია და ძალიან გესაყვედურება: ბიძიკო! აწი დროა, ერთმანეთი გავიცნოთო. შენი ძმა აბესალომი.<sup>13</sup>

**14 მაისი.** გალაქტიონის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსის: „მცინვარის“ შესახებ, თორმეტტომეულის მესამე ტომში (გვ. 538) აღნიშნულია: „თარიღად ამ ლექსს შეიძლება მიეცეს 1930 წელი, რადგან იმ რვეულის თავფურცელზე, სადაც ეს ლექსია მოთავსებული წერია: „14 მაისი, 1930, სოხუმი“.

**14 მაისი.** 14 მაისი, 1930 წ., სოხუმი. ელო ანდრონიკაშვილი გიძღვნიტ ამ რვეულს ჩვენი პატარა მოგზაურობის მოსაგონებლად და თქვენი დღიურის დასაწყისის დატად. გალაქტიონ ტაბიძეს.<sup>14</sup>

**17 მაისი.** „საქ. ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა... იბეჭდება... ტაბიძე გ. „ეპოქა“ (პოემა)...“<sup>15</sup>

**18 მაისი.** „გამოვიდა და იყიდება ყველგან საქ. პროლეტ. მწერალთა ერთდღიური გაზეთი „დამკვრელი გაზეთი“. შინაარსი... გალ. ტაბიძე – პასუხი ზოგიერთ შეკითხვებზე (ლექსი)...“<sup>16</sup>

**18 მაისი.** გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთდროული ორგანო: „დამკვრელი გაზეთი“, რომელშიც გამოქვეყნდა გალაქტიონის ლექსი „პასუხი ზოგიერთ შეკითხვებზე“. შემდეგ ეს ნაწარმოები უსათაუროდ იბეჭდებოდა „... გართმევთ პოეტობას?“<sup>17</sup>

**18 მაისი.** „გ. ტაბიძის „ეპოქა“ დიდი ლექსია, სადაც ასახულია ომი, რევოლუცია, გრიგალი, ქარბუქი, ჯარისკაცები, ქარხანა, მოტორი, გემები, ტფილისი,



ზაჰესის ტურბინები და სხვ... გ. ტაბიძე ჩვენი ცხოვრების მოვლენებს პირდაპირ უყურებს. ის მიისწრაფის ახალი ეპოქის სახე გადაიტანოს თავის შემოქმედებაში. ამიტომ არის, რომ ის აწეული განწყობილებებით გვესაუბრება სოფლად ტრაქტორების შესვლაზე, ქარხნის შრომით პროცესზე, ახალი ოჯახის შექმნის საჭიროებაზე და სხვ. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, გ. ტაბიძეს ჯერ კიდევ აქვს სიმბოლიზმის მახინჯი ტრადიციები, ამიტომ მისი ლექსები, რომლებიც „ეპოქა“- შია მოთავსებული უფრო დეკლარაციაა... და არა კონკრეტული ასახვა ეპოქის. ამიტომვე „ეპოქა“-ში არის საკმაოდ ბურჟუასიანი, თანამედროვეობისათვის მიუღებელი განწყობილებებიც (სენტიმენტალიზმი და სხვ.).“<sup>18</sup>

**3 ივნისი.** ცეკავშირს. გთხოვთ, შეიძინოთ ჩემი წიგნი „პაციფიზმი“ 900 ცალი, ვინაიდან ფული ძლიერ მესაჭიროება, წიგნს მე დაგიტომობთ იაფ ფასად. წიგნი ღირს 60 კ. – მე დაგიტომობთ 35-30 კ. გ. ტაბიძე, 1930, 3 ივნისი.<sup>19</sup>

**[9 ივნისი].** ცეკავშირის კულტგანყოფილებას. თქვენ მიერ შექმნილია ჩემი წიგნი „პაციფიზმი“ 450 ცალი. ღირებულება ეგზემპლარისა – 45 კ. სულ 202 მ. აქედან გამოკლდება 30% – 60 მ. 75 კ., მერგება 141 მ. 75 კ. გთხოვთ, გადამიხადოთ. გ. ტაბიძე 1930. თბილისი.<sup>20</sup>

**20 ივნისი.** „მიუხედავად თავისი დაულაგებელი ცხოვრებისა, როგორღაც მოიპოვებს თუ გაიმეტებს და 1930 წლის 20 ივნისს საქართველოს ეროვნულ გალერეას ჩააბარებს ფიროსმანის „პატარამეთევზს“ (ამასაც სხვას მიაწერენ).“<sup>21</sup>

**3 ივლისი.** „ხუთშაბათს, 3 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის 13) საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიერ მოწვეულია მწერალთა აქტივის თათბირი, დღის წესრიგში სდგას საგაზაფხულო თესვის კამპანიის შედეგებისა და მომავალ სამემოდგომო კამპანიის შესახებ. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი მწერლები: კ. ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი, ს. შანშიაშვილი... გ. ტაბიძე...“<sup>22</sup>

**19 ივლისი.** ამხ. ვასო! მე დღეს მიხდება აფხაზეთში გამგზავრება ჩემთვის მოულოდნელი საქმეების გამო. ამიტომ საღამო, რომელიც უნდა შემდგარიყო 24 ივლისს, გადავდოთ შემოდგომამდე. თქვენი ძალიან მაღლობელი ვარ ამხანაგური მობყრობისათვის, თეატრი რომ დამითმეთ... თქვენი პატივისმცემელი გ. ტაბიძე.<sup>23</sup>

**7 სექტემბერი.** . . . ვიყავი სოფელში. ყურძენი ჯერ არ დამნიფებულა. არის ლეღვი. კიტრი მიილია. ჭყინტი სიმინდი, ღვინო, არაყი...<sup>24</sup>

**9 სექტემბერი.** „ტფილისი. ტრამვაელების კლ. უფასოა – ხალხი მაინც ცოტაა. ბაღში უკრავს ორკესტრი. ბალი განათებულია ძალზე. კინო. ჯერ ექიმის

ლექცია ჰიგიენაზე... მშენიერი სურათებია. ნიუ-იორკი. ბერლინი. ლონდონი. პარიზი. უზარმაზარი ცასართულები... შემდეგ ბრონეპოეზი. წყალქვეშა ნავის საიდუმლოებანი და კომედია წითელარმიელთა ცხოვრებიდან.“<sup>25</sup>

**23 საქმიანობა.** ძმაო გალაქტიონ! თქვენი პოემის დაბეჭდვა გადანყვეტილია, არის მხოლოდ რამოდენიმე ადგილი შესასწორებელი. გთხოვ შეიარო ცეკას კულტპროპში ამხ. დ. დემეტრაძესთან, ის მიგიითიებს ამ ადგილებზე, შენ შეასწორებ და მყისვე გადასცემ სტამბას დასაბეჭდათ. თქვენი მოსე გოგ.[იბერიძე].<sup>26</sup>

**27 საქმიანობა.** როგორც გუშინდელი დღე, ისე მახსოვს ნიკოლოზ II-ის გადადგომა.<sup>27</sup>

**29 საქმიანობა.** „დღეს დავამზადე ლექსი „დამკვრელი პოეტი“. სტამბიდანაც წამოვიღე იქ დატოვებული მასალები. მასალები მზადაა 5 ორგანოსათვის: დროშა, 2. შოლტი, უღმერთო გ., 4. ტარტარ., 5. პიონერი (უღმ. გ.-მ. გოგიბერიძე, დროშა – ს. შანშიაშვილი, ტარტაროზი – ხინველი, შოლტი – პ. საყვარელიძე, პიონერი – ა. მაშაშვილი).“<sup>28</sup>

**1 ოქტომბერი.** ძმაო გალაქტიონ! თითქმის თვე სრულდება, რაც წასული ხარ და ერთი წერილიც არ გამოგზავნე. რატომ არ გვაცნობე, როგორ იმგზავრე და ან როგორ ხარ? პალტოს შესახებ როგორ მოიქეცი?... მომწერე ოლიას მისამართი. შენ მეუბნებოდი ყირიმში არისო... მინდა რალაცეების გაგზავნა, მაგრამ მისამართი ვერ გავიგე სწორი – ტურკესტანი, ოდესა, მოსკოვი – სად – არ ვიცი? ხელთნაწერების შესახებ როგორაა საქმე? ანდა პენსიის კითხვა როგორ ირკვევა?... შენი აბესალომი.<sup>29</sup>

**5 ოქტომბერი.** ხელოვნების სასახლეში – მოძრაობაა. იქ მწერალთა დამკვრელი ბრიგადები შესდგა. ყველა გაზეთებში გამოცხადებული ვარ პირველად თანამგზავრთა შორის... „რევ. საქართველო“ იბეჭდება მნათობში – 16 გვ. დანარჩენები შემდეგ. ვამზადებ ნიადაგს „დამკვრელი თვის“ ლიტერატურული კომპანიისათვის... ასალებია ერთი ფრონტი: დამკვრელი ბრიგადების ხელმძღვანელობას სასახლეში, როგორც სჩანს, სურს ჩემი ერთგვარი დისკრედიტაცია – პროლეტ. მწერლების სასარგებლოდ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.<sup>30</sup>

**7 ოქტომბერი.** ვარ მწერალთა IV ბრიგადაში... 8 კაცი: ს. წვერავა, სიმ. ჩიქოვანი, ნ. მიწიშვილი, მატინიანი, ნ. ასლამაზიშვილი, გ. ტაბიძე, მიხ. ჩიქოვანი, ბენიტო ბუაჩიძე... მოველაპარაკე კომუნისტის რედაქციას: თანახმაა 2 დღეში ერთხელ გაუშვას ჩემი მასალები. საჭიროა ყოველ დღე. წინადადება მივიღე „პიონერის“ რედაქტორისაგან, მასალისათვის... მაშასადამე, აღებულია: 1. კომუნისტი, 2. მნათობი, 3. მუშა, მოჯამაგირის ხმა, დროშა, ტარტაროზი, პიონერი (სულ 7. დარჩენილია კიდევ 12)... საჭიროა ტემპების გაძლიერება. ბუქსირი – ჩემთვის

გამოსადეგია, მაგრამ არა ხაზგასმული: ამ მდგომარეობაში რიკოშეტია საჭირო. რატომ ბუქსირი? ბარემ მთლად ჩავენერები და ის იქნება!.. უნდა ჩაიყურყუმალავო დამკვრელ მუშაობაში. ეს ძლიერ საინტერესოა, მაგრამ შესვლისას უნდა იცოდე გამოსავალი კარებიც. სკანდალური არა ატყდეს რა, ყველაფერი დამოკიდებულია ხელმძღვანელობაზე და შენს ტაქტიკაზე. უნდა განთავისუფლდე ბევრი რამისაგან, რომელიც გაბრკოლებს კაცს ახალი დიადი გზით სიარულისაკენ.. კომკავშირლები საზოგადოთ მალლიდან დასცქერიან ინტელიგენტ მწერლებს. ტიცციანი მალლიდან დასცქერის ყველას. არისტო ცდილობს საერთო ენის გამო-ნახვას. ის ნიჭიერი კაცია. ლეო იყურება გაბითურებულილივით: თავმოყვარე კაცია და ალბად სწყინს, რომ ხელმძღვანელად არ არის, თუმცა არც იკისრებდა. ჯავახიშვილი ყოველთვის მარტო და უკანა რიგებში ზის, თითქო ვილაცხას ეპარე-ბაო. გრიგოლი ერთხელ შემოვიდა, სულ უკანასკნელ სკამზე დაჯდა და შურიანად იცქირებოდა. სერგო კლდიაშვილი პატარა წერტილივით მოსჩანდა სადღაცა, სულ უკან... ხელმძღვანელები სულ კომკავშირელებია. თანამგზავრობა ბუქსირ-ზეა და შეგნებულად. ასე უფრო მეტი გაკეთდება.. ეს ჩემი ხაზია.“<sup>31</sup>

**9 ოქტომბერი.** მწერალთა კავშირიდან... გამომიგზავნეს მანდატი: „ამის წარმომდგენი მწერალი გალაკტიონ ტაბიძე არის მწერალთა „4“ ბრიგადის წევრი და მიმაგრებულია სამუშაოდ ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაზე... დღეს გაზ. კომუნისტშიც არის სია ჩვენი ბრიგადების... „გრუზგოსტორგმა“ მომცა ორდერი ერთი წყვილი ფეხსაცმლისა და ერთი კოსტიუმის. ბრავო არეშიძე...“<sup>32</sup>

**9 ოქტომბერი.** „სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს. ვინაიდან მეტად ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ, არა მაქვს ტანისამოსი, არც ფეხ-საცმელები, გთხოვთ, გამომიყვანოთ ამ მდგომარეობიდან. მე მაქვს ხუთი თუმ-ნის (50 მ.) ობლიგაციები, გთხოვთ ნებართვას მისი გადახურდავების. გალაკტი-ონ ტაბიძე, ტფილისი, 1930, 9 ოკტ.“<sup>33</sup>

**10 ოქტომბერი.** „შემთხვევით მოვხვდი ულტრამემარჯვენეების შესა-ხებ საუბარში: გრიშაშვილი თურმე იტყუებს თავის სახლში ზოგიერთ მონინავე მუშებსაც კი, რომ გააოცოს თავისი „ბიბლიოთეკით“ (წიგნები, მართალია ბევ-რი აქვს, მაგრამ სულ ნაყარ-ნუყარი წიგნებია). – თქვენ არ ელაპარაკებით მას? მკითხა ბერიკაციშვილმა (საინტერესოა, რატომ უნდა ველაპარაკებოდე მე გრი-შაშვილს, ან რა მაკავშირებდა მასთან როდისმე), როგორ არა, ვუთხარი – მაგ-რამ იგი ძალიან მემარჯვენეა. – მე მომწონს თქვენი: „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს“ – სთქვა იმავე მუშამ, ბერიკაციშვილმა. იგი ასოთამწყობია, პარიზში ნამ-ყოფი, იქ მან ერთ წიგნში გადაიხადა 10 ფრანკი (ავალიშვილის წიგნში)...“

რას ნიშნავს „კომუნისტში“ ჩემი სახელისა და გვარის ბრიგადებში გამოცხა-დების შეგნებული დისკრედიტაცია? ყოველივე ამას გაგება უნდა... იწყება თე-ატრალური სეზონი. საჭიროა აბონემენტები: 1. ოპერის თეატრში, რუსთაველის თეატრში, 3. მარჯანიშვილის თეატრში, 4. წ. ა. თეატრში, 5. ყველა კინო-თე-

ატრებში“. „მოგვეშველე ჩვენ, რომ ცოტათი შევაჩეროთ გალაქტიონი, თორემ ის ძალიან წინ წავიდა“ – ალბად ასე ევედრებიან პარტიას ყანწელები და ძმანი მათნი. პარტია შეეცდება ამას, მაგრამ შეიძლება გაუძნელდეს.. რადგან პირველ ხანებში მაინც პირდაპირ თავდასხმას მოერიდება... ყანწელები არ თმობენ ერთხელ მოპოვებულ პოზიციებს. ისინი მაგრდებიან. პროლეტმწერლობა ითამაშებს ხელმძღვანელ როლს სალიტ. გაზეთის საქმეში. იქ ყავს მას თავისი წარმომადგენელი, ყანწელები ეცდებიან მათთან საქმის ჩაკეთებას. მათი მთავარი მიზანია ჩემი შეფერხება.. ერთი წამითაც არ დავთმობ ჩემს პირველობას.. უნდა ვიპოვო ახალი გზები..უნდა დავიწყო მოლაპარაკება ჯგუფებთან (მემარცხენეობასთან – განსაკუთრებით პროლეტმწერლებთანაც).. უმთავრესია, უნდა შევეჩვიო კარგ ლაპარაკს.. მე იმდენად არ ვიცი ლაპარაკი, რომ კაცს ხშირად ვევაგებინებ, რასაცა ვთხოვ და იგი გაუგონრად, მოუსმენლად მომარტყამს ხოლმე უარს.. კარგია თამამი სიტყვა, ენა არ უნდა წაგიბორძიკდეს... მაგრამ როდის მივალწევ ამას? ხმა დაკარგული მაქვს. სადღა ჩემი დიდებული ტემბრი ხმისა? აუცილებლად უნდა დავიბრუნო სიტყვის სითამამე.. ღვინო საჭირო არ არის.. კარგია ფხიზელი სითამამე..“<sup>34</sup>

**[10 ოქტომბერი].** „ძმაო აბესალომ. შენი წერილი მივიღე. მე კარგად ვარ, თუმცა წამოსვლის დროს ცოტა გავცივდი, გრიპი მქონდა, ფეხზე გადავიტანე, არ დავწოლილვარ. ეხლა კარგადა ვარ. ხელნაწერების ბეჭდვა იწყება მნათობში, ეხლა წავა 16 გვერდი, დანარჩენები შემდეგ. დასრულებისას ცალკე წიგნათ გამოვცემთო, მითხრეს... შენ თუ თუთუნის გამოგზავნა გინდა, დიდებულ საქმეს იზამ. აქამდის მეყო, ეხლა გამომელია. ფეხსაცმელებმაც კარგი საქმე მიქნა, მარა ეხლა ცოტა გაცვეთილია (გუშინ მივიღე ფეხსაცმელის ორდერი)... პენსია იანვრამდის არ ირკვევა, თუთუნი კი ყოველთვის საჭიროა. ვარ მწერალთა ბრიგადაში. უნდა ვიმუშაო რკინიგზის სახელოსნოებში, სადაც ნამდვილი პროლეტარიატია. მომიკითხე ჩვენი ძვირფასი დედა, ტატიანა, ვასიკო, ყველანი მახსოვან. თქვენი გალაკტიონი [10 ოქტომბერი, 1930 წელი].“<sup>35</sup>

**11 ოქტომბერი.** „მნათობის“ საქმე ძალიან მაკვირვებს, რაღაც საიდუმლო მოსაზრებით ამდენი ხანი არ გამოდის, თუმცა ეს აგვისტოს და სექტემბრის ნომერია (8-9), მაგრამ დღეს 11 ოქტომბერია... მე ხომ არა ვარ მიზეზი ამისა? ხომ არ უნდათ, ძალით შეაგვიანონ იგი, რომ პროლეტმწერლების ყრილობას მეტი ეფექტი მიეცეს – გამარჯვებული ჯგუფის სიმღერის შემოსაძახებლად? ხომ არ ეშინიათ ჩემი „რევოლუციონური საქართველო“-სი? ან შეიძლება უნდათ, რაიმე ჩაანებონ ახალი ჩემი პოემის წინ – გამარჯვებისა და გეგემონობის ილიუზიისათვის?... ფაკტია, მე მოკავშირე ვარ პროლეტარული მწერლობისა და არა მოჯამაგირე, დამოუკიდებელი პოეტი და არა ეპიგონი – ვისიმე. მე მგონია ეს საკმარისად ნათელია მთელი ჩემი ლიტერატურული საქმიანობის განმავლობაში... ისინი (პროლეტ. მწერლები) თავს გადიან, როდესაც ვინმე მოკავშირეს იშოვიან. ყანწელები კარგად მოიქცენ, რომ მათ არ შეუთანხმდენ პირობითად. ჩემი გზა უფრო პატიოსანი



მასალებსო. ვარ აგრეთვე სარემონტო ქარხნის ნაბეჭდი ყოველდღიური გაზეთის თანამშრომელი. ესეც ფრონტი... ამ გაზეთს ერქმევა „მანევრების შტაბის“ გაზეთი... წიგნის მალაზიაში არის 400 ცალი „პაციფიზმი“-ს, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. აღებულია კიდევ ფრონტები: „კოლექტივიზაცია“, სოცშეჯიბრება, შოლტი, პროლეტ. სტუდენტობა. დარჩა: 1. ახ. კომუნისტი, 2. კოოპ. ცხოვრება, 3. წითელიარმიელი, 4. განათლ. მუშაკი“.<sup>40</sup>

**18 ოქტომბერი.** ბევრი საქმეებიდან გავაკეთე სულ ორი: ლომბარდიდან გამოვისყიდე პალტო და ორდერით ვიყიდე ფეხსაცმელი. ხვალ ბუქსირზე ავიყვან კოსტიუმს და ამგვარად მივემადგრები კულტურული ადამიანების რიცხვს...<sup>41</sup>

**22 ოქტომბერი.** Сдрейфил! დავკარგე პალტო და ფეხსაცმელები. „მნათობი“ გამოვიდა.<sup>42</sup>

**[22 ოქტომბერი].** ჟურნალ „მნათობში“ დაინყო გალაკტიონის ციკლის: „რევოლუციონურ საქართველოს“ ბეჭდვა (№8-9). შემდეგ ავტორი ამ ნაწარმოებს ცალკე ლექსებად აქვეყნებდა.<sup>43</sup>

**26 ოქტომბერი.** საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ბრიგადა დღეს, 26 ოქტომბერს, სალამოს სრულ 7 საათზე, სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში აწყობს ლიტერატურულ-მხატვრულ სალამოს... თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებს წაიკითხავენ პროლეტარული და თანამგზავრი მწერლები: ს. ეული, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ალ. მაშაშვილი...“<sup>44</sup>

**31 ოქტომბერი.** „ვიყავი ავად გრიპით, რადგან დავკარგე პალტო და ფეხსაცმელი, თან ცოტაოდენი ფული და ასე დაიკარგა 10 დღე... მოსალოდნელია ჩემი დისკრედიტაცია (მით უმეტეს ჩემი მასალა „მნათობში“ – პირველად არ მიდის)... ბენიტო ალბათ ჩემით უკმაყოფილოა. მეც ყველათი უკმაყოფილო ვარ. მე არავინ არ გამიტანა... რადიოში ჩემი ქება იყო გუშინ. ახალგაზრდა მწერალი მელაძე ცოტათი დღეს თავის სიტყვაში ხელოვნების სასახლეში (პრ.მწ. პლენუმია) კარგად შეეხო „პაციფიზმს“... გამოკეთდება აგრეთვე ოთახის გადაკავების საქმეც (მეზობლებს ცოტათი ნიშადური სჭირდება, თორემ თავს გადიან).“<sup>45</sup>

„ბ-ნო გალაკტიონ! მოსე გოგიბერიძემ დამავალა მეცნობებინა, რომ „მნათობი“ უკვე გამოდის, და თუ გნებავთ ამ ნომერში თქვენი პოემა წავიდეს, იმ შემთხვევაში, საჩქაროთ უნდა მიიტანოთ სტამბაში მასალა, ვინაიდან ცდა აღარ შეიძლება არავითარ შემთხვევაში.“<sup>46</sup>

**3 ნოემბერი.** „ახალგაზრდა კომუნისტში“ იყო რეცენზია მნათობზე. ჩემს შესახებ სწერია დიდებული სიტყვები, რომ ჩემი პოემა ობოლი ვარსკვლავივით ბრწყინავს მნათობის რუხ ფონზე. „მნათობი“ შემდეგი იბეჭდება.“<sup>47</sup>

**4 ნოემბერი.** „ამხ. გალაქტიონ! კ. გორდელაძემ (ცეკას კულტპროპმა) გთხოვთ ამ ორ- სამ დღეში „სალიტერატურო გაზეთისათვის“ მოგვანოდოთ აუცილებლათ ლექსი. თუ ეს შესაძლებელია, მაშინ იქნებ „მნათობში“ რომ თქვენი პოემა იბეჭდება, იქედან ამოვიღოთ ერთი პატარა ნაწილი (ჯერ დაუბეჭდავი ნაწილიდან). იმედია, ამ თხოვნას შეგვისრულებთ. შ. რადიანი.“<sup>48</sup>

**5 ნოემბერი.** მივიღე მინვევა სალიტ. გაზეთის თანამშრომლობაზე ფედერაციისაგან... სატელეფონო ქსელის გამგემ კამარაულის მიწერილობის შემდეგ დაგვპირდა ტელეფონის გამოყვანას.<sup>49</sup>

**7 ნოემბერი.** ... ჩემი ლექსი დიდებულ ადგილზეა დაბეჭდილი გაზეთში „დაეხმარე ინვალიდს“. გადავეცი ლექსი რადიანს ლიტგაზეთისათვის. „მნათობს“ ისევ აგვიანდება... ფეხსაცმლის და პალტოს საკითხი გამოურკვეველია...<sup>50</sup>

**[7 ნოემბერი].** გაზეთში: „დაეხმარე ინვალიდს“ გამოქვეყნდა გალაქტიონის ლექსი: „სამარე უცხო ჯარისკაცისა. ოქტომბერი, 1930. თფილისი.“ შემდეგ ეს ლექსი იბეჭდებოდა სათაურით: „ათასის მხედველობა, ათასის იერი“.<sup>51</sup>

**8 ნოემბერი.** წავიკითხე ოსკარ-მარია-გრაფის წიგნი „მარტლ...“ მოთხრობის ფონია თანამედროვე გერმანიის სოფელი, იქ ყველაფერი ჯერ ისევ კაპიტალისტურია, ჰყვავის კერძო მესაკუთრება, იქ არ არის დაქუცმაცებული წვრილი მეურნეობის მსხვილ სამეურნეო ერთეულად გადაქცევის საკითხი. ყოფაცხოვრების საკითხებიც სხვაგვარადაა დასმული. „პატივი ეცი კერძო საკუთრების საფუძვლებს“ – აი, ღალადი გერმანელი გლეხებისა. კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოშობილი სულიერი დრამა მარტლისა სიმბოლიური სახეა მთელი თანამედროვე გერმანელი გლეხობის, საერთოდ მთელი თანამედროვე გერმანიის...<sup>52</sup>

**11 ნოემბერი.** კრიზისია. სალამო რევ. 10 წლ. თავზე არ შესდგა. მნათობი არ გამოდის, სალიტ. გაზეთს დააგვიანდა, ოლია ავადაა... მეზობელმა ქალმა საქმე გამიჭივრა, მთხოვს ვანნას (რა დროს ვანნაა?) ფული, გროში, კაპიკი არ არის, პალტო არა მაქვს, ფეხსაცმელში თითი მომიჩანს... როდის მოელება ბოლო ასეთ მდგომარეობას?... საზიზლარი შთაბეჭდილება მოახდინეს გუშინდელმა „პოეტებმა“. რას იჯგიმება ეს ხალხი, ვერ გავიგე. წავიკითხე რომანი გუსტავ ერიკსონისა „Бедная Америка“. შესანიშნავი წიგნია. ეხლა კაცმა უნდა იკითხოს მხოლოდ უცხოელი მწერლები. მეტი გზა არ არის...

არ იქნა და არა, ვერ მოვეწყვე სამუშაოდ... ხელმძღვანელობა გაიძვერობს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... „პოეტები“ და ხელისუფლება არ არის აღტაცებული ჩემით, თორემ ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდი.. არსაიდან მშველელი არ არის. რა შეუბრალებელი ცინიზიმია, რა დაუნდობელი ბრძოლა არსებობისათვის და რა ლოიალური ნიღბით მოქმედებენ მტრები.. მე მიწყობენ ხაფანგებს, რომ ჩემი მატერიალური მდგომარეობა არ გამოსწორდეს... „ბოგემა“ – აი

მომავალი ჩემი ნაწარმოები. საამისო მასალები რამდენიც გინდა: 1. შიმშილი – კნუტ ჰამსუნის. 2. შიმშილი – ლ. ანდრ. 3. პოეტი მოხეტე – ლოკკის. 4. მოხეტე ამერიკა-ერიკსონის. 5. სატანის მეგობარი. 6. მარტლ – ოსკარ-მარია-გრაფ. 7. და სხვ. და სხვ.<sup>53</sup>

**15 ნოემბერი.** მოხდა საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყრილობა. 19 კაცია პრეზიდიუმში. მე გავედი წევრად. კოტე გორდელაძე დამპირდა, რომ ადგილს მომცემს „მნათობის“ რედაქციაში პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე, დიდებული იქნება! „მნათობი“ გადადის მწერალთა ფედერაციის ხელში... გამოცოცხლდა ჯგუფები. ამოძრავდენ ყანწები და მემარცხენეები. „მნათობზე“ თვალი უჭირავს ტიცინას. მე მგონი ეს არ მოხდება... საყურადღებოა პ. ჩხიკვაძის (პ/მ. მდივნის) განცხადება, რომ გალაკტიონ ტაბიძე ადგას ისეთ გზას, რომელიც პროლეტარულ მწერლებში გადაიყვანსო...<sup>54</sup>

**16 ნოემბერი.** „15 ნოემბერს ხელოვანთა სასახლეში შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პლენუმი... არჩეულ იქნა ფედერაციის პრეზიდიუმი 18 კაცისგან: ამხ. ს. თოდრია, კ. გორდელაძე, პ. ჩხიკვაძე, ალიო მაშაშვილი, ბ. ჟღენტი, დ. ვოლსკი, არ. ჭუმბაძე, შ. რადიანი, პ. იაშვილი, ბ. ბუაჩიძე, კ. ლორთქიფანიძე, ნ. მინიშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. ლუარსამიძე, შ. ნავთლულელი, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე და ს. შანშიაშვილი.“<sup>55</sup>

**17 ნოემბერი.** მგონია, ენცობა! ხალხი ამიჯანყდა. დედდას გიტირებთ! ტიცინამა სთქვა: როცა არ ვყოფილვარ მდივნად, მაშინაც კი მე ვხელმძღვანელობდი მწერალთა კავშირს... დღეს: იდილია – კ. ლორთქიფანიძე, მინიშვილი, დემეტრადე, აროშიძე, ქუთათელი, გვეტაძე, ჩიქოვანი, და სხვანი. დიდი პოლიტიკური ამბებია. ყალიონისიმუს.<sup>56</sup>

**25 ნოემბერი.** „დღეს ვიყავი: 1. სტამბაში. 2. დემეტრადესთან. 3. კ. გორდელაძესთან. ფიასკოა. 4. ბ. ბიბინეიშვილი... რა ეშველება უმუშევრობას. აი, თავი და თავი!“<sup>57</sup>

**28 ნოემბერი.** „საქმე მიდის: ჯგირად. ტელეფონის ფული მიუტანა. გადარიცხვისაც“.<sup>58</sup>

**29 ნოემბერი.** სელივანოვსკი ჩამოვიდა (ლიტ. გაზეთი). უმუშევრობა.<sup>59</sup>

**13 დეკემბერი.** ძმაო გალაკტიონ!.. ისევ მე ვარღვევ სიჩუმეს... მიიღე თუ-თუნი თუ არა?.. ჯანმრთელობის მხრივ ხომ კარგად ხარ? ინერებოდი, გრიპით ვიყავი ავათო... ნეტა ეს მაცოლინა, პალტო თუ გაქვს. მე ხომ მაშინ ფული გაგატანე სპეციალურათ პალტოს დასახსნელათ. ვაი თუ უპალტოთ ხარ?.. მომწერე, ხომ არაა საჭირო კიდევ თუთუნი. ან ყველი რომ გამოგიგზავნო, ჭამას თუ



მოახერხებ... იქნებ ახერხო და ჩამოხვიდე ცოტა ხნით. წამოიღე წიგნები და ჩაუჯექი შენებურათ. ფეჩი, თბილი ოთახი – წიგნები და წერე და წერე... ნეტა ვიცოდე, სადა ხარ? ისევ კრილოვის ქუჩაზე? ოლია მან არის თუ არა?.. ნუ თუ ის არ ფიქრობს სრულებით, რომ საჭიროა ჩვენი ოჯახის გაცნობაც – ეს კი არც ისე ძნელი საქმეა... აბესალომი.<sup>60</sup>

**1930.** „მე ვცხოვრობ კრილოვის ქუჩაზე № 10, მიჭირავს ოთახი მესამე სართულში. საქმე იმაშია, რომ ამ ოთახს არც უხერხდება ტექნიკურად ბუხრის გაკეთება ან ფეჩის დადგმა და ვიყინები. ამისთვის გთხოვთ, ნება დამართოთ, დავდგა ელექტრო ფეჩი, და ამით შემადლებინოთ – განვაგრძო ლიტ. მუშაობა.“<sup>61</sup>

**[1930].** ბ-ნო გალაქტიონ! გელით სტამბაში. მეტი ცდა მოუხერხებელია, ასე რომ, ხვალ თუ არ შემოხვალთ სტამბაში საათის თერთმეტამდე, იმ შემთხვევაში თქვენს პოემას „მნათობში“ დავბეჭდავთ ისე, რომ საავტორო კორექტურა არ გაუკეთდება...<sup>62</sup>

**[1930].** გალაქტიონ! „მნათობი“-სთვის თქვენი პოემის გაგრძელება სასწრაფოდ მინდა, როგორმე დღეს მომანოდე ხელოვნების სასახლეში. შ. რადიანი.<sup>63</sup>

**4 იანვარი.** „გამომცემლობა „ქართული წიგნი“ (1931 წლის საგამომცემლო გეგმა)... II. თანამედროვე მწერლობა... 10. გალ. ტაბიძე „რევოლუციონურ საქართველოს“..<sup>1</sup>

**12 იანვარი.** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ბ. ბუაჩიძე, ლ. ქიაჩელი, შ. რადიანი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ბ. ჟღენტვი, ა. გომიაშვილი, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე (არანევერები: დ. შენგელაია და პ. კეშელავა). მოისმინეს: „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის შესახებ. დაადგინეს: „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიაში შეყვანილ იქნენ: შ. რადიანი, ი. ვაშაყმაძე, გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ს. ეული, ა. მაშაშვილი, რედაქტორად გამოყოფილ იქნეს შ. რადიანი.<sup>2</sup>

**21 იანვარი.** ოთხშაბათს, 21 იანვარს, საღამოს სრულ 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში საბჭოთა მწერლების ფედერაცია აწყობს ლენინის გარდაცვალების 7 წლის თავის აღსანიშნავ საღამოს... მხატვრულ განყოფილებაში საკუთარ ნაწარმოებებს ლენინზე წაიკითხავენ: კ. კალაძე, ალ. მაშაშვილი, ს. ეული, კ. ლორთქიფანიძე, გ. ხეჩუაშვილი, გ. კაჭახიძე, სიმ. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე...<sup>3</sup>

[**21 იანვარი.**] გრძელდება გალაკტიონის „რევოლუციონური საქართველოს“ ბეჭდვა ჟურნალ „მნათობში“.<sup>4</sup>

**29 იანვარი.** მწერალთა რეზოლუცია. 29 იანვარს ხელოვნების სასახლეში შედგა მწერალთა ფართო თათბირი, მაქსიმ გორკის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაწყებული კამპანიის წინააღმდეგ. თათბირმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „... მის დევნას ჩვენ ვუპასუხებთ სისხლიან ბურჟუა-მყვლეფელთა წინააღმდეგ ბრძოლას გავაძლიერებთ...“ საბჭოთა მწერლების კრების მინდობილობით, სხვებთან ერთად ხელს აწერს გ. ტაბიძეც.<sup>5</sup>

**7 თებერვალი.** „აღნიშნე დრო, დრო აღნიშნე შენს მიერ ნაწერ ფურცლებზე. ნუ დასტოვებ მათ უთვისტომოდ, დროს, ეპოქის და სივრცის გარეშე. რასაკვირველია, ყოველივე შენი ნაწარმის სტრიქონებში ღრმად ჩაქსოვილია ეპოქები, ეპოქა ნაწარმოებისიც, ეპოქა ახალი ცხოვრების მოპოვების ძველის ნგრევებით, ეპოქა გარდატეხის... კლასთა ბრძოლა, კლასთა ღელვა, შეირყა ჯაჭვები... და ყველა ეს ლექსებში, პოემებში აქსოვილია სურათებათ, ბეჯითად, შიშით, რომ არაფერი, არც ერთი ფერი, არც ერთი ძაფია არ გამოგრჩენოდა. და შემდეგ, ახალი და ახალი ეპოქა რომ გადახედავს შენს ნაწარმოებს, მეშინია, შეუმჩნეველი არ დარჩეს მას ის შენი ხელის, აზრების და გრძნობების ჟრიაბული, რასაც შენ აქსოვ ეხლა შენს ლექსებში. ვინ უყურებს მას, თუ რას იტან შენ შენს ღარიბულ ოთახში, როდესაც სწერ, როგორ დაჭიმულია შენი ძარღვები, აზრები... ეხლა მოგიგონებ შენ მაქ, ცივ ოთახში მომუშავეს და გამიელვებს აზრი: დრო უღმობელი დღევან-

დელ თაობას ერთ დროს წაგვშლის... შენც მიგფარავს სამუდამოთ და დარჩება მუდამ ცოცხალი შენი ლექსები, პოემები, შენი სურათი, აქარგული ეპოქებით. მაგრამ წამებს, საათებს შენი განცდისას ვინ დათვლის მაშინ, ვინ აკინძავს? არავინ! მე არ მინდა წამიც შენი ნააზრის, ნაგრძნობის დაიკარგოს. მეშინია. აღნიშნე დრო. დრო აღნიშნე“.<sup>6</sup>

**[10 თებერვალი].** ჟურნალ „მნათობში“ გრძელდება „რევოლუციონური საქართველოს“ გამოქვეყნება (№ 11-12, 1930 წ.). ციკლის ეს ნაწილიც შემდგომ ცალკე ლექსებად იბეჭდებოდა.<sup>7</sup>

**17 თებერვალი.** დღეს, 17 თებერვალს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში გაიხსნება მწერალთა კლუბი... პოეტების გამოსვლა: ტიცციან ტაბიძე, ვალ. ტაბიძე, კონ. ლორთქიფანიძე, ალ. მაშაშვილი, გ. ქუჩიშვილი...<sup>8</sup>

**19 თებერვალი.** მწერალთა კლუბი გაიხსნა. მწერალთა კლუბის გახსნამ მოიზიდა არა მარტო ხელოვნების მუშაკნი, არამედ საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობა... მეორე განყოფილებაში ლექსები წაიკითხეს: გ. ტაბიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ვ. გაბესკირიამ...<sup>9</sup>

**25 თებერვალი.** გამოვიდა საქართველოს გასაბჭოების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი გაზეთ „კომუნისტის“ თორმეტგვერდიანი ნომერი. სხვა მასალასთან ერთად იქ დაბეჭდილია წერილი: „ქართული მწერლობის ათი წელი“, სადაც ვალაკტიონზეც არის საუბარი, როგორც „სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მომღერლზე“.<sup>10</sup>

**25 თებერვალი.** „სალიტერატურო გაზეთში“ გამოქვეყნდა ვალაკტიონის ლექსი: „ეს ათი წელი“ – „პოემიდან „რევოლუციონური საქართველო“, რომელიც შემდეგ იბეჭდებოდა სათაურით: „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ“.<sup>11</sup>

**12 მარტი.** „ჟურნ. „მნათობი“ ამა წლის იანვრიდან გადაეცა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციას. მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა გამოჰყო ჟურნალის სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: გ. დევდარიანი, შ. რადიანი, გ. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ი. ვაშაყმაძე და ს. ეული.“<sup>12</sup>

**9 აპრილი.** „დაიბეჭდა და გამოვიდა „მნათობი“ №1-2 (იანვარი-თებერვალი). შინაარსი... გ. ტაბიძე „რევოლუციონურ საქართველოს“.<sup>13</sup>

**[9 აპრილი].** ჟურნალ „მნათობში“ დამთავრდა ვალაკტიონის ციკლის – „რევოლუციონური საქართველოს“ ბეჭდვა.<sup>14</sup>

**[23 აპრილი].** ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „მოდინ ლეგიონები“.<sup>15</sup>

ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილია ქართველ მწერალთა კავშირის წერილი მაქსიმ გორკის დასაცავად, რომელსაც სხვებთან ერთად გალაკტიონ ტაბიძეც აწერს ხელს.

**[23 აპრილი].** „... პირველი ასეთი თანამგზავრთაგანი, ქართული მწერლობის თვალსაჩინო და უნარიანი წარმომადგენელი იყო გალაკტიონ ტაბიძე. ენტუზიასტმა პოეტმა დაგმო და დასძლია თავისი წარსული. ის მტკიცედ ჩასდგა სოციალიზმის მშენებელთა რიგებში. ჟურნალ „მნათობი“-ს დაარსებიდანვე გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციონურ პოემებს და ლექსებს სასტიკი დისონანსი შეჰქონდათ მემარჯვენე-რეაქციონური მწერლების დახმავებულ შემოქმედებაში. დღეს გალაკტიონ ტაბიძე პროლეტარული რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის მომლერალია, რევოლუციამ რეაქციონური აზრებით დამბლა – დაკრულ მწერლობას წაართვა შემოქმედებითი უნარით სავსე მებრძოლი. საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავზე გალაკტიონ ტაბიძემ თავისი დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით შესძლო თანამგზავრობის გზის გავლა და მოკავშირედ გახდომა...“<sup>16</sup>

**[23 აპრილი].** „იმ მწერლებიდან, რომელნიც შემოქმედებითი მონაცემებით ცდილობენ პროლეტარიატის ლიტერატურული მოკავშირენი გახდენ, შეიძლება დავასახელოთ: გალაკტიონ ტაბიძე, რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი და სხ. აღნიშნული რიგი, მიუხედავად სავსებით ვერ დაძლეული წვრილბურჟუაზიულ მერყეობისა, ცდილობს შემოქმედებითი ფაქტებით გვიჩვენოს სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები...“<sup>17</sup>

**1 მაისი .** „... მეექვსე თვე გადის, რაც დღიურში არა ჩამიწერია რა. ამ ხნის განმავლობაში მე გადავიტანე ბევრი რამ: უმუშევრობის, უფულობის გამო იძულებული გავხდი გავქცეულიყავი სოფელში ძმასთან, რომელმაც გამიწია დახმარება. მან მომცა პალტო, როდესაც სოფლიდან დავბრუნდი, ავად გავხდი ისევე გრიპით... უმთავრესი ჩემს ცხოვრებაში ისაა, რომ მიმაგრებული ვარ ხელოვნების სასახლეზე და პენსიის სახით ვიღებ 150 მან., სულ გამოდის 200 მანეთი პენსია. ამასთანავე არჩეული ვარ ცაკის კანდიდატათ, რაც ყველაზე უფრო დიდებული საქმეა. „რევოლუციონური საქართველოს“ ბეჭდვა დასრულდა მნათობში... დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი „პროლეტარულ მწერლობა“-ში. ოფიციალურად გამოცხადებული ვარ მოკავშირედ. ჩემს შესახებ იყო წერილები: На рубеже-ში, Заря востока-ში, კომუნისტში, ახ. კომუნისტში, არის თარგმანი სომხურ ჟურნალში, არის წერილი „პროლეტ. მწერლობაში“, ვარ, მაშასადამე, ცენტრალური ფიგურა ქართულ პოეზიაში. ხელის ოპერაციის შემდეგ (თითი ჯერ კიდევ არაა მორჩენილი) კბილი გავაკეთებინე. განწყობილება კარგია მასთან. ბინა ჩემთვის საუკეთესოა. ჯერჯერობით მე უკეთესი არა მინდა. ეხლა რა არის გასაკეთებე-

ლი? 1. წიგნად უნდა გამოვიდეს „რევ. საქართველო“. 2. 25 მაისს უნდა მოვანყო გრანდიოზული საღამო. 3. უნდა მოვანყო რუსეთში ჩემი წიგნის გამოცემა. 4. ჯანმრთელობის აღდგენა. 5. დახმარება დედასა და ოლიას. 6. იერიში პოეზიის ფრონტის განმტკ. „გაზეთი“ რუსულად. 7. იერიში ხელოვნების სასახლეზე. პირველ ხანებში უმთავრესია: 1. გაზეთი, საღამო, წიგნი. 8. ყველა გაზეთებში დემონსტრაცია რევ. საქართველოსი. 9. დარაზმვა მწერლების, არტისტების, მეგობრების, ამხანაგების (ტელეფონი, ფოსტა, სიტყვიერი პროპაგანდა, მხატვრები)... დღეს პირველი მაისია... ოცდაოთხი დღის შემდეგ ტფილისი იქნება ჩემი. იქნება ჩემი საღამო, იქნება სიხარული, იქნება აღტაცება. გაუმარჯოს 25 მაისს. განა დიდი ხანია მას მერე, რაც აცხადებენ: გალაკტიონმა შემოიტანა ლიტერატურული დემპინგი, უმაღლესი ხელოვნება დაიყვანა მასამდე, და ჩალის ფასად ყიდის მასო. სხვადასხვა ვარიაციებით ამას იმეორებენ დღესვე ჩვენი მემარჯვენეები. დავით კლდიაშვილის დასაფლავების დღეს მე რამდენჯერმე გავიგონე ასეთი აბდაუბდა. მემარჯვენეები ჩემი მოწინააღმდეგეები არიან. მე უნდა დავეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარულ მწერლობას, არავითარი ყანწები, არავითარი მემარჯვენეები. თუ ამათ ჩარევა მოხდა ჩემს საღამოში, მოხდება იმდენად, რამდენადაც ეს პროლეტარული მწერლობის ინტერესებიდან გამოვა (მე გამოცხადებული ვარ მათი უმთავრესი ჟურნალის „პ.მ.“-ს თანამშრომლად)...<sup>18</sup>

**[1 მაისი].** „ძველი თაობის მწერლებიდან ყველაზე ღრმა გარდატეხა რევოლუციონური იდეების მიმართულებით მოხდა გალ. ტაბიძის პოეზიაში. როგორც ცნობილია, გ. ტაბიძის პოეზია გასაბჭოებამდე უკიდურესი პესიმისტური და დაცემული განწყობილებებით იყო გამსჭვალული. საქართველოს ოქტომბერმა კი მის პოეზიაში ძირეული ძვრა მოახდინა. დღეს გ. ტაბიძე სოციალისტური აღმშენებლობის ენტუზიასტი მომღერალია. ამ ათი წლის განმავლობაში გ. ტაბიძეს ჰქონდა თავის პოეზიაში რყევანი, ჩავარდნები, მაგრამ მისი ძირითადი ხაზი გამართული და სწორი იყო. პროლეტარული რევოლუციის თანამგზავრად გახდომის საფუძველზე შექმნა გ. ტაბიძემ „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“, „აღმოსავლეთი“, „ჯონ რიდი“... „რევოლუციონური საქართველოს“ მსგავსად „ეპოქა“ წარმოადგენს ცალკეული ლექსების მონტაჟს. თვითუფლ ამ ლექსში პოეტი გვიხატავს ჩვენი ცხოვრების რომელიმე მომენტს... რიონჰესი, ახალი ქარხანა, კოლმეურნეობა, ტრაქტორი, წითელი არმია, საწარმო-საფინანსო გეგმა, ხუთწლედის და სხვ. აი, თემები, რომელსაც ეხება გ. ტაბიძე... მართლაც, რომ უამრავ და უდიდეს მასალას იძლევა ხელოვნებისთვის ახალი, საბჭოთა ცხოვრება, მხოლოდ საჭიროა მისი დანახვა, ორგანიულათ განცდა და გამოსახვა. გ. ტაბიძე თავისი პოეზიით სწორედ აქეთკენ მიისწრაფვის, სწორედ ამას ცდილობს... „რევოლუციონური საქართველოდან“ თავი „კოლექტივის სიმღერა“ მთელი რევოლუციონური ჰიმნია საბჭოთა სოფლის.. უდიდესი ენტუზიასმის და რევოლუციონური განწყობილებების შემქმნელია ეს სტრიქონები, პოეტი ახალი ცხოვრების მაჯისცემას კარგად გრძნობს. საბჭოთა სოფელი,

რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ სახეს ღებულობს, გ. ტაბიძის მიერ ესტეტიურ-მხატვრულ ფორმაში ყალიბდება.<sup>19</sup>

**7 მაისი.** „... თანამგზავრს ვეძახოდით გალაქტიონს, მართლაც ის იყო პირველი ნამდვილი თანამგზავრი... ახლა თანამგზავრზე მეტია... უიმედობის, სასონარკვეთის, პესიმის უკიდურესი გამომხატველი – ასეთი იყო გალაქტიონ ტაბიძე... სულ სხვაა საბჭოთა საქართველოს გალაქტიონი... გალაქტიონმა გააკეთა მხატვრული მწერლობის ისტორიაში იშვიათად ნახული, ძნელად წარმოსადგენი „სალტომორტალი“. მან საკუთარი ხელით დაამსხვრია საკუთარი ქნარი, დალენა მისი პესიმისტური სიმები. ქართველი ბაირონი ქართველ მაიაკოვსკით გარდაიქმნა თითქოს. მართალია გალაქტიონი ჯერ კიდევ განზე დგას მაიაკოვსკიდან, მაგრამ არც ისე შორს... რევოლუციის პოეტი არ მოკვდება არასოდეს. დიდი პოეტი რჩება დიდ რევოლუციაში – სრულებით გამართლდა პლექანოვის ეს შეხედულება. ამას მოწმობს ჩვენში გ. ტაბიძე, საბჭოთა რუსეთში, ვალერი ბრიუსოვი, სიმბოლისტი, არამც თუ მოვიდა პროლეტარულ რევოლუციამდე, გაცილებით მეტი – შეუერთდა მას. გახდა კომუნისტი... უნდა იწყებოდეს ლიტერატურაშიც ახალი ეპოქა. განწირულია „ჯვარედინზე მყოფი პოეტი“. პროლეტარული რევოლუციის ბრძანებაა, მრისხანე „პოეტების არ გაისმოდეს უიმედობა, კენესა, ნუნუნ“... ახალი ქვეყნისთვის, კომუნისტისთვის... სრულიად უცხოა და დაუშვებელი... გალაქტიონმა კარგად იცის ეს... ამიტომ ის თავს ესხმის უიმედობას, განზე გადგომას, ებრძვის დახავსებულ მწერლობას: როცა ტფილისში ტყე მღელვარება/ და ავჭალაში კიოდა ტურა,/ იმ ხანისათვის თუ ივარგებდა/ თქვენი მხატვრული ლიტერატურა. აი, სატირა, ირონია, მწარე დაცინვა გამსახურდია-გრიშაშვილების ტიპის მწერლებზე. მათი „შემოქმედება“, „დროგადასული და მოხუცია“, კიდევ მეტი – მკვდარია და გახრწნილი...

გალაქტიონის ახალი წიგნი „ეპოქა“ პროლეტარული რევოლუციის მხატვრული დიდებაა. აქ დახატულია მთელი თანამედროვე ეპოქა, დახატულია ვრცელ ტილოზე დიდი მხატვრის ხელით... ეპოქაც არის და ეპოქაც, ეს არ ავიწყდება გალაქტიონს... ეპოქაზე სწერს მთელ წიგნს და... ვეღარ ამთავრებს. „როდის დამთავრდება ეს ეპოქა? ეპოქა დამთავრდება მსოფლიო რევოლუციის მოხდენის დღესავე, მე მისი გული ვარ და მონათესავე!“ გადაჭრითაა ნათქვამი... შეიძლება გადაჭარბებულია ეს თქმა, მაგრამ გაბედულია და პირდაპირი, წიგნში არის რასაკვირველია, მხატვრულად სუსტი ადგილები, ეს ბუნებრივია – 200 გვერდის მხატვრულად დაწერა შეუძლებელია. ერთი კი ცხადია: ყოველ გვერდზე იგრძნობა, რომ კითხულობთ დიდ მწერალს, მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს, დიდ ხელოვანს.<sup>20</sup>

**9 მაისი.** საქართველოს მწერალთა ფედერაციის წმენდის კომისიის მუშაობის შედეგები. დაესწრნენ: შ. რადიანი, ა. ჭუმბაძე, ს. წვერავა, ს. ჩიქოვანი და ტ. ტაბიძე. მოისმინეს: ფედერაციის წევრთა გაცხრილვა და არალირისი წევრების

გარიცხვა. გადარჩეულ იქნა ფედერაციის შემადგენლობა. მოისმინეს: ტაბიძე გალაკტიონი – დარჩეს. სულ გაარჩიეს 107 კაცის საქმე... თავმჯდომარე შ. რადიანი, მდივანი ნ. კლდიაშვილი.<sup>21</sup>

**10 მაისი.** იყო მწერალთა წმენდა... მოსცხო ბენიტომ [ბუაჩიძე], მოსცხეს სხვებმაც. პაოლომ [იაშვილი] უსინდისოდ გამოილაშქრა ჩემს წინააღმდეგ. მაგრამ ხმა გააკმენდინეს. „გააგდეთ მაგისი დედა...“ გაისმოდა დარბაზში... უმრავლესობა აღელვებულია მემარჯვენეების უტიფარი გამოსვლით. მოსალოდნელია დიდი ლიტერატურული ომები. პროლეტმწერლებთან ერთად დაირაზმებიან თანამგზავრები. ეს ფაქტია. მემარჯვენეები ყოველ ღონეს მიმართავენ პროვოკაციისათვის ჩემს წინააღმდეგ. საჭიროა მედგარი ომი – მათთან...<sup>22</sup>

**23 ივლისი.** „გთხოვთ მიმამაგროთ თქვენს დახურულს განმანანილებელს. ვარ საქართველოს ც.ა.კ.-ის მე-VI მოწვევის კანდიდატი.. ვმუშაობ ხელოვნების სასახლეში როგორც მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ლიტწრეების ხელმძღვანელი და სხვ. ამჟამად ვამზადებ წიგნებს. საერთოდ, დაკვირვითი წესით ვმუშაობ მეტად რთულ კულტურულს, კერძოდ, ლიტერატურულ ფრონტზე, რომელიც მოითხოვს დიდს და ინტენსიურ შრომას. ვიმყოფები მეტად შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაში, ამიტომ გთხოვთ, თუ შესაძლებელია, დაჩქარებით მიმამაგროთ თქვენს განმანანილებელს. გალაკტიონ ტაბიძე.“<sup>23</sup>

**[16 აგვისტო].** ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს: „მხურვალე სალამი პროლრტარულ მწერლებს“<sup>24</sup>

**28 აგვისტო.** რადიოს ქართული სექციის გამგემ მთხოვა, მივსცე შესაფერი მასალები რადიო-გაზეთისათვის. მე მგონია, ყველაზე უფრო შესაფერი იქნება ეს მასალები ამოღებული იქნას წიგნიდან „რევ. საქართვ.“ წიგნის გამოსვლის დღეებში. კარგი იქნება, თუ მოეწყობა რადიო-სალამო-სპეციალურად მიძღვნილი წიგნის გამოსვლისადმი. ამისთვის უნდა იქნას დანერგილი კარგი მოხსენება. არტისტებს უნდა დაურიგდეს ლექსები.<sup>25</sup>

**5 სექტემბერი.** [ბაირონი და მე?] არის თუ არა მელაძის გამოსვლაში ცინიზმი? მუშიშვილი სერიოზულად ამბობდა, რომ წინად მე ვიყავი ქართველი ბაირონი. შემდეგ მე უნდა შევიქნე მათაკოვსკი... უფრო ადრე იმავე კრებაზე (პ.მ. ასოც. პლენუმი) ბენიტო ბუაჩიძე ამბობდა ჩემს სქემატურობაზე. ჩაითვლება თუ არა ეს გარემოებები ჩემს წინააღმდეგ პირველ ნაბიჯებად?.. ყოველ შემთხვევაში... ჩემთვის უფრო აუცილებელია რაიმე ნაბიჯის წინ გადადგმა. აკტიური საჯარო დემონსტრაცია. სალამო, კრიტ. წერილები და სხვ... მჭირდება ერთგული დამხმარეები... როგორ გაუხარდათ ტიცციანს და აბაშელს ეს ამბავი... (ისინი პირ-

ში მეუბნებოდენ, ბაირონზე აქ ითქვა სიტყვაო (ს. აბაშელი), ყველას ჩვენ სქემატურობაში გვამტყუნებენო და სხვ...) <sup>26</sup>

**6 სექტემბერი.** „მას შემდეგ, რაც [ბალს] მას ჩამოსჭრეს დასავლეთი ნაწილი, ბალმა მიიღო რევოლუციის კობურის ფორმა. ბალი ახდენს სიახლის შთაბეჭდილებას. დღეს არაჩვეულებრივი მოძრაობაა მის გარშემო... ტფილისის ყველა ტრამვაები აქ იყრის თავს. ისინი მოდიან პლენხანოვის პროსპექტიდან ვორონცოვის ხიდივით, ავლაბრიდან, ვერიდან, ფუნიკულიორიდან, ორთაჭალიდან. აი, მე ვზივარ, ეხლა ამ ბალში... ამ წამში ქალაქის საათმაც ცხრა დაარტყა... სხვადასხვა ფორმის დროგები ხრიგინებენ... მიდიან მუშუკოპის ფურგონები, მიჰქრიან ეტლები... წკრიალებს ტრამვაის ზარი. ხმამაღლა წყლის გამყიდველი ბიჭები ყვირიან: ცივი წყალი, ტონელის წყალი. მიდის პაპიროსის გამყიდველი მოხუცი, ფეხსაცმლის მწმენდელები... შუაში დგას პუშკინის ბიუსტი. კამო იყურება (ეპარება) თავისუფლების მოედნისკენ... მებუდკე გაზეთს ჰკითხულობს. ბალში სხედან უმუშევრები. დედას მოუყვანია ძუძუს ბავშვი. ბავშვი ტირის. ქუჩის ხმაურში ბერლიოზმა აღმოაჩინა რიტმი, შრომის საწყისი.“ <sup>27</sup>

**8 სექტემბერი.** „კომუნის[ტის] კვირის, 6 სექტ. ნომერში სწერია: 3 სექტ. ხელოვნების სასახლეში გაიხსნა საქ. პროლეტ. მწერ. ასოციაციის გამგეობის გაფართოებული მე-VI პლენუმი... „კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავენ დიდ შეცდომას, რომელიც კერძოდ ამხ. გ. მუშიშვილმა დაუშვა პოეტ გალაქტიონ ტაბიძის შეფასებაში, როდესაც ამტკიცებდა, რომ გ. ტაბიძე თითქოს ბაირონია და უნდა გახდეს მაიაკოვსკიო“ (იხ. აქვე, „მატიანეში“, ამ წლის 7 მაისი – მ.შ.). რას ნიშნავს ეს სახელი მოხვდა გაზეთში, მაშინ როდესაც ლაპარაკი იყო ბევრზე... არის თუ არა პროვოკატორობა ეს?.. უარყოფენ, მაშასადამე, ჩემს წარსულს. კარტები გაშლილია: სახელის გატეხის პრინციპი“ <sup>28</sup>

**11 სექტემბერი.** მემარჯვენეების ისტორია სამუდამოდ გათავდა. პროლეტმწერლობამ შეიძლება ჩემზე მოიტანოს იერიში, იყო მათი პლენუმი. კომუნისტში მუშიშვილის წინააღმდეგ მე გადაამკრეს. <sup>29</sup>

**19 სექტემბერი.** მამ ასე: „რევოლუციონური საქართველო“ დაბეჭდილია. არაა ყდა. ყდის გაკეთების და აკინძვის შემდეგ წიგნი მზად იქნება (მე მგონია, წიგნი მაინც არ იქნება მზად ერთი თვის განმავლობაში). რა ჯოჯოხეთი გავიარეთ მე და ჩემმა წიგნმა, ჯერ არ გამოსულმა! ის უნდა გამოსულიყო ჯერ ისევ მაისში (დოკუმენტები ამის შესახებ სტამბაშია). მაგრამ მაინც Viva la revolusion Geirgien! viva la Galaktion Tabize! Viva la Gultur Georgien! „ინტელიგენტს ერთს დაუცაცხანებ და გათავდა.“ ჩემ პიროვნებაში ეს იდეა არის ფიქცია. <sup>30</sup>

**26 სექტემბერი.** შაბათ საღამოს, 26 სექტემბერს, თბილისის დროით 20 საათიდან და 54 წუთიდან 24 საათამდე და 31 წუთამდე – კრილოვის ქუჩის მეა-



თე ნომრის მესამე სართულის აივანიდან თვალი მიადევნა და რუხყდიან საერთო რვეულში თავისი ერთგული „კარანდაშით“ ექვს გვერდზე დააფიქსირა მთვარის დაბნელება.<sup>31</sup>

**29 სექტემბერი.** საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციას. გთხოვთ ჯამაგირის ანგარიშში გამომიწეროთ 30 მანეთი. 29 სექტ. გალაკტიონ ტაბიძე. ფედერაციის სალაროს. მიეცით 30 (ოცდაათი) მან. ს.წვერავა. 29 IX. ოცდაათი მანეთი მივიღე. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>32</sup>

**4 ოქტომბერი.** შენის ლექსებით გუშინ გამოგვაყრუა თამარა ჭავჭავაძემ (მუშათა კლუბში სასახლის ქუჩაზე). იყო შეხვედრა კ. მარჯანიშვილისა საშეფო წარმოებასთან (სტამბა, კოლექტივი). ჰკითხულობდა ძალიან კარგად. ნაიკითხა ორი ლექსი: ერთი – „დამკვრელებს“, მეორე „რევოლუციონური საქართველო“-დან. ვარლამ მიქაძე...<sup>33</sup>

**22 ოქტომბერი.** მწერალთა კლუბში (ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლე) დღეს, საღამოს 8 საათზე. გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო... ლექსებს ნაიკითხავენ: გ. ასათაშვილი „დამკვრელი მუშები“, ირ. აბაშიძე, კ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, კ. ლორთქიფანიძე, ალ. მაშაშვილი, ვალ. ტაბიძე.<sup>34</sup>

**27 ოქტომბერი.** ჩვენი გაზეთის საოქტომბრო ნომერში ვათავსებთ ქართველი საბჭოთა მწერლების ჯგუფურ სურათს. 27 ოქტომბერს მოწვეული იყავით სურათის გადასაღებად, მაგრამ თქვენ არ გამოცხადდით. განმეორებით გთხოვთ მოხვიდეთ.<sup>35</sup>

**[ოქტომბერი].** ოქტომბრის რევოლუციის 14 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო. მწერალთა ფედერაციის სამდივნო გააგალებთ მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ საღამოში.<sup>36</sup>

**1 ნოემბერი.** გალაკტიონის ლექსი: „ძირს ცინიზმი“ დათარიღებულია 1 ნოემბრით.<sup>37</sup>

**1 ნოემბერი.** „მწერლები ქარხნებში. საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გამოყო მწერალთა 3 ბრიგადა და მიამაგრა შემდეგ საწარმოებზე: ამხ. სტალინის სახ. ორთქმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანაზე, დეპოზე და „26“-ის სახელობის ქარხანაზე. გეგმების შესრულებაში მონაწილეობის გარდა, მწერლები აღნიშნულ ქარხნებთან ჩამოაყალიბებენ და უხელმძღვანელებენ მუშათა ლიტწრეებს. პირველ ბრიგადაში შედიან ამხ. ს. წვერავა, გიორგი ლეონიძე, გ. ტაბიძე, ნ. მინიშვილი, ვალ. გაფრინდაშვილი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი და შალვა აფხაიძე... ბრიგადები უკვე შეუდგნენ მუშაობას.“<sup>38</sup>

**4 ნოემბერი.** 4 ნოემბერს ე. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში პროლეტარული ასოციაციის ხელმძღვანელობით გაიმართება მწერლობაში განვეულ დამკვერელ მუშა მწერლების შემოქმედებითი საღამო... გამოვლენ აგრეთვე პროლეტარული და საბჭოთა მწერლები: ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე... გ. ტაბიძე.<sup>39</sup>

**5 ნოემბერი.** 5 ნოემბერს გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის სამდივნო გ ა ვ ა ლ ე ბ თ მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ საღამოში. გვერდის ახვევის შემთხვევაში თქვენი საკითხი დაისმება სამდივნოზე.<sup>40</sup>

**8 ნოემბერი.** კვირას, 8 ნოემბერს, ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში ოქტომბრის რევოლუციის 14 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო... ლექსებს წაიკითხავენ: ირ. აბაშიძე, კ. ბობოხიძე, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, ს. ეული, კ. ლორთქიფანიძე... გ. ტაბიძე...<sup>41</sup>

**10 ნოემბერი.** „სალიტერატურო გაზეთი“ ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს: „ორთქმავალი რკინიგზის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამჭედლო ცეხიდან ესალმება მე – 14 ოქტომბერს.“<sup>42</sup>

**[12 ნოემბერი].** ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ (№ 6-7) აქვეყნებს გალაკტიონის ლექსს: „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“.<sup>43</sup>

**[12 ნოემბერი].** „... გალაკტიონ ტაბიძე შუამდებარე სოციალური ჯგუფების წარმომადგენელია, დღეს პროლეტარული რევოლუციის რომანტიკოსი, პროლეტარული მწერლობის ლიტერატურული მოკავშირე. ელემენტარული მცოდნეობაა, რომ საზოგადოებრივი კლასების, შუამდებარე საზოგადოებრივი ჯგუფების, საზოგადოებრივი ადამიანის ფსიქოლოგია და იდეოლოგია მათი სოციალური ყოფის ცვლილებასთან ერთად იცვლება, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვტოვოთ ისიც, რომ შუამდებარე ჯგუფების ფსიქოლოგია ძირითადად შუამდებარეა. 1914-21 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, დაცემულობის, მებრძოლი პესიმიზმის პროპაგანდისტი, რელიგიური ექსტაზის მწარმოებელი, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი, ეროტიული და პატრიოტული „თრთოლვის“ ვირტუოზი და ბოჰემა-ანარქისტი. სოციალური მოტივები მის პოეტურ პრაქტიკაში განდევნილი იყო, ტაბიძე გაურბოდა სოციალური საკითხების რგოლს, და თუ „შემთხვევით“ შეეხებოდა სოციალურ ჯაჭვს, გულგრილად გაეწყობოდა მას, ობივატელი იყო. სოციალურმა ქარტეხილმა რამდენიმედ შეუბღალა პოეტს მისტიური ბურანი, და 1919 წელს, თუმცა ნაუცბათევადა და დროებით, მაგრამ მაინც სტიქიურად (ბლოკისებურად) განიცდიდა ეპოქის აგორებულ ტალღების „კატასტროფულ“ გრანდიოზულობას...“

სოციალური პროგრამის უქონლობის გამო მისტიკოსი გალაქტიონ ტაბიძე რევოლუციონურ წყალვარდნილს სტიქიურად, „კატასტროფულად“ განიცდის. „როგორ ებრძოდნენ ზარები ზარებს“ მოცემული დებულების არგუმენტაციაა... ბუნდოვანი შეუკვრელი განწყობილებები, რევოლიუციის დამრღვევი ძალისადმი მისტიური მიკედლება, ქაოსის რომანტიკა. თუმცა პოეტის მიერ ნაწილობრივ შეგნებულია იმპერატორების კრემლის დაცემა, ამ დაცემის სოციალური შინაარსი, მაგრამ... გ. ტაბიძე კვლავ მოლოდინშია, „როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი.“ ეს უკვე გ. ტაბიძის შემოქმედებაში ახალი მოტივია, თუმცა არსებითად – სტიქიის კულტი. პოეტი ცდილობს სოციალურ მოტივზე სწორებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკის, ტემპების თვალსაზრისზე დადგომას, მაგრამ თავის მისტიურ დატენილობას ვერ სძლევს, მხოლოდ დროებით განწყობილებებთან, დროებით გათამაშებას თუ ახერხებს, თებერვლის რევოლუციამ მასში რევოლუციონური აკიჟინების სწრაფვა გამოიწვია: „გათენდა; შეერთდით, შეერთდით, შეერთდით! დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!“ მაგრამ ხმა ვერ გამართა, კვლავ მისტიური ხაზით განვითარდა პოეტი; სუსტი გამოდგა გალაქტიონის ხმა „დროშებზე“ ამღერებისათვის! რატომ? შუამდებარე ჯგუფების ფსიქოლოგია ძირითადად შუამდებარეა. კვლავ უბრუნდება გ. ტაბიძე საზოგადოებრივ ცხოვრებას, აწარმოებს საკუთარი თავის მოქალაქეობრივ გამოცდას, ინერება პოეტური ნაწარმოებები: „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, რომელშიც პოეტი თბილად იგონებს ოქტომბერს... გალ. ტაბიძეს უყვარს სამშობლო, პატრიოტია, თუმცა მისი სამშობლოსადმი სიყვარული უფრო „ლანდშაფტური“ ხასიათისაა: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? ეს ჩემი სამშობლოს ფერია.“ საქართველოში მენშევიკების ბრძანებლობის დროს ჩამოვიდა პოეტი და რა დაუხვდა?... „ქიმერიონი“ „დემოკრატიული“ და თავადაზნაურულ-სპეკულიანტური ორგანიზაციის... ზოოლოგიური შოვინიზმი, გლეხთა აჯანყებები, რევოლუციონური მუშების ხერხეა... პატრიოტული ხმლების ლაპლაპი; მწერლობაში? შოვინისტური, პორნოგრაფიული, მისტიური, პესიმისტური, რელიგიური, ფეოდალური კარმიდამოს და სხვ. მოტივები. „ობივატელი“ (ამ ცნების სოციალ-პოლიტიკური გაგებით) გალ. ტაბიძე გულწრფელად შეაძრწუნა ამ ქაობის მდგომარეობამ და არსებულ სინამდვილეს ნაწილობრივ პროტესტანტულად გაეწყო... მართლაც „ბულბულ-მდელოს“ მომღერლები, მესაზანდარეები და მეზარენი მტრულად იყვნენ განწყობილნი მონინავე იდეებისადმი და თავიანთ ცხვირს იქით ვერას ხედავდნენ. როგორც აღვნიშნეთ, გ. ტაბიძის მისტიურ და პესიმისტურ შემოქმედებაში მოცემული მოტივები და განწყობილებები მხოლოდ... დროებითი იყო, მაგრამ ამავე დროს დასაწყისიც გ. ტაბიძის რევოლუციონური გარდაქმნისა, მის თავში რევოლუციის მოხდენის მკრთალი და სუსტი სანყისები. გ. ტაბიძის ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური გაჯანსაღება და გარდაქმნა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში იყო შესაძლებელი. ეს ასეც მოხდა! უმწეო მისტიკოსი და პესიმისტი, „მე და ლამე“, „მესაფლავე“ და „მერი“-ს ცრემლიანი ავტორი, პრო-

ლეთარული რევოლუციის პირველი ქართველი ლიტერატურული თანამგზავრი გახდა, ოქტომბრის გულწრფელი რომანტიკოსი!.. ოქტომბრის რევოლუციის გარეშე მას... შემოქმედებითი თვითმკვლელობა დაემართებოდა...<sup>44</sup>

**[12 ნოემბერი].** „იმპერიალისტურ ომზე და რევოლუციაზე ერთ უშესანიშნავეს წიგნად უნდა ჩაითვალოს გ. ტაბიძის „ეპოქა“.<sup>45</sup>

... დაგვიანებით, მაგრამ ფრიად საინტერესოდ ჩატარდა ლოკაფის საქართველოს ორგანიზაციის დაარსება... შეკრებამ მიიღო რეზოლუცია და აირჩია წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების სახელმძღვანელო ორგანოები: საბჭო და სამდივნო. ლოკაფის საბჭოში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ს. ბუაჩიძე, ი. უგულავა, ბლუაშვილი, პ. საყვარელიძე, ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, ს. წვერავა, რ. გვეტაძე, ა. მაშაშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე...<sup>46</sup>

**19 ნოემბერი.** გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ № 6-7. შინაარსი... გ. ტაბიძე „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი...“<sup>47</sup>

**21 ნოემბერი.** „საუბარი ისეთი, რომელიც ჩემს შესახებ ისმის მეორე ოთახიდან, რომელშიდაც ღვინით იღეშებიან ვიღაც უცნობები და რომელსაც კვერს უკრავენ ჩემი მეზობლები, ყოველ წრეს გადასული მუქარაა სხვა არაფერი... ესაა გაგრძელება ძველი ისტორიის. ყველანი ერთი მიზნისკენ მიეშურებიან – დამატოვებიონ ოთახი შეერთებული პროვოკაციული გამოსვლით... „კავალრების“ დაცვით გახარებული ქალები განაგრძობენ: როგორ გალახავთ, ფანჯრიდან როგორ გადაისვრით, შალიკო ოკუჯავას სიძეა, ბატონო! რა „პატიოსანი“ ხალხია. უნდა მაგრძნობინონ, რომ მხოლოდ შალიკოს უნევენ ანგარიშს, და არა მე!...“<sup>48</sup>

**21 ნოემბერი.** გალაკტიონის ლექსის: „ნაწყვეტი ძველი წერილიდან“ თარხილია: „1931 წ. 21 ნოემბერი“.<sup>49</sup>

**24 დეკემბერი.** 1931 წლის 24 დეკემბრითაა დათარიღებული გილბერტ ჩესტერტონის ლექსის: „ჭაობიან ქალაქში, სადაც ყველა მკდარია“ თარგმანი და გალაკტიონის მინანერი: „მე და ოლიამ ვთარგმნეთ.“<sup>50</sup>

**1931.** „ათი წლის უმუშევრობა, სისტემატიური დევნა, რომელიც არაფრით არ დამიმსახურებია, უბინაობა, შიმშილი, აღმაშფოთებელი ცინიზმი (რომელიც აკვირვებდა ყველას), ნააქცევდა, მე კი არა, დევსაც კი.“<sup>51</sup>

**1931.** „მოგახსენებთ, რომ აფხაზეთიდან დაბრუნებისას ავტომობილმა, რომლითაც გადმოვდიოდით მდინარე ენგურს, განიცადა ავარია სწორედ შუა მდინარეში და ჩვენ ძლივას გადავრჩით, ფიცარს ჩაბლაუჯებულნი [ილღიაში ამ ჩემი ნაწარმოებით]. გადარჩა ჩემი „რევოლუციონური საქართველოც“, რომლის ფურცლებიც ეხლაც სველია ენგურის ზვირთებით.“<sup>52</sup>

**13 იანვარი.** 13 იანვარს შესდგა საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა... ფედერაციის პრეზიდიუმი შესდგება 29 წევრისაგან. პრეზიდიუმში შედიან: ამხ. მ. ორახელაშვილი, ს. თოდრია, შ. რადიანი, ა. ჭუმბაძე... გ. ტაბიძე... ჟურნ. „მნათობი“-ს კოლეგიაში არჩეულ იქნენ: ამხ. გ. ყურულაშვილი (პ.- მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, ს. ეული, დ. სულიაშვილი, პ. შარია, მდივნად ლ. ასათიანი.<sup>1</sup>

**21 იანვარი.** „დიდი ხანია/ გებრძვით გულდაგულ/, გვსურს შეტაკება გულდაგეშილებს/, გამოგივლია გზები უდაბურ/ ტყეში/, მთებში და/ ნაპრალებშივე./ რა მოგივიდა?/ გავხარ დასეტყვილს, / სამწუხაროა, თანაც საბრალო.../ გესროლეთ, მოგხვდა? ახლა რას გვეტყვი/ შენ.../ პოეტების მთავარსარდალო?... შეატრიალე/ კალმის მახვილი/ და გსურს დასძლიო წინააღმდეგობა.../ მაგრამ/, ოდესღაც შორს მიმავალი/ ლექსი ხრამშივე იწყებს გორიას/, არ იყო/, დღესაც სწორი არ არის/ შენი მიზნების / ტრაექტორია./ ვიცით რომ.../ ნაცვლად ტემპერამენტის/ ჟრუანტელივით მოგდევს მირაჟი/, ჩაანყვე რიგში ლექსი ცამეტი/ ერთჯერ თუ გინდა მოხვდეს მიზანში./ თვალი არ გიჭრის/ და გრძნობ იმედის/ სხივ – გაშლილობა/ რომ არ გიყნოსავს:/ მზეს უმღერ, მაგრამ განწყობილებით/ რჩები წარსულის რომანტიკოსად./ იყავ მახვილი/, ლექსებს წერდი მით/, დღეს ველარ უძლებ/ ბრძოლას, შეტევის/, დროა.../ დაუსვა ტყვიის წერტილი/ განვლილ დროსა და/ შემოქმედებას.“<sup>2</sup>

**26 იანვარი.** „სალიტერატურო გაზეთში“ დაიბეჭდა მაშაშვილის ლექსი, ნაწილობრივად მიმართული ჩემს წინააღმდეგ, საერთოდ კი თანამგზავრებისა და მოკავშირეების წინააღმდეგ. ამის შესახებ დღეს საუბარი მქონდა ბენიტოსთან. მე წავუკითხე მას ეს ლექსი, აგრეთვე ლექსი 1923 წ. მაშაშვილის. ბენიტომ სიტყვა-სიტყვიტა სთქვა: რა სისულელეა, რა ბავშვობაა. შენ ამისი ღირსი არა ხარ. შენ ხარ უფრო სხვა, დიდი დაფასების ღირსი.<sup>3</sup>

**1 თებერვალი.** „საბჭოთა მწერლების ფედერაციაში. 1 თებერვლიდან იწყება შემოქმედებითი დისკუსია. დღეს, საღამოს 8 ს. მწერალთა კლუბში პირველ მოხსენებას თემაზე: „თანამგზავრობა და მოკავშირეობა“ წაიკითხავს ამხ. შ. რადიანი, ოპონენტებათ მოწვეული არიან: ბ. ბუაჩიძე, ს. აბაშელი, ს. ეული, არ. ჭუმბაძე... გ. ტაბიძე...“<sup>4</sup>

**1 თებერვალი.** სამდივნოს დადგენილებით პირველ ბრიგადაში (სტალინის სახ. ქარხანა) გამოყოფილი იქნენ: ამხ. პ. ჩხიკვაძე, გ. ლეონიძე, და შ. აფხაიძე – ხელმძღვანელები, გ. ტაბიძე, ნ. მინიშვილი, სიმ. ჩიქოვანი, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გაბესკირია, ტ. ტაბიძე... ბრიგადის ხელმძღვანელებს დაევალათ თავიანთ ლიტწერებში მუშაობას შეუდგნენ 1-ლ თებერვლიდან.<sup>5</sup>

**1 თებერვალი.** „...როგორც ცნობილია, საქართველოს გასაბჭოებამდე გალაქტიონ ტაბიძის პოეზია გამსჭვალული იყო უკიდურესი პესიმისტური და და-

ცემული განწყობილებით... გ. ტაბიძის პესიმიზმს თავისი სოციალური საფუძველი ჰქონდა. ის გამოხატავდა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის იმ ფენის განწყობილებებს, რომელიც გაურბოდა რევოლუციონურ ბრძოლას ძველი ქვეყნის წინააღმდეგ. საქართველოს ოქტომბრის შემდეგ გ. ტაბიძის პოეზიაში იწყება ძირეული ძვრა. პირველ ხანებში მას იტაცებდა რევოლუცია, როგორც აბსტრაქტული მოძრაობა. რევოლუცია მისთვის იყო მოგონება ქარის, გაქანების, განადგურების, სისხლის და სხვ. რევოლუციაში ეძებდა საერთოს, ბრჭყვიალას და რომანტიკულს... აქედან მოდის ჩავარდნები და რყევა მის პოეზიაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გ. ტაბიძის კონკრეტული პოეტური ფაქტებია ქრონოლოგიურად: „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“, „აღმოსავლეთი“, „ეს ლექსი“, „ასი ლექსი“, „პაციფიზმი“, „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“ და სხვ. ეს ლექსები ქრონოლოგიურად გამოხატავს გ. ტაბიძის შემოქმედებით განვითარებას, პროლეტარულ რევოლუციასთან უფროდაუფრო მიახლოების გზით. აბსტრაქტულ რომანტიკოსანი გ. ტაბიძე დღეს მოსულია პროლეტარულ რევოლუციის მოკავშირემდე... უამრავ და უდიდეს მასალას და თემას იძლევა სოციალისტური ქვეყნის მშენებლობა. მხოლოდ საჭიროა მისი დანახვა, ორგანიული განცდა, გამოხატვა. გ. ტაბიძე თავის პოეზიით სწორედ აქეთკენ მიისწავის... ისეთი პოეზიის შექმნაზე, რომელიც მიძღვნილია პროლეტარიატის საქმის გამარჯვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე პროლეტარიული რევოლუციის მოკავშირეა, მის პოეზიას მაინც საგრძნობი სუსტი მხარეები, ჩავარდნები და ნაკლოვანებები ახასიათებს... იქ, სადაც გ. ტაბიძე ეხება კლასთა ბრძოლის მომენტს, ყველაფერ ამას ის შემცირებული სახით იძლევა... თვით ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებშიაც, როგორცაა „რევოლუციონური საქართველო“, მტრები უსუსურად არიან მასში მოცემული... მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა თავისი მსოფლმხედველობის გარდაქმნა... გ. ტაბიძის არსებული შეცდომების მიზეზი არის არა მასალის ხასიათი, რომელზედაც ის მუშაობს, არამედ მისი შემოქმედებითი მეთოდის მცდარობა, მის მსოფლმხედველობაში დარჩენილი ძველი სიმბოლისტური გამოვლენები...<sup>6</sup>

**1 თეზისი.** „... აღ. მაშაშვილი ნიჭიერი პოეტია... მაგრამ იგი სასტიკად სცდება... როდესაც ფიქრობს (და ანხორციელებს), რომ თუ ჰეგემონიაზე ლექსებში ილაპარაკა, ლექსებშივე შეეცადა და „გაუსწორდა-გაანიავა“ გალაკტიონ ტაბიძე და სიმონ ჩიქოვანი, ამით ჰეგემონია მას დარჩება... მაშაშვილი ვალდებულია იმუშაოს ჩვენი ეპოქის უდიდეს კონკრეტულ მასალაზე... ამ მასალაზე დაყრდნობით, მხატვრულ ხარისხის აწევისთვის ბრძოლით და მხოლოდ ამ გზით მიაღწევს მთელი პროლეტარული მწერლობა და კერძოთ მაშაშვილიც ჰეგემონიას, მხოლოდ ამ გზით აჯობებს მონინააღმდეგეებს, თუნდაც გალაკტიონ ტაბიძეს და სიმონ ჩიქოვანს, თუ მაინცადამაინც ისინი მიაჩნია მაშაშვილს თავის კლასიურ მტრებათ და მხატვრულ მეტოქეებათ. რაოდენ იაფი, ადვილი, იოლი და უპასუხისმგებლოა „გასწორების და განიავების“ ის ხერხები, რომელსაც მიმართავს მაშაშვილი ამ პოეტების წინააღმდეგ. გალ. ტაბიძის შესახებ ის... იმეორებს მას, რა-

საც მასზე ყბედობენ ყოველი ჯურის გამოუსწორებელი მწერლები. მდგომარეობას ვერ სცვლის ის, რომ მაშაშვილი ამას ჩადის „მემარცხენე“ პოზიციებიდან... ჩვენ მოწინააღმდეგეებს შერთ, რომ გალაქტიონ ტაბიძე წარსულში წვრილ-ბურჟუაზიულ პესიმიზმით დამბალი პოეტი, პროლეტარულმა რევოლუციამ ორგანიულად გარდაქმნა და თავის ენტუზიასტ მომღერლად გადააქცია. ეს ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი პოეტის იდეურ შემოქმედებითი გამარჯვებაა. ისინი, ვინც გალ. ტაბიძეს უღრენენ, გამარჯვებულის ტალახში დასვრას ფიქრობენ, ყბედობენ, რომ გალ. ტაბიძე გულწრფელი არ არის, რომ ის მიტმასნებულია და ა.შ... გალაქტიონ ტაბიძის წინააღმდეგ მემარჯვენეთა ტალახს ალ. მაშაშვილმა ლაყე კვერცხები შეუერთა. „ეპოქას“, „პაციფიზმის“, „პრესას“-ს და სხვა მრავალ პოემა-ლექსის ავტორი არ არის წარსულის რომანტიკოსი. მაშაშვილს არ უნდა გაიგოს და შეურიგდეს იმ სინამდვილეს, რომ გალ. ტაბიძემ საფუძვლიანად შეატრიალა კალმის მახვილი... აგრძელებს წინააღმდეგობათა დაძლევას. ჩვენი მოვალეობაა დავებმართო ამ საქმეში... გალ. ტაბიძე ჩვენი მოკავშირეა და აქედან გამომდინარე ჩვენი ჰეგემონიის მისაღწევით მისი განადგურება არ არის საჭირო... მას აქვს ზოგადი, ზოგჯერ ზერელე, აბნეული, ზოგჯერ განყალბებული ადგილები, ის ჯერ კიდევ ვერ კონკრეტულად და ყოველმხრივ ვერ სწვდება ჩვენს სინამდვილეს... აქვს იდეოლოგიური შეცდომები... ჩვენ კრიტიკოსები ვიქნებით, მაგრამ სასტიკათ შვებრძოლებით ყველა მათ, ვინც მოინდომებენ გალ. ტაბიძის ცოცხალ, მებრძოლ პოეტების რიცხვიდან „ჩამოწერას“ და ისტორიაში გადაწერას... მაშაშვილის ტონი: „დღეს ვეღარ უძლებ/ ბრძოლას, შეტევას,/ დროა/ დაუსვა ტყვიის წერტილი/ განვლილ დროსა და შემოქმედებას“, ეს გაკაპასებული ყვავის ხმაზე ჩხავილია. რატომ დაუსვას ტყვიის წერტილი გალ. ტაბიძემ თავის წარსულ შემოქმედებას? იმიტომ, რომ გ. ტაბიძემ გადააფასა თავისი, მიუღებელი ჩვენთვის უცხო და მტრული წარსული და უკანასკნელი წლების შემოქმედებით მუშაობაში რევოლუციონური თანმიმდევრობა გამოიჩინა?.. სადამდეა აქ მისული დაბრმავებული თავხედობა? ყველაფერზე კამათი არ შეიძლება...“<sup>7</sup>

**[5 თიხპერვალი].** გალაქტიონ ტაბიძეს დღეს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მოკავშირე მწერალი. მისი იდეოლოგიური განვითარება, ახალ ამოცანების შეგნების სიღრმე იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ ის დაუახლოვდა და დაუკავშირდა პროლეტარულ მწერლობას... მე არ ვლაპარაკობ, რომ მან ყოველმხრივ, ყველა სიძნელე დასძლია, გახდა იდეალური მწერალი და აღარავითარი დაბრკოლება აღარ შეხვდება შემოქმედებითი მუშაობის გზაზე. გალ. ტაბიძეს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება, რომ უფრო ღრმად აითვისოს ჩვენი სინამდვილე, რომ საფუძვლიანად მოიცულოს ზოგადობა. მას ამის სრული შესაძლებლობა აქვს, მისი უკანასკნელი ნაწარმოებნი ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობენ.<sup>8</sup>

**21 თიხპერვალი.** „... ჩვენ უსათუოდ გვყავს ძლიერი მოკავშირეული მწერლობა. მის წარმომადგენლებია: გ. ტაბიძე, რ. გვეტაძე, სიმ. ჩიქოვანი და სხვ. უნდა იცოდეთ, რომ თითოეულ თქვენს სიტყვას პროლეტარული, საბჭოთა საზოგადო-

ებრივობა კონტროლს უწევს, თვითეული ჩვენი სიტყვისათვის პასუხისმგებელი ვართ პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე.“<sup>9</sup>

**21 თიბერვალი.** გ. ტაბიძის მთელი შვიდი რვა წლის ლიტერატურული მუშაობა („ჯონ რიდი“, „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“, „პრესა“ და სხვ.). გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გ. ტაბიძე ჩვენი საუკეთესო მოკავშირე მწერალია.<sup>10</sup>

**21 თიბერვალი.** პროლეტარულ მწერლობას უკვე ყავს თავისი იდეური შემოქმედებითი მოკავშირე ლიტფრონტზე... დღეს ასეთ ჩამოყალიბებულ მოკავშირეებათ მხოლოდ ერთეულებს ვასახელებთ (გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე).<sup>11</sup>

**21 თიბერვალი.** 26 თებერვალს ე. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში გაიმართება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 11 წ. და წითელი არმიის 14 წლისთავის აღსანიშნავი საღამო... მონაწილეობას მიიღებენ: ა. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, კ. ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი...<sup>12</sup>

**29 თიბერვალი.** „ა/ნ. 29 თებერვალს საღ. სრულ 7 საათზე, ე. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში გაიხსნება პოეზიის საწარმოო თათბირი. მოსმენილ იქნება ამხ. დ. ბენაშვილის, სიმ. ჩიქოვანის და კონსტ. ლორთქიფანიძის მოხსენებები შემდეგ თემაზე: მდგომარეობა პოეზიის ფრონტზე: კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: ა. მაშაშვილი, ირ. აბაშიძე, ს. ეული, შ. რადიანი, პ. ჩხიკვაძე, ფ. ნაროშვილი, კ. მელაძე... გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი...“<sup>13</sup>

**[თიბერვალი].** „არც სილაჟვარდე გამოჩნდა ზეცის, /არც დედამიწად ქარის მოდება. /კაცი ყოფილა აშკარა მხეცი, / რომელიც თან გძულს, თან გეცოდება./ აღარც ცრემლია, რომ გული დალბეს, /გზად გამოშუქდეს ნათელი სვეტი... /ვერ გადალეკავს ამდენ სიყალბეს /ვერარა ძალა სიკვდილის მეტი. / მაგრამ ელვარეს თეთრად თოლიებს/ ფიქრებთან ერთად გააქვს თარეში/და ანძა ანძას გაიყოლიებს /ყველაფრის დამტევ სიმწუხარეში. გალ. ტაბიძე, 1932 წელი.“<sup>14</sup>

**[თიბერვალი].** „მწერლობის გაიოლების ანუ ხალტურის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება... თანამგზავრულ და მოკავშირულ მწერლობაში ასეთი ხალტურა ბევრს აქვს, მაგალითად იგი აქვს სამწუხაროდ გალაქტიონ ტაბიძეს. ის იღებს საღ თემას, მაგრამ აიოლებს ამ თემის დამუშავებას და რჩება ხალტურის შთაბეჭდილება.“<sup>15</sup>

**[თიბერვალი].** „სტილი, რომელიც მწერალს შეთვისებული აქვს და მისი მხატვრული შემოქმედების სახეს წარმოადგენს, ძნელი დასაძლევია. მე მგონია, ის გარემოება, რომ ისეთ მოკავშირე მწერლებსაც კი, როგორც არიან გ. ტაბიძე, რ. გვეტაძე და სხვები, თუ კიდევ აქვთ წუნი, ეს სწორედ აქედან გამომდინარე-



ობს... ისინი ალბათ მოკლე ხანში დაძლევენ ამ დაბრკოლებებსაც სავსებით და პროლეტარულ მწერლობას შეურთდებიან.<sup>16</sup>

**[თეზისური]** „...როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გ. ტაბიძეზე, რ. გვეტაძეზე, ამ მწერლებში ჩვენ ვხედავთ ისეთ მწერლებს, რომელთა სიახლოვე მუშათა კლასთან, პროლეტარულ რევოლუციასთან არავითარ ეჭვს არ იწვევს... მომხსენებელმა სამართლიანად აღნიშნა დეფექტების მთელი რიგი გალ. ტაბიძის ნაწერებში. გ. ტაბიძე არის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ოქტომბრის წინა თაობის ლიტერატურისა. ის ყველაზე ნაკლებ საფუძველს იძლეოდა, რომ მოვიდოდა რევოლუციასთან, ვინაიდან მისი ლიტერატურული კრედი, მისი მსოფლმხედველობა, მისი ლიტერატურული განწყობა იმდენად შორს იდგა მუშათა კლასის მსოფლმხედველობიდან, რომ საჭირო იყო განსაკუთრებული ძალა, რომ ეს კაცი იდეალისტური პოზიციებიდან გადასულიყო პროლეტარიატის მოკავშირედ... ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე გ. ტაბიძეს ჰქონდა დასრულებული სალიტერატურო კრედი დიდი ძალისა, სამწერლო პოტენცია, თავისი ჟანრი და თავისი სკოლა. მაგრამ მან მოახერხა შემობრუნება. თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ ის ჯერჯერობით ვერ მიაღწა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ მასალას. ის ჯერ კიდევ აბსტრაქციებზე და ზოგად თემებზე მუშაობს... მეორე, ამხანაგებო, არ შეიძლება ითქვას, რომ გ. ტაბიძე გაცილებით უფრო ძლიერი პოეტი იყო მაშინ, როცა ის სწერდა „ლურჯა ცხენებს“ ვიდრე ეხლაა, როცა ის სწერს ჩვენს რევოლუციონურ თემატიკაზე... ამ მეთოდით მიდგომა ახალ მასალებთან არ შეიძლება... გ. ტაბიძის მორიგი ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: ერთის მხრივ ჩვენს რევოლუციონურ პრაკტიკასთან ახლოს მისვლა და მეორის მხრივ მეტი სიღრმით, მეტი სიცხადით გაგება დღევანდელი...“<sup>17</sup>

**23 აპრილი.** Наконец-то, милый Gall выкупил свой новый костюм. К нему очень подойдет и он очень рад этому.<sup>18</sup>

**5 მაისი.** 5 მაისს ე. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში გაიმართება ბექდვითი დღის აღსანიშნავი საღამო... თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: რ. გვეტაძე, ა. გომიაშვილი, ვ. გორგაძე, ს. ეული, ნ. ზომლეთელი... გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, გრ. ცეცხლაძე...<sup>19</sup>

**16 მაისი.** სახელგამს. გთხოვთ, ჩემი წიგნის „ეპოქა“-ს ჰონორარის ანგარიშში გამომიწეროთ 300 მანეთი. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>20</sup>

**24 მაისი.** ა/კ რადიო გადაცემის სამხატვრო-სალიტერატურო სექციას. ვინაიდან ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულებით დადებული ვადა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ სავსებით დამემთავრებია მასალა ოქტომბრის 15 წლის თავის[ათვის] აღსანიშნავად, გთხოვთ, ეს ვადა გაგრძელებული იქნას კიდევ [ერთის] ორის თვით, დღიდან ამ განცხადების შემოტანისა. ათ დღეში შეუძ-

ლებელი აღმოჩნდა პოემის სავსებით დამთავრება, და ამჟამად მე ვმუშაობ მის საბოლოო მონტაჟზე. თუ ამ ვადაში მასალა არ მექნა მზად, მე გადავიხდი ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას. გ. ტაბიძე.<sup>21</sup>

**30 მაისი.** „სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლ. ფედერაციის საბჭო დაშლილად აცხადებს სამჭოთა მწერლების ფედერაციას და მასში შემავალ საბჭოთა მწერლების ორგანიზაციებს. დადგენილებას ხელს აწერენ საბჭოთა მწერლების ფედერაციის დავალებით: რ. გვეტაძე, ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, ნ. მინიშვილი, ალ. ქუთათელი, ალ. არსენიშვილი, ილო მოსაშვილი, ბ. ჟღენტი, ს. კლდიაშვილი...“<sup>22</sup>

**[12 ივნისი].** ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება გალაკტიონის „ეროვნებათა მარში“<sup>23</sup>

**[12 ივნისი].** „...ქართულ მოდერნისტულ-დეკადენტურ პოეზიის ეს საუკეთესო და უძლიერესი წარმომადგენელი [გ. ტაბიძე- მ.შ.] – რევოლუციამდე ინტელიგენციის ფენებში საკმაოდ გავრცელებული უიმედობის და დაცემულობის განწყობით იყო შეპყრობილი და მისი პოეზიაც ამ პერიოდში სევდისა და სკეპსისის რკალში ვითარდებოდა. ბუნებრივია, რომ მენშევიკური „დემოკრატიის“ სოციალურმა ატმოსფერამ ვერ შემოაბრუნა პოეტის პოტენცია. პირიქით, ამ პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა მის შემოქმედებაში უსაგნო ესთეტიზმი, მისტიციზმი და ფანტასმაგორია. საქართველოს ოქტომბრის პირველსავე წლებში გალაკტიონ ტაბიძემ გულწრფელი გამოხმაურებით უპასუხა სოციალური ქართვეხილების გარემოცვას... გალაკტიონ ტაბიძემ დაიწყო რევოლუციის, როგორც ნგრევეთი სტიქიის, ესთეტიზაციიდან, ზოგად რევოლუციონური პათოსის პოეზიიდან და თანდათანობით უახლოვდება რევოლუციონური შემოქმედების, მებრძოლ პრაქტიკის კონკრეტულ თემატიკას... ამ განვითარების თვალსაზრისით თავისებურ ეტაპს წარმოადგენს... პოემა „რევოლუციონური საქართველო“... აქ არა მარტო საზეიმო განწყობილების დემონსტრაციაა, არა მარტო რევოლუციონური აღფრთოვანება და რიტორიკაა, არამედ კლასობრივი ბრძოლის ახალ, თავისებურ ფორმების გაგება და მათი კონკრეტულ გამოვლინებაში მოცემა... პოემაში არის მეტად ძლიერი, ტაბიძისათვის ჩვეული ექსპრესიით, გულწრფელობით და ნამდვილი ოსტატობით შესრულებული ადგილები, მაგრამ მთელ რიგ მომენტებში იგრძნობა პოეტის ზედაპირული მიდგომა მასალისადმი, მისი არა ორგანიული გაგება და მხატვრული დამუშავების შედარებით დაბალი დონე... გ. ტაბიძის, როგორც სოციალიზმის მშენებელი პოეტის უმთავრესი ამოცანა... მის მიერ განვლილი გზა პროლეტარული რევოლუციის მეკავშირეობისკენ არის გარანტია იმის, რომ გ. ტაბიძისათვის გარდაქმნისა და გადამუშავების პროცესში დაუძლეველი სიძნელებები არ არსებობს.“<sup>24</sup>

**27 ივნისი.** ... საგრძნობი მიღწევები გვაქვს აგრეთვე საქართველოში ლიტერატურის დარგში. მთელი რიგი ნაწარმოებები თანამგზავრ მწერლებისა, რო-

გორიც არიან გალ. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი და სხვა – ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენენ...<sup>25</sup>

**27 ივნისი.** 27 ივნისს ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში ჩატარდა საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა... საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშელიძე, ს. ეული, ს. თოდრია, ნ. მინიშვილი, პ. სამსონიძე... გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, მიხ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი...<sup>26</sup>

**29 ივნისი.** მწერალთა ყრილობის მეხუთე სხდომაზე... მიღებულ იქნა რეზოლუცია და მოხდა საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს არჩევა. საბჭოში ყრილობამ აირჩია შემდეგი მწერლები: ამხ. გ. ყურულაშვილი, ნ. მინიშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, ს. აბაშელი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე...<sup>27</sup>

**1 ივლისი.** გთხოვთ ჩემი წიგნის „ეპოქის“ ჰონორარის ანგარიშში გამოიმწეროთ სამასი (300) მანეთი. გ. ტაბიძე.<sup>28</sup>

**7 ივლისი.** [შედეგ] მწერალთა საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოვებული სხდომა... ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა შემდეგი ბეჭდვითი ორგანოების სარედაქციო კოლეგიები: „მნათობი“ გ. ყურულაშვილი, ლ. ასათიანი (რედ. მდივანი), ს. ეული, პ. ჩხიკვაძე, დ. სულიაშვილი, გ. ტაბიძე, ივ. ვაშაყმაძე, სიმ. ჩიქოვანი.<sup>29</sup>

**12 ივლისი.** „ა.კ. ფედერაციის 10 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ა.კ. მშრომელ ხალხთა კულტურულად დაკავშირების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლისათვის, ა.კ. ცაკმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა მწერლები: ამხ. ბუხნიკაშვილი, მ. დარბინიანი, ნოე ზომლეთელი, გ. ქუჩიშვილი, ალ. მამაშვილი, პ. სამსონიძე, გ. ტაბიძე, პ. ჩხიკვაძე და ს. ეული.“<sup>30</sup>

**30 ივლისი.** 30 ივლისს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და საქართველოს პროფსაბჭო მართავს საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს საჯარო სხდომას თბილისის პროფკავშირულ აქტივთან ერთად. დღის წესრიგი: მოხსენება... 4) ლექსებს და მოთხრობებს წაიკითხავენ: აბაშიძე ირ., გვეტაძე რ., გაფრინდაშვილი ვ. ... ტაბიძე გ., ჩიქოვანი ს., ჩიქოვანი მიხ...<sup>31</sup>

**31 ივლისი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ს. ეული, ნ. მინიშვილი, ბ. ჟღენტაძე, ა. მამაშვილი, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, ნ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, გ. ტაბიძე, კ. ლორთქიფანიძე, მ. ჩიქოვანი. მოისმინეს: მწერალთა კავშირის საორიენტაციო სამუშაო გეგმის შესახებ (ინფორმაცია ნ. მინიშვილისა)... კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. ტაბიძემ, რადიანმა, ს. ჩიქოვანმა, ნ. ლორთქიფანიძემ, ბ. ჟღენტაძემ და რ. გვეტაძემ.<sup>32</sup>

**6 აპრილი.** „თავდაცვითი უნარიანობისა და წით. არმიის თემებზე საუკეთესო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს გ. კაჭახიძის ლექსები, ირ. აბაშიძის „სამი ლექსი თებერვალზე“, გ. ტაბიძის „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც „ლომი.““<sup>33</sup>

**10 აპრილი.** „გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“-ს სარედაქციო კოლეგიის სხდომა, საქ. საბჭოთა მწერლების აქტივთან ერთად მონაწილეა 10 აგვისტოს, სალ. 7 საათზე... დღის წესრიგი: „სალიტერატურო გაზეთი“-ს გეგმის განხილვა და დამტკიცება. სხდომას უნდა დაესწრონ კოლეგიის წევრების გარდა შემდეგი ამხანაგები: ე. ასტვაცატუროვი, ლ. ასათიანი... გ. ტაბიძე...“<sup>34</sup>

**25 აპრილი.** მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა მოსკოვში ოქტომბრის 15 წლის თავისთვის უშვებს მხატვრულ კრებულს 2 ნაწილად – მწერლები და პოეტები დიად ოქტომბერს... მეორე ნაწილში მოთავსებული იქნება მოკავშირე რესპუბლიკების და ნაცუმცირესობათა მწერლების და პოეტების ნაწარმოებები... საქართველოდან – გ. ტაბიძის და ს. ჩიქოვანის...“<sup>35</sup>

**18 მაქტიმბერი.** ... ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავთან დაკავშირებით, საქართველოში წარმოებულ სოციალისტურ მშენებლობაზე ნარკვევების, ლექსების, პოემების და მოთხრობების დასაწერად საბჭოთა მწერლების კავშირმა რესპუბლიკის მთავარ რაიონებში მიავლინა შემდეგი მწერლები: ნიკო ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, ს. ჩიქოვანი... გ. ტაბიძე, კ. ნადირაძე, ვ. ჟურული...“<sup>36</sup>

**25 მაქტიმბერი.** მ. გორკის იუბილე... 25 სექტემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო... გორკიზე ლექსებს წაიკითხავენ: გ. ტაბიძე და ს. ეული...“<sup>37</sup>

**27 მაქტიმბერი.** „გ. ტაბიძეს! დღეს მწერალთა დელეგაცია მიემგზავრება ოსეთში. თქვენ, როგორც დელეგაციის წევრი, უნდა გამოცხადდეთ გამომცემლობა „ფედერაციაში“ დღის სრულ პირველ საათზე. ს. ეული.“<sup>38</sup>

„27 სექტემბერს, საღამოთი, ე. სტალინის (ყოფილი ცხინვალი), ჩავიდა საბჭოთა მწერლების დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: სანდრო ეული, ნიკო ლორთქიფანიძე, არისტო ჭუმბაძე, იონა ვაკელი, ტიცინ ტაბიძე, გალაქტიონ ტაბიძე...“<sup>39</sup>

**სექტიმბერი-ოქტომბერი.** ჟურნალი „საბჭოთა მწერლობა“ ბეჭდავს გალაქტიონის „ოქტომბრის სიმფონიას“.<sup>40</sup>

„მწერალთა რეაქციონური ნაწილი განსაკუთრებულად გააქტიურდა. მოხდა ყველა მათი სასიცოცხლო ძალების გაერთიანება და მთლიანი ფრონტით რევოლუციონური თანამედროვეობის წინააღმდეგ ბრძოლა. მათ გაიჩინეს მთელი რიგი ჟურნალ-გაზეთები, რომლის საშუალებით გესლსა და შხამს ანთხევდნენ,

ამაგრებდენ ნაციონალიზმსა და რეაქციონერების პოეზიას. ეს ჟურნალ-გაზეთები აშკარა ლეგალური ბრძოლის საშუალება იყო და ბევრი მათგანი პირდაპირ ისეთ სახელწოდებებსაც ატარებდა, რომ ის თავისთავად ანტი-პროლეტარულ დემონსტრაციას ნიშნავდა (მაგ. „საქართველოს სამრეკლო“, „ქართული სიტყვა“, „ლომისი“, „ილიონი“, „კავკასიონი“ და სხვ.). ამ ორგანოებში თავს იყრიდნენ ქართველ მწერლების სხვადასხვა მიმდინარეობის ხალხი, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში „ეროვნული პოეზიის გამაგრების“ ლოზუნგით გაერთიანებულნი...“<sup>41</sup>

**11 ოქტომბერი.** გალაკტიონის ლექსის „არის ერთგვარი ბედი“ ავტორისეული თარიღია: „1932. 11 ოქტომბერი“.

„არის ერთგვარი ბედი: / რომ არ დაგვტოვებს ჩვენა. /იმ ბედის სადღეგრძელო! /იმ ბედის აღმაფრენა! / არის ერთგვარი ბედი, /

ორ სულთან ერთად მყოლე, /იმ ბედის სადღეგრძელო, / ჩემო ძვირფასო ოლე!“ 11 ოქტ. 1932 გალაკტიონ ტაბიძე.

Gall восторгом так промолвил: «будущий мой том будет посвящен спутнице моих странствований» 1932 г. 11 X „ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრ ოლის.“<sup>42</sup>

**11 ოქტომბერი.** „Дорогой товарищ Галактион! Вы обещали стихи...Где они? Заккнига просила Вас телеграфом зайти – Вы не зашли. Из М. приехал Т. Немчинов, который очень просил меня достать Вашу «Эпоху». Он будет ждать Вас 13-го октября от 11 до 12 в Заккниге. Правда, Вы прекрасный поэт, но зачем так медлите со стихами!

Неужели хотите подвести Заккнигу: вышел юбилейный сборник без Галактиона! Право, это неудобно! Задержка только за В.стихами, которые будут посланы в набор дополнительно. Привет! Александр Чачиков. 11.X.1932 г., Москва, Александровская 25»<sup>43</sup>

**16 ოქტომბერი.** ვინაიდან დედა ძლიერ ავადა მყავს და მატერიალურ გაჭირვებას განვიცდი, გთხოვთ ნება დამართოთ ავიღო ნოემბრის თვის პენსია. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>44</sup>

ვანდობ ოლია ოკუჯავას მიიღოს ჩემი კუთვნილი პენსია ამა წლის ნოემბრის თვის. 16/X-32.<sup>45</sup>

ამით ვანდობ ოლია ოკუჯავას მიიღოს ჟურნალ „საბჭოთა მწერლობა“-ს ან ჩემი პოემის ჰონორარის ანგარიშში 200 (ორასი) მანეთი. 16/X-32.<sup>46</sup>

**4 ნოემბერი.** „4 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა ინჟენერ-ტექნიკოსთა საზეიმო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გ. ტაბიძემ, ფრ. ნაროუშვილმა, ირ. აბაშიძემ, ი. მოსაშვილმა.“<sup>47</sup>

**17 ნოემბერი.** „Сегодня 17-го ноября 1932 г. первый раз Gall получил из голодного и хитрого Союза писателей продукцию“<sup>48</sup>

**20 ნოემბერი.** ოლიას გაუთავდა შვებულება და გუშინიდან ისევ დაიწყო სამსახურში სიარული... დღის ორ საათამდე მე ვკითხულობდი ჩარლზ ნორისის რომანს „ლუკმა პურისთვის“ (Bread)... 2 საათზე ვიყავი ხელოვნების სასახლეში. ვინახულე ჩვენები. დეკემბრიდან იწყება „შემოქმედების საღამოები“ – რომელიც გაიხსნება მოხსენებით ჩემზე. საღამოთი მე და ოლია ვკითხულობდით ლეონარდ ფრანკის რომანს „ოქსენფურტის მამაკაცთა კვარტეტი“. მთელი დღე არა დამინერია-რა. მიუხედავად ამისა კარგი დღე იყო. გვიან ღამით იყო კოტე რატიშვილი...

**20 ნოემბერი.** მაჩაბლის ქუჩაზე, ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა სახლში, გახსნეს დახურული განმანაწილებელი მწერლებისათვის... სახლი, მუწჯი მონამე უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აქ ჩატარებული ლიტერატურული ომებისა.

„სალიტერატურო გაზეთი“-ს რედაქტორი მისაყვედურებდა, რომ მე გვერდს ვუვლი მის გაზეთს. ეს მანევრია (ისინი თვითონ მივლიან გვერდს)... ჩემი ლექსი „პრესა“ დაბეჭდილია ჟურნალ „30 ДНЕЙ“-ში, „ლიტ. გაზეთში“ ჟღერის წერილია (ტრაფარეტი,საჭიროა უკეთესი წერილი) ჩემს შესახებ..<sup>49</sup>

**21 ნოემბერი.** „იყო 12 საათი, როცა სახლიდან გავედი. ქარი ქროდა და ჰყინავდა... ზემელთან ჩვენი ტრამვაი გაფუჭდა. ფეხით წავედი რუსთაველის პროსპექტით, რომელიც ახლად მოგებუღია ასფალტით და მზეზე ფოლადისფერად ბრწყინავს... ტარასის გადავეცი წიგნები წითელი კუთხისთვის. შემდეგ შემნ. სალაროდან ავიღე ნოემბრის პენსია – 108 მანეთი... ვისადილე რომელიღაც რესტორანში და როდესაც სახლში დავბრუნდი... შევაკეთე ელექტრონის ფერი, რომელიც თითქმის წელიწადია, რაც გაფუჭდა. ოთახში დადგა სითბო. ოლია დაბრუნდა გვიან... გაუხარდა, რომ სითბო იყო, გავშალეთ სუფრა. ვახშმად გვქონდა პური და ყველი, ხორცი, ღვინო. ვუზიარებდით ერთმანეთს დღის შთაბეჭდილებებს... დავწვი გვიან.“<sup>50</sup>

**22 ნოემბერი.** „გამეღვიძა ადრე. ოლიამ საწოლში მომიტანა ჩაი და სამსახურში წავიდა. თორმეტ საათამდე ვკითხულობდი რომენ როლანის რომანს „ანეტა“-ს... დიდებული მზიანი დღეა... ტრამვაიზე წინა ბაქნიდან ასვლისთვის დამაჯვარიმეს 3 მანეთით. საღამოთი მოვიდა დომენტი და დიდი ბოდისის მოხდით წაიღო თავისი ლამპა. დავრჩი სიბნელებში, რადგან ელექტრონის ლამპარი დიდი ხანია გადამწვარია, მაგრამ როდესაც ოლია მოვიდა, თან მოიტანა სამოცდათხუთმეტსანთლიანი ელექტრ. ლამპა. გავაჩირაღდნეთ ოთახი. ყველაფერმა სხვაგვარი სახე მიიღო... ვკითხულობდი ბუნინის ლექსებს... იყო ღვინო.“<sup>51</sup>

**23 ნოემბერი.** „ისეთივე მზიანი დღეა, როგორც გუშინ... ვდგები 11 საათზე... დღეს ოთხშაბათია: ჩემი ყოველთვის რჩეული დღე – (ოდესმე რომელიღაც

მარჩიელმა ასე მითხრა). ვკითხულობ ბუნინის ლექსებს. მაგრამ დღე იყო სავსე ჩემთვის მოულოდნელი კომპარებით... არ გამართლდა არაფრით (დავკარგე შარვი, კალოში, ფული).“<sup>52</sup>

**25 ნოემბერი.** „ყინავს: არა მაქვს პალტო, არც ფეხსაცმელი, არც ქუდი. ტელეფონი არ მუშაობს ვალის გადაუხდელობის გამო. გადაუხდელია ბინის ქირა, ვერ გამოვიხსენი ჩემთვის ძვირფასი ნივთი, მიბარებული შესაკეთებლად (ალბად გამიყიდის, ხვალ უკანასკნელი დღეა). ჰონორარი ვერ ავიღე. საზიზლარი მეზობლები, რომელთა აქ არ ყოფნით სული ამოვითქვი, დღეს დაბრუნებულან... ხელოვნების სასახლეში ადამიანი გაიყინება ფიზიკურადაც და სულიერადაც. არავითარი პერსპექტივა იქ არაა... მაინც რანაირად ლაპარაკობდა პანტელეიმონ ჩხიკვაძე... ყანწლებიო, მეუბნებოდა ის, ჩვეულებრივ განაგრძობენ შენს წინააღმდეგ იერიშების მოტანას, მაგრამ მე ყოველთვის დაეუმტკიცებო მათ, რომ ისინი შენგან მოდიანო. შენი რამდენიმე ლექსი იყიდისო ყველა მათგანსო... ვიცნობ მე კარგად ამ საზოგადოებას... მათ სურთ ჩემსა და ყანწლებს შორის არსებული ომით თავიანთი საქმის გაკეთება... (ჩემს წინააღმდეგ კიდევ მათ, ყანწლებს, იყენებენ). არ ვარ კმაყოფილი ჩემი თავით. შემხვდა „ანარია“-ს ავტორი, „მთები“-ს ავტორიც, „გურული სცენები“-ს ავტორი, „ექსპრეს“-ის ავტორი, „დაისები“-ს, „შარავანდები“-ს, „ფერადფერადი ლექსები“-ს, „სილეო-რეანი“-ს, რედაქტორები და მდივნები, ქალები და კაცები... ყველასთან ზრდილობიანი ვიყავი, რადგან ყველა მეზიზღებოდა გულში. რომ შემექმნა რაიმე დიადი... გავყიდე შარვალიც კი.“<sup>53</sup>

**27 ნოემბერი.** „...როგორც მხატვრულ პროდუქციაში, ისე თეორიულ-კრიტიკულ აზროვნებაში მოიპოვება კლასობრივად უცხო იდეოლოგიის გამოვლენები. მათი დაძლევისა და საბოლოოდ აღმოფხვრისათვის ბრძოლა ლიტერატურული ფრონტის ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანას შეადგენს. ეს ამოცანა სხვადასხვა იდეოლოგიური კონცეპციების (სიმბოლიზმის, ლეფოვშიჩინის და სხვ.) ნალექის გაქრობის სახით ამა თუ იმ ზომით სდგას ისეთი პოტენციის მქონე ძალების წინაშე, როგორცაა გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ს. კლდიაშვილი და სხვ., რომელნიც საბჭოთა ლიტერატურის ოსტატობისათვის შეჯიბრის მოწინავე რიგებში დგანან“.<sup>54</sup>

**29 ნოემბერი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა... დაესწრნენ: ს. ეული, ბ. ჟღენტი, დ. დემეტრაძე, რ. გვეტაძე... მოისმინეს: სამხედრო კომისიის შემადგენლობისა და სამუშაო გეგმის შესახებ. დაადგინეს: ჩამოყალიბებულ იქნეს მწერალთა კავშირთან სამხედრო კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. ტაბიძე, კ. ბობოხიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ს. ჩიქოვანი, პოლიტსამმართველოდან პ. მიროტაძე და გაზეთ „ნითელარმიელის“ რედაქტორი ვ. დიდიძე...<sup>55</sup>

**1 დეკემბერი.** საქართველოს მწერალთა კლუბის მუშაობის გეგმაში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს გამართვის გათვალისწინება... შემოქმედებითი საღამოები: გ. ტაბიძე, ა. მამაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე.<sup>56</sup>

**2 დეკემბერი.** „ძმაო გალაქტიონ! როგორც გითხარი, ამას წინად მწერალთა კლუბის გამგეობამ გადანყვიტა, გაიმართოს მწერალთა სასახლეში თქვენი შემოქმედების საღამო. ამ საქმესთან დაკავშირებით, აუცილებელი საჭიროა მე და თქვენი შეხვედრა და მოლაპარაკება. გთხოვ, როგორც მიიღებ ამ წერილს, ნულარ დააყოვნებ, შემოიარეთ მწერალთა სასახლეში. პატივისცემით გრიგოლ ცეცხლაძე.“<sup>57</sup>

**3 დეკემბერი.** „დილით ხელოვ. სასახლიდან მივიღე წერილი (იხ. გრ. ცეცხლაძის 2 დეკემბრის წერილი – მ.შ.)... გავიგე რომ: 1. ამ საღამოს აწყობს მასსექტორი. 2. დაახლოვებით 10-15 დეკემბრამდე. 3 მომხსენებლად არჩეულია გ. ნატროშვილი. მან წინასწარ უნდა წარმოადგინოს ტეზისები. 4. ეს ტეზისები რემინგტონზე გადაბეჭდილი დაურიგდებათ საღამოში მონაწილეთ (მოკამათებებს). 5. გ. ნატროშვილი უფრო ობიექტური იქნებაო, ვინემ არსენიშვილიო... 6. იქნება სპეციალური ნომერი ლიტგაზეთისა (ლექსი, სურათი, წერილი). გაზეთი გამოვა 16 დეკემბერს. საღამო მოენწყობა პლენუმამდე, პლენუმი კი დანიშნულია 20 დეკემბრისათვის... რ. გ. დამპირდა, რომ რაც შეიძლება კარგად მოაწყობს საღამოს. შემდეგ ნ. კლდიაშვილს დაუფტოვე განცხადება ბინის შესახებ (3 ოთახი)... მე და ოლიამ ერთად ვისადილეთ პალასში. საღამოთი ვიყავ სამკითხველოში, გადავათვალიერე გაზეთები...“<sup>58</sup>

**6 დეკემბერი.** „სალიტერატურო გაზეთში“ მოთავსებული იყო ბ. ჟენტიწის წერილი (ოკტ. და მწერლობა), აგრეთვე ალ. არსენიშვილის წერილი. ორივეში ჩემს შესახებ იყო შენიშვნები. მოსკოვის ჟურნალ „Рост“-ში მოთავსებულია ბ. ბუაჩიძის წერილი „За больше социалистическую литературу“. იგი ისევ ძველ პოზიციებზე დგას. ჩემს შესახებ იმეორებს იმასვე, რასაც 5-6 წლის წინად სწერდა. მაქვს! იმავე ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებულია „ეპოქა“-ს ყდა. შემოქმედებით საღამოზე მომხსენებლად მოწვეულია შალვა რადიანი. საღამო შესდგება 16 ნოემბერს. არჩეული ვარ „საბჭოთა მწერლობასთან“ არსებულ სამხედრო კომისიაში... მთელი დღე და ღამე ვწევარ სანოლში (გუშინ ჩადენილი შეცდომის შედეგია). არა მაქვს ფული, პალტო, ფეხსაცმელი. დავამთავრე რომენ როლანის მე-VI ტომის კითხვა. ეხლა ვკითხულობ პონონსკის მონოგრაფიას ბაკუნინზე.“<sup>59</sup>

**8 დეკემბერი.** საღამოთი ვიყავი [გაზ.] წითელი არმიის შტაბში, სადაც შესდგა ცენტრალური სამხედრო წრის დამფუძნებელი კრება... არჩეული ვარ „ც.ს.ს.წ.“ მთავარ ხელმძღვანელობაში. ამირჩიეს აკტიურად მომუშავე წ.ა. მწერალთა ბიუროს თავმჯდომარედ. მყავს მოადგილე და მდივანი. მდივანიცა და მოადგილეც არმიელებია... გამოსულა მ. ზანდუკელის წიგნი ქართულ ლიტერატურაზე, სადაც ჩემზედაც არის სტრიქონები. „კარგადაა სწერსო“ – მითხრა ირ. აბაშიძემ...“<sup>60</sup>

**8 დეკემბერი.** გალაქტიონ ტაბიძის თხოვნა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისადმი განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე შუამდ-



გომლობის აღსაძვრელად, რომ სამი თვით მივლინებულ იქნას გერმანიაში. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს. გთხოვთ აღმიძრათ შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა სამი თვით მივლინებული ვიყო გერმანიაში. ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ ჩემთვის არ იქნება საჭირო ვალუტა, სამივლინებო. ბინად ვიქნები გრიგოლ რობაქიძესთან, რომლისგანაც მაქვს მიპატიჟება. ამის გარდა ვაცხადებ, რომ რუსეთში ასეთი მივლინებები ხშირია და ატარებს სისტემატურ ხასიათს. მე არასდროს არ ვყოფილვარ საზღვარგარეთ და ჩვენს გაზეთებში და „ზარია ვოსტოკაში“ მოვათავსებ წერილებს, სადაც მკითხველებს გაუზიარებ ჩემს შთაბეჭდილებებს. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>61</sup>

**11 დეკემბერი.** „...მხოლოდ „წითელ-არმიელში“ იყო (ლიტერონიკა) ცნობა მ დეკემბრის კრების შესახებ... „სალიტერატურო გაზეთის“ ახალ ნომერში გამოცხადებულია, რომ შესდგება ჩემი შემოქმედების სალამო 16 დეკემბერს (ალარაფერი მესმის)! ნუ თუ აღარავინ იცის, ვინ რას აკეთებს? (ვეცხლაძე სდებს სალამოს, გვეტაძე კი აცხადებს... (ნამდვილი პროვოკაციაა. ყანწელები კავშირდებიან... გადავეცი ლექსი წით. არმიელის სალიტერატურო ნომრისათვის... ჩემს გარშემო რალაც საგრძნობი ინტრიგაა. პლენუმის გამო ალბად მე საგრძნობი ძალა ვარ და უნდათ გადამიბირონ სხვადასხვა ჯგუფებმა. ეხლა: რა კი ისეა – ისევე მედგარი მზადება შემოქმედებითი სალამოსათვის (პლატონმა სთქვა, სულ ერთ დღეში მოეწყობაო, ბობოხიძემ: უსათუოდ უნდა ჩატარდესო, ეულს რად არ უთხარიო და სხვ... რა მაქვს ვინმესთან შესახვეწნი). სალამოთი ვიყავი სტამბაში, სადაც „წითელარმიელი“ იწყობა. იქ იბეჭდება ჩემი ლექსი: „რწმენით იარ, იარ, იარ, მტკიცე გქონდეს ბიჯი. ყოველ ნიჭზე ძვირფასია ქვეყნის დაცვის ნიჭი!“<sup>62</sup>

**12 დეკემბერი.** გაზეთი „წითელარმიელი“ ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს „რწმენით იარ, იარ, იარ, მტკიცე გქონდეს ბიჯი, ყოველ ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი“ (გვ. 1). ეს ლექსი შემდეგ იბეჭდებოდა სათაურით: „იდეა“ (იხ. „მნათობი“ 1933 № 5-6)... თორმეტტომეული და სხვ. „ჩემი ლექსი „წითელარმიელი“-ს სალიტერატურო ფურცელში მოთავსებულია პირველ ადგილას, ორ სვეტზე. სტამბას ნუ თუ არ აქვს კარგი საღებავი? პირველი სტრიქონები სრულებით არ სჩანს... დღემ ჩაიარა ჩინებულად: შინაგანი მეორე „მე“ იყო მშვიდი და ნათელი.<sup>63</sup>

**14 დეკემბერი.** იყო ხელოვნების სასახლეში კარლო კალაძის მოხსენება ქართ. თანამედროვე ლიტერატურაზე. შეეხო ყველას, მეც. ქებასთან ერთად ნამოისროლა ფრაზა: „თუმცა ხანდახან იმას ლაპარაკობს, რაც ენაზე მოადგებაო“ (უდიდესი თანამედროვე პოეტი, მოკავშირე, თანამგზავრი და სხვ.). გამოვიდა კალე ბობოხიძე და წაიკითხა ჩემი ლექსი...<sup>64</sup>

**16 დეკემბერი.** შესდგა სამხედრო მწერალთა კრება ხელოვნების სასახლეში. ვიყავი თავმჯდომარედ. შემდეგ დავესწარი პრეზიდიუმის კრებას. ჩემზე გაკვირით ილაპარაკეს: გომიაშვილმა (შემოქმედებითი სალამო), ჟურულმა (რა-

ტომ პირველად ყოველთვის გალაკტიონი იხსენიებაო), გვეტაძემ (ვეხვეწეთ და წერილი ვერ დავაწერიანეთო. დემეტრაძემ მითხრა, რომ შეგვატყობინეთო ადრე, სალიტერატურო სალამოსთვის, გაზეთში მასალებს გამოვუშვებო...). სშირად გა- ისმის საუბარი წითელი ხალტურა, თეთრი ხალტურა! ალბად მე უნდა მომანერონ პირველი ეპიტეტი. არ გაუვათ... 1. ის (კალე) მეტისმეტად ეჩრება ჩემს ფუნქცი- ებში და ხელს მიშლის. 2. ის არავითარ მუშაობას არ აწარმოებს წითელარმიელებ- ში წრეების ჩამოსაყალიბებლად. 3. გადამეტებით აყენებს თავის თავს წინ ყველა კრებებზე.. ეომება გომიაშვილებს... ებრძვის ჩიქოვანს; და, მგონია, მეც მაყენებს უხერხულ მდგომარეობაში ბევრის წინაშე, რადგან ბევრს ჰგონია, რომ ის ჩემი სახელითაც გამოდის... თუ კიდევ შევამჩნიე ბობოხიძეს გუშინდელის მსგავსი გა- მოსვლა ჩემს წინაშე (ტონი, ტონი: დღეს მასალები მზად უნდა იყოსო! წარმოგიდ- გენიათ? როგორ ბედავს... სანდრო ეულს ჩემს შესახებ ვამჩნიე მაენე გადახრებს: რაღაც ზევიდან იყურება, კალე იმეორებს მის ფესტებს, მაგრამ ყოველივე ეს მე მადღევს ძალას ბრძოლისთვის. მე გავიმარჯვებ...<sup>65</sup>

**18 დეკემბერი.** „ა. კ. სამხედრო კლუბში შესდგა თავდაცვითი ლიტერა- ტურის ინტერნაციონალური სალამო... სალამოზე ლექსები და მოთხრობები წაი- კითხეს ამხ. ამხ. გ. ტაბიძემ, ალ. მაშაშვილმა, გ. კრეიტანმა...“<sup>66</sup>

**24 დეკემბერი.** ა.კ. ფედერაციის 10 წლის თავის დღესასწაულთან დაკავში- რებით მშრომელ ხალხთა კულტურულად დაკავშირების საქმეში განსაკუთრებუ- ლი ღვაწლისათვის ა. კ. ცეკამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა მწერლები: ამხ. გ. ბუხნიკაშვილი, მ. დარბინიანი, ნოე ზომლეთელი, გ. ქუჩიშვილი, ალ. მაშაშვილი, პ. სამსონიძე, გ. ტაბიძე და ს. ეული.“<sup>67</sup>

„საქ. საბჭოთა მწერლების კავშირთან სამხედრო კომისიის ჩამოყალიბე- ბის დღიდან გაიშალა მუშაობა სამხედრო მწერალთა შორის. სამხედრო კომისი- ის ხელმძღვანელობით გაზ. „წითელ არმიელთან“ არსებობს ცენტრალური სამხ. ლიტ. წრე, რომელიც აწარმოებს სისტემატიურ ლიტ. სწავლებას. წრის თავმჯ- დომარედ არჩეულია ამხ. გ. ტაბიძე.“<sup>68</sup>

**25-31 დეკემბერი.** 25-31 დეკემბერს ეგ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სა- სახლეში ჩატარდა საბჭოთა მწერლების პირველი პლენუმი... 27 დეკემბრის სალა- მოს სხდომაზევე ყველა მომხსენებელთა გარშემო დაიწყო კამათი, რომელიც 31 დეკემბრამდე გაგრძელდა. კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: მ. ჯავა- ხიშვილმა, შ. დუდუჩავამ, კ. მელაძემ... გ. ტაბიძემ...<sup>69</sup>

**31 დეკემბერი.** 1932 წლის უკანასკნელი დღეა. საათი დავაყენე სწორედ თორმეტზე, და მისი რეკვა შემატყობინებს ახალი წლის დადგომას. ოთახი შეძ- ლებისდაგვარად დავასუფთავე, ოთახშიაც და აივანზეც ანთია ელექტრონები. მე მინდა მხიარულად შევხვდე ახალ წელს. არ მინდა მახსოვდეს უკანასკნელი დღე-

ბის კომმარები (სალამო რომ გადაიდო ქართულ კლუბში, ვინაიდან არავინ არ დამეხმარა. შემდეგ მწერალთა პლენუმზე რომ გამოვედი სასტიკად გაბოროტებული, ყველა მწერლები რომ დავიმდურე, საშინელი კრიზისი რომ იყო და ხელი არავინ გამომიწოდა, რომ ისევ ავადა ვარ და ახალ წელს ვხვდები ჯიბე- გაფხეკილი... დავდივარ უფეხსაცმლოდ. ერთად ერთი მიღწევა პალტოა, რომელიც როგორც იქნა ვიშოვნე... რაც ყველაზე საშინელია, ისევ მანვალეზა თვითმკვლელობის ფიქრი, რომელიც მეგონა, რომ სამუდამოდ ჩამოვიშორე...

მთელი წლის განმავლობაში საზიზღრად ვსაზრდობდი... ათასჯერ გამძარცვეს. ერთხელ პალტო წამართვეს, მეორჯერ პიჯაკი დოკუმენტებით,.. მესამეჯერ ფეხსაცმელები და კალოშები, მეოთხეჯერ ქუდი (სულ სამი ქუდი დავკარგე ამნაირად). სოფელში რომ ვიყავი, ვიქცეოდი ისე, როგორც აქ, საზიზღრად ვთვრებოდი. მივეჩვიე არაყს, შევიქენი გესლიანი კაცი. ჩამოვიშორე ბევრი კარგი მეგობარი და დავიახლოვე ისეთები, რომლებიც ყოველდღე მძარცვავენ. სხვადასხვა დროს დავკარგე ორი ახალთახალი შარფი, კრიზისის დროს გავყიდე უკანასკნელი შარვალი. „საქართველოს ჩა“-მ ხუთასი მანეთი მომცა შემოქმედებითი მივლინებისთვის. ის ფული ხუთ დღეში გავაქრე და ვერსად ვერ წავედი. პენსიის ფულს ყოველთვის წინდანინ ვიღებდი, მარა ორ დღეს იქით არ გამყოლია. „ეპოქა“ უნდა გამოსულიყო, ფული ნაწილნაწილად ავიღე... რადიომ სამასი მანეთი მომცა ავანსად და ისიც უცებ გაქრა. ასი მანეთი აჭარისტანის ცაკს გამოვართვი და დღემდე ვერ დავუბრუნე, ასი ბარონს სალამოსათვის, ასი კიდევე სხვა ორგანიზაციას (სახელიც კი არ მახსოვს). დედაჩემმა სოფლიდან წყევლით გამომისტუმრა, აბესალომი აქ ჩამოვიდა, ცარიელი „ლაი-ლაი“ გამართა და ისევ წავიდა, ოლია სწორედ მაშინ გააქრება, როდესაც ავადა ვარ და წყლის მომწოდებელი კაცი არ არის. ამასწინად მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად, ვინექი საწოლში [მშიერი] და კაცი ჩემთან არავინ მოსულა; მშიერი, ავადმყოფი, უპალტოობის გამო სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი 24 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე მარტოდ მარტო ვიყავი... ჩემთან ბინაში სწორედ ხუთი წელიწადია არც ერთი მეგობარი არ მოსულა, ნუთუ ეს არ არის უბედურობა? კაცი რომ მოჰკვდეს საკუთარ ოთახში, ამას გაიგებენ მხოლოდ 15 დღის შემდეგ, როდესაც გახრწნის სუნი გაანგრევს კარებს და ეზომდე გაატანს.<sup>70</sup>

**[1932-1933]** „II დივიზიის პოლიტგანის უფროსს ამხ. პ. მიროტაძეს, სამხედრო მწერალთა ცენტრალურ წრის თავმჯდომარის – გ. ტაბიძის განცხადება. ვინაიდან არა მაქვს საზამთრო პალტო და ფეხსაცმელი – გთხოვთ (თუ ეს მოსახერხებელი იქნება), მომეცეს მაზარა და ჩექმები. განმცხადებელი გ. ტაბიძე.“<sup>71</sup>

**11 იანვარი.** ... შანშიაშვილი გ. ტაბიძესთან და სხვებთან ერთად სიმბოლიზმის დამწყებია ჩვენში...<sup>1</sup>

**14 იანვარი.** 12 იანვარს ვიყიდე ბილეთი ბათუმამდე რკინისგზისა და ბათომიდან სოხუმამდე გემის. ჩაველი ბათუმში, მაგრამ სოხუმში აღარ წავედი. გადავრჩი! დღეს ისევ ტფილისში ვარ: განა შეიძლება კალმით აღწერა ყოველივე იმის, რაც უკანასკნელი თოთხმეტი დღის განმავლობაში განვიცადა? სოხუმში მივდიოდი, რომ ღამით გემიდან გადავვარდნილიყავი ზღვაში. არავისი და არაფრის იმედი არ მქონდა. არ ვიცი, რამ შემაცვლევინა გადაწყვეტილება, მაგრამ სულიერი განწყობილება, დიდი წვალუბის მერე, თანდათან განათლდა და მე ისევ აქა ვარ. აჭარისტანში ისეთი თბილი დღეებია, რომ ხალხი უპალტოოდ დადის. აქ კი, ტფილისში, დღეს გადაუღებლად თოვს...<sup>2</sup>

**[17 თებერვალი].** მწერალთა კლუბის საზეიმო გახსნა – დიდებულად ჩატარდა. შემდეგ ბანკეტი.<sup>3</sup>

**[20 თებერვალი].** ცაკის მე-VI სესია. 1. საქ. ცაკის სესია დამთავრდა. გამოქვეყნებულია ცაკის ახალი წევრებისა და კანდიდატების სია. ვართ კანდიდატებში. გამონწვევა სტალინის სახ. ლიტ. წრისაგან.<sup>4</sup>

**[21 თებერვალი].** „სალამო მწერალთა კლუბში (ქრ. „კომ.“ და სხვ.)“.<sup>5</sup>

**25 თებერვალი.** „სალიტერატურო გაზეთის“ სიუბილეო ნომერში დაიბეჭდა: „გალაქტიონ ტაბიძის ლექსი პოემიდან „რევოლუციონური საქართველო“ – „ეს ათი წელი“ (გვ. 4). შემდეგ ეს ნაწარმოები ( განსხვავებული ვარიანტი) ქვეყნდებოდა სათაურით: „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის, ეპოქის და სივრცის გარეშ“.

„სალიტერატურო გაზეთის“ ამავე ნომერში გამოქვეყნებულია „ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია 1921 – 1931 წ.“, მათ შორისაა: „1924 წ... ტაბიძე გალაქ. „ჯონ-რიდი“ – პოემა, ტფილ.; 1927 წ... ტაბიძე გალაქტიონ – ლექსები – ტფ. სახელგამი; 1929 წ... ტაბიძე გალაქტიონ – ეპოქა (პოემა) ტფ.; 1930 წ. ტაბიძე გალ. პაციფიზმი ტფ.“

**25 თებერვალი.** ერევნისკენ. მივდივარ ნაირის ქვეყანაში. ძლივს არ მივუსწარი მატარებელს?.. მინდა ნახიჩევანში ჩასვლა, მაგრამ ეხლა იქ არ იქნება ადამიანი. ვიყავი ცაკში. ვიყავი გეპუეში. არ დამრთეს ნება... კარაგესანში ვიყიდე პაპიროსები. კარაგესანში ღვინო არც ერთი არ ვარგა. ერევანში ავიღე 400 მანეთი (პრესის გონორარი) და 1 მარტს დავბრუნდი ტფილისში საერთაშორისო ვაგონით.<sup>6</sup>

**[25 თებერვალი].** „სამხედრო მწერალთა შორის... გაზეთ „ნითელარმიელთან“ არსებობს ცენტრალური სამხ. ლიტ. წრე, რომელიც აწარმოებს სისტემატიურ ლიტ. სწავლებას. წრის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. გ. ტაბიძე“.<sup>7</sup>

**1 მარტი.** „ გ. ტაბიძე ჩვენში თავდაცვითი ლიტერატურის შექმნის საქმეში წინა რიგებში სდგას. სწერს პაციფიზმის, ომის, წითელი არმიის თემებზე. ასეთია მათი ლექსები: „ყველა წითელ არმიელი იდგეს როგორც ლომი“, „პაციფიზმი“, „რწმენით იარ“, „რევოლუციონური საქართველო“ და სხვ.“ აქვეა ფოტოსურათი: „საქ. თავდაცვითი მხატვრულ-ლიტერატურული კომისია, სხედან: ამხ. გ. ტაბიძე, ნ. ბლუაშვილი, პ. მიროტაძე და კ. ბობოხიძე. დგანან: ვ. დიდიძე და გ. ქუჩიშვილი.“<sup>8</sup>

**[1 მარტი].** „მშვენიერი ამიდი... 1. „სალიტერატურო გაზეთ“-ში – წერილი სამხედრო ლიტერატურაზე და ფოტო-სურათი-კარგი გამოვიდა... ხვალისთვის ველით მოსკოვიდან ჩვენებს... 6. ვერ წავედი ლიტ. სალამოზე ხელოვ. სასახ-ში. 7. ვერ მივეცი ლექსი კრებულში (სამხედროში). ეს ძალიან ცუდია. ვკითხულობ დერჟავინს (რა დროს დერჟავინია?).<sup>9</sup>

**[2 მარტი].** „... 3. მასსექტორი განაგრძობს მუშაობას კრებების მოწვევის სახით (გვეტ.). მე არ მომდის ქალაქები. 4. რადიოში მითხრეს რეიჰსტაგის დაწვის შესახებ. 5. ამინდი დღეს პირდაპირ სტირის. ჯამაგირები დღეს არსად არ დაურიგებიან... 6. ლაღო ცაგარელი საინტერესოდ ჰყვებოდა კრწანისის ომის შესახებ. საიდან იცის ამდენი ამბები? სამხედრო კაცია, ძველი. მან თქვა ფრაზა: ეჰ, გული სხვას ფიქრობს და კალამი სხვას წერსო. საინტერესო პიროვნებაა. 6. ლორთქიფანიძე დაეძებდა ფულს: 70 коп. У меня в кармане только... ოლიამ მომცა პაპიროსი და პური და მანეთი ფული...“<sup>10</sup>

**[3 მარტი].** „ავდექი 10 საათზე. მზიანი დილა იყო... არ დაგავინწყდეს: 1. შ.აღ. წითელარმიელი. 2. თავდაცვის ახალი მეთოდი. შიგნით გამაგრება და არ თავდასხმა... აღმოსაჩენია ტემები. ჩემთვის კი ერთი დიდებული ტემა უკვე აღმოჩენილია (იუბილედ და ციფრი XXV. აი, ეს ციფრი! ტემები თავისთავად დაგროვდება...“<sup>11</sup>

**4 მარტი.** აჭარისტანისკენ. ბათომი... ჩამოვედი აქ 2 თებერვალს. გავჩერდი სასტუმრო „აჭარისტან“-ში. ვნახე დათიკო დუმბაძე. მან სთქვა, რომ იუბილე მოენწყობა 20-24 აპრილში. საიუბილეო კომპანია პრესაში 5 აპრილიდან დაიწყება, მპირდებიან ფულით დახმარებას (ცაკი, გორისპოლკომი და სხვ.). იქნება ჩემი სახელობის ქუჩა, სახლი ქობულეთში და სხვ. და სხვ. თბილისიდან უნდა ჩამოვიდეს სპეციალური პიროვნება ამ საქმისთვისაც. დღეს გემით „საქართველო“ მივდივარ აფხაზეთში.<sup>12</sup>

**6 მარტი.** აფხაზეთში. სოხუმი... რიურიკ ივნევი, პ. პეტრენკო, ლ. ხრამელი. ლექსები, ზღვა, ღვინო. ხვალ გემით „ლენინი“ ვბრუნდები ბათომში, ან ფოთში.<sup>13</sup>

**[6 მარტი].** 1. მიღებულია ცაკ-ის ნევრობის მანდატი. 2. მიღებულია მთელ ამიერკავკასიაში მოგზაურობის (რკინის გზაზე, გემებზე) ბილეთი. 3. მიღებულია ნიშანი ცაკის. დიდებული დღეა.<sup>14</sup>

**7 მარტი.** სამტრედია. შევხვდი ძმას. ვიყავით ერთად შუადღიდან შუალამემდის. ვისესხე ფული. მივდივარ ლამის მატარებლით ტფილისისკენ [ნუთუ არ გამოსწორდება საქმეები].<sup>15</sup>

**21 მარტი.** Надо включить избранные стихи в книгу издав. «Заккнигой» из следующих сборников: 1. Книга стихов – изд. в 1914 (4 стих.), 2.«Craine aux Flours» – 1918(?) – (4ст.), 3. «Джон Рид» -1923 г., 4. Стихотворения – 1927, 5. «Эпоха» – 1930, 6. «Пацифизм»- 1931, 7. «Революционная Грузия» – 1932, 8. Из поэмы «Пресса», 9. Поэма «Октябрьская Симфония».

Из этих книг уже имеются отрывки, переведенные разными лицами в разное время из: 1. Я и ночь, из I кн. 2. отр. из «Джон Рид», 3. из ст. 1917. «Мы поэты Грузии» (пер. Е.Ш.), 4.«Эпоха», 5. Рев. Грузия, 6. Пресса.

Нужны еще: 1. «Craine aux Flours», 2. «Пацифизм», 3. «Октябрьская Симфония» и 4. дополнительные стихи из других, уже в начале названных книг. Нужно: хорошее предисловие, портрет, библиография в конце книги,обложка хорошая, бумага хорошая.

Вчера тов. Немчинову и Брику я передал подстрочник стих. Восток. Не надо торопиться, но форсировать работу, усилить темпы – необходимо. Желательно, чтобы книга подспела к 12 апреля. Стихотворение мое «Восток» переведено Борисом Бриком довольно хорошо, но холодно по ленинградски. Он не смог дать оригинальности, однако указания его ценны вроде слова «Аспазия» и т.д. Стихи, четверо стишья надо объединить. Передал другое стихотв. «Поэту»<sup>16</sup>

**22 მარტი.** Пер. ст. «Поэту» не годится, нужно исправить. Передал другое стих. «Нападение орлов на аэроплан».<sup>17</sup>

**[22 მარტი].** 1. დილით „მნათობის“ რედკოლეგიის სხდომა. 2. სალამოთი მწ. ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა.<sup>18</sup>

**24 მარტი.** „საქ. საბ. მწერლების კავშირთან გასული წლის 7 ოქტომბერს ჩამოყალიბდა თავდაცვითი მხატ. ლიტ. კომი. კომისიაში შედიან... მწერალთა კავშირიდან: გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, კ. ბობოხიძე, ამხ. სულავა, გრებენშიკოვი, გელერ-შტიინი და დარპინიანი. კომისიამ დღემდე ჩამოაყალიბა „წ. არმიელი“-ს რედაქციასთან სამხედრო მწერალთა ცენტრალური წრე, სადაც გარდა დამწყებ წითელარმიელ მწერლებისა მუშაობენ ისეთი ცნობილი მწერლები, როგორცაა გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი და სხვ. წრეს ჰყავს ბიურო შემდეგი შემადგენლობით: გ. ტაბიძე (თავმჯდომარე), გ. ქუჩიშვილი, ე. ჭანიშვილი, ა. შანიძე, გ. ნახნავია (მდივანი)...<sup>19</sup>

**[31 მარტი].** „გ. ტაბიძე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. რევოლიუციამდე სამწერლო ასპარეზზე გამოსულ პოეტებიდან ყველაზე ღრმა გარდატეხა რევოლიუციონური იდეების მიმართუ-

ლებით მოხდა სწორედ გ. ტაბიძის პოეზიაში... „ეპოქა“ გ. ტაბიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მასში პოეტი ცდილობს გადმოგვცეს პროლეტარული რევოლუციის ეპოქის დამახასიათებელი მოვლენები, განწყობილებანი. მაგრამ საერთო იდეური მიმართულება ნაწარმოებში ვერ არის დამაგრებული კონკრეტული სახეებით, კონკრეტული სურათებით. მასში ჯერ კიდევ ძლიერია აბსტრაქტული რომანტიკა. „რევოლუციონური საქართველო“ მსგავსად „ეპოქისა“, წარმოადგენს ცალკეული ლექსების მონტაჟს... მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე საბჭოთა პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელია, მის შემოქმედებას მაინც საგრძნობი სუსტი მხარეები ახასიათებს. გ. ტაბიძის პოეტურ კონცეპციაში ჯერ კიდევ ძლიერად მოისმის ძველი ნოტები, ჯერ კიდევ ვერ გარდაუქმნია თავისი შემოქმედებითი მეთოდი ახალი მასალის შესატყვისად... ხშირად მაღალ მხატვრულ ნაწარმოებების გვერდით გ. ტაბიძის პოეტურ ფაქტებში შეხვდებით ყოველად გაუმართლებელ, ზერელე და დაბალი ხარისხის ფაქტებს. ამ უკანასკნელ მოვლენას განსაკუთრებით იქ ვხვდებით, სადაც პოეტი უფრო ყოფითი – კონკრეტულ მომენტებს ეხება...<sup>20</sup>

**1 აპრილი.** „სამხედრო კომისიის ხელმძღვანელობით გაზ. „წითელ არმიელთან“ არსებობს ცენტრალური სამხედრო წრე, რომელიც აწარმოებს სისტემატურ ლიტ. სწავლებას. წრის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. გ. ტაბიძე...“<sup>21</sup>

**3 აპრილი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. დაესწრნენ: ს. ეული, ნ. მიწიშვილი, ბ. ჟღენტაძე, ა. მაშაშვილი, ლ. ქიჩელი, ს. ჩიქოვანი, შ. რადიანი, რ. გვეტაძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, პ. ჩხიკვაძე, მ. ჯავახიშვილი, პ. სამსონიძე, ა. შანიძე, კ. კალაძე, კ. ბობოხიძე, მ. ნულუკიძე, ლისაშვილი, ს. კლდიაშვილი, ფ. ნაროუშვილი, ვ. ჟურული, ი. ვაკელი, მიმქრალი, შ. აფხაიძე, პ. კეშელავა, გრებენშიკოვი, ასკერი, დარპანიანი. მოიმინეს: ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის შუამდგომლობა გ. ტაბიძის იუბილეს შესახებ (ლ. ასათიანი). დაადგინეს: დაკმაყოფილებულ იქნეს ჟურნალ „მნათობის“ შუამდგომლობა გ. ტაბიძისათვის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის გამო იუბილეს გადახდის შესახებ. გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ს. ეული, ნ. მიწიშვილი, პ. საყვარელიძე, ა. დუდუჩავა, ბ. ჟღენტაძე.<sup>22</sup>

**15 აპრილი.** ვინაიდან ავადა ვარ, გთხოვთ, ნება დამართოთ, გავანაღლო თქვენ მიერ მოცემული ას ოცი მანეთის ობლიგაციები. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>23</sup>

**19 აპრილამდე.** „რა გაკეთდა 19 აპრილამდე. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გამომც. გადასწყვიტა რუს. ენაზე გამოსცეს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებისა და პოემების წიგნი. ამ მიზნით გამომცემლობის დავალებით ლექსებს სთარგმნიან აგრეთვე: ელენე შერრი, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ყანჩელი და სხვ. პოეტის სურათს აკეთებს წიგნისთვის მხატვ. ო. შარლემანი, ხოლო ყდასა და შინაკანს მხ. დ. კაკაბაძე. წამძღვარებული ექნება ამხ. ბ. ჟღენტის წინასიტყვაობა.“<sup>24</sup>

კომპოზიტორმა თამარ შავერზაშვილმა დასწერა მარში გალაქტიონ ტაბიძის სიტყვებზე: „მხარი მხარს, მხარი მხარს“. მარში იბეჭდება ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში.<sup>25</sup>

კომპოზიტორმა გოკიელმა დასწერა მარში: „ლეგიონები“<sup>26</sup>

**19 აპრილი.** Дорогой тов. Галактион! Тов. Шарлеман ждет Вас для портрета 21-го апреля в 11-12 ч. утра. Сделайте это обязательно. Жду обещанных стихов и Канчели и Гаприндашвили. Привет. А. Немчинов<sup>27</sup>

**20 აპრილი.** ძმაო გალაქტიონ!.. ჩვენ ეხლა კარგად ვართ... შენი ამბავი როგორია: არაფერი ვიცით; გაზეთებში ვერაფერს ვნახულობ და მიკვირს. არც იუბილეს შესახებ არის რაიმე ხმები... აქ ძალიან სიძვირეა... შენ საუკეთესო მომარაგება უნდა გექნეს; ცაკის წევრი, სახელგანთქმული პოეტი – შენს ადგილზე სხვა ვინმე ცოლ-შვილს დიდებულად შეინახავს, შენ კი მარტო შენი თავი რომ ვერ შეინახო – სირცხვილია, მაგრამ ის საშინელი ღვინო. შენ არ იცი, რა ნაირად სხვაფერდები, როცა ღვინით მთვრალი ხარ... მერე შენ არ შეგიძლია ეს მტერი დაამარცხო? დარწმუნებული ვარ, შეგიძლია... შენ, რომელმაც ხუთასგვერდიანი წიგნი ასეთი დაჟინებით, ასეთი ენერგიით შეადგინე... შენ, რომელმაც სახელის უმაღლეს მწვერვალს მიაღწიე... გალაქტიონ. ტიფია გავრცელებული, მგზავრობას ერიდე და სუფთათ იყავი!.. (აბესალომის წერილიდან).<sup>28</sup>

**22 აპრილი.** საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. მოისმინეს: გაიმართოს 23 აპრილის დადგენილების წლისთავის აღსანიშნავი სხდომა... მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა დაევალოთ შემდეგ ამხანაგებს: მ. ჯავახიშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძეს, ბ. ჩხეიძეს, ს. კლდიაშვილს, ნ. მინიშვილს, ი. აბაშიძეს, ა. გომიაშვილს, ფ. ნაროუშვილს, კ. კალაძეს, გ. ტაბიძეს, ტ. ტაბიძეს, ს. ჩიქოვანს, გ. ქუჩიშვილს, ი. მოსაშვილს, გ. ლეონიძეს, კ. ჭიჭინაძესა და ს. ეულს...<sup>29</sup>

**23 აპრილი.** „ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ არ შენიშნოს ის ძვრები, რომელიც ხდება დღეს ქართულ ლიტერატურაში... გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, პ. სამსონაძის ნაწარმოებები ჩვენ საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ 23 აპრილის დადგენილების შემდეგ გაიზარდა სურვილი, ენერგია, მონდომება ახალი ნაწარმოებების შექმნის და მთელი რიგი მწერლებისა ხელს კიდებენ დიდ შემოქმედებით მუშაობას...“<sup>30</sup>

**„23 აპრილს,** საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში გაიმართება საზეიმო საღამო საკავშირო ცეკას 23 აპრილის ისტორიული წლის თავის აღსანიშნავად... დასასრულ თავის ახალ ნაწარმოებებს წაიკითხავენ შემდეგი პოეტები და ბელეტრისტები: ირ. აბაშიძე, გომიაშვილი, კ. გამსახურდია, ს. ეული, კარლო კა-



ლაძე, სერგო კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. ლეონიძე, ნ. მინიშვილი, ფ. ნაროუშვილი, გ. ტაბიძე...“<sup>31</sup>

**26 აპრილი.** „საქ. კომ. პ. (ბ.) ცეკას მდივნის გ. ყურულაშვილის ხელის მოწერით „მნათობის“ თანამშრომლებს დაეგზავნათ შემდეგი შინაარსის მიმართვა: „ყურნალი „მნათობი“ თავის მორიგ ნომრისათვის ამზადებს სპეციალურ განყოფილებას, რომელიც მიეძღვნება პოეტ გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო-სალიტერატურო მუშაობის 25 წლის თავს. გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ამ თარიღის აღნიშვნაში და მოგვანოდოთ სათანადო მასალა (ლექსი, წერილი, თქვენი შეხედულება პოეტზე, მოგონება და სხვა და სხვა). მასალები მოწოდებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის 5 მაისისათვის.“<sup>32</sup>

**28 აპრილი.** გამომცემლობა „ფედერაცია“-ს. გთხოვთ, თქვენ მიერ გამოსაცემად მიღებული წიგნის „ოქტომბრის სიმფონია“-ს ჰონორარის ანგარიშში გამოიმწეროთ 300 (სამასი) მანეთი. გ. ტაბიძე.<sup>33</sup>

**29 აპრილი.** „... გასულ წელს „მნათობში“ იბეჭდებოდა საბჭოთა პოეტური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალთაგანი გალაქტიონ ტაბიძე. ყურნალის დასახელებულ ნომრებში გამოქვეყნებული ლექსები („ეროვნებათა მარში“ და სხვ.) შესრულებულია პოეტისათვის ჩვეულებრივი გულწრფელობითა და ექსპრესიით.“<sup>34</sup>

**29 აპრილი.** საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა, ყურნ. „მნათობის“ რედაქციასთან ერთად დაადგინა გალაქტიონ ტაბიძეს გაუმართოს სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გ. ტაბიძის იუბილეს ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებების გამომუშავებასთან ერთად, შეადგინოს იმ მწერალთა სია, ... რომელთაც ... მიმდინარე წელს უნდა გაემართოთ იუბილე.<sup>35</sup>

**29 აპრილი.** „ გარკვევით ისახება საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი კადრების სურვილი თავისი შემოქმედებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი ქვეყნის შენებაში... იზრდება საბჭოთა მწერლების მხატვრული პროდუქცია: ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, რ. გვეტაძე, ს. შანშიაშვილი და სხვ.“<sup>36</sup>

**1 მაისი.** დღეს 1 მაისია... ოცდაოთხი დღის შემდეგ კი ერთი დღით ტფილისი იქნება ჩემი. იქნება ჩემი სალამო, ჩემი სიხარული. გაუმარჯოს 25 მაისს!<sup>37</sup>

**9 მაისი.** მხატვარმა შარლემანმა დახატა სურათი.<sup>38</sup>

**9 მაისი.** რადიომ გადასწვყიტა, მოაწყოს ჩემი სპეციალური შემოქმედებითი სალამო.<sup>39</sup>

**14 მაისი.** ტფილისის საბჭომ გადასწყვიტა ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას ჩემი სახელი.<sup>40</sup>

**14 მაისი.** საბჭოთა მწერლების კავშირმა აღძრა შუამდგომლობა სახკომ-საბჭოში და ცაკში რესპ. სახალხო პოეტის ნოდებისათვის.<sup>41</sup>

**14 მაისი.** შ. რადიანი სწერს წერილს ამ.კ. ბ. სახელმწიფო გამომცემლობის-თვის.<sup>42</sup>

**15 მაისი.** ალი არსენიშვილი სწერს წერილს „ზარიას“-თვის. ი. გრიშაშვილი „მნათობისათვის“, გ. ქუჩიშვილი „მნათობისათვის“.<sup>43</sup>

**15 მაისი.** „ვ. გაფრინდაშვილმა აიღო რედაქტორობა რუს. გაზ. შალვა რადიანი სწერს წინასიტყვაობას წიგნისათვის.“<sup>44</sup>

**19 მაისი.** კოლაუ ჩერნიავსკი, ვ. გაფრინდაშვილი სთარგმნიან.<sup>45</sup>

**10 ივნისი.** გამომცემლობა „ფედერაცია“-ს. გთხოვთ, ჩემი წიგნის „ოქტომბრის სიმფონიის“ ჰონორარის ანგარიშში გამომიწეროთ 300 (სამასი) მან. გ. ტაბიძე.<sup>46</sup>

**„12 ივნისს“** ვოროშილოვის სახელობის კლუბში ფინჯან ჩაიზე ურთიერთ შეხვედნენ მხატვრული სიტყვის საბჭოთა ოსტატები და სოციალისტური შრომის გმირები... საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი პრაქტიკა მშრომელთა მასებთან მჭიდრო დაკავშირებას გულისხმობს, მიტომაც ეს შეხვედრა მეტად საგულისხმო და მრავალმხრივ მეტყველია. ბაასი დაიწყო კლუბთან არსებულ ლიტწრის ხელმძღ. ამხ. დ. ჯანელიძის სიტყვით, რომელმაც დამკვრელ მუშებს გააცნო დამსწრე საბჭოთა მწერლები: მიხ. ჯავახიშვილი, ალ. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, ფრ. ნაროუშვილი, ტ. ტაბიძე, კ. კალაძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. ნულუკიძე და სხვ... საუბრის დამთავრების შემდეგ ლექსები წაიკითხეს გ. ქუჩიშვილმა, გალ. ტაბიძემ და კ. ბობოხიძემ.<sup>47</sup>

**15 ივნისი.** „სალიტერატურო გაზეთში“ მოთავსებულია ლევან ასათიანის წერილი. რადიოსტუდია აწყოფს ფართო ტრანსლაციას იუბილეისას.<sup>48</sup>

**15 ივნისი.** კომპოზიტორთა სექციას დაევალა მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელობა.<sup>49</sup>

**15 ივნისი.** გამომცემლობა „ფედერაცია“-ს. გთხოვთ, ჩემი წიგნის ჰონორარის ანგარიშში გამომიწეროთ 200 (ორასი) მანეთი. გ. ტაბიძე.<sup>50</sup>

**16 ივნისი.** გუშინნინ, სალამოთი, შესდგა განსახკომის კოლეგიის სპეციალური სხდომა იუბილეს შესახებ. მოხსენება გააკეთა ბესარიონ ჟღენცმა. დამტკიცებულ იქნა საიუბილეო კომისიის შემადგენლობა და ზოგიერთი ღონისძიებები (სახ. პოეტის სახელწოდ. და სხვ.).<sup>51</sup>

**16 ივნისი.** „გალაქტიონ ტაბიძის მნიშვნელობა მე-XX-ს ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადოთ შესწავლილი. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს შეფასებული სიტყვის და ფორმის ის ოსტატობა, რომელიც მოცემულია გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში... [ის] თავის დროზე ერთი ნოვატორთაგანი იყო ქართული ლექსისა. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდება ჩვენთვის, როდესაც შესწავლილი იქნება მისი ლექსი რიტმიული და მეტრიული თვალსაზრისით, როდესაც გამორკვეული იქნება, თუ როგორი კულტურა შემატა მან ქართულ პოეზიას თავისი სახეების, მეტაფორების, ეპიტეტების, რითმებისა და ასონანსების სიმდიდრით, მხოლოდ ტენდენციური ადამიანისათვის არ იქნება ცხადი ის ფაქტი, რომ გ. ტაბიძემ მეტად საგრძნობი გავლენა იქონია უახლესი ქართული პოეზიის განვითარებაზე და რომ ეს გავლენა დღესაც ხელშესახებია ბევრ თანამედროვე პოეტის ნაწარმოებში. გ. ტაბიძე თავის პოეტური სპეციფიკით ძლიერ განსხვავდება ქართულ დეკადენტი პოეტების („ცისფერი ყანწების“) თაობისაგან. გ. ტაბიძის პოეზიაში ვერ ნახავთ ვერც ბოგემის აპოლოგიას, ვერც სიმახინჯის ესთეტიკას, ვერც თავაშვებულ ეროტომანიისა და კომმარების კულტს. ბოდლერის „შხამიანი ყვავილები“ სურნელი არ შეხებია მის პოეზიას... მისი იმპრესიონიზმი ჯანსაღი ბუნების მატარებელი იყო.

გ. ტაბიძე ქართულ პოეზიაში თავის პოეტურ რიტმით, შინაგანი განწყობით ძალიან ენათესავებოდა ბლოკს. ანალოგიისათვის საკმარისია გახსენება ბლოკის „უცნობი ქალის“ და გ. ტაბიძის მერის, „თოვლის“ და სხვა მოტივების განსაკუთრებულ სიყვარულს ორივე პოეტის პოეზიაში და სხვ. საინტერესოა, რომ გ. ტაბიძემ ნახა თემები, რომლითაც თითქოს აღადგინა გასული საუკუნის ნახევარში შეწყვეტილი ხაზი ქართული რომანტიული პოეზიისა. ერთი საუკუნის მანძილზე „მერანის“ შორეულ გამოხმაურებათ ისმის „ლურჯა ცხენები“. ნოვალისის ცისფერი ყვავილი და ნ. ბარათაშვილის რომანტიული აღსარება: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“ ანალოგიით გვაგონებს გ. ტაბიძის ლექსების მთელ წყებას, თუნდაც მოვიგონოთ ლექსი „გზაში“: „აქ მრავალია ცისფერი ფერი...“ ოქტომბრის რევოლუცია უღელტეხილია გ. ტაბიძის შემოქმედებაში. რევოლუციის პათოსმა სრული გადატრიალება მოახდინა მის პოეტურ შემოქმედებაში. პროლეტარიატის მსოფლმხედველობის დაუფლებით, მაღალი ოსტატობით და ჩვენი სინამდვილის ზედმინევენით გაცნობით პოეტი შესძლებს იყოს ნამდვილი გამომხატველი ეპოქის შინაარსისა და იდეების...“<sup>52</sup>

**17 ივნისი.** რადიომ გადასცა ცნობა იუბილეს შესახებ. ზაკტაკმა გადასცა ცნობები.<sup>53</sup>

**18 ივნისი.** „კომუნისტი“ აქვეყნებს ინფორმაციას იუბილეს შესახებ.. ფ. მახარაძემ მოითხოვა მასალები განსახკომისაგან.<sup>54</sup>

**18 ივნისი.** „განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შუამდგომლობა პოეტ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 25 წლის იუბილეს ორგანიზაციის შესახებ... განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცეკას წინაშე იუბილიარისათვის რესპუბლიკის სახალხო პოეტის მინიჭების შესახებ. იუბილეს ჩასატარებლად ჩამოყალიბებულია საიუბილეო კომიტეტი. კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეა ამხ. ფ. მახარაძე, თავმჯდომარე ამხ. ე. ბედია. 19 ივნისს შესდგება კომიტეტის პირველი სხდომა, რომელიც იუბილეს ჩატარების დღეს დაანესებს. 23 ივნისს საქართველოს საბჭოთა მწერალთა სასახლეში მოენციობა ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.“<sup>55</sup>

**„20 ივნისს,** გამსახკომში, ამხ. ბედიას კაბინეტში, შედგა [გალაკტიონის] საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა. კომიტეტმა გამოიმუშავა მთელი რიგი ლონისძიებებისა პოეტ გალ. ტაბიძის იუბილეს ჩატარებისათვის. საიუბილეო კომიტეტის თანახმად 29 ივნისს, საბჭ. მწერლების კლუბში მწერალთა კავშირის მიერ გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო, სადაც პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. შ. რადიანი. ლექსებით გამოვლენ მწერლები; საღამოში მონაწილეობას მიიღებს თვით გ. ტაბიძე.

5 ივლისს თეატრის შენობაში მოწყობილი იქნება გ. ტაბიძის საზეიმო საიუბილეო საღამო, სადაც სიტყვებით და მისალმებებით გამოვლენ მთავრობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საღამოს მეორე განყოფილება მიეძღვნება გ. ტაბიძის ლექსების კითხვას მსახიობთა მიერ, პოეტების გამოსვლას, ვოკალურ და მუსიკალურ ნაწილს. საღამო იქნება ფასიანი, ნაწილი ბილეთებისა გადაცემული იქნება პროფკავშირებისათვის თავის ორგანიზაციებში გასავრცელებლად.“<sup>56</sup>

**22 ივნისი.** პოეტ გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მუშაობის 25 წლის თავის აღსანიშნავად არჩეული იქნა საზოგადოებრივი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე, თავმჯდომარე ამხ. ერ. ბედია, თავმჯდომარის მოადგილე ქ. იმედაძე... საზოგად. კომიტეტის მდივანი – ლევან ასათიანი.“<sup>57</sup>

**23 ივნისს,** საღამოს 6 საათზე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი მწერლები: ამხ. მ. ტოროშელიძე, ს. თოდრია, ს. ეული, ი. ლისაშვილი, ლ. ქიჩელი, ნ. მინიშვილი, გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი., ვ. წულუკიძე, რ. გვეტაძე...<sup>58</sup>

**26 ივნისი.** საქართველოს ცაკის დადგენილებით, სამწერლო მოღვაწეობის 25-ე წლისთავის აღსანიშნავად, გალაქტიონ ტაბიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო პოეტის წოდება.<sup>59</sup>

**26 ივნისი.** დღეს მუშათა ახალ კლუბში (ყოფილი „ქართული კლუბი“, სახლის 5ა) გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის საღამო.<sup>60</sup>

„**29 ივნისს** მწერალთა სასახლეში გალ. ტაბიძის 25 წლის შემოქმედებითი მუშაობასთან დაკავშირებით – მწერალთა კავშირი მართავს გალ. ტაბიძის შემოქმედების საღამოს. შესავალი სიტყვით გამოვა ამხ. მ. ტოროშელიძე, მომხსენებელი ამხ. შ. რადიანი. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ მწერლები. დასასრულ თავის ახალ ლექსებს წაიკითხავს ავტორი. შესვლა თავისუფალია. დასაწყისი სრულ 8 საათზე.“<sup>61</sup>

**29 ივნისი.** საიუბილეო კომიტეტი. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შუამდგომლობით, საქ. განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა პოეტ გალაქტიონ ტაბიძეს გადაუხადოს სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი იუბილე. იუბილეს ჩასატარებლად გამოყოფილია მთავრობის საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: საპატიო თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე...

გ. ტაბიძის შემოქმედებითი საღამო. დღეს, 29 ივნისს მწ. სასახლეში გაიმართება გ. ტაბიძის შემოქმედების საღამო. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შ. რადიანი.

სახალხო პოეტის სახელი. საიუბილეო კომიტეტმა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გალაქტიონ ტაბიძეს მიენიჭოს სახალხო პოეტის სახელი, დაენიშნოს პერსონალური პენსია და მთელი სეზონი გაიგზავნოს აგარაკზე.

გ. ტაბიძის აკადემიური გამოცემა. კომიტეტის დადგენილებით სახ. გამომცემლობას დაევალა შეუდგეს იუბილიარის ნაწარმოებთა სრული აკადემიურ გამოცემას რამდენიმე ტომად. პირველი ტომი გამოიცეს წელს. მასიური ბროშურა. „სალიტერატურო გაზეთს“ დაევალა შეადგინოს მასიური ბროშურა გ. ტაბიძე (პორტრეტი ბიოგრაფიით, კრიტიკული წერილები). ბროშურას გამოსცემს „ფედერაცია“. ჟურნ. „მნათობი“-ს უახლოეს ნომერში გ. ტაბიძის შემოქმედებას მიეძღვნება სპეციალური განყოფილება.

მუშათა კლუბებში. პროფკავშირთა საბჭოს ეთხოვა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირთან ერთად მუშათა კლუბებში ჩაატაროს გ. ტაბიძის შემოქმედების საღამოები ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში.<sup>62</sup>

**29 ივნისი.** „დღეს საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს პოეტ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს, ეს საღამო ერთგვარი შესავალია იმ დიდი ლიტერატურული ზეიმის, რომელსაც პოეტს უხდის საქართველოს საბჭოთა ხელი-

სუფლება და მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა... ჩვენ შეგვიძლია დავა-სახელოთ ქართული ლირიკის ისეთი მწვერვალები, როგორც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი... საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩვენმა ეპოქამ ქართულ პოეზიას შემატა კიდევ ერთი ახალი მწვერვალი გალ. ტაბიძის შემოქმედების სახით. ჩვენ აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. ტაბიძე რო-გორც დიდი ხელოვანი ჩამოყალიბდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერი-ოდში... დღევანდელი საღამო ერთგვარი შესავალია იმ დიდი ლიტერატურული მუშაობის, რომელიც გაიშლება გალ. ტაბიძის შემოქმედებითი გზების ყოველმხ-რივად შესწავლისა და მეცნიერულად დამუშავების ხაზით...“<sup>63</sup>

**29 ივნისი.** „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა 29 ივნისს მწე-რალთა სასახლეში გამართა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო, მისი სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის თავთან დაკავშირებით. შესავალი სიტყვით გა-მოვიდა ამხ. მ. ტოროშელიძე. გ. ტაბიძის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. რა-დიანმა. სიტყვები და ლექსები წარმოსთქვა პოეტმა: ფრ. ნაროუშვილმა, გრიგმა, გ. ქუჩიშვილმა, კ. ბობოხიძემ და სხვებმა. დასასრულ თვით იუბილიარმა წაიკითხა ახალი ლექსები.“<sup>64</sup>

**29 ივნისს,** გალაქტიონ ტაბიძის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მწე-რალთა კლუბში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის საღამო. შესავალი სიტყვა წარ-მოთქვა ამხ. მალაქია ტოროშელიძემ. გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსე-ნება წაიკითხა ამხ. შ. რადიანმა. მისალმებებით და სიტყვებით გამოვიდნენ: ფრ. ნაროუშვილი, გ. ქუჩიშვილი, გრიგი (სომხ. სექტორიდან), რუსი პოეტი და გ. ტა-ბიძე ლექსებით.<sup>65</sup>

**29 ივნისი.** „1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ... ინტელიგენ-ციის დიდი ნაწილი ღრმა პესიმიზმმა მოიცვა... პოეტი გ. ტაბიძეც ვერ ასცდა ამ გაბატონებულ განწყობილებას. იგი შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა უკვე შეპყრობილი პესიმიზმით, დაცემულობით და ცხოვრებისაგან გაქცევის სურვი-ლით... მაგრამ გ. ტაბიძის პესიმიზმს ერთგვარი „თავისებურება“ ახასიათებდა... პოეტს მეტად ბუნდოვნად, მაგრამ მაინც სჯეროდა თავისი „ბოღვა და სიყვარუ-ლის დღესასწაული“... მწერალს ამ პერიოდში არ ჰქონდა მთლიანი მსოფლმხედ-ველობა... ამიტომ ანგარიშიყოფილად ინთებოდა ყოველი ახალი ამბით... მაგრამ მთელი ეს „ენტუზიაზმი“ მხოლოდ მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. რევოლიუცი-ამდე მის გამარჯვების ძახილს ყოველთვის თან ახლდა უიმედობა („მინდა ვიმ-ღერო გამარჯვებისა, მაგრამ მომწყინდა – არ ვიცი რისთვის“)... პოეტი სრულად განმარტოებულად გრძნობდა თავს... უყვარდა მხოლოდ ღამე და ბუნება... რევო-ლიუციამდე ტაბიძის ლექსი იყო უმთავრესად უშინაარსო. პოეტი სიტყვის კომ-პოზიციის დროს პრიმატს არა იღებურ პრინციპს აძლევდა, არამედ ცალიერ სილა-მაზეს, ამიტომ, მკითხველს მისი ლექსების აზრი გაუგებარი რჩებოდა.

ასეთი იყო გ. ტაბიძის შემოქმედება თებერვლის რევოლიუციამდე, რევოლიუციამ გარდაქმნა მწერლის მსოფლმხედველობითი მიმართულება, მისი შემოქმედებითი ხასიათი და ლექსის კომპოზიცია... ტაბიძე „აუჯანყდა“ თავის ძველ განწყობილებებს და ახალ მოტივებს შეეჭიდა, მან იგრძნო ცხოვრების განახლება... მაგრამ მას ისე მძიმედ აწვა ათი წლის ლიტერატურული ტრადიცია, რომ ვერ შეძლო უცბად განთავისუფლებულიყო მისგან... მაგრამ ჯანსაღმა ალლომ და... ოქტომბრის რევოლიუციამ, გ. ტაბიძის შემოქმედება პერსპექტივის პროექტორით გააშუქა. ოქტომბერმა მწერალს შეაყვარა მშრომელი ხალხი, რომელსაც იგი წინათ გაურბოდა და სადღაც, გამოურკვეველ სიბნელებში ემალებოდა. როცა ვიხილავთ ტაბიძის შემოქმედებას პეტროგრადის ამბებთან, შემდეგ საქართველოს ოქტომბერთან მიმართებაში, ჩვენ წინ დგება პროლეტარული რევოლიუციის დიდი თანამგზავრი, რომელმაც ჯანსაღი ინტუიციით გაარღვია ძველი სიმბოლისტრი სკოლის გარსი და მხატვრული სიტყვით ახალი მოძრაობის სიმაღლეზე მოექცა... თანამგზავრობის პერიოდში მან ხარისხობრივად უფრო მეტი გააკეთა, ვინემ უწინ მთლიანად... იგი საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე დადგა...“<sup>66</sup>

**30 ივნისი.** გალაქტიონ ტაბიძის 25 წლის იუბილე შესდგება 5 ივლისს საოპერო თეატრში. იუბილეს მომწყობი კომისია სთხოვს ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა იუბილეში, აცნობონ ამის შესახებ კომიტეტს არა უგვიანეს 3 ივლისისა.<sup>67</sup>

„**30 ივნისს** სომეხ მწერალთა სასახლეში (ძერჟინსკის ქუჩა 6) საქ. საბჭოთა მწერლების სომხური სექცია აწყობს საღამოს, მიძღვნილს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი. მწერალი სურენ ავჩიანი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: გალაქტიონ ტაბიძე და მისი შემოქმედება. საღამოზე გ. ტაბიძე წაიკითხავს თავის ლექსებს.“<sup>68</sup>

**30 ივნისს,** სომეხთა ხელოვანთა სასახლეში საქ. საბჭოთა მწერლების კავშირთან არსებულ სომხურ სექციამ გამართა გ. ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.<sup>69</sup>

**ივნისი.** პოეტ გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მუშაობის 25 წლის თავის აღსანიშნავად არჩეული იქნა საზოგადოებრივი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომიტეტის საპატიო თავჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე, თავმჯდომარე ამხ. ერ. ბეღია, თავმჯდომარის მოადგილე ჭ. იმედაძე, წევრები: აღ. ახმეტელი, კომპოზ. დიმ. არაყიშვილი, ამხ. ალამალიანი (ა. კ. – სამხ. კომიტ.), ვ. ანთაძე (პროფსაბჭო), ასკერ (მწერ. კავშ. თურქ. სექცია), ლევ. აღნიაშვილი (ტფ. უნივ.), ბ. ბიბინიშვილი (სახელგამი), გიორგობიანი (კომკავშ. ცეკა), გრებენჭიკოვი (მწ. კავშ. რუს. სექცია), მხატვარი ლ. გუდიაშვილი, შ. დუდუჩავა, დავ. დემეტრაძე, მ. დარბინიანი (მწ. კავშ. სომხური სექცია), ა. თითბერიძე (სახ. კინ.

მრეწვი), ნიკო კიკნაძე, პ. მიროტაძე, (წით. არმ. პოლიტსამმართველო), ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა რადიანი, ვ. ორაგველიძე, პ. მ. ორაგველიძე, თ. სიხარულაძე „მუშა“, პეტრე სამსონიძე, ბესო ჟღენტი, მალაქია ტოროშელიძე, უშანგი ჩხეიძე, კ. ჩარკვიანი („ახ. კომუნისტი“), გ. ყურულაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, სიმ. ხუნდაძე, საზოგად. კომიტეტის მდივანი – ლ. ასათიანი.<sup>70</sup>

**[ივლისი].** ჟურნალი „მნათობი“ (№ 5) საერთო სათაურით: „გალ. ტაბიძის პოეტური მუშაობის ოცდახუთი წელი“ რამდენიმე მასალას აქვეყნებს. აქ დაიბეჭდა გალაკტიონის ორი ლექსი: „პირველი მაისი“ (ლექსი წარმოთქმული არალეგალურ საღამოზე 1908 წელს, პირველ მაისს) და „იდეა.“<sup>71</sup> აგრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი მასალა: გ. ნატროშვილის „გალაქტიონ ტაბიძე“, დ. კლდიაშვილის „გალაქტიონ ტაბიძე“, ვ. ბარნოვის „გალაქტიონ ტაბიძე“, <sup>72</sup> გ. ქუჩიშვილის 1933 წლის 7 მაისით დათარიღებული წერილი „გალაქტიონ ტაბიძე“ და ნაწყვეტი თ. ჟღენტის მოგონებებიდან: „გალაქტიონ ტაბიძე რეაქციის პერიოდში.“

**[ივლისი].** „გალაქტიონ ტაბიძე მართალია არ ეკუთვნოდა „ცისფერ ყანწების“ დაჯგუფებას, მაგრამ მათ იდეურად აახლოვებდათ ის გარემოება, რომ ორივე ფრანგულ სიმბოლიზმის მემკვიდრენი იყვნენ. გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში ისევ გამოჩნდა ბარათაშვილის პესიმიზმი და მისი მერანი ფანტასტიურ ლურჯა ცხენების სახით, რომელნიც მიიჩქარიან ამ ქვეყნიდან, რომ დროზე გასცილდნენ „ამაოთა ამაოებას.“ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის დაღლილმა თაობამ... ვერ გაიგო მუშათა კლასის და მისი ფოლადისებური პარტიის მიზნები... იმედის გაცრუებამ დეკლასიური ინტელიგენციის შეგნებაში მრავალ გვარი სახე მიიღო... გალაქტიონ ტაბიძე ე.წ. „წმინდა ხელოვნების“ ტრადიციების მიხედვით განცალკევებული ლოცულობდა ბუნების ტაძარში, მთაწმინდის მთვარის და აკაკის საფლავის წინაშე... რეაქციის ბნელ ღამეში ისინი ვერ ხედავდნენ პროლეტარულ მოძრაობის ბრწყინვალე მომავალს... გალაქტიონ ტაბიძე თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ნამდვილი წარმომადგენელი იყო რომანტიული სიმბოლიზმისა... დაშორება რეალურ ცხოვრებისგან და დაახლოება ხელოვნურად გამოგონილ ლანდების და აჩრდილების სამყაროსთან – დიდ ადგილს იჭერდა გალაქტიონ ტაბიძის პირველი პერიოდის შემოქმედებაში... ისმოდა ისეთი მოტივებიც, რომელიც უფრო სპეციალურად რომანტიზმს ახასიათებდა... გ. ტაბიძეც გამოეხმაურა ნოვალისის ამ ტრფიალებას ცისფერი ყვავილისადმი... რით აიხსნება ასეთი მისწრაფება ცისფერისაკენ? მათი თვალსაზრისით ცისფერი სიმბოლო იყო ყოველგვარი არა ამქვეყნიური ჩვენებების, ის პროტესტი იყო რეალური ცხოვრების წინააღმდეგ... ან კიდევ განა ბარათაშვილური ტრფიალება არაა ცისფერისადმი გალაქტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“? დამოკიდებულება ბუნებასთან გ. ტაბიძის პოეზიაში არსებითად ისევ რომანტულ ხასიათს ატარებდა. პოეტი ვერხვის ფოთოლთა შრიალში ისმენს უძველეს ზღაპრებს და ბარათაშვილის... მზგავსად ადამიანურ ენაზე ამეტყველებს ჩინარს...



გ. ტაბიძეს რევოლუციამ მოუსწრო იმ დროს, როდესაც მის პოეზიაში მეფობდა მხოლოდ ბოჰემა... გ. ტაბიძე გაიტაცა რევოლიუციამ, მისმა გარეგნულმა დიდებულებამ... მაგრამ მან ერთბაშათ ვერ მოიხსნა რომანტიზმის სამგლოვიარო მანტია და ამიტომ პირველ ხანებში მისი მოსვლა რევოლიუციასთან ანარქიულ და ქაოტიურ ფილოსოფიის დაღს ატარებდა... რევოლიუცია გალაქტიონმა გაიგო როგორც მარადიული ჯანყი, ბუნტარული ნგრევა და განუწყვეტელი გრიგალი... ასე იყო თუ ისე, რევოლიუციის დროს ძველ ღირებულებათა გადაფასების პროცესში გალაქტიონი როგორც პოეტი, ახალი ქვეყნის მხარეზე აღმოჩნდა... პოეტი, რომელსაც მსოფლიო ეჩვენებოდა „შელამების ელიზიუმად“ და სასაფლაოდ – დღეს მუშათა კლასის იდეებს უმღერს... გალ. ტაბიძის უკანასკნელი ლექსები მთლიანად განტვირთულია მკვდარ თაობათა ყველა ტრადიციებისაგან... პოეტმა საკმაოდ ვრცელი და რთული შემოქმედებითი გზა გაიარა, ეს ისტორიამ ორ ნაწილად გაჰყო: ცხრაასჩვიდმეტამდე მისი პოეზია იყო იმედ გაცრუებული უკანდახევა მთელი ფრონტით, ცხრაასჩვიდმეტის შემდეგ წინსვლა ჯერ ზიგზაგებით, ნელი მოძრაობით, მაგრამ შემდეგში ნათელი და მტკიცე ნაბიჯებით. გ. ტაბიძის ლექსებში მისტიკური სიმბოლიზმი – ჯანსაღი რეალიზმით შეიცვალა, წვრილბურჟუაზიული უიმედობა – პროლეტარული ოპტიმიზმით და სიმხნევით, ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმით. მისი ლექსების თემა დღეს არის არა „ცისფერი ყვავილი“ და „მთანმინდის მთვარე“, არამედ დამკვრელი მუშა და მოწინავე მშენებელი... არ მოკვდება ისეთი პოეტი, რომელმაც ადრე გაიგო ის ჭეშმარიტება, რომ ისტორია პროლეტარიატის მხარეზეა და თავისი მძლავრი შემოქმედებით უნარი მოახმარა ახალ ეპოქას, ასეთი პოეზია დარჩება ლიტერატურის ისტორიაში მომავალ თაობებისათვის, როგორც საუკეთესო მემკვიდრეობა. ამავე ხასიათს ატარებს გალ. ტაბიძის პოეზიაც რევოლუციის შემდეგ.<sup>73</sup>

**3 ივლისი.** „გალაქტიონ ტაბიძის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ტფილისის ყველა მუშათა კლუბებში იუბილიარისათვის მიძღვნილი საღამოების გამართვა. აგრეთვე მუშათა ძირითად ბიბლიოთეკებში მუშა-მკითხველთა აქტივის შეხვედრა იუბილიართან. გარდა ამისა მუშათა ლიტერატურულ წრეებში მორიგი მეცადინეობის დროს გასარჩევ თემად აღებული იქნება გ. ტაბიძის შემოქმედება.

საქართველოს საბჭ. მწერლების კავშირმა 29 ივნისს მწერალთა სასახლეში გამართა გ. ტაბიძის შემოქმედებითი საღამო... საღამო ვრცელი შესავალი სიტყვით გ. ტაბიძის შესახებ გახსნა ამხ. მ. ტოროშელიძემ. მოხსენებით გ. ტაბიძის შესახებ გამოვიდა შ. რადიანი. სიტყვები წარმოსთქვეს პოეტმა ფრ. ნაროუშვილმა და სომეხთა მწერლებმა გრიგმა. იუბილიარისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს: გ. ქუჩიშვილმა, კ. ბობოხიძემ და ბრიკმა. დასასრულ ახალი ლექსები წაიკითხა თვით იუბილიარმა, რომელსაც მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა.

საქ. საბ. მწერლების ქუთაისის განყოფილება და აგრეთვე აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მწერალთა ორგანიზაციები ემზადებიან გ. ტაბიძის იუბილეში მონაწილეობისათვის.

გ. ტაბიძის იუბილეს დღისთვის „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქცია სცემს სპეციალურ კრებულს, რომელშიც შევა პოეტის ბიოგრაფია და კრიტიკული წერილები მისი შემოქმედების შესახებ.<sup>74</sup>

**4 ივლისი.** გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს თ. ჟღენტის „გალაქტიონ ტაბიძის იუბილეს გამო (ეპიზოდი წარსულიდან):“

„1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებულ რეაქციას დამარცხების შემდეგ კვლავ ეკვეთა ფართე მუშათა მასები... პარტმუშაობისათვის არავითარი თანხა არ იყო... გადაწყდა დიდი ლიტერატურული საღამოების მოწყობა, რომელიც მოგვიპოვებდა გავლენასაც და პარტიის სახსარსაც. პოლიციას რომ ეჭვი არ აელო, საღამოს დაერქვა გ. ტაბიძის საღამო. საღამოს ის შემოსავლიდან მიიღებდა გარკვეულ ნაწილს. გალაქტიონ ტაბიძეზე უკეთეს ვის ვნახავდით; მართალია ის პარტმუშაობაში ჩაბმული არ იყო, მაგრამ მიმართულებით ჩვენთან იყო. ახალგაზრდა რევოლუციონერ პოეტს ჩვენ ვაფასებდით და ის ჩვენ წრეში ტრიალებდა. მენშევიკები გალაქტიონს ირონიულად ბოლშევიკ პოეტს უწოდებდნენ. გალაქტიონი მაშინ განიცდიდა არაჩვეულებრივ სიღარიბეს; დადოდა დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში, მის ხელში რამოდენიმე კაპეიკს თუ იშვიათად დაინახავდით, ეს რაღაც სასწაული და არაჩვეულებრივი დღე იყო. ხანდახან, როდესაც ქუთაისიდან წავიდოდი, გალაქტიონს ჩემს მაგიერ გაზეთის ქრონიკიორად ვტოვებდი და ეს იყო მისი შემოსავლის წყარო, მაგრამ ეს ისეთი მცირე ხელფასი იყო (კაპიკნახევარი სტრიქონზე), რომ ამით შორს ვერ წახვიდოდი. სწორედ ამიტომაც ლიტერატურული საღამო მომავალ დიდ საბჭოთა პოეტს გალაქტიონს იხსნიდა შიმშილისაგან, და პარტიის საღაროსაც გააძლიერებდა. ბუნებრივად თავდაბალი და სრულიად უპრეტენზიო გალაქტიონი ჩვენს წინადადებაზე დაუყოვნებლივ დაგვთანხმდა.

ტფილისიდან საღამოში მონაწილეობისათვის მოწვეული იქნა მაშინ კარგად ცნობილი პოეტები: გ. ქუჩიშვილი და ვ. რუხაძე; ია ეკალაძესთან – რომ მას საღამოში მონაწილეობა მიელო, ნავედით მე და პლებეიშვილი (გაბრიჩიძე); აგრეთვე თან გვახლდა გალაქტიონი. ია ეკალაძემ კარგად მიგვიღო, მხოლოდ გვითხრა სოც.-დემოკრატიების სასარგებლოთ მე არ გამოვალ, მაგრამ თქვენ ისე მოგიჭახრაკებიან საქმე, რომ სახელად გალაქტიონ ტაბიძის საღამო დაგირქმევიათო. გალაქტიონ ტაბიძეს დიდად ვსცემ პატივს და ამიტომ უსათუოდ მივიღებ მონაწილეობასო... საღამომ სამას მანეთამდე შემოსავალი მოგვცა. აქედან ნაწილი პოეტსაც ვარგეთ, მაგრამ ამხანაგების რჩევით გალაქტიონს ფული ხელზე არ მიეცა: „შემოეხარჯებაო“; ამიტომ ერთ დიდ უნივერსალურ მაღაზიას ვესტუმრეთ. უცბად „გამდიდრებულ“ გალაქტიონისათვის გადმოაწყვეს რაც საჭირო იყო და ის თავიდან ფეხებამდე შეიმოსა. რაც მორჩა, გზის ფულად მივეცით და მის დედასთან გავამგზავრეთ, რადგან ავადმყოფობის ამბავი მოუვიდა. ლიტერატურულ სა-

ღამოს ასეთი წარმატებით დაგვირგვინებამ უფრო გაგვათამამა, საჩქაროდ შევუდექით სხვა რაიონებში მის მოწყობის თადარიგს... მაგრამ უცბად „ჟანდარმერიამ ქუთაისის ორგანიზაციის... წევრები, მათ შორის მეც დამაპატიმრა...“<sup>75</sup>

**5 ივლისი.** გაზეთ „კომუნისტის“ მესამე გვერდი მთლიანად გალაკტიონს ეძღვნება. აქ დაბეჭდილია: მ. ტოროშელიძის „გალაქტიონ ტაბიძე“ (სიტყვა წარმოთქმული 26 ივნისს მწერალთა კლუბში გალაკტიონის საიუბილეო საღამოზე), ბ. ჟღენტის წერილი: „საბჭოთა მწერლობის ზეიმი“. შ. რადიანის „გალაქტიონ ტაბიძე“, იუბილარისადმი მიძღვნილი საფო მგელაძისა და გ. ქუჩიშვილის ლექსები.

მისალმებანი: საკავშირო მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტისაგან: ფადეევი, კირპოტინი, სტავსკი, ამალლობელი, სუბოცკი. საქართველოს პროფკავშირის საბჭოსაგან და მთავრობის 21 ივნისის დადგენილება (სახალხო პოეტის წოდების მინიჭება, პერსონალური პენსიის დანიშვნა, სპეცმომარაგებისა და აგარაკზე გაგზავნის შესახებ, აგრეთვე პოეტის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის თაობაზე. აქვეა დაბეჭდილი ნაწყვეტი „რევოლუციონერული საქართველოდან“ და გალაკტიონის ბიოგრაფიული ცნობები.

„კომუნისტის“ ამავე ნომერში, მეოთხე გვერდზე, დაბეჭდილია რამდენიმე ინფორმაცია: „გამოვიდა და იყიდება გ. ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილების კრებული, გამოცემული „სალიტერატურო გაზეთის“ მიერ. აგრეთვე, იუნყებიან „სალიტერატურო გაზეთის“ (№ 25) შესახებ, რომელიც გალაკტიონის იუბილეს მიეძღვნა, აქვეა დასტამბული საიუბილეო საღამოს ვრცელი პროგრამა.“<sup>76</sup>

**5 ივლისი.** „გ. ტაბიძის შემოქმედებითი გზა უნდა გავყოთ ორ პერიოდად. პირველი პერიოდის გ. ტაბიძის პოეზია წარმოდგენილია ორ წიგნში, რომელთაგანაც პირველი გამოვიდა 1914 წელს და მეორე 1919 წ. მეორე პერიოდი გ. ტაბიძის პოეზიაში იწყება 1921 წლიდან ეს არის „ეპოქა“-ს, „რევოლუციონერ საქართველო“-ს და სხვა ნაწარმოებთა გამოქვეყნების ხანა... გ. ტაბიძის პოეზიაში სიმბოლიზმის დამახასიათებელი მთელი რიგი მოტივები მეტად ღრმად და მხატვრულად არის მოცემული... ორ მომენტს (ღამეს და მარტოობას) უკავშირებდა აგრეთვე მესამე მომენტსაც, რომელიც გ. ტაბიძის „სულის“ თანმხლებელი იყო... ეს იყო ბუნება. ტიპიურ რომანტიკულად უდგებოდა გ. ტაბიძე ბუნებას... მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე სიმბოლისტია, იგი მაინც განსხვავდება ქართველ სიმბოლისტ-დეკადენტებისაგან, „ცისფერი ყანებისაგან“... გ. ტაბიძემ პირველ ხანებში პროლეტარული რევოლუცია მიიღო უპირველეს ყოვლისა მისი აბსტრაქტულ-სიმბოლიური მნიშვნელობით, მისი ნგრევეთი ტენდენციებით... გ. ტაბიძემ თავის შემოქმედების მეორე პერიოდში პროლეტ. რევოლუციის საერთო საქმეს სადარაჯოზე მიიტანა... პოეტის მექანიკურ-პასიურ გაგებას (რაც მას ახასიათებდა პირველ პერიოდში) დღეს გ. ტაბიძე უპირისპირებს ისეთ გაგებას, რომელიც გამომდინარეობს ლენინის კულტურული რევოლუციის როლისაგან, იდეოლოგიური პროცესების აქტიური პროცესების აქტიურ მნიშვნელობისაგან

სოციალისტური მშენებლობის საქმეში... მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე საბჭოთა საუკეთესო მწერალია, მის პოეზიას... ჩავარდნები და ნაკლოვანებები ახასიათებს დღესაც. საერთო-იდუბური მიმართულება... ვერ არის დამაგრებელი კონკრეტული სახეებით... ჯერ კიდევ ძლიერია აბსტრაქტული მიდგომა თემებისადმი. იქ, სადაც გ. ტაბიძე ეხება კლასთა ბრძოლის საკითხებს, იგი ხშირად მის მეტად პრიმიტიულ გაგებას იძლევა. გ. ტაბიძის ბევრ ლექსში დღეს არ მოჩანს ბრძოლა თემის ღრმა განვითარებისათვის, სამაგიეროდ მას სცვლის ზოგადი სიტყვები... მას აქვს სუსტი, რიტორიული ლექსებიც. პროლეტარული რევოლუციის ორგანიზაციულად მიღებამ გ. ტაბიძის პოეზია გახადა დინამიური, ჩამოშორა მას მისთვის ჩვეული „რომანტიული“ სირბილე. საბჭოთა ლიტერატურა შემდეგშიაც დიდ პოეტურ „ტილოებს“ მოელის გ. ტაბიძისაგან.<sup>77</sup>

**5 ივლისი.** გაზეთმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ (№ 8) პირველი გვერდი დაუთმო „გალაქტიონ ტაბიძის იუბილეს“. აქ დაიბეჭდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება: „საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებს რა მხედველობაში პოეტ გალაქტიონ ტაბიძის ნაყოფიერ სამწერლო-სალიტერატურო მოღვაწეობას ოცდახუთი წლის განმავლობაში, რითაც მან სათანადო სამსახური გაუწია სოციალიზმის მშენებლობას; ადგენს:

მიენიჭოს პოეტ გალაქტიონ ტაბიძეს საქართველოს სახალხო მწერლის სახელწოდება. დაევალოს სოცუზრუნველყოფის კომისარიატს უზრუნველყოს გ. ტაბიძე პერსონალური პენსიით.



მეგობრული შარჟი.  
დ. ნაცვლიშვილი

დაევალოს სოცუზრუნველყოფის კომისარიატს უზრუნველჰყოს იგი სპეცმომარაგებით. დაევალოს ჯანმრთელობის კომისარიატს გაგზავნოს დასასვენებლად კურორტზე მთელი სეზონით. დაევალოს სახელმწიფო გამომცემლობას გამოსცეს გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა სრული აკადემიური კრებული. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტაძე.

აქვე დაბეჭდილია „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის მისალმება იუბილარისადმი და გრ. მესხის მიერ დახატული გალაქტიონის პორტრეტი. აგრეთვე დაბეჭდილია იუბილეს ქრონიკა: „დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგება პოეტ გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის თავთან დაკავშირებით იუბილე. იუბილე გაიხსნება განათლების სახალხო კომისარის ერ. ბედიას შესავალი სიტყვით. გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე. მოხსენების შემდეგ დაიწყება მილოცვები და კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მომღერლები და მსახიობები, იუბილარი ნაიკითხავს ახალ ლექსებს.“

**5 ივლისი.** „გალ. ტაბიძე არა მარტო მე-XX-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელია, იგი საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტიც არის. გალ. ტაბიძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა ფართო და ძნელი ბილიკია მისტიურ სიმვოლიზმისაგან რევოლუციონურ რომანტიკისაკენ მიმავალი... შავი რეაქციის დროს... წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთი ნაწილი ღრმა პესიმიზმმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა... ამ ფონზე განვითარდა ჩვენს ლიტერატურაში სიმვოლიზმი, რომლის ადრინდელი და საუკეთესო წარმომადგენელი იყვნენ: გალ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი და ალ. აბაშელი... გალ. ტაბიძის იმ პერიოდის შემოქმედება სიმვოლიზმის საუკეთესო გამომხატველი იყო, მაგრამ მის პოეზიის სოციალური წყარო ძირიანად განსხვავდება „ცისფერი ყანების“ სოციალურ წყაროსაგან; მათი კლასიური ბუნება სხვადასხვა სოციალურ ფენებში ჰპოვებდა თავის მასაზდროებელ ნიადაგს... პოეტს მაინც დარჩა ერთი სათაყვანელი საგანი – წმინდა ხელოვნებისა და პოეზიის სამსახური... პოეტმა უშიშრად აირჩია... გზა პოეზიის სამსახურისა და თავის ლეიტმოტივად გაიხადა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ამ შემთხვევაში გ. ტაბიძე საფრანგეთისა და რუსების სიმვოლისტიკის დიდ გავლენას განიცდიდა... პოეზიის მუსიკალობა და ლექსის ტექნიკის უმაღლესად განვითარება – სიმვოლიზმის მხატვრული თეორიის ნაყოფი იყო, მაგრამ ამ თეორიის მოწაფე გ. ტაბიძემ ქართული ლექსის გარეგანი მხარე და მისი მუსიკალობა უმაღლეს მწვერვალამდე განავითარა. მისი „ლურჯა ცხენები“, გურიის მთებს“, „მერი“, „მე და ღამე“, „მთანმინდის მთვარე“ და მრავალი სხვა მე-XX-ე საუკუნის ქართული პოეზიის შედეგებს წარმოადგენენ... პოეტი შეგნებულად გამოეთხოვა თავის ძველ განცდებს და იდეოლოგიას და მთელი თავი

ვისი სიძლიერით შეიხორცა და შეითვისა თანამედროვე რევოლუციონური და ინდუსტრიალური ეპოქა... გალ. ტაბიძის შემოქმედებაში დიდი და ორიგინალური გარდატეხა მოხდა... მისი ძველი შემოქმედების მრავალი დამახასიათებელი თვისება ახალი რევოლუციონური ეპოქის განცდებმა გააცამტვერეს: პესიმიზმი – იმედიანობამ და ოპტიმიზმმა შესცვალა, სინამდვილიდან მოწყვეტილობა და ოცნების სამეფოსკენ სროლა – სოციალისტურ სინამდვილესთან შესხეულებამ, პასიობა – რევოლუციონურმა პათოსმა, მისტიური სიმვოლიზმი – რევოლუციონურმა რომანტიკამ... დაზიანდა ძველი ფორმა, რომელიც თავისებური გამოხატულება იყო მისტიურ-მელანქოლიურ განცდათა და შინაარსისა. ახალმა თემატიკამ ახალი ფორმა მოითხოვა, ძველი ფორმებით ახალი განცდების გადმოცემა შეუძლებელი იყო. პოეტმა საფუძვლიანათ გადაამუშავა ახალ თემატიკასთან ერთად თავისი პოეზიის გარეგანი ფორმის საკითხი და მეტად საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია... შეიცვალა პოეტის აზრი პოეზიისა და თვით პოეტის დანიშნულებაზე: „აღარ ვარგა როგორც წინათ, ძველი გულით სიარული“... პოეტი გაჟღენთილია „თანამედროვე ცხოვრების გრძნობით“... ა. ბლოკისათვის მიმზიდველი გახდა რევოლუციის ნგრევითი პროცესები; მისი შემოქმედებითი ინტუიცია ვერ მივიდა რევოლუციონური შემოქმედებითი პროცესების შეგნებამდე. აქ განსხვავება ბლოკსა და გალ. ტაბიძეს შორის მეტად დიდია. უკანასკნელი ნათლად ხედავს, რომ რევოლუციის გამანადგურებელი ცეცხლით ინგრევა ძველი დახვესებული ცხოვრების საფუძვლები და ამავე დროს ნიადაგი ეყრება ახალი ცხოვრების გიგანტურ მშენებლობას. გალ. ტაბიძე ძველის რღვევა-განადგურებისა და ახალი გიგანტური მშენებლობის მომღერალია...<sup>78</sup>

**5 ივლისი.** იუბილეს ქრონიკა. ქუთაისის, აჭარისტანის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მწერალთა ორგანიზაციები ემზადებიან გალაქტიონ ტაბიძის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად. საიუბილეო საღამოები და მოხსენებები გაიმართება აგრეთვე რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში, სადაც მწერალთა კავშირის მიერ მივლინებული იქნებიან მომხსენებლები...<sup>79</sup>

**5 ივლისი.** გ. ტაბიძის იუბილე. ივლისის 5-ს სახ. ოპერის თეატრში გაიმართება გ. ტაბიძის მოღვაწეობის იუბილე. პროგრამა. სიტყვა. სიტყვა გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ – საქ. საბჭ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალ. ტოროშელიძე. მისალმებანი – სახელმწიფო, პარტიულ, პროფესიონალურ და კულტ. – საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა. მხატვრული განყოფილება. 1. მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე – გ. ტაბიძის ლექსები, ხათუნა ჭიჭინაძე – გ. ტაბიძის ლექსები, დ. გაგუა – გ. ტაბიძის ლექსები. 2. მწერლები და პოეტები: შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ფრ. ნაროუშვილი, საფო მგელაძე, ილო მოსაშვილი, გრ. ცეცხლაძე, ვასო გორგაძე, გ. კაჭახიძე, კალე ბობოხიძე. 3. მომღერლები: დ. ანდლულაძე, დავით ბადრიძე, შ. ცირლილაძე, ა. კოლომიცივა, პ. ამირანაშვილი, ე. სოხაძე, ნ. ცომაია, ო. გასტე-

ნინა. 4. ვოკალური კვარტეტი: გრ. კოკელაძის ხელმძღვანელობით. შ. ცირლილაძე, ბ. კორინთელი, გ. გოგაჩაძე, გერმესაშვილი. 5. გალაქტიონ ტაბიძე – ახალი ლექსები. როიალთან მ. როგოვსკაია, ი. ბარათაშვილის ასული. ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელი: შ. დადიანი. რეჟისორები: მ. ქიაურელი, ნ. შენგელაია. მხატვარი: ლადო გუდიაშვილი.<sup>80</sup>

**5 ივლისი.** „სალიტერატურო გაზეთის“ პირველი და მეორე გვერდები მიქცვნა გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავს. მასალა იხსნება მიქცვნით: „ჩვენი მხურვალე სალამი მონინავე საბჭოთა მწერალს“, რომელსაც ახლავს გალაქტიონის დავით კაკაბაძისეული პორტრეტი. პირველ გვერდზე დაბეჭდილია მალაქია ტოროშელიძის: „გალაქტიონ ტაბიძე“ (სიტყვა წარმოთქმელი 29 ივნისს, მწერალთა კლუბში გ. ტაბიძის შემოქმედების საღამოზე). გ. ქუჩიშვილის ლექსი: „მეგობარ პოეტს“, შ. რადიანის წერილი: „ოცდახუთი წლის მანძილზე“. მეორე გვერდზე კალე ბობოხიძის: „გალაქტიონ ტაბიძეს“, გალაქტიონ ტაბიძე (ბიოგრაფიული ცნობები), ი. გრიშაშვილის „ჩემი მოგონება გალაქტიონზე“, სიმ. ხუნდაძის: „გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზები (მისტიურ სიმვოლიზმიდან რევოლუციონურ რომანტიკისკენ)“ და ინფორმაცია: „გ. ტაბიძის იუბილე“.<sup>81</sup>

**5 ივლისი.** „შექმნილმა ობიექტურმა პირობებმა პოეტის ბუნებაში უიმედობა და ღრმა პესიმიზმი გაამეფა. გ. ტაბიძის პესიმიზმი გამოსხატავს წვრილი ბურჟუაზიის პსიქოიდეოლოგიას. გ. ტაბიძემ უცილოდ განიცადა უცხოეთის და რუსეთის სიმბოლისტების გავლენა... გ. ტაბიძე მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თავისებური სახისა და ორიგინალური პროფილის მატარებელია... ძველ რომანტიზმსა და გ. ტაბიძეს შორის მრავალი ნათესაობითი კვანძებია გამართული... ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ და ვალ. ტაბიძის „ელეგია“ აამკარავებენ ამ ნათესაობის მთავარ ხაზებს... პოეტის შემოქმედებაში ძველმა მისტიურ-მელანქოლიურმა, ნისლიანმა და ბუნდოვანმა თემატიკამ ადგილი დაუთმო სოციალისტური მშენებლობის თემატიკას...“<sup>82</sup>

**6 ივლისი.** „დიდებულად გადახდილ იქნა ჩემი 25 წლის მოღვაწეობის იუბილური ოპერის თეატრში!!!“<sup>83</sup>

**8 ივლისი.** გთხოვთ, იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია ჩემს სასარგებლოდ, გამოიმწეროთ 300 (სამასი) მანეთი. გ. ტაბიძე.<sup>84</sup>

**9 ივლისი.** გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ბ. ბუაჩიძის წერილი: „გალაქტიონ ტაბიძე“: „საზოგადოებრივ-ლიტერატურული რეაქციის ყველაზე მეტად ბნელ წლებში (1908 წ.) ლიტერატურის ასპარეზზე გამოვიდა გალაქტიონ ტაბიძე. იმდროინდელი პოეზიის ფრონტზე მოვიდა ახალი პოეტი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ „ლირიკული“ კნავილით ხმაჩახლეჩილ პოეტთა ჯარს მოემატა კი-

დევ ერთი რიგი წევრი. გალ. ტაბიძე ამ უფერული ჯარის არც სარდალი ყოფილა. გალ. ტაბიძის პირველივე ლექსები ააშკარავენ, რომ მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში იწყება ახალი, მაღალი საფეხური. გალ. ტაბიძე უდიდესი ლირიკოსია, მისი გრძობა, განცდა, სწრაფვა უღრმეს და უმშვენიერეს მხატვრულ ფორმაშია ჩამოსხმული, გამოკვეთილი. გალ. ტაბიძის პირველი ორი წიგნი მე-20 საუკუნის რევოლუციამდე არსებული მწერლობის თვალსაჩინო განძია. ამ წიგნებით გ. ტაბიძეს იმდროინდელი ქართული პოეზია აყავდა ახალ, მაღალ საფეხურზე.

გალაქტიონ ტაბიძის პირველი პერიოდის პოეზია უეჭველად შედის პროლეტარიატის მიერ მიღებულ მემკვიდრეობის ფონდში. [მაგრამ ეს არ ნიშნავს] პროლეტარული პოეზია გალ. ტაბიძის პირველ წიგნებს, მისი შემოქმედების პირველ პერიოდს, უკრიტიკოდ ღებულობდეს... არც პროლეტარული პოეზია და არც თვით გალ. ტაბიძე – პირველი პერიოდის შემოქმედების იდეურ მხარეს და მთლიანად არც მხატვრულ გამოსახვის საშუალებებს უკრიტიკოდ არ მიიღებენ... გალ. ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში ამის ჩანასახი მოცემულია ის შესაძლებლობანი, რომელნიც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში დიდ რევოლუციონურ-შემოქმედებით რეალობად გადაიქცენ. გარდა ამისა, იმ დონემ და მხატვრულმა ხარისხმა, რომელზედაც პირველ პერიოდშივე აიყვანა პოეზია გალ. ტაბიძემ, მისმა ლექსის ფორმალურმა თავისებურებებმა დიდი გავლენა იქონიეს შემდგომ ქართული პოეზიის დიდ ნაწილზე, უახლეს პოეზიაზეც და თვითონ პოეტის განვითარებაც ორგანიულად გამომდინარეობდა პირველი პერიოდის მხატვრულ მიღწევებიდან... გალ. ტაბიძე წარმომადგენელი იყო წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ ფრთის, რომელიც ხან რადიკალური იყო, ხან მერყევი. გალ. ტაბიძე არასოდეს არ დასულა იაფფასიანობამდე – პოეზიის მდარე, მეშჩანურ, ეროტიულ სამფლობელოდ გადაქცევამდე. სიმბოლიზმის და ძველი რომანტიზმის ბევრი ელემენტის შემცველი შემოქმედება გალ. ტაბიძისა განსხვავდებოდა ქართველი სიმბოლისტების, „ცისფერი ყანწელების“ პოეზიისაგან. ის ყოველთვის მათზე უფრო მემარცხენე იყო. ამიტომ ის სამართლიანად გამოარჩია და „ცისფერ ყანწელთაგან“ გამოაცალკევა ამხ. ფილიპე მახარაძემ 1917 წ. „ცისფერი ყანწელების“ გამოსვლის გამო დაწერილ წერილში.

პირველი პერიოდის „ყანწელებმა“ დაამახინჯეს, ხელოვნურად დაამძიმეს, მეტის მეტად გააბუნდოვანეს და ამით გააღარიბეს ქართული ლექსი, ქართული ლექსიკონი. გ. ტაბიძემ კი ქართ. ლექსი დახვენა, გაამდიდრა, მან პოეზიის ფორმის არქაული პრიმიტივი მოხსნა... არსებითი ორგანიული მრავალფეროვნებით, ლექსიკის სიუხვით, ყალბი სახელების განდევნით... მიუხედავად ყოველივე ამისა, გალ. ტაბიძის პოეზია პირველ პერიოდში ვერ დადგა რევოლუციური ბრძოლის სიმაღლეზე... შემოქმედი-პოეტი თვითმყრობელურ, კაპიტალისტურ-მენშევიკურ საზოგადოებრივობის გარემოცვაში იტანჯებოდა, პესიმიზმით იყო მოცული... გამოსავალს ვერ პოულობდა. პერსპექტივა და მოქმედების პროგრამა არ ჰქონდა. პროლეტარულმა რევოლუციამ პოეტს ეს გამოსავალი უჩვენა, გზა დაანახა, მისი შემოქმედება მეზრძოლი შინაარსით აავსო, პერსპექტივა მისცა,



დიდი რევოლუციური საქმე გაუჩინა და იდეურ-მხატვრულად გაამდიდრა. პოეტიც საბოლოოდ და მჭიდროდ, ორგანულად და უკან დაუხველად დაუკავშირდა პროლეტარულ რევოლუციას... მენშევიკურ საქართველოში პოეტმა სამშობლო ვერ იპოვა და განშორებული რევოლუციის გრიგალისკენ ეჭირა ცრემლიანი თვალი, რომ ის მასში ეძებდა ერთად ერთ ხსნას... ერთგვარი ყოყმანისა და პირველ ხანებში დაბნევის შემდეგ პოეტმა უმაღლესი თავისუფლება პოვა პროლეტარულ რევოლუციაში... მხოლოდ პროლეტარულმა რევოლუციამ შეუქმნა ვალ. ტაბიძეს ნორმალური სამუშაო პირობები, სათანადო ატმოსფერა და ჩვენც მონმე გავხდით პოეტის უდიდესი შემოქმედებითი ნაყოფიერების. რევოლუციისადმი მიძღვნილ მრავალ აღფრთოვანებულ, გულწრფელობით გამთბარ, მხატვრულად ბრწყინვალე ლექსების გარდა პოეტმა მოგვცა შესანიშნავი პოემები: „ჯონ რიდი“, „პაციფიზმი“, „ეპოქა“... დიდმა შემოქმედმა გათელა ქონდრის კაცუნების წუნუნი და გულამოსკვნილი წრიპინი და რევოლუციურ ორკესტრს შეუერთა თავისი მძლავრი, შესანიშნავი და უნიჭიერესი პოეტური ხმა.“<sup>85</sup>

**11 ივლისი.** „სახალხო მწერლის გალაქტიონ ტაბიძის საღამო. 11 ივლისს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართა გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის თავის აღსანიშნავი საღამო. შესავალი სიტყვა წარმოთქვეს: ბ. ჟღენტმა და ს. დოლიძემ. კლუბის სამკითხველოს სახელით იუბილარს მიესალმა გ. ჩარხაშვილი. გ. ტაბიძის ლექსები წაიკითხეს კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა: უ. ჩხეიძემ, ხ. ჭიჭინაძემ და ვ. ანჯაფარიძემ. საღამოზე მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: ვასო გორგაძემ და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ. დასასრულ ლექსები წაიკითხა თვითონ იუბილარმა. ორჯონიკიძის კლუბთან არსებულ ლიტერატურულ წრეს ეწოდა სახალხო მწერლის გალაქტიონ ტაბიძის სახელი.“<sup>86</sup>

**11 ივლისი.** „ორჯონიკიძის სახ. ბაღში, თეატრის ღია სცენა განსაკუთრებით იზიდავდა მაყურებელთა ყურადღებას... გალაქტიონ ტაბიძის პოეტურ შემოქმედებას ვრცლად ახასიათებს ამხ. ბესო ჟღენტი. საკუთარი ლექსებით გამოდიან პოეტები: კ. ლორთქიფანიძე და ვასო გორგაძე. მსახიობი უშანგი ჩხეიძე, ხ. ჭიჭინაძე და ვ. ანჯაფარიძე კითხულობენ გ. ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსებს.“<sup>87</sup>

**15 ივლისი.** გამოვიდა ჟურნალი „დროშა“ (№ 13), ყდაზე ფოტოსურათია: „სახალხო პოეტი გალაქტიონ ტაბიძე“. ჟურნალში დაბეჭდილია საიუბილეო მასალა: „გ. ტაბიძის იუბილე (ბიოგრაფიული ცნობები), ბენ. ბუაჩიძე:“რევოლუციის დიდი შემომქმედი“

**15 ივლისი.** „19 ივლისს მუშათა ახალ კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება პოეტ გალაქტიონ ტაბიძის საღამო.“<sup>88</sup>

**18 ივლისი.** „ტფილისის აბრეშუმის ქარხანაში მოეწყო საბჭოთა მწერლების შეხვედრა აბრეშუმის ფაბრიკის მუშებთან... საკუთარი ნაწარმოებები წაი-

კითხეს: გალაქტიონ ტაბიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ალიო მაშაშვილმა, შ. დადიანმა, ს. ჩიქოვანმა, ნ. ლორთქიფანიძემ, ი. გრიშაშვილმა...<sup>89</sup>

**21 ივლისი.** „პლენარის სახელობის კლუბში გალაქტიონ ტაბიძის 25 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო საღამო. გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბ. ჟღენტი. იუბილიარს მიესალმნენ მუშები, ორგანიზაციების წარმომადგენლები.“<sup>90</sup>

„სალიტერატურო გაზეთის“ ამავე ნომერში (16) განცხადებაა: „29 ივლისს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13) სრ. საქარ. საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს დისპუტს თემაზე: საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი საკითხები. მომხსენებელი ამხ. შალვა რადიანი. კამათში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან: გ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, ს. ეული, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი...“

**24 ივლისი.** „სალიტერატურო გაზეთში“ დაიბეჭდა გალაქტიონის იუბილესადმი მიძღვნილი რამდენიმე მასალა: მ. ტოროშელიძის „თანამედროვეობის დიდი პოეტი“, ვ. წ-ძე-ს (ვ. ნულუკიძე) „არა გვირგვინი, არამედ პატაკი“. აქვეა დონის მეგობრული შარჟი და „გ. ტაბიძის გამოსვლა (სიუბილესადმი საღამოზე ოპერის თეატრში)“:

„ამხანაგებო, მე დღეს იმდენად აღელვებული ვარ ასეთი სიყვარულით, იმ გულწრფელი დამოკიდებულებით, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ როგორც ჩემდამი, ისე თანამედროვე ქართული მწერლობისადმი, რომ სიტყვაც ვერ მიპოვია საპასუხო გრძნობების გამოსახატავად. მადლობას მოგახსენებთ ყველას, ვინც ასე გულწრფელად დააფასა ჩემი 25 წლის მუშაობა. ნება მომეცით გულახდილად მოგახსენოთ, რომ ასეთი ამხანაგური მობყრობა, ასეთი გულწრფელი დაფასება ჩვენ ძალას გვმატებს, ენერგიას გვიორკვცებს – ვიმუშაოთ მეტი ინტენსივობით. ნება მომეცით ჩემი მადლობა დავამთავრო პატარა ლექსით... (იუბილარმა წაიკითხა „რევოლუციონურ საქართველოს“).“<sup>91</sup>

**24 ივლისი.** „25 ივლისს საღამოს 8 საათზე ნავთლუღის რკინის გზის მუშათა კლუბში... გაიმართება სახალხო მწერლის გალაქტიონ ტაბიძის 25 წლის თავის აღსანიშნავი საღამო. ამავე კლუბთან არსებულ ლიტწრეს ეწოდა გალაქტიონ ტაბიძის სახელი.“<sup>92</sup>


**30 ივლისი.** „გამოვიდა და იყიდება „დროშა“ №13. არსი: ... გ. ტაბიძის იუბილეს (ბიოგრაფიული ცნობები), ბენ. ბუაჩიძე – რევოლიუციის დიდი შემომქმედი...“<sup>93</sup>

**6 აპრილი.** [სამხედრო კომისიამ] თვის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩააბა და სამხედრო თავდაცვის თემატიკაზე აამუშავა საკმაო რიცხვი მწერლებისა (გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ირ. აბაშიძე, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ.), რომლებმაც უკვე მოგვცეს და ამჟამადაც ჰქმნიან მაღალხარისხოვან თავდაცვით ლიტერატურულ პროდუქციას.<sup>94</sup>

პირველ რიგში: ბ. ჟღენტი, პ. იაშვილი (ისეთი ვაჟაკური), პ. ჩხიკვაძე, ვ. გაფრინაშვილი (...ისრიბი და...), ტ. ტაბიძე (ერიონი-პორტი), ნ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, ალ. მამულაშვილი, კ. კალაძე, კ. ნადირაძე, გ. ლეონიძე, მის ზევით ს. კლდიაშვილი (ხელში-ურნა), ირ. აბაშიძე, მიხ ჯავახიშვილი, ნ. ზომბლუციანი (ზის), ს. თოდრია (დემერთი), ალ. გომიაშვილი, გ. კაჭახიძე, გ. ბუხნიკაშვილი (ებახუკეული), დ. დემეტრაძე. ქვევით: ი. მოსაშვილი, ალ. სულავა. ქვევით:

შ. დადიანი, პ. სამსონიძე („სალტე“), ფ. ნაროშვილი (ჭავჭავაძის სურათთან), ს. ფაშლიშვილი, ს. გრიშაშვილი, ა. არსენიშვილი, დ. მეგრელი („დამკვერელი“), რ. გმეტიძე („ჭიაკოკონა“), ვ. რუხაძე, პ. საყვარელიძე, ს. ეული, მარიჯანი, ბ.

ბობინიშვილი, ა. ქუთათელი და შ. რადანი (ხედან კუზე). ლ. კიაჩელი, გ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი (ხელობელგადახვეული), გ. ცეცხლაძე (ოთხი მუზერით), ს. ჩიქოვანი („ხეცურული ძროხა“). კ. ლორთქიფანიძე (პირით სოფლისკენ), ნ. მინიშვილი („ერთხმად“), ხეზე: კ. გამსახურდია, ს. აბაშელი, ტოტზე სხედან: ს. ხუნდაძე და ლ. ასათიანი.



**[7 აზვისტო].** [ვარ სახლში] 7. 6-დან – 11-მდე დილით, 10 -12-მდე საღ. 8. 6-დან – 11- მდე დილით, 4 – მთელი საღამო. 9. მთელი დღე. 10. 6-დან 10-მდე მთელი საღამო სახლში. 12. 6-დან 12-მდე. 13. 6-დან 12-მდე. 14. 6-დან 12-მდე. 15. 6-დან 10-მდე. სულ 140 საათი. საათში 4 ლექსი =550 ლექსი. მთარგმნ. ტფილისში: 1. გაფრინდაშვილი, 2. Богдановский, 3. Петренко, 4. Сандро канчელი, 5. Шалыгин.<sup>95</sup>

**10 აზვისტო.** „10 აგვისტოს კლუბში (ქუთაისში – მ. შ.) მოეწყო გალაქტიონ ტაბიძის 25 წლის პოეტური მუშაობის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. ამხ. დ. ჩიანელის შესავალი სიტყვის შემდეგ ტაბიძის შემოქმედების გარშემო მოხსენებით გამოვიდა ამხ. სევ. ისიანი. ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს: ს. თევანიძემ, ს. ისიანმა, შ. ჩარკვიანმა, მ. გოცირიძემ, დორგანელმა და სხვ.<sup>96</sup>

**13 აზვისტო.** გალ. ტაბიძის საიუბილეო საღამო. 13 აგვისტოს ვოროშილოვის სახ. მუშათა კლუბში შესდგა გალაქტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამო. მისალმებებით გამოვიდნენ კლუბისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა წარმომადგენლები. საღამოში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა გ. ქუჩიშვილმა, საფო მგელაძემ და სხვ. გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ჟღენტმა.<sup>97</sup>

**24 აზვისტო.** ახალი ჟურნალი. სექტემბრიდან ტფილისში იწყება ჟურნალის „ამიერ-კავკასიის ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება“-ს გამოცემა... სარედაქციო კოლეგია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: გ. ტატულოვი (პ. მგ. რედაქტორი), ბეს. ჟღენტი (პ. მგ. მდივანი), გ. მუშიშვილი, რუსტამი, გ. ტაბიძე. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა 15 სექტემბერს.<sup>98</sup>

**8 სექტემბერი.** Уважаемый т. Табизде! Посылаю список имеющихя у нас переводов. Прошу установить даты и дать согласие на хронологический порядок размещения стихов в сборнике. Пришлите имеющиеся у вас переводы Е. Шер. Книгу сдадим в набор числа 15-го. С приветом Г. Бебутов.<sup>99</sup>

**[21 სექტემბერი].** გალაქტიონის ლექსის „P.S“ ავტოგრაფში ლურჯი ფანქრით დათარიღებულია წინა გვერდი: „1933 წ. 21 სექტ.“ ამდენად ეს ლექსიც შეიძლება დათარიღდეს 1933 წლით“.<sup>100</sup>

**2 ოქტომბერი.** საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება: საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ... 3) მიმაგრებულ იქნას ა. წ. 1 ოქტომბრიდან საქართველოს სახ. კომისარიატის სპეცკანტორაზე შემდეგი დამსახურებული მწერლები: ვ. ბარნოვი, ე. გაბაშვილი, შ. მღვიმელი, დ. მეგრელი, გალ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე და გ. ქუჩიშვილი...<sup>101</sup>

**12 ოქტომბერი.** გალაკტიონის ლექსის „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ ავტორისეული თარიღია: „1933 წ., 12 ოქტომბერი.“<sup>102</sup>

**ოქტომბერი.** იუბილე. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში სახელმწიფო თეატრში (ქუთაისში – მ.შ.) გაიმართება სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის იუბილე, მისი 25 წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო.<sup>103</sup>

**3 ნოემბერი.** პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს ს.ს. რესპუბლიკის სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის განცხადება. 5 ივლისს სახ. ოპერის თეატრში გამართულ ჩემს იუბილეს გამო პროფკავშირთა მიერ ჩემს სასარგებლოდ გადადებული იქნა 3000 მან. ამ ფულიდან დღემდე მე მიღებული მაქვს მხოლოდ ათას სამასი. დანარჩენი ათას შვიდასი მანეთი ირიცხება თქვენზე. ვინაიდან მატერიალურ სივინროვეს განვიცდი, გთხოვთ, გამომიწეროთ ხვედრი ფული და შემდეგ აინაზღაუროთ კავშირებისაგან, რომელთა დროზე ფულის შემოუტანლობის გამო ფერხდება ფულის ჩემთვის გადახდის საქმე. გალაკტიონ ტაბიძე. 1933, 3 ნოემბერი.<sup>104</sup>

**28 ნოემბერი.** Многоуважаемый товарищ Табидзе! Очень рад буду увидеть сяс Вами здесь у нас №9 – 29 ноября между 11 и 1 часом дня, если это Вам удобно. Борис Пастернак и Виктор Гольцев очень сожалеют, что предполагавшаяся встреча с Вами вчерашнего дня несостоялась. Поэтому они уже постараются в предлагаемый день быть здесь в №9. Уважающий Вас Н. Тихонов.<sup>105</sup>

**30 ნოემბერი.** მუშაობა ქართველ საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა გადასათარგმნათ. პასტერნაკმა და ნ. ტიხონოვმა უკვე იკისრეს მთელ რიგ ქართველ მწერლების ნაწარმოებთა გადათარგმნა... ბ. პასტერნაკი თარგმნის პაოლო იაშვილს, გ. ტაბიძეს, ტ. ტაბიძეს, ს. ჩიქოვანს... საჭირო მასალა უკვე გადაცემული აქვთ.<sup>106</sup>

**10 დეკემბერი.** „11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე 1-ლ პედტექნიკუმის კლუბში (კამოს 52) ტ. ს. უნივერსიტეტის სალიტ. სამეცნიერო წრე აწყობს ლიტერატურულ საღამოს. მოხსენებას თემაზე: „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“ – წაიკითხავს ამხ. მ. კვესელავა. მონაწილეობას მიიღებენ: ირ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ვ. ჟურული, გ. შატბერაშვილი, კ. ბობოხიძე და ახ. კომკავშირელი მწერლები.“<sup>107</sup>

**7-11 დეკემბერი.** მიმდინარე წლის 7-11 დეკემბერს მწერალთა სასახლეში გაიმართა დისკუტი: „რევოლუციური რომანტიზმის პრობლემა“. მომხს. პ. ქიქოძე: „...რევოლიუციური რომანტიზმის გზით ვითარდებოდა გალაქ. ტაბიძის შემოქმედება უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. ამჟამად სიმ. ჩიქოვანის, ფრ. ნაროუშვილის, პანტ. ჩხიკვაძის, გ. ტაბიძის და სხვ. შემოქმედების სახით გვაქვს მკაფიოდ გამოკვეთილი რევოლიუციურ-რომანტიული მიმდინარეობა თანამედროვე ქართულ პოეზიაში...“<sup>108</sup>

**21 დეკემბერი.** გალაკტიონის ლექსის: „მეხსიერება“ თარიღია: „21 დეკემბერი.“<sup>109</sup>

**25 დეკემბერი.** ტფილისის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბაქრაძეს. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის განკარგულებაზე ჩემთვის საცხოვრებელი ბინის მოცემის შესახებ... ჩემთვის გამოყოფილია ბინა კომუნალურ ბანკის ახალ შენობაში. ამის გამო გთხოვთ, მიიღო მხედველობაში შემდეგი გარემოება. სხვა ავადმყოფობასთან ერთად მე მაქვს, ძლიერი ფორმით, გულის ავადმყოფობა, რაც შეუძლებელს ხდის ჩემს მესამე სართულში ცხოვრებას, ძლიერ შეაფერხებს ჩემს ლიტერატურულ მუშაობას. ამისთვის გთხოვთ, მომაკუთვნოთ ბინა მეორე სართულში. დანართი: ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოსთან და ჯანსაღკომთან არსებულ კომისიის ცნობა. გალაკტიონ ტაბიძე.<sup>110</sup>

**[1933].** „თბილისი. ოპერის თეატრი. იუბილიარ გალაქტიონ ტაბიძეს. გილოცავ 25 წლის თავს. ბავშვობიდანვე გიყვარდა პოეზია და მშრომელები. ანიც გექნება შენ გულში სიყვარული. იყავი ჯან- მრთელად. ჩემო კარგო. დედა. სამტრედია“.<sup>111</sup>

**27 დეკემბერი.** ძვირფასო გალაქტიონ! 25-დან დავდივარ ხელოვანთა სასახლეში, მაგრამ ვერ გნახეთ და ვერც ვერავინ ვნახე თქვენი მნახველი. თარგმანი გაკეთებულია. მინდოდა, თქვენთან ერთად წამეკითხა. ხვალ 12-დან 1 საათამდე ვიქნები ხელოვანთა სასახლეში... პატივისცემით იპ. ვართავავა.<sup>112</sup>

**29 დეკემბერი.** „რევოლუციონური რომანტიზმი, მომხსენებლის (პ. ქიქოძე) დასკვნით, უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა პროლეტარული მხატვრული მეთოდისათვის... მისი აზრით, რევოლუციონური რომანტიზმის არსებით მხარეს წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების პროცესში მოპოვებული მიღწევებით არ დაკმაყოფილება და სინამდვილის შემდგომი გარდაქმნისათვის რევოლუციონური ბრძოლის რომანტიკული პათოსი. მომხსენებლის დასკვნით, რევოლუციონური რომანტიზმის მეორე თვისებაა – უშუალო პოლიტიკურობა, პოეტში პროფესიული რევოლუციონერობის და პროფესიული მწერლობის შეთავსების უნარი... რევოლუციონური რომანტიზმის გზით ვითარდებოდა გალაქტიონის შემოქმედება უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. ამჟამად სიმ. ჩიქოვანის, ფრ. ნაროუშვილის, პანტ. ჩხიკვაძის, გ. ტაბიძის და სხვ. შემოქმედების სახით გვაქვს მკაფიოდ გამოკვეთილი რევოლუციონურ-რომანტიკული მიმდინარეობა თანამედროვე ქართულ პოეზიაში...“<sup>113</sup>

**1933.** გწერ ამ წერილს მოსკოვიდან. მე აქ ჩამოვედი გუშინ წინ, დავჩები ერთი კვირა. არ ვიცი რითი გათავდება სახელგამთან ხელშეკრულების დადების საქმე. ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება მე ვერ შემაშინებს. შენი გ. ტაბიძე.<sup>114</sup>



სახალხო კოეტი – ბალკტიონ ტაბიკა.

ჟურნალი „დროშა“, 1933 წელი

„...ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო,  
მე აღტაცების ზღვაში შეველი,  
აღმოვაჩინე მთელი სამყარო,  
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.“

## შენიშვნები და კომენტარები

1. რაც შეეხება კალენდარულ სტილს, 1918 წელს საქართველოში შემოიღეს დათარიღების ახალი სტილი. კალენდარული დღეების ათვლა 13 დღით გადასწიეს – 18 აპრილი 1 მაისად ჩაითვალა. ბუნებრივია, ამ დღემდე თარიღი ძველი სტილით ივარაუდება.
2. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, 303, ანაწერი №1, საქმე №1183; ვასილის მამის სახელია სტეფანე; დედა – მაკრინე გიორგის ასული ადვიშვილი.
3. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 303, ანაწ. №1, საქმე № 1183.
4. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1968 წ. გვ. 14-16.
5. ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 276, 277; სიმონ ტაბიძის შესახებ იხ. თ. ენუქიძე, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 2, 1960 წ. გვ. 101-109; ტ. რუხაძე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ. №22; „...მამის მხრით იყვნენ მნიგნობრები. დაწყებული მეთოთხმეტე საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მიდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური შეუცვლელი უერთგულესი მღვდელმსახურება...“ უეჭველია, როდესაც ამ სტრიქონებს წერდა, საუკუნის უდიდეს პოეტს მოეპოვებოდა შესაბამისი ზეპირი გადმოცემები, ვინაიდან წყაროებში ტაბიძეთა საგვარეულოს შესახებ ცნობები არის მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულიდან... მასალებიდან ირკვევა, რომ ხონში მცხოვრებ ტაბიძეთა ერთი შტო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისთვის ეკლესიის მსახურები არიან (საუბარია ტაბიძეებზე რომლებიც 1803 წლიდან საცხოვრებლად ჭყვიშში გადავიდნენ – მ.შ.), რომელთაც 1804 წ. ჭყვიშში აუგიათ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც ისინი საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ალაგლენდნენ ღვთისმსახურებას. ...სტეფანე ტაბიძეს (გალაკტიონისა და ტიციანის ბაბუა) დაუმთავრებია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამი კლასი. შემდეგ სწავლა გაუგრძელებია ვანის მონასტერში. 1857 წლიდან მსახურობდა ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიაში, ჯერ დიაკვნად, შემდეგ, მღვდლად აკურთხეს. (იხ. ედიშერ გვენეტაძე, ახალი მასალები ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭყვიშის ეკლესიების და გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების წინაპრების ისტორიიდან,“ ჟურნ. „პარალელი“, 2012 წ. ნ. 4, გვ. 278, 279;
6. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, 1968, გვ. 9-11.
7. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000 წ., გვ. 7, 8.
8. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000 წ., გვ. 5, 6; აქ კიდევ ერთი რამ შეიძლება ითქვას – ჭყვიშში, ჭყვიში (მეგრ.) მწყემსს ნიშნავს.
9. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრები ქრონიკა“, გვ. 11; იხ. ე. გვენეტაძე, „ახალი მასალები ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭყვიშის ეკლესიების და გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების წინაპრების ისტორიიდან“, ჟურნ. „პარალელი“, 2012, ნ. 4. გვ. 281.
10. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 37, 38.
11. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 303, ანაწერი №1, საქ. № 1183.



12. ი. სტ-ძე, კორესპონდენცია ს. ჭყვიშიდან, გაზ. „ივერია“, 1892 წ. № 62, გვ. 2.
13. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 41.
14. გ. ტაბიძე, მამაჩემი (დედის ნაამბობი) თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 255-257.
15. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 44-48.
16. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, 1968, გვ. 18.
17. გალაკტიონის ჩანაწერებიდან, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 339-340; ჩანაწერის სავარაუდო თარიღია [1935 წ.], რაც შეეხება აქ ნახსენებ ლექსს: „ო, ნანა, ნანა, ნანა,“ ის შეტანილია ძველი აკადემიური გამოცემის მეექვსე ტომში (გვ. 250). ნაბეჭდი: ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 2-3 გვ. 80. აქ ის გამოქვეყნდა სათაურით „ნანა“, რომელშიც ავტორს ორი ლექსიდან სხადასხვა ნაწილები („...მე ვუსმენდი“-ის პირველი ორი სტროფი, იხ. ტ. 6. გვ. 253 და „ო, ნანა, ნანა, ნანა“-ს ბოლო ნაწილი „რეაქტივივით ჩქარი..“ ბოლომდე, იხ. გვ. 251-252) გაუერთიანებია. რადგანაც ლექსი დაწყებულია 1954 წ. და საბოლოო სახე 1956 წელს მიეცა, ამიტომ ორმაგ თარიღს ვაძლევთ“. (თხზ. 12 ტომად, ტ. 6, გვ. 538).
18. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 61-67.
19. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1968, გვ. 50.
20. აქ აშკარა შეცდომაა – ოლია და ალექსანდრე ტყუპისცალები გამოდიან, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება (იხ. გ. ზარნაძის შენიშვნა, წიგნში: „გალაკტიონი, ოკუჯავები და სხვები“, „მერანი“, თბ. 2004, გვ. 11).
21. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 688; ციტატის თარგმანი: „სტეფანე ვასილის ძე ოკუჯავას, თავისი თხოვნის საფუძველზე, მიეცა ცნობა ოჯახის სიღარიბის შესახებ სასწავლო დაწესებულებაში წარსადგენად. როგორც გაღმა უბნის პრისტავის, ამა წლის 11 თებერვლის მოკვლევის ოქმიდან ჩანს, ოკუჯავას ოჯახი შედგება: თვითონ – 52 წლის, მისი ცოლის ელისაბედის – 50 წლის; ვაჟიშვილები: ვლადიმერი – 30 წლს, მიხეილი – 28 წლის, ალექსანდრე – 26 წლის, შალვა -12 წლის, ვასილი – 6 წლის და ქალიშვილები: ოლია – 26 წლის, მარია – 15 წლის. მათგან, ვლადიმერი სწავლობს უნივერსიტეტში, შვეიცარიაში, მიხეილი მოსკოვის უნივერსიტეტში, მარია – წმ. ნინოს დაწესებულებაში, შალვა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ოლია მასწავლებელია ჭიათურაში, ნიკოლოზმა სათავადაზნაურო გიმნაზიის კურსი დაამთავრა და მოწაფეებს ამეცადინებს. შვილები, ყველანი მამის ხარჯით სწავლობენ. ოჯახს არავითარი სახსარი არ გააჩნია და ისინი თავს ინახავენ შვილების: ნიკოლოზის გაკვეთილების და ქალიშვილის – ოლიას ხელფასით. ყოველივე ეს, დადასტურებულია ხელმოწერით და სახაზინო ბეჭდით.“
22. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, 1968, გვ. 51; ციტატის თარგმანი: „მას გენიალური თვალეები აქვს. ქუთაისში საუბრობდნენ ოკუჯავების ოჯახის განსაკუთრებულ პატიოსნებაზე.“
23. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 288, 289.
24. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, გვ. 51.
25. ოლია ოკუჯავას დეიდაშვილის, ვასილ კიკაბიძის ნაამბობი, წიგნში: გ. ზარნაძე, „გალაკტიონი, ოკუჯავები და სხვები“, თბ. „მერანი“, 2004, გვ. 27.
26. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, გვ. 290.

27. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, იხ. 1968, გვ. 51.
28. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 290, 291.
29. გ. ზარნაძე, „გალაკტიონი, ოკუპაციები და სხვები“, 2004, გვ. 110; ლილია ბრიკი (კაგანი) რუსი პოეტის, ვლადიმერ მაიაკოვსკის მუზა.

– 1897 - 1904 –

1. გალაკტიონ ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, ნ. 13, გვ. 172.
2. გ. მიხელიძე, „ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 173.
3. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, თბ. 1968, გვ. 20.
4. გ. მიხელიძე, „ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 173.
5. გ. მიხელიძე, „ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 175.
6. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, 1968, გვ. 20.
7. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000 წ. გვ. 124.
8. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 110.
9. გ. მიხელიძე, „ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 174.
10. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. გვ. 112.
11. გალაკტიონის 1948 წლის ჩანაწერი, თხზ. 12 ტომად ტ. 12, გვ. 392.
12. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 112.

– 1905 –

1. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000 წ., გვ. 128.
2. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 129.
3. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 124, 125.
4. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 111.
5. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. . 2000, გვ. 129
6. საარქივო გამოც. ნ. 13, გვ. 55; პირველი პუბლიკაცია: 1952 წ. თხზ. ტ. V, გვ. 54. გალაკტიონის ახალ აკადემიურ გამოცემაში (თხუთმეტტომეული, თბ. 2016 წ. (ტ. 1, გვ. 15) შეტანილია პირველი ლექსი: „... მთვარე კაშკაშებს“; პირველი პუბლიკაცია: გაზ. „ამირანი“, 1908 წ. № 169.
7. საარქივო გამოც. ნ. 13, გვ. 281.
8. გ. მიხელიძე, „ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 175.

– 1906 –

1. პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 102.
2. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 103.
3. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 103.

4. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 67.
5. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 131.
6. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონოლოგიის ფრაგმენტები, 1. ეძღვნება ია ეკალაძეს“, საიუბილეო კრებულში: „გალაკტიონი -125“, თბ. 2016, გვ. 56.
7. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 102.

– 1907 –

1. გალაკტიონის დღიურიდან , ნიგნში: ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 119.
2. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 121, 122.
3. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 114.
4. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 67.
5. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 136.
6. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 57.
7. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 123.
8. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 124.
9. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, გვ. თბ. 2000, 124.
10. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, გვ. თბ. 2000, 134.
11. დესპინე – გალაკტიონის დიასახლისი (იხ. საარქივო გამოც. ნ. 15, გვ. 7).
12. საარქივო გამოც. ნ., 24, გვ. 141, 142; სავარაუდო თარიღი: 1907 წელი – გალაკტიონმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა 1908 წელს. წერილის მიხედვით სასწავლებლის დამთავრებამდე წელიწადნახევარია დარჩენილი; 1907 წელს გალაკტიონმა სასწავლებლიდან მიიღო დახმარება 5 მანეთი (იხ. ნ. 24, გვ., 560).
13. ნ. ტაბიძე, „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“, თბ. „უნივერსალი“, 2008, გვ. 217.
14. გალაკტიონის ჩანაწერი, თხზ. 12 ტომად. ტ. 12, გვ. 277, 278.

– 1908 –

1. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 491.
2. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 493.
3. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 119.
4. პროკლე ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ., 1997, გვ. 106.
5. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 139.
6. პირველი პუბლიკაცია: 1966 წ., თხზ. 12 ტომად, ტ. 1, გვ. 48.
7. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 105.
8. გ. მიხელიძე, „ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 176.
9. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 253.
10. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 139.
11. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 142.
12. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 246.

13. იხ. გაზ. „ამირანი“, № 169. გვ. 2, ჟურნ. „ჩვენი კვალი“ (№ 19, გვ. 298).
14. გ. ტაბიძე, „პირველი ლექსი“, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 210; აქ კალმისმიერი ლაფსუსია, რასაკვირველია, უნდა იყოს... „სქელი ღრუბელი“ და „ჩვენი კვალი“ (№ 19).
15. გ. მიხელიძე, „ცოტა რამ გალაკტიონ ტაბიძეზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 176, 177.
16. გ. ტაბიძე, „განდეგილი (დომინიკა ერისთავისა)“, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 239, 240; გალაკტიონის თხუთმეტტომეულში ამ ეპიზოდის შესახებ ნათქვამია: „...იგი გვამცნობს, როგორ შეუცვალა გაზეთ „ამირანის“ რედაქტორმა დომინიკა ერისთავმა (განდეგილი) დამწყებ პოეტს, მისი მორიდებული წინააღმდეგობის მიუხედავად, სარიტომო სიტყვა „ბინდ-ბუნდი“ „ბურუსით“. ამის შედეგად ზუსტი რითმა (გუნდით – ბინდ-ბუნდით) დაყრუვდა (გუნდით – ბურუსით). ჩვენ გავითვალისწინეთ ჭაბუკი გალაკტიონის ნება და აღვადგინეთ თავდაპირველი ვარიანტი.“ (ტ. 1, გვ. 295).
17. საარქივო გამოც., ნ. 1, გვ. 393; პირველი პუბლიკაცია: 1950 წ., თხზ. ტ. 7, გვ. 137.
18. ჟურნ. „საქართველო“ № 7, გვ. 16; ეს ლექსი გამორჩენილია გალაკტიონის თორმეტტომეულსა და საარქივო გამოცემაში. (ის დაიბეჭდა ძველი აკადემიური გამოცემის მესამე ტომში: დამატებანი. იხ. I, II და III ტომების დამატებანი და შესწორებანი, რომელშიც I ტომის შესახებ აღნიშნულია: „ტომში გამორჩენილია ჟურნ. „საქართველოში“ (1908, № 7, გვ. 16) „ტაბი“-ს ხელმოწერით დაბეჭდილი ლექსი „რომანსი“. (ტ. 4, გვ. 464); თორმეტტომეულსა და საარქივო გამოცემებში ამ სათაურით დაბეჭდილია ორი სხვა ნაწარმოები: „რომანსი (პოემიდან)“ („ცელქი ნაკადი/ნორჩ ყვავილს მკერდს ჰბანს..“ (ტ. 1, გვ. 221, საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 256) და „რომანსი“ („გელოდი, სატრფოვ ტანჯვა-შფოთვაში...“) (ტ. 7, გვ. 71; საარქივო გამოც. ნ. 8, გვ. 45).“
19. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 143, 144.
20. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 143, 148, 151.
21. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 231.
22. გაზ. „დროება“ № 29, გვ. 2; რ. თვარაძე ლექსს იღია ჭაჭყავაძის „სიმღერას“ უკავშირებს და მეცხრამეტე საუკუნიდან მემკვიდრეობით მიღებულ ხელწერაზე მიუთითებს (იხ. მისი „ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, თბ. 2001, გვ. 111).
23. ჟურნ. „საქართველო“ № 11, გვ. 12; ი. გრიშაშვილი, „ჩემი მოგონება გალაკტიონზე“, „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15, აგრეთვე თხზ. 12 ტომად, ტ. 1, გვ. 370.
24. საარქივო გამოც., ნ. 13, გვ. 47. აქ უნებლიე შეცდომაა, უნდა იყოს „ჩვენი კვალი“.
25. იპ. ვართაგავა, წერილები და მოგონებები, თბ. „მერანი“, 1975, გვ. 285, 286; ციტატის თარგმანი: „რთველი საქართველოში“.
26. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 184.
27. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 186, 188.
28. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 390; ლექსი „ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს“ პოეტის სიცოცხლეში დაიბეჭდა (იხ. რჩეული, 1954, გვ. 66). „... მტევანი, ვაზის ჯვარი“ კი 1966 წ. თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, ტ. 1, გვ. 56.
29. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 390. ნაბეჭდი: ლექსები, ტფ. 1927, გვ. 141. „რაც უფრო შორს ხარ ...“ დაწერილია არა 1908 წელს, არამედ 20-იანი წლების დასაწყისში, დაახლოებით მაშინ, როცა დაინერა „მზეო თიბათვისა“ (1920-1921) (იხ. თ. დოიაშვილი, „იგი თანამგზავრი ხშირად მეჩვენება“, კრ. „გალაკტიონოლოგია“ VI, 2012, გვ. 108).

30. საარქივო გამოც. ნ.1, გვ. 390; ნაბეჭდი: ჟურნ. „მნათობი“, 1933, № 5, გვ. 113.
31. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 390; ნაბეჭდი: თხზ. ტ. V, 1952, გვ. 46.

– 1909 –

1. ჟურნ. „ფასკუნჯი“, № 4, გვ. 3-4; საარქივო გამოც. ნ. 20, გვ. 72.
2. თხზ. 12 ტომად, ტ. 1, გვ. 371.
3. ტიცინიან ტაბიძის წერილი 1909 წლის 12 თებერვლითაა დათარიღებული, იხ. ნ. ტაბიძე, „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“, „უნივერსალი“, თბ. 2008, გვ. 184.
4. ნ. ტაბიძე, „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“, თბ. 2008, გვ. 187.
5. ნ. ტაბიძე, „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“, თბ. 2008, გვ. 185.
6. ჟურნ. „ფასკუნჯი“, № 9, გვ. 2.
7. ჟურნ. „ფასკუნჯი“, № 12, გვ. 2.
8. იხ. ჟურნ. „ფასკუნჯი“ № 14, გვ. 3, და კრ. „ახალი ჩანგი“, ნ. III, გვ. 317.
9. ჟურნ. „ფასკუნჯი“, № 16, გვ. 1.
10. ჟ. „ფასკუნჯი“, № 17, გვ. 4; თხუთმეტტომეულში „ციხის ნანგრევებთან“, 1921-26 წწ. შორის დანერილ ლექსებში მოხვდა.
11. დედისადმი გაგზავნილი ბარათიდან, ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, გვ. 155, 156.
12. აკ. მინაშვილი, „თვითმკვლელობა მოსწავლეებში“, ალმ. „პირველი ნაბიჯი“, № 1, გვ. 8.
13. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 158.
14. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 160.
15. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 194.
16. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 161; ციტატის თარგმანი: „ბიბლიური სწავლებანი ადამიანთა მოდგმის ერთიანობის შესახებ“.
17. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 106, 107.
18. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 169.
19. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 166.
20. გალაკტიონის დღიურიდან, ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 163.
21. ალმ. „პირველი ტალღა“, № 1, გვ. 8.
22. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 166, 167.
23. გაზ. „დროება“, № 265, გვ. 2.
24. ალმ. „პირველი ნაბიჯი“, № 2, გვ. 2-3; გალაკტიონმა ეს ნაწარმოები თავის 1927 წლის წიგნში უსათაუროდ ( „...იქ ნაკადული მთის კალთიდან... „) შეიტანა (გვ. 369), თორმეტტომეულსა (ტ. 1, გვ. 72) და საარქივო (ნ., 1, გვ. 82) გამოცემებში მისი სათაურია „კოლხიდაში“. გალაკტიონის თხუთმეტტომეულში კი „კოლხიდა“ დაუბრუნეს (ტ. 1, გვ. 34).
25. პირველი პუბლიკაცია: თხზ. 12 ტომად, 1966 წ., ტ. 1, გვ. 91; „ლექსები: „საფლავი“, „მუზა“, „ცხოვრებასთან“, „სალამო“, „ქანდაკება“, „მე შენს სამარეს“, „სდუმს არემარე“, „მეგობარს“, „წყნარად მისცურავს ნარნარი მთვარე“, „რისთვის“ მოთავსებულია ერთ რვეულში, რომელშიც პოეტს მოუთავსებია აგრეთვე ქართულ პერიოდიკაში (გაზ. „ამირანი“, ჟურნ. „ფასკუნჯი“, „საქართველო“, „ახალი ტალღა“) გამოქვეყნებული ლექსები: „მწუხარება“ (იხ. აქვე, ტ. 1, გვ. 62), „გაზაფხულის მოლოდინში“ (იხ. აქვე, გვ. 68), „რო-

ცა ბულბული განთიადისას“ (იხ. აქვე, გვ. 50), „ფანტაზია“ (იხ. აქვე, გვ. 61), „კოლხიდა“ (იხ. აქვე, გვ. 72). ავტორის მიერ ეს ციკლი დათარიღებულია 1909 წლით, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული ლექსები 1909 წლის შემდეგ არ არიან დაწერილი.“ (თხზ. 12 ტომად, ტ. 1, გვ. 381, 382).

26. ი. გრიშაშვილის ცნობით, ეს ლექსი ტიცციან ტაბიძეს ეკუთვნის (გ. ტაბიძე, თხზ. 12 ტომად, ტ. 4, გვ. 463; აგრეთვე, ი. გრიშაშვილი, „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15; ი. გრიშაშვილი, თხზ. ტ. V, გვ. 318).
27. აღმ. „პირველი ტალღა“, № 2, გვ. 5; ა. აბრამიშვილის „ქართულ პერიოდიკაში“ (1819-1917 წწ.), თსუ, 1968 (რუს. ენაზე) ამ აღმანახის მეორე ნომრის გამოცემის თარიღად 6 დეკემბერია მითითებული (გვ. 120).
28. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 166.
29. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 184.
30. პროკლეს წერილი დედისადმი, წიგნში: ნ. ტაბიძე „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 162.
31. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 390; ნაბეჭდი: ჟურნ. „განათლება“, 1912, № 9, გვ. 699.
32. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 391; ნაბეჭდი: ლექსები, ტ. 1, 1914, გვ. 1; „ხელოვნება“ წარმოადგენს ლექს-მანიფესტს, რომელშიც ასახულია პოეტის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური პოზიცია შემოქმედების ადრეულ ეტაპზე და, გალაკტიონის ცნობით, სპეციალურად პირველი წიგნისთვის დაიწერა (თხზ. 15 ტომად, 2016, ტ. 1, გვ. 316; აგრეთვე, საარქივო გამოც. ნ. 13, გვ. 306).
33. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 390; ნაბეჭდი: თხზ. ტ. 7, გვ. 142.
34. გიორგი ხაბაზიშვილის მოგონება, წიგნში: გ. მებუკე, „ჩანაწერები გალაკტიონ ტაბიძეზე“, თბ. „მერანი“, 1982, გვ. 70.

## – 1910 –

1. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 1, გვ. 5.
2. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 3, გვ. 4.
3. აღმ. „ახალი ტალღა“, 1910 წ. № 1, გვ. 3; ანდრო აბრამიშვილს აღმანახის გამოცემის თარიღად 17 იანვარი აქვს მითითებული (იხ. მისი „ქართული პერიოდიკის (1819-1917) ანოტირებული კატალოგი“, თსუ, 1968 წ. გვ. 128 (რუს. ენაზე); „ეს ნომერი საქართველოში ვერ მოიძებნა. მისი ქსეროასლი პეტერბურგიდან, რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან, ჩამოიტანა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, ქალბატონმა ირმა რატიანმა“ ( გალაკტიონის თხზ. 15 ტომად, თბ. 2016, ტ. 1, გვ. 303).
4. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, თბ., 1968, გვ. 38.
5. იხ. გ. ჩიქობავა, „გალაკტიონის ახლო“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966, გვ. 53; ქუჩუ ქავთარაძე დაკრძალეს მშობლიურ სოფელში, ძველ სენაკში.
6. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 177.
7. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 114, 116.
8. თხზ. 12 ტომად, ტ. 1, გვ. 388.
9. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 6, გვ. 9; აქვე დაბეჭდილია „ოპერის უცხოელი ვარსკლავის ვან-ბრანტის სურათი და მოკლე ინფორმაცია მასზე, რომ ის ამჟამად მოწვეულია თბილისის ოპერაში.“

10. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 8, გვ. 13; გალაკტიონის ძველ აკადემიურ გამოცემაში ეს ლექსი უსათაუროდაა შეტანილი (ტ. 1, გვ. 96). ლექსების პირველ წიგნში ავტორმა ის „დემონის“ სათაურით დაბეჭდა. 1927 წლის კრებულში კი „დემონის სიმღერებიდან“ ჰქვია. გალაკტიონის თხუთმეტომეულში მას თავდაპირველი სახელი: „დემონი“ დაუბრუნეს (იხ. ტ. 1, გვ. 134). ამ ლექსის სტრიქონი: „მაგრამ სერაფიმს ბედკრულისთვის ესეც შეშურდა“ გადაძახილია ე. პოს „ანაბელ ლის“ ფრაზასთან: „ზეციურ ფრთიან ანგელოზებს შეშურდათ ჩვენი“ ( ი.კენჭოშვილი, იხ. კრ. „გალაკტიონოლოგია“, VI, 2012, გვ. 221.
11. ალმ. „ჩვენი ნაბიჯი“, № 1, გვ. 11.
12. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 10, გვ. 5.
13. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 13, გვ. 2.
14. მენავე, „ჩვენი კრიტიკოსები“, გაზ. „ხალხი“, № 13, გვ. 1.
15. იხ. წიგნში: ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, „ნაკადული“, თბ., 1982, გვ. 227.
16. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 16, გვ. 3.; იხ. აგრეთვე, ლექსები, ტფ. 1927, გვ. 373; თხზ. ტ. 1, 1937, გვ. 436.. გალაკტიონის თხუთმეტომეულში მას თავდაპირველი სახელი: „სასაფლაოზე“ დაუბრუნეს (იხ. ტ. 1, გვ. 42).
17. აქ კორექტურული შეცდომაა: გ-ს ნაცვლად მ არის ჩასმული. თარგმანი რომ გალაკტიონს ეკუთვნის და რომ მასზეა აქ საუბარი, ამის დასტურია ნანყვეტი რაისა ჩიხლაძისადმი გაგზავნილი ბარათიდან: „ბრანდიც“ თქვენთვის შემომინირავს მალე დავაბეჭდინებ“ (თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 338; იხ. აგრეთვე „მატიანე“, 1911 წ. [14] იანვარი).
18. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 181.
19. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ № 18, გვ. 2.; ძველი აკადემიური გამოცემის პირველი ტომის შენიშვნებში ამ ლექსის შესახებ აღნიშნულია: „ჟურნალში მეორე სტროფი გამოყოფილია ცალკე უსათაურო ლექსად. შინაარსობრივად ორივე ერთ ლექსს წარმოადგენს და ამიტომ ჩვენ ისინი გავაერთიანეთ“ (ტ. 1, გვ. 382).
20. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 19, გვ. 10; ერთ ჩანანერში გალაკტიონი საგანგებოდ აღნიშნავს ამ ლექსში რეფრენის არსებობას (საარქივო გამოც. ნ.18, გვ. 90); ნაწარმოებში გამოყენებულია ორი პოეტური სახე (ნამი, მზე) ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „არ უკიჟინო, სატრფოო“, მაგრამ მათი აზრობრივი შინაარსი ტრანსფორმირებულია ახალი ნეორომანტიკული ცნობიერების შესაბამისად (თ. დოიაშვილი) იხ. კრ. „გალაკტიონოლოგია“, VII, 2014, გვ. 216.
21. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 173.
22. ალ. გორგაძე, „მაშინ ახალგაზრდა იყო“, ჟურნ. „პიონერი“, 1963, № 8, წიგნში: ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, 1968, გვ. 39.
23. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ № 22, გვ. 4.
24. ნარი, „ქართველ ახალგაზრდა პოეტთა ბედი“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 22, გვ. 11-12. გალაკტიონის სახელი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, პირველად სწორედ ამ ჟურნალში გამოჩნდა.
25. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 23, გვ. 3.
26. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 24, გვ. 5.
27. ჟურნ. „ნაკადული“ (მოზრდილთათვის), (№ 8), გვ. 15.
28. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 26, გვ. 2.

29. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, გამომ. „ნაკადული“, თბ. 1982 წ., გვ. 160.
30. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 35, გვ. 9.
31. ნარი, „ბუნება პოეზიაში“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 37, გვ. 7; „ნიავი“ პირველად 1908 წლი 9 ნოემბერს გამოქვეყნდა თბილისის სემინარიის ხელნაწერ ჟურნალში „შუქი“.
32. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 38, გვ. 2; თხზულებანი 12 ტომად, ტ. 1, გვ. 171-172.
33. „სახალხო გაზეთი“, № 142, გვ. 2; იხ. საარქივო გამოც. ნ. 18, გვ. 90; აგრეთვე, გალაკტიონის ლექსების პირველი კრებულის მეცნიერული გამოცემა, რედაქტორი თეიმურაზ დოიაშვილი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ნათია სიხარულიძემ, კრ. „გალაკტიონოლოგია“ VII, 2012, გვ. 200.
34. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 183.
35. გალაკტიონის ჩანაწერი, წიგნში: ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 184.
36. „სახალხო გაზეთი“, № 156, გვ. 2.
37. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 184.
38. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 108.
39. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, 1997, გვ. 109; წერილში საუბარია გალაკტიონის ლექსზე „დილა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნ. „თეატრი და ცხოვრებაში“ (1910, 6 ივნისი, № 22, გვ. 4).
40. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000. გვ. 203, 204.
41. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 188, 189.
42. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 170.
43. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 177.
44. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 184.
45. გ. ტაბიძე, „ნიკო სულხანიშვილი“, თხზ. ტ. 12, გვ. 241.
46. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, 1997, გვ. 107.
47. ე. მითათიშვილი, „გალაკტიონის ცაცხვის ხე“, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1973, 24 ოქტ. № 20, გვ. 4; „2007 წლის 21 ნოემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ოთახი-მუზეუმი. XX საუკუნის გენიალური პოეტი 1910-1911 წლებში ამ სოფლის დაწყებითი სკოლის პედაგოგად მუშაობდა და ცხოვრობდა იქვე, დიმიტრი ხარაძის სახლში, რომლის ერთ-ერთი ოთახი მემორიალურ კუთხედ გამოცხადდა. ამ მოვლენას მიეძღვნა საზეიმო ღონისძიებანი. ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის ოფისში გაიმართა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გალაკტიონოლოგიის ცენტრის წევრების შეხვედრა ხარაგაულის საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა იზა ვეფხვაძის წიგნი „გალაკტიონის ნატერფალები“, რომელიც დიდი პოეტის ფარცხნალში გატარებულ დღეებს ეხება. გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრეს გალაკტიონოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა: თეიმურაზ დოიაშვილმა, ემზარ კვიციანიშვილმა, დავით წერეთლიანმა, ლევან ბრეგვაძემ, მამუკა შელევამ. კრიტიკოსებმა: ივანე ამირხანაშვილმა და ელგუჯა თავბერიძემ, პედაგოგებმა: იზა ვეფხვაძემ, მერი გიორგიძემ, ვალერი გონგაძემ, ეკა შველიძემ, იზა ოკრიბელაშვილმა. შემდეგ ფარცხნალში საზეიმოდ გაიხსნა პოეტის ოთახი-მუზეუმი, რომელსაც



გალაკტიონოლოგიის ცენტრის წევრებმა საჩუქრად გადასცეს „გალაკტიონოლოგიის“ სამი ტომი, ილია ჭავჭავაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გაზეთი და სხვა სამუზეუმო ნივთები.“ ( გაზ. „ახალი თაობა“, 2007, 28 ნომბ. № 328, გვ. 6).

48. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 178, 180; ციტატის თარგმანი: „შთავონება.“
49. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 191
- 50.. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 195, 196.
51. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 119; პირველი პუბლიკაცია: 1916 წ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 50, გვ. 8.
52. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 391; ნაბეჭდი: ლექსები. 1927, გვ. 121. გალაკტიონის თხუთმეტომეულში აღნიშნულია – ძველ აკადემიურ გამოცემაში ეს ლექსი 1910 წლით არის დათარიღებული, რაც ლექსის ვერსიფიკაციულ ფორმას თუ გავითვალისწინებთ, გასაზიარებელი არაა. ახალ აკადემიურ გამოცემაში ეს ნაწარმოები მოთავსებულია განყოფილებაში, რომელშიც შევიდა ლექსები დაწერილი 1921-1926 წლებს შორის, ე. წ. ზარნიშიან, ნიგნში (1927 წ.) პირველად გამოქვეყნებული, თარიღის გარეშე დატოვებული, აგრეთვე ის თარიღიანი ლექსები, რომლებშიც აშკარაა ავტორისეული ქრონოლოგიური მისტიფიკაცია. ეს ნაწარმოებები, ზოგადად, თავსდება ფართო დროით ლოკალში – 1921-1926 წლამდე. უშუალოდ ტექსტებთან, გასაგები მიზეზის გამო, ამ თარიღს აღარ მივუთითებთ“ (ტ. 3, გვ. 528, 498).
53. საარქივო გამოც. ნ 1, გვ. 391; ნაბეჭდი: ჟურნ. „განათლება“, 1912 წ. № 9, გვ. 699.
54. საარქივო გამოც. ნ. 1, გვ. 390; ნაბეჭდი: თხზ. ტ. 3, 1940, გვ. 94.
55. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონოლოგიის ფრაგმენტები“, კრებულში „გალაკტიონ ტაბიძე -125“, თბ. 2016, გვ. 58.

## – 1911 –

1. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 201, 204.
2. თხზ. 12 ტომად, ტ. 1, გვ. 390 ; „პოეტის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ გალაკტიონი 1911 წელს მცირე ხნით ბათუმის მახლობლად მასწავლებლობდა. ზოგნი აზუსტებენ თარიღს – ოქტომბერშიო. ეს მტკიცება სიმართლეს არ შეეფერება. შეცდომა მომდინარეობს ერთი სიტყვის არასწორი წაკითხვისაგან. 1911 წელს რაისა ჩიხლაძისადმი გაგზავნილ ბარათში პოეტი აღნიშნავს: „ჩემი ადრესი ხომ იცი: Ст. Белогор, учителю Г.Т. (სადგ. ბელაგორი, მასწავლებელ გ. ტ-ს) ბელაგორი ბათუმად წაიკითხეს და გაუგებრობაც აქედან მოდის“ (ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 2000, გვ. 231).
3. თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 538.
4. ვ. გორგაძის ბარათიდან, ნიგნში: ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, „ნაკადული“, თბ.. 1982, გვ. 230.
5. დ. დიმიშვილი, „ცხოვრება და მწერლობა (ახალგაზრდა მწერლები)“, გაზ. „სინათლე“, № 23, გვ. 2, 3.
6. ბელაგორი – დღევანდელი ხარაგაული.
7. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, 1997 წ. გვ. 109-114.
8. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 114-115.

9. გ. ჭუმბურიძე, „ახალი მიმართულების ნიშნები ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში“, გაზ. „ხალხი“, № 9, გვ. 2.
10. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, გვ. 115-116.
11. გალაკტიონის წერილი ძმისადმი სოფ. ფარცხნალიდან, იხ. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 197, 198; ნ. ტაბიძე ამ წერილის შესახებ იქვე წერს: „ამ ბარათის უკან დგას პიროვნება, რომელიც ძველს დაშორდა, ახალი კი ვერ უპოვია. გაურკვევლობიდან გამომდინარე, ნერვიულობას შეუპყრია და შფოთავს და დრტყინავს.“
12. ა. პაპავა, „ჩვენი ახალგაზრდა პოეტები და იმპრესიონისტული მეთოდი“, „სახალხო გაზეთი“, № 287, გვ. 3.
13. მიხ. ბოჭორიშვილის ბარათიდან, იხ. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 1982, გვ. 229; მიხეილის შესახებ ნ. ტაბიძე წერს: გალაკტიონს ამხანაგ-თანამგზავრი ბევრი ჰყავდა, გულისმესაიდუმლე კი ერთი ან ორი. მათ შორის პირველი ადგილი მიხეილ ბოჭორიშვილს ეკუთვნის; ამ მწერლისა და მამულიშვილის შესახებ იხ. აგრეთვე, მ. კვატაიას წერილი „მიხეილ ბოჭორიშვილის პორტრეტისათვის“, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 35, გვ. 232-248.
14. გ. ჭუმბურიძე, „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“, „სახალხო გაზეთი“, № 293, გვ. 2.
15. გ. ჭუმბურიძე, „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“, № 295, გვ. 2.
16. გ. ჭუმბურიძე, „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“, № 296, გვ. 3.
17. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 117, 118. ციტატის თარგმანი: „სიმნიფის ატესტატისთვის.“
18. რაისა ჩიხლაძისადმი, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 539.
19. პირველი პუბლიკაცია: თხზ. 12 ტომად, 1966 წ., ტ. 1, გვ. 119.
20. რომანოზ ფანცხავას წერილიდან, ნიგნში: ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 1982, გვ. 231.
21. პრ. ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს“, თბ. 1997, გვ. 119, 120.
